ენათმეცნიერების შესავალი

Arn. Chikobava Institute of Linguistics

Iv. Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities
Institute of Caucasiology

ARNOLD
CHIKOBAVA

INTRODUCTION TO LINGUISTICS

Editing and preface
by G. Kvaratskhelia

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
კავკასიოლოგიის ინსტიტუტი

არნოლდ
ჩიქობავა

ენათმეცნიერების შესავალი

რედაქცია და წინასიტყვაობა
გ. კვარაცხელიასი

თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

წიგნი თეორიული ენათმეცნიერების შესავალი კურსია, რომელიც გვაცნობს ენათმეცნიერების ძირითად ცნებებსა და ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემატიკას, მათ შორის ენის საზოგადოებრივი არსის, მისი წარმოშობისა და განვითარების საკითხებს; ენათმეცნიერების დარგობრივ შემადგენლობასა და დარგობრივ მეთოდებს. წარმოდგენილი და განხილულია მსოფლიოს ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია.

ნაშრომი განკუთვნილია ფილოლოგიის პროფილის სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის.

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008

ISBN 978-9941-13-050-2

ს ა რ ჩ ე ვ ი

რედაქტორის წინასიტყვაობა..... XI-XXII

I. შესავალი

§ 1. ენათმეცნიერება და ზოგადი ენათმეცნიერება 1
§ 2. ენის მეცნიერული შესწავლა, როგორც ენის ფაქტებისადმი ისტორიული თვალსაზრისის მომარჯვების შედეგი 3
§ 3. წინარემეცნიერული გრამატიკები: ფილოლოგიური გრამატიკა და რაციონალური გრამატიკა 6

თავი II

ენა. მისი საზოგადოებრივი არსი. მისი განვითარება. მისი წარმოშობა

§ 4. რა არის ენა? 10
§ 5. ენობრივი ურთიერთობა და მისი საზოგადოებრივი საფუძველი 10
§ 6. მონოლოგი და ენის სოციალურობა 14
§ 7. ენა და აზროვნება 15
§ 8. ურთიერთობის საშუალებად ყოფნა — ეს არის ენის რაობის განმსაზღვრელი ფუნქცია 16
§ 9. ენა საზოგადოებრივი ცხოვრების შესაძლებლობის აუცილებელი პირობაა 18
§ 10. რა შეადგენს კონკრეტული ენის საფუძველს? 18
§ 11. ენა, როგორც სისტემა 21
§ 12. ენის ცვალებადობის შესახებ საკითხის დასმა 27
§ 13. ენა და დიალექტები 27
§ 14. ლინგვისტური გეოგრაფია 32
§ 15. სოციალური დიალექტები და ჟარგონები 34
§ 16. ენა, როგორც ისტორიული კატეგორია 37
§ 17. ენის განვითარების ძირითადი საკითხები. ენის განვითარების პირობათა შესახებ 40
§ 18. ენის განვითარების შინაგანი კანონების შესახებ 41
§ 19. ენის განვითარების ტემპების შესახებ 45
§ 20. ენის განვითარების ხასიათის შესახებ 49

§ 21. ენის განვითარების ძირითადი პროცესების შესახებ 52
§ 22. ეროვნული ენა. სალიტერატურო ენა და ტერიტორიული დიალექტები 56
§ 23. ამჟამად ყველაზე გავრცელებული ენები 61
§ 24. ენის წარმოშობა. საკითხის დასმა 63
§ 25. ენის წარმოშობის ინდივიდუალისტური და სოციალური თეორიების შესახებ 66
§ 26. არაბგერითი ენის პირველადობის საკითხის შესახებ 68

ენათმეცნიერების დარგების შესახებ

§ 27. ენათმეცნიერების დარგები. გრამატიკათა სახეობანი 72

თავი III

ფონეტიკა

§ 28. ფონეტიკის საგანი. ფონეტიკის მნიშვნელობის შესახებ 76
§ 29. ბგერის დახასიათება აკუსტიკური თვალსაზრისით 80
§ 30. სამეტყველო აპარატი. მისი აგებულება და მისი ცალკეული ნაწილების ფუნქციები 81
§ 31. მეტყველების აქტიური ორგანოების მოქმედება 83
§ 32. ბგერის არტიკულაცია და საარტიკულაციო ბაზისი 85
§ 33. ბგერათა კლასიფიკაცია. ხმოვნები და მათი კლასიფიკაცია 86
§ 34. გრძელი ხმოვნები 88
§ 35. დიფთონგი და ტრიფთონგი 89
§ 36. თანხმოვანთა კლასიფიკაცია და ამ კლასიფიკაციის საფუძვლები 89
§ 37. თანხმოვანთა არტიკულაციის თავისებურებანი და მათი ცვლის შესაძლებლობანი 92
§ 38. ბგერის წარმოება ცალკე და სხვა ბგერებთან ერთად (კოარტიკულაცია) 94
§ 39. ფონეტიკური მახვილი და მისი სახეები 95
§ 40. ლოგიკური მახვილი 98
§ 41. ენკლიტიკა და პროკლიტიკა 99
§ 42. ტაქტი და მარცვალი, როგორც ფონეტიკური ერთეულები ... 100
§ 43. კოარტიკულაციასთან დაკავშირებული ცვლა ბგერათა (ე. წ. კომბინაციური ცვლა) 101
§ 44. ბგერათა ცვლა ზოგადი ხასიათისა (ე.წ. სპონტანური ცვლა) 104
§ 45. ბგერათა შესატყვისობანი მონათესავე ენებში 105

§ 46. ბგერითი ცვლილებები და მათი გათვალისწინების აუცილებლობა ენობრივი ფაქტის ანალიზის დროს 106
§ 47. ფონოლოგია და მისი დამოკიდებულება ფონეტიკასთან 108
§ 48. წერითი მეტყველება და დამწერლობა 111
§ 49. პიქტოგრაფიული, იდეოგრაფიული და სამეტყველო დამწერლობა 112
§ 50. ზეპირმეტყველებისა და წერის ურთიერთობა 115

თავი IV

ლექსიკოლოგია. სემანტიკა. ეტიმოლოგია

§ 51. ლექსიკა და ლექსიკოლოგია 120
§ 52. ლექსიკის სიმდიდრე ენის სიმდიდრეა 120
§ 53. ძირითადი ლექსიკური ფონდის სიტყვები 121
§ 54. სიტყვა სრულმნიშვნელოვანი და დამხმარე. სიტყვა აქტიური და პასიური 122
§ 55. სინონიმები. ომონიმები. ანტონიმები 123
§ 56. ევფემიზმი. ტაბუ 127
§ 57. ლექსიკური შემადგენლობის ცვლა. არქაიზმი. ნეოლოგიზმი. დიალექტიზმი 127
§ 58. სიტყვათა სესხება. კალკი 128
§ 59. ლექსიკოგრაფია და ლექსიკონთა სახეები 131
§ 60. სიტყვის მნიშვნელობა და სიტყვის შემადგენლობა 133
§ 61. დამოკიდებულების აღმნიშვნელი ნაწილი სიტყვაში 135
§ 62. მნიშვნელობის მცვლელი ნაწილი სიტყვაში 137
§ 63. ფუძე და აფიქსები. აფიქსთა და ფუძეთა სახეობანი 139
§ 64. საგნის დახასიათება სიტყვის ფუძეში 142
§ 65. სიტყვის მნიშვნელობა და ცნება 146
§ 66. სიტყვის მნიშვნელობა არც წარმოდგენა არის და არც ცნება 149
§ 67. რეალური კონტექსტი და სიტყვის მნიშვნელობა 153
§ 68. სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა 156
§ 69. სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება და დავიწროება. სახელის გადატანა ფუნქციის მიხედვით 156
§ 70. სემანტიკა და სტილისტიკა 158
§ 71. ნაწარმოები ფუძე 159
§ 72. რთული ფუძე (კომპოზიტი) და მისი სახეობანი 160
§ 73. კვეცილფუძეებიანი კომპოზიტები 163
§ 74. ეტიმოლოგია და სიტყვის ისტორია 164
§ 75. ე. წ. „ხალხური ეტიმოლოგია" 167

თავი V

მორფოლოგიისა და სინტაქსის ზოგადი საკითხები

§ 76. მორფოლოგიის საგანი (დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები და სათანადო გრამატიკული კატეგორიები) 169
§ 77. აფიქსთა კლასიფიკაციის საკითხი 170
§ 78. აფიქსთა კლასიფიკაცია ადგილმდებარეობის მიხედვით 173
§ 79. აფიქსის ადგილმდებარეობა და ფუნქცია 175
§ 80. სიტყვის დაშლა და საამისოდ საჭირო პირობები 176
§ 81. აფიქსის ბგერითი სახე და ფუნქცია 178
§ 82. მოქმედი და უქმი აფიქსები 180
§ 83. ფუძის შემადგენლობისა და აფიქსის ფუნქციის რეინტერპრეტაცია 182
§ 84. აფიქსების სესხების საკითხი 182
§ 85. აფიქსების წარმოშობის საკითხი 183
§ 86. დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსების არმქონე ანუ ფორმაუცვლელი სიტყვები 186
§ 87. აფიქსები და ნაწილაკები 189
§ 88. რას შეუძლია გასწიოს დამოკიდებულების აღმნიშნელი აფიქსის მაგივრობა? 190
§ 89. მეტყველების ნაწილები. მეტყველების ნაწილთა ტრადიციული კლასიფიკაცია 193
§ 90. ტრადიციული კლასიფიკაციის ნაკლოვანებანი 196
§ 91. მორფოლოგიური და სემანტკიური მომენტების ურთიერთობა სიტყვაში 198
§ 92. ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები. სახელისა და ზმნის კატეგორიები 203
§ 93. ბრუნვა 203
§ 94. რიცხვი 206
§ 95. პირი 209
§ 96. დრო 210
§ 97. კილო 212
§ 98. გვარი 213
§ 99. ქცევა 213
§ 100. გრამატიკული სქესი და გრამატიკული კლასი 215
§ 101. დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები და დამოკიდებულება 217
§ 102. სიტყვათა სინტაქსური დამოკიდებულების ძირითადი სახეები 218
§ 103. რას გამოხატავს შესიტყვება? 222

§ 104. სინტაქსი და სტილისტიკა 224
§ 105. შესიტყვების აგებულება და შესიტყვების მნიშვნელობა ... 226
§ 106. სინტაქსი ფ. მიკლოშიჩის მიხედვით 232
§ 107. სინტაქსის ცნებათა ლოგიცისტური გაგება 234
§ 108. სინტაქსის ცნებათა ფსიქოლოგისტური გაგება 237
§ 109. სინტაქსის ცნებათა ფონეტისტური და მორფოლოგისტური განსაზღვრება 238
§ 110. უნივერსალური სინტაქსი შეუძლებელია 241
§ 111. გრამატიკული წყობის შესწავლა მორფოლოგია-სინტაქსში (გრამატიკაში) და გრამატიკის სპეციფიკა 243

თავი VI

სტილისტიკა, როგორც ენათმეცნიერების დარგი

§ 112. სტილის რაობისათვის 246
§ 113. ობიექტური მომენტი სტილში და ენათმეცნიერული სტილისტიკის საკითხები 248
§ 114. სუბიექტურ-ინდივიდუალური სტილში 251

თავი VII

ენათა კლასიფიკაცია

§ 115. ენათა კლასიფიკაცია. საკითხის დასმის შესახებ 255
§ 116. ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია 255
§ 117. ენათა მორფოლოგიური ტიპების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია 261
§ 118. ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციის მნიშვნელობის შესახებ 262
§ 119. ენის მორფოლოგიური ტიპის ცვალებადობის საკითხის შესახებ 264
§ 120. ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია 265
§ 121. ენათა ოჯახები 272
§ 122. ინდოევროპულ ენათა ოჯახი 273
§ 123. ტერმინის შესახებ „ინდოევროპული“ 289
§ 124. ინდოევროპულ ენათა დამახასიათებელი ზოგი თავისებურება 289
§ 125. სემიტურ ენათა ოჯახი. ჰამიტურ ენათა ოჯახი 290
§ 126. უნგრულ-ფინურ ენათა ოჯახი 293

§ 127. ალთაური (თურქულ-მონღოლური) ენათა ოჯახი 294
§ 128. მანჯურიულ-ტუნგუსური ენათა ოჯახი. კორეული. იაპონური. პალეოაზიური ენები 296
§ 129. იბერიულ-კავკასიური ენათა ოჯახი 297
§ 130. წინა აზიისა და შუამდინარის ძველი ენები 312
§ 131. ჩინურ-ტიბეტური ენათა ოჯახი 318
§ 132. დრავიდიულ ენათა ოჯახი 320
§ 133. ინდონეზიის ენები 321
§ 134. აფრიკისა და ამერიკის ენები 322
§ 135. გენეალოგიური და მორფოლოგიური კლასიფიკაციის ურთიერთობა 323
§ 136. ნ. მარის ენათა სტადიური კლასიფიკაციის უსაფუძვლობა და ელემენტოვანი ანალიზის არამეცნიერული ხასიათი 324

თავი VIII

ენათმეცნიერების ადგილი მეცნიერებათა სისტემაში

§ 137. ენათმეცნიერება, როგორც საზოგადოებრივი მეცნიერება 334
§ 138. ენათმეცნიერების დამოკიდებულება სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებთან. ენათმეცნიერების ზოგადი საგანმანათლებლო მნიშვნელობა 334
§ 139. ენათმეცნიერების გამოყენებითი მნიშვნელობა 335

რედაქტორის წინასიტყვაობა

1

„ენათმეცნიერების შესავალი“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 1952 წელს გამოსცა, მაგრამ მას კიდევ უფრო ხანგრძლივი ისტორია აქვს. იგი უკავშირდება არნ. ჩიქობავას საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების პროექტს ენათმეცნიერების თეორიაში. პროექტი გულისხმობდა ორი სახელმძღვანელოს შექმნას: I. „ზოგადი ენათმეცნიერება, I. პროპედევტიკული ნაწილი“ (გამოიცა 1935, 1939, 1946 წწ.); 2. „ზოგადი ენათმეცნიერება, II. ძირითადი პრობლემები“ (გამოიცა 1945, 1983 წწ.) — პირველი განიხილებოდა როგორც ელემენტარული, და მეორე, როგორც მასთან ორგანულად დაკავშირებული, ძირითადი კურსი. ისინი იქმნებოდა ავტორის საუნივერსიტეტო მოღვაწეობის პროცესში.

არნ. ჩიქობავას „პროპედევტიკას“ წინ უსწრებდა 1919 წელს სამ ნაკვეთად გამოსული გ. ახვლედიანის „ენათმეცნიერების შესავალი“, რომელიც „იმ ხანად რუსულ ენაზე არსებულ სახელმძღვანელოთა შორის გამოირჩეოდა შინაარსის სიმდიდრითა და საკითხთა დამუშავების მაღალი დონით. ამ სახელმძღვანელოზე — ქართულად — ენათმეცნიერების ანბანი გაიკვეთა არა ერთმა თაობამ. მათ შორის პირველი თაობა ის იყო, რომელსაც ამ სტრიქონების ავტორიც ეკუთვნის“, — წერდა არნ. ჩიქობავა. ამგვარად, „შესავლის“ კურსი უკვე დამკვიდრებული იყო უნივერსიტეტში, რასაც ვერ ვიტყვით „ზოგადი ენათმეცნიერების“, ანუ ძირითადი კურსის, შესახებ. ამ თემატიკის სახელმძღვანელო არ მოიპოვებოდა არათუ ქართულ, არამედ რუსულ ენაზეც. უფრო მეტიც, ლინგვისტიკის ამგვარი კურსის საჭიროება, როცა იგი 1935-1936 წლებში პირველად იკითხებოდა ენათმეცნიერების სპეციალობის სტუდენტებისთვის, სადავოდ მიაჩნდათ, რადგან უმაღლესი სკოლის კომიტეტის სასწავლო გეგმებში ასეთი საგანი მაშინ არ იყო შეტანილი. იმ აკადემიური წლიდან მოყოლებული, „ზოგადი ენათმეცნიერება“ ერთ-ერთი წამყვანი დისციპლინა გახდა ფილოლოგიის ფაკულტეტებზე, არა მარტო უნივერსიტეტში, არამედ პედაგოგიურ ინსტიტუტებშიც. მასზე აღიზარდნენ ქართველ მეცნიერთა მთელი თაობები.

წინამდებარე წიგნის უშუალო წინაპარია სწორედ ზემოთ ნახსენები „პროპედეეტიკა“, რომელიც რთულ პირობებში შეიქმნა და დაი-

ბეჭდა. ამის თვალსაჩინოებისთვის პირველი გამოცემის „წინასიტყვაობაც“ კმარა, რომელიც ხელმოწერილია „სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის“ სახელით, რითაც დაცულია ავტორის, უფრო ზუსტად, ავტორთა ჯგუფის ანონიმურობა. აღნიშნული „წინასიტყვაობა“ უპრეცედენტოა იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი მთლიანად შეიცავს წიგნის გმობას, რომლის წინასიტყვაობასაც თავად წარმოადგენს:

„როგორია წინამდებარე ენათმეცნიერების კურსი? არის თუ არა დაწერილი მატერიალისტური დიალექტიკის საფუძველზე? იძლევა თუ არა ძველი, ბურჟუაზიული ენათმეცნიერების (ინდოევროპეისტიკის) კრიტიკას? ითვალისწინებს თუ არა ყველა იმ მიღწევას, რომელიც ენის შესახებ ახალ მოძღვრებას (იაფეტიდოლოგიას) გააჩნია ენათმეცნიერების გარდაუვალი პრობლემების შესახებ?“ — კითხულობენ ავტორები და თვითონვე იძლევიან პასუხს: „სამწუხაროდ, აქ ჩამოთვლილ საკითხებზე უარყოფითი პასუხი უნდა გავცეთ. პროფ. არნოლდ ჩიქობავა ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა იდეალისტური შეხედულებებისაგან“. აქ არ შევუდგებით ბრალდებათა იმ ცხრა პუნქტის ჩამოთვლას, რომელთაც „წინასიტყვაობა“ უყენებს სახელმძღვანელოს ავტორს, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ პუნქტების ზოგადი პათოსია „ბოლშევიკურად ამხილოს ყველა ის იდეალისტური და მექანისტური შეცდომა, რომელსაც ადგილი ექნება ენათმეცნიერულ მუშაობაში; გააჩაღოს ბოლშევიკური თვითკრიტიკა საკუთარ რიგებში და ამით წინ წასწიოს საბჭოთა ლინგვისტიკა“, არნ. ჩიქობავა კი „სათანადოდ ვერ აფასებს საბჭოთა ლინგვისტიკას და მის მიღწევებს, იგი დღესაც სავსებით ვერ გამიჯნულა ინდოევროპეისტიკის პრინციპებისაგან... (იგი) გამოდის იმ საერთო ტრადიციიდან, რომელიც ბურჟუაზიულ ენათმეცნიერებაში არსებობს. ენის შესახებ ახალმა მოძღვრებამ, რომლის მამამთავარი კომუნისტი აკადემიკოსი ნიკო მარია, სამართლიანად დაანგრია ძველი ფილოლოგიურ-ენათმეცნიერული შენობა და მის ნაცვლად ახალი ააგო. უარყოფილ იქნა ე.წ. კომპარატიული მეთოდი (იგულისხმება ისტორიულ-შედარებითი მეთოდი — გ.კ.) და მისი ცრუ ისტორიზმი, რომლის ადგილი დაიჭირა მატერიალისტურმა დიალექტიკამ“. ეს ვრცელი ციტატები დაგვჭირდა იმიტომ, რომ მათზე უკეთ ჩვენ ვერ გავაცოცხლებთ იმ სულის შემხუთავ ატმოსფეროს, რომელიც მაშინ სუფევდა საბჭოთა ენათმეცნი-

---

* იგივე „იაფეტური ენათმეცნიერება“, „იაფეტური თეორია“, რომელიც ნ. მარმა (1864-1934 წწ.) 1923 წ. წამოაყენა და რომელსაც სხვადასხვა მოდიფიკაციით სიცოცხლის ბოლომდე ავითარებდა.

ერებაში და რომელიც დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრების კონტექსტში დაუჯერებელი ჩანს.

მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერთა წინააღმდეგ პოლიტიკური ბრალდებებისა და პოლიტიკური შანტაჟის მაშინდელი პრაქტიკა ძალიან სახიფათო იყო და ხშირად სავალალო შედეგით მთავრდებოდა, არნ. ჩიქობავა გაბედულად იცავდა თავის დებულებებს, რადგან ისინი მეცნიერულად სწორად მიაჩნდა. მისი სიტყვებია: „ჰეშმარიტებას ვინც ეძებს, ჰეშმარიტების უკომპრომისო დამცველიც უნდა იყოს (კომპრომისი მეცნიერებასთან შეუთავსებელია)“.

არნ. ჩიქობავამ 1938 წელს „პროპედევტიკის“ მეორე გამოცემას წაუმძღვარა მოკლე „შესავალი“, სადაც მოცემულია რამდენიმე ძირითადი ცნობა ენათმეცნიერების ისტორიის შესახებ. წიგნის ოთხ არასრულ გვერდზე მეცნიერმა გასაოცარი ლაპიდარობითა და ტევადობით წარმოადგინა თავისი „კრიტიკოსების“ მიერ დაგმობილი „კომპარატიული“ მეთოდისა და ისტორიული გრამატიკის ჩამოყალიბების გზა, შეაფასა „ბურჟუაზიული ენათმეცნიერების“ წარმომადგენელ კომპარატივისტთა ღვაწლი, დაასახელა ისინი თავიანთი ფუძემდებლური ნაშრომებითურთ და სხვა მნიშვნელოვან თეორიულ საკითხებზეც იმსჯელა, მათ შორის დაასაბუთა „ცრუდ“ მონათლული ისტორიული თვალსაზრისის აუცილებლობა და ის, რომ ენის მეცნიერული შესწავლა გულისხმობს მის შესწავლას განვითარებაში; განიხილა ფილოლოგიური და რაციონალური გრამატიკა, მათი შექმნის საფუძვლები და სხვ. მოკლედ რომ ვთქვათ, კიდევ ერთხელ და უფრო ხაზგასმით აჩვენა, რომ, დიახაც, იგი „გამოდის იმ საერთო ტრადიციიდან, რომელიც ბურჟუაზიულ ენათმეცნიერებაში არსებობს“. ცნობილი ენათმეცნიერი, შემდგომში რეპრესირებული, ევგენი პოლივანოვი წერდა: „კი მაგრამ არავითარი სხვა მეცნიერება, გარდა ბურჟუაზიულისა, საერთოდ ხომ არ არსებობდა ადრე და დღესაც ხომ არ არსებობს დასავლეთშიო“. ა. მეიეს შეუნიშნავს: „თუ ბურჟუაზიული მეცნიერება იმაში მდგომარეობს, რომ ფაქტები დაინახოს ისე, როგორც ისინი სინამდვილეშია, მაშინ მე ჩემს თავზე ვიღებ ბურჟუაზიულობის ბრალდებასო“.

როგორც ვხედავთ, საბჭოთა იდეოლოგიის დამცველებს ინდოევროპეისტიკა ბურჟუაზიული ენათმეცნიერების სინონიმად ესმოდათ, ამიტომ მას სოციალისტური საზოგადოებისათვის მიუღებლად მიიჩნევდნენ. ერთადერთ იდეოლოგიურად მისაღებ და ჰეშმარიტ თეორიად ენის შესახებ ახალი მოძღვრება გამოცხადდა. თეორიისათვის ასეთი ოფიციალური სტატუსის მინიჭებამ მის კანონიზაციას შეუწყო ხელი.

ამ გარემოებას არაკეთილსინდისიერად იყენებდა ნ. მარის გარემოცვის ერთი ნაწილი, რომელიც შედგებოდა ე.წ. მარისტებისაგან. ისინი იყვნენ ნაკლებად კომპეტენტური და პარტიულად ანგაჟირებული ადამიანები, რომლებმაც „ახალი მოძღვრებიდან“ ძირითადად იდეოლოგიური ფორმულირებები შეითვისეს და მათი საშუალებით გააჩაღეს ბრძოლა „კომპარატივისტების“ წინააღმდეგ. „მარქსისტული დებულებებისადმი აპელირება იარაღად გამოიყენებოდა არა იმდენად მიუღებელ მსოფლმხედველობით კატეგორიებთან ბრძოლაში, რამდენადაც არასასურველი პიროვნების წინააღმდეგ..., წინააღმდეგ პოტენციური კონკურენტებისა, რომელთაც უბრალო უმეცრების გამო მიაკრავდნენ ხოლმე ინდოევროპეისტის სახელს“ (პროფ. ელ. ზვეგინცევი). ასეთი გზით ხდებოდა მეცნიერებაში ხელმძღვანელი მდგომარეობის მოპოვება, მცდარი იდეის მონოპოლირება და იმათი რეპრესიული დევნა, ვინც ამ იდეის არამეცნიერულობას ამტკიცებდა. არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ იმ დროში ასეთი დევნა ადვილად დაუსვამდა წერტილს არათუ მეცნიერულ კარიერას, არამედ ადამიანის თვით სიცოცხლესაც. მეცნიერებისა და იდეოლოგიის ერთ მთლიანობაში წარმოდგენამ, რასაც არსებითად პროფანაცია ედო საფუძვლად, ისეთი მოვლენები წარმოშვა საბჭოთა სინამდვილეში, როგორიც იყო ენათმეცნიერებაში მარიზმი (შვედი ლინგვისტის ჰ. შელდის მოსწრებული კალამბურით — მარაზმი) და ლისენკოვშჩინა ბიოლოგიაში. ორივე გამოუვალ ჩიხს მოასწავებდა.

მეოთხედ საუკუნეზე მეტხანს გაგრძელდა მარიზმის ბატონობა. ენათმეცნიერება მისგან საბოლოოდ 1950 წლის· ცნობილი დისკუსიის შედეგად განთავისუფლდა, რაშიც დიდი ღვაწლი მიუძღვის არნ. ჩიქობავას. მან აღნიშნულ დისკუსიაზე მაღალი შეფასება მისცა აკად. ნ. მარის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მიღწევებს ენათა პრაქტიკულ კვლევებში, მაგრამ ამავე დროს საფუძვლიანად გააკრიტიკა მისი ზოგადენათმეცნიერული კონცეფცია, გააბათილა ხოტბის შემსხმელი შეფასებები, რომლებსაც ძირითადად აპრიორული ხასიათი ჰქონდა. მოგვიანებით არნ. ჩიქობავა წერდა: „მეცნიერს ვერავინ წაართმევს იმას, რაც მას გაუკეთებია. ეს გარდაუვალი კანონია მეცნიერებისა, მისი ძალა ადრე თუ გვიან თავს იჩენს.

ეს ეხება ნ. მარსაც, ყველაზე დიდ კავკასიოლოგს, მას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა, შეუდარებლად მეტი — მაქებელ-შადიდებელი, ყველაზე ცოტა — მკითხველი.

კავკასიის მცოდნეთა ვალი იყო და არის, საფუძვლიანად იცნობდნენ ნ. მარის სამეცნიერო ნაშრომებს, რომ შესაძლებლობა ჰქონდეთ მათ შესახებ დასაბუთებულად იმსჯელონ".

არნ. ჩიქობავას წარმმართველი როლი საბჭოთა ენათმეცნიერების ისტორიაში ასე შეაფასეს ცნობილმა ენათმეცნიერებმა:

პროფესორი გეორგ ფ. მაიერი: „არნ. ჩიქობავა აღიარებას იმსახურებს აგრეთვე იმიტომ, რომ იგი მეცნიერებაში მონოპოლიის წინააღმდეგ იბრძოდა, რის შედეგად შექმნა სინქრონიული და ისტორიულ-შედარებითი ხასიათის მრავალი ნაშრომი. და ბოლოს, მოკლე დროში მან საბჭოთა ენათმეცნიერებას საზღვარგარეთ დაუბრუნა ავტორიტეტი".

აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე: „არნ. ჩიქობავა ფაქტიური ინიციატორი და განმახორციელებელი იყო ორმოცდაათიან წლებში მთელი საბჭოთა ენათმეცნიერების დაბრუნებისა მსოფლიო, საერთაშორისო ენათმეცნიერების წიაღში. ამის შედეგად გახდა სწორედ შესაძლებელი ის დიდი მიღწევები მსოფლიო ენათმეცნიერების თვალსაზრისით, რომლებსაც დღეს საბჭოთა და, კერძოდ, ქართულმა ენათმეცნიერებამ მიაღწია".

პროფესორი ვლ. ზვეგინცევი: „სწორედ არნოლდ ჩიქობავასნაირი მკვლევრებით აღინიშნება საბჭოთა ენათმეცნიერების ფუძემდებლური ეტაპები. მისმა მეცნიერულმა გაბედულებამ და უდრეკმა პრინციპულობამ ენის კვლევის ახალი და უფრო ნაყოფიერი გზები გახსნა, ამასთანავე ყველას, ვისაც ამის აღქმის უნარი გვქონდა, მოგვცა ჩვენი მეცნიერებისადმი ჭეშმარიტი და უსაზღვრო ერთგულების მაგალითი".

მოკლე ექსკურსი დაგვჭირდა იმიტომ, რომ წინამდებარე სახელმძღვანელოს მომხმარებელმა, დღევანდელმა პირველკურსელმა, შეიძლება არც კი იცოდეს ყოველივე ეს, არადა ამის ცოდნა საჭიროა: ისტორიას უყვარს ავის გამეორება, განსაკუთრებთი კი მაშინ, თუ ადამიანთა ცოცხალი მეხსიერება წინა პერიოდებს ვერ სწვდება, ან თუ საზოგადოება საგანგებოდ ივიწყებს წარსულის მწარე გაკვეთილებს.

ეს ვიგულისხმეთ ზემოთ, როცა ვთქვით, რომ სახელმძღვანელო მძიმე პირობებში იქმნებოდა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც — საბჭოთა პერიოდში, განსაკუთრებით 70-იან წლებამდე და განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე საზოგადოებრივ მეცნიერებათა სახელმძღვანელოს ეხებოდა, მისი გამოსვლის წინაპირობა იყო „იდეოლოგიური სიმტკიცე", რომელიც ავტორს უნდა გამოეჩინა. ავტორები ამ მიზნით იყენებდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ციტატებს, იდეოლოგიზებულ პასაჟებს, პოლიტიკურ-ნომენკლატუ-

რულ ტრაფარეტებსა და სხვ. ეს იყო ერთგვარი რიტუალური იდეოლოგიზაცია, რომელსაც უმრავლეს შემთხვევაში არავითარი კავშირი არ ჰქონდა სახელმძღვანელოს ძირითადი ტექსტის შინაარსთან, მაგრამ გარეგნულად აკმაყოფილებდა მისი დაბეჭდვისთვის სავალდებულო პირობას.

არნ. ჩიქობავას „პროპედევტიკის“ სამივე გამოცემაში არის ერთი პარაგრაფი, რომლის სათაურმა, სანამ პარაგრაფის შინაარსს გავეცნობოდეთ, შეიძლება გვაფიქრებინოს, ავტორს მარიზმის იდეოლოგიური წნეხისათვის ვერ გაუძლიაო. ეს სათაური პირველსა და მეორე გამოცემაში ამგვარადაა ფორმულირებული: „ენა, როგორც იდეოლოგიური მონაცემი“, ხოლო მესამეში — „ენა, როგორც ზედნაშენი“. იგი იწყება ასე: „მეტყველების ზედნაშენობის საფუძველია ნიშნადობა... ნიშნად ყოფნა უცილობლად ახასიათებს ყოველივე ენობრივს. ის, რისი ნიშანიც ენობრივი მონაცემია, წარმოადგენს ბაზისს (საფუძველს) ენისათვის“. ცხადია, ამ მსჯელობას არაფერი აქვს საერთო ენის ზედნაშენურობის მტკიცებასთან „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებაში“. ასევეა ეს ენის კლასობრიობის საკითხში. არნ. ჩიქობავა ამ მიმართებით ენობრივი მონაცემის სუბიექტურ დანართს, მის ემოციურ იერს განიხილავს, ამასთანავე, იქვე სქოლიოში შენიშნავს, რომ ემოციური იერი ყოველთვის, რა თქმა უნდა, კლასობრივ თვალსაზრისს არ გამოხატავსო. ხოლო თუ რა შინაარსს დებდნენ აღნიშნულ ცნებაში ახალი მოძღვრების მიმდევრები, საყოველთაოდ ცნობილია. როგორც ვხედავთ, სათაურის საშუალებით ავტორი ერთგვარ კამუფლაჟს მიმართავდა.

ამ მხრივ ვითარება არც მარიზმის დამარცხებით შეცვლილა. მართალია, ი. სტალინის შრომაში „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ ცხადად წარმოჩნდა „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების“ ანტიმეცნიერულობა და ანტიმარქსისტულობა (მაშინ როდესაც „ახალი მოძღვრების“ მიმდევრები მეცნიერული არგუმენტაციის ნაცვლად სწორედ მარქსიზმზე აპელირებას მიმართავდნენ), მაგრამ ახლა ვულგარული მარქსიზმის სამაგიეროდ არავულგარული მარქსიზმის დანერგვის საკითხი დადგა ენათმეცნიერებაში. ბუნებრივია, ეს, უწინარეს ყოვლისა, თეორიულ სახელმძღვანელოებს შეეხო, მათ შორის არნ. ჩიქობავას „ენათმეცნიერების შესავალსაც“, რომელიც უმაღლესი განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ახალი პროგრამით უნდა დამუშავებულიყო. ამით აიხსნება სტალინის ნაშრომის ხშირი ციტირება წიგნის მეორე თავში, სადაც განხილულია ენის საზოგადოებრივი არსის, მისი განვითარებისა და წარმოშობის საკითხები და ამასთან დაკავშირებით — მარის მცდარი შეხედულებების კრი-

ტიკა. ამის გარეშე სახელმძღვანელო ვერ გამოვიდოდა. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელოს ავტორს ჰეშმარიტებისთვის მაინც არ უღალატია: სტალინის პოზიცია მარიზმის წინააღმდეგ მეცნიერულად დასაბუთებული და ეთიკურად გამართლებული იყო. კონიუნქტურა ამ იშვიათ შემთხვევაში სიყალბეს არ მოითხოვდა.

წინამდებარე გამოცემის მომზადებისას დიალექტიკურ-მატერიალისტური ციტატების ამოღებას არათუ აზრის, ერთი სიტყვის შეცვლაც არ გამოუწვევია ძირითად ტექსტში, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ „იდეოლოგიზაცია“ აქ „რიტუალური“ იყო. იგი ენობრივი ქსოვილის ინკრუსტაციებით შემკობას უფრო ჰგავდა.

არნ. ჩიქობავას — ენათმეცნიერების თეორეტიკოსს — თავისი ფუძემდებლური დებულებანი არასოდეს შეუცვლია კონიუნქტურის გამო, კონიუნქტურული შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ მეცნიერული აზრისათვის უმნიშვნელო აქსესუარი, როგორც ჯავშანი, მეცნიერისა და მისი ნააზრევის გადასარჩენად.

2

„ენათმეცნიერების შესავლის“ გამოსვლიდან დღემდე 56 წელი გავიდა. ეს პერიოდი ხასიათდებოდა ლინგვისტიკური სკოლებისა და ახალ-ახალი თეორიების სიუხვით, მგზნებარე პოლემიკური ბატალიებით. ახალი ზოგჯერ არსებითი და მნიშვნელოვანი იყო, ზოგჯერ — მოდური და ზედაპირული, ამიტომაც მალე ეძლეოდა დავიწყებას, თუმცა გარკვეულ კვალსაც ტოვებდა.

უახლესი თეორიები და ჰიპოთეზები, მეთოდთა გამდიდრებული რეპერტუარი, კვლევის შეცვლილი აქცენტები და ახალი ასპექტები, ცხადია, მუდმივად ცვლიან ენათმეცნიერულ ლანდშაფტს და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ტრადიციული ლინგვისტიკა აღარ არსებობს, მისთვის აღარ რჩება ადგილი ლინგვისტიკური სამყაროს თანამედროვე სურათში. არადა, ტრადიციულ ლინგვისტიკას მუდმივად აქვს და ექნება იგივე ადგილი და იგივე ფუნქციები, რომლებიც ყოველთვის ჰქონდა. ერთი ცნობილი ენათმეცნიერის თქმისა არ იყოს, მას აქვს თითქმის მისტიკური თვისება: იგი უეჭველად განიცდის ევოლუციას, მაგრამ აღიქმება როგორც უცვლელი და მუდმივი სიდიდე. მისი ამ მუდმივობით უფრო ნათლად იკვეთება უმთავრესი ენათმეცნიერული ფასეულობანი, რომლებიც წარუვალია და უკავშირდება არა ამა თუ იმ მიმდინარეობასა და განშტოებას, არამედ საერთოდ ენათმეცნიერების გულისგულს, სადაც ინახება და იხვეწება ენის შესახებ მეცნიერების ფუნდამენტური

ცნებები. სწორედ ასე ხდება ტრადიციული ენათმეცნიერება სხვადასხვა მიმართულებისათვის ურთიერთგაგების საშუალება და საფუძველი, როცა სიახლეთა უკრიტიკო გამოდევნება ნათლად თქმის უნარის დაკარგვას იწვევს.

როგორც ვხედავთ, ტრადიციულ ენათმეცნიერებას ბევრად მეტი ადგილი უჭირავს და ბევრად უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს იგი თანამედროვე ენათმეცნიერებაში, ვიდრე ზოგჯერ გვგონია. მისი საფუძვლიანი შესწავლითა და სათანადო გათვალისწინებით, სხვა რომ არა იყოს რა, ახალ ლინგვისტიკურ იდეათა ერთი ნაწილის ფესვებიც უფრო გრძელი აღმოჩნდებოდა და ზოგიერთი შეცდომის წინასწარ განჭვრეტა და თავიდან აცილებაც მოხერხდებოდა.

ამისთვისაც სჭირდება დღეს არნ. ჩიქობავას „ენათმეცნიერების შესავალი" როგორც ფილოლოგიის ფაკულტეტის პირველკურსელს, რომელიც თეორიული ენათმეცნიერების დაუფლებას ახლა იწყებს, ისე უკვე გამოცდილ მასწავლებელსაც, რომელსაც ლინგვისტიკის თანამედროვე ვითარებაში გარკვევა უწევს.

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ წინამდებარე ნაშრომი გამოირჩევა საგანგებო **თანამიმდევრულობითა** და **შინაგანი მთლიანობით**, რაც შეესაბამება სახელმძღვანელოს შედგენის ავტორისეულ კონცეფციას: „შესავალი" არ წარმოადგენს სისტემატურ კურსს, მაგრამ იგი შემთხვევითი ხასიათის ცნობებს როდი შეიცავს, მასში შესული მასალა გარკვეული თანამიმდევრობით უნდა იყოს დალაგებული და ერთგვარ მთლიანობას ქმნიდეს, — წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ იქნება კურსი, თუნდაც ელემენტარული", — წერს არნ. ჩიქობავა. სწორედ თანამიმდევრულობა და მთლიანობა აკლია ხშირად თანამედროვე ანალოგიურ სახელმძღვანელოებს. დღეს ავტორები, ხშირად საკუთარი ინტერპრეტაციებისა და განზოგადებების გარეშე, მოგვითხრობენ განურჩევლად ყველაფერზე, რაც წაუკითხავთ. ამგვარი კომპილაციები მიზნად ისახავს, მკითხველისათვის რაც შეიძლება ახალი და რაც შეიძლება ბევრი არაერთგვაროვანი, ურთიერთსაპირისპირო შეხედულების მიწოდებას. მოდურ პლურალიზმს, რომელიც, ალბათ, მეცნიერულ იდეათა კონკურენციას ემსახურება, გარდაუვალად თან სდევს ეკლექტიზმი — სხვადასხვა, შეუთავსებელი შეხედულებების შერწყმა. ამ სახით „ორგანიზებული" ტექსტი სტუდენტისათვის დიდ პრობლემას ქმნის. ვინაიდან იგი არ არის ერთიანი, მთლიანი და თანამიმდევრული, მისი ათვისება ერთი სალექციო კურსის ფარგლებში თითქმის შეუძლებელია. მთავარი ნაკლი კი აქ, ჩვენი აზრით, ის არის, რომ ამ ტიპის სასწავლო ლიტე-

რატურას მხოლოდ ე. წ. „ინფორმაციის მომხმარებლის“ მომზადება თუ შეუძლია, თანაც ისეთის, რომელსაც არსებითისა და არაარსებითის, მთავრისა და მეორეხარისხოვნის გარჩევა უჭირს. მოაზროვნე, შემოქმედებითი პიროვნების — მომავალი მეცნიერისა თუ პედაგოგის აღზრდას ამგვარი სახელმძღვანელოები ნაკლებად უწყობს ხელს.

„უმაღლესმა სასწავლებელმა მსმენელს არა მხოლოდ უნდა შეათვისებინოს გარკვეული ოდენობის ცოდნა, რაც მთავარია, **უნდა ასწავლოს მეცნიერული აზროვნება**“. ავტორის ეს მიზანდასახულება განსაზღვრავს წინამდებარე სახელმძღვანელოს არა მარტო აგებულებას, არამედ ხასიათსაც — ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით თეორიულ საკითხთა განხილვა უმეტესწილად ორიგინალურ მეცნიერულ ნააზრევსა და გამოკვლევას წარმოადგენს, რაც სასწავლო ჟანრისათვის არცთუ დამახასიათებელია, მაგრამ რასაც აშკარად მოაქვს სარგებლობა სტუდენტის ცნობიერებისთვის. გამორჩეულად მარტივი და ნათელია არნ. ჩიქობავას გადმოცემის სტილი, ფორმა, ენა; შეუდარებელია მისი უნარი, მარტივ ჭეშმარიტებამდე დაიყვანოს საკმაოდ რთული ინტელექტუალური კონსტრუქციები, ჩართოს სტუდენტი მეცნიერული აზროვნების ამ პროცესში, აღუძრას მას სამეცნიერო მუშაობის სურვილი და უბიძგოს დამოუკიდებელი მეცნიერული აზროვნებისაკენ (სანიმუშოა ამ თვალსაზრისით, მაგალითად, სიტყვის შემადგენელ ნაწილებად დაშლისა და ნაწილთა სიტყვის მნიშვნელობასთან მიმართების ჩვენება — § 60, ისტორიულ-შედარებითი ანალიზის ტექნიკის დემონსტრირება — § 120 და სხვ.). ამგვარი ჩართულობა და მოტივირება, რომლებიც შემსწავლელისაგან აქტიურ გონებრივ ძალისხმევას მოითხოვენ, მასალის ათვისებასაც აადვილებენ და სწავლის პროცესსაც მომხიბლავს ხდიან. სათქმელის ლაპიდარულობა, სიცხადე და სიმარტივე, დახვეწილი, ხშირად აფორისტული ფორმულირებები, არგუმენტაციის ლოგიკურობა, არასტანდარტული, არაგაცვეთილი ენობრივი გამონათქვამები, უზარმაზარი ზოგადი ერუდიცია და, საერთოდ, ფართო კულტურული ფონი, რაც ლინგვისტიკური ცოდნის საფუძვლების თანამიმდევრულ გადმოცემას ახლავს, არნ. ჩიქობავას „ენათმეცნიერების შესავალს“ ჭეშმარიტად სანიმუშო სახელმძღვანელოდ აქცევს, რომელსაც ყველგან ატყვია ავტორის, როგორც ღრმა მეცნიერისა და მეცნიერული პროზის ოსტატის, ამავე დროს, ბრწყინვალე პედაგოგის გამოკვეთილი ანაბეჭდი.

გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ არნ. ჩიქობავა სპეციალისტის ვალდებულებად **დასაბუთებული ცოდნის აუცილებლობას** მიიჩნევდა. მაგრამ, როგორც წინამდებარე ნაშრომიდან ჩანს, დასაბუთებული

ცოდნა ენათმეცნიერების თეორიაში მომიჯნავე დისციპლინათა — ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის... თეორიათა დასაბუთებულ ცოდნასაც გულისხმობს. ამითაც განსხვავდება არნ. ჩიქობავას სახელმძღვანელო თანამედროვე ანალოგიური კურსებისაგან.

მეცნიერული შინაარსის თვითკმარობამაც ბევრად განაპირობა ის ვითარება, რომ „ენათმეცნიერების შესავალი“ ნახევარი საუკუნის შემდეგაც არ აღიქმება სამუზეუმო ძეგლად, რელიკვიად, იმგვარ „კლასიკურ სახელმძღვანელოდ“, რომლის ხელახალი გამოცემა ლინგვისტიკური წარსულისადმი ღირსეული პატივის მიგება იქნებოდა და სხვა არაფერი. წინამდებარე კურსის სიცოცხლისუნარიანობა, „უბერებლობა“, უწინარეს ყოვლისა, განსაზღვრა ავტორის კონცეფციის ზოგადმა მეთოდოლოგიურმა და თეორიულმა საფუძვლებმა, რომლებიც დღესაც აქტუალური და თანამედროვეა. ძალა არ დაუკარგავს და, პირიქით, უფრო მოიკრიბა კიდეც იმ თეორიულმა დებულებებმა, რომლებსაც არნ. ჩიქობავას კონცეფცია ემყარება. ისინი შეეხება ისტორიზმის საკითხს, ჰომოგენურობის პრინციპის დაცვას ენობრივ ერთეულთა სტრუქტურისა და ფუნქციის კვლევისას, ენის პირველად და ძირითად ფუნქციად საკომუნიკუაციო ფუნქციის აღიარებას, ენის შესწავლის აუცილებლობას კულტურასა და აზროვნებასთან კავშირში, ენათმეცნიერების ინტეგრალურ ჰუმანიტარულ მეცნიერებად განხილვასა თუ სხვ. ასევე არ ეთქმის „მოძველებული“ თითოეული თავის კონკრეტულ შინაარსს, რომელსაც მდიდარი ლინგვისტური მასალა ქმნის. აქ ყველგან ენობრივი ფაქტები ასაბუთებს ამა თუ იმ დებულების მართებულობას, რითაც წინანდებურად ასრულებს თავიანთ ფუნქციას, ამასთანავე, ყოველი კერძო საკითხის განხილვა ზოგადენათმეცნიერულ დონეზე, ხოლო თეორიული ხასიათის დებულების ჩამოყალიბება არა განყენებულად, არამედ შესაბამისი ენობრივი მასალისგან მოუწყვეტლად, სასწავლო ლიტერატურის უცვლელი, მაგრამ, სამწუხაროდ, იშვიათი ღირსებაა.

ამ და სხვა ყველა ზემოაღნიშნული მახასიათებლის გამო სულ უფრო მწვავე ხდება არნ. ჩიქობავას „ენათმეცნიერების შესავლის“ მოთხოვნილება. იგი კარგა ხანია რარიტეტად იქცა. მისი ხელახალი გამოცემა გამსჭვალულია არა მემორიალური პათოსით, არამედ მისწრაფებით, სტუდენტთა ახალ თაობას მიეწოდოს მოქმედი სახელმძღვანელო, რომელიც, ჩვენი ღრმა რწმენით, კვლავ დაიკავებს საპატიო ადგილს თანამედროვე სახელმძღვანელოთა გვერდით.

3

„ენათმეცნიერების შესავლის“ ახალი გამოცემის მომზადებისას ტექსტმა რამდენიმე არაარსებითი ცვლილება განიცადა. ეს შეეხო ორ ასეულზე მეტი აპელატივისა და საკუთარი სახელის დაწერილობას, რომლებიც მართლწერის თანამედროვე ნორმებით გასწორდა. ერთეულ შემთხვევაში საჭირო შეიქნა ფაქტობრივი დაზუსტების შეტანა ან აუცილებელი ახალი ინფორმაციის დამატება, რასაც მკითხველი სქოლიოში რედაქტორის კომენტარის საშუალებით გაეცნობა (იხ. წიგნის გვერდები: 48, 63, 64, 72, 75, 113, 114, 154, 155, 165, 226, 269, 278, 300, 301, 310, 314, 321, 323, 324). სარედაქციო ტექსტი უდარდებოდა „პროპედევტიკის“ მესამე გამოცემას, რომლის ხუთიოდე მცირე პასაჟი „შესავალში“ იქნა გადმოტანილი, წყაროზე მითითების გარეშე (გვ.: 73, 74, 126, 127, 227). მითითება არ ახლავს, აგრეთვე, რედაქტორისეულ ჩამატებებს უშუალოდ ტექსტში.

როგორც ზემოთაც (1) აღვნიშნეთ, ტექსტიდან უმტკივნეულოდ იქნა ამოღებული მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ციტატები და სხვა პოლიტიკური ტრაფარეტები, აგრეთვე, ქვემოთ დასახელებული მთლიანი პარაგრაფები, რადგან მათში სპეციალურად განხილულმა საკითხებმა, საზოგადოებრივი თუ მეცნიერული თვალსაზარისით, დაკარგეს მაშინდელი სიმწვავე და აქტუალურობა: § 4. საბჭოთა ენათმეცნიერება, როგორც ახალი ეტაპი ენთამეცნიერების განვითარებაში; § 12. ენა არ არის ბაზისის ზედნაშენი; § 13. მცდარობა ნ. მარის მტკიცებისა, თითქოს ენა წარმოადგენდეს ბაზისის ზედნაშენს; § 14. ენა არ შეიძლება იყოს კლასობრივი; § 15. ნ. მარის არამეცნიერული ვულგარულ-მატერიალისტური შეხედულება, თითქოს ყოველი ენა კლასობრივი იყოს; § 28. ბურჟუაზიული და სოციალისტური ერები და მათი ენები; § 36. ნ. მარი ენის წარმოშობის შესახებ; § 122. ნიჰილისტური დამოკიდებულება გრამატიკისადმი ე. წ. „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებაში“ და ამგვარი დამოკიდებულების მეცნიერული უსაფუძვლობა; § 146. საბჭოთა კავშირის ენები გენეალოგიური თვალსაზარისით. მიზანშეწონილად ჩავთვალეთ სათანადო რედაქციით გაგვეერთიანებინა ორი პარაგრაფი: § 33. ენის წარმოშობის ინდივიდუალისტური თეორიების შესახებ და § 34. ენგელსის მოძღვრება ენის წარმოშობის შესახებ (იხ. ახალი გამოცემის § 25. ენის წარმოშობის ინდივიდუალისტური და სოციალური თეორიების შესახებ).

გასაგები მიზეზის გამო განახლება მოითხოვა ენათა ოჯახების შესახებ წარმოდგენილმა ინფორმაციამ. მსოფლიო ხალხთა ენებზე მოლაპარაკე ადამიანთა რიცხოვნობის დაზუსტებას ვცდილობდით შედარებით ახალი მონაცემების მიხედვით, რისთვისაც გამოვიყენეთ უნივერსალური და დარგობრივი ენციკლოპედიები. მონაცემთა ურთიერთშედარებამ დაგვარწმუნა, რომ სხვაობა არცთუ უმნიშვნელოა, რაც ზოგ შემთხვევაში ეჭვის ქვეშ აყენებს მათ სიზუსტეს. სტატისტიკური მაჩვენებლების მიახლოებითობა აღნიშნა და ამ ნაკლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც დაასახელა არნ. ჩიქობავამ, როდესაც წინამდებარე სახელმძღვანელოს წერდა: „მოლაპარაკეთა რიცხვი აქ მოყვანილია დაახლოებით: წყაროები სხვადასხვა ჩვენებას იძლევა. ზუსტი ციფრების მოცემას აძნელებს ორენოვნების ფაქტიც და აქედან გამომდინარე შედეგები". დავუმატებდით: არანაკლებ პრობლემას ქმნის ამ თვალსაზრისით ენათა და დიალექტთა მკვეთრი გამიჯვნის სირთულეც მსოფლიოში.

ტექსტის რედაქტირების პროცესში მოწოდებული შენიშვნებისა და რჩევებისათვის მადლობას ვუხდით პროფ. **გაჟა შენგელიას**.

გუჩა კვარაცხელია

I

შ ე ს ა ვ ა ლ ი

§ 1. ენათმეცნიერება და ზოგადი ენათმეცნიერება. ენათმეცნიერება[1] არის მეცნიერება ენის შესახებ.

ენათმეცნიერება არ უნდა ავრიოთ ენების ცოდნაში: შეიძლება ამა თუ იმ პირმა მშვენივრად იცოდეს რამდენიმე ენა, წერდეს და ლაპარაკობდეს თავისუფლად ამ ენებზე, მაგრამ ენათმეცნიერების შესახებ წარმოდგენა არა ჰქონდეს (ისევე, როგორც შეიძლება კაცი მშვენივრად მღეროდეს და მუსიკის თეორიისა არაფერი გაეგებოდეს).

ბევრი ენის მცოდნე პირი — ანუ პოლიგლოტი — ენათმეცნიერი არ გახდება იმის გამო, რომ მრავალ ენაზე ლაპარაკობს. პოლიგლოტები ყოველთვის იყვნენ[2], მაგრამ ამას ენათმეცნიერების გაჩენა არ გამოუწვევია, — ენათმეცნიერება მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნიდან გვაქვს. მეორე მხრივ, ენათმეცნიერთა შორის პოლიგლოტებს იშვიათად ვხვდებით. დიახაც სასურველია ენათმეცნიერმა ბევრი ენა იცოდეს, ეს დიდად დაეხმარება მას, მაგრამ მხოლოდ ეს ვერ გახდის ენების მცოდნეს ენათმეცნიერად.

ენათმეცნიერს მოეთხოვება მეცნიერულად შეისწავლოს ენა, თუნდაც მხოლოდ ერთი ენა. ენის მეცნიერული შესწავლა ნიშნავს მისი საფუძვლის (გრამატიკული წყობა, ლექსიკური ფონდი) შესწავლას მოცემული სახითაც და წარმოშობა-განვითარებაშიც.

ენის მეცნიერული შესწავლისათვის საჭიროა განვიხილოთ მონათესავე ენათა ჯგუფი (ე. ი. ენათა ჯგუფი, რომელთაც საერთო წარმოშობა აქვთ), მაგრამ მეცნიერულად ცალკეული ენაც შეისწავლება.

ზოგადი ენათმეცნიერება იქმნება ცალკეულ ენათა და ენათა ჯგუ-

---

[1] აქედან ზედსართავი: „ენათმეცნიერული", „საენათმეცნიერო", იშვიათად — „ლინგვისტური"; იხმარება არა მხოლოდ ზედსართავი, არამედ არსებითი სახელებიც: „ლინგვისტი", „ლინგვისტიკა" — რუსულის გზით შემოსული ფრანგ. linguiste, linguistique-ის შესაბამისად; ამ უკანასკნელ ორ ტერმინს საფუძვლად უდევს ლათინური lingua „ენა".

[2] ასე, მაგალითად, პონტოს მეფე მითრიდატი, რომელიც ცხოვრობდა მეორე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, როგორც გვაუწყებს ისტორია, მრავალი (ოცზე მეტი) ენის მცოდნე იყო. გერმანელ ფილოლოგ ი. კ. ადელუნგს თავისი წიგნი დედამიწის ენათა შესახებ შემთხვევით კი არ დაუსათაურებია ამგვარად: Mithridates oder allgemeine Sprachenkunde... („მითრიდატი ანუ ზოგადი ენათმეცნიერება") 1806 წ.

ფების შესწავლის საფუძველზე, ამ შესწავლის შედეგთა განზოგადების გზით.

ზოგადი ენათმეცნიერების ამოცანაა გაარკვიოს შემდეგი საკითხები:

1. **რა არის ენა?** რაში მდგომარეობს ენის არსი (ენა და აზროგადოება, ენა და აზროვნება...)? როგორ ვითარდება ენა? როგორ წარმოიშვა ენა?

2. რა **სპეციალური მეთოდები** აქვს ენათმეცნიერებას ენის რაობისა და განვითარების შესასწავლად?

3. როგორია ენათმეცნიერების **დარგობრივი შემადგენლობა** (რა და რა დარგები ყალიბდება ენის მეცნიერულად შესწავლისას? როგორია მათი კავშირი და ურთიერთობა? მაგალითად: მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკოლოგიის, სტილისტიკის ურთიერთობა).

4. რა ადგილი ეკუთვნის ენათმეცნიერებას მეცნიერებათა სისტემაში? განეკუთვნება იგი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა წრეს თუ საზოგადოებრივ მეცნიერებათა წყებას?

ყველა ამ საკითხის გარკვევა, როგორც უკვე ითქვა, ზოგად ენათმეცნიერებას შეუძლია იმ შედეგთა განზოგადებით, რაც მიღებულია ცალკეულ ენათა თუ ენათა ჯგუფების შესწავლისას.

რაც უფრო მეტი ენაა შესწავლილი მეცნიერულად, მით უფრო მეტი მასალა აღმოგვაჩნდება განზოგადებისათვის, მით უფრო მდიდარი იქნება ზოგადი ენათმეცნიერების შინაარსი. და პირიქით: რაც უფრო ცოტა ენაა მეცნიერულად შესწავლილი, მით უფრო ვიწრო იქნება ის საფუძველი, რომელსაც უნდა დაემყაროს ზოგადი ენათმეცნიერება. **ხოლო თუ მეცნიერულად არც ერთი ენა არაა შესწავლილი, შეუძლებელია არსებობდეს ზოგადი ენათმეცნიერებაც.**

ზოგადი ენათმეცნიერება არის ენათმეცნიერების (ენათა მეცნიერული შესწავლის) **ნაწილი, სახელდობრ, მისი თეორიული ნაწილი.**

ენათმეცნიერების შესავალი სხვა არა არის რა, თუ არ **ზოგადი ენათმეცნიერების ელემენტარული კურსი.**

„შესავალში“ ვეცნობით ენათმეცნიერების **ძირითად ცნებებს** და მით გვიადვილდება, ერთი მხრივ, ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემატიკაში გარკვევა, მეორე მხრივ, ენობრივი მოვლენების მეცნიერული გაგება — ცალკეულ ენათა შესწავლისას.

„შესავალი“ არ წარმოადგენს სისტემატურ კურსს, მაგრამ იგი შემთხვევითი ხასიათის ცნობებს როდი შეიცავს. მასში შესული მასალა გარკვეული თანამიმდევრობით უნდა იყოს დალაგებული და ერთგვარ

მთლიანობას ქმნიდეს, — წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ იქნება კურსი, თუნდაც ელემენტარული.

§ 2. ენის მეცნიერული შესწავლა, როგორც ენის ფაქტებისადმი ისტორიული თვალსაზრისის მომარჯვების შედეგი. ენის საკითხებს სწავლობდნენ ფილოსოფოსები და ფილოლოგები — ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისამდე — აღმოსავლეთის ძველ კულტურულ ქვეყნებში (ეგვიპტეში, ასურეთ-ბაბილონში, ხეთის სახელმწიფოში, ჩინეთში, ძველ ინდოეთში) და ძველ საბერძნეთში.

მაგრამ ენის მეცნიერულ შესწავლას საძირკველი ჩაეყარა მხოლოდ **მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში,** როცა მონათესავე ენების შესწავლა იწყეს ისტორიულ-შედარებითი მეთოდის საშუალებით.

ასეთი **მეცნიერული, ისტორიულ-შედარებითი** კვლევა-ძიება პირველად მოცემულია შემდეგ შრომებში:

1. „გამოკვლევა ძველი ჩრდილოური ანუ ისლანდიური ენის წარმოშობის შესახებ" — რასმუს **რასკისა** (ავტორი დანიელია; შრომა დაწერილია 1814 წ.; გამოქვეყნებულია 1818 წ.).

2. „უღვლილების სისტემის შესახებ სანსკრიტში შედარებით ბერძნულის, ლათინურის, სპარსულისა და გერმანული ენების უღვლილების სისტემასთან" — ფრანც **ბოპისა**[3] (1816 წ.).

3. „გერმანული გრამატიკა" — იაკობ **გრიმისა** (ოთხ ტომად; პირველი ტომი დაიბეჭდა 1819 წ.; პირველი ტომის მეორე გამოცემა, სადაც გერმანულ დიალექტთა ისტორიული ფონეტიკაა წარმოდგენილი, გამოვიდა 1822 წელს).

4. „გამოკვლევა სლავური ენის შესახებ, რომელიც წარმოადგენს ამ ენის გრამატიკის შესავალს" ალექსანდრე **ვოსტოკოვისა** (1820 წ. ავტორი არ არის დამოკიდებული თავის მსჯელობაში ზემოხსენებულ, უფრო ადრე გამოქვეყნებულ შრომებზე).

ხსენებულ შრომებში მოცემულია მეცნიერული, ისტორიულ-შედარებითი კვლევა-ძიება. ეს სრულებითაც არ ნიშნავს, თითქოს **ენათა შედარება** პირველად მეცხრამეტე საუკუნეში დაეწყოთ, ანდა თითქოს მანამდე **ენის ცვალებადობის ფაქტი** არ ყოფილიყოს ცნობილი, ანდა

[3] ფრ. ბოპისავე ეკუთვნის **პირველი** „შედარებითი გრამატიკა სანსკრიტისა, ზენდისა, სომხურისა, ბერძნულისა, ლათინურისა, ლიტვურისა, ძველი სლავურისა, გუთურისა და გერმანულისა" (გამოვიდა გერმანულ ენაზე სამ ტომად 1833-1852 წ.წ.).

ენათა ნათესაობის საკითხს ყურადღება არ მიქცეოდეს.

ენათა შედარებას მიმართავდნენ გაცილებით **უფრო ადრე,** მეტადრე — მეთვრამეტე საუკუნეში, ცდილობდნენ გამოევლინებინათ **მონათესავე ენები;** შეუმჩნეველი არც ის რჩებოდათ, რომ **ენა ცვალებადია,** მაგრამ ყველა ამ ცდას მეთოდური ხასიათი არა ჰქონდა, **შედარება მეცნიერულ საფუძველს მოკლებული იყო:** ჯერ ერთი, ერთმანეთს ადარებდნენ **მხოლოდ სიტყვებს,** მასთან არა მხოლოდ ძირითადი ლექსიკური ფონდისას, არამედ განურჩეველად ყოველგვარს, მათ შორის ნასესხებ სიტყვებსაც; გრამატიკულ წყობას, სიტყვის თავსართ-ბოლოსართს ყურადღება არ ექცეოდა, მას შესადარებლად არ იყენებდნენ; მეორეცაა და, შედარებას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა: საკითხს წყვეტდა შესადარებელ სიტყვათა გარეგნული მსგავსება.

ამგვარი შედარება სწორ დასკვნამდე **შემთხვევით** თუ მიგვიყვანდა (ევროპის ენათა ნათესაობა ამგვარი შედარების შედეგადაც შენიშნეს ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში: ამ ენათა სიახლოვის გამო). მეტ წილ შემთხვევაში ასეთი შედარება მცდარ შედეგს იძლეოდა (ასე, მაგალითად, ფილოსოფოსმა ლაიბნიცმა ქართული ენა ბერძნულის მონათესავედ მიიჩნია ბერძნულიდან ნასესხები სიტყვების — „ორგანო", „კლიტე" და მსგავსთა — საფუძველზე).

ენის მეცნიერული შესწავლა-გაგებისათვის მნიშვნელობა აქვს **მხოლოდ იმით შედარებას,** რომელიც **შესადარებელ ენათა ისტორიის გარკვევას** შეგვაძლებინებს: **შედარება — საშუალებაა, ისტორია კი — მიზანია.**

შედარებისა და ისტორიის საკითხები ახლებურად იყო დასმული რასკთან, ბოპთან, გრიმთან, ვოსტოკოვთან. სახელდობრ:

რ. რასკი ამტკიცებდა: არსებითია სწორედ გრამატიკულ მოვლენათა (ფორმანტების: თავსართ-ბოლოსართების) შედარება და ბგერით შესატყვისობათა დადგენაო.

ფ. ბოპი ადარებდა მონათესავე ინდოევროპულ ენათა ზმნების უღვლილებას, ე. ი. შედარება შეეხო გრამატიკულ ფაქტებს.

ბგერათა ისტორიული ცვლის ფორმულა — გერმანულ ენათა მასალაზე — მოცემულია ი. გრიმის მიერ („გრიმის კანონი").

სლავურ ენათა ისტორიის, კერძოდ, ისტორიული ფონეტიკის საკითხები მეცნიერულ ნიადაგზე დააყენა ა. ვოსტოკოვმა (გამოკვლევაში სლავური ენის შესახებ).

ამგვარად, ენათა მეცნიერული, ისტორიულ-შედარებითი შესწავლა პირველად შემოვიდა ენათმეცნიერებაში გერმანული, სლავური და

მათი მონათესავე ინდოევროპული ენების შესწავლის პროცესში.

ენათა მეცნიერული შედარება — ესაა **შედარება ისტორიის საფუძველზე** და **ისტორიის მიზნებისათვის.** საგანი შეიძლება **გაგებულ იქნეს,** თუ ვიცით მისი ისტორია.

ორიოდე მაგალითი. ქართულად ვამბობთ და ვწერთ: მე ვარსებობ, შენ არსებობ... მაგრამ იმავე ფუძის მეორე ზმნაში გვაქვს: მე ვარ, შენ ხარ... რატომ არ ვამბობთ: მე ვარ, შენ «არ»... ანდა: მე ვარსებობ, შენ «ხარსებობ»? რამ გაუჩინა ხ- თავსართი ხ-არ ზმნას?

ირკვევა, რომ ძველად, თხუთმეტიოდე საუკუნის წინათ, მეორე პირის აღსანიშნავად ყველა ზმნას ხ- თავსართი ჰქონდა: შენ ხ-არ, ხ-იყავ, ხ-ეტყჳ და სხვ. მაშასადამე, ხარ ზმნას კი არ გასჩენია ხ თავსართი, არამედ ხ-იყავ, ხ-ეტყჳ და სხვა ზმნებს დაჰკარგვიათ ეს ნიშანი მეორე პირისა; ძველი ვითარება დაუცავს ხ-არ და ხ-ვალ ზმნებს (მო-ხ-ვალ, მო-ხ-ვედი...). მოვლენის წარსული რომ გავითვალისწინეთ, გასაგები გახდა ის, რაც მანამდე გაუგებარი იყო.

რუსული ზმნის უღვლილებაში შეინიშნება ერთი „უცნაურობა": აწმყოში ზმნა იცვლება **პირების** მიხედვით (я читаю, ты читаешь, он читает), ნამყოში — **სქესების** მიხედვით (я, ты, он читал, я, ты, она читала, 'я, ты', оно читало), პირები კი გარჩეული არ არის. რა უნდა მივიჩნიოთ რუსული ზმნის უღვლილებისათვის დამახასიათებლად: პირთა მიხედვით ცვლა თუ სქესების აღნიშვნა (პირთა გაურჩევლად)?

ირკვევა, რომ ძველად რუსულში იყო არა читал, читала, читало, არამედ я читалъ есмь, ты читалъ еси, он читалъ есть, — ე. ი. პირები აქაც გაირჩეოდა, ოღონდ მეშველი ზმნის დახმარებით (есмь, еси, есть), читалъ (читала, читало) კი ნამყო დროის მიმღეობას წარმოადგენდა და იცვლებოდა სქესების მიხედვით. შემდეგში მეშველი ზმნა დაიკარგა, შემოგვრჩა პირველი ნაწილი — მიმღეობა. ამ მიმღეობას, ცხადია, პირების გარჩევა არ შეუძლია, ის სქესების მიხედვით იცვლება.

ამგვარად, ისტორიული ვითარების გათვალისწინებამ საკითხი გაგვირკვია. რუსული ზმნის უღვლილებისათვის დამახასიათებელი ყოფილა პირების მიხედვით ცვლა (სადაც ეს წესი ირღვევა, მოვლენა მეორეულია).

ამგვარად, კითხვაზე: რატომ არის ისტორიული თვალსაზრისი მეცნიერული, შეიძლება მარტივად ასე ვუპასუხოთ: მეცნიერულია იმიტომ, რომ **ისტორიული თვალსაზრისი გასაგებს ხდის შესასწავლ მოვლენას.** ხოლო მოვლენა თუ გასაგები არაა, მის განვითარებაზე სასურველი მიმართულებით ვერ ვიმოქმედებთ.

§ 3. წინარემეცნიერული გრამატიკები: ფილოლოგიური გრამატიკა და რაციონალური გრამატიკა. წინარემეცნიერული გრამატიკებია **გრამატიკა ფილოლოგიური** და **გრამატიკა რაციონალური.**

ყველაზე ცნობილია ის ფილოლოგიური გრამატიკა, რომელიც შექმნეს ინდოელებმა და ბერძნებმა. უკვე მეოთხე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ინდოეთში იქმნება დასრულებული სისტემა ფილოლოგიური გრამატიკისა, — ესაა პანინის გრამატიკა.

პირველი ბერძნული გრამატიკა დიონისე თრაკიელისა ე. წ. „გრამატიკული ხელოვნება" (ბერძ. technē grammatikē, ლათ. ars grammatica)[4] იქმნება ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე და პირველი საუკუნეების მიჯნაზე, ქალაქ ალექსანდრიაში.

როგორც ინდური, ისე ბერძნული გრამატიკის შესწავლის საგანია **სამწერლო** ენა: ერთ შემთხვევაში — ძველი ინდურის ძეგლები, ხოლო მეორე შემთხვევაში — ძველი ბერძნულისა. ცოცხალი მეტყველება (ინდური, ბერძნული) ვითარდებოდა, ხოლო ხელნაწერებში შემონახული ძველი ძეგლების ენა გაუგებარი ხდებოდა. ამის გამო გაჩნდა საჭიროება აეხსნათ, განემარტათ ძნელად გასაგები თუ სრულიად გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები. ხელნაწერთა გადაწერისას დამახინჯებული ადგილებიც სისწორით აღდგენას მოითხოვდა.

ასე ჩაეყარა საფუძველი ფილოლოგიურ მუშაობას ტექსტებზე. ამგვარი ფილოლოგიური მუშაობის პროცესში წარმოიშვა **ფილოლოგიური გრამატიკა.**

ამ მხრივ ბერძნული ფილოლოგიური გრამატიკა არ განსხვავდება ინდურისაგან: ორივე თანაბრად დამოკიდებულია ფილოლოგიურ მუშაობაზე. განსხვავებას სხვა რამ ქმნის: ბერძნული ფილოლოგიური გრამატიკის შემზადებაში წილი უდევს ბერძნულ ფილოსოფიას: „სახელი", „ზმნა", „ბრუნვა" და რიგი სხვა გრამატიკული ცნება ბერძნულმა ფილოსოფიამ დაამუშავა. აზროვნების კატეგორიათა შესწავლისას ბერძენი ფილოსოფოსები მეტყველების კატეგორიასაც სწავლობდნენ, უკეთ ვთქვათ, მეტყველების კატეგორიათა შესწავლით იწყებდნენ, და ხშირად მეტყველებითი და აზროვნებითი ერთმანეთში ირეოდა, სათანადოდ განსხვავებული არ იყო.

---

[4] ბერძნები ასხვავებდნენ „ხელოვნება"-სა და „თეორია"-ს. ტერმინით „ხელოვნება" ბერძნები აღნიშნავდნენ ემპირიული ცოდნის კრებულს; „ხელოვნება"-ს უპირისპირდებოდა ტერმინი „თეორია" („მეცნიერება" — დღევანდელი გაგებით).

ინდოეთის ფილოსოფიას არ მოუხდენია ინდურ გრამატიკაზე გავლენა. ინდური ფილოლოგიური გრამატიკა ენობრივი ფაქტის ანალიზის მხრივ უფრო მაღლა დგას, ვიდრე ბერძნული ფილოლოგიური გრამატიკა.

ბერძნული გრამატიკის მიხედვით დამუშავდა ლათინური ენის გრამატიკა (მაგალითად, ვარონის გრამატიკა — ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ საუკუნეში). დონატის ლათინურ გრამატიკაში (IV ს. ჩვ. წ.), რომელიც საუკუნეების მანძილზე წარმოადგენდა ლათინური ენის სახელმძღვანელოს, ფილოლოგიური გრამატიკა იქცა **სახკოლო-ტექნიკურ** გრამატიკად, რომელიც გვასწავლის სწორად წერასა და სწორმეტყველებას (ლათინურ ენაზე). ტერმინი „გრამატიკა“ (ბერძნული gramma-დან — „ასოები“, „დაწერილი რამ“) ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ გრამატიკას საქმე ჰქონდა სამწერლო ენასთან[5].

მეორე ტიპი წინარემეცნიერული გრამატიკისა წარმოდგენილია **ზოგადი** ანუ **რაციონალური** გრამატიკის სახით (ხშირად მას ფილოსოფიურ გრამატიკასაც უწოდებენ). რაციონალური გრამატიკა დამუშავდა საფრანგეთში, პორ-როიალის მონასტერში, ფილოსოფოს დეკარტის მიმდევრების (ე. წ. კარტეზიანელების) მიერ.

პირველი „რაციონალური ანუ ზოგადი გრამატიკა“, რომლის ავტორებიც არიან არნო და ლანსლო[6], გამოიცა 1660 წელს. XVII და XVIII საუკუნეების მანძილზე გამოქვეყნდა არა ერთი და ორი „ზოგადი გრამატიკა“ — ჩვეულებრივ, **ფილოსოფიური** გრამატიკის სახელწოდებით.

რაციონალური ანუ ზოგადი გრამატიკა აგებულია განსაზღვრული პრინციპების საფუძველზე. რაციონალური გრამატიკის ძირითადი დებულებები სქემატურად შემდეგნაირად შეიძლება გადმოვცეთ: ენა აზროვნების გამოხატვის საშუალებაა. აზროვნებას სწავლობს **ლოგიკა,** ენას — **გრამატიკა.** შესასწავლ ობიექტებს შორის, — აზროვნებასა და ენას შორის, — არსებობს შინაგანი კავშირი. სათანადო კავშირი უნდა


---

[5] ინდოელები გრამატიკის მნიშვნელობით ხმარობდნენ ტერმინს „ვიაკარანა“ (vyakarana), რაც „ანალიზ“-ს ნიშნავს. ამაშიც მეღავნდება ინდოელთა ფილოლოგიური აზროვნების მაღალი დონე (ბერძნულ გრამატიკასთან შედარებით).

[6] ამ ავტორთაგან ერთი, სახელდობრ არნო, მონაწილეობას იღებდა ლოგიკის შედგენაშიც: ეს ლოგიკა ცნობილია კ ა რ ტ ე ზ ი ა ნ უ ლ ი ლ ო გ ი კ ი ს სახელწოდებით (ფილოსოფოს დეკარტის სახელის მიხედვით). ის დამუშავდა იმავე პორ-როიალის მონასტერში. კარტეზიანული ლოგიკა და კარტეზიანული გრამატიკა (ანუ რაციონალური გრამატიკა) ერთმანეთთან შინაგან კავშირშია და ემყარება ერთსა და იმაევე პრინციპს.

რსებობდეს ლოგიკასა და გრამატიკას შორისაც: გრამატიკა უნდა ემყა-ებოდეს ლოგიკას, გრამატიკული კატეგორიები უნდა იქნეს განხილუ-ი, როგორც ლოგიკური კატეგორიების გამოხატულება. ენისა და აზ-როვნების ურთიერთობა განსაზღვრავს გრამატიკისა და ლოგიკის ურ-იერთობას.

ამ ურთიერთობის სქემა ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:



ლოგიკის კატეგორიებზე დაფუძნებული გრამატიკა **რაციონალური** გრამატიკაა (ლათინ. ratio, ნათ. ბრ. rationis — „გონება", „გონებისა"). ლოგიკა **ერთია,** მასზე დამყარებული გრამატიკაც **ერთი** იქნება. ეს ერთი გრამატიკა არ შეიძლება იყოს რომელიმე კერძო, ცალკეული ენის გრამატიკა: იგი აუცილებლად იქნება **ზოგადი,** რამდენადაც იგი შეისწავლის იმას, რაც ზოგადია სხვადასხვა ენაში, როგორც აზრის გამოხატვის საშუალებაში. **რაციონალური გრამატიკა არ შეიძლება არ იყოს ზოგადი.** აქედან — სახელწოდება: **რაციონალური** ანუ **ზოგადი** გრამატიკა.

რაციონალური გრამატიკის ძირითადი დებულებები ნაირ-ნაირი სახით შემდეგშიაც იჩენდა თავს სხვადასხვა სახის აღწერით გრამატიკებში. ეს დებულებები მწყობრი და თანამიმდევრულია და, ერთი შეხედვით, დამაჯერებელი გვეჩვენება.

მაგრამ რაციონალური გრამატიკის პრინციპები არ არის სწორი მეცნიერულად. რაციონალური გრამატიკა სავსებით მართებული დებულებით იწყებს: ენა აზროვნების გამოხატვის საშუალებაა, მაგრამ იგი არ ითვალისწინებს ორ გარემოებას: 1. სხვადასხვა ენაში ერთი და იგივე აზრი **სხვადასხვანაირად შეიძლება გამოიხატოს;** 2. **ერთსა და იმავე ენაში — მეხი განვითარების სხვადასხვა ბერიოდში — აზრის ერთი და იგივე შინაარსი შეიძლება გამოითქვას სხვადასხვაგვარად: ენა ვითარდება**[7]**. ენის განვითარება** — აი რას **არ ითვალისწინებს რაციონალური გრამატიკა:** იგი განიხილავს ენას,

[7] ამჟამად აზროვნების კატეგორიებიც აღარ ითვლება უცვლელ კატეგორიებად: ლოგიკურ კატეგორიათა ისტორიულობა დღეს აღიარებულია საყოველთაოდ.

როგორც **უცვლელი ლოგიკური კატეგორიების** გამოხატულებას და ამდენად, როგორც **უცვლელს**. რაციონალური გრამატიკა გრამატიკისა და ლოგიკის კავშირის აუცილებლობის დასაბუთებას ცდილობს და თავის ამ დასაბუთებით განამტკიცებს დებულებას ენის უცვლელობის შესახებ, უარყოფს ისტორიზმის პრინციპს.

რაციონალური ანუ ზოგადი (ანუ ფილოსოფიური) გრამატიკა პრინციპში **ანტიისტორიულია.**

ამიტომაც სრულიად ბუნებრივია, რომ რაციონალურმა გრამატიკამ (ისევე, როგორც მასზე ადრე — ფილოლოგიურმა გრამატიკამ) ვერ შეძლო მოეცა ენის მეცნიერული გაგება, — ვერ აქცია აზროვნება ენის შესახებ ენათმეცნიერებად. რაციონალური გრამატიკაცა და ფილოლოგიურიც — თავისი არსით — თანაბრად წარმოადგენენ წინარემეცნიერულ გრამატიკებს: **ორივესთვის უცხოა განვითარების პრინციპი.**

ენის შესახებ აზროვნება ენათმეცნიერებად იქცა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ენის შესწავლისას გამოყენებულ იქნა განვითარების პრინციპი.

მეცნიერება ენის შესახებ შეიქმნა არა ფილოლოგიური ანდა რაციონალური (ფილოსოფიური) გრამატიკის საფუძველზე, არამედ ისტორიული გრამატიკის საფუძველზე.

ამით ერთხელ კიდევ დადასტურდა სისწორე დებულებისა, რომ მოვლენის მეცნიერულად შესწავლა გულისხმობს მის შესწავლას განვითარებაში.

თავი II

ენა. მისი საზოგადოებრივი არსი. მისი განვითარება. მისი წარმოშობა

§ 4. რა არის ენა? ენა საზოგადოებრივი მოვლენაა. რაში ჯამოიხატება ეს?

ენა წარმოადგენს საზოგადოებრივ მოვლენას სწორედ იმიტომ, რომ იგი არის ურთიერთობის, აზრთა გაზიარებისა და ურთიერთგაგების საშუალება ადამიანთა კოლექტივში. ასეთი კოლექტივი შეიძლება იყოს გვარი ან ტომი, ხალხი ან ერი. ამისდა მიხედვით შეიძლება გვქონდეს ენები: გვაროვნული, ტომობრივი; ხალხის ენა, ეროვნული ენა. ყველა ამ შემთხვევაში ენას იყენებს საზოგადოება, ენა არის კოლექტივის კუთვნილება.

ენა არსებობს მხოლოდ საზოგადოებაში და მხოლოდ საზოგადოების წყალობით; ენის ბედი დაკავშირებულია საზოგადოების ბედთან.

§ 5. ენობრივი ურთიერთობა და მისი საზოგადოებრივი საფუძველი. ენა წარმოადგენს საზოგადოებრივ მოვლენას, როგორც ურთიერთობის იარაღი და როგორც აზრთა გაზიარების საშუალება. როცა ურთიერთობაზე, აზრთა გაზიარებაზე ვლაპარაკობთ, აქ ორი მხარე იგულისხმება: ერთია — მოლაპარაკე, მეორეს მსმენელი წარმოადგენს. მოლაპარაკე აქტიური მხარეა, მსმენელი — პასიური. ყოველი ადამიანი, ვისაც ლაპარაკი შეუძლია, ხან გვევლინება, როგორც აქტიური (როცა ლაპარაკობს) და ხან — როგორც პასიური (როცა სხვის ნათქვამს ისმენს).

მოლაპარაკედ თუ მსმენელად ცალკეული პირები გამოდიან. კითხვა ისმის: როგორღა არის ენა საზოგადოებრივი მოვლენა, თუ მეტყველების პროცესი ცალკეულ პირებში მიმდინარეობს, თუ მსმენელიცა და მეტყველიც ცალკეული ინდივიდებია?

ამაში რომ გავერკვეთ, საჭიროა დავუკვირდეთ მეტყველების პროცესს და გავითვალისწინოთ მისი თავისებურებანი.

როცა ვინმე იწყებს ლაპარაკს, მას რაღაცა აქვს სათქმელი, და ეს სათქმელი უნდა მსმენელს გადასცეს, გააგებინოს. სათქმელის გადასაცემად საჭიროა შეირჩეს სიტყვები (ჩვეულებრივ ეს სიტყვები „თავისით მოდის", ზოგჯერ კი სიტყვის შერჩევა არც ისე მარტივია). მეტყველების ორგანოები ამოძრავდება და საჭირო სიტყვები წარმოითქმის. ამ წარმოთქმულ სიტყვებს გაიგონებს მსმენელი (მოსაუბრე): „კარგი წიგნია"... „წითელი დროშა"... „თბილა"... ამ სიტყვების გაგონებისას მსმენელი გაიგებს ნათქვამს, თუ ქართული ენა იცის.

რას ნიშნავს: გაიგებს ნათქვამს? როდის არის გასაგები ნათქვამი? ნათქვამი გასაგებიაო, ვიტყვით, თუ ვიცით, რასაც აღნიშნავს იგი, თუ სიტყვის გაგონებისას ვიცით, რა იგულისხმება ნათქვამში, სინამდვილის რა ფაქტებზე (მოვლენებზე) მიუთითებს თქმული სიტყვები. გაუგებარიაო მაშინ ვამბობთ, როცა არ ვიცით, რას გულისხმობს, რაზე მიუთითებს ნათქვამი.

მაგალითად: „კარგი წიგნი", „წითელი დროშა" გასაგებია ყველასთვის, ვინც იცის ქართული. მაგრამ ვინც მხოლოდ ქართული იცის, ვერ გაიგებს, თუ რას ნიშნავს „ბრნუს ლრბერ", „დრაპრ რუჟ": გაიგონებს, შეუძლია გაიმეოროს კიდეც, მაგრამ ვერ კი გაიგებს, ე. ი. არ ეცოდინება, რას გულისხმობს „ბრნუს ლრბერ", „დრაპრ რუჟ" („ბრნუს ლრბერ" ლათინურად იგივეა, რაც „კარგი წიგნი", ხოლო „დრაპრ რუჟ" ფრანგულია და ნიშნავს „წითელი დროშა", — ზედმიწევნით: „დროშა წითელი"). თავის ტვინის ქერქის ნორმალური მუშაობა აუცილებელი პირობაა აზროვნებისთვისაც და მეტყველებისთვისაც — მეტყველებისთვის, რომელიც შინაგანად დაკავშირებულია აზროვნებასთან. სამეტყველო აქტები, კერძოდ, შეუძლებელი ხდება ორი ცენტრის მონაწილეობის გარეშე: ვერნიკეს ცენტრისა და ბროკას ცენტრის გარეშე.

გაგონილს („კარგი წიგნი", „ბრნუს ლრბერ") აღიქვამს მსმენელი, როგორც მეტყველების ფაქტს (და არა, როგორც უაზრო ხმებს!) აკუსტიკური ანდა სენსორული ცენტრის წყალობით: ეს ცენტრი მოთავსებულია ტვინის მარცხენა ნახევარსფეროში, საფეთქლის პირველი ხვეულის არეში; მეტყველების აკუსტიკურ ცენტრს ეწოდება ვ ე რ ნ ი კ ე ს ცენტრი (ფიზიოლოგისა და ფსიქიატრის, კ. ვერნიკეს სახელის მიხედვით: ვერნიკემ დაადგინა ასეთი ცენტრის არსებობა 1874 წელს). ყველა სიტყვა, რომელიც კი ჩვენ გვახსოვს, პოტენციურად არსებობს ვერნიკეს ცენტრში: ამდენად, ვერნიკეს ცენტრს შეიძლება დაერქვას გაგონილ და დამახსოვრებულ „სიტყვათა დეპო".

საჭირო სიტყვა რომ წარმოვთქვათ, სათანადოდ უნდა ავამოძრა-

ით მეტყველების ორგანოები; მათი ამოძრავება ხდება მეტყველების მო-ორული (მოძრაობის) ცენტრის წყალობით; ეს ცენტრი მოთავსებუ-ია თავის ტვინის მარცხენა ნახევარსფეროში — შუბლის მესამე ხვე-ულში; ამ ცენტრს ეწოდება ბ რ ო კ ა ს ცენტრი (ანატომისა და ქი-რურგის, პ. ბროკას სახელის მიხედვით: პ. ბროკამ მეტყველების მოტო-რული ცენტრის არსებობა დაადგინა 1861 წელს).

ვერნიკეს ცენტრის დაზიანება გამოიწვევს სიტყვათა დავიწყებას (სენსორულ აფაზიას). ბროკას ცენტრის დაზიანების შემთხვევაში შეუძ-ლებელი ხდება ბგერათა დანაწევრებული წარმოთქმა (ეს ჩვეულებრივ შეიმჩნევა მარჯვენა მხარის დამბლის დროს, როცა ერთდროულად და-დამბლავებულია მარჯვენა ფეხი, მარჯვენა ხელი და სამეტყველო ცენ-ტრები, მათ შორის ბროკას ცენტრი ტვინის მარცხენა ნახევარსფერო-ში).

ბროკას და ვერნიკეს ცენტრებით არ შემოიფარგლება თავის ტვინის ქერქის ის უბნები, რომლებთანაც დაკავშირებულია გაგონილის გაგება და აზრის შინაარსის გადმოცემა. მაგრამ ჩვენ აქ შეიძლება და-ვკმაყოფილდეთ იმის აღნიშვნით, რომ მეტყველების პროცესის ნორმა-ლური მიმდინარეობა საჭიროებს ამ ორი ცენტრის მონაწილეობას. მე-ტყველების პროცესები ისევე, როგოც აზროვნების პროცესები, წარმო-ადგენენ ტვინის ფუნქციას, ისინი შეპირობებული არიან ნორმალური ფიზიოლოგიური პროცესებით. ეს პროცესები კი მიმდინარეობს ცალკე-ული პირის, ინდივიდის თავის ტვინში.

შეიძლება თუ არა ამის გამო ენა მივიჩნიოთ ინდივიდუალურ მო-ვლენად ანდა ფიზიოლოგიურ (თუ ფსიქოფიზიოლოგიურ) მოვლენად? არა, ენა ამის გამო არ შეიძლება მივიჩნიოთ არც ინდივიდუალურ და არც ფიზიოლოგიურ (ანდა ფსიქოფიზიოლოგიურ) მოვლენად. **ენის არსი ვერ მოიჩნევა ინდივიდუალურ მოვლენად, ვერ დაიყვანე-ბა ვერც მეტყველების ფსიქოლოგიამდე და ვერც მეტყველე-ბის ფიზიოლოგიამდე.**

ენის არსი საზოგადოებრივია. ეს გამომდინარეობს ენის და-ნიშნულებიდან — იყოს ადამიანთა ურთიერთობის იარაღი, აზრთა გა-ზიარებისა და ურთიერთგაგების საშუალება.

მეტყველების აქტებს (სიტყვებს, წინადადებებს) შეუძლია შეასრუ-ლოს საზოგადოებრივი დანიშნულება — შეუძლია იყოს საშუალება ურ-თიერთობისა, აზრთა გაზიარებისა და ურთიერთგაგებისა მხოლოდ იმ შე-მთხვევაში, თუ ამ ფაქტებს (სიტყვებს, წინადადებებს) იყენებენ არა ინ-დივიდის ნება-სურვილის მიხედვით, არამედ — ისე, როგორც ეს მიღებუ-

ლია სათანადო ენაში, ე. ი. სათანადო ენობრივ კოლექტივში. **ცალკეულ პირს არ შეუძლია საკუთარი შეხედულებისა და ნება-სურვილის მიხედვით გამოიყენოს ენაში არსებული სიტყვა ანდა თვითნებურად** შექმნას და ენაში **დანერგოს სიტყვები,** მით უმეტეს — თვითნებურად შეცვალოს გრამატიკული წყობის ფორმულები.

„წიგნი“ სიტყვის ნაცვლად არ შეიძლება ვიხმაროთ „ინგიწ“ ანდა ნაცვლად გამოთქმისა: „კარგი წიგნი“ — „არგიკ ინგიწ“... ასევე არ შეიძლება ვთქვათ „კარგი წიგნი“ და მას მივაკუთვნოთ სრულიად სხვაგვარი მნიშვნელობა („ვთქვათ „კარგი წიგნი“ და ვიგულისხმოთ: „ახალი ბინა“). განა ძნელია გამოვთქვათ „არგიკ ინგიწ“ „კარგი წიგნი“-ს ნაცვლად? სრულებითაც არა: ამგვარი „სიტყვების“ წარმოთქმა არ არის ფიზიკურად ძნელი, მაგრამ ძნელად თუ ვინმე იტყვის, ისიც თავის შესაქცევად, თორემ ურთიერთობის საშუალებად „არგიკ ინგიწ“ და მისი მსგავსი უაზრო ბგერათშენაერთი არ გამოდგება.

ქართულ ენაზე არც „ბონუს ლიბერ“-ს იტყვის ვინმე „კარგი წიგნი“-ს ნაცვლად (ვთქვათ ასე: „აი, ეს ნამდვილად ბონუს ლიბერი არის!“).

„არგიკ ინგიწ“ და „ბონუს ლიბერ“ ერთ რამეში მაინც განსხვავდებიან: „არგიკ ინგიწ“ არც ერთ ენაში არ იხმარება, მეტყველების ფაქტი არ არის, „ბონუს ლიბერ“ კი ლათინური გამოთქმაა, მაშასადამე, მეტყველების ფაქტს წარმოადგენს.

შეიძლება ვინმემ დაიჩემოს: მე უფრო მომწონს უჩვეულო „არგიკ ინგიწ“, ვიდრე ჩვეულებრივად ხმარებული „კარგი წიგნიო“... ამ პირს შეეძლება რამდენიც უნდა იმეოროს ეს „არგიკ ინგიწ“, მაგრამ ურთიერთობის საშუალებად არ გამოადგება. ცნობილია, რომ ფუტურისტები თხზავდნენ უცნაურ ბგერათკომპლექსებს, მაგრამ ერთმანეთთან ურთიერთობაშიც კი ვერ იყენებდნენ ამგვარ ორიგინალურ „სიტყვებს“: ფუტურისტები ჩვეულებრივი ენით საუბრობდნენ.

ცალკეული პირი ვერ იხმარს ხელოვნურად შეთხზულ „სიტყვებს“, ვერც ცნობილ სიტყვებს იხმარს უჩვეულო მნიშვნელობით: ის **იმას** ხმარობს, რაც სათანადო ენაშია მიღებული და **იმგვარად**[1] ხმარობს, როგორც არის მიღებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ენა ვერ იქ-

[1] ეს არ ნიშნავს, თითქოს ერთსა და იმავე ენაზე მოლაპარაკე ყველა პირი ყოველთვის **ხაგხებით** ერთნაირ სიტყვებსა და გამოთქმებს სავსებით ერთნაირი გაგებით ხმარობდეს: სრული იგივეობა აქ შეუძლებელია. ინდივიდუალურ თავისებურებებს ენა იგუებს, რამდენადაც ეს ხელს არ უშლის ნათქვამის დაუბრკოლებლად გაგებას.

ნება ურთიერთობის საშუალება. ენას ცალკე პირი, ინდივიდი ხმარობს, მაგრამ ხმარობს იმგვარად, რომ ნათქვამი ურთიერთობის საშუალებად გამოდგეს. ენა კოლექტივის ქმნილება და კუთვნილებაა, ენა საზოგადოებრივი მოვლენაა.

§ 6. მონოლოგი და ენის სოციალურობა. რაკი ენა ურთიერთობის საშუალებაა, მეტყველების აქტი გულისხმობს მოლაპარაკესა და მსმენელს (მოსაუბრეს); ამდენად დიალოგთან გვაქვს საქმე: მეტყველება ჩვეულებრივ დიალოგურია.

დიალოგის გარდა მონოლოგიც ფაქტია: ადამიანი შეიძლება ლაპარაკობდეს თავისთვის, მარტო, მსმენელის გარეშე.

როგორ შევუთანხმოთ ერთმანეთს ეს ორი ფაქტი: ის, რომ ენა საზოგადოებრივი მოვლენაა და ის, რომ მას მონოლოგისათვის იყენებენ? შეიძლება თუ არა თავისთვის ლაპარაკი (მონოლოგი) მივიჩნიოთ საზოგადოებრივ მოვლენად თუ — ამ შემთხვევაში ენა ინდივიდუალური მოვლენაა? აქ ხომ ენა ურთიერთობის იარაღს არ წარმოადგენს?

ენა მონოლოგის შემთხვევაშიც სოციალური მოვლენაა: მონოლოგის დროს ინდივიდი ახალ ენას როდი ქმნის, ის იმავე ენაზე ლაპარაკობს, რასაც სხვებთან ურთიერთობისათვის იყენებდა; მოსაუბრე არ ჩანს, და მაინც იგივე საშუალება რჩება, რაც დიალოგისთვის გვქონდა.

მონოლოგს მოგვაგონებს წერითი მეტყველება: აქაც მოსაუბრე არა ჩანს. წერენ ხომ იმათთვის, ვინც წერის დროს დამწერთან არ იმყოფება. მაგრამ ამ დაუსწრებელ მოსაუბრეს უფრო მეტად ეწევა ანგარიში, ვიდრე დასწრებულს. საუბრის დროს ზოგი რამ კონტექსტიდან ირკვევა, ამიტომ საუბარი ისეთ ზედმიწევნილობას არ მოითხოვს, როგორიც წერის დროსაა აუცილებელი: წერის დროს ცდილობენ აზრი ისე გამოთქვან, რომ დაწერილი სწორად იქნეს გაგებული, რომ ნაწერმა გაუგებრობა არ გამოიწვიოს.

მაშასადამე, ენის დანიშნულება, ენის საზოგადოებრივი ფუნქცია აქაც ძალაში რჩება, მკვეთრად იგრძნობა.

ამგვარად: **ლაბარაკობს ცალკეული პირი, ინდივიდი, მაგრამ ამის გამო ენა არ იქცევა ინდივიდუალურ მოვლენად.**

მეტყველების აქტები ცალკეულ პირში მიმდინარეობს, როგორც ფსიქოფიზიკური და ფიზიოლოგიური პროცესები, მაგრამ ენის არსი ამით არ განისაზღვრება.

ენა, როგორც ურთიერთობის საშუალება, შექმნა ადამიანთა კოლექტივმა, ენა შექმნილია ადამიანთა კოლექტივისათვის. ცალკე პირს

არ შეუძლია არც შექმნას ენა, არც შეცვალოს იგი, არც გამოიყენოს ენობრივი ფაქტები თავისი ნება-სურვილის მიხედვით.

ენა საზოგადოებრივი მოვლენაა.

§ 7. ენა და აზროვნება. ურთიერთობის პროცესში ადამიანები ერთმანეთს უზიარებენ აზრებს, ერთმანეთს აგებინებენ, რაც სათქმელი აქვთ. მოლაპარაკის აზრები მსმენელამდე აღწევს ენის საშუალებით.

ჩვეულებრივ ჰგონიათ, რომ ჩვენს ცნობიერებაში აზრები მზამზარეულად მოიპოვება, და ჩვენი მეტყველება დანაწევრებული მზამზარეული აზრის გარე სამოსს წარმოადგენს (შდრ. ქარქაში და მასში ჩაგებული ხმალი).

ასეთი გაგება არ შეეფერება სინამდვილეს. აზრისა და მეტყველების ურთიერთობის პროცესი გაცილებით უფრო რთულია. სანამ აზრი სიტყვებში არ გამოგვითქვამს, ის არ შეიძლება იყოს გარკვეული, დანაწევრებული, ჩამოყალიბებული სახისა. **აზრი ყალიბდება სიტყვის მეშვეობით და სიტყვაში.** სიტყვაში ისხამს აზრი ხორცს, სიტყვა ანაწევრებს აზრს, უკეთ — აზრის შინაარსს: ის, რაც ცნობიერებაში მოგვეპოვება, სანამ მას სიტყვებით გადმოვცემდეთ, სხვა არაფერია, თუ არ აზრის შინაარსი. იგი მოცემულია — ხან აღქმის, ხან ერთობლივი წარმოდგენის სახით, რომელიც მთლიანია და დაუნაწევრებელი.

ვთქვათ, ჩვენ წინ მწვანე ბალახია. მწვანე ბალახს ხედავს ყოველი ადამიანი, რომელსაც ნორმალური მხედველობა აქვს. მაგრამ მწვანე ბალახის დანახვა კიდევ არ ნიშნავს, რომ ჩვენ გვაქვს ესა თუ ის აზრი მწვანე ბალახის შესახებ, მაგრამ თუ ჩვენს აღქმაში გამოვყოფთ „ბალახს“, როგორც სინამდვილეში არსებულ საგანს, და „მწვანეს“, როგორც თვისებას, მივაკუთვნებთ საგანს („ბალახს“), როგორც მის თვისებას, მივიღებთ აზრს: „ბალახი მწვანეა“.

მთლიანი აღქმის დაშლა, მასში საგნისა და თვისების გამოყოფა, შემდეგ კი ამ თვისების განკუთვნება საგნისათვის, შეუძლებელია სიტყვების გარეშე. მწვანე ბალახს ძროხაც დაინახავს და დაუწყებს ძოვას. მაგრამ ძროხას არ ექნება აზრი: „ეს მწვანე ბალახია“ ანდა: „ბალახი მწვანეა“.

როცა ჩვენ გამოვთქვამთ აზრებს, ჩვენ ვანაწევრებთ სათანადო შინაარსს, ვამყარებთ მიმართებას დანაწევრებული შინაარსის ელემენტებს შორის. ერთიცა და მეორეც სიტყვის დახმარებას საჭიროებს. ამიტომაც ამბობენ, რომ ნორმალური ადამიანის აზროვნება დისკურსიულია (ე. ი. დანაწევრებადია) და, დისკურსიული ვერბალურიცაა

ე. ი. მეტყველებითია (ლათინ. verbum „სიტყვა").

აზრის დანაწევრების პროცესში ჩვეულებრივ მონაწილეობს ე. წ. შ ი ნ ა გ ა ნ ი მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა[2], ე. ი. „სიტყვათა წარმოდგენები" — იქნება ეს აკუსტიკური, მოტორული, ოპტიკური წარმოდგენები (თუ მათი შეხამება ამა თუ იმ სახის წარმოდგენათა მოქარბებული როლით). აზროვნებასთან უშუალო კავშირშია სწორედ შინაგანი მეტყველება: შინაგანი მეტყველება, თუ შეიძლება ასე ითქვას, შესისხლხორცებულია აზროვნებასთან.

ამის გამო იყო, რომ ხშირად აიგივებდნენ აზროვნებასა და შინაგან მეტყველებას: „აზროვნება სხვა არაფერია, თუ არ უსიტყვოდ ლაპარაკიო".

ენისა და აზროვნების ერთიანობა ეჭვმიუტანელი ფაქტია. მაგრამ ენისა და აზროვნების ერთიანობა არ შეიძლება მივიჩნიოთ მათ ი გ ი ვ ე ო ბ ა დ. თუ ენა და აზროვნება **ერთი და იგივეა,** მაშინ არც დაისმის ენისა და აზროვნების **ურთიერთობის** საკითხი.

ამგვარად, ენისა და აზროვნების ურთიერთობის რკვევისას ორი ერთმანეთის მოპირდაპირე გაგება გვაქვს: ერთი ამბობს — ენა მზამზარეული, დანაწევრებული აზრის გარე სამოსიაო; მეორე გვეუბნება — ენა და აზროვნება ერთი და იგივეაო. ორივე გაგება მცდარია.

აზროვნება არ არის მეტყველება, მაგრამ ადამიანის აზროვნება მეტყველების დაუხმარებლად ვერ განხორციელდება: ნორმალური ადამიანის აზროვნება ვერბალური აზროვნების სახით გვევლინება; სიტყვებად ჩამოყალიბებამდე ცნობიერებაში მოგვეპოვება სათქმელი, — აზრის შინაარსი და არა მზამზარეული აზრი.

მხოლოდ მეტყველების წყალობით არის, კერძოდ, შესაძლებელი ის **განყენებული** აზროვნება, ურომლისოდაც წარმოუდგენელი იქნებოდა ფილოსოფია და მეცნიერება, სახელდობრ, სამეცნიერო ცოდნის ისეთი დარგი, როგორსაც წარმოადგენს უმაღლესი მათემატიკა და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული თანამედროვე ტექნიკა.

§ 8. ურთიერთობის საშუალებად ყოფნა – ის არის ენის რაობის განმსაზღვრელი ფუნქცია. რა არის უფრო არსებითი ენისათვის: ის, რომ ენა ურთიერთობის საშუალებაა თუ ის, რომ ენა აზ-

[2] სახელდობრ, როგორც წარმოებს აზრის შინაარსის დანაწევრება შინაგანი მეტყველების დახმარებით — ესაა აზროვნების ფსიქოლოგიის ყველაზე რთული და ჯერჯერობით ნაკლებ შესწავლილი საკითხი.

რის ხორცშესხმაა? ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს უფრო მნიშვნელოვანი იყოს ის, რომ ენა არის აზრის გამოვლენა და არა ის, რომ ენა არის ურთიერთობის საშუალება. კაცი იტყოდა: მეტყველმა რომ გააგებინოს რამე მსმენელს, სათქმელი ჯერ უნდა გამოხატოს, გადმოსცეს სიტყვებით. თუ არაფერი გვექნება სათქმელი, რაღას გავაგებინებთ მსმენელს.

ნამდვილად კი, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ენის იმ ფუნქციას, რომელიც ურთიერთობის საშუალებად ყოფნაში მდგომარეობს (ე. წ. საკომუნიკაციო ფუნქციას). რომ ეს ასეა, ჩანს შემდეგიდან: ენა შეიქმნა ადამიანთა საზოგადოებაში, როგორც ურთიერთობის საშუალება და არა, როგორც აზრის გამოხატვის საშუალება. თუ ენას ურთიერთობის საშუალებად აღარ ხმარობენ, მასზე აზროვნებაც არ მოუხერხდებათ: აზროვნებენ იმ ენაზე, რომელიც ურთიერთობის ძირითად საშუალებას წარმოადგენს. დედაენაზედაც კი ვეღარ აზროვნებს ადამიანი, თუ საშუალება არა აქვს მასზე ისაუბროს, გამოიყენოს ის ურთიერთობის საშუალებად (ასე, მაგალითად, თუ სხვა ენაზე მოუბართა წრეში იმყოფება დიდხანს).

ამიტომაა, რომ ურთიერთობის ყოველგვარ საშუალებას გადატანით ენად მიიჩნევენ. ენა, რომელსაც ურთიერთობის საშუალებად აღარ ხმარობენ, აზროვნების იარაღადაც ვერ დარჩება. ასეთი ენა მკვდარია.

ლათინური ენა საუკუნეთა მანძილზე რომის იმპერიის ოფიციალური ენა იყო. ამ ენაზე საუბრობდნენ, ამ ენაზე წერდნენ. ლათინურ ენაზე აზროვნებდა ყველა, ვინც ამ ენას ფლობდა და ამ ენაზე ლაპარაკობდა. ლათინურ ენას ჰქონდა დახვეწილი გრამატიკული სისტემა.

მაგრამ დროთა ვითარებაში ლათინური ენა გამოვიდა ხმარებიდან, როგორც ურთიერთობის საშუალება. ამის შემდეგ ის აზროვნების იარაღიც აღარ იყო. რაკი ლათინურად არ ლაპარაკობდნენ და რაკი ლათინურად აღარ აზროვნებდნენ, ლათინური იქცა მკვდარ სამწერლო ენად.[3] ლათინურის ადგილი დაიჭირა ენებმა: იტალიურმა, ესპანურმა, ფრანგულმა... ეს ენები დახვეწილობით ლათინურს ვერ შეედრებოდნენ, მაგრამ მათ ძირითადი უპირატესობა ჰქონდათ: ეს ენები ცოცხალი ენები იყო, ე. ი. ურთიერთობის საშუალებად, აზროვნების იარაღად იხმარებოდა.

---

[3] ლათინური ენა ამის შემდეგაც დიდხანს ცოცხლობდა ხელოვნურად — სპეციალისტთა წრეში. მედიცინაში, აფთიაქში ლათინურს ახლაც ხმარობენ ბევრ ქვეყანაში, მაგრამ ამის გამო იგი ცოცხალ ენად ვერ ჩაითვლება: არც ერთი ბავშვი არ სწავლობს აკვანში ლათინურს, როგორც დედაენას.

ენის საზოგადოებრივ არსს განსაზღვრავს მისი დანიშნულება — ურთიერთობის საშუალება (შაშასადამე, „საკომუნიკაციო ფუნქცია") და არა აზრის გამოხატვის საშუალებად ყოფნა (ე. წ. „ექსპრესიული ფუნქცია").

§ 9. ენა საზოგადოებრივი ცხოვრების შესაძლებლობის აუცილებელი პირობაა. ენა ემსახურება საზოგადოებას, როგორც ურთიერთობის იარაღი, აზრთა გაცვლისა და ურთიერთგაგების საშუალება; ამაში მჟღავნდება ენის საზოგადოებრივი ბუნების ერთი მხარე. ორანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე მხარე: ენა აუცილებელია საზოგადოების არსებობისათვის.

რაგვარ საზოგადოებას უფრო სჭირდება ენა? **ყოველგვარ საზოგადოებას და ყოველთვის.** იყო დრო, როცა მწერლობა არ არსებობდა: ადამიანმა, წერა რა იყო , არ იცოდა, მაგრამ ლაპარაკი მაშინაც შეეძლო. კაცობრიობის ისტორიაში ცნობილია ისეთი ხანა, როდესაც კერძო საკუთრება არ არსებობდა, არც სახელმწიფო არსებობდა.

მაგრამ ისეთი ვითარება კი წარმოუდგენელია, რომ ადამიანთა საზოგადოება არსებულიყოს და ენა კი არ ჰქონოდეთ, ლაპარაკი არ შესძლებოდეთ. ენის, როგორც ურთიერთობის საშუალების გარეშე, წარმოუდგენელია კაცობრიობის არსებობა მომავალშიც.

§ 10. რა შეადგენს კონკრეტულ ენის საშუალებას? ზევით (§§ 4, 5, 8), როდესაც ენის საზოგადოებრივ ბუნებას ვახასიათებდით, ჩვენ მხედველობაში გვქონდა, საერთოდ, ენა, ადამიანის მეტყველება. მაგრამ ეს მეტყველება კონკრეტულ ენათა სახით არის მოცემული: ქართული, რუსული, უკრაინული, სომხური, ჩინური, არაბული და მრავალი სხვა ენის სახით.

რა არის არსებითი ცალკეული ენისათვის? ორი რამ: გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი.

ძირითად ლექსიკურ ფონდში შედის ის სიტყვები, რომლებიც ქმნიან ლექსიკის ყველაზე ძველსა და ყველაზე აუცილებელ ნაწილს; ასეთი სიტყვები იქნებოდა: დედა, მამა, და, ძმა, ცოლი, შვილი, ბებია, პაპა, კაცი, ქალი... მიწა, წყალი, ცეცხლი, ქვა, ენა, სიტყვა... დღე, ღამე, მზე, მთვარე, ვარსკვლავი... სოფელი, ქალაქი, სახელმწიფო, საბჭო... ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, შვიდი.., ათი, ოცი... ასი, ათასი... პირველი, მეორე, მესამე... მე, შენ, ის, ჩვენ, თქვენ, ისინი... ჩემი, შენი, მისი... აქ, იქ, მანდ, გუშინ, ხვალ, ზეგ, დღეს... არის, ზის, დგას... აქვს,

ჰყავს, უყვარს, სძულს, სწყურია, შია, უნდა, თქვა, ამბობს, ქმნის, აშენებს, აკეთებს, ხნავს, თესავს... და მრავალი სხვა.

ძირითად ლექსიკურ ფონდში შედის ძირეული სიტყვები (და, ძმა, კაცი, დღე...), მაგრამ აქ შეიძლება ნაწარმოები სიტყვებიც გვქონდეს (ძმობა, ძმური, კაცური, დღიური, დღეობა, მზიური, ქვეყნიერება...).

ისეთი სიტყვები, ვთქვათ, როგორიცაა: „ტრამვაი“, „ტროლეიბუსი“, „ალგებრა“, „ტრიგონომეტრია“, „ექვივალენტი“, „კონდენსატორი“... ქართული ენის ძირითად ლექსიკურ ფონდს, ცხადია, არ მიეკუთვნება (არც ძველია და არც აუცილებელი ენისათვის); მეორე მხრივ, უდავოა, რომ სიტყვები „დედა“, „მამა“, „და“, „ძმა“, „სახლი“, „ქარი“, „თავი“, „გული“... ქართული ენის ძირითად ლექსიკურ ფონდში შედის.

მაგრამ ასევე მარტივი არაა ყველა სიტყვის საკითხი: ბევრია ისეთი სიტყვა, რომ ერთბაშად ვერ ვიტყვით, რას ეკუთვნის იგი: ძირითად ლექსიკურ ფონდსა თუ საერთოდ ლექსიკურ შედგენილობას. აქედან ის დასკვნა არ უნდა გაკეთდეს, თითქოს ძირითადი ლექსიკური ფონდის სიტყვათა გამოყოფა არაა საჭირო. პირიქით, ამ სიტყვათა გამოყოფა აუცილებელია.

ძირითადი ლექსიკური ფონდის გამოყოფას ართულებს ერთი გარემოება: ეს ფონდი უცვლელი როდია: მასშიც შედის ახალი სიტყვები, ზოგ-ზოგი სიტყვა შეიძლება კიდეც გამოაკლდეს. ენის ცვლა ძირითად ლექსიკურ ფონდსაც ეხება. ისიც იცვლება, იცვლება მეტად ნელა, მაგრამ მაინც იცვლება (ამის შესახებ იხ. § 19).

გრამატიკულ წყობას განსაზღვრავს **სიტყვის მორფოლოგიური თვისებები** და **სიტყვათა შენაერთის,** წინადადების **სინტაქსური თვისებები.**

ერთი მორფოლოგიური ტიპის ენებს თუ ავიღებთ, მათში გრამატიკული წყობის მხრივ ბევრი რამ შეიძლება იყოს საერთო, მაგრამ ორი ენა, რაც უნდა ახლოს იყოს ერთმანეთთან, მაინც არ მოგვცემს გრამატიკული წყობის იგივეობას (მაშინ ეს არც იქნებოდა ორი ენა). რაც შეეხება განსხვავებას, გრამატიკული წყობის სხვაობა ენაში შეიძლება ძალიან შორს მიდიოდეს. ბევრ ენას აქვს მდიდარი მორფოლოგია (სიტყვათა ნაირ-ნაირი ცვლა), მაგრამ შეიძლება ენაში სიტყვა სულ არ იცვლებოდეს და სიტყვათა ურთიერთობა სხვა — სინტაქსური — საშუალებით გადმოიცემოდეს: გრამატიკული წყობა უმორფოლოგიოდ შესაძლებელია, უსინტაქსოდ — არა (დაწვრილებით — მორფოლოგიაში).

ძირითადი ლექსიკური ფონდი დროთა ვითარებაში იცვლება, მეტად ნელა, მაგრამ მაინც იცვლება. ენაში **ყველაზე მკვიდრი** სწორედ

გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდია.

აქვე შეიძლებოდა შემოგვეტანა ბგერითი შემადგენლობაც, მაგრამ ბგერითი შემადგენლობა არაა ისე ნიშანდობლივი, როგორც გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი: ბგერითი შემადგენლობის მხრივ ენები იმდენად არ განსხვავდებიან ერთი მეორისაგან; გარდა ამისა, ბგერითი შემადგენლობა ჩვეულებრივ არ არის ისე გამძლე, როგორც გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი.

ენის საფუძვლის დადგენით ენათმეცნიერებამ მოიპოვა გარკვეული საზომი იმის გასარჩევად, როდის გვაქვს ენა და როდის — დიალექტი, როდის გვაქვს ერთი ენის ვარიანტები და როდის — ერთი ენიდან მიღებული სხვადასხვა ენები. მართლაცდა, სხვადასხვა ენის შესახებ შეიძლება ვილაპარაკოთ, თუ სხვადასხვა გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი გვაქვს. რუსულსა და უკრაინულს, აზერბაიჯანულსა და ყაზახურს, ლიტვურსა და ლატვიურს საკუთარი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი აქვთ და, მაშასადამე, ცალკეულ ენებს წარმოადგენენ.

ერთი და იმავე ენის განვითარების პროცესში შეიძლება მივიღოთ თვალსაჩინო სხვაობა გრამატიკული წყობისა და ძირითადი ლექსიკური მარაგის მხრივ. ამისდა მიხედვით გაირჩევა, მაგალითად, ძველი ქართული და ახალი ქართული ანდა ძველი სომხური და ახალი სომხური.

ძველი ქართულისა და ახალი ქართულის გარდა ზოგჯერ საშუალო ქართულსაც გამოყოფენ. თუ საშუალო ქართულს აღმოაჩნდება იმ რიგის სხვაობა ძველ ქართულთან და ახალ ქართულთან შედარებით, რაგვარიც ძველ ქართულსა და ახალ ქართულს შორის არსებობს, საშუალო ქართული უნდა გამოიყოს ცალკე ერთეულად (ნამდვილად კი საშუალო ქართულის გრამატიკულ წყობასა და ძირითად ლექსიკურ ფონდში არ შეიმჩნევა ისეთი სხვაობა, რომ საშუალო ქართული ძველ ქართულსა და ახალ ქართულს გვერდით ამოუდგეს, როგორც თანატოლი ოდენობა, ე. ი. საშუალო ქართული ცალკე ერთეულად არ გამოიყოფა).

ძველი ქართული და ახალი ქართული წარმოადგენს **საერთო ენობრივი საფუძვლის ვარიანტებს და არა სხვადასხვა საფუძველს.**

ეგევე ითქმის ძველი სომხურისა და ახალი სომხურის, ძველი ფრანგულისა და ახალი ფრანგულის შესახებ.

ფრანგული ენა განვითარდა ხალხური ლათინურისაგან, მაგრამ

ფრანგული იმდენად განსხვავებულია — გრამატიკული წყობისა და ძირითადი ფონდის მიხედვით — ლათინურისაგან, რომ აქ ერთი ენობრივი საფუძვლის ვარიანტები კი არა გვაქვს, არამედ ახალი ენობრივი საფუძველი: ფრანგულში ახალი საფუძველი გვაქვს და, მაშასადამე, ახალი ენა.

§ 11. ენა, როგორც სისტემა. ყოველი ენის საფუძველს წარმოადგენს გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი (იხ. § 10). ძირითადი ლექსიკური ფონდის ბაზაზე აიგება ენის ლექსიკური შემადგენლობა. როგორც გრამატიკული წყობა, ისე ლექსიკური შემადგენლობა სისტემას ქმნიან. ენა **სისტემას** წარმოადგენს. საყოველთაოდ ცნობილია გამოთქმები: „ამა და ამ ენის ბრუნების სისტემა რთულია", „ამა და ამ ენის უღვლილების სისტემა მარტივია"... საკმარისია გავერკვეთ ასეთ გამოთქმათა რეალურ შინაარსში, რომ გასაგები გახდეს, რასაც ნიშნავს დებულება: „ენა წარმოადგენს სისტემას".

რა ახასიათებს სისტემას, საერთოდ? როგორია სისტემის ძირითადი ნიშნები? ერთი საგანი (ფაქტი) ვერავითარ სისტემას ვერ შექმნის. სისტემის მისაღებად აუცილებელია გვქონდეს საგანთა (ფაქტების...) სიმრავლე. მაგრამ ყოველგვარი სიმრავლე სისტემის სახით არ არის მოცემული; სიმრავლე შეიძლება იყოს ქაოსური, მოუწესრიგებელი ანდა ორგანიზებული, მოწესრიგებული. მოწესრიგებული ის იქნება იმ შემთხვევაში, თუ მთლიანის შემადგენელი ელემენტები გარკვეულ ურთიერთობაში იმყოფებიან ერთმანეთთან. უმარტივესი მაგალითი: აუდიტორიაში ოთხმოცი მერხია; ეს მერხები შეიძლება დავალაგოთ ათ მწკრივად ისე, რომ თითოეულ მწკრივში რვა მერხი იყოს, ხოლო შუაში დარჩეს გასასვლელი, რომლის ორივე მხარეს ოთხ-ოთხი მერხია. ეგეთივე ოთხმოცი მერხი შეიძლება ყოველგვარი წესრიგის გარეშე დავყაროთ აუდიტორიაში, — ერთი მეორეზე, ერთი მეორის გარდიგარდმო. პირველ შემთხვევაში გვექნება მოწესრიგებული სიმრავლე, მეორეში — მოუწესრიგებელი, ქაოსური. ეს არის მოწესრიგების უმარტივესი შემთხვევა: მერხები კონკრეტული საგნებია, მათი ურთიერთობა ჩვენს მაგალითში განსაზღვრული იყო ადგილით, რომელიც უჭირავს თითოეულ მათგანს სივრცეში (კონკრეტულად: აუდიტორიაში). მაგრამ სისტემა შეიძლება შექმნას სასწავლებლებმა: არასრული საშუალო სკოლა (შვიდწლედი), სრული საშუალო სკოლა (ათწლედი), უმაღლესი სასწავლებელი (უნივერსიტეტი, ინსტიტუტი...). სისტემა შეიძლება შექმნას ც ნ ე ბ ე ბ მ ა : ოთხკუთხედი — სწორკუთხედი — კვადრატი...; მცენარე —

ხე — მუხა (თითოეული ამ ცნებათაგანი გარკვეულ მიმართებაშია სხვებთან, კერძოდ: თითოეული მათგანი წარმოადგენს უფრო ზოგად ცნებას მომდევნო ცნებასთან შედარებით). ყოველი სისტემა ქმნის ერთ **მთლიანს** სწორედ იმის გამო, რომ მისი ნაწილები ერთმანეთთან გარკვეულ კანონზომიერ ურთიერთობაში იმყოფებიან.

ენაში ჩვენ გვაქვს წინადადებები, რომლებიც სიტყვებისაგან შედგება; ეს სიტყვები სხვადასხვაგვარად იცვლება, მაგრამ მათი ცვალებადობა ნებისმიერი კი არ არის, არამედ კანონზომიერია, ინდივიდუალური კი არაა თითოეული სიტყვის მიმართ, არამედ სიტყვათა მეტი ან ნაკლები მოცულობის ჯგუფებს ეხება. ასე, მაგალითად, ქართულში მიცემით ბრუნვას -ს აქვს დაბოლოებად: ქვა-ს, ხე-ს, სოკო-ს, ყრუ-ს... კაც-ს, ქალ-ს, სახლ-ს, კარ-ს... -ს დაბოლოება აქვს მხოლობითშიცა და მრავლობითშიც: ქვებ-ს, ხეებ-ს, სოკოებ-ს, ყრუებ-ს... კაცებ-ს, ქალებ-ს, სახლებ-ს, კარებ-ს...

მოთხრობით ბრუნვაში ხან -მ გვაქვს, ხან — -მა: ქვა-მ, ხე-მ, სოკო-მ, ყრუ-მ... კაც-მა, ქალ-მა, სახლ-მა, კარ-მა... ქვებ-მა, ხეებ-მა, სოკოებ-მა, ყრუებ-მა... კაცებ-მა, ქალებ-მა, სახლებ-მა, კარებ-მა...

როგორც აქედან ჩანს, -მ დაბოლოება მაშინ გვაქვს, თუ იმის წინ ხმოვანია, ფუძე ხმოვნით ბოლოვდება, -მა — კიდევ მაშინ, თუ სახელის ფუძე თანხმოვნით ბოლოვდება.

მაშასადამე: მიცემითს ერთი ნიშანი აღმოაჩნდა. მოთხრობითს — ერთი ნიშნის ორი სახეობა. მოთხრობითში უფრო რთული ვითარება გვაქვს, მიცემითში — მარტივი: მოთხრობითში ორი ფორმულა დაგვჭირდა, მიცემითში ერთი კმარა. შეიძლება ორმა დაბოლოებამ არ იკმაროს, მეტი ფორმულა დაგვჭირდეს.

დავასახელოთ ორიოდე ფაქტი სხვა ენებიდან.

რუსული ენის ზმნებს აწმყო დროის მხოლობითი რიცხვის მესამე პირში სხვადასხვაგვარი დაბოლოება აქვს: ზოგს — -ит (глядит, висит, горит, кричит, сидит...), ზოგს — -ёт, -ет (ведёт, несёт, кладёт, плетёт, читает, отвечает...). ამგვარად: მესამე პირის წარმოება გამოიხატება **ორი ფორმულით** (გრამატიკის ტერმინებით ეს ამგვარად ითქმის: რუსულ ენაში ზმნას აქვს ორი უღვლილება: -ит-ბოლოსართიანი და -ет-ბოლოსართიანი).

თუ ავიღებთ სახელთა ბრუნებას რუსულ ენაში, აღმოჩნდება, რომ ორი ფორმულა არ კმარა ბრუნვათა დაბოლოებების სხვადასხვაობის გამოსახატავად, — **სამი ფორმულა** მაინც დაგვჭირდება. ისეთი სიტყვები, როგორიცაა: корзина (корзины), трава (травы), стена (стены) — ერთ ბრუნებას ქმნიან, ე. ი. ერთი ფორმულის მიხედვით იცვლებიან;

ისეთი სიტყვები, როგორიცაა: дом (дома), стол (стола), конь (коня)... ведро (ведра), море (моря) — მეორე ბრუნებას გვაძლევენ, ხოლო ისეთები, როგორიცაა: дверь (двери), соль (соли), кровь (крови)... — მესამეს.

ლათინურ ენაში გარჩეულია ოთხი უღვლილება: laborat (laborare) „შრომობს", „მუშაობს", docet (docēre) „ასწავლის", legit (legere) „კითხულობს", audit (audīre) „ისმენს", „ესმის". ეს ნიშნავს: ზმნების ცვალებადობა გამოიხატება არა ორი ფორმულით, როგორც ეს რუსულ ენაშია, არამედ — ოთხით. თუ ლათინურ ბრუნებას მივმართავთ, აღმოჩნდება, რომ სახელთა ცვალებადობის ტიპები ხუთ ფორმულას გვაძლევს: სახელთა ერთი ჯგუფი იბრუნვის, როგორც silva (silvae) „ტყე", მეორე — როგორც magister (magistri) „მასწავლებელი", მესამე — როგორც pater (patris) „მამა", მეოთხე — როგორც fructus (fructus) „ნაყოფი", „ხილი" და, ბოლოს, მეხუთე — როგორც res (rei) „საქმე", „საგანი". ლათინური ენის სახელთა ბრუნება უფრო რთულ სისტემას ქმნის, ვიდრე რუსული ენის სახელთა ბრუნება. დავუშვათ ერთი წუთით, რომ ყველა არსებით სახელს ბრუნვათა ერთი და იგივე დაბოლოებები აქვს (ასეთი ვითარებაა, მაგალითად, ქართულ ენაში), ან რომ ყველა ზმნა იუღლება ერთი და იმავე ფორმულის მიხედვით. ეს იქნებოდა ბ რ უ ნ ე ბ ი ს უ მ ა რ ტ ი ვ ე ს ი სისტემა და უ ღ ვ ლ ი ლ ე ბ ი ს უ მ ა რ ტ ი ვ ე ს ი სისტემა.

წარმოვიდგინოთ მეორე უკიდურესობა: ყველა ზმნა (შუშაობს, ზის, იწვის, ყვირის, მოაქვს, ცურავს...) საკუთარ ფორმებს აწარმოებს, სხვადასხვაგვარად იუღლება; დავუშვათ, რომ ყოველი არსებითი სახელი (ბალახი, კალათი, მაგიდა, იატაკი, კასრი, ნიჩაბი, კარი, ფოლადი, დროშა, ცეცხლი...) იბრუნვის თავისებურად, სხვადასხვაგვარი დაბოლოების დართვით. შევძლებდით თუ არა ამ შემთხვევაში გველაპარაკა უღვლილების ან ბრუნების სისტემის შესახებ? რა თქმა უნდა, არა. ჩვენ იმდენი უღვლილება გვექნებოდა, რამდენიც ზმნა არსებობს და იმდენი ბრუნება, რამდენიც — სახელია. მოგვიხდებოდა ბრუნებისა და უღვლილების **ინდივიდუალურად** შესწავლა, თითოეული სახელისა — **ცალკე** და თითოეული ზმნისა — **ცალკე**.

სინამდვილეში ასეთი შემთხვევები არა გვხვდება. სინამდვილეში სახელთა ბრუნება, ზმნების უღვლილება გამოიხატება ფორმულათა განსაზღვრული რაოდენობით. ეს ფორმულები ერთ ენაში მეტია, მეორეში — ნაკლები. **რაც მეტია ფორმულები, მით ნაკლებ ფაქტებს მოიცავს თითოეული მათგანი, მით უფრო რთულია უღვლილების ან ბრუნების სისტემა, და — პირიქით.**

იგივე შეიძლება ითქვას სიტყვაწარმოების შესახებაც. ავიღოთ, მაგალითად, სახელებისაგან განყენებული არსებითი სახელების წარმოება. ქართულში გვაქვს: ბავშვი — ბავშვობა, ძმა — ძმობა, ახალგაზრდა — ახალგაზრდობა, მეგობარი — მეგობრობა... მაგრამ: ბედნიერი — ბედნიერება, ძლიერი — ძლიერება, წესიერი — წესიერება... ანდა: ბრძენი — სიბრძნე, ახალი — სიახლე, გიჟი — სიგიჟე, ძველი — სიძველე... მაგრამ: თბილი — სითბო, ტკბილი — სიტკბო, რბილი — სილბო... მსგავსი მაგალითები რუსულიდან: молодой – молодость, старый – старость, сырой – сырость, твердый – твердость; новый – новость (და новизна); узкий – узость; бедный – бедность (შდრ. беднота); მაგრამ высокий – высота, широкий – широта, красный – краснота; შემდეგ: белый –белизна, кривой – кривизна...

წინადადებებში სიტყვათა შეკავშირება გარკვეულ ფორმულებამდე დაიყვანება. ამასთანავე, თითოეული ფორმულა შემთხვევათა გარკვეულ ჯგუფს მოიცავს. ამის მარტივ ნიმუშს გვაძლევს ზედსართავის შეთანხმება არსებით სახელთან: высокий – дом, столб, парень... მაგრამ: высокая – башня, стена, скала... высокое – дерево, окно... არსებით სახელებთან დაკავშირების ყველა შემთხვევისათვის მხოლოობით რიცხვში სულ სამი ვარიანტი გვაქვს. მრავლობით რიცხვში კი ყველა სახელისათვის გამოყენებულია ზედსართავი სახელების მხოლოდ ერთი ვარიანტი, მხოლოდ ერთი ფორმულა: высокие – дома, столбы, башни, скалы, деревья...

ენიხ სისტემა კონკრეტულ გამოხატულებას პოვებს სიტყვათა ცვალებადობის ფორმულებში, სიტყვათა შეკავშირების ფორმულებში[4]. ყველაზე ნათლად ენის სისტემური ხასიათი იგრძნობა ახალი, არამშობლიური ენის გრამატიკული წყობის შეთვისების პროცესში ან ერთი ენიდან მეორეში სიტყვათა სესხების პროცესში. რუსული სიტყვა Алёша იაპონელის მიერ წარმოითქმის როგორც Арёша: იაპონურ ენას არ მოეპოვება **л** ბგერა, ნასესხებ სიტყვებში მას ენაცვლება ნარნარა **р**. იმავე მიზეზის გამო რუსული გვარი Жуковский გერმანული წარმოთქმით იქნება Шуковский (Schukowsky): გერმანულ ენას არა აქვს **ж** ბგერა, ნასესხებ სიტყვებში მას ენაცვლება იმავე რიგის **ш** ბგერა. XIX ს. ქართული ლიტერატურის კლასიკოსის ილია ჭავჭავაძის გვარი რუსულ ენაში გადმოცემულია **ч**-თი (Чавчавадзе), რადგანაც რუსულისათვის უცხოა სპეციფიკური მკვეთრი **ჭ** ბგერა, რომელიც გვხვდება იბერიულ-კავკასიურ ენებში. ყველა ამ შემთხვევაში სხვა ენის მასა-

[4] ბგერებსა და მათ შეერთებასაც სიტყვებში სისტემური ხასიათი აქვს.

ლა გადამუშავდება შემთვისებელი ენის მოქმედი ნორმების მიხედვით. ბერძენი ფილოსოფოსის პლატონის სახელი თურქულ წარმოთქმაში იქცევა იფლათუნად: თურქული ენა ვერ იტანს სიტყვის თავში რამდენიმე თანხმოვანს. რუსული, გერმანული, ლათინური ენების შესწავლისას ზედსართავის შეთანხმებას სქესში ძნელად ითვისებს მოსწავლე, თუ მისი მშობლიური მეტყველება არ განასხვავებს სქესებს ("высокий (!) скала" მისთვის ისევე ბუნებრივია, როგორც "высокий дом"). ასევე, "ученик купил книга(!)" შეიძლება თქვას რუსულის სუსტად მცოდნე ისეთმა პირმა, რომლის დედაენაშიც არ არსებობს ბრალდებითი ბრუნვა: რუსულ ფრაზას ის აგებს მშობლიური ენის სინტაქსური ნორმების მიხედვით, ავლენს რა ამგვარად მშობლიური მეტყველების სინტაქსური სისტემის თავისებურებებს. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ მანამდე გაგრძელდება, სანამ შემსწავლელი კარგად შეითვისებდეს შესასწავლ ენას.

შესაძლებელია პრაქტიკულად მშვენივრად ვიყენებდეთ ენას, როგორც ურთიერთობისა და აზრის გამოხატვის საშუალებას, მაგრამ არ ვიცოდეთ ის ფორმულები, რომლებშიაც გამოიხატება ბრუნების, უღვლილების, სიტყვაწარმოების სისტემა, გაბმულ მეტყველებაში სიტყვათა შეკავშირების სისტემა; ყოველივე ამას სწავლობენ სათანადო ენის გ რ ა მ ა ტ ი კ ა შ ი. ენის პრაქტიკული დაუფლება არ ნიშნავს ამ ენის გრამატიკის ცოდნას (ასევე, ვთქვათ, სიარული რომ შეგვიძლია, ეს როდი ნიშნავს იმას, თითქოს მოგვეპოვებოდეს სათანადო ცოდნა ანატომიიდან და ფიზიოლოგიიდან). დედაენის სისტემაც საგანგებო შესწავლას მოითხოვს. მასთან მშობლიური ენის გრამატიკის შესწავლა სრულიადაც არ არის უფრო ადვილი, ვიდრე რომელიმე ისეთი ენის გრამატიკის შესწავლა, რომელიც ჩვენ პრაქტიკულად ვიცით.

გრამატიკული წყობის გამძლეობა, თავის მხრივ, შეპირობებულია მისი სისტემური ხასიათით: გრამატიკული წყობა სწორედ იმის გამო წარმოადგენს წყობას, რომ სათანადო ფაქტები სისტემურ ხასიათს ატარებენ. ენის ფაქტები რომ სისტემურ ხასიათს არ ატარებდნენ, ისინი რომ აგრეგატულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, მაშინ ისევე შეუძლებელი იქნებოდა ლაპარაკი ენის გამძლეობის შესახებ, როგორც შეუძლებელი აღმოჩნდებოდა გრამატიკული წყობის, ენის ამ საფუძვლის, შესახებ ლაპარაკი.

ენა არ წარმოადგენს მრავალი (აფიქსებიანი ან უაფიქსო) სიტყვისა და მათგან ნებისმიერად შედგენილ შესიტყვებათა უბრალო გროვას. ენა არსებობს სისტემის სახით, რომლის შემადგენელი ნაწილებიც გარკვეულ, კანონზომიერ კავშირში იმყოფებიან ერთმანეთთან. ენის

სისტემური ხასიათი ვლინდება, პირველ ყოვლისა, გრამატიკულ წყობაში, რომელიც ენის ერთ საფუძველთაგანს წარმოადგენს. ამით განისაზღვრება ენის, როგორც სისტემის, შესწავლის აქტუალურობა.

ენის, როგორც სისტემის, შესწავლა, მეცნიერული შესწავლის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ეს გამომდინარეობს იმ მეთოდოლოგიური პრინციპიდან, რომ მეცნიერული (დიალექტიკური) შესწავლა მოითხოვს შევისწავლოთ საგანი, როგორც მთლიანობა, შევისწავლოთ მოვლენები ერთმანეთთან კავშირში (მეტაფიზიკა კი განიხილავს მოვლენებს, როგორც ერთმანეთისაგან დამოუკიდებელს, ერთმანეთისაგან მოწყვეტილს). ენის მოვლენები უნდა განვიხილოთ ერთმანეთთან კავშირში, — როგორც სისტემის რგოლები, — და იმ საზოგადოებასთან კავშირში, რომელსაც ენა ემსახურება, (ე. ი. განვიხილოთ ენა, როგორც საზოგადოებრივი მოვლენა).

ენა მთლიანს წარმოადგენს და ეს შეპირობებულია იმით, რომ ენა სისტემაა. ითვალისწინებდა რა ენის მთლიანობას, ზოგი ენათმეცნიერი (მ.მიულერი, ა.შლაიხერი) ცდილობდა გაეტოლებინა ენა ორგანიზმისათვის. ორგანიზმის ცნება მთლიანობის მომენტს შეიცავს; მაგრამ ენა არ შეიძლება მივიჩნიოთ ორგანიზმად. ორგანიზმი იბადება, იზრდება, ბერდება და კვდება. რაც შეეხება ენას, მას არა აქვს ორგანიზმის თვისებები, ენა ბიოლოგიური მოვლენა კი არ არის, არამედ სოციალური, საზოგადოებრივი მოვლენაა. მართალია, ენა წარმოიშობა და ვითარდება, მაგრამ ეს არ არის დაბადებისა და ზრდის ბიოლოგიური პროცესი. როდესაც ენა მეორე ენისაგან ვითარდება (ან ენა წარმოიშობა დიალექტისაგან), ამ შემთხვევაში ამ ახალი ენის წყარო წყვეტს არსებობას, იგი აღარ არსებობს ახალი, მისგან წარმოშობილი, ენის გვერდით. ბიოლოგიურ სამყაროში ერთად შეიძლება არსებობდეს შობილიცა და მშობელიც (და უფრო შორეული წინაპარიც, მაგალითად: პაპა—შვილი—შვილიშვილი), ენებში კი ეს შეუძლებელია.

შემდეგ: ორგანიზმის ზრდა ბიოლოგიური პროცესია, ენის განვითარება კი შეპირობებულია საზოგადოების განვითარებით, იგი სოციალურ პროცესს წარმოადგენს. ორგანიზმი ბერდება და კვდება ცოცხალი ბუნების გარდაუვალი კანონების მიხედვით. ენაც შეიძლება „მოკვდეს", მანაც შეიძლება შეწყვიტოს არსებობა, როგორც ურთიერთობის საშუალებამ. მაგრამ ეს ბიოლოგიურ აუცილებლობას კი არ წარმოადგენს, არამედ მხოლოდ შესაძლებლობაა, რომლის განხორციელებაც დამოკიდებულია იმ საზოგადოებრივ პირობებზე, რომლებშიაც უხდებათ არსებობა ამ ენაზე მოლაპარაკეთ. ამგვარად, ენის მთლიანობა

არ იძლევა საკმაო საფუძველს იმისათვის, რომ ენა გავუტოლოთ ორგანიზმს. ენა სისტემაა და არა ორგანიზმი.

§ 12. ენის ცვალებადობის შესახებ. საძიებლის დასმა. ენა ცვალებად მოვლენას წარმოადგენს. ცვლილებები შეინიშნება ენობრივი სისტემის ყველა რგოლში: ლექსიკურ შემადგენლობაში, გრამატიკულ წყობაში, ბგერით შემადგენლობასა და ბგერით პროცესებში, სიტყვებისა და ფორმანტების მნიშვნელობაში... ენაში ცვლილებებს შევამჩნევთ, თუ შევადარებთ ერთი და იმავე ენის განვითარების სხვადასხვა პერიოდს (მაგ., გიორგი მერჩულის ენა X საუკუნისა, რუსთაველის ენა — ე. ი. XII საუკუნის ქართული სამწერლო ენა — და თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენა).

ენაში ცვლილებებს ამჩნევენ იმ შემთხვევაშიაც, როდესაც აკვირდებიან ერთსა და იმავე ენას მისი გავრცელების სხვადასხვა, ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად დაშორებულ მიწა-წყალზე (ავიღოთ ერთი მხრივ, — ქართლის, მეორე მხრივ — ხევსურეთის ანდა გურიის ქართული მეტყველება). ცვლილებები დროში — ესაა ი ს ტ ო რ ი უ ლ ი ცვლილებები; ცვლილებები, რომლებიც სხვადასხვა გეოგრაფიულ პუნქტში შეინიშნება და უკავშირდება გარკვეულ ტერიტორიაზე ენის გავრცელებას, დ ი ა ლ ე ქ ტ უ რ ი ცვლილებებია. ისტორიული ცვლილებები და დიალექტური თავისებურებანი შინაგანად უკავშირდებიან ერთმანეთს: ამა თუ იმ დიალექტისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი წარმოადგენენ შედეგს ისტორიული განვითარებისა, რომელიც სხვადასხვა პირობებში სხვადასხვაგვარად მიმდინარეობდა.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა განვიხილოთ, ერთი მხრივ, ენათა **დიალექტური** სახესხვაობანი, მეორე მხრივ კი, ენის **ისტორიული** განვითარება.

§ 13. ენა და დიალექტები. დიდ ტერიტორიაზე გავრცელებულ ენაში ყოველთვის გამოიყოფა **დიალექტები** (ბერძნ. სიტყვისაგან dialectos) ანუ **კილოები.** ეს არის ტერიტორიული დიალექტები. დიალექტს ახასიათებს გარკვეული თავისებურებანი, რომლებითაც ერთი დიალექტი განსხვავდება მეორე დიალექტისაგან და აგრეთვე სამწერლო ენისაგან (თუ იგი არსებობს)[3]. ამა თუ იმ დიალექტის თავისებურებებმა შეიძლება თავი იჩინოს იმაში, რომ ერთი დიალექტის გარკვეული სიტყვები არ

[3] დიალექტებისა და სამწერლო (სალიტერატურო) ენის ურთიერთობის შესახებ იხ. § 22.

შეგვხვდება მეორე დიალექტში, ან: სხვადასხვა დიალექტში შეიძლება ერთი და იგივე სიტყვები იხმარებოდეს, მაგრამ ისინი სხვადასხვაგვარად წარმოითქმებოდეს, ანდა ერთგვარად წარმოითქმებოდეს, მაგრამ სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდეთ, ან არადა ერთი და იგივე სიტყვები განსხვავებული იყოს, როგორც წარმოთქმით, ისე მნიშვნელობით; გარდა ამისა, განსხვავება შეიძლება გამოვლინდეს გრამატიკულ ფორმებში (ბრუნების, უღვლილების ფორმებში, გრამატიკული სქესების გაფორმებაში, სიტყვათა შეთანხმებაში, სიტყვათა მართვაში და ასე შემდეგ), ბგერით შემადგენლობაში, ბგერათცვლილებებში.

ავიღოთ მარტივი მაგალითი: ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით ითქმის: „მანდ არის“, („მანდაა“). ამის ნაცვლად სხვადასხვა კუთხის მეტყველებაში გვექნება: „მად არის“ („მადაა“), „მაქ არის“ („მაქაა“), „მადანა არის“ („მადანაა“), „მაქანა არის“ („მაქანაა“), „მაქანე არის“ („მაქანეა“).

კუთხური მეტყველების თავისებურებათა ერთობლიობას დიალექტი ანუ **კილო** ეწოდება.

კილოები გამოიყოფა **ენაში.** ასე, მაგალითად, ქართული ენის კილოებია: ქართლური (მესხურ-ჯავახურითურთ), ქიზიყური, კახური, იმერული, აჭარული, გურული, რაჭული, ხევსურული, თუშური, ფშაური, მოხეური, მთიულური..., ინგილოური (აზერბაიჯანში, ზაქათლის მხარეს), ფერეიდნული (სპარსეთში, ისფაჰანის მხარეს)...

ერთი და იმავე კილოს ფარგლებშიც ვხვდებით სხვადასხვაობას. ამისდა კვალად **კილოში** (დიალექტში) გამოიყოფა **კილოკავები.** ასე, მაგალითად, იმერული კილოს კილოკავები იქნებოდა: ზემოიმერული, და ქვემოიმერული; კახურის კილოკავებია: შიგნიკახური და გარეკახური...

კილოკავზე წვრილი ერთეულია **თქმა:** თქმები გამოიყოფა **კილოკავში.** ქვემოიმერული კილოკავის თქმები იქნებოდა: ხონური, ვანური... შიგნიკახური კილოკავის თქმებად შეიძლება მივიჩნიოთ: ყვარლური, გურჯაანული...

თქმაზე უფრო წვრილი ერთეულია **ქცევა** (ასე, მაგალითად, ვანის თქმის ფარგლებში გამოიყოფოდა უხუთის ქცევა...).

ერთი სოფლის ფარგლებშიც არ გვექნება მეტყველების **სრული** ერთფეროვნება... ორი ადამიანიც კი შეუძლებელია **სავსებით ერთნაირად** ლაპარაკობდეს (სტილი და გამოთქმა მაინც ექნებათ განსხვავებული).

დიალექტური მეტყველების თავისებურებანი რომ ხელშესახები იყოს, მოვიყვანთ ზოგი ქართული კილოს ნიმუშებს.

ქართლური კილო:

... ერთი ბიჭი არი და უჭირამ დიდი პური ხელში და იძახის: პური მამიტანეთ, პური მამიტანეთო! — ბიჭო, მანდე გაქ პური და რაღა გინდა? — ეს რომ გამომელიოს, მერე საიდან მოვიტანო? — მამაშენი სად არი? — შარსა თესამს. — დედაშენი სად არი? — ტირილსა თესამს. — ან შარი რა არი ან ტირილი რა არი? — მამაჩემი ცერცვსა თესამს, გადაიელის ვინმე, მოგლეჯამს, ან მოჰკლამს და ან ზედ შეაკვდება. შარი ეგ არი. ჩვენ მეზობელს შვილი მოუკვდა, დედაჩემი იმასა ტირის, — მერე ან მამა, ან დედა, ან მე მოვკვდებით, მოვლენ და ისინი გვიტირებენ... (ჩაწერილია ვ. თოფურიას მიერ შუა ერედვში 1923 წ. — იხ. კრებული „არილი", გვ. 151-152).

კახური კილო (გარეკახური კილოკავი):

ეხლა დაიწყო ობოლმა: მამაჩემსაო ბევრი ფუტკარი ჰყვანდაო; დილითაო, მიდიოდა ის ფუტკარიო, ჟთვლიდაო და საღამოთი მოდიოდაო,ჟთვლიდაო: ხო არაფერი დააკლდაო. ერთ დროსაო, რო მოიდა ფუტკარი, დათვალა, ერთი ფუტკარი დააკლდა, წავიდა მამაჩემი, ეძება, ეძება... ის ფუტკარი დეეჭირნათ და გუთანში შეებათო. გემეეშო ის ფუტკარი მამაჩემს; დასიებოდაო კისერიო ძალიან უდიერათ, მამაჩემმა გაუჭრა იმ ფუტკარს კისერიო, იმ ფუტკრის კისერზე ამოიდა ერთი დიდი კაკალიო, იმაზე შემოჯდა ფრინველიო და იმ კაკალსა სჭამდაო. მამაჩემმა ერთი ბელტი წამოუსვაო და იმ კაკლი კენწერზე სამი დესეტინა მიწა გაიმართაო... ვხნამდით, ვთესამდით იმ კაკლი კენწერზედაო. ყანა გვედგაო. ერთ დროს მუშა წავასხითო და ყანას ვმკიდითო კაკლის კენწერზედაო. ზაკუშკობამდი ყანა მკეს მუშებმაო... (ჩაწერილია არნ. ჩიქობავას მიერ საგარეჯოს სოფსაბჭოს სოფ. მარიამჯვარში 1923 წ. — იხ. კრებული „არილი", გვ. 81).

ინგილოური კილო (ზაქათლის მხარეს, აზერბაიჯანი):

ერ ქეჩიჲ (=თხა) ყოფილ, სამ წიკოჲ (=თიკანი) ჰყოლი. ანწლი ქოხ გაუკეთები, წიგ წიკოებს დაუყრი, თუთან ტყეში წასულ ბალახ მააზოვნელა (=მოსაძოვრად)[6], შულებიბეჲთ (=შვილებისთვის) კი ჰუთქომ: „შულებო, წავალ, ბალახ მოვზოვნი, დავბრუნდებ, ზუზუებით ზეს მოგიტანყ, ქებით — ბალახს, ჩემ მოსულიანჟა (=მოსვლის ჟამამდე, მოსვლამდე) ყარ მინამს (=კარი ვინმეს) არ გაუღოთ. ქეჩიჲ საზოვნელა წასულ. წიკოებს ქოხი კარებ, ფენჟრებ მაგრა დაუკლუტიაყ (დაუკეტია-

[6] ინგილოურში ძ, ჯ არა გვაქვს; ძ-ს ცვლის ზ (მოზოვნი=მოძოვ, ზუზუ=ძუძუ, ზე=რძე)... ჯ-ს ცვლის ჟ — (ფენჟრებ=ფანჯრები)...

ყე=დაუკეტიათ), შიგ დამდგარან... (ჩაწერილია მოსე ჯანაშვილის მიერ, — იხ. „ძველი საქართველო", ტ. II, 1911-13 წ., განყოფილება IV, გვ. 189).

ფერეიდნული კილო (სპარსეთში, ისფაჰანის მხარეში — სპარსელების მიერ XVII ს. გადასახლებულ ქართველთა სოფლების მეტყველება; სულ 14 სოფელია: მარტყოფი, ქომო მარტყოფი, თოლელი; ნინოწმინდა, სიბაქი...):

ოთხი წელს ემისყე (=ამისგან, ამაზე) წინ ფაიზე (შემოდგომას) ძირობა (=ძვირობა) იყო ფერეიდანში. ქურთები ბეურს მოდიოდეს მოკობრობაზე (=ყაჩაღობაზე). ერთ ღამეს ამბავი მამიტანეს სოფელჩი, სახლჩი, რო გუშინღამაო სიბაქსა, ლანგე-ჩეშმას, წისქილი გოუტეხიაყეო. ხოდა, გოუტანიაყეო ოცი საპალნე ფქილი(ო), რო ღირდა იმაშინ ოთხი ასი თუმანი. მეც მეწყინა. ჯარი წასულაო, მაგდეუნებიაყეო, წამაგსწეუნიაყენ მოკობრებსაო, ვერ მიდგომიანყე მოკობრებსა, ბეურები ყოფილან მოკობრებიო. იქით (=იქიდან) დოუბარებიაყე სიბაქს: კაცი გაგზავნეთ სე(ე)ფოლა ხანთანაო: ჯარი მოგოშელიავოს (=მოგვაშველოს)... (ჩაწერილია არნ. ჩიქობავას მიერ ფერეიდნელ ქართველ სეფოლა იოსელიანისაგან, თბილისში, 1923 წ. — იხ. უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VII, გვ. 222).

ხევსურული კილო:

... მაშინ ერეკლეს შაუქუჩებიან (=შეუგროვებია) თავის ყმან; ბევრ დახჯოცვან. უფრო ჯვსურთა არვინ მამკვდარას ომში, იმით რომ ჯვსურთ ხრუ ყველას ჯაქვი სცმია. ერეკლეს უთქვამ: „რა გინდათ, ჩემნო ჯვსურნო, რომ მაგცათ: თეთრი (=ფული) თუ იარაღი, თუ რვალი?„ ჯვსურთ არაიხად ჯულ არ მაუკიდებაგ, უთქომ: „რად გვინდაგ საჩუქარიგ? განა საჩუქრის გულისად ვიომეთაგ?" მაშინ ერეკლეს მიუცემაგ ზოგისად იარაღი, ზოგისად — თეთრი. გამაბრუნგილან ჯვსურნი, წამასულან. უთქომ წამასვლაში ერეკლისად: „თუ კიდევ რა მაუკდ თათრებს, საჩქაროდ დაგვიბარიდი, მაშინ სათათრეთშიაც აღარ დავაყენებთ". ნეფე ერეკლესაც მადლობა გადაუკდაგ და წასულან ჯვსურნი შინ" (ჩაწერილია ბეს. გაბუურის მიერ, გამოსცა ა. შანიძემ, — იხ. წელიწდეული, I-II, 1923-24 წ., გვ. 164).

გურული კილო:

იყო ცოლ-ქმარი; იგენს არ ყავდენ შვილი. ერ ღამეს დეესიზმა ამ კაცს, რომ შვილი ეყოლებოდა, მარა თვითონ ქე მოკდებოდა. სამი დღით ადრე ქმარმა უთხრა ცოლს, რომ ასთე დემესიზმაო. იმ დროს იყო დევობა და დევები იტაცებდენ ბოჭშებს. ქმარმა გააფთხილა ცოლი: ლოგინობის დროს ისეთ გამოქჩაბულში შესულიყო, რომ დევებს

ვერ მიეგნენ (=მიეგნოთ). მოკტა აი კაცი. მუაწია მოლოგინების დროი. ქალმა მონახა ერთი ყუდრო გამოქუაბული და მოლოგინდა. ბოგშს სამი დღეი რო შუუსრულდა, უშველებელი (=ძალიან დიდი) გახთა... (ჩაწერილია ს. ჟღენტის მიერ; იხ. მისი „გურული კილო“, გვ. 124).

დიალექტები (დიალექტური სხვაობა) მხოლოდ ცოცხალ ენაში ჩნდება. მკვდარი ენა, ხმარებიდან გამოსული ენა აღარ ვითარდება. მას დიალექტური სხვაობა არ შეეძინება (მკვდარ სამწერლო ენაში მხოლოდ ის დიალექტიზმები შეიძლება აღიბეჭდოს, რაც ცოცხალ ენას ახასიათებდა).

კილო (დიალექტი), კილოკავი, თქმა და ქცევა — ეს ოთხი ცნება თავისებურებათა მეტ-ნაკლებობის საფეხურებს გამოხატავს. შეიძლება კილოკავი და ქცევა არც კი გამოვყოთ და დავკმაყოფილდეთ მხოლოდ ცნებებით: **კილო** (დიალექტი) და **თქმა,** ხოლო კილოს ფარგლებში დავაჯგუფოთ ერთმანეთთან ახლოს მდგომი თქმები. ამგვარად, გვექნება ერთ შემთხვევაში უფრო რთული კლასიფიკაცია: **დიალექტი (კილო), კილოკავი, თქმა, ქცევა;** მეორეში — უფრო მარტივი: **დიალექტი (კილო)** და **თქმა.** ყოველ შემთხვევაში, ეს ორი ცნება აუცილებელია, რამდენადაც საჭიროა დავაზუსტოთ ამა თუ იმ მხარის, ოლქის, რაიონის და ა. შ. მეტყველების თავისებურებანი.

კილო, კილოკავი, თქმა, ქცევა შეფარდებითი ცნებებია, ამასთანავე ყველაზე მსხვილ ერთეულს წარმოადგენს კილო; ამაზე დიდი ერთეული უკვე ენა იქნება. ენა იყოფა კილოებად. გარკვეულ საზოგადოებრივ-ისტორიულ პირობებში ამა თუ იმ ენის დიალექტი შეიძლება გადაიქცეს დამოუკიდებელ ენად (იხ. § 21).

მოძღვრებას დიალექტთა (კილოების) **შესახებ ეწოდება დიალექტოლოგია.** უნდა განვასხვავოთ კერძო დიალექტოლოგია (მაგალითად, ქართული დიალექტოლოგია, რუსული დიალექტოლოგია, უკრაინული დიალექტოლოგია, სომხური დიალექტოლოგია...) და დიალექტოლოგია ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით. ეს უკანასკნელი განიხილავს დიალექტთა შესწავლის ზოგად, თეორიულ საკითხებს.

დიალექტოლოგიის, როგორც ზოგადენათმეცნიერული დისციპლინის, ურთულეს საკითხს წარმოადგენს დიალექტთა ერთმანეთისაგან გამიჯვნის საკითხი. ერთი შეხედვით, დიალექტთა გამიჯვნა არ უნდა იყოს ძნელი, თუკი ვიცნობთ მოსაზღვრე დიალექტების თავისებურებებს. ყოველი კილოსთვის ნიშანდობლივია რამდენიმე თავისებურება (მაგალითად, ჭიზიყურისთვის დამახასიათებელია: ჯ ბგერის მჭონეობა (მუჯლი,

ჯარი...), **ხ** ბგერის დასუსტება (შათ მოიყვანეთ...), **ოვი** → **ოი** (მოიდა...), **ავ** → **ამ** (თესამს)... **უე** ნაწილაკის ხმარება ანდა მის ნაცვლად **-თ** სუფიქსის დართვა (იმან ძმებს უთხრაყე... ძმებს უთხრათ...) და სხვ. ყოველი დასახლებული პუნქტი, რომლის მეტყველებაშიაც დადასტურდება ყველა ეს თავისებურება, უეყოყმანოდ შეიძლება მივაკუთვნოთ ქიზიყურ კილოს. მაგრამ როგორ მოვიქცეთ, თუ ყველა ეს თავისებურება კი არ დასტურდება, არამედ — ნაწილი (ორი ან სამი)? მერყეობის შესაძლებლობა მით უფრო მეტი იქნება, რაც მეტია თავისებურებანი: ვთქვათ, არ დადასტურდა არც **ჳ** ბგერა, არც **ხ** ბგერის დასუსტება, მაგრამ გვაქვს „მოიდა“ (ოვი → ოი), თესამს (ავ → ამ), არის: უთხრათ, მაგრამ არ იხმარება: უთხრაყე...

ასეთი მერყეობა, როგორც წესი, განაპირა სოფლებშია მოსალოდნელი, ე. ი. იქ, სადაც ერთი დიალექტი მეორეს ხვდება.

თუ მოსაზღვრე დიალექტებს ყოფს მთა, დიდი მდინარე ან დაუსახლებელი ვრცელი მიწა-წყალი, დიალექტების გამიჯვნა შედარებით ადვილია. მაგრამ, როცა ასეთი გეოგრაფიული დაბრკოლება არ არსებობს და ერთი დიალექტის სოფლები უშუალოდ ეკვრის მეორისას, ჩნდება გარდამავალი ზოლი მერყევი თავისებურებებით.

§ 14. ლინგვისტური გეოგრაფია. დიალექტთა გამიჯვნისას თითქმის ყოველთვის იგრძნობა ერთგვარი სიძნელეები. მაგრამ ეს სიძნელენი მატულობს, როდესაც იზრდება დიალექტთა ურთიერთზე გავლენა, რაც თავის მხრივ გამოწვეულია სხვადასხვა დიალექტის წარმომადგენელთა ინტენსიური ურთიერთობით. ზოგი საზღვარგარეთელი დიალექტოლოგი ცდილობდა თავისებური გზით აეცლო გვერდი ამ სიძნელეებისათვის: კერძოდ, ისინი ცდილობდნენ **შეეხწავლათ თავისებურებანი** ისე, რომ არ **გაეერთიანებინათ ისინი დიალექტებად** (კილოებად) და ა. შ. თავისებურებანი შეისწავლებოდა კარტოგრაფიული წესით. რუკაზე აღნიშნავდნენ იმ ადგილებს, სადაც გარკვეული თავისებურება იჩენდა თავს. ამა თუ იმ თავისებურების გავრცელების ფარგლები აღინიშნებოდა ხაზით, რომელსაც ი ს ო გ ლ ო ს ა ეწოდება (ბერძნ. isos „თანაგვარი“, glossa „მეტყველება“, „ენა“)[7]. იქმნება იმდენი

[7] შდრ. იზოთერმა — უფრო სწორად: ისოთერმა — ხაზი, რომელიც აერთიანებს ერთნაირი ტემპერატურის მქონე გეოგრაფიულ პუნქტებს, იზობარი — უფრო სწორად: ისობარი — ხაზი, რომელიც აერთიანებს ერთნაირი ატმოსფერული წნევის გეოგრაფიულ პუნქტებს...

რუკა, რამდენ თავისებურებასაც სწავლობენ. ცალკეულ თავისებურებათა რუკები ერთიანდება ატლასში, ე. წ. **ლინგვისტურ ატლასში** (უფრო ზუსტად: ენობრივ ატლასში). ასე შეისწავლება ენობრივი თავისებურებანი, მათი გეოგრაფიული გავრცელების ფარგლები და შესწავლილის შედეგები აისახება რუკაზე. ამგვარად, დიალექტების კარტოგრაფიული შესწავლის პროცესში აღმოცენდა **ლინგვისტური გეოგრაფია.**

ლინგვისტური გეოგრაფია (ყოველ შემთხვევაში, მისი ის ვარიანტი, რომელიც საფრანგეთშია წარმოდგენილი ჟილიერონის სკოლით) **დიალექტურ თავისებურებებს** სწავლობს, მაგრამ **დიალექტთა არსებობას უარყოფს:** გვაქვს დიალექტური თავისებურებანი, მაგრამ არ არსებობს თავისებურებათა **ერთობლიობა,** რომელიც გავრცელებული იყოს განსაზღვრულ ტერიტორიაზეო. შესაძლებელია განვსაზღვროთ **ცალკეულ თავისებურებათა** გავრცელების ტერიტორია, მაგრამ შეუძლებელია განვსაზღვროთ **დიალექტის,** როგორც **თავისებურებათა ერთობლიობის,** გავრცელების ტერიტორია, რადგანაც ისოგლოსები ერთმანეთს კი არ ემთხვევიან, არამედ ერთმანეთს გადაკვეთენ ხოლმეო. „დიალექტოლოგია, რომელიც უარყოფს დიალექტების არსებობას", — ასე შეიძლება დავახასიათოთ საზღვარგარეთული ლინგვისტური გეოგრაფიის ზოგიერთი მიმდინარეობის თვალსაზრისი. ეს მიმდინარეობანი არსებითად შორდებიან ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების თვალსაზრისს ამ საკითხში (და რიგ სხვა საკითხშიც).

იქ, სადაც დიალექტები ინტენსიურად მოქმედებენ ერთმანეთზე, მათი გამიჯვნა ძნელია, მაგრამ ამით დიალექტთა საკითხი არ მოიხსნება: პერიფერიაზე ისინი შეიძლება შეერწყმოდნენ ერთმანეთს, მაგრამ შესაძლებელია თითოეული მათგანის ბირთვი გამოიყოს: ფრანგული ენის პიკარდიულ და ლოტარინგიულ დიალექტებს არ დაუკარგავთ თავიანთი ინდივიდუალურობა, მიუხედავად დიალექტურ თავისებურებათა მოშლის ძლიერი პროცესისა საფრანგეთში.

მით უფრო ეს ითქმის ქართული, სომხური, რუსული, უკრაინული და ბევრი სხვა ენის დიალექტთა გამიჯვნის შესახებ.

ლინგვისტური გეოგრაფია ფასეულია არა დიალექტთა არსებობის უარყოფის გამო, არამედ, მიუხედავად ამ უარყოფისა, დიალექტურ თავისებურებათა შესწავლის **კარტოგრაფიული მეთოდის** გამო, რაც საშუალებას იძლევა თვალსაჩინოდ იქნეს წარმოდგენილი დიალექტურ თავისებურებათა განლაგება რუკებზე ისოგლოსების ან სხვა პირობითი ნიშნების საშუალებით; მაგალითად: რუკაზე ყოველ დასახლებულ პუნ-

ქტთან აღნიშნული იქნება მისთვის დამახასიათებელი თავისებურება, — ან გრაფიკულად ან პირობითი ნიშნების საშუალებით, — დავუშვათ, რა სახისაა ჩვენებითი ნაცვალსახელები (**ეს** თუ **აგი, ის** თუ **ოგი**) ანდა ადგილის ზმნისართები (**აქ** თუ **აქანა, აქანე... მანდ** თუ **მად, მადანა, მადანე, მაქანე**... სად რომელი ამ ვარიანტთაგანი იხმარება ცოცხალ დიალექტურ მეტყველებაში და ა. შ.).

დიალექტურ თავისებურებათა შესწავლის კარტოგრაფიული მეთოდი შეიძლება განვახორციელოთ ამ თავისებურებათა ადგილზე უშუალოდ შესწავლის გზით (ამას ეწოდება **პირდაპირი მეთოდი**) ანდა **ანკეტების** საშუალებით. ყველაზე ფასეულია თავისებურებათა შესწავლა ადგილზე უშუალო დაკვირვების წესით, ე. ი. პირდაპირი მეთოდით. ანკეტურ წესს ის უპირატესობა აქვს, რომ შეიძლება გამოვიყენოთ დიდი **მასშტაბით, და დიალექტოლოგიურ მუშაობაში** ადგილობრივი ინტელიგენცია **ფართოდ ჩავაბათ;** მაგრამ ანკეტური წესით შეკრებილი მონაცემები შემდეგ მაინც უნდა შემოწმდეს პირდაპირი მეთოდით.

თავისთავად ცხადია, რომ ანკეტური წესით მუშაობისას წინასწარ უნდა შეირჩეს ის **თავისებურებანი,** რომელთა არსებობა ან არარსებობა უნდა შემოწმდეს ამა თუ იმ პუნქტში. საჭიროა კითხვანი, საჭიროა პროგრამა ადგილობრივი კილოების თავისებურებათა შესაგროვებლად. გასაგებია, რომ ამ პროგრამების კონკრეტული შინაარსი სხვადასხვა ენისათვის სხვადასხვაგვარი იქნება, იმისდა მიხედვით, თუ როგორია შესასწავლი ენის დიალექტური თავისებურებანი.

ამგვარად, „პროგრამის“ შედგენა გულისხმობს, რომ წინასწარი მუშაობა უკვე ჩატარებულია და, ყოველ შემთხვევაში, ზოგადად მაინც დადგენილია, ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკის რა თავისებურებები უნდა იქცეს დაკვირვების საგნად.

ქართული ენის დიალექტოლოგიური შესწავლის მოკლე პროგრამა (უკეთ: ინსტრუქცია) შეადგინა პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრემ ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით (1911 წ.); დიალექტოლოგიური ლექსიკის შეგროვების პროგრამა შეადგინა ქართულმა საენათმეცნიერო საზოგადოებამ 1927 წელს.

§ 15. სოციალური დიალექტები და ჟარგონები. ტერიტორიული დიალექტებისაგან უნდა განვასხვავოთ **სოციალური** დიალექტები. როდესაც სოციალური დიალექტების შესახებ ლაპარაკობენ, მხედველობაში აქვთ ამა თუ იმ საზოგადოებრივი კლასის, ამა თუ იმ

საზოგადოებრივი ჯგუფის, გარკვეული პროფესიის, გარკვეული სპეციალობის პირთა მეტყველების **თავისებურებანი.** მაშასადამე, სოციალური დიალექტების ნიმუშებს წარმოადგენს: ფეოდალური არისტოკრატიის, ბურჟუაზიის (კერძოდ, მისი ზედა ფენების) „კლასობრივი“ დიალექტები (უფრო ზუსტად, ჟარგონები); ამა თუ იმ სპეციალობის მუშათა: ფეიქრის, მეწაღის, დურგლის, კალატოზის, მელითონის, რკინიგზელის... მეზღვაურის... მეტყველების თავისებურებანი; სხვადასხვა სპეციალობის გონებრივ მუშაკთა (ექიმის, აგრონომის, მათემატიკოსის, მუსიკის მცოდნის, ფილოლოგის...) მეტყველების თავისებურებანი.

სოციალურ დიალექტებს გარკვეული **თავისებურებები** ახასიათებს; ეს არის ტერიტორიული და სოციალური დიალექტების საერთო ნიშანი: მეტყველების თავისებურებათა გარეშე, საერთოდ, დიალექტი არც გვექნებოდა. მაგრამ სოციალური დიალექტები განსხვავდება ტერიტორიულისაგან რიგი მნიშვნელოვანი მომენტის მიხედვით.

ტერიტორიული დიალექტები გამიჯნულია ერთმანეთისაგან გავრცელების ადგილის მიხედვით: ერთ სოფელში (ქალაქში) ორი ტერიტორიული დიალექტი შეუძლებელია გვქონდეს; სოციალური დიალექტები ტერიტორიულად გამიჯნული არ არის: ერთ ქალაქში, ერთ სოფელშიაც კი, შეიძლება წარმოდგენილი იყოს რამდენიმე სოციალური დიალექტი. ტერიტორიული დიალექტი მასებს ემსახურება, სოციალური დიალექტი კი — მხოლოდ საზოგადოების გარკვეულ ჯგუფს. ტერიტორიული დიალექტების თავისებურება ეხება ძირითად ლექსიკურ ფონდსაც, გრამატიკულ წყობასაც, ფრაზეოლოგიასაც და ბგერით მოვლენებსაც; სოციალურ დიალექტთა თავისებურებანი კი ძირითადად ლ ე ქ ს ი კ ა ს ა და ფ რ ა ზ ე ო ლ ო გ ი ა ზ ე მოდის.

ტერიტორიული დიალექტი — ეს არის ენა მინიატიურაში; ხელსაყრელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პირობებში ტერიტორიული დიალექტი შესაძლებელია გადაიქცეს დამოუკიდებელ ენად, სოციალური დიალექტი კი ისევე ვერ განვითარდება ახალ ენად, როგორც ესა თუ ის საზოგადოებრივი ფენა ვერ გადაიქცევა ცალკე ხალხად.

სოციალური დიალექტების თავისებურებებში სიმძიმის ცენტრი ლექსიკასა და ფრაზეოლოგიას ხვდება.

ეს გასაგებიცაა. სოციალური დიალექტები შეპირობებულია, საერთოდ, ადამიანის საზოგადოებრივი მდგომარეობით და შრომითი საქმიანობით, პირველ რიგში კი, საწარმოო საქმიანობით.

პროფესიული ლექსიკა წარმოადგენს სოციალურ დიალექტთა ლექსიკის კერძო შემთხვევას.

მჭედელს ისეთი სიტყვები და გამოთქმები მოეპოვება, რომელთაც ხარაზი ან დურგალი არ საჭიროებს და — პირიქით (ხარაზი ზოგადად „ხერხს“ დასჯერდება: დურგალს კი სჭირდება სხვადასხვა სახის ხერხი: განის ხერხი, სისო ხერხი, მრგვალი ხერხი, დისკო ხერხი და სხვ.).

ასევე მევენახე ან მეცხოველე ყოველდღიურად ბევრ ისეთ სიტყვასა და გამოთქმას ხმარობს, რაც ციტრუსების მეურნეობის მუშაკს არ ექნება (ნიმუშად მევენახეობის დამახასიათებელ ორიოდე სიტყვა-გამოთქმას დავასახელებთ: ჰიგო, ნეკი, ფუნთხლი, კლერტი, ვაზისფხჩილა, დედავაზი, სანაყოფორქა, ახვევა, შეყელვა, გასხლვა, გაფურჩვნა... ხევსური მეცხოველე ამგვარ სიტყვებს არ საჭიროებს... მის ლექსიკაში: ვაზი, ვენახი, ყურძენი და მევენახეობის დარგის ორიოდე სხვა ზოგადი სიტყვა თუ გვექნება).

სხვადასხვა დარგის სპეციალისტების ლექსიკაც, როგორც ცნობილია, განსხვავებულია, განსხვავებულია იმდენადვე, რამდენადაც განსხვავებულია ცნებები, რომლებიც ამა თუ იმ დარგში იხმარება: ექიმის სიტყვები და გამოთქმები მრავალ შემთხვევაში გაუგებარია ენათმეცნიერისა ან ასტრონომისათვის და — პირიქით.

ორიოდე სიტყვა **ჟარგონის** შესახებ. რა არის ჟარგონი? ჟარგონი — ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით — ესაა ქურდების, პროფესიული მათხოვრების, მოხეტიალე მეწვრილმანეთა **პირობითი „ენა“** (ფრანგ. argot „ქურდების ენა“; ფრანგ. jargon „დამახინჯებული ენა“).

ჟარგონი უნდა მივიჩნიოთ სოციალური დიალექტის სახეობად, რამდენადაც იგი მოემსახურება ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს, რომელთაც პროფესიული ინტერესები აერთიანებს. მოხეტიალე მეწვრილმანეთა (ე. წ. ოფენების) ენა პრინციპში არ განსხვავდება თერძისა თუ მეწაღის მეტყველებისაგან: იქაც და აქაც თავისებური ლექსიკა გვაქვს.

განსხვავება იმაშია, რომ თერძი განზრახ **არ იგონებს** საგანგებო სიტყვებს იმ მიზნით, რომ მისი ლაპარაკი **გაუგებარი იყოს** სხვა წრის პირთათვის. ჟარგონის ლექსიკას კი **საგანგებოდ თხზავენ** ან არსებულ სიტყვებს **ხელოვნურად ასხვაფერებენ**, ან კიდევ **თავისებური მნიშვნელობით** ხმარობენ გარკვეული მიზნით: რომ ლაპარაკი **გახდეს იყოს თავისი წრის პირებისათვის** და **გაუგებარი დარჩეს სხვებისათვის.**

რუს ენათმეცნიერ ი. ი. სრეზნევსკის 1839 წ. ჩაუწერია მოხეტიალე მეწვრილმანის ასეთი განმარტება მათი ჟარგონის შესახებ: „ჩვენი

საქმე ისეთია, დავდივართ უცხო ადგილებში. ვთქვათ, შემთხვევამ მოიტანა და ამხანაგს უნდა გადავულაპარაკოთ ისეთი რამ, რომ მხოლოდ ჩვენი საქმის კაცმა გაიგოს!"

მოხეტიალე მეწვრილმანეთა XIX ს. რუსულ მეტყველებაში გვხვდება სიტყვები: галасць „მარილი" (რუს. соль-ის ბადლად); ესაა გადასხვაფერებული ბერძ. hals „მარილი"... скрипы „კარი", рым „ეზო", юсы „ფული", тирно „ღვინო"...

Скрипы скрипеть-ზმნის ფუძეა: „ჭრიალა"=კარი... рым, тирно რუსულისათვის სრულიად უცხოა, შეთხზული სახელებია. საყოველთაოდ ცნობილი სიტყვები ქურდებს სხვა მნიშვნელობით ჰქონდათ ნახმარი თავის ენაში: лихорадка (=საქმის გარჩევა სასამართლოში), мальчишка (=სატეხი), галстух (=სახრჩობელა), фараон (=პოლიციელი...).

ჟარგონს წარმოადგენს ჩვენებური „ქაჯური ენა": აქ სიტყვებს ასხვაფერებენ იმით, რომ ყოველ მარცვალს ურთავენ გარკვეულ ნაწილაკს (მაგალითად, წა-ს); ამის შედეგად სიტყვა ისე ივცლება, რომ გაუგებარი ხდება: „აწამხაწანაწაგიწა მოწავიწადაწა"=ამხანაგი მოვიდა... მიზანია — სხვამ ვერ გაიგოს! საშუალება — სიტყვების გადასხვაფერება-დამახინჯება: ესაა, რომ ქაჯურ ენას[8] ჟარგონად მიგვაჩნევინებს.

ჟარგონი ზოგჯერ შეიძლება გამომუშავდეს სტიქიურად, ყოველგვარი განზრახვის გარეშე. ასე, მაგალითად, ქ. კიახტაში, ჩინეთის საზღვარზე, საიდანაც დიდძალი ჩაი შემოჰქონდათ ძველ რუსეთში, შეიქმნა დამახინჯებული სავაჭრო ჟარგონი: მასში სიტყვები რუსული იყო, მაგრამ გრამატიკა არ იყო რუსული — ე. ი. სიტყვები არ იბრუნვოდა და არ იუღვლებოდა, — თითქოს ეს ყოფილიყოს ჩინური ენა.

§ 16. ენა, როგორც ისტორიული კატეგორია. ენა ისტორიულ კატეგორიას წარმოადგენს: ენა დროთა ვითარებაში იცვლება, ვითარდება. ენაში (დიალექტში, თქმაში) მომხდარ ცვლილებებს თვითონ მოლაპარაკენი ძნელად ამჩნევენ, გარეშე პირთათვის კი მათი შემჩნევა ადვილია. დროის გარკვეულ მონაკვეთში (მაგალითად, 30, 50 წლის განმავლობაში) რომელიმე სოფლის (რაიონის) თქმაში მომხდარ ცვლილებათა გამოსარკვევად აუცილებელი იქნებოდა გვქონოდა სათანადო მეტყველების სრული სურათი ამ პერიოდის დასაწყისში და დასასრულში. დავუშვათ, რომ გორის რაიონის სოფელ ტყვიავის მეტყველება იყო

[8] რუსულში ამგვარ მეტყველებას ტ ა რ ა ბ ა რ შ ი ნ ა ეწოდება (ტარაბარშინა გადატანით ნიშნავს გაუგებარ, უაზრო ნაწერსა და ნათქვამს).

შესწავლილი 1923 წელს, და 30 წლის შემდეგ, 1953 წელს, კვლავ იქცა შესწავლის საგნად. ახალ დაკვირვებათა შედარება ძველთან საშუალებას მოგვცემდა ზუსტად დაგვედგინა, რა და რ ო გ ო რ შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში სოფელ ტყვიავის მკვიდრთა მეტყველებაში.

მაგრამ დიალექტის ასე შესწავლის შემთხვევები ი შვიათია ჩვენს დროშიც კი, როცა დიალექტებს სისტემატურად სწავლობენ. რაღა უნდა ვთქვათ იმ ეპოქათა შესახებ, რომლებიც წინ უძღოდა ენათმეცნიერების წარმოშობას, როდესაც დიალექტური მეტყველება საერთოდ არ შეისწავლებოდა. ამიტომაც ზეპირი მეტყველების ცვალებადობის პროცესი ჩვეულებრივ მკვლევართა ყურადღების გარეშე რჩება. უფრო ადვილია სამწერლო ენაში მომხდარ ცვლილებათა გათვალისწინება; თუმცა ამ შემთხვევაში შესასწავლი მასალა არ არის ერთგვაროვანი, ერთსა და იმავე წყაროშიც არ დაიყვანება, მაგრამ მაინც სამწერლო ენაში მომხდარი ცვლილებები იძლევა გარკვეულ შესაძლებლობას ვიმსჯელოთ სათანადო ზეპირ მეტყველებაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ. საკმარისია შევადაროთ ამა თუ იმ სამწერლო ენის (ქართულის, რუსულის, უკრაინულის, ბელორუსულის, ესტონურის, ლიტვურის, ლატვიურის, სომხურის...) ძეგლები ამ ენის ისტორიის ო რ ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა მ ო მ ე ნ ტ შ ი, რომლებიც კარგა ხნით არის დაშორებული ერთმანეთს, რომ კონკრეტულად წარმოვიდგინოთ, თუ რ ა შეიცვალა ენაში და რ ო გ ო რ შეიცვალა.

სანიმუშოდ ავიღოთ ქართული ენა X, XII საუკუნისა და შევადაროთ ახალი ქართულის ვითარებას.

ძველ ქართულში გაირჩეოდა **ჳ** და **ხ**: მუჴლი, ჴარი, მჴარი, ფერჴი, ჴმა, ჴერჴი (=მოხერხება), ჴელი... ხუედრი, ხანი, ხე, ხოლო, ხელი (=გიჟი), ხერხი (იარაღი)...

ახალ სალიტერატურო ქართულში ჳ არა გვაქვს; ყველგან **ხ** იწერება და ითქმის; მოიშალა ბგერითი განსხვავება **ჴელ** და **ხელ**-ს შორის, **ჴერგ**-სა და **ხერხ**-ს შორის.

ჳ დღემდე შემოგვენახა მთის კილოებში (ხევსურულში, ფშაურში, მთიულურში, თუშურში), ნაწილობრივ — ქიზიყურში, ინგილოურში, ფერეიდნულში. ძველ ქართულში რიგი ისეთი სიტყვა გვქონდა (ფიჩუი, სერი, ზატიკი, ერგასი...), რომლებიც თანამდეროვე ქართულისათვის უცხოა.

ბევრი სიტყვა მაშინაც იხმარებოდა და ახლაც, ოღონდ ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი თ: **ზოგი** — ძვ. ქართულში ნახევრის მნიშვნელობით დასტურდება (ზოგი მეფობისაჲ=სამეფოს ნახევარი), ახ-

ლა ამ სიტყვას ეს მნიშვნელობა არა აქვს.

დაბადა ძვ. ქართულში ნიშნავდა „გააჩინა". აქედან: დაბადება — „გაჩენა"; შემდეგ, გადატანით, ბიბლია, წიგნი, სადაც „ქვეყნის გაჩენაა" მოთხრობილი.

„შემთხუევა" — შეხვედრა; „შეემთხუა" — შეხვდა... „ჭირი"=გაჭირვება (შდრ. ჭირისუფალი).

დათმობა „მოთმენა"-ს, „გაძლებას"-ს ნიშნავდა: „... ვერ დაუთმობდი ხილვად ჭირთა და განსაცდელთა, რომელნი შეემთხუეოდის მარადღე ძმათა ჩემთა". ახლა ამას ასე ვიტყოდით: ვერ გავუძლებდი იმ გაჭირვებათა და განსაცდელთა ყურებას, რაც შეხვდებოდა ხოლმე დღემუდამ ჩვენს ძმებს... შდრ. აგრეთვე შოთა რუსთაველის: „თუ კაცი ჭირსა არ დასთმობს, ლხინი რა დასათმობია" — ე. ი. თუ კაცი გაჭირვებას არ გაუძლებს, ლხინს რა გაძლება უნდაო...

მეცნიერი ძვ. ქართულში „მცოდნესა" და „ნაცნობს" ნიშნავდა.

XI საუკუნის ცნობილ იურიდიულ დოკუმენტში, ბაგრატ IV სიგელში, ვკითხულობთ: „შევკრიბენ კარსა დარბაზისა ჩუენისასა მღუდელთ-მოძღუარნი, ერისთავთ-ერისთავნი, ერისთავნი და ყოველთა ჴევთა ზემოთა და ქუემოთა აზნაურნი, მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი..." აქ: შევკრიბენ... აზნაურნი, მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი — ნიშნავს: შევკრიბე ბჭობის საქმის მცოდნე აზნაურებიო. ამგვარად: **მეცნიერი=მცოდნე.**

ძველი ქართულის ერთ ძეგლში ვკითხულობთ: „წუთ-წუთ მოვიდიან მისა მეცნიერნი მისნი და ჰგონებედ, ვითარმედ პოონ იგი მკუდარი" — ე. ი. მალ-მალე მოდიოდნენ მასთან მისი ნაცნობები და ეგონათ, რომ იპოვიდნენ მას მკვდარს. **მეცნიერი** მისი=მისი **ნაცნობი**...

თანამედროვე სალიტერატურო ქართულისათვის უცხოა ისეთი ფორმები, როგორიცაა: ჰგონებედ (=ჰგონებენ, ჰგონიათ), მოვიდიან (=მოდიოდნენ ხოლმე)... ახლა არ ვიტყვით: შევკრიბენ... „ვეფხისტყაოსანში" გვაქვს:

„ყმა მტირალი შეებრალა, ამად ცხელნი ცრემლნი ღუარნა,
მაგრა უჯდა უცხოს უცხო, არ ბაგენი აუბარნა;
ყმამან ცნა, თუ: გონებანი ჩქარნი ჩემთვის დააწყუნარნა,
ცრემლ-დენილი შეეხუეწა, ადგა, მუჯლნი მოუყარნა..."

ღუარნა (ცრემლნი), აუბარნა (ბაგენი), დააწყუნარნა (გონებანი),

მოუყარნა (შუკლნი) ყველგან გულისხმობს დამატებას მრავლობითში. ახლა აქ ზმნას **ნ** სალიტერატურო ქართულში არ გააჩნია (ხევსურულში **ნ** ასეთ შემთხვევაში დღემდე შემონახულა).

ახალ ქართულში მრავალი ისეთი სიტყვა გაქვს, რაც ძველი ქართულისთვის უცხო იყო: ახალი ყოფა-ცხოვრების ამსახველი სიტყვები და ტერმინები (კოლექტივი, ტრაქტორი, სტუდენტი, უნივერსიტეტი, ელექტროსადგური, ბულდოზერი, ავტომანქანა, თვითმფრინავი...).

ახალ ქართულში სიტყვებს ისეთი ფორმებიც აქვს, რაც ძველი ქართულისთვის უცხო იყო: გაქვთ, აქვთ... გთხოვათ... უთხოვიათ... დაუწერიათ... -თ აქ ძვ. ქართულში საჭირო არ იყო.

ათი საუკუნის მანძილზე სალიტერატურო ქართულში იცვალა: სიტყვების შემადგენლობა, სიტყვათა ფორმები, ბევრი სიტყვის მნიშვნელობა, ბგერითი შემადგენლობაც კი... ცვლილებები შეეხო მეტ-ნაკლებად ენის სისტემის ყველა რგოლს.

ენა რომ ცვალებადი არ იყოს, ენის განვითარების საკითხიც არ დაისმოდა. სწორედ **ცვლილებები** ქმნის ენის განვითარების **პროცესის შინაარსს.**

რა წარმოადგენს ენის **განვითარების საფუძველს?**

რა არის ენის **განვითარების შინაგანი კანონები?**

როგორია ენის განვითარების ძირითადი **კანონზომიერებანი და ტენდენციები?**

რა **ზოგად პროცესებს** აქვს ადგილი ენათა განვითარებაში?

საით მიიმართება ენათა განვითარება? როგორია **განვითარების** უმთავრესი **შედეგები?**

აი ძირითადი საკითხები, რომლებსაც უნდა გაეცეს პასუხი იმისათვის, რომ ვიქონიოთ ასე თუ ისე ნათელი წარმოდგენა ენის განვითარების შესახებ. ეს საკითხები მონოგრაფიულად ჯერ კიდევ არ დამუშავებულა (განვითარების ყველა არსებითი საკითხი გარკვევით ჩამოყალიბებულიც კი არ არის).

§ 17. ენის განვითარების ძირითადი საკითხები. ენის განვითარების პირობათა შესახებ. ენის ცვლილებები წარმოადგენს განვითარების პროცესის შინაარსს. განვითარების ხანგრძლივი პროცესის შედეგად პირველყოფილი ადამიანის პრიმიტიული მეტყველებისაგან (ენებისაგან) გამომუშავდა მრავალი ასეული თანამედროვე ენა, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან წარმოშობითაც და გრამატიკული წყობითაც.

რა ეწვევა ენის განვითარებას? რა წარმოადგენს ენის განვითარების საფუძველს? ენის განვითარების საფუძველს ქმნის საზოგადოების განვითარება. ეს უშუალოდ გამომდინარეობს ენის საზოგადოებრივი ბუნებისაგან.

ენამ მომსახურება უნდა გაუწიოს ადამიანის საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ყველა სფეროს. ადამიანთა საზოგადოება განუწყვეტლივ ვითარდება, დაწყებული ქვის ხანის შრომითი საქმიანობის ყველაზე პრიმიტიული ფორმებიდან, ვიდრე ჩვენს დრომდე, ე. წ. სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ეპოქამდე.

ემსახურება რა განვითარების პროცესში მყოფ საზოგადოებას, ენა არ შეიძლება თვითონაც არ ვითარდებოდეს. ქვის ხანის ენა, რა თქმა უნდა, ვერ შეძლებდა თანამედროვე საზოგადოების მომსახურებას. ენის განვითარების საფუძველს საზოგადოების განვითარება წარმოადგენს. შეუძლებელია გავიგოთ ენის განვითარების ისტორია, თუ არ ვიცით საზოგადოების ისტორია, ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის განვითარების ისტორია.

ენათა განვითარების ახალი კანონზომიერებანი შეპირობებული არიან **საზოგადოების განვითარების ახალი კანონზომიერებებით.** ამით ერთხელ კიდევ გაიხაზება ენის, მისი განვითარების კანონზომიერებათა დამოკიდებულება საზოგადოებაზე, მისი განვითარების ხასიათზე.

§ 18. ენის განვითარების შინაგანი კანონების შესახებ. ენის განვითარების დამოკიდებულება საზოგადოების განვითარებაზე უეჭველია, რამდენადაც ენის განვითარება შეპირობებულია საზოგადოების განვითარებით. კითხვა მხოლოდ იმას ეხება, თუ როგორია **ამ დამოკიდებულების ხასიათი:** იმგვარადვე განსაზღვრავს თუ არა საზოგადოების განვითარება ენის განვითარებას, როგორც, მაგალითად, ბაზისის, ეკონომიკური წყობილების, განვითარება განსაზღვრავს ზედნაშენთა განვითარებას? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ენა ზედნაშენის მსგავსად იცვლება, თუ ენის განვითარებაში ჩვენ საქმე გვაქვს სხვაგვარ ცვლილებებთან? იმის მიხედვით, თუ როგორ გადაწყდება ეს საკითხი, მივიღებთ ენის ისტორიული განვითარების პროცესის არსებითად სხვადასხვაგვარ გაგებას.

თუ ენა ვითარდება, როგორც ზედნაშენი, ე. ი. ბაზისის მიხედვით, როგორც ამა თუ იმ ბაზისის წარმონაქმნი, მაშინ ენის ისტორია უნდა იქნეს აგებული საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციათა მიხედ-

ვით: მოგვიხდება ენათა ისტორიის შეფარდება ეკონომიკური ბაზისების ისტორიასთან, მოგვიხდება შეფარდების დადგენა ენათა ისტორიის პერიოდებსა და საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებს შორის. ეს ნიშნავს: **თუ ენის განვითარება ზედნაშენური კატეგორიის განვითარებად აქვთ წარმოდგენილი, ენის განვითარების შინაგან კანონთა საკითხი შეუძლებელია დაისვას, ეს საკითხი ბრინცი-ბულად უკანონო საკითხი აღმოჩნდება.**

თუ ენა ვითარდება არა როგორც ზედნაშენი, მაშინ ენის ისტორიის განვითარების ცენტრში დადგება საკითხი ენის განვითარების შინაგანი კანონების შესახებ.

ენა არ წარმოადგენს ზედნაშენს და არ იცვლება ზედნაშენისებურად: არც ახალ მოვლენათა გაჩენა (და, შესაბამისად, ახალი თვისებრიობის წარმოშობა), არც ძველის ახლით შეცვლა ენაში არ მიმდინარეობს იმგვარად, როგორც ეს დამახასიათებელია ზედნაშენის მოვლენებისათვის.

ენა საზოგადოებრივი მოვლენაა, მაგრამ ის არ განეკუთვნება არც ბაზისთა კატეგორიას, არც ზედნაშენთა კატეგორიას: ენა სპეციფიკურ საზოგადოებრივ მოვლენას წარმოადგენს.

ენა ვითარდება საზოგადოების განვითარებასთან დაკავშირებით, მაგრამ ენის განვითარება არ არის იმგვარად დამოკიდებული საზოგადოების განვითარებაზე, როგორც ზედნაშენი არის დამოკიდებული ბაზისზე, — ენა იცვლება არა როგორც ზედნაშენი. **ენის,** როგორც საზოგადოებრივი მოვლენის, **სპეციფიკას,** შეესაბამება **სპეციფიკა ენის განვითარებისა** — საზოგადოების განვითარების საფუძველზე, მაგრამ არა როგორც ზედნაშენისა. ამგვარად პრინციპულ დასაბუთებას პოულობს დებულება, რომ ენის განვითარების **შინაგანი კანონების** შესწავლა კანონზომიერია და მნიშვნელოვანი.

ენა რომ ზედნაშენს წარმოადგენდეს და ისევე იცვლებოდეს, როგორც ზედნაშენი, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა ენის განვითარების შინაგანი კანონების გამოვლენა მიგვეჩნია ენათმეცნიერების მთავარ ამოცანად.

რას წარმოადგენს ენის განვითარების შინაგანი კანონები? ენის განვითარების შინაგანი კანონები წარმოადგენს ფორმულებს, რომლებშიაც შეჯამებულია ის ენობრივი ცვლილებები, რომლებიც ა რ დ ა ი ყ ვ ა ნ ე ბ ა ბაზისის ცვლილებებამდე და ა რ ა რ ი ს გ ა მ ო წ ვ ე უ ლ ი სხვა ენის გავლენით. ასეთი ცვლილებები დასტურდება ლექსიკურ შემადგენლობასა და გრამატიკულ წყობაში, ბგერით შემად-

გენლობასა და ბგერით პროცესებში, სიტყვებისა და გამოთქმების მნიშვნელობაში და სხვა და სხვა... შევისწავლოთ ეს ცვლილებები ზუსტად და სრულად ყველა ენის მიხედვით და გამოვავლინოთ განზოგადების გზით განვითარების კანონზომიერებანი, განვითარების ძირითადი ტენდენციები, — აი, რას მოითხოვს „განვითარების შინაგანი კანონების“ ცნების დედააზრი.

განვითარების შინაგანი კანონები შეიძლება იყოს **კერძო,** კონკრეტული შინაარსისა, როცა ისინი ეხება ცალკე ენებს, და **ზოგადი** ხასიათისა, როცა ეძებნება საერთო ფორმულა ისეთ ცვლილებებს, რომლებიც მრავალი ენის განვითარებაში დასტურდება.

განვითარების შინაგანი კანონები კერძო ხასიათის ფორმულებით იწყება და გადადის ისეთ ზოგად კანონზომიერებათა დადგენაზე, რომელნიც ენათა განვითარების ძირითად ხაზებს ახასიათებენ.

კერძო ხასიათის კანონებზე აქ არ შევჩერდებით; ზოგადი კანონების საილუსტრაციოდ შეიძლება ორიოდე მაგალითი მოვიყვანოთ.

რიგი ენის ისტორიაში უკანაენისმიერ თანხმოვანთა (უფრო ზუსტად: ფარინგალებისა და ლარინგალების) რაოდენობა მცირდება, წინაენისმიერების რაოდენობა, პირიქით, იზრდება (ეს პროცესი, მაგალითად, სავსებით კანონზომიერია იბერიულ-კავკასიური ენებისათვის). ხმნა და სახელი თავდაპირველად გაუდიფერენცირებელია: მათი დიფერენციაცია განვითარების შედეგია, რაც დასტურდება რიგი ენის ისტორიით.

რიგი ენის (მაგალითად, ინდოევროპულის) ისტორია ამჟღავნებს ტენდენციას გაამარტივოს მორფოლოგია (ბრუნებისა და უღვლილების ფორმები) და სიმძიმის ცენტრი გადაიტანოს სინტაქსზე. თვით სინტაქსში შეთანხმების პროცესი ისტორიულად წინ უსწრებს მართვის პროცესს (რთულ წინადადებებში განვითარება მიმდინარეობს პარატაქსიდან — შეთხზვიდან — ჰიპოტაქსისაკენ — დაქვემდებარებისაკენ). აბსტრაქტული კატეგორიები ვითარდება კონკრეტული კატეგორიების ბაზაზე მორფოლოგიაშიც და ლექსიკაშიც... აი, დაახლოებით, ასეთი დებულებები გვაქვს მხედველობაში, როდესაც ვლაპარაკობთ ფორმულების შესახებ, რომლებიც განაზოგადებენ ენათა განვითარების **ტენდენციებს,** ფორმულების შესახებ, რომლებიც იძლევიან ენათა **განვითარების შინაგანი ზოგადი კანონების** კონკრეტიზაციას.

ენათა განვითარების კანონზომიერებათა შესწავლა ნიშნავს დაადგინო ზემოთ მოყვანილის მსგავსი ფორმულები ან შეამზადო მასალა ასეთი განზოგადებებისათვის, და არა იმას, რომ ენობრივი ცვლილებები დაიყვანო საზოგადოებრივი ცხოვრების ცვლილებებამდე, — დაიყვანო

ყველა შემთხვევაში — უგამონაკლისოდ — იქნება ეს ლექსიკის, სემასიოლოგიის, მორფოლოგიის თუ ფონეტიკის მოვლენები. ენის ამა თუ იმ ცვლილებებისათვის შეიძლება დაიძებნოს საფუძველი საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებში, მაგრამ შესაძლებელია არც დაიძებნოს ასეთი შესატყვისები. მაგალითად, ენაში ახალი სიტყვის გაჩენას (პენიცილინი, სტრეპტოციდი... ტრაქტორი, კომბაინი, ბულდოზერი, ექსკავატორი... თვითმფრინავი, ჰელიკოპტერი...) ყოველთვის აქვს რეალური საფუძველი ობიექტურ სინამდვილეში: ენის სიტყვას შეესაბამება ცხოვრებაში საგანი, — სახელწოდების კავშირი მის მიერ აღნიშნულ საგანთან მარტივია და ადვილად შესამჩნევი. სიტყვა ექსკავატორი ან ბულდოზერი გაჩნდა ქართულ ენაში იმიტომ, რომ გაჩნდა სათანადო საგანი. ახალი სიტყვის გაჩენის მიზეზი ჩვეულებრივ სრულიად აშკარაა.

მაგრამ რატომ დაიკარგა, მაგალითად, რუსულ ენაში მრჩობლობითი (ორობითი) რიცხვი: несевъ („ჩვენ ორს მიგვაქვს"), сыны („ორი ვაჟიშვილი")? რა ცვლილებებმა რუსი ხალხის ცხოვრებაში გამოიწვია ამ კატეგორიის მოსპობა? ჩვენ ვერ ვიპოვით ორობითი რიცხვის მორფოლოგიური კატეგორიის გაქრობის შესატყვის ცვლილებებს, მათ საზოგადოებრივ ეკვივალენტებს: ორობითმა რიცხვმა, როგორც უფრო კონკრეტულმა კატეგორიამ, ადგილი დაუთმო მრავლობით რიცხვს. მაშასადამე, ენის ამ ცვლილებაში აისახა აზროვნების განვითარების ზოგადი ტენდენცია: კონკრეტულიდან აბსტრაქტულისაკენ.

მაგრამ რით არის იგი გამოწვეული? პირდაპირ მიზეზზე ვერ მივუთითებთ: ხომ არ იქნებოდა ეს ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარება? პოლიტიკური ცხოვრების ცენტრის გადანაცვლება ქალაქ ვლადიმირში კლაზმაზე? ახალი მიწების დამუშავება? — რა თქმა უნდა, არც ერთი ამათგანი არ გამოგვადგება ენაში მომხდარ ცვლილებათა ასახსნელად.

ძველ ქართულში იხმარებოდა ნამყო ხოლმეობითი (გააკეთის, დაწერის, შეკრიბის, განპაპუკნის...). ეს დრო ამჟამად ქართულ ენას არა აქვს. რით არის გამოწვეული მისი დაკარგვა? საზოგადოებრივი ცხოვრების რა ცვლილებებმა შეაპირობეს მათი გაქრობა?

ძველად იხმარებოდა დგების, წვების, ჯდების... ამჟამად გვაქვს: დგება, წვება, ჯდება... რა ქმნის ამ ცვლილებათა საზოგადოებრივ საფუძველს?

ძველად ამბობდნენ: მუჯლი, ჯელი, ფერჯი... ჯ ბგერა შემოგვრჩა მთის კილოებში, ბარის კილოებში მას ჳ შეენაცვლა. რატომ შემოგვრჩა

მთის კილოებში **ჯ** და რატომ შეიცვალა ის ბარში? რა საზოგადოებრივმა ცვლილებებმა, რა ეკონომიკურმა მიზეზებმა განსაზღვრეს, საბოლოო ანგარიშში, **ჯ** ბგერის დაკარგვა? უშუალოდ — არავითარმა: არ არსებობს არავითარი პირდაპირი მიზეზშედეგობრივი დამოკიდებულება ჩვენი სინამდვილის **საზოგადოებრივ-ეკონომიკურ მოვლენებსა** და ზემოდასახელებულ **მორფოლოგიურ და ფონეტიკურ ცვლილებებს** შორის. იქნებ სინამდვილეში ასეთ დამოკიდებულებას ჰქონდა ადგილი, მაგრამ ეს ჩვენთვის უცნობია? არა, ასეთი დამოკიდებულება არ არსებობდა: ასეთი დამოკიდებულების ძიება პრინციპში უმართებულოა.

§ 19. ენის განვითარების ტემპების შესახებ. ენის განვითარება შეპირობებულია საზოგადოების განვითარებით. ენის განვითარების ტემპები დამოკიდებულია საზოგადოების განვითარების ტემპებზე. ენა ტუნდრის მოსახლეობისა, რომელიც მხოლოდ ირმების მოშენებას მისდევს, სხვა ტემპებით ივცლება, ვიდრე სამრეწველო ცენტრის მოსახლეობის ენა.

მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს, ენის **ყველა მხარე** ერთგვარად ვითარდებოდეს. ენის ლექსიკური შემადგენლობა უშუალოდ ასახავს და ერთბაშად ეხმაურება საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ყოფა-ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს: ახალ საგანს, ახალ მოვლენას სახელწოდება უნდა ჰქონდეს, რომ ურთიერთობისა და აზრთა გაზიარების პროცესში შესაძლებელი იყოს მის შესახებ რისამე თქმა.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში ქართულ სალიტერატურო ენაში შემოვიდა მრავალი სიტყვა და გამოთქმა, რომლებიც უკავშირდებოდა სოციალისტური წყობილების მშენებლობას.

ხიტყვები: ტრაქტორი, კომბაინი, ექსკავატორი, ბულდოზერი, ჰიდროსადგური, გენერატორი, თვითმფრინავი, კავშირგაბმულობა... მუშფაკი, შვიდწლედი, ათწლედი, პროფგანათლება, მედაუსწრებლე... კოლმეურნეობა, კოლმეურნე, დამკვრელი, სტახანოველი, მერგოლური, ათასოვანი, ჩქაროსანი, ფრიადოსანი, თვითკრიტიკა... მგეგმავი, გაუპიროვნება... გადახრა, ოპორტუნიზმი, ოპორტუნისტი, კულაკობა, მავნებლობა, შემთანხმებელი, შემთანხმებლობა, შემარიგებელი, შემარიგებლობა... ადგილკომი, პროფკომი, ქარხკომი, რაიკომი, რაისაბჭო...

გამოთქმები: საბჭოთა ხელისუფლება, საბჭოთა კავშირი, საბჭოთა ხალხი, ბოლშევიკური პრინციპულობა, პარტიის გენერალური ხაზი, ხუთწლიანი გეგმა, სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია, ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, სახალხო

მეურნეობისა და კულტურის აღმავლობა, მასების შრომითი აღმავლობა, ქალაქისა და სოფლის კავშირი, სოციალისტური შეჯიბრება...

ასეთი სიტყვები და გამოთქმები თანამედროვე ქართულ ენაში ასობით შემოვიდა. ახალი მნიშვნელობა მიიღეს სიტყვებმა, რომლებიც წინათაც იხმარებოდა, მაგრამ სხვა მნიშვნელობით: პიონერი („ახალი გზების გამკაფველი". ეს ძველი მნიშვნელობა შენარჩუნებულ იქნა; გაჩნდა ახალი მნიშვნელობა: „ბავშვი, მოზარდი, რომელიც ბავშვთა კომუნისტურ მოძრაობაში მონაწილეობს")... ლიბერალიზმი (გამოთქმაში: „დამპალი ლიბერალიზმი" ახალ მნიშვნელობას იძენდა; „ლიბერალიზმი"=უპრინციპო გულმოწყალეობა); „კოსმოპოლიტიზმი" (გამოთქმაში: „უთვისტომო კოსმოპოლიტიზმი" — ნიშნავდა: თავისი ხალხისადმი სიყვარულის გრძნობის უქონლობას და სხვა ხალხების მიმართ პატივისცემის გრძნობის უქონლობას, ხალხების ეროვნული სუვერენიტეტისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის უარყოფას, ხალხთა თანასწორუფლებიანობის უარყოფას, — ამგვარად, კოსმოპოლიტიზმი სრულიად საპირისპირო გამოდიოდა ინტერნაციონალიზმისა).

სიტყვები და გამოთქმები მრავლად შეეძინა ქართულ ენას უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე[9].

რამდენი ახალი გრამატიკული მოვლენა გაჩნდა ქართულ სალიტერატურო ენაში ამავე ხნის განმავლობაში? სახელთა ბრუნებაში და ზმნების უღვლილებაში თითქმის არავითარი.

გრამატიკულ წყობაში ასეთი ცვლილებები საძებარია და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთ ცვლილებათა შემჩნევა უფრო ძნელია, არამედ განსაკუთრებით იმის გამო, რომ მათი რაოდენობა მცირეა. ლექსიკურ შემადგენლობაში ცვლილებათა ძებნა არ გვჭირდება: აქ დიდი ცვლილება არის მომხდარი და ეს თვალში გვეცემა.

ლექსიკური შემადგენლობა თითქმის განუწყვეტლივ იცვლება; მაგრამ ძალიან ნელა იცვლება ძირითადი ლექსიკური ფონდი. არც ერთი ისეთი სიტყვათაგანი, როგორიცაა: მამა, დედა, ძმა, და, მე, შენ, ის, თავისი, ერთი, ხუთი, ათი... შრომობს, მუშაობს, სწავლობს, კითხულობს, წერს... გუშინ, დღეს, აქ, იქ..., ამ ოცდაათი წლის მანძილზე არ გამოსულა ხმარებიდან. ცვლილებები მოხდა **ძირითადი ლექსიკური ფონდის** გამდიდრების თვალსაზრისით: საბჭოები, პარტია, კომუნისტი, კოლმეურნეობა, კოლმეურნე, საბჭოური, საკოლმეურნეო... ქართული ენის ძირითად ლექსიკურ ფონდში შესულად უნდა მივიჩნიოთ. საბჭოთ-

[9] იგულისხმება ოცდაათი წელი XX ს. ორმოცდაათიან წლებამდე (რედ.).

თა პერიოდის ახალ სიტყვათა უმრავლესობა კი ლექსიკური შემადგენლობის კუთვნილებას წარმოადგენს, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არ შესულან ძირითად ლექსიკურ ფონდში. ხოლო ისეთი სიტყვები, როგორიცაა უკლონისტი, კულაკი, ჩქაროსანი..., ალბათ, **ლექსიკურ** შემადგენლობასაც არ შემორჩება: ისინი წარსულს განეკუთვნებიან. ზოგი ასეთი სიტყვა უკვე გამოვიდა ლექსიკური შემადგენლობიდან.

რაც შეეხება ენის ბგერით შემადგენლობას, იგი, როგორც წესი, ნელა იცვლება.

რა გზით წარმოებს ლექსიკური შემადგენლობის შევსება? ახალი სიტყვები ძველი სიტყვების საფუძველზე იქმნება; ასეთია, მაგალითად: მერგოლური (სიტყვისაგან: რგოლი), დამკვრელი (სიტყვისაგან: დაჰკრავს), ფრიადოსანი (სიტყვისაგან: ფრიადი), მედაუსწრებლე (სიტყვისაგან: დაუსწრებელი), შემარიგებელი (სიტყვისაგან: შეარიგებს), მგეგმავი (სიტყვისაგან: გეგმავს), თვითმფრინავი (სიტყვებისაგან: თვით + ფრენა) და ა. შ.

ამ შემთხვევაში ლექსიკური შემადგენლობა მდიდრდება **საკუთარ შესაძლებლობათა გამოყენების** გზით: საკუთარი ფუძეები და საკუთარი აფიქსები (ან ფუძეთა წარმოების სხვა საშუალებანი) შეგვაძლებინებს გადმოვცეთ საჭირო შინაარსი სათანადო წარმოების მეშვეობით.

მაგრამ არც ერთ ენას არ შეუძლია დასჯერდეს მხოლოდ თავის საშუალებებს (ზოგჯერ არც კი ითვლება საჭიროდ და სასურველად მიმართონ ახალი სიტყვების წარმოებისას საკუთარ შესაძლებლობებს, მაგალითად, იმ ტექნიკურ ტერმინთა გადმოცემისას, რომლებიც ბერძნულ-ლათინური ძირისაა და ბევრ ენაში იხმარება ერთნაირად). ასეა თუ ისე, არ არსებობს ენა, რომელიც მხოლოდ საკუთარი საშუალებებით კმაყოფილდებოდეს. **ყველა ენაში გვხვდება ნასესხები სიტყვები.** სხვა ენებიდან შეთვისებული სიტყვები ზოგ ენაში მეტი რაოდენობითაა, ზოგში — ნაკლები რაოდენობით, მაგრამ ნასესხები სიტყვები ყველა ენაში არსებობს. დიქტატურა, კომიტეტი, ცენტრი, კომისია, კონტროლი, კოლექტივი, ინდუსტრია, რეკონსტრუქცია, ტრაქტორი, კომბაინი, ექსკავატორი, ბულდოზერი, ინსტიტუტი, ფაკულტეტი, უნივერსიტეტი და მრავალი ასეული ასეთი სიტყვა ქართულ ენაში[10] შეთვისებულია სხვა ენებიდან (და შემოსულია ქართულში, ჩვეულებრივ, რუსული ენის მეშვეობით).

[10] ეს და ამათი მსგავსი სიტყვები ბევრ სხვა ენაშიაც არის ნასესხები. მეტწილად ეს სიტყვები აგებულია ლათინური და ძველი ბერძნული ფუძეების გამოყენებით.

ისიც ხდება, რომ ნასესხები სიტყვები ენაში ნახევარზე მეტი აღმოჩნდება (ასეა, მაგალითად, დაღესტნის ტაბასარანულ ენაში, სპარსულ ენაში); მაგრამ ეს არ ემუქრება ენის არსებობას, არ უქმნის საფრთხეს ენის თვითმყოფობას. სხვა ენის მასალის მოზღვავება ლექსიკურ შემადგენლობაში არ არის საშიში ენისათვის მანამ, სანამ დაცულია მისი ძირითადი ლექსიკური ფონდი და გრამატიკული წყობა. სანამ ენის ეს სასიცოცხლო ცენტრები ხელუხლებელია, სანამ **ენის საფუძველი დაცულია,** მანამ ენის თვითმყოფობას საშიშროება არ მოელის. ენა დიდი რაოდენობით შეითვისებს ხოლმე სხვა ენის ლექსიკურ მასალას, გადაამუშავებს თავისი სისტემის ნორმების მიხედვით, გამოიყენებს მას თავისი გამდიდრებისათვის. ყოველ ენაში არსებობს სხვა ენებიდან ნასესხები სიტყვები, მაგრამ ისინი შეეჩვივიან მოცემული ენის სისტემას და აღარ შეიგრძნობიან, როგორც უცხო მასალა. მხოლოდ ენის ისტორიის სპეციალისტებმა თუ იციან მრავალი ასეთი სიტყვის წარმომავლობა (თუმცა ხშირად არც მათთვის არის ცნობილი — წარმოშობის მიხედვით — „საკუთარია“ ესა თუ ის სიტყვა თუ „უცხო“).

ენის საფუძველი — მისი ძირითადი ლექსიკური ფონდი და გრამატიკული წყობა — **განსაზღვრავს** როგორც **ენის თვითმყოფობას, ისე მის გამძლეობას.**

ამ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა მაშინ, როდესაც ენის არსებობას საფრთხე მოელის ძალდატანებითი ასიმილაციის შედეგად[11].

ენის სხვადასხვა მხარის განვითარება არათანაბრად მიმდინარეობს: ბგერითი შემადგენლობის, გრამატიკული წყობის, ძირითადი ლექსიკური ფონდისა და ლექსიკური შემადგენლობის განვითარების ტემპები სრულიადაც არ არის ერთგვარი.

აქედან გამომდინარეობს: თანამედროვე ენაში **უახლესი ფაქტების გვერდით მოგვებოვება უძველესი მოვლენებიც.** ამას კი განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება ენის ისტორიის შესწავლისათვის. სხვა დასკვნის გაკეთება შეუძლებელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ძირითადი ლექსიკური ფონდი და გრამატიკული წყობის ელემენტები ამა თუ იმ ენის არსებობის დასაწყისიდანვე უნდა არსებულიყო.

თანამედროვე ენებში ისეთი ფაქტების გვერდით, რომლებიც ასა-

[11] ქართულის უახლოესი მონათესავე ჭანური ანუ ლაზური მთელი ოთხი საუკუნის მანძილზე თურქული ენის მძლავრ გავლენას განიცდის, მაგრამ ჭანური დიდ გამძლეობას იჩენს და ინარჩუნებს თავის თვითმყოფობას.

ხაენ ჩვენი თანამედროვე ცხოვრების მოვლენებს, თვით უკანასკნელი დღეების ამბებსაც კი, შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ფაქტები შორეული წარსულისა, იმ დროისა, რომელიც წინ უსწრებდა მონობის ეპოქას (შდრ. ძმა, და, დედა, მამა, სახლი, კარი... და: მერგოლური, ექსკავატორი, შვებულება...).

ასეთია ენის **სხვადასხვა მხარის არათანაბრად განვითარების** შედეგი. ცალკე აღნიშვნას მოითხოვს მეორე მოვლენა: სხვადასხვა **ენის სხვადასხვა ტემპებით განვითარება.** ორი ენიდან, რომელთა განვითარება თითქოსდა თითქმის ერთგვარ პირობებში მიმდინარეობს, ერთში წარმოდგენილია უძველესი დროის მოვლენები, მაშინ როდესაც მეორეში ამას ადგილი არა აქვს (ასე, მაგალითად, ლიტვურ ენაში დაცულია მახვილის არქაული სისტემა, ლიტვურის მონათესავე ლატვიურ ენაში კი ეს არ შეინიშნება).

ზოგი ენის არქაულობა სხვა ენებთან შედარებით იმას მოწმობს, რომ, თუმცა ყველა ენა ვითარდება, მაგრამ მათი განვითარება სხვადასხვა ტემპით მიმდინარეობს. თუ რა იწვევს ენათა არათანაბარი ტემპებით განვითარებას, ამის ახსნა წარმოადგენს ენის განვითარების თეორიის ერთ-ერთ უძნელეს ამოცანას.

§ 20. ენის განვითარების ხასიათის შესახებ. ენა ვითარდება საზოგადოების განვითარების საფუძველზე.

როგორ წარმოებს ენაში გადასვლა ძველიდან ახალზე, ახალი ენის წარმოქმნა ძველი ენისაგან? ენის, ისევე როგორც საზოგადოების, განვითარებაშიაც აქვს ადგილი ძველიდან ახალზე გადასვლას, ერთი ენის შეცვლას მეორით. ასე მაგალითად, ძველი ქართული ენა, V-XI საუკუნეების ძეგლების ენა, შეიცვალა ახალი ქართული ენით; ძველი სომხური ენის (გრაბარის) ადგილი დაიკავა XIX საუკუნეში ახალმა სომხურმა ენამ (აშხარაბარმა), ძველმა რუსულმა ენამ ადგილი დაუთმო ახალ რუსულ ენას. ანალოგიური ფაქტები გვაქვს სხვა ენათა ისტორიაშიც. გერმანული ენის ისტორიაში გამოიყოფა: ძველი ზემოგერმანული (VIII-XI სს.), საშუალი ზემოგერმანული (XI-XVI სს.), ახალი ზემოგერმანული (XVI საუკუნიდან). ფრანგულ ენაშიაც განასხვავებენ: ძველ ფრანგულს (IX-XVI სს.) და ახალ ფრანგულს (XVI საუკუნიდან; XIII-XVI საუკუნეების ენას ხშირად გამოყოფენ, როგორც საშუალ ფრანგულს). ძველი ინგლისურის, საშუალი ინგლისურისა და ახალი ინგლისურის შესახებ მოგვითხრობს ინგლისური ენის ისტორია.

ყველა ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს **ერთსა და იმავე**

ენახთან: ენის განვითარებამ მოგვცა იმავე ენის **ახალი ვარიანტი.** მაგრამ მასში არსებითი ცვლილებები მოხდა: ამის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა დაგვეპირისპირებინა თანამედროვე რუსული ენა ძველი რუსულისათვის, ახალი ქართული — ძველი ქართულისათვის, ახალი სომხური — ძველი სომხურისათვის, ახალი ფრანგული — ძველი ფრანგულისათვის და ა.შ.

ძველიდან ახალზე გადასვლა შესაძლებელია მოასწავებდეს აგრეთვე მოცემული ენის ფარგლებიდან გასვლას: ხალხური ლათინური ენისაგან წარმოიშვა იტალიური, ფრანგული, ესპანური, კატალონიური, პორტუგალიური... ენები. ამ შემთხვევაში ახალი ბევრად უფრო მეტად განსხვავდება ძველისაგან, ვიდრე ზემოთ დასახელებულ მაგალითებში: განვითარების შედეგად ჩვენ მივიღეთ **ახალი ენა** (საკუთარი ძირითადი ლექსიკური ფონდითა და საკუთარი გრამატიკული წყობით) და არა ახალი ვარიანტი, ახალი საფეხური იმავე ენის განვითარებაში.

როგორ ხდება ახალი საფეხურის წარმოქმნა ძველი ენის განვითარებაში? როგორ ხდება ახალი ენის წარმოქმნა ძველი ენისაგან? წარმოებს თუ არა ახალი ენის გაჩენა ენის განვითარებაში რევოლუციური აფეთქების შედეგად? პასუხი მხოლოდ უარყოფითი შეიძლება იყოს. ეს აშკარა გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რა შეადგენს ენის საფუძველს და როგორია ენის სხვადასხვა მხარის ცვალებადობის ტემპები.

ენის საფუძველს ქმნის გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი. ახალი ენის (ან ძველი ენის ახალი ვარიანტის) — ანდა სხვანაირად რომ ვთქვათ, **ახალი თვისებრიობის** შესახებ შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებითი ცვლილებები მოხდა **გრამატიკულ წყობასა** და **ძირითად ლექსიკურ ფონდში.** მაგრამ სწორედ გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი იცვლება **განსაკუთრებით ნელა:** ისინი წარმოადგენენ რიგი ეპოქების პროდუქტს და, მაშასადამე, არ შეიძლება იცვლებოდნენ ერთბაშად, რევოლუციური აფეთქებებისა და ძვრების გზით.

ამით წყდება მეორე საკითხიც: ახალი ენის მიმართების შესახებ ძველ ენასთან, რომლისაგანაც ახალი წარმოიშვა. ახალი ენა არ შეიძლება წარმოიშვას ძველის მოსპობის, ძველის უარყოფის შედეგად: ასეთ შემთხვევაში ხელში შეგვრჩებოდა ახალი „ენა", რომელსაც არ გააჩნია **გრამატიკული წყობა** და **ძირითადი ლექსიკური ფონდი,** ე. ი. ის, რაც ენას ენად აქცევს; ამასთანავე, ძველი გრამატიკული წყობისა და ძირითადი ლექსიკური ფონდის უარყოფა ენისთვის თავისი თა-

ვის უარყოფა იქნებოდა, ე. ი. მივიღებდით ენის მოსპობას და არა განვითარებას.

ენის განვითარების პროცესში არ შეიძლება არსებობდეს ერთმანეთის გვერდით ძველი და ახალი ენა, ე. ი. ახლად წარმოშობილი ენა და ის ენა, რომელმაც სათავე მისცა ამ ახალ ენას: ახალი ენა წარმოიშობა ძველისაგან, იცვლის რა სახეს, ძველი ენა ითქვიფება ახალში[12].

ენის სისტემა არ შეიძლება შეიცვალოს მთლიანად და ერთბაშად (ერთი დაკვრით): ასეთი მაგალითები ისტორიამ არ იცის; ასე არ ხდება. სხვა საქმეა — **ცალკეული მოვლენები:** ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური რიგის ესა თუ ის ცვლილება **შეიძლება** მოხდეს ერთბაშად, თუ ამ ენაზე მოლაპარაკე მთელ კოლექტივში არა, მის გარკვეულ ჯგუფში ან ფენაში მაინც (ბავშვების მეტყველებაში შეიძლება შენიშნულ იქნეს მოვლენები, რომლებიც უცხოა მოხუცებისათვის და იმავე ოჯახის მოზრდილი წევრებისათვისაც კი)[13].

ავიღოთ, კახური **«მოიდა»** („მოვიდა"-ს ნაცვლად); **გ** იკარგება **ო** და **ი**-ს შორის (აქაც და სხვაგანაც: მე მოიტანე, მოიყვანე...). როგორ უნდა დაკარგულიყო ეს **გ,** როგორ უნდა გაჩენილიყო **«მოიდა»?** შეიძლება თუ არა ვიფიქროთ, რომ ჯერ „მოიდა" თქვა ერთმა პირმა, შემდეგ — მისი გავლენით — მეორემ, მესამემ..., მთელმა ოჯახმა, — სოფლის ერთმა კუთხემ, მერე — მეორე კუთხემ, მერე — მთელმა სოფელმა; ერთი სოფლიდან ეს თავისებურება გავრცელდა მეორეში და ასე გაჩნდა მთელი კახურის თავისებურება... შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ ამ თავისებურების გაჩენა და დამკვიდრება? — ალბათ, არა: **გ**-ს დაკარგვის ტენდენციამ, საფიქრებელია, ე რ თ დ რ ო უ ლ ა დ იჩინა თავი კახეთის სხვადასხვა სოფელში, ყველგან, სადაც ა ს ე თ ი **გ** ა ს ე თ პირობებში აღმოჩნდა.

ცალკეულ ცვლილებათა წარმოშობის ასეთი შესაძლებლობა — საკმაოდ რეალური ჩანს. მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ, ჯერ ერთი, ეს არის ერთი შესაძლებლობათაგანი, მაგრამ არა ერთადერთი შესაძლებლობა; მეორეცაადა, ცალკეულ ცვლილებათა ასეთი წარმოშობა კი არ გამორიცხავს, არამედ ადასტურებს დებულებას: **ენა**

---

[12] წარმოვიდგინოთ, რომ ხალხური ლათინური, რომლისაგანაც მივიღეთ რიგი ენა (იტალიური, ფრანგული, ესპანური...) დარჩა სადმე მთებში უცვლელად. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ „წარმომშობი" და „წარმოშობილი" ენა ერთად შეიძლება არსებობდეს? არა, არ ნიშნავს: შემოგვენახა „წარმომშობი" იმიტომ, რომ არაფერი წარმოუშვია, ე. ი. იმიტომ, რომ ის არ არის წარმომშობი.

[13] ასეთი ფაქტები ცნობილია, მაგალითად, ზოგი იბერიულ-კავკასიური ენის ისტორიიდან.

მთლიანად, ერთდროულად არ შეიძლება შეიცვალოს. ნაწილების სხვადასხვა დროს ცვლა ვერ მოგვცემს მთლიანის ერთდროულად შეცვლას.

§ 21. ენის განვითარების ძირითადი პროცესების შესახებ. ენათა ცვლილებები მათი განვითარების პროცესში მოიცავს ორი ძირითადი სახის ცვლილებებს. ერთი მათგანია **დიფერენციაციის პროცესი,** მეორე — **ინტეგრაციის** (ანუ უნიფიკაციის) პროცესი. ეს პროცესები სხვადასხვა მიმართულებისაა, თავიანთი შედეგების მიხედვით ისინი ერთმანეთს უპირისპირდება. **დიფერენციაციის** პროცესი ვარაუდობს ისეთ ცვლილებებს, რომელთა შედეგადაც იზრდება **განსხვავება** ერთი და იმავე ენის დიალექტებს შორის, ან ისეთ ენებს შორის, რომელთაც საერთო წარმოშობა (და ამის საფუძველზე — საერთო მოვლენები, **საერთო** ნიშნები) მოეპოვებათ. **ინტეგრაციის** პროცესს, პირიქით, მხედველობაში აქვს ის ცვლილებები, რომელთა შედეგადაც იზრდება საერთო, მსგავსი ნიშნები, ერთმანეთს უახლოვდება მანამდე განსხვავებული ენები (ან ერთი და იმავე ენის დიალექტები).

რაც უფრო სუსტია ურთიერთობა ერთი და იმავე ენის სხვადასხვა დიალექტების წარმომადგენელთა შორის, მით უფრო ძლიერდება დიფერენციაციის პროცესი. რაც უფრო ძლიერია დიფერენციაციის პროცესი, მით უფრო შორდება ერთმანეთს მანამდე ახლოს მყოფი კილოები ენისა (ან წარმოშობით მონათესავე ენები). დიფერენციაციის პროცესის ლოგიკურ დასასრულს წარმოადგენს ერთი ენის კილოების (დიალექტების) ქცევა დამოუკიდებელ ენებად. სწორედ ასეთი ენები წარმოადგენენ მონათესავე ენებს, — წარმოშობის მიხედვით, — საწყისი მასალის მიხედვით — მონათესავე ენებს. მონათესავე ენები ისეთი ენებია, რომლებიც წარმოიშვა ერთი და იმავე ენის სხვადასხვა დიალექტებისაგან. მონათესავე ენები დიფერენციაციის პროცესის შედეგად მიიღება.

ერთი და იმავე ენის სხვადასხვა დიალექტებზე მოლაპარაკე ტოებს, როცა ისინი დიდ ტერიტორიაზე გაიშლებოდნენ, ბუნებრივია, რომ არ შეეძლოთ წინანდელი ურთიერთობა ჰქონოდათ ერთმანეთთან. კონტაქტი სუსტდებოდა, ცენტრიდანული ტენდენციები ძლიერდებოდა, სხვაობა იზრდებოდა, და დროთა განმავლობაში შესაძლებელი ხდებოდა ერთი და იმავე ენის კილოებიდან ახალი ენები წარმოშობილიყო.

ასეთია დიფერენციაციის პროცესის **შინაარსი, პირობები,** რომლებშიაც იგი მიმდინარეობს, და **შედეგები,** რომლებსაც ის გვაძლევს.

ინტეგრაციის პროცესს იწვევს მჭიდრო კონტაქტის დამყარება იქ,

სადაც იგი მანამდე არ არსებობდა. შედეგად ვიღებთ დაახლოებას. იგი შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი და იძულებითი, ძალდატანებითი. მას შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც ერთი ენის დიალექტებს შორის, ისე მონათესავე ენებს შორის, აგრეთვე ისეთ ენებს შორის, რომლებსაც წარმოშობის მიხედვით არაფერი საერთო არა აქვთ ერთმანეთთან: ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ისტორიული ვითარება შეიქმნება.

გამარჯვებულთა ენის მიერ დამარცხებული ხალხის ენის ძალით ასიმილაცია წარმოადგენს ასიმილაციის კერძო სახეს. ისტორიიდან ცნობილია გამარჯვებულთა ენის მიერ დამარცხებული ხალხის ენის შთანთქმის მრავალი შემთხვევა. ასე, მაგ., ეტრუსკული ენა იტალიის რომამდელი მოსახლეობისა (ეტრუსკები რომაელების მასწავლებლები იყვნენ სახელმწიფოებრივი და კულტურული ცხოვრების მრავალ სფეროში) შთანთქა რომაელების ლათინურმა ენამ, როდესაც რომაელები გაბატონდნენ აპენინის ნახევარკუნძულზე (ეტრუსკული ენიდან შემორჩენილია წარწერები საფლავებზე). ეტრუსკული ენის ბედი ეწია ჩრდილოეთ იტალიაში ლიგურების ენას.

თანამედროვე საფრანგეთში ცხოვრობდნენ კელტური ტომები: გალები, აკვიტანელები, ბელგები... მათი ენა გამოდევნა რომაელი კოლონიზატორების ლათინურმა ენამ[14]. იგივე უნდა ითქვას იბერებისა[15] და მათი მონათესავე ტომების ენათა შესახებ პირენეს ნახევარკუნძულზე; ხალხურმა ლათინურმა დაიკავა ამ ენების ადგილი. მხოლოდ პირენეს ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასაელეთ კუნჭულში დღემდე შემოგვრჩა ესპანეთის რომამდელი მოსახლეობის უძველესი ენის ნაშთი ბასკური ენის სახით. შოტლანდიის, უელსისა და ირლანდიის კელტური ენები წარმოადგენენ ძველი კელტური ენების მცირეოდენ ნაშთს: მათ ძველად

---

[14] კელტური მეტყველება შემოგვინახა საფრანგეთის ბევრი ადგილის გეოგრაფიულმა სახელწოდებამ: პარიზი (Paris), რეიმსი (Reims), ნანტი (Nantes), სუასონი (Soissons), ამიენი (Amiens)... დაკავშირებული არიან წარმოშობის მიხედვით გალიელი ტომების სახელწოდებებთან; ეს ტომები იყვნენ: პარიზები (Parisii), რემები (Remi), ნამნეტები (Namnetes), სუესიონები (Suessiones), ამბიანები (Ambiani)...

კელტური წარმოებისაა -ai, -i (-y)-თ დაბოლოებული ადგილის სახელები: ალბინი (Albigny), შამპინი (Champigny)...

ფრანგულ ენაში შესულია კელტური წარმოშობის სამასზე მეტი სიტყვა, რომლებიც გლების ყოფა-ცხოვრებას ეხება (იხ. М. В. Сергиевский. История французского языка, Москва, 1938, გვ. 10-12).

[15] მდინარის სახელწოდება ე ბ რ ო ესპანეთში — ლათინურად Iberus — უკავშირდება იბერების სახელს.

ძთელი ინგლისი ეპირათ; ეს ენები ინგლისურმა ენამ გამოდევნა.

ყველა ამ შემთხვევაში ინტეგრაციის პროცესები დაიყვანებოდა ენათა შეჯვარედინებამდე. შეჯვარედინებაში, როგორც წესი, ერთდროულად მონაწილეობს ორი ენა. შეჯვარედინების შედეგად მიიღება ერთი ენა.

შეჯვარედინების პროცესი სქემატურად ასე წარმოიდგინება: შეჯვარედინებაში მონაწილე ენები, როგორც წესი, თანაბარ პირობებში არ იმყოფებიან. ერთ-ერთი მათგანის მხარეზეა **უპირატესობა,** რომელიც შეპირობებულია ან ამ ენაზე მოლაპარაკეთა პოლიტიკური მდგომარეობით, ან მათი რიცხობრივი სიჭარბით ანდა კულტურის უფრო მაღალი დონით (შესაძლებელია — ყველა ამ მომენტით ერთად).

ამ უპირატესობათა შედეგად სათანადო ენა **გაბატონდება,** როგორც ურთიერთობისა და აზრთა გაზიარების საშუალება. მეორე ენაზე მოლაპარაკენი იძულებული არიან შეისწავლონ გაბატონებული ენა და ამგვარად თანდათანობით ორენოვანი ხდებიან. ორენოვნება თაობიდან თაობაში გრძელდება, ამასთან, მშობლიური ენის გამოყენების სფერო თანდათანობით ვიწროვდება. ბოლოს, იგი გამოიდევნება უკანასკნელი თავშესაფრიდან, ოჯახიდან, სადაც ჩვეულებრივ ქალები გამოდიან შევიწროებული ენის ტრადიციათა ყველაზე ერთგული დამცველები. საბოლოოდ ორენოვნებას ცვლის ერთენიანობა. ამ, ერთ, გამარჯვებულ ენას, ჩვეულებრივ, წარმოადგენს გაბატონებული ხალხის (ტომის) ენა. ორი ენის შეჯვარედინების პროცესი ბოლოვდება ერთ-ერთი ენის გამარჯვებით, მაშინ როდესაც მეორე ენა წყვეტს არსებობას.

მაგრამ იგი **უკვალოდ არ ქრება.** მისი კვალი რჩება გამარჯვებულ ენაში. ასე, მაგალითად, ფრანგული ენის ისტორიკოსები ფრანგული ენის თანამედროვე ლექსიკურ შემადგენლობაში გამოყოფენ სამასზე მეტ კელტურ სიტყვას[16], თუმცა გალის კელტური ენების ხალხურ ლათინურ ენასთან შეჯვარედინების პროცესი დიდი ხნის წინ დამთავრდა. ჩვენი წელთაღრიცხვის VIII საუკუნიდან უკვე არსებობს ძველი ფრანგული ენა, რომელიც გალიის პროვინციის ხალხური ლათინურისაგან წარმოიშვა.

ეს კელტური სიტყვები ახლა წარმოადგენენ ფრანგული ენის

---

[16] საინტერესოა, რომ მეტწილად ეს არის სოფლის ყოფა-ცხოვრების საგანთა აღმნიშვნელი სიტყვები: charrue „გუთანი", claie „წნული", „ღობე"; charpente „ხარაჩო"; „ძელური"; mouton „ცხვარი"; banne „ტირიფის კალათა"... lieu „ლიე" (ფრანგული მილი=4 კილომეტრს); alouette „ტოროლა", bouleau „არყის ხე" და ა. შ.

კუთვნილებას (ეს სიტყვები რომ კელტური წარმოშობისაა, მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრეში თუა ცნობილი).

შეჯვარედინების პროცესი **ხანგრძლივი ბროცესია:** ასე, მაგალითად, გალიის კელტური ენების შეჯვარედინება ლათინურ ენასთან საუკუნეთა მანძილზე გრძელდებოდა. **ბირველ საუკუნეში** ჩვენს წელთაღრიცხვამდე გალია დაიპყრო იულიუს კეისარმა და ინტენსიურად დაიწყო რომის ამ პროვინციის (ე. წ. ალპებსიქითა გალიის "Gallia Transalpina") რომანიზაცია. მაგრამ ჩვენი წელთაღრიცხვის **მესამე** საუკუნეში შესაძლებელი იყო საოჯახო დოკუმენტები (მაგალითად, ანდერძი) შეედგინათ გალიურ ენაზე: რომაელი იურისტი ულპიანი საჭიროდ თვლის გაითვალისწინოს ასეთი შესაძლებლობა (ანდერძს იურიდიული ძალა მაშინაც კი აქვს, როდესაც ის გალიურ ენაზე არის დაწერილიო).

ამგვარად, გავიდა თითქმის ოთხი საუკუნე, რაც ძლევამოსილმა რომმა გალია დაიპყრო, მაგრამ გალიის კელტური ენის ლათინურ ენასთან შეჯვარედინების პროცესი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული (და ეს მაშინ, როდესაც თვლიან, რომ გალიის რომანიზაცია სწრაფად ჩატარდა).

ბრეტონელების კელტურმა მეტყველებამ საფრანგეთში აქამდე მოაღწია მიუხედავად იმისა, რომ ბრეტონელები ორენოვანი არიან. იგივე უნდა ითქვას ვალიელთა კელტური მეტყველების შესახებ უელსში (ინგლისში). შეჯვარედინების პროცესი აქ აწყდება დიდ გამძლეობას კელტური ენებისა, რომლებიც თავიანთი გრამატიკული წყობითა და ძირითადი ლექსიკური ფონდით ძლიერ განსხვავდებიან ფრანგული და ინგლისური ენებისაგან, — ე. ი. იმ ენებისაგან, რომლებიც ცდილობენ შთანთქან ეს კელტური ენები.

ორენოვნება ყოველთვის არ ნიშნავს, რომ მიმდინარეობს შეჯვარედინების პროცესი: შეჯვარედინებისას ორენოვნებას **იძულებითი** ხასიათი აქვს, ეს იძულებითი ხასიათი გვანიშნებს, რომ ენები იბრძვიან და ამდენადაა იგი შეჯვარედინების პროცესის გამოხატულება.

დიფერენციაციისა და ინტეგრაციის პროცესების ხვედრითი წონა კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა პერიოდში არ შეიძლებოდა ყოფილიყო (და არ შეიძლება იყოს) ერთნაირი. ცხოვრების საზოგადოებრივი პირობები ძველად, კერძოდ, წინაკლასობრივ საზოგადოებაში ხელს უწყობდა დიფერენციაციის პროცესს, ისტორიის უახლესი პერიოდების ცხოვრების პირობები ხელს უწყობს ინტეგრტაციის პროცესების გაძლიერებას. მონათესავე ენათა უმრავლესობა, როგორც ჩანს, შორეულ წარსულში წარმოიქმნა; მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს დიფერენცია-

ციის პროცესს ახალ ხანაში არ ჰქონდეს ადგილი. რუსული, უკრაინული და ბელორუსული ენების დიფერენციაცია არცთუ ისე დიდი ხნის წინათ არის მომხდარი.

მეორე მხრივ, არც ინტეგრაციის პროცესი შეიძლება გამოვრიცხოთ ძველ დროში, ამასთან, ინტეგრაციის პროცესი ძველად არანაკლებ როლს თამაშობდა, ვიდრე დიფერენციაციის პროცესი ახალ ხანაში.

დიფერენციაციის პროცესს მივყავართ ენათა რაოდენობის გაზრდისაკენ: ინტეგრაციის პროცესების შედეგად ენათა რაოდენობა მცირდება.

მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ, რაკი ძველად ენათა რაოდენობა იზრდებოდა, თითქოს თავდაპირველად ერთი ენა არსებობდა და მხოლოდ დიფერენციაციის პროცესის შედეგად ამ ერთადერთი ენისაგან წარმოიშვა მრავალი ენა. პირიქით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ენა წარმოიშვა არა ერთ ადგილას და არა მხოლოდ ერთ კოლექტივში, არამედ ბევრ ადგილას, სადაც კი საამისო პირობები არსებობდა. მრავალენიანობა იმთავითვე გვქონდა, მაგრამ, ერთი მხრივ, ენათა პირვანდელი რიცხვი იზრდებოდა დიფერენციაციის პროცესის შედეგად, მეორე მხრივ კი, დიფერენციაციის გვერდით ინტეგრაციის პროცესებიც მოქმედებდნენ. ორსავე პროცესს ადგილი ჰქონდა უძველესი დროიდანვე. საქმე მხოლოდ ის არის, თუ რომელი მათგანი ჭარბობდა საზოგადოებრივი პირობების შესაბამისად.

§ 22. ეროვნული ენა. სალიტერატურო ენა და ტერიტორიული დიალექტები. სალიტერატურო ენა — ამ სიტყვის ფართო გაგებით — ესაა არა მხოლოდ მხატვრულ ნაწარმოებთა ენა. სალიტერატურო ენაა ის ენაც, რომელზედაც იწერება სამეცნიერო გამოკვლევები, პოლიტიკური ტრაქტატები, სალიტერატურაა ჟურნალ-გაზეთების ენაც, ერთი სიტყვით, სალიტერატურო ენა ფართო გაგებით — წიგნის ენაა, სამწერლო ენა.

ყველა ეროვნული ენა იმავე დროს **სალიტერატუროც არის.** მაგრამ **ყველა სალიტერატურო ენა არაა ეროვნული.** ისეთი სალიტერატურო ენები, როგორიცაა: რუსული, უკრაინული, ბელორუსული, ესტონური, ლიტვური, ლატვიური, სომხური, ქართული, აზერბაიჯანული, უზბეკური, ყაზაზური, ყირგიზული, თათრული, ჩუვაშური, თურქმენული, ტაჯიკური, მოლდავური, ჩეხური, პოლონური, ბულგარული, უნგრული, რუმინული, გერმანული, ფრანგული, ინგლისური, იტა-

ლიური, ესპანური, ჩინური, კორეული, იაპონური და მრავალი სხვა — ეროვნულ ენებსაც წარმოადგენენ: ეროვნული და სალიტერატურო აქ ერთმანეთს ფარავს.

მაგრამ სალიტერატურო ენა შეიძლება ჰქონდეს ხალხსაც, რომელიც ერად არ ჩამოყალიბებულა; ასე, მაგალითად, დაღესტანში ექვსი სალიტერატურო ენა გვაქვს — ხუნძური, ლაკური, დარგუული, ლეზგიური, თაბასარანული, კუმიკური, მაგრამ დაღესტნის ეს ხალხები ექვს ერს როდი ქმნიან: სალიტერატურო ენა აქ ეროვნულ ენას არ ნიშნავს.

სალიტერატურო ენა იქცევა საერთო ეროვნულ ენად, როცა სათანადო კოლექტივი ერად ჩამოყალიბდება. სალიტერატურო ენა ხშირად უსწრებს ერის ჩამოყალიბებას.

ამა თუ იმ ხალხის სალიტერატურო ენა, შექმნილი სათანადო ერის ჩამოყალიბებამდე, როგორც ხალხის საერთო ენა, წარმოადგენს ხალხის გაერთიანების ფაქტორს.

სალიტერატურო ენა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში შეიძლება მოემსახუროს ხალხსაც, ერსაც, მაგრამ ყოველ ეპოქაში **სალიტერატურო ენისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მის დამოკიდებულებას ტერიტორიულ დიალექტებთან.**

რაში მდგომარეობს ეს დამოკიდებულება?

სალიტერატურო ენისა და ტერიტორიული დიალექტების ურთიერთობა შეიძლება მოკლედ ჩამოვაყალიბოთ შემდეგ დებულებათა სახით:

1. სალიტერატურო ენა, როგორც წესი, ერთია. დიალექტები (თქმები) ყოველ ენაში ერთზე მეტია: რაც უნდა პატარა ენა იყოს, დიალექტური სხვაობა მასში არ შეიძლება არ გვქონდეს. ვრცელ მიწა-წყალზე გავრცელებულ ენებში კი რიგი დიალექტი და თქმა გამოიყოფა.

ნაირ-ნაირ დიალექტურ მეტყველებას უპირისპირდება **ერთიანი სალიტერატურო ენა:** სამწერლო ენის ერთიანობაშია მისი ძალა. **სალიტერატურო ენა** მოწოდებულია იყოს საერთო ენა. რაც **უფრო მოხოლოთურია** სალიტერატურო ენა, მით **უფრო უპასუხებს იგი თავის დანიშნულებას.**

2. სალიტერატურო ენა იქმნება გარკვეული დიალექტის საფუძველზე.

ძველი სალიტერატურო ქართული ენა შეიქმნა ისტორიული ქართლის მეტყველების საფუძველზე (ახალი ქართული სალიტერატურო ენა ქართლურის გარდა კახურსაც ემყარება).

ძველი რომის იმპერიის სახელმწიფო სალიტერატურო ენა — ლა-

თინური — დედაქალაქ რომის მეტყველების ნიადაგზე ჩამოყალიბდა. ძვ. ბერძნულ საერთო ენას („კოინე"-ს) საფუძვლად ატიკის დიალექტი ედო.

ფრანგულ ენას საფუძვლად უდევს პარიზის მეტყველება, იტალიურ ენას — პროვინცია ტოსკანის ცენტრის, ქალაქ ფლორენციის მეტყველება და ა. შ.

სახელდობრ, რა დიალექტს მიეცემა უპირატესობა სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისას, ამას განსაზღვრავს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის გარემოებები (და არა დიალექტის ენათმეცნიერული თვისებები): საკითხს ისა წყვეტს, თუ რა დიალექტის წარმომადგენლები თამაშობენ წამყვან როლს სათანადო ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში.

სალიტერატურო ენა იქმნება გარკვეული დიალექტის საფუძველზე, მაგრამ იგი სავსებით არაა თანხვდენილი არც ერთ დიალექტთან (თუნდაც საორიენტაციო დიალექტთანაც). თვით შექმნის მომენტშიც კი სალიტერატურო ენა ერთგვარად სცილდება ძირითადი დიალექტის, ამ მთავარი მასაზრდოებელი წყაროს, ფარგლებს. შემდგომი განვითარების პროცესში კი სალიტერატურო ენა ითვისებს სხვა დიალექტების მასალასაც. განსაკუთრებით ეს ეხება ლექსიკას: სალიტერატურო ენის საჭიროებას ერთი დიალექტის ლექსიკური მარაგი ვერ დააკმაყოფილებს, კონკრეტულ ცნებათა აღმნიშვნელი საჭირო სიტყვები სხვა დიალექტებშიც შეიძლება აღმოჩნდეს და მისი შემოტანა სალიტერატურო ენას გაამდიდრებს (ვთქვათ, მემინდვრეობის, მეხილეობა-მებოსტნეობის, მევენახეობა-მეღვინეობის, მეცხოველეობის და სხვ. დარგების ლექსიკა ერთი დიალექტის ფარგლებში მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიძებნება, თუ მეურნეობის ყველა ეს დარგი ამ დიალექტის გავრცელების არეშია განვითარებული. ასეთი რამ კი სინამდვილეში არ ხდება).

ლექსიკისაგან განსხვავებული ვითარება გვაქვს ფონეტიკისა და მორფოლოგია-სინტაქსის მხრივ: ამ დარგების დიალექტური ვარიანტები სალიტერატურო ენაში რომ შემოიჭრას, სალიტერატურო ენას კი არ გაამდიდრებს, არამედ ააჩრელებს და დააძაბუნებს (რას შესძენს ქართულ სალიტერატურო ენას, რომ ხევსურულ-მთიულური მუწლი, მჯარი, ჯული და სხვ. ჯ-იანი ვარიანტები შემოვიღოთ? ანდა: „მოვიდა"-ს გარდა კახურ-ჭიზიყური „მოიდა"-ც ვიხმაროთ, „მოიტანა"-ს გვერდით ქართ.-კახ. „მაიტანა" და იმერ. „მეიტანა" მივიჩნიოთ შესაძლებლად? რა თქმა უნდა, არაფერს, გარდა სიჩრელისა და არევ-დარევისა).

დიალექტური მასალის სალიტერატურო ენაში შემოტანა გამარ-

თლებულია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს ახალი შინაარსის ანდა აზრის ახალი ნიუანსის გადმოცემისათვის არის საჭირო.

3. სალიტერატურო ენის განვითარება არ იმეორებს არც ერთი დიალექტის განვითარებას, მაგრამ სალიტერატურო ენა საზრდოობს ტერიტორიული დიალექტებით. საკმარისია სალიტერატურო ენას მოესპოს ეს მასაზრდოებელი წყარო, რომ იგი შეწყვეტს განვითარებას: მანამდე ცოცხალი სალიტერატურო ენა კ ვ დ ე ბ ა. ასეთი მკვდარი სალიტერატურო ენის ცნობილ ნიმუშს წარმოგვიდგენს შუა საუკუნეთა ლათინური ენა (შუა საუკუნეებში ლათინური ენა მთელი დასავლეთი ევროპისათვის სალიტერატურო ენის როლს ასრულებდა, მაგრამ მაინც მკვდარი ენა იყო: დედაენად ის არავის მიაჩნდა, არც ერთი ბავშვი ლათინური ენით ა რ ი წ ყ ე ბ დ ა ლაპარაკს, ლათინურს შ ე მ დ ე გ ს წ ა ვ ლ ო ბ დ ნ ე ნ).

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს: სალიტერატურო ენის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს, რომ ის **არ მოსწყდეს მასაზრდოებელ წყაროს,** — ზეპირ მეტყველებას, **ტერიტორიულ დიალექტებს.** ამიტომ არის ხ ა ლ ხ უ რ ო ბ ა სალიტერატურო ენის არსებობა-განვითარების ფ უ ძ ე მ დ ე ბ ე ლ ი პ რ ი ნ ც ი პ ი: იგი გამომდინარეობს სალიტერატურო ენის არსიდან, ცოცხალ ზ ე პ ი რ დ ი ა ლ ე ქ ტ ურ მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა ს თ ა ნ მისი დამოკიდებულების ხასიათიდან.

4. სალიტერატურო ენის გამდიდრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ უნდა მივიჩნიოთ კავშირი სხვა სალიტერატურო ენებთან. ეს კავშირი გამოიხატება მხატვრული, სამეცნიერო, პოლიტიკური და სხვ. პროდუქციის თ ა რ გ მ ნ ა შ ი, პირველ ყოვლისა, იმ ენიდან, რომელზედაც ისინი არის დაწერილი. ასე, მაგალითად, ისეთ კლასიკოსთა თარგმნა, როგორიც არიან მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატები — რუსთაველი, დანტე, შექსპირი, გოეთე, ლ. ტოლსტოი..., მეცნიერული და ფილოსოფიური აზროვნების დიდმნიშვნელოვან წარმომადგენელთა შრომების თარგმნა, ბუნებრივად ა მ დ ი დ რ ე ბ ს ი მ ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო ე ნ ე ბ ს, რ ო მ ლ ე ბ ზ ე დ ა ც მათ თ ა რ გ მ ნ ი ა ნ.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თარგმნილ ლიტერატურას სალიტერატურო ენათა განვითარების პირველ საფეხურზე (ისტორია მოწმობს, რომ რელიგიური შინაარსის ნაწარმოებთა — დაბადების, სახარების, სამღვდელმსახურო წიგნების — თარგმნითაც კი დაწყებულა არაერთი ენის მწერლობა).

5. სალიტერატურო ენა ერთდროულად კულტურის პ რ ო -

უქტიც არის და კულტურული განვითარების იარაღიც. აც უფრო მდიდარი და დახვეწილია სალიტერატურო ენა, მით უკეთ ეასრულებს იგი თავის დანიშნულებას. ეს ნიშნავს: სალიტერატურო ნა, მისი განვითარება საჭიროებს კონტროლს, ის არ შეიძლება არ ექემდებარებოდეს გარკვეულ ნორმებს. ზეპირი დიალექტური მეყველება ნორმებს არ საჭიროებს: ამა თუ იმ კუთხის, რაიონის, სოფლის სასაუბრო მეტყველება შეუზღუდავად ვითარდება.

სხვაგვარად დგას საკითხი სალიტერატურო ენის მიმართ: მის გაიდრებას, დახვეწას, განვითარებას კონტროლი ეწევა. სკოლა პოწოდებულია მოსწავლე ახალგაზრდობა დააუფლოს სალიტერატურო ენას. მხატვრული ლიტერატურა — მკითხველის შეუმჩნევლად — განამტკიცებს სალიტერატურო ენის პოზიციებს. ჩვენს ქვეყანაში სალიტერატურო ენა სახელმწიფო დაწესებულებათა ზრუნვის საგანს წარმოადგენს.

რაც უფრო მაღალია კულტურის განვითარების დონე, მით უფრო ძლიერია სალიტერატურო ენის გავლენა, — კერძოდ, მისი ზემოქმედება დიალექტებზე. რაც უფრო ძლიერდება სალიტერატურო ენის გავლენა, მით უფრო ქრება დიალექტური თავისებურებები[17], მცირდება მანძილი სასაუბრო ენასა და სალიტერატურო ენას შორის.

6. სალიტერატურო ენა საერთო ენაა ხალხისათვის, ერისათვის. როგორც ითქვა, ეს სალიტერატურო საერთო ენა იქმნება სათანადო ენის ტერიტორიული დიალექტის საფუძველზე. ასე ხდება ჩვეულებრივ.

მაგრამ **ზოგჯერ ხამწერლო ენად უცხო ენებს იყენებენ**. ესაა ხელოვნური საერთო ენები, რომელთაც არაფერი აკავშირებს ცოცხალ ხალხურ მეტყველებასთან.

ასეთი სალიტერატურო ენის ნიმუშებად შეიძლება დავასახელოთ ლათინური ენა დასავლეთ ევროპის ხალხებისათვის შუა საუკუნეებში; არაბული ენა ახლო აღმოსავლეთის ხალხებისათვის ასევე უცხო სალიტერატურო ენა იყო.

ასეთ სალიტერატურო ენას არ გააჩნია არავითარი საყრდენი იმ ხალხის ცოცხალ მეტყველებაში, რომელიც მას ხმარობს. ამიტომ ბუნებრივია, თუ ეს უცხო ენა ადრე თუ გვიან ადგილს უთმობს მშობლიური ენის ნიადაგზე შექმნილ საერთო სალიტერატურო

[17] გარდა სალიტერატურო ენის ფუძედიალექტისა, რომელიც ისედაც ახლოს არის სალიტერატურო ენასთან.

ენას.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის იშვიათი შემთხვევა, როცა საერთო ენა იქმნება მწერლობის გარეშე. ასეთ საერთო ენას წარმოადგენდა დაღესტანში, ავარიის ხუნძი ტომებისათვის ბოლ მაწწ („ჯარის ენა" — XVIII-XIX სს.). მას საფუძვლად ედო ერთ-ერთი დიალექტი (სახელდობრ, ხუნძახური); ამ ენაზე საუბრობდნენ სხვადასხვა ხუნძური კილოს წარმომადგენლები ლაშქარში (სამწერლო ენად არაბული იხმარებოდა).

ხალხური შემოქმედება ამა თუ იმ კუთხის მეტყველებას წარმოგვიდგენს და გარკვეულ კუთხეში იხმარება. მაგრამ ხდება ხოლმე, რომ საუკეთესო ნიმუში ამ შემოქმედებისა ვრცელდება სხვა კუთხეებშიც, მასთან რიგ თავისებურებასაც კარგავს. თანდათანობით იგი შეიძლება იქცეს საერთო კუთვნილებად. სვანურ ენაში ოთხი დიალექტი გაირჩევა, მაგრამ ბევრი ლექსი საერთოა, თან ისეთი სახისა, რომ ამჟამად არც ერთ დიალექტს არ ახასიათებს. სვანური ლექსი ერთგვარად მოგვაგონებს საერთო ზეპირ ენას.

ასეთი ზეპირი საერთო ენა განსაკუთრებულ პირობებში იქმნება. ჩვეულებრივად ზეპირი მეტყველება ტერიტორიული დიალექტების სახით არის მოცემული. ეს დიალექტებია საერთო სახალხო ენის განსახიერება: იმაში, რაც საერთოა ცოცხალი ტერიტორიული დიალექტების ლექსიკასა და გრამატიკულ წყობაში, ვლინდება საერთო სახალხო ენის რეალურობა.

§ 23. ამჟამად ყველაზე გავრცელებული ენები. რამდენი ენაა დედამიწაზე, ზუსტად დადგენილი არ არის. შრომებში, სადაც არის ცდა მსოფლიოს ყველა ენა მიმოიხილონ, ორ ათასზე მეტ ენას ითვლიან (ასე, მაგალითად, ფრ. ფინკის წიგნში „მსოფლიოს ენათა ოჯახები" მკვდარი ენების ჩათვლით მოცემულია 2250-მდე სახელწოდება)[18]. ეს ციფრი უდავოდ გადაჭარბებულია: ბევრი დიალექტი დამოუკიდებელ ენადაა მიჩნეული, რაც სავსებით გასაგებია, რამდენადაც ამერიკის ინდიელების, აფრიკის, ავსტრალიისა და ნაწილობრივ აზიის მკვიდრი ხალხების ენათა და დიალექტთა უმრავლესობა ჯეროვნად არ არის შესწავლილი. დამოუკიდებელი ენები, რომლებსაც საკუთარი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური

[18] სხვა, უფრო ახალი წყაროები 2500-დან 5000-მდე ენაზე მიუთითებენ (რედ.).

ფონდი აქვთ, ბევრად უფრო მცირერიცხოვანია.

ყველაზე უფრო გავრცელებულ თანამედროვე ენებს წარმოადგენს: ჩინური ენა (უფრო ზუსტად: ჩინური ენები, მათზე ლაპარაკობს 1 მილიარდზე მეტი ადამიანი); ინდური ენები (დაახლოებით — 770 მილიონი ადამიანი); ინგლისური ენა (დაახლოებით — 420 მილიონი ადამიანი); ესპანური ენა (დაახლოებით — 300 მილიონი ადამიანი); რუსული ენა (დაახლოებით — 250 მილიონი ადამიანი); არაბული ენა (დაახლოებით — 170 მილიონი ადამიანი); პორტუგალიური ენა (დაახლოებით — 150 მილიონი ადამიანი); იაპონური ენა (დაახლოებით — 120 მილიონი ადამიანი); ფრანგული ენა (დაახლოებით — 100 მილიონი ადამიანი); გერმანული ენა (დაახლოებით — 100 მილიონი ადამიანი)[19].

დასავლეთ ევროპის ენებიდან გავრცელების მიხედვით პირველი ადგილი უჭირავს ინგლისურსა და ესპანურს. ინგლისური ოფიციალური ენაა — ინგლისის გარდა — ჩრდილო ირლანდიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, კანადაში (ფრანგულთან ერთად), ირლანდიაში (ირლანდიურთან ერთად). იგი ერთ-ერთი ოფიციალურ ენათაგანია ინდოეთის რესპუბლიკასა და სამხრეთ აფრიკის 15 სახელმწიფოში. ესპანური ოფიციალური ენაა ესპანეთს გარეთ ლათინური ამერიკის 19 ქვეყანაშიც — სახელდობრ: მექსიკაში, არგენტინაში, ურუგვაიში, ჩილეში, ბოლივიაში (კეჩუასა და აიმარასთან ერთად), პერუში (კეჩუასთან ერთად), პუერტო-რიკოსა (ინგლისურთან ერთად) და ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის სხვა რესპუბლიკათა უმრავლესობაში (გარდა ბრაზილიისა, სადაც პორტუგალიური ენაა სახელმწიფო ენა). ესპანური გავრცელებულია, აგრეთვე, აფრიკაში ესპანეთის ყოფილ კოლონიებსა და პროტექტორატის ზონებში (ეკვატორის გვინეის ოფიციალური ენაა) და ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთ-დასავლეთით.

ზემოთ დასახელებულ ენათაგან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) ოფიციალურ და სამუშაო ენებად გამოცხადებულია ექვსი: არაბული, ესპანური, ინგლისური, რუსული, ფრანგული[20] და ჩინური.

---

[19] მოლაპარაკეთა შორის ნავარაუდევი არიან ისინიც, ვისთვისაც მოცემული ენა არ არის მშობლიური და გამოიყენება ეროვნებათშორისი და საერთაშორისო მოხმარებისთვის. მონაცემები ეყრდნობა 1985-1989 წლების სტატისტიკას (რედ.).

[20] 1918 წლამდე საერთაშორისო ურთიერთობათა ოფიციალურ ენას ყველა ქვეყნისათვის წარმოადგენდა ფრანგული.

§ 24. ენის წარმოშობა. საკითხის დასმა. საჭიროა განვასხვავოთ ცალკეული **ენების** წარმოშობა და **ენის,** ე. ი. ადამიანის მეტყველების, წარმოშობა. შეიძლება ზუსტად ვიცოდეთ ამა თუ იმ კონკრეტული ენების წარმოშობა (მაგ., ქართულის, რუსულის, უკრაინულის, ბელორუსულის ან ფრანგულის, იტალიურის, ესპანურის...), მაგრამ ეს ვერ წაგვწევს წინ ადამიანის მეტყველების წარმოშობის საკითხის გარკვევაში. მერედა: კიდევაც რომ შევძლოთ და დავადგინოთ ყველა ამჟამად არსებული ან ისტორიიდან ცნობილი ძველისძველი ენის წარმოშობა — ჯერჯერობით ამისაგან შორსა ვართ! — მაშინაც ენის წარმოშობის საკითხი ვერ იქნება გადაჭრილი. ამ ენათა ისტორია ს უ ლ დ ი დ ი **ათი ათასი** წლით იზომება; ხოლო მას შემდეგ, რაც ადამიანმა ენა აიდგა, გასულია, ს უ ლ მ ც ი რ ე **რამდენიმე ასეული ათასი წელი.** მაშასადამე, ენათა წარმოშობის ისტორია ვერ მიგვიყვანს იმ ეპოქამდე, როდესაც ადამიანის მეტყველება ჩაისახა: ცალკეული ენების წარმოშობის ისტორიის შესწავლისას ჩვენ ვარკვევთ, როგორ წარმოიქმნა ესა თუ ის ენა, მაგრამ ამით არ ირკვევა, როგორ წარმოიშვა ადამიანის მეტყველება.

შემდეგ: ენის წარმოშობის ახსნა არ ნიშნავს იმის დადგენას, თუ რომელი ენა შეიქმნა პირველად. თავდაპირველი ენების ხსენებაც კი დიდი ხანია, რაც გამქრალია. ისინი ან სხვა ენებად გადაიქცნენ ან სრულიად გაქრნენ. თუ თავდაპირველი ენის მიკვლევა შეუძლებელია, მით უფრო არ შეგვიძლია ვეძებოთ, რა სიტყვები იყო „პირველი სიტყვები" (ადამიანის მეტყველება სიტყვებით, როგორც ისინი ამჟამად გვესმის, არც კი დაწყებულა).

გავარკვიოთ ენის წარმოშობის საკითხი, ეს ნიშნავს: გამოვავლინოთ ის პირობები, **რომლებშიც შეიძლებოდა გაჩენილიყო ენა, რომლებშიც ადამიანს შეეძლო ლაპარაკის დაწყება.**

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის მეტყველების წარმოშობა წარმოადგენს ერთ ყველაზე პოპულარულ საკითხთაგანს: ამ პრობლემით დაინტერესებულია ისეთ პირთა ფართო წრეებიც კი, რომელთაც სრულიად არ აინტერესებთ ენათმეცნიერების სხვა საკითხები. აღსანიშნავია, რომ ენის წარმოშობის საკითხისადმი ეს ინტერესი ენათმეცნიერებას კი არ გამოუწვევია: ენის წარმოშობით დაინტერესებული იყვნენ ენათმეცნიერების ჩამოყალიბებამდე მრავალი საუკუნით ადრე. ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში (V-IV სს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) დიდი გატაცებით კამათობდნენ იმის შესახებ, რატომ ეწოდება საგანს ეს და არა სხვა სახელი, რა არის იმის საფუძველი, რომ ამა თუ იმ საგანს

ასე უწოდებენ და არა სხვაგვარად. არსებობდა თეორიები, რომლებიც ამ საკითხს არკვევდნენ. ერთნი ამტკიცებდნენ: საგნის სახელი განსაზღვრულია საგნის ბუნებითაო; თუ ეს ასე არ არის, — ამბობდნენ ისინი, — მაშ რატომ არის, რომ არ შეგვიძლია ჩვენი ნება-სურვილის მიხედვით ვუწოდოთ ამა თუ იმ საგანს ესა თუ ის სახელი. სახელი ბუნებითიაო, ამტკიცებდა ეს თეორია (თეორია ფჳსეი ბერძ. physei „ბუნებით"). მეორე თეორიის წარმომადგენლები ამაზე მიუგებდნენ: სახელი საგანს ეძლევა „შეთანხმება-დაკანონებით" (ბერძ. thesei თესეი „დაწესებით"); სახელი რომ საგნის ბუნებით განისაზღვრებოდეს, სხვადასხვა ენაში საგნებს სხვადასხვა სახელი არ ერქმეოდაო, ერთსა და იმავე საგნებს ყველა ენაზე ერთი და იგივე სახელი ექნებოდაო; მაშასადამე, სახელი არ განისაზღვრება საგნითაო. ორივე თეორიის უარყოფითი დებულებები სწორი იყო (ნებისმიერად საგნის სახელთა შეცვლა ენაში არ ხდება; სწორია ისიც, რომ სახელი არ განისაზღვრება საგნის ბუნებით). მაგრამ არსებითი ის კი არ არის, რომელი ამ თვალსაზრისთაგანი უფრო შეეფერება სინამდვილეს; მთავარია აქ საკითხის დასმა — რატომ იწოდება საგნები ასე და არა სხვაგვარად, — და ეს კი წარმოადგენს ე ნ ი ს ფ ი ლ ო ს ო ფ ი ი ს ერთ-ერთ ძირითად საკითხს. იმავე დროს ეს საკითხი ე ნ ი ს წ ა რ მ ო შ ო ბ ა ს აც ე ხ ე ბ ა — ცალკეული სიტყვების, საგნების სახელწოდებათა, მასალაზე. ეს საკითხი, როგორც ვხედავთ, ჯერ კიდევ ორი ათას ოთხასი წლის წინათ იდგა.

ენის წარმოშობის საკითხით დაინტერესებული იყვნენ აღმოსავლეთის ქვეყნებშიც. ჰეროდოტეს გადმოცემით, ეგვიპტის ფარაონმა ფსამეტიქმა VI საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ენის წარმოშობის საკითხის გასარკვევად თურმე ასეთი ცდა მოახდინა: ორი ბავშვი ისე აღზარდეს, რომ მათ არ გაუგონიათ ადამიანის მეტყველება. ბავშვები მაინც ალაპარაკდნენ და პირველი სიტყვა, რომელიც მათ წარმოთქვეს, იყო „ბეკოს". ფარაონმა გასცა განკარგულება გაეგოთ, რომელ ენაში არსებობს ეს სიტყვა. გამოირკვა, რომ ასეთი სიტყვა არსებობს ფრიგიულ ენაში და ნიშნავს „პურს". ფარაონმა აქედან დაასკვნა, რომ უძველეს ენად უნდა მივიჩნიოთ ფრიგიული: ამ ენაზე ალაპარაკდნენ ბავშვები, რომლებსაც არავითარი ენა არ უსწავლიათ; მაშასადამე, ამ ენაზე უნდა ალაპარაკებულიყო ადამიანი, რომელსაც მანამდე ენა არ ჰქონდაო. თავი რომ დავანებოთ საკითხს, თუ რამდენად კანონზომიერია ამ ექსპერიმენტიდან (თუკი მას, საერთოდ, ჰქონდა ადგილი ოდესმე) გამოტანილი დასკვნა, რომ არაფერი ვთქვათ იმის შესახებაც, თუ რამდენად საფუძვლიანია ექსპერიმენტის მეთოდიკა, ჰეროდოტეს მოთხრობა

ერთი მხრივ მაინც საგულისხმოა: ეს გადმოცემა მოწმობს, რომ ენის წარმოშობის საკითხი აინტერესებდათ ახლო აღმოსავლეთის ძველ ქვეყნებში ბერძნებზე უფრო ადრე.

ახალ საუკუნეებში მეტყველების წარმოშობისადმი ყურადღება არ შენელებულა XIX საუკუნემდე.

XIX საუკუნეში წარმოიშვა მეცნიერება ენის შესახებ. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ ამის შემდეგ შენელდა ენის წარმოშობის საკითხისადმი ინტერესი: ყოველ შემთხვევაში იმ ავტორებს შორის, რომელთა შრომებიც მიძღვნილია ენის წარმოშობისადმი, ენათმეცნიერი ძლიერ ცოტაა. პარიზის საენათმცენიერო საზოგადოების წესდება (1866 წ.) იმასაც კი ამბობდა, რომ: „საზოგადოება არ იღებს მოხსენებებს, რომლებიც ეხება ენის წარმოშობას და საყოველთაო ენის შექმნასაო". ეს არ არის შემთხვევითი: ამაში გამოვლინდა გატაცება ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლის კონკრეტული საკითხებით, რომელთაც ზუსტი გადაწყვეტა მოეპოვებათ, და ამასთან დაკავშირებით თავი იჩინა იმ ზოგადი საკითხების შეუფასებლობამ, რომლებიც მკაცრად პოზიტიურ გადაწყვეტას არ იძლეოდნენ.

ენის წარმოშობის საკითხისადმი ასეთი დამოკიდებულება მეთოდოლოგიურად გაუმართლებელია: ენათმეცნიერება ისევე ვერ იტყვის უარს ენის წარმოშობის საკითხზე, როგორც ბიოლოგია ვერ აუვლის გვერდს სიცოცხლის წარმოშობის პრობლემას. უეჭველია, ენის წარმოშობის საკითხს მარტოოდენ ენათმეცნიერება ვერ გადაწყვეტს, მაგრამ ბიოლოგიაც ხომ საჭიროებს სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა (გეოლოგიის, ბიოქიმიის) დახმარებას დედამიწაზე სიცოცხლის გაჩენის საკითხის დასმისა და გადაჭრის დროს, და მაინც ამის გამო სიცოცხლის წარმოშობის საკითხის შესწავლაზე მას ხელი არ აუღია. **ენის წარმოშობა წარმოადგენს ენათმეცნიერების ერთ-ერთ ძირითად თეორიულ საკითხთაგანს.**

მაგრამ ამ საკითხის გადაჭრა დამოკიდებულია მეორე, უფრო ზოგადი საკითხის გადაწყვეტაზე, — ადამიანის წარმოშობის საკითხის გადაწყვეტაზე: შეუძლებელია მეცნიერული წარმოდგენა ვიქონიოთ ადამიანის მეტყველების წარმოშობის შესახებ, თუ გათვალისწინებული არა გვაქვს, როგორ წარმოიშვა ადამიანი. ადამიანის მეტყველების წარმოშობის მეცნიერული თეორია უნდა ემყარებოდეს მეცნიერულ თეორიას ადამიანის წარმოშობის შესახებ, ადამიანთა საზოგადოების წარმოშობის შესახებ.

როდესაც XVIII საუკუნეში გაჩნდა თეორია, რომ სახელმწიფო

დამიანთა შეთანხმების შედეგად შეიქმნაო[21], იმავე საფუძველზე დაიყვეს ენის წარმოშობის ახსნაც: ენა შექმნეს ადამიანებმა, რომლებიც ეთანხმდნენ ამა და ამ საგნებისათვის ეწოდებინათ ესა და ეს სახელიო (ამას კი აღარ კითხულობდნენ: როგორღა შეთანხმდნენ, თუ ლაპარაკი არ იცოდნენ!). შეთანხმების საფუძველზე სახელმწიფოს წარმოშობის თეორიამ მოგვცა შეთანხმების თეორია ენის წარმოშობის შესახებ.

§ 25. ენის წარმოშობის ინდივიდუალისტური და სოციალური თეორიების შესახებ. როგორია ენის წარმოშობის თანამედროვე თეორიები? ენის წარმოშობის თეორიები ბევრია; ყველა ამ თეორიის გათვალისწინება აქ არც შესაძლებელია და არც არის საჭირო. იმ ძირითადი პრინციპის მიხედვით, რომელიც მათ საფუძვლად უდევს, ეს თეორიები შესაძლებელია ორ ჯგუფად დავყოთ: ერთ ჯგუფს ქმნიან **ინდივიდუალისტური თეორიები** და მეორეს — **სოციალური თეორიები.**

ტიპობრივ ინდივიდუალისტურ თეორიებს ეკუთვნის: ხმაბაძვითი (ონომატოპოეტური), წამოძახილებისა (შორისდებულებისა) და სიმღერის თეორიები.

ხმაბაძვითი თეორია ვარაუდობს, რომ პირველი სიტყვები ხმაბაძვითი სიტყვები იყო; საგანს სახელი ერქმეოდა იმის მიხედვით, თუ რა ხმას გამოსცემდა იგი: გუგულს „გუგული" დაერქვა იმიტომ, რომ ის „გუ-გუ"-ს გაიძახის (როგორღა დაარქვეს სახელი იმ საგნებს, რომლებიც ხმებს არ გამოსცემენ? რატომ ყველა ენაში ყველა საგანს არ დაერქვა სახელი მის მიერ გამოცემული ხმების მიხედვით? — ამ კითხვებზე პასუხს ეს თეორია არ იძლევა, თუმცა ეს კითხვები სავსებით კანონიერია მოცემული თეორიის თვალსაზრისით).

შორისდებულთა თეორია პირველ სიტყვებად მიიჩნევს **უნებლიე** წამოძახილებს (ძლიერი ტკივილით, შიშით, აღტაცებით ან სხვა ძლიერი განცდით გამოწვეულს). ამ წამოძახილებს უნდა გაეკვლიათ გზა დანარჩენი სიტყვების შექმნისათვის (ამ თეორიაში არ არის გათვალისწინებული, რომ ამ წამოძახილების მიჩნევა სიტყვებად შეუძლებელია. ეს წამოძახილები მათი გამომწვევი გრძნობების, აფექტების სახელები კი არ არის, არამედ მათს **უშუალო** გამოხატულებებს წარმოადგენენ; ასეთი წამოძახილებიდან საგნების სახელებამდე დიდი მანძილია).

[21] ამას ამტკიცებდნენ ტ. ჰობზი — XVII ს., ჟ.-ჟ. რუსო — XVIII ს.

სიმღერის თეორიას ისევ ადამიანის განცდებთან აქვს საქმე, ოღონდ ეს განცდები არ არის გამოწვეული გარეშე საგნების მიერ; ეს, ასე ვთქვათ, შინაგანი მოტივაციის განცდებია (ზოგი ავტორის აზრით, ამ განცდათა შორის მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სქესობრივ სიყვარულთან დაკავშირებული განცდები, ე. ი. ბიოლოგიური მომენტი); ადამიანი მღეროდა ადრე, ვიდრე ის ლაპარაკს დაიწყებდა. ეს სიმღერა, ცხადია, უსიტყვო იყო. სიმღერაში გაიწვრთნა ადამიანის სამეტყველო აპარატი, გაადვილდა მისი გამოყენება მეტყველებისათვის.

მიუხედავად განსხვავებისა, ამ თეორიებს საერთო პრინციპი უდევს საფუძვლად: სამივე გულისხმობს **ცალკეულ ინდივიდს,** ერთ ადამიანს, რომელიც, ერთ შემთხვევაში ხმის მიბაძვით არქმევს საგანს სახელს, მეორეში — წამოძახილებით იწყებს „ლაპარაკს“, ანდა კიდევ სიმღერაში გამოავლენს მდიდარ ემოციებს. ადამიანთა კოლექტივს არც ერთი ამ თეორიათაგანი არ საჭიროებს: სრულიადაც არ არის საჭირო ადამიანთა ჯგუფი იმისათვის, რომ გაიგონო „გუ-გუ“ და დაუკავშირო გარკვეულ ფრინველს ან იმისათვის, რომ დაიყვირო შიშის ან აუტანელი ტკივილისაგან, იმღერო მოწოლილი ემოციების გამო.

ენის წარმოშობის სოციალური თეორიისათვის ამოსავალია დებულება, რომ ენა შეიძლებოდა **წარმოშობილიყო მხოლოდ** ერთად მცხოვრებ ადამიანებში, პირველყოფილ ადამიანთა ჯგუფში (ურდოში), შეიძლებოდა წარმოშობილიყო მხოლოდ **კოლექტივის საჭიროებისათვის**, შეიძლებოდა წარმოშობილიყო **ადამიანთა ურთიერთობისათვის.**

ფართოდ არის ცნობილი ფრ. ენგელსის მოძღვრება, რომელიც ენის წარმოშობას, ისევე როგორც ადამიანის წინაპრის ადამიანად გარდაქმნას, შრომის პროცესს უკავშირებს; შრომა და შრომის განვითარება შეადგენდნენ ადამიანის საზოგადოების განვითარების საფუძველსა და ენის წარმოშობისათვის აუცილებელ წანამძღვრებს.

ამგვარად, ენა შეიქმნა იმისათვის, რომ დაეკმაყოფილებინა ურთიერთობის მოთხოვნილება. ენა შეიქმნა როგორც ურთიერთობისა და აზრთა გაზიარების საშუალება. ენას ასეთი დანიშნულება იმთავითვე ჰქონდა, **ოგი სწორედ ამისთვის იქმნებოდა.**

ბგერითი მეტყველება თავდაპირველად არ შედგებოდა დანაწევრებული ბგერებისაგან; განუვითარებელ ხორხს არ შეეძლო მათი წარმოთქმა; იგი თანდათანობით სწავლობდა დანაწევრებული ბგერების წარმოთქმას, ამასთან თვით ხორხიც თანდათანობით განიცდიდა გარდაქმნას. ალბათ ეს გრძელდებოდა ათეული ათასი წლების განმავლობაში:

პირველყოფილი ადამიანის დაუნაწევრებელი ბგერები შეიძლება შევადაროთ ბავშვის ტიტინს, რომელსაც, ჩვეულებრივ, ვერც გაარჩევს და ვერც გაიგებს გარეშე პირი, მაგრამ რომელშიაც მშვენივრად ერკვევა დედა.

ბევრი დავა იყო იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენდა პირველი სიტყვები: სახელსა თუ ზმნას, — საგანს აღნიშნავდნენ ისინი თუ მოქმედებას? ენა შრომასთან დაკავშირებით შეიქმნა; ამიტომ თანამიმდევრული გვეჩვენება, როცა ვარაუდობენ, რომ პირველი სიტყვები „ზმნები“ იყო, მოქმედებას აღნიშნავდნენო.

მაგრამ ეს ასე არ არის: ენის წარმოშობის ეპოქაში არ შეიძლებოდა გაერჩიათ „სახელი“ და „ზმნა“; საგნისა და მოქმედების კატეგორიები მაშინ არ არსებობდა: ეს კატეგორიები რომ პირველყოფილ ადამიანთა მეტყველებას მივაწეროთ, ანაქრონიზმი იქნება.

ყველაზე ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ თავდაპირველად არ არსებობდა ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ჩვენი თანამედროვე გაგებით; ბგერათა პირველი კომპლექსები, უნდა ვიფიქროთ, ბგერითი შემადგენლობით მოგვაგონებდნენ სიტყვას, მაგრამ აღნიშნავდნენ **მთლიან, დაუნაწევრებელ აღქმას** (წარმოდგენას), ე. ი. თავიანთი ფუნქციით უახლოვდებოდნენ წინადადებას, მაგრამ, ცხადია, წინადადებას არ წარმოადგენდნენ. პირველყოფილი ადამიანის მეტყველების ფაქტები შეიძლება შევუდაროთ ბავშვის წამოძახილებს: „აპა“ (უფრო ზუსტად: რაღაც „აპა“-ს მსგავსი!) ერთი წლის ბავშვის მეტყველებაში შეიძლება ნიშნავდეს: „ამიყვანე ხელში!“, „წავიდეთ სასეირნოდ!“, „ჩამაცვი პალტო!“ (ან თვით პალტოსაც კი, რომელსაც მას აცმევენ, როდესაც სასეირნოდ მიჰყავთ); კონტექსტის მიხედვით მას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს[22].

§ 26. არაბგერითი ენის პირველადობის საკითხის შესახებ. თითქმის საუკუნენახევარია გავრცელდა შეხედულება, რომ პირველადი ენა არ იყო ბგერითი ენა: ადამიანთა ლაპარაკი ქესტების (ხელის მო-

[22] ბავშვის მეტყველების დამოწმება არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ბავშვის ენის მიხედვით შეგვეძლოს პირველყოფილი ადამიანის ენის შესახებ მსჯელობა, თითქოს ბავშვის მიერ მეტყველების დაუფლების პროცესი წარმოგვიდგენდეს პირველყოფილ საზოგადოებაში ენის წარმოშობის პროცესს. მსგავსება აქ მხოლოდ ტ ი პ ო ლ ო გ ი უ რ ი ა, **განსხვავება კი არსებითია**: ბავშვი, რომელიც მეტყველ ადამიანთა გარემოცვაში იმყოფება, ენას სწავლობს ამ ადამიანთაგან, პირველყოფილი ადამიანები კი **ვერავისაგან ვერ ისწავლიდნენ, ვერავისაგან ვერ შეითვისებდნენ ენას: მათ უხდებოდათ ენის შექმნა.**

ძრაობათა) და მიმიკის საშუალებით დაიწყო. მაშასადამე, ენის წარმოშობის საკითხი არ დაიყვანება საკითხამდე იმის შესახებ, თუ როგორ შეიქმნა ბგერითი მეტყველება: ბგერითი მეტყველება მეორეულ მოვლენას წარმოადგენსო.

ასეთი შეხედულების გავრცელებას ძლიერ შეუწყო ხელი გერმანელი ფსიქოლოგის ვ. ვუნდტის შრომებმა. ჟესტების ენის დაწვრილებითი დახასიათება ვუნდტმა მოგვცა თავის „ხალხთა ფსიქოლოგიის“ პირველ ტომში (1901 წ.)[23]. ვუნდტმა პრინციპში გაუტოლა ერთმანეთს ჟესტი და ბგერა: ორივე მიიჩნია გამომხატველობით მოძრაობად (Ausdrucksbewegung). ფუნქციის მიხედვით ჟესტები აღნიშნავდნენ **წარმოდგენებს, ბგერები** კი პირველად გამოხატავდნენ მხოლოდ **გრძნობებსო.** ამგვარად, ვუნდტმა დაასაბუთა **ჟესტების ენის პირველადობა.**

რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ დ. ნ. ოვსიანიკო-კულიკოვსკიმ წამოაყენა დებულება ჟესტების ენის პირველადობის შესახებ. იგი ამტკიცებდა, რომ მრავალი ათეული ათასი წლის განმავლობაში ადამიანი ლაპარაკობდა მხოლოდ ჟესტების საშუალებით, ბგერითი ენა კი გვიან შეიქმნაო[24].

ხელის ენის პირველადობას იცავდა ნ. მარიც, რომელიც თვლიდა, რომ ბგერითი ენა გრძელდებოდა „საერთოდ, 50000 წლიდან 500000 წლამდეო“, ჟესტების ენა კი იხმარებოდა „მილიონიდან მილიონ ნახევარ წლამდეო“[25]. ჟესტების ენას ნ. მარი უწოდებდა კინეტურ (ე. ი. მოძრაობის) ენას, უფრო ხშირად — ხელის ენას. ხელის ენას ნ. მარის მიხედვით შეესაბამებოდა „ხელის აზროვნება“.

ხელის ენის პირველადობა არ შეიძლება დასაბუთებულად ჩავთვალოთ. შეუძლებელია ვივარაუდოთ, რომ ათეული ათასი წლის მანძილზე კაცობრიობას ურთიერთობის საშუალებად ეხმარა მხოლოდ ჟესტების ენა (არაფერს ვამბობთ ვარაუდის შესახებ, თითქოს ადამიანი მილიონი წლის განმავლობაში ლაპარაკობდა ხელით. ასეთი ვარაუდი ფანტასტიკურია). ჟესტების ენა (ხელის მოძრაობანი) თვალით დასანახ საშუალებებს იყენებს, ოპტიკურად აღსაქმელია: სიბნელეში ეს საშუალებები აღარ გამოდგება ურთიერთობის იარაღად. მაშასადამე, თუ

---

[23] არაბგერითი ენის პირველადობას ვუნდტი იცავს ადრინდელ შრომაშიც „ლექციები ადამიანისა და ცხოველთა სულის შესახებ“, ტ. II (რუს. თარგმ. 1866 წელსაა გამოცემული), ლექცია 54-ე.

[24] Итоги науки, ტ. X, 1914 წ., გვ. 269-270.

[25] Н. Марр. Язык и мышление. — რჩეული შრომები, ტ. III, გვ. 119.

პირველყოფილი ადამიანი მხოლოდ ხელით ლაპარაკობდა, ღამით ის ურთიერთობის საშუალებას მოკლებული აღმოჩნდებოდა, და თურმე ეს გრძელდებოდა ათეული ათასი წლის განმავლობაში; ამას ვერ ვივარაუდებთ, თუ გავითვალისწინებთ, რა დანიშნულებაც აქვს ენას ადამიანთა ცხოვრებაში.

ცხოველები (და ფრინველები) ხმას არანაკლებ იყენებენ, ვიდრე სხეულის ნაწილთა მოძრაობას (შდრ. ძაღლის წკმუტუნი და სხვადასხვაგვარი ყეფა იმის მიხედვით, თუ რას ან ვის ხედავს იგი... და კუდის ქიცინი...). სრულიად დაუჯერებელია, რომ ადამიანის წინაპარს არ გამოეყენებინა თავისი ხმის შესაძლებლობანი გრძნობათა გამოსახატავად — და შემდეგ კი — ურთიერთობის საჭიროებისათვის — ათეული ათასი წლის განმავლობაში.

ამჟამად ქესტების ენას გარკვეული გამოყენება აქვს; ქესტების ენა ყრუ-მუნჯთა ერთადერთი ენაა[26]; მაგრამ ეს ენა შექმნილია **ბგერითი ენის არსებობის პირობებში** და **ბგერითი ენის საფუძველზე.**

ძველად ქესტები, ალბათ, ისევე, როგორც ამჟამად, თან ახლდა სიტყვებს, მაგრამ არ შეიძლება ვიფიქროთ, თითქოს ისინი ურთიერთობის დამოუკიდებელ საშუალებას წარმოადგენდნენ მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა ბგერითი ენა.

ქესტების ენის პირველადობის სასარგებლოდ ცდილობდნენ მოეყვანათ არგუმენტები არქეოლოგიიდან: ქვის ხანის ადამიანს, როგორც ამას ამონათხარი თავის ქალა მოწმობს, არ ჰქონდა ენისქვეშა ძვალი. მაშასადამე, მას ვერ ექნებოდა ბგერითი ენა, ცხადია, ის ქესტებით ლაპარაკობდაო.

ენისქვეშა ძვლის უქონლობა გამორიცხავს **დანაწევრებულ** მეტყველებას და არა საერთოდ ბგერით მეტყველებას.

ბუნებრივი იქნებოდა, გვევარაუდა, რომ ადამიანმა ხმის გამოყენებით დაიწყო, პირველად ბგერითი მეტყველება შეიქმნა; ქესტ-მიმიკა კი დამხმარე საშუალება იყო, ბგერითი მეტყველების თანმხლები. ეს დამხმარე მით უფრო საჭირო უნდა ყოფილიყო, რაც უფრო განუვითარებელი იყო ბგერითი მეტყველება, ცხადია, ამ უკანასკნელის განვითარება

---

[26] მსოფლიოს ბევრ რეგიონში (ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში, აფრიკაში, ავსტრალიაში, ინდოეთში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე...) გავრცელებული ყოფილა არაყრუმუნჯთა ქესტების ენები. შედარებით კარგადაა ცნობილი ავსტრალიისა და ჩრდილო ამერიკის აბორიგენთა ასეთი ენები, რომელთა არსებობას გარკვეული ადათების დაცვისას დუმილის აუცილებლობით ხსნიან. მათ იყენებენ, აგრეთვე, დაშორებულ მანძილზე ურთიერთობისას, სიჩუმის დაცვისათვის ნადირობის დროს და სხვ. (რედ.).

ენესტ-შიმიკის დამხმარე როლის დასუსტებას მოასწავებდა. ამრიგად: არა **წინსწრება,** არამედ **თანაარსებობა, ბგერითი მეტყველების წამყვანი როლით ენის განვითარების ყველა საფეხურზე** — ასეთი ვარაუდი ჩანს უფრო მართებული. თავდაპირველად ენა შეიქმნა ბგერითი მეტყველების სახით. პირველადია ბგერითი ენა.

საბოლოოდ ენის წარმოშობის საკითხის შესახებ ამჟამად ენათმეცნიერებისა და სხვა მეცნიერებათა მონაცემების მიხედვით შეიძლება შემდეგი დასკვნა გაკეთდეს:

1. ენა მარტო ერთ ადგილას არ გაჩენილა (იგი შეიძლებოდა გაჩენილიყო ყველგან, სადაც საამისო პირობები იყო).

2. ცალკე მოხეტიალე „ადამიანი" არ ალაპარაკებულა, მეტყველება წარმოიშვა ადამიანთა ჯგუფში.

3. მეტყველება წარმოშვა სოციალურმა საჭიროებამ, ურთიერთობის მოთხოვნილებამ.

4. მეტყველება წარმოიშვა იმდროინდელი „ადამიანების" შრომითი საქმიანობის პროცესში.

5. პირველი მეტყველება იყო ბგერითი მეტყველება.

რაც შეეხება ხელის ენის პირველობას: ა) ამჟამადაც მის საწინააღმდეგოდ მეტი საბუთი მოიპოვება, ვიდრე მის სასარგებლოდ; ჟესტები იყო და არის თანმხლები მონაცემი; ბ) ხელის ენის პირველადობა ბგერითი ენის სოციალური საწყისის უარყოფად იქცევა: თუ გაგებინების საშუალება უკვე არსებობდა ხელის ენის სახით, ცხადია, „ურთიერთობის მოთხოვნილება" ვერ წარმოშობდა ბგერით ენას.

თავდაპირველად ენა შეიქმნა ბგერითი მეტყველების სახით, პირველადია ბგერითი ენა.

ენათმეცნიერების დარგების შესახებ

§ 27. ენათმეცნიერების დარგები. გრამატიკათა სახეობანი. ყოველი ენის საფუძველს შეადგენს გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი (იხ. § 10). ძირითადი ლექსიკური ფონდის საფუძველზე იქმნება ენის ლექსიკური შემადგენლობა. ლექსიკური შემადგენლობისაგან გრამატიკული წყობის მეშვეობით ყალიბდება ენის მთლიანი სისტემა. ამგვარად, ლ ე ქ ს ი კ უ რ ი შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ა და გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი წ ყ ო ბ ი თ ამოიწურება ყოველი ენის კონკრეტული არსი.

გრამატიკული წყობისა და **ლექსიკური შემადგენლობის** ყოველმხრივმა შესწავლამ გამოიწვია საენათმეცნიერო ცოდნის რიგი **დარგების** შექმნა. ეს დარგებია: **მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკოლოგია, სემანტიკა ანუ სემასიოლოგია, ეტიმოლოგია, სტილისტიკა და ფონეტიკა.**

გრამატიკულ წყობას შეისწავლის **მორფოლოგია** და **სინტაქსი;** ლექსიკას განიხილავს სხვადასხვა მხრივ — **ლექსიკოლოგია, სემანტიკა** და **ეტიმოლოგია.** როგორც გრამატიკული წყობის, ისე ლექსიკის ფაქტები შეიძლება განიხილოს **სტილისტიკამაც,** მაგრამ ახალი თვალსაზრისით, ვიდრე ენათმეცნიერების ზემოთ ჩამოთვლილ დარგებში (სახელდობრ, იმ მხრივ, თუ რა მიმართებაშია ენობრივი ფაქტი იმასთან, რაც მასში გადმოიცემა).

ფონეტიკის შესასწავლი საგანია ენის **ბგერითი მასალა.**

საენათმეცნიერო დისციპლინათა სისტემაში ცენტრალური ადგილი უჭირავს გრამატიკას, როგორც მოძღვრებას გრამატიკული წყობის შესახებ.

გრამატიკა შეიძლება იყოს **ისტორიული, შედარებითი, აღწერითი.** ისტორიული გრამატიკა იკვლევს ამა თუ იმ ენის გრამატიკული წყობის გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა ს (მაგალითად, შეიძლება გვქონდეს ისტორიული გრამატიკა ქართული ენისა, სომხურისა, რუსულისა, უკრაინულისა... და სხვ.). შედარებით გრამატიკაში შეისწავლება ისტორიულად ერთგვარი მნიშვნელობის მქონე მოვლენები **მონათესავე** ენათა გრამატიკულ წყობაში (ვთქვათ: შედარებითი გრამატიკა ქართველური ენებისა, სლავური ენებისა, გერმანული ენებისა... ინდოევროპული ენებისა, სემიტური ენებისა, უნგრულ-ფინური ენებისა...). მონათესავე ენათა შედარებითი შესწავლა საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ **მონათე-**

საგნ ენების ისტორია. ამდენად, შედარებითი გრამატიკა არათუ არ უპირისპირდება ისტორიულს, არამედ თვითონ წარმოადგენს მონათესავე ენათა ისტორიული გრამატიკის ნაწილს. ისტორიული გრამატიკა შეიძლება არ იყოს შედარებითი. შედარებითი გრამატიკა კი არ შეიძლება არ იყოს ისტორიული. აქედან წარმოდგა ტერმინი: „შედარებით-ისტორიული გრამატიკა“ (ან უფრო ზუსტად: „ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა“, რამდენადაც შედარება დამხმარე საშუალებაა ისტორიისათვის).

ზოგჯერ საკითხს სვამენ **არამონათესავე** ენათა შედარებით შესწავლაზე; ამ შემთხვევაში ხდება შეპირისპირება ერთი და იმავე **ფუნქციის (მნიშვნელობის)** მოვლენებისა (მაგალითად, სახელთა ბრუნებისა და ბრუნვათა, ზმნის უღვლილებისა, წინადადების აგებულებისა...) არამონათესავე ენებში. ამ გზით შედარებით გრამატიკას ვერ მივიღებთ; ეს იქნება შედარება ისტორიის გარეშე[27]. სლავური ენების ან უნგრულ-ფინური ენების შედარებითი გრამატიკა მეცნიერულად კანონზომიერია, მაგრამ ესტონური და ლატვიური ენების შედარებითი გრამატიკის დამუშავება შეუძლებელია: ეს ორი ენა არ ენათესავება ერთმანეთს.

ამა თუ იმ ენის გრამატიკული წყობა შეიძლება შევისწავლოთ მისი განვითარების რომელიმე გარკვეულ მომენტში იმისგან დამოუკიდებლივ, თუ რა ადგილი უჭირავს მას სათანადო ენის განვითარების ისტორიაში ან რა მიმართებაში იმყოფება იგი მონათესავე ენათა გრამატიკულ წყობასთან.

ენის სისტემის ასეთ განაკვეთს იძლევა **აღწერითი გრამატიკა.** ეს აღწერითი ანალიზი ისევე არ შეიძლება გავუთანაბროთ სრულ მეცნიერულ ანალიზს, როგორც არითმეტიკა არ შეიძლება გავუთანაბროთ მათემატიკას, მაგრამ იგი ისევე აუცილებელია ენათმეცნიერებისათვის, როგორც არითმეტიკა არის აუცილებელი მათემატიკისათვის. აღწერითი გრამატიკა წარმოადგენს აუცილებელ ამოსავალ მომენტს ისტორიული გრამატიკისათვის და ამდენად იგი მეცნიერულად კანონზომიერია.

უნდა აღინიშნოს, რომ ენის სისტემის აღწერითი ანალიზის მოცემისას ხშირად საჭირო ხდება დახმარებისათვის ისტორიას მივმართოთ:

---

[27] ასე, ისტორიის გარეშე, სინქრონიულ ჭრილში იკვლევს სხვადასხვა ენის მასალას შეპირისპირებითი (კონტრასტული და კონფრონტაციული) ენათმეცნიერება, რომელიც ემყარება თანამედროვე ტიპოლოგიისა და ენობრივ უნივერსალიათა თეორიის პრინციპებს (რედ.).

შეუძლებელია სწორად დავახასიათოთ ენის მოქმედ გრამატიკულ სისტემაში ესა თუ ის მოვლენა, თუ არ ვიცით ამ მოვლენის ისტორია. ესეც გახაზავს ისტორიული თვალსაზრისის პირველობას.

თანამედროვე აღწერითი გრამატიკა — აღწერითი გრამატიკა ისტორიული გრამატიკის არსებობის პირობებში — არსებითად განსხვავდება იმ ეპოქათა აღწერითი გრამატიკებისაგან, როდესაც ჯერ კიდევ არ მოიპოვებოდა ისტორიული გრამატიკები: ესაა წინარემეცნიერული აღწერითი გრამატიკები — ფილოლოგიური გრამატიკა, რაციონალური გრამატიკა (იხ. § 3) და მათი ტრადიციული გაგრძელება სასკოლო ტექნიკურ გრამატიკებში.

თანამედროვე აღწერითი **მეცნიერული** გრამატიკა **განსხვავდება წინარემეცნიერული** აღწერითი გრამატიკებისაგან რიგი მომენტის მიხედვით. ყველაზე არსებითია შემდეგი განსხვავება:

წინარემეცნიერული აღწერითი გრამატიკები (ფილოლოგიური, რაციონალური) შეისწავლიდნენ მხოლოდ ს ა მ წ ე რ ლ ო ენებს. მეცნიერული აღწერითი გრამატიკა შეისწავლის როგორც სამწერლო, ისე უმწერლო ენებს: ჰოტენტოტთა ენის შესწავლა ენათმეცნიერულად ისევე გამართლებულია, როგორც ლათინური ენისა.

სამწერლო ენაში ენის განვითარების კანონზომიერება დაჩრდილულია იმის გამო, რომ ენის ნორმებს შეგნებულად იცავენ და ენის განვითარებაზე გეგმაშეწონილ ზემოქმედებას ახდენენ. უმწერლო ენაში ამას ადგილი არა აქვს. განვითარების კანონზომიერებათა გამოსარკვევად უმწერლო ენათა ჩვენება უფრო ფასეულიც შეიძლება იყოს, ვიდრე სამწერლო ენებისა.

სამწერლო ენების წინარემეცნიერული აღწერითი გრამატიკები პრინციპში ნორმატიული ხასიათისაა (რა არის? როგორ უნდა იყოს?). წესები (ნორმები) და წესებიდან გამონაკლისები დგას ჩვეულებრივ ამ აღწერითი გრამატიკების ყურადღების ცენტრში. მეცნიერული აღწერითი გრამატიკები მიზნად ისახავენ გაარკვიონ, რა **არის** და რა **გზით მივიღეთ** ის, რაც არის. ისინი არ ცდილობენ დაადგინონ, **როგორ** უნდა იყოს, მაგრამ ისინი საიმედო საფუძველს უქმნიან მეცნიერულად დასაბუთებული ნორმების გამომუშავებას: როცა სწორადაა გარკვეული ლიტერატურული ენის ამა თუ იმ მოვლენის წარმოშობა, მეცნიერული გრამატიკა უზრუნველყოფს საკითხის ყველაზე მიზანშეწონილად გადაჭრას.

წინარემეცნიერულ აღწერით გრამატიკაში გვქონდა მხოლოდ **ეტიმოლოგია** (=მორფოლოგიას), **სინტაქსი** და **ორთოგრაფია**, რო-

გორც თანასწორუფლებიანი წევრი, პირველი ორი დარგის გვერდით. ფონეტიკის ელემენტები სუსტად იყო წარმოდგენილი, თვით ფონეტიკური პროცესების მნიშვნელობაც არ ყოფილა გათვალისწინებული.

მეცნიერული აღწერითი გრამატიკის დარგებს შორის არა გვაქვს ორთოგრაფია. ფონეტიკას დამოუკიდებელი ადგილი უკავია, ამასთან, სრულად **არის გათვალისწინებული ბგერითი ცვლილებების გავლენა მორფოლოგიასა და სინტაქსზე.**

მორფოლოგიამ და სინტაქსმა მეცნიერულ გრამატიკაში მიიღო ძველისაგან განსხვავებული შინაარსი იმის შედეგად, რომ შეიქმნა ენათმეცნიერების ახალი დარგები (ლექსიკოლოგია, სემასიოლოგია, ეტიმოლოგია, სტილისტიკა).

ამგვარად, თანამედროვე მეცნიერული გრამატიკა განსხვავდება წინარემეცნიერული გრამატიკებისაგან, როგორც შესასწავლი **ობიექტის მიხედვით, ისე თვალსაზრისისა** და დარგობრივი **შემადგენლობის მიხედვითაც.** თანამედროვე მეცნიერული აღწერითი გრამატიკა, რომელიც ისტორიული გრამატიკის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს, არსებითად განსხვავდება წინარემეცნიერული აღწერითი გრამატიკისაგან, რომლისთვისაც უცხო იყო ისტორიული თვალსაზრისი.

ენათმეცნიერების ყველა აქ ჩამოთვლილი დარგი — ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკოლოგია, სემანტიკა, ეტიმოლოგია, სტილისტიკა — აღმოგვაჩნდება ყოველი ენის შესწავლისას, თუ ამ ენის გრამატიკული წყობა და ლექსიკა ყოველმხრივ იქნება გაანალიზებული.

ყველა ამ დარგის **ზოგადი** საკითხები — რა **ძირითადი ცნებები** გვაქვს ყოველ დარგში, რა **ურთიერთობაა** ამ დარგებს შორის — უნდა განიხილოს ზოგადმა ენათმეცნიერებამ. ენათმეცნიერების შესავალშიც სწორედ ეს ზოგადი საკითხები იქნება შესწავლის საგანი.

თავი III

ფონეტიკა

§ 28. ფონეტიკის საგანი. ფონეტიკის მნიშვნელობის შესახებ. ფონეტიკას საქმე აქვს ადამიანის მეტყველების ბგერით მასალასთან. ფონეტიკა შეისწავლის ენის ბგერით შემადგენლობას, ენის ბგერით წყობასა და ბგერით ცვლილებებს ენაში, აგრეთვე, ამ ცვლილებათა კანონზომიერებებს (ბერძნ. phonē „ხმა"; phonētikē „ხმის, ბგერის შესახებ").

ბგერებში ვლინდება ენა მატერიალურად. ენა ვერ გამოდგებოდა ურთიერთობისა და აზრთა გაზიარების საშუალებად, რომ სიტყვები მოცემული არ იყოს ბგერების სახით, რომლებსაც მოლაპარაკე პირი წარმოთქვამს, მსმენელი კი აღიქვამს სმენით.

მეტყველების ბგერებს ადამიანი წარმოთქვამს; მეტყველების ბგერები შეიძლება „ვათქმევინოთ" აპარატებს (მაგალითად, დიქტოფონს, პატეფონს...). ასეთი ბგერების პირველ წყაროს წარმოადგენს ადამიანის მიერ წარმოთქმული ბგერები.

ყოველი ენის ბგერით შემადგენლობაში გამოიყოფა **ფონემები**[1] — ენის ბგერითი სისტემის ძირითადი ერთეულები — და მათი **სახესხვაობანი.** ფონეტიკა შეისწავლის როგორც ფონემებს, ისე ფონემათა სახესხვაობას. ფონეტიკა, როგორც ენათმეცნიერების ნაწილი, შეისწავლის ბგერებს, რომლებსაც ადამიანი **წარმოთქვამს** და რომლებიც ადამიანს **ესმის.**

ამის შესაბამისად ფონეტიკა განიხილავს: როგორ წარმოითქმის ბგერები, როგორია ბგერის წარმოქმნის ფიზიოლოგიური პროცესი (ე. წ. ბგერის არტიკულაცია), ერთი მხრივ, და როგორია ენის ბგერათა აკუსტიკური თვისებები, მეორე მხრივ. ამგვარად, ფონეტიკური აკუსტიკა და ბგერის ფიზიოლოგია განსხვავებულია, რამდენადაც ბგერათა ანალიზის დროს უნდა გავარჩიოთ მსმენელის თვალსაზრისი და მოლაპარაკის თვალსაზრისი.

---

[1] ფონემის შესახებ იხ. § 47.

რა აზრი აქვს ბგერის აკუსტიკური და ფიზიოლოგიური თვისებების შესწავლას? ენა ურთიერთობისა და აზრთა გაზიარების საშუალებაა. მაგრამ ურთიერთობის საშუალებად გამოყენებულია მთელი წინადადებები ან ცალკეული სიტყვები, და არა ცალკეული ბგერები.

მიუთითებენ — და სავსებით მართებულად, — რომ ენის ბგერითი შემადგენლობისა და ცალკეულ ბგერათა თვისებების ცოდნა აუცილებელია უმწერლო ენისათვის ანბანის შექმნისას ანდა (ახალი დამწერლობის ან ძველი დამწერლობის მქონე ენების) ორთოგრაფიული საკითხების მოწესრიგებისას. როდესაც ახალ ენას ვსწავლობთ (ან ენას ვასწავლით ვისმე), მაშინაც საჭიროა მოცემული ენის ბგერათა თვისებების გათვალისწინება. გარდა ამისა, ფონეტიკას მნიშვნელობა აქვს ლოგოპედიისათვის, მედიცინის იმ დარგისათვის, რომელიც მეტყველების მოშლილობას სწავლობს და მკურნალობს.

ყველა ამ შემთხვევაში აშკარად ჩანს ფონეტიკის **გამოყენებითი, პრაქტიკული** მნიშვნელობა. მაგრამ ფონეტიკის მნიშვნელობა ამით არ ამოიწურება. რაში მდგომარეობს ფონეტიკის, როგორც **ხანათმეცნიერო თეორიული** დისციპლინის, მნიშვნელობა?

ფონეტიკის თეორიული მნიშვნელობის დასასაბუთებლად არ გამოგვადგება დებულება, თითქოს ბგერა იყოს მნიშვნელობის მქონე ელემენტი სიტყვისა. ეს დებულება ვერ ჩაითვლება მართებულად: მნიშვნელობის მქონე უმცირეს ერთეულს მეტყველებისა წარმოადგენს სიტყვა და არა ბგერა[2].

რაიმე სიტყვა, მაგალითად, „სახელი“ მნიშვნელობის მქონეა, როგორც რაღაც მთლიანი, როგორც შეხამება გარკვეული ბგერებისა, რომლებიც განსაზღვრული თანამიმდევრობით არიან მოცემული.

სიტყვა „სახელი“ ექვსი ბგერისაგან შედგება (ს-ა-ხ-ე-ლ-ი), მაგრამ აქედან არ უნდა დავასკვნათ, თითქოს სიტყვის მნიშვნელობა **განაწილებული იყოს ამ ექვს ბგერას** შორის, თითქოს თითოეულ ბგერაზე მოდიოდეს მნიშვნელობის რაღაც ნაწილი და რომ ამისდა კვალად თითოეული ბგერა წარმოადგენდეს მნიშვნელობის მქონე ერთეულს.

თუ ჩამოვაცილებთ ამა თუ იმ ბგერას, დავინახავთ, რომ სიტყვის

[2] ცალკეულ შემთხვევებში სიტყვა შეიძლება ერთი ბგერისაგან შედგებოდეს, მაგრამ ასეთი შემთხვევები ისე იშვიათია, რომ მათ მიხედვით არავითარი ფორმულის ჩამოყალიბება არ შეიძლება, ამასთან, ასეთი ბგერები, ჩვეულებრივად, უფრო რთული კომპლექსების ნარჩენია.

მნიშვნელობა შეიცვალა (შდრ. **ხახელი — ხახლი**) ან ძველი მნიშვნელობა მოიშალა ისე, რომ ახალიც არ შექმნილა (შდრ. **ხახელი** და **„ხხელი“; ხახელი** და **„ხაელი“**).

მაგრამ ჩვენ მივიღეთ ახალი მნიშვნელობის მქონე ახალი კომპლექსი („ხახლი“) ან მნიშვნელობას მოკლებული ახალი კომპლექსები არა იმიტომ, რომ თითოეული ბგერა შეიცავს მნიშვნელობის რაღაც ნაწილს და ამ ბგერის ჩამოცილებით ჩვენ შესაბამისი ცვლილება შევიტანეთ სიტყვის მნიშვნელობაში. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის (ასე რომ იყოს, ერთსა და იმავე ბგერას ყველა სიტყვაში ერთნაირი მნიშვნელობა ექნებოდა, ერთი და იგივე ბგერა ყველგან ერთგვარად შეცვლიდა მნიშვნელობას).

ამა თუ იმ ბგერის ჩამოცილებით ჩვენ **დავადგინეთ სიტყვა, როგორც მთლიანი ერთეული,** რომელსაც უკავშირდება მნიშვნელობა. მაშასადამე, ცალკეული ბგერების ჩამოცილების ექსპერიმენტი იმას კი არ ამტკიცებს, რომ ცალკეული ბგერა არის სიტყვის მნიშვნელობის გარკვეული ნაწილის მატარებელი, რომ იგი წარმოადგენს მნიშვნელობის მქონე ელემენტს მეტყველებაში; ბგერათა ჩამოცილების ექსპერიმენტი გახაზავს სიტყვის, როგორც მნიშვნელობის მატარებლის, მთლიანობას, გახაზავს, რომ მნიშვნელობა უკავშირდება სიტყვას, როგორც მთლიანს და არა ცალკეულ ბგერებს, რომლებისაგანაც ის შედგება.

ამგვარად, არ შეიძლება ფონეტიკის თეორიული დასაბუთება იმაში ვეძიოთ, რომ ბგერა მნიშვნელობის მქონე ელემენტია მეტყველებისა, და ბგერის შესწავლის საჭიროება თეორიულად ამით საბუთდებაო.

ხშირად მიუთითებენ, რომ ბგერის ფუნქციაა მნიშვნელობათა გარჩევა: „ქორი“, „ქარი“, „ქერი“: **ო, ე, ი** თითქოს სიტყვათა განმასხვავებლის ფუნქციას ასრულებენ. როცა ასე მსჯელობენ, შედეგს ურევენ მიზეზში: ამ სიტყვებში განსხვავება გამოვლინდა მხოლოდ ხმოვნებში (**ო, ა, ე**), მაგრამ აქედან არ შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს ხმოვნები ამ სიტყვებში მონაწილეობენ განსხვავების შესანარჩუნებლად, მონაწილეობენ იმისათვის, რომ არ მივიღოთ ო მ ო ნ ი მ ე ბ ი (თუ „ქორი“, „ქარი“, „ქერი“ განსხვავდებიან მხოლოდ ხმოვნითი ელემენტით, ეს აიხსნება ისტორიულად — ამ სიტყვათა განსხვავებული წარმომავლობით). ბგერებს (ფონემებს) გ ა ნ მ ა ს ხ ვ ა ვ ე ბ ე ლ ი ფ უ ნ ქ ც ი ა რომ ჰქონდეს, **ენაში ომონიმების არსებობა შეუძლებელი იქნებოდა** (შდრ. 1. **ბარი**: მთა და ბარი... 2. **ბარი**: თოხი და ბარი... 1. **ხერხი**: ხერხი სჯობია ღონესა... 2. **ხერხი**: განის ხერხით გახერხეს...).

ცალკეული ფონეტიკური ფაქტის მნიშვნელობის მქონეობის დასა-

დასტურებლად ინტონაციის ფუნქციასაც იმოწმებენ.

მართლაც, ინტონაცია განასხვავებს თხრობით, კითხვით, ძახილის წინადადებებს. შდრ. ამხანაგმა მოიტანა წიგნი. — ამხანაგმა მოიტანა წიგნი? — ამხანაგმა მოიტანა წიგნი! ასეთ შემთხვევებში ინტონაციის მნიშვნელობა სრულიად უდავოა. მაგრამ ინტონაციის ასეთი როლი შეისწავლება სინტაქსში, სემასიოლოგიაში, სტილისტიკაში. ამდენად, მას არ შეუძლია განსაზღვროს ფონეტიკური თვალსაზრისის სპეციფიკურობა. ფონეტიკაში ინტონაცია ფუნქციის მიხედვით არ განიხილება.

ენის ბგერითი მხარის შესწავლის თეორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ **ბგერითი ცვლილებების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია დავამუშაოთ ლექსიკისა და გრამატიკული წყობის მეცნიერული ისტორია, ერთი სიტყვით, ენის ისტორია: ხოლო ბგერით ცვლილებებში ვერ გავერკვევით, თუ არ ვიცით ბგერათა თვისებები.**

აქედან გამომდინარეობს: ფონეტიკური გამოკვლევების **სიმძიმის ცენტრი ბგერით ცვლილებებზე მოდის.** ამიტომაც, როცა ბგერათა თვისებებს შევისწავლით, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ იმ მომენტებს, რომლებიც გვშველის იმის გაგებაში, თუ როგორ იცვლება ბგერები.

სწორედ ეს განსაზღვრავს სამეტყველო **ბგერათა ფიზიოლოგიის წამყვან როლს**[3] ფონეტიკურ აკუსტიკასთან შედარებით: სწორედ ბგერათა ფიზიოლოგია ხდის გასაგებს ცვლილებათა უმეტესობას (რატომ გვაქვს ნათესაობით ბრუნვაში „მამის“ და არა „მამაის“, რატომ ითქმის „გმირული“ და არა „გმირური“ და ა. შ.). მეტყველების ბგერათა ფიზიოლოგიის წამყვანი როლი უფრო ნათელი გახდება, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ აკუსტიკური ხასიათის ყველა თავისებურება განისაზღვრება სამეტყველო აპარატის მოქმედებით (იხ. § 31).

ისტორიული ფონეტიკის გარეშე ვერ შეიქმნებოდა ისტორიულ-

---

[3] ფონეტიკაში, ჩვეულებრივ, ლაპარაკობენ ბგერის სოციალური მხარის შესახებ; ეს არ არის საფუძველს მოკლებული, თუ მხედველობაში აქვთ ის გარემოება, რომ მეტყველების ბგერა უბრალოდ ფიზიკური ფაქტი კი არაა, არამედ გამოიყენება მასალად ენაში, როგორც ურთიერთობისა და აზრთა გაცვლის საშუალებაში. ამ მხრივ შეიძლება ვილაპარაკოთ ფონეტიკის სოციალური ასპექტის შესახებ, რამდენადაც ერთი და იგივე ბგერები სხვადასხვა ენაში ერთვგვარად არ იცვლება: ცვლილებებს არა აქვს ხასიათი ფიზიკური კანონზომიერებისა. ესა თუ ის ბგერითი ცვლა ყველა ენაში არ დასტურდება, არამედ — ზოგ ენაში; ცვლას ადგილი აქვს არა ყოველთვის, არამედ — გარკვეულ ეპოქაში.

ამგვარი დაზუსტების გარეშე ბგერის სოციალურ ხასიათზე ლაპარაკი გაუმართლებელია.

ჰედარებითი გრამატიკა, ისტორიული ენათმეცნიერება. შეიძლება გადაეჭარბებლად ითქვას, რომ სწორედ ფონეტიკის წყალობით იქცა ენათმეცნიერება ერთ-ერთ ყველაზე ზუსტ საზოგადოებრივ მეცნიერებად.

§ 29. ბგერის დახასიათება აკუსტიკური თვალსაზრისით. ბგერა წარმოადგენს შედეგს დრეკადი სხეულის მოძრაობათა, რომლებიც ჰაერის საშუალებით გადაიცემა (უჰაერო სივრცეში ბგერა არ ვრცელდება). დრეკადი სხეულის (სიმის, მემბრანის, სახმო სიმების...) რხევათა გარეშე ბგერა ვერ წარმოიქმნება. ადამიანის ყური აღიქვამს ბგერებს, თუ რხევათა რაოდენობა ე რ თ წ ა მ შ ი (სეკუნდში) არ არის 16-ზე ნაკლები და არ აღემატება 20 ათასს (როდესაც რხევათა რიცხვი 20 ათასზე მეტია, იგი აღიქმება არა როგორც ბგერა, არამედ როგორც ტკივილი ყურებში).

რხევათა ხასიათის მიხედვით იქმნება ტონები და ჩქამები. ტონები მიიღება, თუ რხევას რიტმული ხასიათი აქვს, ე.ი. თუ რხევა თანაბრად პერიოდულია. ჩქამები წარმოიშობა, თუ რხევა არ არის რიტმული, პერიოდული.

ბგერებში განასხვავებენ: **სიძლიერეს, სიმაღლეს, ხანგრძლიობასა** და **ტემბრს.**

ბგერის **სიძლიერე** დამოკიდებულია რხევათა **გაქანებაზე:** რაც უფრო დიდია **გაქანება** (მაგალითად, რხევადი სიმისა), მით უფრო ძლიერია ბგერა.

ბგერის **სიმაღლე** დამოკიდებულია რხევათა **რაოდენობაზე:** რაც უფრო დიდია რხევათა რიცხვი, მით უფრო მაღალია ბგერა. ყველაზე უკეთ აღიქმება რხევა 1500-3000 ფარგლებში.

ბგერის **ხანგრძლიობა** დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენ ხანს გრძელდება რხევა, წყვეტილია ის თუ ხანგრძლივი.

ბგერის **ტემბრი** დამოკიდებულია ძირითადი ტონისა და თანატონების ურთიერთობაზე. ტემბრის მიხედვით განსხვავებულია სხვადასხვა ინსტრუმენტის ერთნაირი სიმაღლის ბგერები, მაგალითად, ვიოლინოსი და ფანდურის, გიტარისა და ჩონგურისა. ტემბრის განსხვავება უკავშირდება რეზონატორთა განსხვავებას.

ასეთია ბგერის ფ ი ზ ი კ უ რ ი დახასიათება.

რაც შეეხება ბგერებს ა დ ა მ ი ა ნ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა შ ი, უნდა აღვნიშნოთ შემდეგი:

1. **მეტყველების ბგერათა** უმრავლესობა ჩქამებია, ისინი არ

წარმოადგენენ წმინდა ტონებს.

2. **მეტყველების ბგერათა სიძლიერე** განისაზღვრება ამოსუნთქული ჰაერის ტალღის დაწოლით სახმო სიმებზე (ან წინააღმდეგობის სხვა ადგილებზე). შდრ. ბგერათა სიძლიერე ორატორის მეტყველებაში, როცა იგი მრავალრიცხოვან კრებაზე გამოდის და როცა იგი ერთ პირთან საუბრობს, ანდა მახვილიანი ხმოვანი ბგერის სიძლიერე: **стенá, потолóк, дéрево...**

3. **მეტყველების ბგერათა სიმაღლე** განისაზღვრება სახმო სიმების სიგრძითა და დაჭიმულობით. ბავშვებს, ქალებს სახმო სიმები უფრო მოკლე აქვთ, სიმები უფრო დაჭიმულია, ბგერის სიმაღლეც ამის შესაბამისად მეტია.

4. **ხმოვანი ბგერების ხანგრძლიობა** უფრო მეტია, ვიდრე თანხმოვნებისა, ამასთან, თანხმოვნებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ხანგრძლიობის მიხედვით.

5. **მეტყველების ბგერათა ტემბრი** განისაზღვრება პირისა და ცხვირის ღრუების, აგრეთვე ხახის ღრუს მოცულობითა და ფორმით.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ადამიანის მეტყველების ბგერათა აკუსტიკური დახასიათების ყველა მომენტი უკავშირდება მეტყველების ბგერათა **წარმოთქმის** ამა თუ იმ მომენტს, სამეტყველო ორგანოთა მოქმედებას, სხვა სიტყვებით, **მეტყველების ბგერათა ფიზიოლოგიას.** ამით გაიხაზება ფონეტიკის ამ დარგის მნიშვნელობა.

§ 30. სამეტყველო აპარატი. მისი აგებულება და მისი ცალკეული ნაწილების ფუნქციები. ბგერის წარმოთქმის მასალას წარმოადგენს ამოსუნთქული ჰაერი (შესუნთქული ჰაერი ამ მიზნით, როგორც წესი, ვერ გამოიყენება). მაგრამ შესაძლებელია ჰაერი ამოვისუნთქოთ და არ კი ვილაპარაკოთ. ამოსუნთქულ ჰაერს მხოლოდ სამეტყველო აპარატის წყალობით შეუძლია მეტყველების ბგერები წარმოქმნას. სამეტყველო ორგანოები განლაგებულია სასუნთქ მილზე.

ფილტვებიდან ამოსუნთქული ჰაერი ბრონქებიდან გადადის **სასუნთქ მილში** (trachea), აქედან — **ხორხში** (larynx), ხორხიდან — **ხახის ღრუში** (pharynx), აქედან კი — **ცხვირის** ღრუში ანდა **პირის** ღრუში. ასეთია გზა, რომლითაც ამოსუნთქული ჰაერი მოძდინარეობს.

ბგერის წარმოთქმისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია **სახმო სიმები,** რომლებიც ხორხშია მოთავსებული, და **ენა** — პირის ღრუში. ხორხი (larynx) საყლაპავი მილის წინ არის. ხორხი შედგება ხრტილებისაგან: **ბეჭდისებრი** ხრტილისაგან (cartilago cricoidea), **ფარისებრი** ხრტი-

ლისაგან (cartilago thyreoidea) და ორი **პირამიდისებრი** (ანუ ციცხვისებრი) ხრტილისაგან (cartilagines arytenoideae). ფარისებრი ხრტილის კედლებზე მოიპოვება ორი მორჩი, რომლებიც კუნთების საშუალებით ზევით უერთდება ენისქვეშა ძვალს (os hyoideum); ეს ძვალი ამოძრავებს ხორხს, ხორხი ზემოდან იხურება მოძრავი ხორხსარქველით (epiglottis). ხორხსარქველი კეტავს გზას ხორხისაკენ და საჭმელი გადასრიალდება ხორხსარქველს ზემოთ საყლაპავ მილში.

ხორხში, როგორც ნათქვამი იყო, არის სახმო სიმები (chordae vocales). სახმო სიმების წინა დაბოლოება შეერთებულია ფარისებრ ხრტილში ხორხისთავის შიგნით. უკანა ბოლოებით ისინი მიმაგრებული არიან პირამიდისებრ ხრტილებზე; ვინაიდან პირამიდისებრი ხრტილები მოძრავია, სახმო სიმებს შეუძლიათ შეეხონ ერთმანეთს, დაუახლოვდნენ ან დაშორდნენ; მათი დაშორებისას წარმოშობილ ნაპრალს **ყოახ** უწოდებენ.

ხორხის (larynx) ზემოთ მოთავსებულია ხახის ის ღრუ (pharynx), რომელიც პირისა და ცხვირის ღრუებში გადადის. პირის ღრუს მოცულობა შეიძლება ძლიერ შეიცვალოს, რადგანაც ქვედა ყბა მოძრავია.

პირის ღრუს წინა საზღვარს ქმნის წინა კბილები (რომლებსაც გარედან ფარავენ ბაგეები — ზედა და ქვედა). კბილების ძირები ჩასმულია ბუდეებში; ბუდეების ზემოთ გამობურცულად ჩანს **ნუნები** (ალვეოლები). ზედა კბილების ალვეოლების შემდეგ იწყება **მაგარი ხახა** (palatum durum). უკან იგი გადადის **რბილ სახაში** ანუ **ხახის ფარდაში** (velum palati). ეს უკანასკნელი ბოლოვდება ნაქით (uvula).

პირის ღრუში მოთავსებულია ენა, რომელსაც შეუძლია მიიღოს სხვადასხვა ფორმა და აწარმოოს სხვადასხვაგვარი მოძრაობა: ენაში განასხვავებენ: ენის **წვერს,** ენის **წინა კიდეს** (რომელშიაც ენის ზურგი უერთდება ენის ქვედა მხარეს), ენის ზურგს (წინა, შუა, უკანა ზურგი — ენისა), ენის **ძირს.**

ბგერების წარმოთქმაში მონაწილეობენ: სახმო სიმები, ენა, ბაგეები, ნუნები, წინა კბილები, სასა (მაგარი და რბილი), ნაქი, ხახის უკანა კედელი, ქვედა და ზედა ყბა.

ზოგი ამათგანი **აქტიურად** მონაწილეობს: ე.ი. იღებს სხვადასხვა მდგომარეობას სხვადასხვა ბგერის წარმოთქმისას, ზოგი კი მონაწილეობს **პასიურად,** არ იცვლის მდგომარეობას ბგერათა წარმოების დროს.

აქტიური სამეტყველო **ორგანოებია:** სახმო სიმები, ენა, ბაგეები, რბილი სასა, ნაქი (და ქვედა ყბა).

პასიურია: წინა კბილები, ნუნები, მაგარი სა-

სა, ხახის უკანა კედელი (და ზედა ყბა).

§ 31. მეტყველების აქტიური ორგანოების მოქმედება. რაში გამოიხატება მეტყველების აქტიური ორგანოების მოქმედება? დავიწყოთ სახმო სიმებით. სახმო სიმებს შეიძლება ჰქონდეს სამი სხვადასხვაგვარი მდგომარეობა: ერთი — სუნთქვის დროს, მეორე — ბგერის წარმოების დროს, მესამე — ჩურჩულის დროს. **სუნთქვის დროს სახმო სიმები** ღიაა, ჰაერი ყიაში თავისუფლად ამოდის (ამასთან ყია შესუნთქვისას უფრო ღიაა, ვიდრე ამოსუნთქვისას). ღია დაუპიმავი სახმო სიმები დამახასიათებელია სახმო სიმების ინდიფერენტული მდგომარეობისათვის, როდესაც ისინი აქტიურად არ მონაწილეობენ ბგერების წარმოთქმაში. ასეთსავე მდგომარეობაშია სახმო სიმები ყრუ ბგერების (**კ, ტ; პ..., ქ, თ, ფ...**) წარმოთქმის დროს: მათ წარმოთქმაში სახმო სიმები არ მონაწილეობს.

სახმო სიმები შესაძლებელია მჭიდროდ **დაუახლოვდნენ** ერთმანეთს და **დაიჭიმონ.** როდესაც ამოსუნთქული ჰაერი გაივლის დაჭიმული სახმო სიმების ვიწრო ნაპრალში, იგი ათრთოლებს და აყღერებს მათ. ამას ადგილი აქვს როგორც ხმოვნების (**ა, ი, უ...**), ისე მკღერი თანხმოვნების (**ბ, დ, გ, ზ, ჟ..., ნ, ლ, რ...**) წარმოთქმის დროს. საკმარისია მივადოთ თითი ხორხისთავს (ან ყურები თითებით დავიცოთ), რომ ვიგრძნოთ სახმო სიმების თრთოლა ხმოვნებისა და მკღერი თანხმოვნების (**ბ, დ, გ, ზ...**) წარმოთქმის დროს. თანხმოვნები ყრუა, თუ მათი წარმოების დროს სახმო სიმები არ ყღერენ. ასეთი ყრუ თანხმოვნებია: **პ, ტ. კ... ფ, თ, ხ...** (შდრ. **ფ, თ, ს...** და: **ბ, დ, ზ...**).

თუ სახმო სიმები დაუპიმავია, ხოლო ყია მეტ-ნაკლებად დავიწროებული, მეტყველებას ჩურჩულის ხასიათი ექნება (ჩურჩული შეიძლება წარმოიშვას დახურული ყიის შემთხვევაშიც, თუ ღია რჩება ხრტილებშუა ნაპრალი, ე. ი. ნაპრალი პირამიდისებრ ხრტილებს შორის): ხრტილებშუა ნაპრალში შეიქმნება ხახუნის ძლიერი ჩქამი.

სახმო სიმების მონაწილეობის გარეშე ხმა არ არსებობს, ვერ წარმოვთქვამთ მკღერ ბგერებს (ხმოვნებს, სონანტებს, მკღერ თანხმოვნებს). სახმო სიმების მოქმედებასთან არის დაკავშირებული აგრეთვე ხმის სიმაღლე, რომლის ცვალებადობაც განსაზღვრავს მეტყველების მელოდიკას.

რბილი ხახა (სასის ფარდა) ინდიფერენტულ მდგომარეობაში თავისუფლადაა ჩამოშვებული და გზას უხსნის ამოსუნთქულ ჰაერს ცხვირის ღრუსაკენ; მაგრამ იგი შეიძლება მიუახლოვდეს ხახის უკანა

დელს (ან შეეხოს მას) და ამგვარად გაუძნელოს (ან შეუკრას) ჰაერს ხა ცხვირის ღრუსაკენ.

ეგრეთწოდებული ცხვირისმიერი ბგერების (**მ, ნ**) წარმოთქმის ıროს ამოსუნთქული ჰაერი გადის ცხვირის ღრუში, მაშასადამე, რბილ-ე სასა არ იღებს აქტიურ მონაწილეობას. მაგრამ სხვა, არაცხვირისიერი, ე. წ. წმინდა ბგერების წარმოთქმის დროს საჭიროა, რომ რბილ-ა სასამ დაუკეტოს ჰაერს გზა ცხვირის ღრუსაკენ, ე. ი. საჭიროა რბილ-ე სასის აქტიური მონაწილეობა. თუ რბილი სასა დეფექტურია, ჰაერის დენა ცხვირის ღრუში არ შეწყდება და ყველა ბგერა „ცხვირში ჯამოითქმება“: მივიღებთ დუდღუნა მეტყველებას.

ნაქი აქტიურად მონაწილეობს ფრანგული მეტყველების თავისებური **ʀ** ბგერის წარმოთქმისას (ესაა „ნაქისმიერი რ“, იგი ღ-სავით ისმის).

სამეტყველო აპარატის ყველაზე აქტიურ ორგანოს წარმოადგენს ენა. სახმო სიმების აქტიურობა რომ გამოვავლინოთ, ამისათვის საჭიროა სპეციალური ცოდნა; ენის მოძრაობა კი ბგერათა წარმოთქმისას საგანგებო შესწავლის გარეშეც ცხადია; იგი თვალში ეცემა კაცს. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ ადამიანის მეტყველებას „ენა“ დაარქვეს[4].

ენის ყველა ნაწილს არ შეუძლია ერთნაირად აქტიური იყოს. ყველაზე მეტი შესაძლებლობა მოეპოვება ენის **წინა ნაწილს**: იგი ყველაზე მოძრავია და შესაბამისად ყველაზე აქტიურიც. ნაკლები შესაძლებლობა აქვს ენის შუა ნაწილს და კიდევ უფრო ნაკლები — უკანა ნაწილს.

ენის წინა ნაწილს შეუძლია მიებჯინოს ზედა კბილებს: ამას ადგილი აქვს ისეთი თანხმოვნების წარმოების დროს, როგორიცაა: **დ, ტ, ო, ნ...** მათ **წინაენისმიერები** ან **დენტალები** (კბილისმიერები) ეწოდება[5]. ენის წინა ნაწილი შეიძლება მიუახლოვდეს ზედა კბილებს (მაგალითად, **ხ**-ს წარმოთქმის დროს). ენის წინა ნაწილი შესაძლებელია მიებჯინოს ზედა კბილების ნუნებს (ასე წარმოითქმის, მაგალითად, ინგლისური d, t...), შესაძლებელია მიუახლოვდეს ნუნებს (მაგალითად, **შ, ჟ**... ბგერათა წარმოთქმის დროს). ენის წინა ნაწილი შესაძლებელია ერთ მხარეზე გადაიწიოს და ჰაერს გასასვლელი დაუტოვოს გვერდით (ასე წარმოითქმის ეგრეთწოდებული ლ ა ტ ე -

[4] ასეა, მაგალითად, ქართულში, რუსულში.

[5] ლათინ. dens „კბილი“, dentes „კბილები“.

რალი ბგერები ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში; მაგალითად: ხუნძური ლ'...).

წინაენისმიერ ბგერათა მრავალფეროვნება განისაზღვრება იმით, რომ ენის წინა ნაწილს მოძრაობის ყველაზე მეტი შესაძლებლობა აქვს კბილებისა და ნუნების მიმართ.

ენის შუა ნაწილმა შეიძლება შეიცვალოს თავისი მდგომარეობა მაგარი სასის მიმართ, მიუახლოვდეს ან დაშორდეს მას. ენის შუა ნაწილი აწეულია **ე, ი** ხმოვნების წარმოების დროს. მაგრამ ასეთივე მდგომარეობა შეიძლება შევნიშნოთ თანხმოვანთა წარმოების დროსაც (იქნება ეს წინაენისმიერი თანხმოვნები თუ უკანაენისმიერები: ტ´ (ть), ნ´ (нь)... გ, კ. მათ რბილი ეწოდებათ აკუსტიკური შთაბეჭდილების მიხედვით, ფიზიოლოგიურად კი ისინი ხასიათდებიან როგორც პალატალურები ანუ **შუაენისმიერები.** ენის უკანა ნაწილის აქტიურობა ვლინდება ზოგი ხმოვნის (**ო, უ**) და თანხმოვნის (**კ, გ...**) წარმოთქმის დროს. ამ ბგერებს **უკანაენისმიერები** ეწოდება.

ბაგეების აქტიურობა შეიძლება გამოვლინდეს როგორც ხმოვნების (**ო, უ...**), ისე თანხმოვნების (**ბ, პ, მ...**) წარმოების დროს. ასეთ ბგერებს **ბაგისმიერები** ეწოდება. თუ აქტიურად მონაწილეობს როგორც ზედა, ისე ქვედა ბაგე, ბგერას უწოდებენ **წყვილბაგისმიერს** ანუ **ბილაბიალურს.** მაგრამ ბგერის წარმოებაში შესაძლებელია აქტიური მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ ქვედა ბაგემ, რომელიც ეხება ზედა კბილებს (ბგერა ფ) ან უახლოვდება მათ (ბგერა ვ). ასეთ ბგერებს უწოდებენ **ბაგე-კბილისმიერებს** ანუ **ლაბიო-დენტალურებს.**

ამა თუ იმ ბგერის წარმოთქმისათვის არ არის საკმარისი სამეტყველო აპარატის ერთი რომელიმე ორგანოს აქტიურობა. როგორც წესი, ბგერის წარმოთქმაში მონაწილეობას იღებს რამდენიმე ორგანო. მაგალითად, ბგერა **ბ**-ს წარმოთქმისათვის საჭიროა აქტიური მონაწილეობა მიიღონ: **სახმო სიმებმა** (სახმო სიმები თრთიან, ჟღერენ!), **რბილმა სასამ** (რბილი სასა მიიწევს ხახის კედლისაკენ და გზას დაუხშავს ჰაერს ცხვირის ღრუსაკენ!), **ბაგეებმა** (ბაგეები შეეხებიან ერთმანეთს).

§ 32. ბგერის არტიკულაცია და საარტიკულაციო ბაზისი. ბგერის წარმოქმნას სამეტყველო აპარატის მოქმედების შედეგად ეწოდება ბგერის **არტიკულაცია.** ერთგვარი ბგერები სხვადასხვა ენებში შესაძლებელია განსხვავებულად იწარმოებოდნენ. ასე, მაგალითად, წინაენისმიერი **თ, დ, ტ** ქართულ ენაში ზედა კბილებთან წარმოითქმის,

ინგლისური t, d — ნუნებთან. ქართულისა და სხვა იბერიულ-კავკასიური ენების ყრუ **ბ, ტ, კ...** იწარმოება არა ამოსუნთქული ჰაერის გამოყენებით, არამედ იმ ჰაერით, რომელიც ხორხსზედა ღრუებში იმყოფება. ასეთ ბგერას უწოდებენ **აბრუპტივს** (გ. **ახვლედიანი**). ასეთი ბგერების წარმოთქმა აკუსტიკურად ხასიათდება თავისებური **სიმკვეთრით**.

ბგერათა არტიკულაციის თავისებურებანი შესაძლებელია არც ისე გვეცემოდეს თვალში; მაგრამ ოდნავ შესამჩნევი თავისებურებებიც კი არ არის მოკლებული მნიშვნელობას იმ სპეციფიკური მდგომარეობის თვალსაზრისით, რომელიც ახასიათებს სამეტყველო აპარატს ამა თუ იმ ენაზე ლაპარაკის დროს. სამეტყველო აპარატის საწარმოთქმო განწყობას, რომელიც დამახასიათებელია ამა თუ იმ ენისათვის, ეწოდება **საარტიკულაციო ბაზისი.** ენათა საარტიკულაციო ბაზისები მეტნაკლებად განსხვავებულია ერთმანეთისაგან.

როდესაც ახალ ენას სწავლობენ, ჯერ ამ ენის ბგერებს წარმოთქვამენ მშობლიური ენის საარტიკულაციო ბაზისის საშუალებით, — წარმოთქვამენ, როგორც იტყვიან ხოლმე, „აქცენტით". მხოლოდ შემდეგში, როდესაც ენას დაეუფლებიან, თანდათანობით ითვისებენ ახალ საარტიკულაციო ბაზისსაც, თუმცა ხშირად უფრო ძნელია სრულყოფილად დავეუფლოთ ახალ საარტიკულაციო ბაზისს, ვიდრე დავეუფლოთ ახალი, არამშობლიური ენის ლექსიკასა და გრამატიკულ წყობას.

§ 33. ბგერათა კლასიფიკაცია. ხმოვნები და მათი კლასიფიკაცია. ძველთაგანვე მიღებულია მეტყველების ბგერათა დაყოფა ორ ძირითად ჯგუფად: ერთს ქმნიან **ხმოვნები (ა, ე, ი, ო, უ)**, მეორეს — **თანხმოვნები (ბ, ბ, დ, ტ, კ, გ...).** ხშირად ცალკე ჯგუფად გამოყოფენ **სონანტებს** ანუ **ნარნარა ბგერებს (მ, ნ, ლ, რ)**, როგორც გარდამავალ კატეგორიას ხმოვნებსა და თანხმოვნებს შორის, მაგრამ უფრო ბუნებრივია არ გამოვყოთ ისინი თანხმოვანთა ჯგუფიდან, რომლებთანაც უფრო ახლოს არიან თავისი თვისებებით.

ხმოვან ბგერებს თანხმოვნებისაგან განსხვავებით ახასიათებს არტიკულაციის შემდეგი თავისებურებები: 1. ხმოვნების წარმოთქმისას ჰაერის ნაკადს არ ხვდება დაბრკოლება, იგი დაუბრკოლებლივ მიმდინარეობს; 2. სამეტყველო აპარატის დაჭიმულობა თანაბარია; 3. ჰაერის ნაკადი ხმოვნების წარმოთქმისას სუსტია. თანხმოვნების წარმოთქმის დროს კი: 1. ჰაერის ნაკადს უხდება (ამა თუ იმ სახის) დაბრკოლების გადალახვა. 2. ყველაზე მეტი დაჭიმულობა იგრძნობა დაბრკოლების

გადალახვისას და 3. ჰაერის ნაკადი უფრო ძლიერია, ვიდრე ხმოვნების წარმოთქმის დროს.

უნდა აღინიშნოს, რომ მკვეთრად უპირისპირდება ერთმანეთს **ხმოვნები და ყრუ თანხმოვნები;** მკღერი თანხმოვნები და, განსაკუთრებით, ნარნარები (სონანტები) ამგვარადვე არ უპირისპირდება ხმოვნებს; ნარნარათა არსებობა ხმოვანთა და თანხმოვანთა დაპირისპირებას პირობით ხასიათს აძლევს.

ემპირიულად ხმოვნებს უპირისპირებენ თანხმოვნებს მარცვლის წარმოების პრინციპის მიხედვით: ხმოვანი ქმნის მარცვალს, თანხმოვანი კი — არა; რამდენი ხმოვანიცაა სიტყვაში, იმდენივეა მარცვალი. მაგრამ ეს ემპირიული წესიც ვერ გაშველის კრიტიკულ შემთხვევებში (**რ, ლ** და **ნ, მ**-ც კი შეიძლება ქმნიდნენ ზოგ ენაში მარცვალს).

სპეციალურ ლიტერატურაში წამოყენებულია დებულება, რომლის მიხედვითაც ხმოვნები სტატიკურია, თანხმოვნები კი — დინამიკური: ხმოვანთა არტიკულაცია წარმოებს ორგანოებით, რომლებიც უცვლელ მდგომარეობაში იმყოფებიან, თანხმოვანთა არტიკულაცია კი — მოძრაობაში მყოფი ორგანოებით. მაგრამ ზოგი თანხმოვანიც (**ს, შ...** და სხვა ნაპრალოვანი თანხმოვნები) ხომ სტატიკურია. ამრიგად, ეს კრიტერიუმიც ყველგან არ გაშველის.

ხმოვნები ზოგ ენაში მეტია, ზოგში — ნაკლები. ასე, მაგალითად, ქართულ ენაში ხუთი ხმოვანია: **ა, ე, ი, ო, უ;** რუსულში — ექვსი: **а, е, и, ы, о, у;** ინგლისურში — 21 (მათ რიცხვში 12 მარტივი); სვანურში — 18 მარტივი ხმოვანია. ენათა უმრავლესობაში გვხვდება ხუთი ძირითადი ხმოვანი: **ა, ე, ი, ო, უ** (თუმცა ისეთი ენებიც არსებობს, რომლებშიაც გარჩეულია მხოლოდ სამი ძირითადი ხმოვანი ბგერა: ა, ე, ი)[6].

ხმოვნები შეიძლება დავაჯგუფოთ იმის მიხედვით, თუ ხმოვნის წარმოთქმისას: 1. რა მდგომარეობა აქვს **ენას,** 2. რა მონაწილეობას იღებენ **ბაგეები** და 3. რა მდგომარეობაშია **რბილი სასა.**

ენა შეიძლება მოძრაობდეს **ჰორიზონტალურად** (გადაინაცვლოს წინ ან უკან) და **ვერტიკალურად** (აიწიოს მაგარი სასისაკენ ან დაეშვას). პირველ შემთხვევაში — ენის მდგომარეობის შესაბამისად ჩვენ გვექნება წინა რიგის, უკანა რიგისა და შუა რიგის ხმოვანი. **წინა** რიგის ხმოვანი იწარმოება, როდესაც წინ წაწეული ენა წვერით ქვედა კბილებს ებჯინება, ხოლო პირის უკანა ღრუში იქმნება თავისუფალი არე. წინა რიგის ხმოვნებია **ე, ი.**

[6] ასეთი ვითარება გვაქვს ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში.

უკანა რიგის ხმოვანი მაშინა გვაქვს, თუ უკან დაწეული ენა უახლოვდება რბილ სასას, ენის წვერი კი დაშვებულია და რამდენადმე დაშორებული ქვედა კბილებს. უკანა რიგის ხმოვნებია — **ო, უ**. საშუალო მდგომარეობა უკავია ენას **შუა** რიგის ხმოვნების დროს; შუა რიგის ხმოვანია **ა**.

იმის მიხედვით, თუ რამდენად აწეულია ენა მაგარი სასისაკენ, განასხვავებენ **მაღალი** აწეულობის (ასეთია: **ი, უ**), **დაბალი** აწეულობის (ასეთია **ა**) და **საშუალო** აწეულობის (**ე, ო**) ხმოვნებს. მაღალი აწეულობის ხმოვანი (**ი, უ**) ჩვეულებრივ დაჭიმულ (ანუ დახურულ, ვიწრო) ხმოვნად ითვლება, დაბალი აწეულობის ხმოვანი, პირიქით, დაუჭიმავი (ანუ ღია, ფართო) ხმოვანია, მაგრამ ხშირად ლაპარაკობენ ღია **ე**-სა ან **ო**-ს და დახურული **ე**-სა ან **ო**-ს შესახებ ერთმანეთთან შეფარდებით.

ბაგეების მონაწილეობის მიხედვით განასხვავებენ ბაგისმიერ (ანუ ლაბიალიზებულ) ხმოვნებს, როგორიცაა **უ, ო** და არაბაგისმიერებს (ანუ არალაბიალიზებულებს); ასეთებია **ი, ა, ე**.

ხმოვნების წარმოთქმის დროს რბილი სასა, როგორც წესი, ებჯინება ხახის უკანა კედელს და ამოსუნთქული ჰაერის ნაკადს უხშავს გზას ცხვირის ღრუსაკენ. ჰაერის ნაკადი გამოდის პირის ღრუში. ასეთ შემთხვევაში მიიღება **წმინდა** ხმოვნები. მაგრამ რბილი სასა შესაძლებელია დაშვებული დარჩეს და მაშინ ჰაერის ნაკადი მოხვდება ცხვირის ღრუში და გვაძლევს ცხვირისმიერობით დახასიათებულ ხმოვნებს, — **ნაზალიზებულ** ხმოვნებს. ასეთი ხმოვნები ახასიათებს, მაგ., ფრანგულ ენას.

§ 34. ᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲮᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘ. ხმოვანი შეიძლება იყოს **გრძელი** და **მოკლე**. განსხვავება მათ შორის **რაოდენობრივია:** გრძელი ხმოვნის არტიკულაცია შესაძლებელია მოკლე ხმოვნის არტიკულაციაზე ორჯერ უფრო ხანგრძლივი იყოს. გრძელი და მოკლე ხმოვნების არტიკულაციის ხანგრძლიობის აბსოლუტური სიდიდე დამოკიდებულია მეტყველების ტემპზე: როცა მეტყველების ტემპი სწრაფია (მაგალითად, ცხარე კამათის დროს, სხაპასხუპით ლაპარაკის დროს), ხმოვნები არ წარმოითქმის იმავე ხანგრძლიობით, როგორიც დამახასიათებელია, მაგალითად, რადიოს დიქტორის მეტყველებისათვის. მაგრამ, მეტყველების როგორც სწრაფი, ისე ნელი ტემპის დროს რაოდენობრივი შეფარდება გრძელი და მოკლე ხმოვნისა დაცულია.

განასხვავებენ ხმოვნის სიგრძეს „ადგილმდებარეობის მიხედვით“

(de positione — მაგალითად, ორი თანხმოვნის წინ) და „ბუნებრივ სიგრძეს" (de natura), ე. ი. სიგრძეს ხმოვანი ბგერის ადგილმდებარეობისაგან დამოუკიდებლად. ასეთი სიგრძე ახასიათებდა ხმოვნებს, მაგალითად, ბერძნულსა და ლათინურში (სადაც იგი გრამატიკული ფორმების სხვაობასაც უჩვენებდა). ბერძნულ და ლათინურ ენებში გრძელი და მოკლე ხმოვნების განსხვავება საფუძვლად ედო ლექსთწყობას (ე. წ. მეტრიკულ ლექსთწყობას).

§ 35. დიფთონგი და ტრიფთონგი. ხმოვანი ბგერა მარცვალს ქმნის (ბა-ლა-ხი, მე-ზო-ბე-ლი, მცე-ნა-რე...).

ორი (და სამი) ხმოვანი უშუალო მეზობლობაში შეიძლება მოგვევლინოს როგორც სრული, თანაბარი სიდიდის ფონეტიკური ერთეული, და თითოეულმა მათგანმა წარმოქმნას მარცვალი (**აა**შენა, დღ**ეე**ბი, ფილოლოგ**იის**, ზ**ოო**ლოგია... დ**ააარსა**, გ**აააძ**ვილა...). მაგრამ ორმა ხმოვანმა ბგერამ შესაძლებელია ერთი მარცვალი შექმნას, ამასთან ერთი ხმოვანი სრულადაა დაცული, მეორე კი მოკლე (სუსტი) იქნება. ორი ხმოვნის ასეთ შეერთებას ერთ მარცვალში ეწოდება დ ი ფ თ ო ნ გ ი (ბერძნულისაგან dis „ორმაგი", phtongos „ბგერა"). ასეთია: **აი, ეი, ოი, უი... და, დე, დო, დუ...**

დიფთონგებში ჩვეულებრივ მონაწილეობენ **ი** და **უ** (წყვილბაგისმიერი w); **ი** მომდინარეობს **ი** ხმოვნიდან, **უ** — **უ** ხმოვნიდან.

დიფთონგი **დამაგალია,** როდესაც ის იწყება სრული ხმოვნით და გადადის სუსტ ხმოვანში: რუს. чай, зной, слой, гной, злой... ძვ. ქართულის: ძმაჲ, დღეჲ, ყრუჲ...

დიფთონგს **აღმაგალი** ეწოდება, როდესაც იგი იწყება სუსტი ხმოვნით და გადადის სრულ ხმოვანში. გერმ. ja (და) „კი", „დიახ", ფრანგ. moi (მუა) „მე"...

ნამდვილ დიფთონგებად ითვლება **დამაგალი** დიფთონგები. დიფთონგის ანალოგიით ნაწარმოებია ტერმინი მონოფთონგი („ცალხმოვანა"...).

დიფთონგების გარდა შესაძლებელია **ტრიფტონგებიც:** სამი ხმოვნის შეერთება ერთ მარცვალში [ინგლ. twenty-storeyed (ტუენტი-სტორეიდ) „ოცსართულიანი": eye ერთ მარცვალს ქმნის).

§ 36. თანხმოვანთა კლასიფიკაცია და ამ კლასიფიკაციის საფუძვლები. თანხმოვანთა კლასიფიკაცია უფრო რთულია, ვინაიდან თანხმოვანთა დახასიათებისას გასათვალისწინებელია ბევრად მეტი მო-

მენტი, ვიდრე ხმოვანთა კლასიფიკაციის დროს.

წარმოთქმაში **ჩქამიანი** და **ხმიანი** მონაწილეობის მიხედვით თანხმოვნები იყოფა ორ ჯგუფად: ერთს ქმნიან **ჩქამიერი** თანხმოვნები (**ბ, ტ, კ, ბ, დ, გ, ს, ზ, შ, ჟ**...); მეორეს — **სონორი** (ნარნარა) თანხმოვნები (**მ, ნ, ლ, რ**). ჩქამიერები შედგებიან ან მხოლოდ ჩქამისაგან, ან ჩქამისა და ხმისაგან, მაგრამ ისე კი, რომ **ჭარბობს ჩქამი.** ჩქამს იწვევს დაბრკოლების გადალახვა მათი წარმოთქმის დროს. სონორ თანხმოვნებში **ჭარბობს ხმა,** რომელიც სახმო სიმების ვიბრაციის შედეგს წარმოადგენს.

დაბრკოლების ხასიათის მიხედვით თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ე ბ ი იყოფა: **ხშულებად** (**ბ, დ, გ, ფ, თ, ქ, ბ, ტ, კ**...) და **ნაბრალოვნებად** (**ს, ზ, შ, ჟ**...).

ყოველი ბგერის არტიკულაციაში განარჩევენ **ხან მომენტს** ანუ **ფაზას.**

პირველ ფაზას ეწოდება **შემართვა** (ანუ ე ქ ს კ უ რ ს ი ა ; ლათ. excursio „გამორბენა"): ესაა ნეიტრალური (საერთოდ წინანდელი) მდგომარეობიდან სამეტყველო ორგანოების გადასვლა იმ მდგომარეობაში, რომელიც წარმოსათქმელი ბგერის საწარმოებლად არის საჭირო.

მეორე ფაზას ქმნის **დაყოვნება** (ანუ მწვერვალი), როდესაც სამეტყველო ორგანოები ბგერის წარმოსათქმელ მოძრაობას შეასრულებენ (ანდა საამისოდ საჭირო მდგომარეობაში რჩებიან).

მესამე ფაზას შეადგენს **დამართვა** (ანუ რეკურსია, ლათ. recursio „უკურბენა").

ხშულ თანხმოვანთა წარმოთქმისას პირველ ფაზას (შემართვას, ექსკურსიას) ქმნის **ხშვა** (ანუ **იმპლოზია;** ლათ. implosio „ხმაურით დახურვა"); მესამე ფაზას **განხშვა** (ანუ სკდომა, ე ქ ს პ ლ ო ზ ი ა ; ლათ. explosio „ხმაურით გახსნა"). მეორე ფაზა — ე. ი. ხშვასა და განხშვას შორის — ხშულ თანხმოვანთა წარმოებაშიც **დაყოვნებაა.**

ასე, მაგალითად, **ბ** ბგერის წარმოთქმისას ხშვას ბ ა გ ე ე ბ ი აწარმოებენ, **დ**-ს წარმოთქმისას კი — ენა, რომელიც ზედ კ ბ ი ლ ე ბ ს ებჯინება.

განხშვის მეყსეულობა აკუსტიკურად აღიქმის როგორც სკდომა. აკუსტიკური შთაბეჭდილების მიხედვით ხშულებს მ ს კ დ ო მ ე ბ ი (ანუ ე ქ ს პ ლ ო ზ ი უ რ ე ბ ი) ეწოდება. რამდენადაც ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ ბგერის არტიკულაციას აკუსტიკურ მომენტთან შედარებით, ბუნებრივად მიგვაჩნია ამ ბგერებს **ხშულები** ვუწოდოთ. ასეთი ხშული თანხმოვნებია, მაგალითად: **ბ, ტ, კ, ბ, დ, გ, მ, ნ, ლ...**

თუ ხშვის დაყოვნება გრძელდება, მივიღებთ **გრძელ თანხმოვანს:** ასეთია ორი ერთნაირი თანხმოვნის წარმოთქმა უშუალო მეზობლობაში: ადი**დდა,** შედე**დდა**... ნა**მმა,** გე**მმა**... აქ ორი **დ**-ს, ორი **მ**-ს ნაცვლად წარმოითქმის ერთი თანხმოვანი — **დ, მ,** — მაგრამ ხშვის უფრო ხანგრძლივი დაყოვნებით, ესაა „გრძელი დ", „გრძელი მ".

ნაპრალოვანთა არტიკულაციის დროს ორგანოები კი არ იკეტება, არამედ მხოლოდ უახლოვდება ერთმანეთს; ხშვის ნაცვლად მიიღება ნაპრალი და ის ქმნის დაბრკოლებას. ნაპრალში გავლილი ჰაერი ხახუნს იწვევს. ასე იწარმოება, მაგალითად: **ს, შ, ზ, ჟ, ხ, ღ.** ასეთ თანხმოვნებს უწოდებენ ნაპრალოვნებს, რამდენადაც მხედველობაში გვაქვს დაბრკოლების ხასიათი, ანდა სპირანტებს, ანდა კიდევ ფრიკატივებს, რამდენადაც მხედველობაში იღებენ ჰაერის ხახუნს (ლათ. fricare „ხახუნი").

ნაპრალოვანთაგან უნდა განვასხვაოთ **ფშვინვიერები** ანუ ასპირატები, რომელთა წარმოთქმა ხასიათდება ძლიერი ფშვინვით. ასეთია ქართული და სომხური ფშვინვიერები **ფ, თ, ჭ,** რუსული ф, ч, щ, ბერძნული θ, φ, ძველი ინდური ph, th, kh, bh, dh, gh...

ნაპრავლოვანი თანხმოვნები — ხშულებისაგან განსხვავებით — მყოვარებია: **ს, ზ, შ, ჟ...;** მათი წარმოთქმა შესაძლებელია გაბმულად.

მარტივ ხშულ და ნაპრალოვან ბგერებს უპირისპირდება **რთული თანხმოვნები** ანუ **აფრიკატები (ძ, ჯ, ც, ჩ, წ, ჭ...).** აფრიკატების არტიკულაცია აერთიანებს ხშულებისა და ნაპრალოვნების არტიკულაციათა გარკვეულ მომენტებს: პირველი ორი მომენტი — ხშვა და დაყოვნება — აფრიკატის არტიკულაციაში წარმოებს ისევე, როგორც ეს ხშულებთანა გვაქვს, უკანასკნელი მომენტი — განხშვა — წარმოებს ისე, როგორც ნაპრალოვნებისა. ამგვარად, **ც** თითქოს შედგენილია **თ+ს, ჩ=თ+შ,** ასევე: **ძ=დ+ზ, ჯ=დ+ჟ, წ=ტ+ს, ჭ=ტ+შ.** ცხადია, **ც** არ უდრის **თს**-ს, ისევე როგორც **ჩ** არ შეიძლება ჩავთვალოთ **თ**-სა და **შ**-ს შენაერთად და ა. შ. აფრიკატებში **(ც, ჩ, ძ, ჯ, წ, ჭ)** ეს ელემენტები **ორგანულადაა შერწყმული.** ამიტომ აფრიკატებს **შერწყმულ** თანხმოვნებსაც უწოდებენ.

დაბრკოლების წარმოქმნის ადგილის მიხედვით გვექნება თანხმოვნები:

წყვილბაგისმიერები (ანუ ბილაბიალურები): **ბ, ფ, პ, მ.**

ბაგე-კბილისმიერები (უფრო ზუსტად: კბილ-ბაგისმიერები ანუ დენტო-ლაბიალურები): **ვ, ფ.**

წინაენისმიერები: კბილისმიერები (დენტალურები): **დ, თ, ტ, ნ, ლ, ს, ზ, ც.**
ნუნისმიერები (ანუ ალვეოლურები): **ჯ, ჩ, ჟ, შ, ჟ, რ.**

შუაენისმიერები (პალატალურები): **ჲ.**

უკანაენისმიერები (ველარულები): **გ, ქ, კ, ხ, ღ.**

ხახისმიერები (ფარინგალები): **ყ, ჭ.**

ხორხისმიერები (ლარინგალები): **ჰ.**

რბილი სასის მონაწილეობის მიხედვით:

წმინდა (არაცხვირისმიერი) თანხმოვნები — რბილი სასა აწეულია და ხურავს გზას ცხვირის ღრუსაკენ **(ბ, დ, ბ, ტ, ფ, კ, გ, ქ, ს, ზ, ც...).**

ცხვირისმიერები — რბილი სასა დაშვებულია, ჰაერი გამოდის ცხვირის ღრუში **(მ, ნ).**

სახმო სიმების მონაწილეობის მიხედვით გვექნება თანხმოვნები:

მჟღერები: მათი წარმოებისას სახმო სიმები ჟღერენ: **ბ, დ, გ, ზ, ჟ, მ, ნ, ლ, რ, ვ.**

ყრუები: მათი წარმოთქმის დროს სახმო სიმები არ ჟღერენ: **პ, ტ, ს, შ, ფ, თ, ხ.**

გარდა ამისა, შეიძლება ვილაპარაკოთ თანხმოვანთა ნაზალიზაციის, ლაბიალიზაციის, პალატალიზაციის (იხ. §§ 31 და 33) შესახებ. აღსანიშნავია, რომ ლაბიალიზაციის, პალატალიზაციის შედეგად შესაძლებელია წარმოიშვას დამოუკიდებელი ფონემები (ასე, მაგალითად, აფხაზურ ენაში არსებობს ლაბიალიზებული წინაენისმიერი ფონემები: დ°, ტ°, ძ°, ც°...), პალატალური გ, კ...

§ 37. თანხმოვანთა არტიკულაციის თავისებურებანი და მათი ცვლის შესაძლებლობანი. თანხმოვანთა სრული დახასიათება შეიძლება წარმოვადგინოთ, თუ გავითვალისწინებთ ყველა ზემოჩამოთვლილ მომენტს: ჩქამიერია თანხმოვანი თუ სონორი, მარტივი არის იგი თუ რთული, ხშული თუ ნაპრალოვანი, ბაგისმიერი, წინაენისმიერი თუ უკანაენისმიერი..., წმინდა თუ ცხვირისმიერი, მჟღერი თუ ყრუ, ფშვინვიერი თუ მკვეთრი...

თანხმოვანი ბგერა **ბ** არის:
ჩქამიერი
წმინდა (არაცხვირისმიერი)

თანხმოვანი ბგერა **მ** არის:
სონორი
ცხვირისმიერი

მარტივი	მარტივი
ხშული	ხშული
წყვილბაგისმიერი	წყვილბაგისმიერი
მჟღერი	მჟღერი

როგორც ამ „საანკეტო" მონაცემებიდან ჩანს, **ბ** და **მ** მხოლოდ იმით განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ ერთი (**ბ**) არის ჩქამიერი, არაცხვირისმიერი (წმინდა) თანხმოვანი, ხოლო მეორე — (**მ**) არის სონორი, ცხვირისმიერი. სხვა ნიშნების მიხედვით კი ისინი არ განირჩევიან. ამგვარად, არსებითად მხოლოდ რბილი სასის სხვადასხვაგვარი მონაწილეობა განასხვავებს წყვილბაგისმიერი **ბ** და **მ** თანხმოვნების არტიკულაციას ერთმანეთისაგან.

ასეთივეა წინაენისმიერი **დ** და **ნ**-ს არტიკულაციათა ურთიერთობა:

თანხმოვანი **დ** არის:	თანხმოვანი **ნ** არის:
ჩქამიერი	**სონორი**
წმინდა (არაცხვირისმიერი)	**ცხვირისმიერი**
მარტივი	მარტივი
ხშული	ხშული
წინაენისმიერი	წინაენისმიერი
მჟღერი	მჟღერი

თანხმოვანი **ხ** არის:	თანხმოვანი **ზ** არის:
ჩქამიერი	ჩქამიერი
წმინდა	წმინდა
მარტივი	მარტივი
ნაპრალოვანი	ნაპრალოვანი
წინაენისმიერი	წინაენისმიერი
ყრუ	**მჟღერი**

თანხმოვანი **შ** არის:	თანხმოვანი **ც** არის:
ჩქამიერი	ჩქამიერი
წმინდა	წმინდა
მარტივი	**რთული**
ნაპრალოვანი	**ხშული**
წინაენისმიერი	**წინაენისმიერი**
ყრუ	ყრუ
ფშვინვიერი	ფშვინვიერი

იანხმოვანი **ჩ** არის:	თანხმოვანი **ჯ** არის:
ჩქამიერი	ჩქამიერი
წმინდა	წმინდა
რთული	რთული
ხშული	ხშული
ნუნისმიერი	ნუნისმიერი
ყრუ	**მჟღერი**
ფშვინვიერი	**არაფშვინვიერი**

თანხმოვნები შეიძლება ქმნიდნენ წ ყ ვ ი ლ ე უ ლ ე ბ ს (მაგალითად, რუსული ენის **ბ–პ, დ–ტ, ჟ–შ, ც–ჩ, ვ–ფ...**), ანდა იყვნენ **ცალ-ცალად** (მაგალითად, რუს., ქართ. **მ, ნ, ლ, რ...**). იბერიულ-კავკასიურ ენებში წყვილეულებისა და ცალეულების გარდა მოგვეპოვება **სამეულებიც**: სამეულს ქმნის **მჟღერი, ყრუ** ფშვინვიერი და **მკგეთრი** (გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი); **სამეულებია: ბ, ფ, პ; დ, თ, ტ; ძ, ც, წ; ჯ, ჩ, ჭ; გ, ქ, კ.** ადიღეურ (ჩერქეზულ) ენებში **ოთხეულებსაც** გამოყოფენ (გ. რ ო გ ა ვ ა). ოთხეულში შედის: **მჟღერი, ყრუ ფშვინვიერი, მკგეთრი** და **პრერუპტივი.**

რაც უფრო მეტი საერთო ნიშნები აქვს ორი ბგერის არტიკულაციას, მით უფრო ადვილად შეიძლება შეენაცვლონ ისინი ერთმანეთს, გადავიდნენ ერთიმეორეში: ბ და **მ, დ** და **ნ, ს** და **ზ, ხ** და **შ, ც** და **ჩ** შეუდარებლად უფრო ადვილად შეიძლება შეენაცვლონ ერთმანეთს, ვიდრე, მაგალითად, **ბ** და **დ, მ** და **პ,** რომ არ ვილაპარაკოთ ისეთ ბგერებზე, როგორიცაა, **ბ** და **ტ, ნ** და **კ, ს** და **გ...** შუამავალი საფეხურების გარეშე ეს უკანასკნელები საერთოდ არ შეიძლება გადავიდნენ ერთი მეორეში: იმდენად განსხვავებულია მათი არტიკულაცია.

§ 38. ბგერის წარმოება ცალკე და სხვა ბგერებთან ერთად (კოარტიკულაცია). ზევით ბგერათა წარმოებას რომ ვახასიათებდით, მხედველობაში გვქონდა ცალკე აღებული ბგერა. ცოცხალ მეტყველებაში ცალკე აღებული ბგერები კი არა გვაქვს, აქ სიტყვები და სიტყვებისაგან შემდგარი წინადადებებია მოცემული. ცოცხალ მეტყველებაში ბგერათა შენაერთები გვაქვს.

როცა რამდენიმე ბგერა ერთად იწარმოება, **თითოეული მათგანის წარმოება** გარკვეულ ცვლილებებს განიცდის. ამრიგად, უნდა განვასხვაოთ ცალკე აღებული ბგერის წარმოება (არტიკულაცია) და ერ-

თმანეთთან შეხამებულ ბგერათა წარმოება ანუ ბგერათა **თანაარტიკულაცია, კოარტიკულაცია** (ლათინ. coarticulatio: co- „თანა", articulatio „წარმოება", „არტიკულაცია").

გ თანხმოვანი მჟღერია, მაგრამ ეს ბგერა ერთნაირი როდია სიტყვაში „გული" და სიტყვაში „გპირდება". ეს ორი **გ** განსხვავდება ფიზიოლოგიურადაც და აკუსტიკური შთაბეჭდილების მიხედვითაც.

კოარტიკულაციასთან დაკავშირებული ცვლილებები შეიძლება შევადაროთ იმ ცვლილებებს, რომელთაც გადაბმით დაწერილ ასოთა მოხაზულობა განიცდის: გადაბმით დაწერილი ასოები განსხვავდება ცალკე დაწერილი ასოებისაგან ზოგჯერ იმდენად, რომ ამოკითხვა ჭირს (არაბულ ანბანში ზოგიერთი ასოს, მაგ. **ბ, კ, ფ, ღ**-ს მოხაზულობა — თვალსაჩინოდ განსხვავდება იმისდა კვალად, თავშია იგი, ბოლოში ან შუაში, რა ასო უძღვის ან მოსდევს).

ერთად წარმოთქმულ ბგერებს გაბმულ მეტყველებაში კომპაქტურ ფონეტიკურ ერთეულებად — მარცვლებად, სიტყვებად, ტაქტებად — აყალიბებს **მახვილი.**

მახვილი ბგერით ცვლილებებს იწვევს (სიტყვაში, წინადადებაში). რიგი ბგერითი ცვლილებებიც დაკავშირებულია ბგერების **კოარტიკულაციასთან.**

ამისდა მიხედვით საჭიროა განვიხილოთ მახვილის სახეები, აგრეთვე კოარტიკულაციასთან დაკავშირებული — თუ სხვა — ფონეტიკური ცვლილებები.

§ 39. ფონეტიკური მახვილი და მისი სახეები. მახვილი ეწოდება **ხმის გაძლიერებას** ან **ტონის ამაღლებას** სიტყვის ამა თუ იმ მარცვალზე (ან მარცვლებზე). მარცვალი, რომელსაც ხვდება მახვილი, იწოდება **მახვილის მატარებელ** მარცვლად.

განასხვავებენ მახვილის ორ სახეს: ერთია **დინამიკური** ანუ **ექსპირატორული** მახვილი, მეორეა — **ტონური** ანუ **მუსიკალური** მახვილი.

დინამიკური ეწოდება ისეთ მახვილს, როცა მახვილის მატარებელ მარცვალში ხმა ძლიერდება, ე. ი. მატულობს სახმო სიმების რხევის გაჭანება (§ 29). შდრ. ქართული: დედა (და არა: დედა), მუშა (და არა: მუშა), სარკე (და არა: სარკე), ცხენი (და არა: ცხენი), კედელი (და არა: კედელი ან კედელი). რუსული: голова́, стена́, мо́ре, о́зеро, де́рево, челове́к...

დინამიკურ მახვილს უწოდებენ **ექსპირატორულსაც** ანუ ამო-

სუნთქვითს, რადგანაც ვარაუდობენ, თითქოს დინამიკური მახვილისთვის ნიშანდობლივი იყოს ამოსუნთქული ჰაერის რაოდენობის გადიდება (ეს ექსპერიმენტულად არ დადასტურდა. ამდენად ტერმინი „ექსპირატორული“ არაა გამართლებული; „დინამიკური“ უფრო ზუსტი ტერმინია).

ტონური ანუ **მუსიკალური** ეწოდება ისეთ მახვილს, როდესაც მახვილის მატარებელ მარცვალში ტონი უფრო მაღალია, ე. ი. სახმო სიმების რხევათა სიხშირე მატულობს (§ 29).

ტონური მახვილის ნიშუშად შეიძლება დავასახელოთ მთიულურში შემორჩენილი ტონის გაძლიერება (სიტყვის მეორე მარცვალზე ბოლოდან): იქ ეყ-ა-რა-ა... ეგ ა-რი... გაიმართ-ე-ბა თამაშ-თ-ბა...

უნდა აღინიშნოს, რომ ხმის გაძლიერებას თან ახლავს ტონის ერთგვარი აწევაც (და — პირიქით). ეს ნიშნავს: ენაში არა გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ დინამიკური ანდა წმინდა ტონური მახვილი, არამედ ჭარბობს ერთ-ერთი მათგანისათვის დამახასიათებელი მომენტები.

დინამიკური მახვილი გვაქვს რუსულში, უკრაინულში, ბელორუსულში, ქართულში, სომხურში, აზერბაიჯანულში, უზბეკურში, ყაზახურში, გერმანულში, ინგლისურში... დინამიკური იყო მახვილი ლათინურში.

ტონურია მახვილი ლიტვურში, სერბულში, ჩინურში, იაპონურში... ტონური მახვილი ჰქონდა ძველ ინდურსა და ძველ ბერძნულს.

დინამიკური მახვილი შეიძლება იყოს **ძლიერი** (მახვილის მატარებელი მარცვალი მკვეთრად გამოირჩევა) ანდა **სუსტი** (მახვილიანი მარცვალი მკვეთრად არ გამოირჩევა).

ძლიერი დინამიკური მახვილის ნიშუშს რუსული იძლევა, სუსტისას — ქართული; შდრ. ქართ. მდინარე და რუს. **река**, კედელი და **стена**... მახვილი და **ударе́ние**... რუსული სიტყვის გაგონებისას მახვილის მატარებელ მარცვალს ერთბაშად შევნიშნავთ, იგი მკვეთრად გამოიყოფა. ქართულში კი არც ისე ადვილია იმის ჩვენება, რომ «მდინარე»-ში მახვილი **ი**-ს ხვდება, «კედელ»-ში პირველ **ე**-ს, ხოლო «მახვილ»-ში **ა**-ს (შდრ. მდინარე—მდინარე—მდინარ... კედელი, კედელი, კედელ... მახვილი, მახვილი, მახვილ...). მახვილიანი მარცვალი ქართულში საძებარია, იმდენად მკრთალად გამოიყოფა იგი სიტყვაში[7].

[7] მახვილის მატარებელ ხმოვანს ქართულში მარტივად შეიძლება მივაკვლიოთ, თუ მეტის-მეტად გავაძლიერებთ რიგ-რიგად ყველა ხმოვანს: რასაც მახვილი შეეფერება, ის იგუებს

მრავალმარცვლიან სიტყვაში **მთავარი მახვილის** გარდა **მეორეხარისხოვანი მახვილიც** (თანამახვილიც) შეიმჩნევა: სწავლებელი... დაწესებულება... ხელმძღვანელობა... აქ მთავარი მახვილი მოუდის მესამე მარცვალს ბოლოდან, მეორეხარისხოვანი კი — პირველ მარცვალს — თავში.

ზოგ ენაში მახვილი **მკვიდრია** ანუ **ფიქსირებულია,** ზოგში — **თავისუფალი.** მახვილი მკვიდრია ანუ ფიქსირებული, თუ სიტყვაში ის ყოველთვის **გარკვეულ მარცვალზე** მოდის: პირველზე ანდა მეორეზე — ბოლოდან, პირველზე — თავიდან და სხვ... ასე, მაგალითად, მკვიდრი მახვილი ახასიათებს სომხურს, ფრანგულს; ორივე ენაში მახვილი უკანასკნელ მარცვალზე მოდის: სომხ. დროშაჶ „დროშა“, ბარარწ „ლექსიკონი“... ფრანგ. drapeau დრაპო „დროშა“, dictionnaire დიქსიონერ „ლექსიკონი“... პოლონურში მახვილი ხვდება ბოლოდან მეორე მარცვალს, გერმანულში — თავიდან პირველს (თუ იგი თავსართი არაა)...

მახვილს **თავისუფალი** ჰქვია, თუ ის არაა დაკავშირებული გარკვეულ მარცვალთან, თუ ის შეიძლება მოდიოდეს სხვადასხვა მარცვალზე. თავისუფალი მახვილი აქვს რუსულ ენას: აქ მახვილი სიტყვის ბოლო მარცვალზედაც მოვა და თავ მარცვალზედაც, სიტყვის შიგნითაც ამა თუ იმ მარცვალზე. შდრ.: трава́, звезда́, ячме́нь, красота́, писа́ть... доро́га, краси́вая, доли́на, пшени́ца... ко́мната, де́рево, кра́сный, бе́лый, ви́деть...

თავისუფალი მახვილი თავის მხრივ შეიძლება იყოს **უცვლელი,** როცა იგი ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა ფორმებში ერთსა და იმავე მარცვალზე მოდის, და **მოძრავი,** როცა იგი სხვადასხვა ფორმებში სხვადასხვა მარცვალზეა. ასე, მაგალითად, უცვლელი მახვილი აქვს რუსულ სიტყვებს: **завод, корова, хижина: завод, завода, заводу, заводом... заводы, заводов, заводам...** აქ მახვილი სულ o-ს ხვდება. ასევე: **корова**-ში — მეორე მარცვალს ბოლოდან, **хижина**-ში — პირველს.

მოძრავია მახვილი ისეთ სიტყვებში, როგორიცაა: де́рево, о́зеро, волна́, стена́, рука́... შდრ. де́рево, о́зеро, მაგრამ მრავლობითში дере́вья, озёра... აგრეთვე: волна́, стена́, рука́ — **მხოლ. ნათესაობითში:** волны́, стены́, руки́ და **მრავლ. სახელობითში:** во́лны, сте́ны, ру́ки... მხოლობითის ნათესაობითი და მრავლობითის სახელობითი აქ **გარჩეულია მახვილით:** волны́, стены́, руки́ ერთი მორფოლოგიური ოდენობაა, во́лны, сте́ны, ру́ки — მეორე. ამგვარად, **ფონეტიკური საშუალება**

ხმის ასეთ გაძლიერებას, რაც მახვილს არ ატარებს, ის უცნაურად ისმის ხმის ასეთი გაძლიერებისას.

(მახვილი) **ასრულებს მორფოლოგიურ** ფუნქციას. მახვილმა შეიძლება განასხვაოს **სიტყვათა მნიშვნელობაც.** შდრ. რუს. мука́ „ფქვილი“ და му́ка „ტანჯვა“, „ვაება“; замо́к „ბოქლომი“ და за́мок „ციხე-კოშკი“... მახვილი ასეთ შემთხვევაში ასრულებს **სემანტიკურ** ფუნქციას.

§ 40. ლოგიკური მახვილი. მახვილის საშუალებით, გაძლიერებულად წარმოთქმით, შეიძლება გამოვყოთ **მთელი სიტყვა** წინადადებაში ანდა **მთელი წინადადება** ნაწყვეტში, თუკი გვინდა ყურადღება მივაქციოთ, გავხაზოთ სათანადო სიტყვის ანდა წინადადების მნიშვნელობა. ასეთ მახვილს **ლოგიკური** მახვილი (აზრითი მახვილი) ეწოდება. „პირველკურსელებმა გამოცდა ენათმეცნიერებაში კარგად ჩააბარეს“. ამ წინადადებაში ლოგიკური მახვილი შეიძლება მოხვდეს სიტყვას **პირველკურსელებმა** (გამოცდა კარგად ჩააბარეს **პირველკურსელებმა** და არა, ვთქვათ, **მეორეკურსელებმა**), ანდა სიტყვას: **ენათმეცნიერებაში** (გამოცდა კარგად ჩააბარეს **ენათმეცნიერებაში** და არა, ვთქვათ, ლოგიკაში), ანდა სიტყვას: **კარგად** (ენათმეცნიერებაში გამოცდა ჩააბარეს **კარგად** და არა, საშუალოდ, უფერულად) და ასე შემდეგ...

საუბრის დროს ლოგიკური მახვილი იწვევს სიტყვათა რიგის ერთგვარად შეცვლასაც: **კარგად** ჩააბარეს გამოცდა ენათმეცნიერებაში პირველკურსელებმა... **ენათმეცნიერებაში** ჩააბარეს გამოცდა კარგად და სხვ. ამ საშუალებას, — სიტყვის ადგილის ცვლას, — თავისუფლად ვერ გამოიყენებს ენა, თუ სიტყვათა რიგი ენაში განსაზღვრულია.

ზეპირ მეტყველებაში ლოგიკურ მახვილს გავიგონებთ, ნაწერში კი კონტექსტი არკვევს, რა სიტყვაზე მოდის ლოგიკური მახვილი. ლოგიკური მხავილი რომ დავსვათ, წინადადების მნიშვნელობა უნდა გვესმოდეს. თუ ტექსტი უცხო, გაუგებარ ენაზეა დაწერილი, ლოგიკურ მახვილს ვერ დავსვამთ.

ლოგიკური მახვილი წინადადებაში სიტყვათა მნიშვნელობას (ნაწყვეტში — წინადადებათა მნიშვნელობას) გახაზავს და ამდენად მას **სტილისტიკური** ფუნქცია აქვს. ლოგიკური მახვილი სტილისტიკის საგანს შეადგენს (ისევე, როგორც замо́к — за́мок სიტყვათა სხვაობა სემანტიკის ანუ სემასიოლოგიის შესასწავლია და стены́ — сте́ны ფორმათა სხვაობას მორფოლოგია ითვალისწინებს).

ლოგიკურ მახვილს უახლოვდება თავისი დანიშნულებით ინტონაციის ცვლა სიტყვის წარმოთქმისას. ავიღოთ სიტყვა „ჩა-

ვაბარე", რომელიც თქვა სტუდენტმა საგამოცდო ოთახიდან გამოსვლისას (ამხანაგების შეკითხვაზე: „რა ქენი?"). ეს „ჩავაბარე" სხვა ინტონაციით წარმოითქმის, როცა სტუდენტი კმაყოფილია გამოცდის შედეგით, როცა მან კარგად უპასუხა; მაგრამ „ჩავაბარე"-ს სხვა ინტონაცია ექნება, თუ სტუდენტი კარგად ჩაბარებას ვარაუდობდა და ეს მოლოდინი არ გაუმართლდა, ძლივძლივობით ჩააბარა („საშუალოდ")...

ეს ინტონაცია ისევე, როგორც ლოგიკური მახვილი, მნიშვნელობის ნიუანსებს გამოსახავს და სტილისტიკის შესწავლის საგანს წარმოადგენს.

§ 41. ენკლიტიკა და პროკლიტიკა. გაბმულ მეტყველებაში ცალკეულ სიტყვას შეიძლება მახვილი არ აღმოაჩნდეს, და ეს უმახვილო სიტყვა მიეკედლოს წინამავალ ანდა მომდევნო სიტყვას, რომელსაც ლოგიკური მახვილი ხვდება. ასეთ უმახვილო სიტყვას თუ ნაწილაკს ეწოდება **პროკლიტიკა** ან **ენკლიტიკა**, — პროკლიტიკა იმ შემთხვევაში, თუ იგი წინ უსწრებს მახვილიან სიტყვას და ენკლიტიკა, თუ მოსდევს მას (ბერძ. proklino „ვიხრები წინ" და ბერძ. egklino „ვიხრები რაიმესკენ").

ენკლიტიკებად და პროკლიტიკებად ჩვეულებრივ გვევლინება ნაწილაკები, კავშირები, თანდებულები და სხვა დამხმარე სიტყვები, აგრეთვე პირთა ნაცვალსახელები, — მეტწილად ერთმარცვლიანები.

ჰირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, **გით** ქვითკირსა (რუსთაველი). **ისა** სჯობს მამულისა**თვის, რომ** შვილი სჯობდეს მამასა (ხალხური). **თუ** ზღვას წყალი **არა** შესდის, **იგიც** დაშრება ძირა**მდის** (ანდაზა). კაცსა **თუ** კაცი სძულს, მისი ჭამა ჭლახაჭლუხად ეყურებაო (ანდაზა). **გის** უჩივი **და,** ბატონსაო, ვის**თან** ჩივი **და,** ბატონ**თანაო** (ანდაზა).

პროკლიტიკის ნიმუშად აქ გვაქვს: **გით** (ქვითკირსა), **ისა** (ისა სჯობს), **რომ** (რომ შვილი), **თუ** (თუ ზღვას), **არა** (არა შესდის), **იგიც** (იგიც დაშრება), **გის** (ვის უჩივი)... **ენკლიტიკად** გვევლინება: **თვის** (მამულისათვის), **მდის** (ძირამდის), **თუ** (კაცსა თუ), **და** (უჩივი და, ჩივი და), **ო** (ბატონსაო), **თანაო** (ბატონთანაო).

აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: ერთი და იგივე სიტყვა **თუ** ჩვენს მაგალითებში ხან ენკლიტიკა არის და ხან — პროკლიტიკა: „**თუ** ზღვას წყალი არა შესდის" — **თუ** პროკლიტიკაა; „კაცსა **თუ** კაცი სძულს" — **თუ** ენკლიტიკაა.

ახლანდელი თანდებულები **-თვის, -კენ, -ზე** (-ზედ), **-ში, -გან** მუდამ ენკლიტიკად გვევლინება და სახელთან ერთად იწერება; ძველ ქართულში თანდებულები **-ზე, -შე** ზმნისართი იყო — **ზედა, შინა, გან** ძველ ქართულში ზმნასთან პროკლიტიკის როლში გამოდიოდა (გან-ვიდა), სახელთან — ენკლიტიკისაში (ძმისა-გან).

ენკლიტიკად ხმარებამ გაამარტივა **ზედა, შინა** და აქცია ისინი სახელთან შერწყმულ თანდებულებად. ასევე: სხვათა სიტყვის ნაწილაკები **-ო** (დაწერსო), **-მეთქი** (დაწერს-მეთქი), **-თქო** (დაწერს-თქო) ენკლიტიკად ხმარებული სიტყვებიდან (*ჰვა, თქვა) და წინადადებიდან (მე ვთქვი) მომდინარეობენ. მეშველი ზმნის **ა** (← არის) ენკლიტიკადაა ხმარებული: ახალია... კარგია... პროკლიტიკურად ხმარებული ნაცვალსახელი **მე** ზმნაში პირის ნიშნად იქცა.

ენკლიტიკა და პროკლიტიკა მახვილის წყალობით ჩნდება. ენკლიტიკისა და პროკლიტიკისაგან, თუ ისინი სიტყვას შეერწყმიან, შეიძლება თავსართ-ბოლოსართები მივიღოთ; ამდენად ენკლიტიკა-პროკლიტიკის საკითხი ენის გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა.

§ 42. ტაქტი და მარცვალი. როგორც ფონეტიკური ერთეულები. გაბმულ მეტყველებაში შეინიშნება შეჩერება-შეწყვეტა ანუ **პაუზა.** ნაწყვეტი ორ პაუზას შორის ქმნის ცოცხალი მეტყველების ფონეტიკურ ერთეულს, რომელსაც **ფრაზა** შეიძლება ეწოდოს. ფრაზა შეიძლება მოიცავდეს მარტივსა ანდა რთულ წინადადებას.

ფრაზა იყოფა **ტაქტებად,** რომელთაც მახვილი აერთიანებს (ლათინ. tactum „შეხება", „დარტყმა"). „მზევ, შინა-და|, მზევ გარეთა|, მზევ, შინ| შემოდიო!" (**ხალხური**). მაგალითად მოყვანილ ფრაზაში ოთხი ტაქტი გვაქვს: მათგან ცალკე სიტყვას შეიცავს მხოლოდ უკანასკნელი («შემოდიო»), სამი დანარჩენი შედგება ორ-ორი სიტყვისაგან, რომელთაც ერთი მახვილი აერთიანებს.

ტაქტი წარმოადგენს — ფრაზის შიგნით — ყველაზე მსხვილ ფონეტიკურ ერთეულს, მახვილით გაერთიანებულს. **მარცვალი** კი ყველაზე მცირე ფონეტიკური ერთეულია, მახვილის მატარებელი.

მახვილიანი შეიძლება იყოს **ხრული ხმოვანი (ა, ე, ი, ო, უ),** ზოგ ენაში — სონორებიც **(ლ, რ, ნ, მ).**

რაკი მახვილის მატარებელ ბგერას ხმოვანი წარმოადგენს, ბუნებრივია, თუ სიტყვაში იმდენი მრაცვალი გვექნება, რამდენიც სრული ხმოვანია მასში.

მარცვალს ეწოდება **ღია,** თუ ის ხმოვნით ბოლოვდება: „წე-რა“, „თა-მა-ში“, „კე-დე-ლი“, „მე-ზო-ბე-ლი“... ამ სიტყვებში ყველა მარცვალი ღიაა. **მარცვალს** ეწოდება **დახურული,** თუ ის ბოლოვდება თანხმოვნით; „ხვალ“, „ზეგ“, „აქ“, „იქ“, „თან“, „ვწერთ“, „წევს“ — დახურულ მარცვალს გვაძლევს.

როცა სიტყვა ორი ან მეტი მარცვლისაგან შედგება და სიტყვის შიგნით თავს იყრის რამდენიმე თანხმოვანი (ჰკი**თხა**, **კურდღელი**, ცე**ცხლი**, გამო**მცხვარი**, ი**მტვრევა**, **ასკვნის**...), მარცვალთა შორის საზღვრის ჩვენება ძნელია, რადგანაც არ არის დადგენილი ობიექტური ფონეტიკური საზომი მარცვალთა გასამიჯნავად (გამო-მცხვარი—გამომ-ცხვარი—გამომც-ხვარი—გამომცხ-ვარი).

§ 43. კოარტიკულაციასთან დაკავშირებული ცვლა ბგერათა (ე. წ. კომბინაციური ცვლა). უკვე აღნიშნული გვქონდა (§ 38), რომ ერთი და იმავე ბგერის წარმოება ცალკე და სხვა ბგერებთან ერთად განსხვავებულია: კოარტიკულაციას გარკვეული ცვლილება შეაქვს ბგერის წარმოებაში.

ცვლილებებს, როგორც წესი, განიცდის ბგერის წარმოების პირველი ფაზა, **შემართვა** ანუ ექსკურსია და უკანასკნელი, მესამე ფაზა — **დამართვა** ანუ რეკურსია: მომდევნო ბგერის შემართვა წინა ბგერის დამართვას ეკედლება და — პირიქით. მხოლოდ თავკიდური და ბოლოკიდური ბგერები უკავშირდება ერთი ფაზით მეზობელ ბგერას: თავკიდური — დამართვით, ბოლოკიდური — შემართვით.

კოარტიკულაცია ცვლილებათა წყაროა; §§ 33, 35-ში უკვე გვქონდა ლაპარაკი ხმოვნებისა და თანხმოვნების სიგრძეზე, პალატალიზაციასა და ლაბიალიზაციაზე, რასაც იწვევს ერთი ბგერის წარმოების გავლენა მეორისაზე.

აქ განვიხილავთ სხვა ცვლილებებს, რომლებიც ბგერათა კოარტიკულაციის პირობებში ჩნდება; ეს ცვლილებებია: ბგერათა **დამსგავსება** ანუ ასიმილაცია, **განმსგავსება** ანუ დისიმილაცია, **გადახმა** ანუ მეტათეზისი, **შენაცვლება** ანუ სუბსტიტუცია, **დახუსტება** ანუ რედუქცია, ბგერის **დაკარგვა** და ახალი ბგერის **წარმოქმნა.**

დამსგავსება ანუ ასიმილაცია ეწოდება ისეთ ცვლას, რომლის შედეგადაც ერთი ბგერა ან მთლიანად ანდა ნაწილობრივ — წარმოების რაიმე მომენტის მიხედვით — დაემსგავსება იმავე სიტყვის სხვა ბგერას (ლათინ. assimilatio „დამსგავსება“).

დამსგავსების მაგალითს გვაძლევს თვით ტერმინი ასიმილაცია: ლათინ. assimilatio მიღებულია adsimilatio-საგან: ad წინდებულია და ნიშნავს „თან(ა)"-ს; similis — „მსგავსი". ასიმილაციის მაგალითს გვაძლევს ქართული „მზგავსი-ც", რომელიც ხშირად ლიტერატურული „მსგავსის" ნაცვლად იხმარება.

ბგერათა დამსგავსება — ამა თუ იმ სახისა — ფართოდ არის გავრცელებული ყველა ენაში.

ასიმილაცია შეიძლება იყოს **სრული** ანდა **ნაწილობრივი, პროგრესიული** ანდა **რეგრესიული, კონტაქტური** ანდა **დისტანციური**. ყველა ამ შემთხვევაში საზომი განსხვავებულია.

სრული და **ნაწილობრივი** დამსგავსება **შედეგის** მიხედვითაა გარჩეული.

ნაწილობრივი დამსგავსების ნიმუში იქნება: „მზგავსი" ლიტერატურული „მსგავსის" ნაცვლად. აქ დამსგავსება შეეხო მხოლოდ ერთ მომენტს: ყრუ **ხ** გაამჟღერა მჟღერი **გ**-ს მეზობლობამ. რუსულ беспокойный-ში, პირიქით, მჟღერი **з** დააყრუა მომდევნო **п**-მ: безпокойный → беспокойный (ეს ვარიანტია რუსულ დაწერილობაში ამჟამად ლიტერატურული).

ხმოვნებში ასეთივე ნაწილობრივი დამსგავსება გვაქვს დიალექტურ ფორმებში: დ**ე**ინახა (← და-ინახა), დ**ე**იკლო (← დაიკლო), დ**ო**უწერა (← დაუწერა) და სხვ.

სრული დამსგავსება გვაქვს დიალექტურ წარმოებაში: ე**ე**ნთო (← აენთო), გე**ე**შვა (← გაეშვა)..., დ**უ**უწერა (← დოუწერა ← დაწერა), დ**უ**უხატა (← დოუხატა ← დაუხატა) და სხვ.

რეგრესიულია დამსგავსება, თუ მომდევნო მოქმედებს წინაზე, წინა იცვლება მომდევნოს ზეგავლენით, ემსგავსება მას. ზევით ნაჩვენები მაგალითები სრული თუ ნაწილობრივი დამსგავსებისა ყველა რეგრესიულია. **პროგრესიული** ეწოდება დამსგავსებას, როცა წინა ბგერა იმსგავსებს მომდევნოს:. მაგალითად, დიალექტური: „კ**პ**ილი" (← კბილი), ყ**პ**ა (← ყბა), სიკ᾽ვ᾽**ტ**ილი (← სიკ᾽ვ᾽დილი)... მკვეთრმა **კ**-მ მომდევნო მჟღერი **ბ, დ** შეცვალა მკვეთრებით **(პ, ტ)**.

თურქული აღაჩ „ხე", ვთქვათ, დაირთავს თანდებულ **და**-ს („ზე"); უნდა მიგვეღო აღაჩ**და** „ხეზე", გვაქვს აღაჩთა: ყრუ ფშვინვიერმა **ჩ**-მ დაიმსგავსა მ ო მ დ ე ვ ნ ო მჟღერი **დ**, აქცია იგი ფშვინვიერ **თ**-დ.

პროგრესიულ ასიმილაციას წარმოადგენს ფონეტიკური ბუნების მიხედვით ე. წ. **ხმოვანთა ჰარმონია** თურქულსა და სხვა ალთაურ

(თურანულ-მონღოლურ) ენებში. მაგალითად: თურქ. ოდა „ოთახი“, დაირთავს მრავლობითობის ნიშანს ლარ: ოდალარ „ოთახები“, მაგრამ ევ „სახლი“ — ევლერ „სახლები“. **ლარ** იქნება თუ **ლერ** მრავლობითში, ეს დამოკიდებულია ფუძის ხმოვანზე, სუფიქსის ხმოვანი ემსგავსება ფუძისას. ასევე ზმნის განუსაზღვრელი კილოს სუფიქსი **მაქ** (დაზმაქ „წერა“, ათმაქ „გაგდება“) -**მექ**-ის სახეს იღებს ფუძის ხმოვანთან დამსგავსებით: ბილმექ „ცოდნა“, ქესმექ „ჭრა“...

დამსგავსება შეიძლება იყოს **კონტაქტური,** თუ ერთმანეთზე მოქმედი ბგერები **უშუალოდ მოსდევენ** ერთიმეორეს: „მზგავსი“, „კპილი“, „ენთო“... მაგრამ ერთმანეთზე შეიძლება მოქმედებდეს ორი ბგერა, რომლებიც ერთმანეთს უშუალოდ არ მოსდევს; ეს იქნება დამსგავსება **დისტანციური** (ე. ი. „მანძილით“ დაშორებულ ბგერათა). დისტანციური ასიმილაციის ნიმუში იქნებოდა იმერული: წევიდა (← წავიდა), მევიდა (← მოვიდა)... ფერეიდნული: წოგორთო (← წაგვართვა), შოგოკრა (← შაგვეკრა), გუშუგუგზავნა (← გამოგვიგზავნა)... ეს დისტანციური დამსგავსება სრულია.

სრულია იგი ისეთ მაგალითებშიც, როგორიცაა თურქ. ბანა „მე“ (მიცემ. ← ბენა), სანა „შენ“ (← მიცემ. სენა), თურქ. ზამან „დრო“ (← არაბ. ზემან), თურქ. ბაჰარ „გაზაფხული“ (← სპარ. ბეჰარ)...

განმსგავსებას ანუ დისიმილაციას — დამსგავსებასთან შედარებით — გაცილებით ნაკლები ადგილი უჭირავს.

განმსგავსებაც შეიძლება იყოს რეგრესიული და პროგრესიული. **რეგრესიული** განმსგავსების მაგალითი გვაქვს ქართულ „რბილ“-ში. მიღებულია „ლბილ“-ისაგან: გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა (რუსთაველი). „ლბილი“ წარმოშობით ალბობს ზმნის მიმღეობაა. აგრეთვე: მთიულური ბატარა (← პატარა), ბატონი (ისტორიულად ← პატრონ-ისაგან — მნიშვნელობის ცვლით).

პროგრესიული განმსგავსების ნიმუშებს უხვად გვაწვდის **ურ**- სუფიქსიანი წარმოება: შდრ. კახ-**ურ**-ი, მაგრამ: აჭარ-**ულ**-ი, იმერ-**ულ**-ი, ხევსურ-**ულ**-ი, რაჭ-**ულ**-ი... უნდა გვქონოდა: აჭარური, იმერური, ხევსურული, რაჭური...: წინამავალი, ფუძისეული **რ** ცვლის სუფიქსის **რ**-ს **ლ**-დ.

რუს. февраль მიღებულია февраръ-ისაგან (შდრ. ლათინ. februarius). ლათინ. pluralis „მრავლობითი“, მიღებულია plur-aris-ისაგან (შდრ. singul-aris „მხოლოობითი“, სადაც სუფიქსად გვაქვს -aris და არა „-alis“).

ყველა ამ შემთხვევაში განმსგავსება დისტანციურია და სრული. დამსგავსება და განმსგავსება ყველა ენაში ერთნაირი სახისა არაა. ქართულს, მაგალითად, ახასიათებს დამსგავსება რეგრესიული და განმსგავ-

სება პროგრესიული (ი. ყიფშიძე). ქართულში იშვიათია პროგრესიული დამსგავსება, ბევრ ენაში (მაგ., რუსულში), პირიქით, იშვიათია პროგრესიული განმსგავსება (ქართულში კი იგი ჩვეულებრივია).

გადასმა ანუ **მეტათეზისი** (ბერძ. metathesis) ბგერის ადგილის ცვლაა სიტყვაში. გადასმის მაგალითები სალიტერატურო ქართულშიც გვაქვს და დიალექტებშიც. ხვნა ← ხნვა (შდრ. ხნავ-ს), კვლა ← კლვა (შდრ. კლავ-ს), ძვრა ← ძრვა (შდრ. ძრავ-ს)... **ვ** ბგერამ გადაინაცვლა სონორების მეზობლობაში: **ნ, ლ, რ**-ს შემდეგ მოქცეული **ვ** მათ წინ გადმოვიდა. დიალექტებიდან გადასმის ცნობილი მაგალითებია: შხირი (← ხშირი), დამბული (← დაბმული), გასხნილი (← გახსნილი), ძრიელ (← ძლიერ), რუს. тарелка „თეფში“ მიღებულია талерка-საგან (გერმ. Teller), футляр — футрял-ისაგან (გერმ. Futteral)...

შენაცვლება ანუ **ხუბსტიტუცია** (ლათ. substitutio) ნიშნავს ერთი ბგერის შეცვლას იმავე რიგის მეორე ბგერით. ქართულში ხშირია **ვ** და **შ**-ს შენაცვლება: დიალექტური: შასკვლავი (← ვარსკვლავი), თესაშს (← თესავს), საშე (← სავსე), ნაშთი (← ნაფთი ← ნავთი), შიწრო (← ვიწრო), შითამ (← ვითამ)...

ბგერის დასუსტება ანუ **რედუქცია** (ლათ. reductio „დაყვანა“) მეტწილად საკომბინაციო ცვლილებაა. ჩვეულებრივად ინტენსიური მახვილი იწვევს ხმოვნის დასუსტებას; ხმოვანი მით უფრო სუსტდება, რაც უფრო დაშორებულია იგი სიტყვაში მახვილიან მარცვალს. რუს. სიტყვაში говорúторι о იწერება, ნამდვილად პირველ о-ს ნაცვლად, რომელიც ყველაზე დაშორებულია მახვილიან и-ს, გამოითქმის ირაციონალური გ ბგერა.

ქართულში **ო** ხმოვანი შეიძლება დასუსტდეს და **ვ**-დ იქცეს: იორი — ნათეს. ივრის, ნიორი — ნათეს. ნივრის (ეს დასუსტებული **ო** ბაგისმიერი ბგერის მეზობლობაში დაიკარგება კიდეც: დიღომი, ნათეს. დიღმის (← დიღვმის).

ბგერის დასუსტება-დაკარგვის საპირისპირო მოვლენაა **ბგერის განვითარება:** იმერ. გუმ-ბ-რა-ში (← გვიმრა) **ბ** განვითარდა **მ**-ს მეზობლობაში... **ვ** არის განვითარებული **ო**-ს შემდეგ სიტყვაში დაბოლოვება, ძვ. ქართ. სარწმუნო-ვ-ება...

§ 44. ბგერათა ცვლა ზოგად ხასიათისა (ე. წ. სპონტანური ცვლა). როგორც ვნახეთ, ბგერათა კომბინაციური ცვლილების მიზეზი ბგერათა ურთიერთობაშია და სათანადო

სიტყვაში იჩენს თავს. მაგრამ ბგერა შეიძლება იცვალოს ისე, რომ მისი მიზეზი არ იძებნება სიტყვაში, სადაც ცვლილება მოხდა.

ჭიზიყურში, მაგალითად, შენიშნულია **ს**-ბგერის შეცვლა **ჲ**-დ: გააკეთეჲ, ააშენეჲ... გააკეთეს, ააშენეს-ის ბადლად. ...ძმაჲ (უთხრა) = ძმას (უთხრა)... რა იწვევს **ს**-ბგერის ცვლას? თვით ამ სიტყვებში, სადაც ეს ცვლილება ხდება, ამის მიზეზი არა ჩანს: არც ერთი ბგერა არ მოითხოვს **ს** ბგერის შეცვლას.

რუსული ენის ჩრდილოურ დიალექტში ადგილ-ადგილ **ჩ** ბგერა შეცვლილია **ც**-თი: чай, чашка...-ს ნაცვლად იტყვიან цай, цашка... სხვაგან კიდევ იმავე ჩრდილოურ კილოში **ც** ბგერაა შეცვლილი **ჩ**-თი (купец-ის ნაცვლად ითქმის купеч, курица-ს, ნაცვლად курича)... არც ეს ცვლილებები აიხსნება ბგერათა კომბინაციით. ამგვარი ცვლილებები ზოგადი ხასიათისაა. მათი უშუალო მიზეზი სიტყვაში არა ჩანს. შეიძლება ამგვარ ცვლილებებს იწვევდეს სათანადო ბგერის არტიკულაციის გადაწევა, შეიძლება სხვა ზოგადი ხასიათის მიზეზი.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ამგვარ ცვლილებებს უწოდებენ „სპონტანურს" — კომბინაციურის საპირისპიროდ (ლათინ. spontaneus „ნებისმიერი", „მიზეზობრივად შეუპირობებელი"). ტერმინი „სპონტანური ცვლილებები" შეუფერებელია: იგი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ეს ცვლილებები არ იყოს გარკვეული მიზეზებით შეპირობებული. ნამდვილად კი მიზეზები აქაც არის, ოღონდ ეს მიზეზები უფრო ძნელი მისაკვლევია, ვიდრე საკომბინაციო ცვლილებათა შემთხვევაში.

აქვე შეიძლება მოვიხსენიოთ **ბგერათა მონაცვლეობის** შემთხვევები: бросать – брошу... несу – ношу... плата – плачу... свет – свеча... აქაც ბგერათა მონაცვლეობა არ არის კომბინაციური ხასიათისა.

§ 45. ბგერათა შესატყვისობანი მონათესავე ენებში. ზოგადი ხასიათის ბგერათცვლის ერთ-ერთი სახეობა გვაქვს ბგერათა შესატყვისობებში. ეს შესატყვისობა დასტურდება მონათესავე ენებში, ე. ი. ისეთ ენებში, რომლებსაც საერთო მასალა აქვთ ამოსავლად. ასე, მაგალითად, რუს. дом, конь, кошка... свет, сено, месяц — უკრაინულად იქნება: дім, кінь, кішка... світ, сіно, місяць... (იხ. აგრეთვე § 120, ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია). რუსულ **о** და **е**-ს შეესატყვისება უკრაინულში **і** (=**и**) სულ სხვადასხვა სიტყვაში. ყოველთვის დაცულია თუ არა ეს შესატყვისობა? არა, ამისთვის საჭიროა გარკვეული პირობა: **о**, **е** იძლევა **і**-ს დახურულ მარცვალში (შდრ. дім, მაგრამ ნათესაობითში дому; кінь, მაგრამ მიცემ. коневі...).

ქართული **ე, ა** იძლევა კანონზომიერ შესატყვისებს — **ა, ო**-ს მეგრულ-ჭანურში; ასევე ქართულ **ხ, ზ, ც, ძ, წ**-ს შეესატყვისება მეგრულ-ჭანურში **შ, ჟ, ჩ, ჯ, ჭ** ყველგან, სადაც ერთი და იმავე ფუძის ცვლასთან გვაქვს საქმე: მე—მა, კაც-ი—კოჩ-ი; ძაღლი—ჯოღორი, თაფლი—თოფური და სხვ.

კანონზომიერი შესატყვისობა შეიძლება გვქონდეს როგორც მონათესავე ენათა ურთიერთობაში, ისე ცალკეული ენის განვითარების ისტორიაში. ორსავე შემთხვევაში გვექნება **ბგერათა ცვლის ფორმულები.** ამ ფორმულებს უწოდებენ **ბგერით კანონებს.**

ბგერითი კანონი შეიძლება იყოს **ზოგადი,** როცა ის მოიცავს ფაქტების დიდ რაოდენობას, და **კერძო,** როცა იგი ეხება ცვლილებათა შედარებით მცირე რიცხვს.

ბგერათა ცვლის კანონი ზუსტი და თანამიმდევრულია, თუ ზედმიწევნით გათვალისწინებულია ის **პირობები,** რომლებშიაც ცვლილება ხდება (იხ. ზემოთ რუს. **ო** და **ე**-ს შეცვლა **ი**-დ უკრაინულში), ზუსტად განსაზღვრულია **ენა** (ცილო, კილოკავი), **სადაც** ცვლილებას აქვს ადგილი, ნაჩვენებია **დრო** (ეპოქა), **როდესაც** ცვლილება მიმდინარეობს.

ყველა ამ მომენტის გათვალისწინება ძნელია, მაგრამ შეუძლებელი არაა. არაერთი ენის ისტორიულმა ფონეტიკამ მიაღწია დიდ წარმატებას ბგერითი კანონების დადგენაში.

ბგერით კანონებს ისტორიული ხასიათი აქვს. ბგერით კანონებს, როგორც ისტორიულ კანონებს, არ შეიძლება ჰქონდეს უნივერსალური ხასიათი, ე. ი. არ შეიძლება მათ ძალა ჰქონდეს ყ ვ ე ლ ა ენისათვის, ენათა არსებობის ყ ვ ე ლ ა პერიოდისათვის.

§ 48. ბგერითი ცვლილებები და მათი გათვალისწინების აუცილებლობა ენობრივი ფაქტის ანალიზის დროს. ბგერათა ცვლა, კომბინაციური თუ ზოგადი ხასიათისა, ყოველ ენაში ხდება, ყოველთვის ხდებოდა და ხდება, თუკი ენა ც ო ც ხ ა ლ ი ა, ე. ი. იხმარება ურთიერთობის იარაღად და აზრთა გაზიარების საშუალებად. ცვლილებები არ ხდება, კერძოდ, ბგერაც არ იცვლება მკვდარ ენებში, ე. ი. ისეთ ენებში, რომელნიც აღარ იხმარებიან ურთიერთობის იარაღად და აზრთა გაცვლის საშუალებად.

ცვლის პროცესში სიტყვამ ნაირ-ნაირი სახე შეიძლება მიიღოს; ქართული თვე, მეგრ. თუთა „თვე", „მთვარე", სვან. დოშდულ „მთვარე" ერთი და იმავე ფუძისაა, თუმცა ამჟამად სვან. „დოშდულ"-სა და ქართ. „თვე"-ს არც ერთი საერთო ბგერა არ მოეპოვება. ლათინ. mater

„დედა“ საფუძვლად უდევს ფრანგულ mère (მერ)-ს; ასევე ლათინ. pater — ფრანგ. père (პერ)-ს... ქართ. იაკობი და ინგლ. ჯეკ, ქართ. იოსები და ესპან. ხოზე, იტალ. ჯუზეპე ისტორიულად ერთი და იგივე ოდენობაა.

ხანგრძლივი ცვლა-განვითარების შედეგად ერთი ენისაგან — უკეთ, ენის დიალექტებისაგან — შეიძლება წარმოიქმნას რამდენიმე ენა — საკუთარი ძირითადი ლექსიკური ფონდითა და გრამატიკული წყობით.

ენობრივი ცვლის პროცესში ისიც შეიძლება მოხდეს, რომ ერთმანეთს დაემსგავსება ენობრივი ფაქტები, რომლებიც წარმოშობით სრულიად განსხვავებული იყო. ამგვარად ენაში ჩნდება ომონიმები. **ბანი** (სახლის ბრტყელი სახურავი) და **ბანი** (სიმღერაში) ერთნაირად ჟღერს, თუმცა წარმოშობით სულ სხვადასხვა ოდენობაა. **მეტრიკა** (ლექსთწყობის ზომა) და **მეტრიკა** (დაბადების საბუთი) სხვადასხვა წყაროდან მომდინარეობს: პირველი იმავე ფუძისაა, რაც ბერძნ. metron („ზომა“), მეორე უკავშირდება ბერძნ. mētēr-ს, რაიც „დედას“ ნიშნავს.

თურქ. **-დან** თანდებულია: ქუმ-**დან** „ქვიში-**დან**“... აქ ქართულშიც **-დან** ისმის, მაგრამ ქართულ თანდებულს არაფერი აქვს საერთო თურქულ **-დან**-თან: ქართულში თანდებულად **-დან** კი არა გვაქვს, არამედ -გან. იყო: ქვიშით-გან → ქვიშიდ-გან → ქვიშიდ-ან (**-გან** თანდებულისა აქ დარჩენილია მხოლოდ **-ან,** წინამავალი **-დ** მოქმედებითი ბრუნვის ით ნიშნის თ ელემენტია, **დ**-დ ცვლილი).

ენობრივი ფაქტის ანალიზი, თუ მისი **ბგერითი მხარის ისტორია არ ვიცით,** შემთხვევით თუ აღმოჩნდება სწორი.

ბგერითი მხარის ისტორია საჭიროა სიტყვის სწორად დაშლისათვის, სიტყვის მორფოლოგიური, სემასიოლოგიური და განსაკუთრებით ეტიმოლოგიური ანალიზისათვის.

„ქვაზე“, ერთი შეხედვით, სახელობითი ბრუნვაა **ზე** თანდებულიანი. ნამდვილად კი **-ზე ერთგის მიცემითს** (ქვას-), ოღონდ მიცემითის ნიშანი **-ს** დაიკარგა **ზ**-ს წინ. ამრიგად სახელობითად მოგვეჩვენა მიცემითი.

„წყაროდან“, ერთი შეხედვით, სახელობითია, -დან დართული; სინამდვილეში კი აქ **გან**- თანდებული ერთვის მოქმედებით ბრუნვას: წყაროდთ-გან → წყაროთ-გან → წყაროდ-გან → წყაროდ-ან.

ნათესაობითი ბრუნვის ნიშანს, როგორც ცნობილია, ი ეკარგება, თუ ხმოვანზე დაბოლოებული ფუძე სახელისა არ იკვეცება; ამის შედეგად ნათესაობითი გ ა რ ე გ ნ უ ლ ა დ მიცემითს ემსგავსება ამ ტიპის სახელებში: წყარო — ნათეს. წყარო-ს = (← წყარო-ის), მიც. წყარო-ს...

შდრ. „წყაროს (← წყაროდს) წყალი“ — „წყაროს დაეწაფა“... ნუნუ — ნათეს. ნუნუს= (← ნუნუ-ეს: ნუნუს ძმა იყო), მიცემ. ნუნუ-ს (ნუნუს უთხრეს)... და სხვ.

ფონეტიკურმა ცვლილებამ აქ მოშალა განსხვავება ორ მორფოლოგიურ ოდენობას შორის და მით გააძნელა მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი ფაქტის სწორად დახასიათება.

ქართულში გვაქვს ორი სიტყვა: 1. **ხერხი** („ხერხი სჯობია ღონესა“), 2. **ხერხი** (იარაღი). ამჟამად შეიძლება კაცმა იფიქროს, აქ ერთი სიტყვა გვაქვს ორი მნიშვნელობითაო („ხერხი იარაღია, რამდენადაც საშუალებაა რისამე გასახერხად“...) ისევე, როგორც, ვთქვათ, წვერი: „კალმის წვერი“ — „მთის წვერი“...

ერთი სიტყვით, ამ ორი „ხერხის“ შინაარსობრივად დაკავშირება ძნელი არ არის. ერთი სიტყვა გვაქვს აქ ორი მნიშვნელობით, თუ ორი სხვადასხვა სიტყვა, გარეგნულად ერთნაირი (ე. ი. ომონიმი)? საკითხს წყვეტს ბგერითი მხარის ისტორიის გათვალისწინება: ძველ ქართულში **ჴერჴი** (მოხერხება) და **ხერხი** (იარაღი) მნიშვნელობითაც განსხვავებული იყო და ბგერითი შემადგენლობითაც. მას შემდეგ, რაც **ჴ** გამოვიდა ხმარებიდან, მის ადგილას **ხ** გვაქვს და ომონიმები მივიღეთ.

რამდენად საჭიროა ეტიმოლოგიური ანალიზის დროს ბგერითი ცვლილების გათვალისწინება, ამის შესახებ საუბარი გვაქვს პარაგრაფში ეტიმოლოგიის შესახებ (§ 74).

ფ ო ნ ე ტ ი კ ა მ ძ ლ ა ვ რ ი დ ა მ ხ მ ა რ ე ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ა ე ნ ა თ მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი კ ვ ლ ე ვ ა - ძ ი ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, — სულერთია, ეხება საქმე სიტყვის დაშლას, მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ი ს, ს ე მ ა ნ ტ ი კ ი ს ა თუ მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი ე ტ ი მ ო ლ ო გ ი ი ს ფ ა ქ ტ ე ბ ი ს შ ე ს წ ა ვ ლ ა ს.

§ 47. ფონოლოგია და მისი დამოკიდებულება ფონეტიკასთან. ბგერების მიხედვით ენათა შორის მეტ-ნაკლები განსხვავება შეინიშნება. ქართულში გვაქვს მკვეთრი თანხმოვნები (**ბ, ტ, კ, ყ, წ, ჭ**), რომლებიც ყველა იბერიულ-კავკასიურ ენაში გვაქვს, მაგრამ არც ერთ ევროპულ ენაში არ მოიპოვება. ფრანგულში, აზერბაიჯანულში და ამ უკანასკნელის მონათესავე ენებში არა გვაქვს ისეთი „ჩვეულებრივი“ ბგერა, როგორიცაა **ც**.

ბგერები **ა, ი, ბ, დ, ს, ზ**... მრავალ ენას აქვს: ქართულსა და რუსულს, სომხურსა და აზერბაიჯანულს, ფრანგულსა და არაბულს, გერმანულსა და ინგლისურს...

საკვებით ერთნაირია თუ არა ეს ბგერები ხსენებულ ენებში? სრული იგივეობა ამ ბგერებში არ გვექნება. რატომ? ყოველი ენის ძირითადი ბგერები ქმნიან სისტემას, ფონეტიკურ სისტემას. ამა თუ იმ სისტემაში მონაწილეობა განსაზღვრავს ბგერის თავისებურებას. ერთნაირი ვერ იქნება **ა** ბგერა ინგლისური ენისა, სადაც თორმეტი ხმოვანია გარჩეული, და **ა** ხმოვანი ქართული ენისა, სადაც მხოლოდ ხუთი ხმოვანი გვაქვს. **ბ** ბგერა იმ ენაში, სადაც იგი წყვილეულის წევრია, და **ბ** ბგერა იმ ენაში, სადაც იგი სამეულის წევრია, საკვებით ერთნაირი არ შეიძლება იყოს.

„ერთი და იგივე **ბ** ბგერააო" ასეთ შემთხვევაში შეიძლება ითქვას იმდენად, რამდენადაც ერთი და იგივეა სახელობითი ბრუნვა ქართულსა და რუსულში (ან ლათინურში). ამ ენებში სახელობით ბრუნვას ბევრი რამა აქვს საერთო, მაგრამ იგივეობის ნიშანს მათ შორის ვერ დავსვამთ: განსხვავებულია მათი ადგილი ბრუნების სისტემაში, ე. ი. მორფოლოგიურად, განსხვავებულია სინტაქსური ფუნქცია: რუსულში სახელობითი ბრუნვა სუბიექტის ერთადერთი ბრუნვაა, ქართულში სახელობითი ბრუნვა სუბიექტსაც აღნიშნავს და ობიექტსაც (სუბიექტის სპეციფიკურ ბრუნვას ქართულში მოთხრობითი წარმოადგენს).

„ერთი და იგივე" სახელობითი განსხვავებული აღმოჩნდა სხვადასხვა ენაში; ეს განსხვავება შეაპირობა გრამატიკულმა სისტემამ, რომელშიაც შედის სახელობითი.

ეგევე უნდა ითქვას „ერთნაირ" ბგერათა შესახებ — სხვადასხვა ფონეტიკურ სისტემაში, როცა ახალ ენას სწავლობენ, ცდილობენ დაეუფლონ მის ლექსიკასა და გრამატიკულ სისტემას. ბგერითი სისტემის მიმართ ასეთსავე ყურაღდებას არ იჩენენ; განსხვავებული ბგერების გამოთქმას ექცევა ყურადღება, „ნაცნობი" ბგერების გამოთქმას ჩვეულებრივ — არა.

ყოველი ენის ბგერითი შემადგენლობის **სისტემურ ხასიათს** პრინციპში ისევე უნდა გაეწიოს ანგარიში, როგორც მორფოლოგიისა და სინტაქსის სისტემურ ხასიათს.

ენის ბგერითი სისტემის ძირითად ტიპობრივ ერთეულს **ფონემა** წარმოადგენს (ბერძ. phōnēma „ბგერა"). სისტემის გარეშე აღებული ბგერა არ იქნება ფონემა. ფონემისთვის დამახასიათებელი სწორედ ის არის, რომ ის ეკუთვნის ამა თუ იმ ენის ბგერით სისტემას.

ყოველი ენის ბგერითი სისტემა ფონემათა გარკვეულ რაოდენო-

ბას შეიცავს. სხვადასხვაგვარ ფონეტიკურ კონტექსტში ესა თუ ის ფონემა ერთგვარად არ ბგერს: ცოცხალ მეტყველებაში ფონემის ნ ა ი რ ს ა ხ ე ო ბ ა ნ ი ჩნდება.

ამ ნაირსახეობას აღნიშნავს **ფონეტიკური ტრანსკრიფცია,** რომლის დანიშნულებაცაა ზუსტად ასახოს გამოთქმის ყველა ნიუანსი (სწორედ ამიტომ ფონეტიკური წერა პრაქტიკული მიზნებისათვის გამოუსადეგარია).

ფონემის ნაირსახეობათა აღნიშვნა პრაქტიკული მიზნებისათვის საჭირო არაა, მაგრამ ენათმეცნიერული თვალსაზრისით აუცილებელია: **ფონემის ნაირსახეობათაგან შეიძლება წარმოიქმნას დამოუკიდებელი ფონემები.** რიგ იბერიულ-კავკასიურ ენაში (აფხაზურში, ხუნძურში...) მოიპოვება ლაბიალური, პალატალური, გემინირებული, ლატერალური და სხვ. ფონემები: ამ ენათა ისტორია კი გვაფიქრებინებს, რომ ეს ფონემები ამ ენებში მეორეული წარმოშობისა უნდა იყოს: რაც ძველად ფონემის ნაირსახეობა იყო, შემდეგ დამოუკიდებელ ფონემად იქცა.

ამგვარად, **ენის ისტორიისათვის** აუცილებელია შევისწავლოთ **ფონემებიცა** და **ფონემათა ვარიანტებიც.** ისტორიულ ფონეტიკას ყურადღების გარეშე არ რჩება ეს ვარიანტები, და მათი შესწავლის საჭიროება სადავო არც ყოფილა, მაგრამ ფონემა-ცნება და მისი ადგილი ზოგად ენათმეცნიერებაში აქტუალური მნიშვნელობისად იქცა ჩვენს საუკუნეში.

ფონემათა თეორიის დამუშავების პიონერები იყვნენ რუსი ენათმეცნიერები პროფ. ი. ბოდუენ დე კურტენე და მისი მოწაფე აკად. ლ. შჩერბა.

ფონემის შესახებ მოძღვრებას — ფონოლოგიას — არამცირედი ყურადღება ექცევა უცხოურ ენათმეცნიერებაში (ფ. დე სოსიური, პრაღის სკოლა, სტრუქტურალისტები...). ფონემის გაგებაში აქ თავი იჩინა სხვადასხვა მიმდინარეობამ, ზოგადი საენათმეცნიერო თვალსაზრისის შესაბამისად (ეს თვალსაზრისი მეტწილად ფსიქოლოგისტურია).

უცხოურ ენათმეცნიერებაში ფონოლოგიას უპირისპირებენ ფონეტიკას. ჯერ კიდევ სოსიურთან ფონეტიკას, როგორც **ისტორიულ დისციპლინას,** უპირისპირდებოდა ფ ო ნ ო ლ ო გ ი ა, როგორც ა რ ა ი ს ტ ო რ ი უ ლ ი დისციპლინა. „ფონეტიკა... ეხება მხოლოდ მეტყველებას... ფონოლოგია დროის გარეშეა, რადგანაც არტიკულაციის მექა-

ნიზმი მუდამ ერთგვარი რჩება"[8].

ტრუბეცკოიმ ერთმანეთს დაუპირისპირა **ფონეტიკა,** როგორც მოძღვრება **მეტყველების ბგერების** შესახებ, და **ფონოლოგია,** როგორც მოძღვრება **ენათა ბგერების** შესახებ.

ლ. შჩერბა სამართლიანად იყო წინააღმდეგი ფონეტიკისა და ფონოლოგიის გათიშვისა[9].

ფონეტიკისა და ფონოლოგიის დაპირისპირება ისევე უსაფუძვლოა, როგორც მეტყველებისა და ენის დაპირისპირება. ფონოლოგია ისევე ვერ დაუპირისპირდება ფონეტიკას, როგორც მეტყველება შეუძლებელია დაუპირისპირდეს ენას[10].

§ 48. წერითი მეტყველება და დამწერლობა. მეტყველება შეიძლება იყოს ზეპირი და წერითი. წერითი მეტყველება ფართოდ არის გამოყენებული ურთიერთობისა და აზრთა გაცვლის საშუალებად ზეპირი მეტყველების გვერდით.

წერითი მეტყველება აღიქმება მხედველობით (ოპტიკურად), ზეპირი მეტყველება — სმენით (აკუსტიკურად). წერითი მეტყველება ვერასოდეს ვერ ასახავს ზეპირ მეტყველებას ისეთი სიზუსტით, რომ გასწიოს ნამდვილი ცოცხალი ზეპირი მეტყველების მაგივრობა. მაგრამ კულტურის ისტორიაში წერითი ენის შექმნას ჰქონდა და აქვს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა.

წერითი ენა საშუალებას იძლევა ურთიერთობა დავამყაროთ დაუსწრებელ მსმენელთან (მკითხველთან): ეს არის მისი განმასხვავებელი თავისებურება. ეს უჩინარი „მსმენელი" შეიძლება დამწერის თანამედროვე იყოს, მაგრამ იგი შესაძლებელია ათასი წლის შემდეგაც ცხოვრობდეს. დამწერლობის გზით მოაღწია ჩვენს დრომდე ცნობებმა ძველი ჩინეთისა და ეგვიპტის, ძველი შუმერებისა და ხეთების, ასურელებისა და ბაბილონელების ცხოვრების შესახებ, მან შემოუნახა კაცობრიობას ადამიანის აზროვნების მიღწევები უძველესი და მისი მომდევნო ეპოქებისა. დამწერლობა რომ არა, ჩვენ არაფერი გვეცოდინებოდა ჰამურაბის კანონების, არისტოტელეს ფილოსოფიური სისტემისა და ჰომეროსის პოეტური შემოქმედების შესახებ.

---

[8] ფ. დე სოსიური. ზოგადი ენათმეცნიერების კურსი, — რუს. თარგმ. 1932, გვ. 52.

[9] ფონოლოგიას „ფუნქციონალურ ფონეტიკასაც" (ა. მარტინე) უწოდებენ, რაც ფონეტიკისა და ფონოლოგიის შინაგან კავშირს, მათ არაავტონომიურობას მიუთითებს (რედ.).

[10] დე სოსიური ე ნ ა ს და მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა ს ერთმანეთს უპირისპირებდა. ეს უსაფუძვლოა.

დამწერლობა, როგორც ურთიერთობის საშუალება, შველოდა და ჰველის ადამიანს დაძლიოს დრო და სივრცე.

დამწერლობის წყალობით მილიონების კუთვნილებად იქცევა ის კოდნა, რომელიც დამწერლობის გარეშე გავრცელდებოდა მხოლოდ ადამიანთა ვიწრო წრეში[11].

წერითი ენა ჩვენ ამჟამად გვესმის, როგორც ზეპირი მეტყველების **სიტყვათა** გამოხატულება. მაგრამ თავიდანვე ეს ასე როდი იყო. დამწერლობა ვითარდებოდა ათასეული წლების განმავლობაში, ამასთან, განვითარების პროცესში **იცვლებოდა** თვით **დამწერლობის პრინციპები.**

§ 49. პიქტოგრაფიული, იდეოგრაფიული და სამეტყველო დამწერლობა. ისტორიულად დამწერლობისათვის გამოყენებული იყო **სამი** არსებითად განსხვავებული **პრინციპი:**

1. დამწერლობა გამოხატავს **საგნებსა და მოქმედებებს,** რომელთა შესახებაც სურთ რაიმე აცნობონ. ეს არის პიქტოგრაფიული პრინციპი (ლათ. pictus „დახატული", ბერძნ. graphē „დაწერილი").

2. დამწერლობა გამოხატავს **ცნებებს,** მიუხედავად იმისა, თუ რა სიტყვებით აღინიშნება ეს ცნებები. ეს არის იდეოგრაფიული პრინციპი (ბერძნ. idea „აზრი", „იდეა").

3. დამწერლობა გამოხატავს — ამა თუ იმ წესით — **სიტყვებს,** საგნებისა და მოვლენების **სახელწოდებებს,** — ამასთან, სიტყვის დაწერისას ცალკეული ნიშნები შეიძლება გამოხატავდნენ მთელ **მარცვლებს,** რომლებისგანაც შედგება სიტყვა, ან შესაძლებელია აღნიშნავდნენ სიტყვის **ბგერებს** — ნაწილობრივ (მხოლოდ თანხმოვნებს!) ანდა ყველას (თანხმოვნებსაც და ხმოვნებსაც). დამწერლობა ყველა ამ შემთხვევაში მიზნად ისახავს აღნიშნოს არა **საგნები,** რომელთა შესახებაც სურთ რაიმე აცნობონ, არა **ცნებები,** რომლებიც ამ საგნებს შეესაბამება, არამედ **სიტყვები,** საგანთა (ცნებათა) **სახელწოდებანი.** ეს არსებითად ახალი პრინციპია; მას **სამეტყველო** შეიძლება ვუწოდოთ[12].

ეს სამი პრინციპი ასახავს დამწერლობის განვითარების სამ საფეხურს: პიქტოგრაფიული დამწერლობა ყველაზე ძველია,

---

[11] წერით მეტყველებას გაუსწრო თანამედროვე რადიოგადაცემამ: რადიოგადაცემის მოსმენა შეუძლია მეტ ადამიანს, ვიდრე დაწერილს წამკითხველი ეყოლება, მაგრამ რადიო წარმოუდგენელი იქნებოდა, ადამიანს რომ არა ჰქონოდა დამწერლობა და ის მიღწევები, რაც დამწერლობის ქონასთან არის დაკავშირებული.

[12] ამ უკანასკნელს „ანბანურ დამწერლობასაც" უწოდებენ (რედ.).

იდეოგრაფიული დამწერლობა წარმოადგენს მომდევნო საფეხურს. სიტყვათა დაწერა კი ყველაზე ახალი მოვლენაა.

ისტორიული განვითარების პროცესში ეს საფეხურები მკვეთრად გამიჯნული არაა: პიქტოგრაფიულ დამწერლობაში იდეოგრაფიული დამწერლობის ელემენტები შეიმჩნევა ისევე, როგორც იდეოგრაფიულ დამწერლობაში შეინიშნება მომდევნო საფეხურისათვის დამახასიათებელი ელემენტები.

პიქტოგრაფიული დამწერლობა ცნობილი იყო ჩრდილო ამერიკის ინდიელებთან. ასეთი დამწერლობის ნიმუშად შეიძლება მოვიყვანოთ სურათი, რომელზედაც სქემატურად გამოსახულია: ცხენზე მჯდომი მხედარი ხელში ჯოხით, ხუთი ნავი, თითოეულ მათგანში ათ-ათი ხაზი, კუ, სამი წრე ოვალში...

ეს ნაწერი გადმოსცემს შემდეგ შინაარსს: ორმოცდაათი კაცი ბელადთან ერთად ხუთი ნავით ტბაზე გადავიდა. ნავები და ხაზები გამოხატავენ მიმოსვლის საშუალებასა და მგზავრებს სქემატურად, მაგრამ სინამდვილესთან დიდი მიახლოებით. სამმა წრემ ოვალში უნდა აღნიშნოს სამი მზე, ე. ი. გადატანით სამი დღე. აქ უკვე ერთგვარი **პირობითობა** გვაქვს. იგივე უნდა ითქვას ბელადის გამოხატულებაზე: მხედარი ცხენზე, ამართულ ხელში ჯოხი რომ უპირავს, ბელადია. ცხენი, რომელზედაც ის ზის, და ჯოხი ხელში **პირობით** აღნიშნავს, თუ რა მდგომარეობის პირიცაა ის ნავზე მყოფთა შორის (ნავით მოგზაურობისას ბელადი ცხენზე ვერ იჯდებოდა). კუ, ასევე **პირობითად** აღნიშნავს ხმელეთს, მიუთითებს იმაზე, რომ ნავებმა მიაღწიეს ნაპირს, მგზავრობა კეთილად დამთავრდა.

ამგვარად, ერთგვარ პირობითობას გვერდს ვერ აუვლის პიქტოგრაფიული დამწერლობაც, მაგრამ პიქტოგრაფიული დამწერლობისათვის სპეციფიკურია არა ეს პირობითობა, არამედ მისწრაფება აღნიშნოს საგნები, რომელთა შესახებაც იგი მოგვითხრობს. პიქტოგრაფიულ პრინციპს ამჟამადაც იყენებენ აბრებზე: „ფეხსაცმლის შეკეთება“ დაწერილია სიტყვებით, ხოლო იქვე დახატულია ფეხსაცმელი; სიტყვებით წერია: „რძის ნაწარმი“ და იქვე დახატულია შუშა რძით, თუმცა სავაჭროში იყიდება: კარაქიც, ხაჭოც, არაქანიც, კეფირი, ყველი და სხვ. ფეხსაცმელიც და რძიანი შუშაც ამ აბრებზე პრინციპში პიქტოგრამებია.

იდეოგრაფიული დამწერლობის ნიმუში წარმოდგენილია თანამედროვე ჩინურ დამწერლობაში. ძველ ჩინურ დამწერლობაში მზე, მთვარე... სხვაგვარად აღინიშნებოდა. ძველი დამწერლობა პიქტოგრაფიული

იყო (ნიშნები საგნებს მიაგავდა), ახალი არ არის პიქტოგრაფიული. იგი იდეოგრამებისაგან შედგება. იდეოგრამა მზისა არაფრით არ მოგვაგონებს მზეს, ისევე როორც მთვარის ნიშანს გარეგნულად არაფერი საერთო არა აქვს მთვარესთან, მაგრამ წერა-კითხვის მცოდნე ყოველი ჩინელი ამ ნიშნებში ხედავს გარკვეული ციური სხეულების გამოხატულებას, მიუხედავად იმისა, თუ როგორა ბგერს მათი სახელწოდებები სხვადასხვა ჩინურ დიალექტებში (თუ ენებში).

იდეოგრაფიული პრინციპი დღემდე დაცულია რიცხვთა აღნიშვნაში: 4 („ოთხი") ამ ციფრის რიცხვითი მნიშვნელობა ერთგვარად ესმის რუსსაც, სომეხსაც, ქართველსაც, გერმანელსაც, ფრანგსაც, თუმცა ამ ციფრის სახელი სრულიად სხვადასხვაგვარად ბგერს: რუსულად „ჩეთირე", ქართულად „ოთხი", სომხურად „ჩორს", გერმანულად „ფირ", ფრანგულად „კატრ" და ა. შ. ციფრი, როგორც რიცხვის ნიშანი, მიუთითებს **ცნებაზე,** იგი სრულიადაც არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა ენაზე წარმოითქმის ამ ციფრის სახელწოდება. სწორედ ეს არის დამახასიათებელი იდეოგრამებისა და იდეოგრაფიული დამწერლობისათვის: იდეოგრამა ციფრსა ჰგავს.

ძირითადი იდეოგრამისაგან დამატებითი ნიშნების დახმარებით შეიძლება ვაწარმოოთ ახალი, რთული სახის იდეოგრამები, ახალ მნიშვნელობათა გადმოსაცემად.

ჩინურის მსგავსად შუმერული (შუამდინარეში) და ძველი ეგვიპტური დამწერლობა შეიცავდა პიქტოგრაფიულსა და იდეოგრაფიულ მომენტებს; მაგრამ ეგვიპტურ დამწერლობაში განვითარდა ნიშნები მარცვლებისა და ასოებისათვის.

შემდეგი მაგალითიდან დავინახავთ, თუ როგორ იყენებდნენ სურათს მარცვლისა და ასოს აღსანიშნავად: „ლომს" ძველ ეგვიპტურში ეწოდებოდა labo; და, აი, ხატავენ ლომის კონტურებს l- **ლ** ბგერის აღსანიშნავად; „არწივს" ეწოდებოდა ahom; ხატავენ არწივს, რომ აღნიშნონ a **ა**: **საგნის სახელწოდების საწყისი ბგერა აღინიშნება საგნის სურათის საშუალებით.**

ასე წარმოიქმნება **საშუალებების** მიხედვით პიქტოგრაფიული, ხოლო **მიზნის** მიხედვით სამეტყველო დამწერლობა.

სამეტყველო დამწერლობა, როგორც აღნიშნული იყო, არის ორგვარი: მარცვლოვანი და ასოებრივი. მარცვლოვანი დამწერლობა გვაქვს ასურულ-ბაბილონურ ლურსმულ (სოლისებრ) დამწერლობაში (მარცვლის ნიშნები გარეგნულად სოლებს მოგვაგონებენ). ლურსმული დამწერლობის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ: დი-ა-ტუ-ხი;

იკითხება, როგორც დაუხი (ერთ-ერთი უძველესი ქართველური ტომის ტაოხ-ების სახელწოდება[13]).

ასურულ-ბაბილონური ლურსმული დამწერლობა განვითარდა შუმერული დამწერლობის საფუძველზე. შემდეგ ლურსმული დამწერლობა გავრცელდა მთელ წინა აზიაში: ხეთებთან, ჰურიტებთან, ურარტუელებთან, უფრო გვიან — სპარსელებთან.

აღსანიშნავია, რომ ხეთური მოდგმის ხალხებს ლურსმულ დამწერლობამდე ჰქონდათ საკუთარი იეროგლიფური დამწერლობა.

ასოებრივი დამწერლობა პირველად შექმნეს ფინიკიელებმა (X საუკუნეში ჩვენს ერამდე). ფინიკიურიდან მომდინარეობს უშუალოდ ან შუალობითი გზით ბერძნული, ლათინური, არამეულ-სირიული, არაბული, სომხური, ქართული დამწერლობა.

ბერძნული ანბანის საფუძველზეა შექმნილი გუთური ანბანი; იმავე ბერძნულის საფუძველზე შეიქმნა საეკლესიო-სლავური ანბანი (მისი სახესხვაობანია გლაგოლიცა და კირილიცა).

ჩვენ ახლა ვწერთ მარცხნიდან მარჯვნივ ჰორიზონტალურად.

ჩინურ იდეოგრამებს წერენ სვეტებად — ზ ე ვ ი დ ა ნ ქ ვ ე ვ ი თ, ამასთან, პირველი სვეტი მარჯვენა კუთხიდან იწყება (უკანასკნელ იდეოგრამას მარცხენა კუთხე უკავია).

არამეულ-სირიული, თანამედროვე არაბული დამწერლობა მ ა რ ჯ ვ ნ ი დ ა ნ მ ა რ ც ხ ნ ი ვ მიემართება.

ძველმა ბერძნულმა დამწერლობამ შემოგვინახა თავისებური გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი ს ა ხ ე ო ბ ა: თუ ერთი სტრიქონი მარცხნიდან მარჯვნივ იწერება, მომდევნო სტრიქონი მარჯვნიდან მარცხნივ მიდის. ასეთ რიგს ეწოდება ბ უ ს ტ რ ო ფ ე დ ო ნ (ბერძნ. bous „ხარი", strophē „ბრუნვა"; ბუსტროფედონ — „ხარის მობრუნება", ე. ი. ხვნა).

§ 50. ზემოთქმულებისა და წერის შრომიერობა. ახლანდელი წერა, როგორც ითქვა, სამეტყველოა: მისი დანიშნულებაა აღნიშნოს ნათქვამი. ნაწერი ნათქვამს ზუსტად ვერ ასახავს: ბგერათა ნ ა ი რ ს ა ხ ე ო ბ ე ბ ს ასოები ვერ აუდის.

ქართულ დამწერლობაში ცალკეულ ფონემას ცალკე ასო შეეფერება. ნათქვამი და ნაწერი ახლოსაა იმდენად, რამდენადაც კი ეს შესაძლებელია პრაქტიკულ დამწერლობაში. ამისდა მიუხედავად, ვერ ვი-

[13] იხ. გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი. „დიაუხი" — ჟურნალში "Вестник древней истории", მოსკოვი, 1950 წ., №4, გვ. 26-43.

ტყვით: დაწერილი ზუსტად ასახავს წარმოთქმულსაო. ასე, მაგალითად: სიტყვაში „ამბობს" **მ** ბგერა **ბ**-ს წინ ისე არ გამოითქმის, როგორც მას გამოვთქვამდით ცალკე; ორი **ბ** ბგერიდან, რაც ამ სიტყვაში გვაქვს, მხოლოდ პირველი, **მ**-ს მეზობელი, არის მჟღერი; მეორე **ბ** კი **ს**-ს მეზობლობაში დაყრუებულია (იხ. § 43 კოარტიკულაციის შესახებ). თუ ფონეტიკურ სიზუსტეს დავიცავდით, „ამბობს"-სიტყვაში **მ** განსხვავებული ნიშნით უნდა გადმოგვეცა, მეორე, დაყრუებული **ბ**-ც თავისებურ ნიშანს მოითხოვდა.

დამწერლობა, რომელიც ცდილობს ზუსტად ასახოს ცოცხალ მეტყველებაში წარმოდგენილი ბგერათნაირსახეობანი, იქნება **ფონეტიკური დამწერლობა.**

ფონეტიკური დამწერლობა თვალსაჩინოდ განსხვავდება ჩვეულებრივისაგან; გაწვრთნაა საჭირო, ფონეტიკური სიზუსტით ჩაწერილი რომ დაუბრკოლებლად ამოიკითხოს კაცმა, რომელიც მიჩვეულია ტრადიციულ დამწერლობას. ფონეტიკურ დამწერლობას იყენებენ საენათმეცნიერო მიზნით (მაგალითად, როცა უნდათ კუთხური მეტყველების ნიმუშები ზუსტად ასახონ დიალექტოლოგიის საჭიროებისათვის). მაგრამ ყოველდღიური საჭიროებისათვის ფონეტიკური დამწერლობა გამოუსადეგარია: ფონეტიკური სიზუსტის დაცვა აქ არც შესაძლებელია და არც არის საჭირო.

როცა ამა თუ იმ ენისათვის პირველად ქმნიან დამწერლობას, ცდილობენ, რომ წერა, რაც შეიძლება, ახლოს იყოს წარმოთქმასთან: ყოველ ფონემას ცალკე ასოს უძებნიან.

დროთა ვითარებაში ენის ბგერითმა მხარემ, სიტყვათა წარმოთქმამ შესაძლებელია დიდი ცვლილება განიცადოს; დამწერლობა ვერ მიჰყვება წარმოთქმას; ასეთ შემთხვევაში დამწერლობა შორდება წარმოთქმას: წერია ერთი, იკითხება მეორე. ამის მაგალითებს უხვად გვაწვდის ფრანგული, ინგლისური, ირლანდიური... ავიღოთ თუნდაც ფრანგ. j'avais (ჟ'ავაის — წარმოითქმის ჟ'ავე „მე მქონდა")... ils avaient ილს ავაიენტ — წარმოითქმის: ილ ზ'ავე „მათ ჰქონდათ"...).

ინგლ. I am წარმოითქმის: აი ემ „მე ვარ"... newspaper წარმოითქმის: ნ'უსფეიფ'რ „გაზეთი"... Shakespeare წარმოითქმის შექსფ'რ შექსპირი და ა. შ.

წარმოთქმისა და წერის ასეთი მკვეთრი განსხვავების დროს განსაკუთრებით მწვავედ ისმის ორთოგრაფიის, ე. ი. მართლწერის (ბერძნ. orthos „სწორი", graphō „ვწერ") საკითხები. ორთოგრაფიის საკითხები მოგვარებას საჭიროებს იმ ენებშიც, სადაც არ არის ისეთი განსხვავება

წარმოთქმასა და წერას შორის, როგორიც შეინიშნება ფრანგულსა და ინგლისურ ენებში.

მართლწერის საკითხი მოსაგვარებელია ისეთი დამწერლობის მქონე ენებში, როგორიც ქართულია, სადაც თითოეულ ფონემას აქვს ცალკე ნიშანიც, და სადაც თითოეულ ასოს მხოლოდ ერთი წარმოთქმა აქვს.

ორთოგრაფიის საკითხების გადასაჭრელა შეიძლება გამოყენებულ იქნეს **ფონეტიკური, მორფოლოგიური, ისტორიული** პრინციპები. თითოეული ამ პრინციპთაგანი თავისებურად წყვეტს იმ საკითხს, თუ სიტყვის რაგვარი წერითი გამოსახულება უნდა მივიჩნიოთ სწორად.

ფონეტიკური პრინციპის მიხედვით სწორად ჩაითვლება ისეთი წერა, რომელიც წარმოთქმას მისდევს („უნდა დაიწეროს იმგვარად, რაგვარადაც ლაპარაკობენ“).

რუსულ მართლწერაში ამ პრინციპის შესაბამისად წინსართი без მეღერის წინ з-ს ინარჩუნებს (безбрежный, бездушный), მაგრამ ყრუ თანხმოვნების წინ з-ს ცვლის с (бесполезный, беспечный და სხვ.).

განყენებულად რომ ავიღოთ, ეს პრინციპი ერთადერთი სწორი პრინციპია. მაგრამ ამ პრინციპის განხორციელება განსაკუთრებით ძნელია: ძველი დამწერლობის მქონე ენებში გვზღუდავს ტრადიცია. თითქოს რა უნდა იყოს იმაზე ადვილი: „მსგავსი“-ს ნაცვლად ვწეროთ „მზგავსი“, ანდა вода-ს მაგიერ вада; ანდა კიდევ: ნაცვლად ფრანგული beaucoup-ისა („ბევრი“) ვწეროთ „ბოკუ“, როგორადაც ეს სიტყვა წარმოითქმის, ან: „ჟავე“ — ნაცვლად j'avais-სა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ტრადიციულ წერასთან კავშირი წყდება: თითქოს სრულიად ახალი დამწერლობა იქმნება.

ახალი დამწერლობის მქონე ენებში უფრო ადვილია (და საჭიროც!) ფონეტიკურ პრინციპს მივყვეთ, რადგანაც აქ აღარ გვზღუდავს ტრადიცია, მაგრამ, სამაგიეროდ, აქ გართულების ახალი წყარო ჩნდება, სახელდობრ, ესაა დიალექტური სხვადასხვაობა; პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება სალიტერატურო ენა მთლიანად და სავსებით ე რ თ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე აიგოს (სხვა არა იყოს რა, ლექსიკა მაინც მოითხოვს სხვადასხვა დიალექტის მასალის გამოყენებას).

მორფოლოგიური პრინციპი მოითხოვს დამწერლობაში არ დაიჩრდილოს სიტყვის მორფოლოგიური შემადგენლობა. ამ პრინციპს ემყარება ქართულში ისეთი ფორმების დაკანონება, როგორიცაა: **გუთხარი, დაგუწერე, მოგუსმინე...** **უ**-ს წინ **გ** არ ისმის (ჯერ კიდევ ძველ ქართულში ამგვარ მაგალითებში **გ** ხშირად არ იწერებოდა). და თუ

მაინც ახლა აქ **ვ**-ს ვწერთ, ამას მხოლოდ მორფოლოგია ამართლებს: **ვ**-პირველი პირის ნიშანია, მორფოლოგიური გამართლება აქვს და საჭიროა მეორე პირისაგან გასარჩევად დარჩეს (ვუთხარი—მე, უთხარი—შენ...).

ამავე მორფოლოგიურ პრინციპზეა დაფუძნებული რუსულში **под, пред, над** წინსართებში **д**-ს დაცვა, თორემ ყრუ თანხმოვნების წინ **пот, прет, нат** უნდა გვქონოდა: შდრ. **подобрать** და **подковать**; **предоставить** და **предписать**; **надорвать** და **надстройка**. მორფოლოგიურ პრინციპს თუ არ დავიცავდით და ფონეტიკურს გავყვებოდით, უნდა გვეწერა: "**потковать**", "**претписать**", "**натстройка**" (აკი სწორედ ასე იქცევა რუსული მართლწერა **без** წინსართის შემთხვევაში: **безусловный, безграничный, безраздельный**..., მაგრამ **беспокойный, бесполезный, бестолковый,бесчеловечный** და სხვ. იხ. აქვე, ზემოთ).

ისტორიული პრინციპი ტრადიციულ დამწერლობას იცავს. ისტორიულ პრინციპს ემყარება ინგლისური ენის, ფრანგული ენის ორთოგრაფია: წარმოთქმას დაწერილობა დაშორებულია (მაგალითები იხ. ზემოთ, აქვე). სისწორე ტრადიციასღა ემყარება.

ტრადიციის სრული უგულებელყოფა არც ერთი ენის ორთოგრაფიაში არ ხერხდება: ძნელად თუ დაიძებნება ისეთი სამწერლო ენა, რომლის ოთროგრაფია სრულებით არ უწევდეს ანგარიშს ისტორიულ პრინციპს. ქართ. „მსგავსი“ მხოლოდ ამ პრინციპის გამო იწერება **ხ**-თი. ასევე, მიმართულებითი ბრუნვის ნიშნად, **დ** იწერება თანამედროვე ქართულში არსებითად ისტორიული პრინციპის საფუძველზე: მტკიცედ, სასტიკად, განუხრელად, უდროოდ, სასახელოდ, სანადიროდ, უსიამოვნოდ, ყრუდ... -**დ** ხელოვნური ჩანს, ტრადიციითღა არის გამართლებული მეტადრე **ო**-სა და **უ**-ს შემდეგ: სასწრაფოდ, სანიმუშოდ, სასახელოდ (თუმცა ზოგჯერ **ა**-ს შემდეგაც **თ** ისმის: რათ უნდა? რათაო?).

ორთოგრაფია ცდილობს დაამყაროს ნორმატიული **წერა**. ცალკე დგას ნორმატიული **წარმოთქმის** საკითხი: შეიძლება სწორად ვწერდეთ, მაგრამ არასწორად წარმოვთქვამდეთ, ნორმატიულ წარმოთქმას ადგენს **ორთოეპია** (ბერძნ. orthos „სწორი“, ბერძ. epos „მეტყველება“, ორთოეპია — „მართლმეტყველება“).

ასე, მაგალითად, რბილად წარმოთქმული **ლ** (ფილოსოფია, რა საკვირველია...) ქართულ სალიტერატურო ენას ეუცხოება.

ისეთ ენაში, როგორიცაა რუსული, მწვავედ დგას მახვილის საკითხი: ლიტერატურულ წარმოთქმას **тýча** უპირისპირდება დიალექტური

тучá; მაგრამ პარალელურად იხმარება **óстро** და **остро́**, **язы́ки** და **языки́**..., **стро́ку** და **строку́**, **во́лнам** და **волна́м**...

რა თქმა უნდა, მახვილის სწორად დასმა არ ამოწურავს სწორი წარმოთქმის საკითხს (რუსული, მაგალითად, მკვეთრად განასხვავებს რბილ თანხმოვნებს: **мальчик мал** — პირველ სიტყვაში **ль** რბილია, მეორეში — მაგარი; მათი გაურჩევლობა რუსული სწორი წარმოთქმის თვალსაზრისით დაუშვებელია).

ფართო გაგებით ორთოეპია მოწოდებულია მოაგვაროს სალიტერატურო ენის სადავო საკითხები — მორფოლოგიის, სინტაქსის თუ ლექსიკა-სტილისტიკის დარგში.

რა არის სწორი: ვისმე თუ ვისმეს? რამესი თუ რამისა? „ორთავე მხარეს“ თუ „ორივე მხარეს“? **лекторы** თუ **лектора**? **профессоры** თუ **профессора**? ამგვარ სიტყვათა სწორად დ ა წ ე რ ა არ გაძნელდება, თუ გვეცოდინება ამ ვარიანტთაგან რომელია სწორი, სალიტერატურო ენის თვალსაზრისით მართებული.

რომ ვიცოდეთ, რ ო გ ო რ ვ წ ე რ ო თ ეს სიტყვები, უნდა ვიცოდეთ, რ ო გ ო რ უნდა წ ა რ მ ო ვ თ ქ ვ ა თ ისინი სწორად, ე. ი. რა ვარიანტი მივიჩნიოთ სალიტერატუროდ.

თავი IV

ლექსიკოლოგია. სემანტიკა. ეტიმოლოგია

§ 51. ლექსიკა და ლექსიკოლოგია. ფონეტიკაში ჩვენ განვიხილეთ სამეტყველო ბგერა. ბგერა წარმოადგენს მასალას, რომლისაგანაც სიტყვა შედგება (§ 28). **სიტყვა** არის **მნიშვნელობის მქონე უმარტივესი ერთეული ენისა.** ყველა სიტყვა, რაც ენაში გვაქვს — ე. ი. სიტყვათა ერთობლიობა, — ქმნის ენის ლექსიკურ შემადგენლობას ანუ **ლექსიკას** (ფრანგ. lexique ბერძნ. lexis-იდან, რაც ნიშნავს: „სიტყვა", „გამონათქვამი").

ენათმეცნიერების იმ დარგს, რომელიც ლექსიკას შეისწავლის, ეწოდება **ლექსიკოლოგია** (lexique — იხ. ზემოთ; logos „სიტყვა", „მოძღვრება"; ლექსიკოლოგია = მოძღვრება ლექსიკის შესახებ).

რა თვალსაზრისით სწავლობს ლექსიკას ლექსიკოლოგია? ლექსიკოლოგია იძლევა სიტყვათა მარაგის დახასიათებას (მდიდარია თუ ღარიბი ენის ლექსიკა), ანალიზს უკეთებს ლექსიკის შემადგენლობას, გამოყოფს სიტყვათა სხვადასხვა შინაარსობრივ ჯგუფებს, არკვევს, თუ რა ადგილი უკავია მათ ენის ლექსიკაში, შეისწავლის იმას, თუ როგორ ვითარდება ლექსიკა და სხვ.

§ 52. ლექსიკის სიმდიდრე ენის სიმდიდრეა. ზოგ ენაში მეტი სიტყვა გვაქვს, ზოგში — ნაკლები.

ეს სავსებით კანონზომიერია. სიტყვა საგანს, მოვლენას, მოქმედებას აღნიშნავს. ამიტომ ბუნებრივია, თუ იმ ენას დასჭირდება მეტი სიტყვა, რომელზედაც მოლაპარაკე ხალხის ცხოვრება მდიდარი და მრავალფეროვანია. შეიძლება ამა თუ იმ ენის ლექსიკა, საერთოდ, არ იყოს მდიდარი, მაგრამ მასში არაჩვეულებრივად მდიდრად იყოს წარმოდგენილი ერთი გარკვეული დარგის ლექსიკა. ასე, მაგალითად, არაბულ ენაში რამდენიმე ასეული სიტყვა მოიპოვება აქლემის — მისი სხვადასხვა ასაკის, ფერის თუ სხვა თვისებების — აღსანიშნავად: აქლემი არაბეთის უდაბნოს მცხოვრებთათვის არსებობის ძირითადი წყაროა,

აქლემის მოშენებას არაბის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, „აქლემის ლექსიკაც“ განსაკუთრებით მრავალფეროვანია. არაბული ენა, რასაკვირველია, არ წარმოადგენს ყველაზე მდიდარ ენას მსოფლიოში, მაგრამ „აქლემის ლექსიკის“ სიმდიდრის მხრივ არაბული ენა ყველა ენაზე წინა დგას.

თუ ხალხი სოფლის მეურნეობას მისდევს, მას მემინდვრეობის, მეხილეობის, მებაღეობა-მებოსტნეობის ლექსიკა განვითარებული ექნება; იქ, სადაც მესაქონლეობას დიდი ადგილი უკავია, საამისო ლექსიკაც მდიდრად იქნება წარმოდგენილი; თუ ზღვისპირის მცხოვრები მეთევზეობას მისდევს განსაკუთრებით, მის ლექსიკაში ისეთი სიტყვები აღმოჩნდება მრავლად, როგორიც უცხო შეიძლება იყოს სოფლის მეურნეობისა და მესაქონლეობის რაიონის მკვიდრთა მეტყველებისათვის. მრეწველობის განვითარება სათანადო ლექსიკით გამდიდრებას გამოიწვევს. იმ ქვეყნის მეტყველება, სადაც სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგი წინ არის წასული, ლექსიკითაც მდიდარი და მრავალფეროვანი აღმოჩნდება.

§ 53. ძირითადი ლექსიკური ფონდის სიტყვები. სიტყვები ენაში ნაირ-ნაირია. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სიტყვათა ერთ ჯგუფს იმ მნიშვნელობის მიხედვით, რაც მათ აქვს მთელი ლექსიკური შემადგენლობისათვის, მისი წარმოქმნა-განვითარებისათვის.

ენის ძირითად ლექსიკურ ფონდს განეკუთვნება ყველა ძირითადი სიტყვა, მასთან არა ისეთი, შემთხვევით რომ შემოდის ენაში და მალევე ქრება, არამედ ისეთი, საუკუნეთა მანძილზე რომ შერჩება ენას.

ძირითადი ლექსიკური ფონდის სიტყვები ლექსიკის ხერხემალს ქმნის; იგი ლექსიკის გამდიდრების წყაროა: მისგან ახალი სიტყვები წარმოიქმნება.

ისეთი სიტყვები, როგორიცაა: „დედა“, „მამა“, „და“, „ძმა“, „სახლი“, „კარი“ ძირითადი ლექსიკური ფონდის სიტყვებია (ქართულში). ეს სიტყვები უკვე ძველი ქართულის ძეგლებში დასტურდება. მაშასადამე, სულ მცირე, ათას ხუთასი წლის განმავლობაში იხმარება ქართულ მეტყველებაში.

ამგვარ სიტყვათაგან წარმოიქმნა (უშუალოდ თუ შუალობით) ახალი სიტყვების წყება:

ძმა: ძმური, მოძმე, საძმო, უძმო, სძმობს (მას), ძმობა, ძმობილი, უძმობილდება...

კაცი: კაცური, საკაცე, უკაცური, უკაცრა-

ვად, კაცობრივი, კაცობრიობა, საკაცობრიო... კაცობს, კაცობა... ძმაკაცი, ძმაკაცური, ძმაკაცობა... ჯარისკაცი... კარისკაცი... სახლისკაცი...

სახლი: სახლობს, სახლდება, ასახლებს, ისახლებს, ასახლებინებს, მოსახლე, სახლიანი, უსახლო...

ეს მაგალითები ცხადად გვიჩვენებს, თუ რა საფუძველსაც უქმნის ახალ სიტყვათა წარმოქმნას ძირითადი ლექსიკური ფონდის სიტყვა.

როცა ლექსიკის ისტორია სათანადოდ შესწავლილია და ვიცით, რა სიტყვა რ ო დ ი ს შემოვიდა ხმარებაში, არ გაგვიჭირდება იმის გარკვევა, ეკუთვნის თუ არა იგი ძირითად ლექსიკურ მარაგს.

მაგრამ, როცა სიტყვა ახლად შემოსულია ხმარებაში, ხშირად ძნელია იმის გარკვევა, განეკუთვნება იგი ძირითად ლექსიკურ ფონდს თუ არა, რადგანაც ძნელია იმის წინასწარ გადაწყვეტა, დამკვიდრდება ეს სიტყვა ენაში თუ არა.

ძირითადი ლექსიკური ფონდის სიტყვების ზუსტად გამოყოფა არაა ადვილი (§ 10), მაგრამ ცნება ძირითადი ლექსიკური ფონდისა უაღრესად მნიშვნელოვანი ცნებაა, როგორც ლექსიკის თანამედროვე ვითარებაში, ისე ლექსიკის ისტორიაში გარკვევის თვალსაზარისით.

§ 54. სიტყვა სრულმნიშვნელოვანი და დამხმარე. სიტყვა აქტიური და პასიური. სიტყვა შეიძლება იყოს **სრულმნიშვნელოვანი** ანდა არასრულმნიშვნელოვანი, **დამხმარე**. სრულმნიშვნელოვანია სიტყვა, თუ ის მიგვითითებს ამა თუ იმ საგანსა ანდა მოვლენაზე სხვა სიტყვების დაუხმარებლად: **სახლი, კარი, კედელი, ქვა, მდინარე... ზის, დგას, წერს, კითხულობს, ხატავს, აშენებს, ანგრევს... ხუთი, ათი, ოცი, ასი, ათასი... ლამაზი, წითელი, ლურჯი, მაღალი, დაბალი... დაწერილი, წაკითხული, აშენებული... აქ, იქ, ზევით, ქვევით, გუშინ, ზეგ...**

დამხმარე სიტყვებია, მაგალითად: **თუ, რომ, როცა, რადგანაც, მაგრამ, როშელიც...** ამგვარი სიტყვები სხვა სიტყვებთან ერთად იძლევიან გარეკვეულ მნიშვნელობას, ცალკე კი არც რაიმე საგანზე მიგვითითებენ, არც თვისებას გვანიშნებენ, არც მოქმედება-მდგომარეობას, არც ადგილზე მიუთითებენ, არც დროზე... შდრ. **თუ** და თუ წერს... **რომ** და: რომ ხატავს... **როცა** და: როცა დგას... **რადგანაც** და: რადგანაც კითხულობს...

სრულმნიშვნელოვანი სიტყვაც საჭიროებს კონტექსტს, ე. ი. სხვა

სიტყვათა წაშველებას: **კედელი:** შდრ. სახლის კედელი, ქვის კედელი, ხის კედელი... კონტექსტში ამ სიტყვათა მნიშვნელობა ზუსტდება. მაგრამ ამის გარეშეც, ცალკე აღებული „კედელი“ მაინც გვანიშნებს, რომ დასახელებული სიტყვა საგანს გულისხმობს და არა თვისებას (ანდა რიცხვს, ან მოქმედება-მდგომარეობას), რომ ეს საგანი ნაგებობასთან არის დაკავშირებული, ხისა იქნება ის თუ ქვისა ანდა აგურისა...

ზოგი სიტყვა — სრულმნიშვნელოვანიც, დამხმარეც — ყოველდღიურად იხმარება, აქტიურ მარაგს ეკუთვნის (დედა, მამა, და, ძმა, ცოლი, შვილი, ბიძა, მამიდა, დეიდა... სახლი, კარი, სახურავი, კიბე... მუშაობს, აკეთებს, აშენებს, წერს, ხატავს... ცოცხალი, მკვდარი, დაბალი, მაღალი, სქელი, თხელი, თეთრი, წითელი, შავი, დიდი, პატარა... მე, შენ, ის, ჩვენ, თქვენ, ისინი... ერთი, სამი, შვიდი, ასი, ათასი... და ბევრი სხვა ასეთი. არ დაიძებნება ქართულად მოლაპარაკე ადამიანი, რომ ასეთ სიტყვებს ჩვეულებრივად არ ხმარობდეს.

ამათგან განსხვავებულია, ვთქვათ, ასეთი სიტყვები: ნაწვერალი... შვრია, დოლისპური, თავთუხი, შავფხა... თოხლი, შიშაგი, ჰედილა... ამ სიტყვებს ისეთი საყოველთაო გამოყენება არა აქვს, როგორც სიტყვებს: სახლი, კარი... პური, ჭერი... ძროხა, ხარი, ცხვარი... სოფლის ცხოვრებას ვინც იცნობს, მისთვის ეს სიტყვებიც აქტიური მარაგისად მიიჩნევა, ქალაქში გაზრდილი პირის მეტყველებაში კი ეს სიტყვები, როგორც წესი, პასიურ მარაგს განეკუთვნება: ამ სიტყვებს ის გაიგებს, როცა გაიგონებს, მაგრამ სახმარად თვითონ იშვიათად თუ იხმარს. გაიგებსო, რომ ვამბობთ, აქაც ერთგვარი განმარტება უნდა დავურთოთ: გაიგებს ზოგადად: „შვრია“ რაღაც თავთავიანი მცენარეა, მაგრამ, სახელდობრ, რა, ნათლად შეიძლება ვერ წარმოიდგინოს... „ჰედილა“ ცხვარზე ითქმის, მაგრამ, სახელდობრ, როგორზე, შეიძლება ვერ გვითხრას... „ნაწვერალი“ ყანასთან არის კავშირში და არა მეცხოველეობასთან, მაგრამ, სახელდობრ, რა არის, ვერ გვეტყვის... ერთი სიტყვით, მხოლოდ ზოგადად და დაახლოებით მიხვდება, თუ რას ეხება საქმე.

§ 55. სინონიმები. ომონიმები. ანტონიმები. ყოველი ენის ლექსიკურ შემადგენლობაში მოიპოვება სინონიმები, ომონიმები, ანტონიმები.

სინონიმები ეწოდება ისეთ სიტყვებს, რომლებიც ბგერითად განსხვავებული არიან, მნიშვნელობა კი ერთნაირი აქვთ (ბერძ. syn- „თან“, onyma, onoma „სახელი“; synonymos „თანასახელიანი“, „ერ-

თგვარსახელიანი").

სინონიმების ნიმუში გვაქვს საყოველთაოდ ხმარებულ სიტყვებში: **ხვე** და **ბედი... გულადი** და **მამაცი... მოსწავლე** და **მოწაფე... სკოლა** და **სასწავლებელი... ძალი** და **ღონე... მეუღლე** და **ცოლი... ლამაზი** და **კოხტა... ბრიყვი** და **გაუზრდელი... კომში** და **ბია** (კუთხ.)...[1] **თუთა** და **ბეღლა** (კუთხ.)... **მურყანი** და **თხმელა** (კუთხ.)... **თამბაქო** და **თუთუნი** (კუთხ.)... **გოგრა** და **კვახი** (კუთხ.)... **იფანი** და **კობიტი** (კუთხ.), **დიდედა** და **ბებია** (კუთხ.), **ბაბა** და **ბაბუა** (კუთხ.)...

სინონიმური ტერმინებია: **ბრუნება** და **კანკლედობა... მიმართულებითი** (ბრუნვა) ანუ **ვითარებითი** ანუ **ვნებითი... ნამყო უხრული** და **ნამყო უწყვეტელი...**

სინონიმები ერთი მნიშვნელობის სიტყვებს ჰქვია, მაგრამ ვერ ვიტყვით, თითქოს სინონიმებს **ხავხებით ერთნაირი** მნიშვნელობა ჰქონდეს: ან აღსანიშნი საგნის **სხვადასხვა მომენტია,** სინონიმებს რომ განასხვავებს, ანდა **თვალსაზრისი,** რომელიც მოლაპარაკის დამოკიდებულებას აღსანიშნისადმი ახასიათებს, ანდა **გრძნობითი ელფერი,** რომელსაც სინონიმური სიტყვა იწვევს, ანდა კიდევ **დიალექტური** სხვაობა სინონიმური სიტყვებისა.

სინონიმთა სხვაობა იგრძნობა მათი ხმარებისას სხვადასხვა წინადადებაში (თუ შესიტყვებაში): სინონიმები ყველა კონტექსტში ვერ შეენაცვლებიან ერთიმეორეს. „უმაღლესი სასწავლებლის **მოსწავლე**" — ითქმის, მაგრამ: „უმაღლესი სასწავლებლის **მოწაფეო**", არ ითქმის: „მოსწავლე" უფრო ზოგადი მნიშვნელობის სიტყვაა, „მოწაფეს" უფრო ვიწრო მნიშვნელობა აქვს („მოწაფე" — „მასწავლებელი").

„მტერს ჯარმა ძლიერი წინააღმდეგობა გაუწია" სწორი ქართულია, მაგრამ არ ივარგებდა „ძლიერი"-ს ნაცვლად „ღონიერი" გვეხმარა („მტერს ჯარმა ღონიერი წინააღმდეგობა გაუწია").

„ებრაელი" და „ურია" ერთსა და იმავე ხალხს აღნიშნავს (შდრ. სოფლის სახელი „ურიათუბანი", ე.ი. ებრაელების უბანი). მაგრამ „ურია" სარწმუნოებრივ მომენტს გახაზავს, „ებრაელი" — ეროვნულს (ამიტომაა, რომ ამჟამად ამ ხალხის სახელად „ებრაელია" მიღებული და არა „ურია").

მთქმელთა თვალსაზრისების სხვაობა ჩანს სიტყვებში „მეუღლე" და „ცოლი". „მეუღლეში" ცხოვრების ერთ უღელში შებმის მომენტია

[1] ეს და მომდევნო კუთხური სიტყვები იმერულშიც შეიძლება გვქონდეს და გურულშიც.

ამოსავალი და ამით აიხსნება ის პატივსაცემობა, რომელიც ამ სიტყვას მეორე სიტყვისაგან („ცოლი") განასხვავებს.

სხვადასხვა მომენტს ასახავენ ტერმინები „ნამყო უწყვეტელი" და „ნამყო უსრული": „უწყვეტელში" ხაზი იმას ესმის, რომ ზმნაში („აკეთებდა", „წერდა", „ხატავდა") მოქმედება არ წყდება, უწყვეტლივ გრძელდება; „უსრული" მიუთითებს, რომ მოქმედება წარმოებდა, მაგრამ არ დამთავრებულა. „უწყვეტელს" უპირისპირდება „წყვეტილი", „უსრულს" — „სრული".

მთქმელის თვალსაზრისი, მისი განსხვავებული დამოკიდებულება აღსანიშნისადმი მჟღავნდება სინონიმებში „მოკვდა" და „ჩაძაღლდა". („დავითი მოკვდა!" — „დავითი ჩაძაღლდა!"), „მოდის" და „მოეთრევა" („აგერ დარისპანი მოდის" — „აგერ დარისპანი მოეთრევა!". უფრო დაწვრილებით იხ. ქვ. § 70).

„თხმელა", „ბია, " „კოპიტი", „თუთუნი" კუთხურ მეტყველებაში ხმარებული სინონიმებია სალიტერატურო ენის სიტყვებისა: „მურყანი", „კომში", „იფანი", „თამბაქო"...

საკმაოდ ერთნაირი მნიშვნელობის ორი სიტყვა ფაქტობრივ არ არსებობს: ან ობიექტური ან სუბიექტური მომენტი იძლევა სხვაობას. ეს სხვაობა ზოგჯერ ნაკლებ საგრძნობია (ასეთ შემთხვევაში სინონიმები ერთმანეთს ენაცვლებიან: „მიმართულებითი" ანუ „ვითარებითი" ბრუნვა); ზოგჯერ სხვაობა უფრო საგრძნობია; ასეთ შემთხვევაში სინონიმები ერთმანეთს ხან ენაცვლებიან დაუბრკოლებლად (გულადი ჯარისკაცი—მამაცი ჯარისკაცი), ხან კიდევ ასეთი შენაცვლება სტილისტიკურად საჩოთიროა ან სრულიად მიუღებელი („უმაღლესი სასწავლებლის **მოწაფე**"... **„ურიაო"** „ებრაელის" ნაცვლად). ამგვარად, ნამდვილი სინონიმები ფიქციაა: რაიმეგვარი განსხვავება არ შეიძლება არ იყოს ან იმის გამო, რომ ერთი და იმავე საგნის დასახელებისას ამოსავალია სხვადასხვა მომენტი ანდა იმის გამო, რომ განსხვავებულია სუბიექტის დამოკიდებულება სიტყვაში აღნიშნული ობიექტური მონაცემისადმი. სინონიმების გამოყენება სტილისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია.

ომონიმები ეწოდება ისეთ სიტყვებს, რომლებიც ბგერითად არ განსხვავდებიან, მაგრამ **მნიშვნელობითა** და **წარმომავლობით** განსხვავებული არიან (ბერძნ. homos „მსგავსი", „ერთგვარი" და ბერძნ. onyma, onoma „სახელი").

ომონიმების მაგალითია: 1. **ბარი** (მთა და ბარი) და 2. **ბარი** (ბარი და ნიჩაბი). ასევე: 1. **ბანი** (დატკეპნილი მიწის ბრტყელი სახურავი ძველებურ სახლებში: „სიტყვა ბანზე აუგდო"); 2. **ბანი** (ხმა სიმ-

ღერაში: „ბანი მითხარით, ბიჭებო!"); 3. **ბანი** (მეორე ასო ქართულ ანბანში: „ეს არის ანი, ეს არის ბანი, ისწავლეთ გენაცვათო!")... 1. **ხერხი** (ძვ. ქართ. ჴერჴი: „ხერხი სჯობია ღონესა") და 2. **ხერხი** („განის ხერხით მორი გახერხეს").

ომონიმები სხვადასხვა სიტყვებია არა მხოლოდ იმიტომ, რომ მნიშვნელობა აქვთ სხვადასხვა, არამედ იმიტომ, რომ ისინი სხვადასხვა წარმომავლობისანი არიან.

სიტყვას „წვერი" არსებითად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს: 1. „**წვერს** იპარსავს"... 2. „მთის **წვერზე** დგას"... 3. „ისრის **წვერი** ბასრისა იყო". შეიძლება თუ არა ამ სამ წინადადებაში „წვერი" ომონიმებად მივიჩნიოთ? რა თქმა უნდა, არა: ეს ერთი და იგივე სიტყვაა სხვადასხვა მნიშვნელობისა (მაგრამ არა სხვადასხვა **წარმომავლობისა**).

თუ წარმომავლობას ანგარიშს არ გავუწევდით, სიტყვათა დიდი წილი ომონიმებად უნდა მიგვეჩნია, რადგანაც იშვიათია ისეთი სიტყვა, რომ სხვადასხვა კონტექსტში მნიშვნელობას არ იცვლიდეს. ომონიმები მხოლოდ მაშინ გვაქვს, თუ გარეგნულად ერთნაირი სიტყვა განსხვავებულია არა მხოლოდ მნიშვნელობით, არამედ **წარმომავლობითაც**.

ანტონიმები ეწოდება ისეთ სიტყვებს, რომლებსაც ერთიმეორის საპირისპირო მნიშვნელობა აქვთ (ბერძ. anti „წინააღმდეგ", onyma, onoma „სახელი").

ანტონიმებია: მაღალი — დაბალი, მსხვილი — წვრილი, ბნელი — ნათელი; გრძელი — მოკლე; ტკბილი — მწარე... ნაყოფიერი — უნაყოფო; გონიერი — უგუნური; გემრიელი — უგემური; წესიერი — უწესო; ნებსითი — უნებლიე... ნორმალური — არანორმალური; ორგანული — არაორგანული; პერიოდული — არაპერიოდული; ზუსტი — არაზუსტი...

ანტონიმები, პირველ ყოვლისა, თვისების აღმნიშვნელ სიტყვებში გამოიყოფა. ეს სიტყვები შეიძლება იყოს სხვადასხვა ფუძისა (მაღალი—დაბალი); შეიძლება ერთი ფუძისაგან იწარმოოს უარყოფის თავსართ-ბოლოსართებით (გემრიელი—უგემური; ნორმალური—არანორმალური)...

უარყოფის აღნიშვნისას ორივე ვარიანტი შეიძლება მივიღოთ ერთი და იმავე სიტყვის (დადებითის) საპირისპიროდ: საკმარისი — 1. უკმარი; 2. არასაკმარისი... სწორი — 1. უსწორო; 2. არასწორი... (ასეთ შემთხვევაში „არა"-თი ნაწარმოები ვარიანტი მეორეულია). უარყოფითი წარმოების ეს ვარიანტები მნიშვნელობით განსხვავდებიან.

§ 56. ევფემიზმი. ტაბუ. ზოგი სიტყვის (თუ გამოთქმის) ხმარება უხერხულად ითვლება. ამიტომ **შეგნებულად გაურბიან** ამ სიტყვებსა (და გამოთქმებს) და ცვლიან მათ სხვა სიტყვებითა (და გამოთქმებით). უხერხული სიტყვების ასეთ შენაცვლებას **ევფემიზმი** ეწოდება (ბერძ. euphēmi „კეთილად ვმეტყველებ", „ზრდილობიანად ვლაპარაკობ").

„თეთრეული" ითქმის „ნიფხავ-პერანგის" ნაცვლად („მძარცველებმა მგზავრი დატოვეს თეთრეულის ამარა"). „თეთრეულზე" ადრე „პერანგი და მისი ამხანაგი" იხმარებოდა, როგორც ევფემისტური თქმა (სასაუბრო ენაში ზოგან დღესაც არის ეს გამოთქმა დაცული). შემდეგ ესეც უხერხული აღმოჩნდა და „თეთრეულმა" შეცვალა მანამდე ხმარებული ევფემისტური შენაცვლება.

„თქვენი ნათქვამი სინამდვილეს არ შეეფერება" ევფემისტური სიტყვახმარების ნიმუშია: პირდაპირ თუ ვიტყოდით, გვექნებოდა: „თქვენ რასაც ამბობთ, ტყუილია".

ევფემისტური შენაცვლების საჭიროება სხვადასხვა საზოგადოებრივ ფენაში ერთგვარად არ ესმით. ევფემისტური ნორმები ერთსა და იმავე წრეში იცვლება დროთა ვითარებაში.

რაიმე ადათ-წესის ანდა ცრურწმენის გამო ზოგჯერ **აღიკვეთება** რაიმე სიტყვის ხმარება. მაგალითად, საქართველოს ზოგ კუთხეში „ჭიანჭველას" არ ახსენებდნენ იმ ოჯახში, სადაც აბრეშუმის ჭია ჰყავდათ (ჭიანჭველა არ დაესიოს აბრეშუმის ჭიასაო). „ჭიანჭველას" ნაცვლად სხვა სახელი, პირობითი, შეირჩეოდა, თუ აღკვეთილი სახელის მატარებელი მაინც უნდა ეხსენებინათ. რაიმე სიტყვის ხმარების აღკვეთას **ტაბუ**-ს უწოდებენ (ტაბუ პოლინეზიელ ხალხთა მეტყველებიდან აღებული სიტყვაა).

§ 57. ლექსიკური შემადგენლობის ცვლა. არქაიზმი. ნეოლოგიზმი. დიალექტიზმი. ლექსიკური შემადგენლობა ენაში ყველაზე ადვილად და ყველაზე მეტად იცვლება. მოძველებული სიტყვები ხმარებიდან გამოდის. ენაში შემოდის და მკვიდრდება ახალი სიტყვები. ეს შენაძენი მეტია დანაკარგზე. ცვლის პროცესში ენის ლექსიკა მდიდრდება.

ახალი ქართულისათვის უცხოა ისეთი სიტყვები, როგორიცაა ვთქვათ, ძველი ქართულის ძეგლებიდან ცნობილი სიტყვები: ჯ ა მ ლ ი „ფეხსაცმელი", უ ჯ ა მ უ რ ი „უფეხსაცმლო", „ფეხშიშველა", ს ი ყ მ ი ლ ი „შიმშილი", ფ ი ჩ ჯ „შალის სამოსი (ბერისა)", ხ ა რ ჭ ა „ხასა",

ერგასი „ორმოცდაათი", მკოდოვანი „უკიდურესი ღარიბი", „ღატაკი"... ძველი ქართულის ეს სიტყვები არ შერჩა ქართულს, საბოლოოდ გამოვიდა ხმარებიდან.

დღევანდელი ჩვენი მეტყველებისათვის უცხოა სიტყვები: „იასაული", „მდივანბეგი", „შინაყმა", „ბოქაული"... თუმცა ეს სიტყვები არც ისე შორეულ წარსულში (XIX ს. მეორე ნახევარში) იხმარებოდა.

სულ ოცი-ოცდაათი წლის ისტორია აქვს თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ისეთ სიტყვებს, როგორიცაა: წნევა, აღმავლობა, კავშირგაბმულობა, მედაუსწრებლე, სასშვები, შვებულება, დასაქონლება, ზუსტი, სიზუსტე, არაზუსტი... (ახალ სიტყვათა და გამოთქმათა მაგალითები იხ. აგრეთვე § 19).

ხმარებიდან გამოსულ ძველ სიტყვას (თუ გამოთქმას) უწოდებენ **არქაიზმს** (ბერძ. archaios „ძველისძველი"). ხმარებაში ახლად შემოსული სიტყვა (გამოთქმა) იქნება **ნეოლოგიზმი** (ბერძ. neos „ახალი", logos „სიტყვა"). ლექსიკის არქაიზაცია გვაქვს იმ შემთხვევაში, როცა მწერალი ძველ სიტყვებსა და გამოთქმებს ეტანება (ახალი სიტყვის შემოღებაც უადგილოა, თუ უკვე არსებული სიტყვა აუდის საჭიროებას).

ცალკე გამოყოფენ ხოლმე დიალექტებიდან სალიტერატურო ენაში შემოსულ სიტყვებს, — **დიალექტიზმებს:** მარა „მაგრამ", მუდო „თხუნელა", ხახალი, გალა... (ლექსიკური დიალექტიზმები გარკვეულ პირობებში სავსებით გამართლებულია — § 22,).

§ 58. სიტყვათა სემანტიკა. ძალკი. ლექსიკის გამდიდრების ძირითად წყაროს ქმნის არსებულ სიტყვათაგან ახალ სიტყვათა წარმოქმნა. თვალსაჩინო მნიშვნელობა აქვს უცხო ენათაგან სიტყვების სესხებასაც: „უნივერსიტეტი", „ფაკულტეტი", „რექტორი", „დეკანი", „პროფესორი", „დოცენტი", „ლექტორი", „სტუდენტი", „ასისტენტი", „ლექცია", „სემინარი", „პრაქტიკუმი", „ლაბორანტი", „ინსტიტუტი", „დირექტორი", „აკადემია", „პრეზიდენტი", „ლიტერატურა", „ისტორია", „გეოგრაფია", „გეოლოგია", „ზოოლოგია", „ბოტანიკა", „მათემატიკა", „ეკონომიკა" და მრავალი სხვა სიტყვა, რომელსაც ყოველ ფეხის გადადგმაზე ვხვდებით უმაღლეს სასწავლებლებში (და არა მხოლოდ სასწავლებლებში) — წარმოშობით ყველა უცხო სიტყვაა, ბერძნული და ლათინური ძირისა.

წინადადებაში: „უნივერსიტეტში პროფესორი სტუდენტებს ლექციას უკითხავს" ქართულია მხოლოდ „უკითხავს" სიტყვა (**-ში** თანდებული და ბოლოსართები: **-ი, -ს**); მსგავსი ვითარება გვექნებოდა, თუ

ამავე წინადადებას გადავთარგმნიდით რუსულად (ან გერმანულად): იქაც მხოლოდ ზმნა-შემასმენელი აღმოჩნდებოდა რუსული (გერმანული).

ნასესხები სიტყვა ყველა ენაში მოიპოვება. ეს ბუნებრივი პროცესია: უცხო მასალა დროთა ვითარებაში უსისხლხორცდება მსესხებელი ენის ლექსიკურ-გრამატიკულ სისტემას და ამდიდრებს ენას. რა წარმომავლობისაა ესა თუ ის სიტყვა, როდის და რა ენიდან არის შეთვისებული ნასესხები სიტყვა, ამაში სპეციალისტები თუ ერკვევიან (ხშირად ეს სპეციალისტებისთვისაც კი ძნელი დასადგენია). „ქალაქი", „ქუჩა", „ოთახი", „ფანჯარა" რომ წარმოშობით სირიული და სპარსული სიტყვებია, ამას ისტორიული ანალიზი თუ გვიჩვენებს. ქართველი ადამიანისთვის „ქალაქი" ამჟამად ისეთივე ქართული სიტყვაა,[2] როგორიც „მიწა", „მთა", „ბარი", „კლდე", „სახლი", „კარი"...

უნდა განვასხვავოთ სიტყვათა სესხების ორი შემთხვევა:

1. უ შ უ ა ლ ო სესხება, როცა სიტყვას სესხულობენ პირდაპირ იმ ენიდან, რომლის კუთვნილებასაც იგი შეადგენს: „ბოლშევიკი" რუსული სიტყვაა და ქართულში უშუალოდ რუსულიდან არის შეთვისებული; ასევე — „პოლკოვნიკი", რომელიც რუსულიდანაა უშუალოდ ნასესხები. უშუალოდ ბერძნულიდან ძველად შეთვისებული სიტყვებია „კლიტე", „ბოქლომი", „ორგანო", „ეკლესია", „ეპისკოპოსი", „დეკანოზი"...

2. შ უ ა ლ ო ბ ი თ ი სესხების დროს პ ი რ ვ ე ლ წ ყ ა რ ო ს ა და მ ს ე ს ხ ე ბ ე ლ ე ნ ა ს შ ო რ ი ს მოქცეულია რომელიმე ენა (ან ენები). ასე, მაგალითად: „უნივერსიტეტი", „ფაკულტეტი", „სტუდენტი", „დოცენტი" ლათინური ფუძის სიტყვებია, მაგრამ ქართულმა ეს სიტყვები შეითვისა რუსული ენიდან, რ უ ს უ ლ ი ე ნ ი ს მ ე შ ვ ე ო ბ ი თ (და არა უშუალოდ — ლათინურიდან). სესხების გზის აღსანიშნავად ხმარობენ ლათინურ ტერმინს via „გზა" (და ურთავენ ენის სახელწოდებას): „სტუდენტი" შემოსულია ქართულში რუსული ენის მეშვეობით (via rossica).

სესხების გზის გარკვევა საყურადღებო იმიტომ არის, რომ ხშირად შუამავალი ენა ასხვაფერებს ნასესხებ სიტყვას. ქართულში მრავალი ნასესხები სიტყვა ბოლოვდება **-ცია, -ხია** და **-ზია**-თი: ნაცია, რევოლუცია, ევოლუცია, რეაქცია, უნიფიკაცია, ინტეგრაცია, რეგისტრაცია, ასიმილაცია, პერტურბაცია, რეალიზაცია... კომისია, პროფესია,

[2] „ქალაქ"-სიტყვის აგებულებაში დღესაც შეიმჩნევა ისეთი ენობრივი თავისებურებები, რაც მის არაქართულ წარმოშობას გვანიშნებს.

ვერსია, ემისია... პრეტენზია... ყველა ეს სიტყვა ლათინური წარმოშობისაა, მაგრამ ლათინურში მას -ია არ მოუდის ბოლოს: -io გვაქვს (natio, ფრანგულში — -ion). და თუ ქართულში -ია მივიღეთ, ეს იმიტომ, რომ ეს სიტყვები რუსული ენის მეშვეობით შემოვიდა ქართულში და რუსულში კი -ия გვაქვს (нация, революция, комиссия, претензия...).

ზეპირ მეტყველებაში სიტყვათა სესხების პროცესი სტიქიურად მიმდინარეობს. სალიტერატურო ენაში კი, რომლის განვითარებასაც კონტროლი ეწევა, სესხებას სხვადასხვაგვარად ეკიდებიან. აქ ერთმანეთს უპირისპირდება ორი თვალსაზრისი: ერთი ცდილობს თავი აარიდოს სესხებას, ყველა საჭირო სიტყვა საკუთარი მარაგიდან აწარმოოს ან შეთხზას. ამ თვალსაზრისს პ უ რ ი ზ მ ი ეწოდება (ლათ. purus „წმინდა", პურიზმი — „სიწმინდე"). ქართველი პურისტები ერთ დროს წინადადებას იძლეოდნენ „ლექსიკონი" შეცვლილიყო „სიტყვარ"-ით. პურისტები მათემატიკაში ცდილობდნენ „ცილინდრის" ნაცვლად „გოდლედი" ეხმარათ, გრადუსის მაგიერ „მენაკი", „თერმომეტრის" წილ „თბოდანდედი"...

ასეთ „ქართულ" ტერმინებს ქართველი კაცი ვერ გაიგებს უფრო ადვილად, ვიდრე „გრადუსსა" და „თერმომეტრს", რომლებიც მთელ რიგ ენაშია დამკვიდრებული. პურიზმს სალიტერატურო ენათა ისტორია არ ამართლებს; ვერც ხალხურობაზე მითითება დაასაბუთებს პურიზმის საჭიროებას. საჭირო შემთხვევაში სიტყვების სესხება ენის ნორმალურ განვითარებას ეგუება.

მეორე უკიდურესობას წარმოადგენს განუკითხავად შემოტანა უცხო სიტყვებისა მაშინ, როცა ამის საჭიროება არ არის; თუ სათანადო სიტყვა შეიძლება დავძებნოთ საკუთარ ლექსიკურ ფონდში, ანდა ვაწარმოოთ არსებულ სიტყვათაგან, სესხება გაუმართლებელია. ასეთ პირობებში სესხება ანაგვიანებს ენას.

სესხების თავისებური სახეა **კალკი** (ფრანგ. calque „გადასაღები გამჭვირვალე ქაღალდი"). კალკი გვაქვს მაშინ, როდესაც ახალი სიტყვის წარმოებისას (ანდა გამოთქმის შექმნისას) მასალას საკუთარს იყენებენ, ოღონდ სესხულობენ ს ი ტ ყ ვ ი ს წ ა რ მ ო ქ მ ნ ი ს პ რ ი ნ ც ი პ ს (ანდა მთელი გამოთქმის შ ე დ გ ე ნ ი ს წესს).

ქართული „წარმოდგენა" არის კალკი რუსული представление-სი, ეს უკანასკნელი კიდევ გერმანული Vorstellung-ისა. ასევე კალკს წარმოადგენს: თვითკრიტიკა (შდრ. самокритика), აირწინაღი (შდრ. противогаз), დამკვრელი (შდრ. ударник)... და ბევრი სხვა... ტერმინებში კალკის ნიმუშებს ყოველ ფეხის გადადგმაზე შევხვდებით: უღვლილება (შდრ. спряжение, conjugatio), ნაცვალსახელი (შდრ. местоимение, pro-

nomen), მიმღეობა (შდრ. причастие, participium), მიცემითი ბრუნვა (შდრ. дательный, dativus)... ნიადაგმცოდნეობა (შდრ. почвоведение) და მრავალი სხვ.

შესიტყვებებში კალკის ნიმუშებია: „დღის წესრიგი“ (შდრ. порядок дня)... „მაგალითი მოიყვანა“ (შდრ. привел пример, რაც თავის მხრივ გერმანული შესიტყვების კალკს წარმოადგენს)... „მატარებლების ჩქაროსნული ტარება“ (შდრ. скоростное вождение поездов) და სხვ.

კალკი იმდენადვეა გამართლებული, რამდენადაც — სესხება: კალკი ისევე უნდა შევაფასოთ, როგორც სესხება (იხ. ზემოთ).

სპეციალური ლიტერატურა, რა დარგისაც უნდა იყოს იგი, უხვად იძლევა კალკის მაგალითებს. და ეს ეხება ყველა ენას (ამიტომაა, რომ უცხო ენაზე სპეციალური ლიტერატურის გამოყენება უფრო ადვილია, ვიდრე მხატვრული ნაწარმოების კითხვა).

§ 59. ლექსიკოგრაფია და ლექსიკონთა სახეები. ამა თუ იმ ენის ლექსიკას მეტ-ნაკლები სისრულით თავს უყრიან ლექსიკონებში (ბერძ. lexicon „ლექსიკონი“). ლექსიკონის შედგენის საკითხებს არკვევს **ლექსიკოგრაფია** (ბერძ. lexicon და graphō „ვწერ“; „ლექსიკოგრაფია“ — „ლექსიკონთშედგენა“).

ლექსიკონში სიტყვებს ალაგებენ ან **ანბანთრიგზე** ანდა **ბუდეებად.** ბუდეში თავს იყრის ერთი ფუძის (ან ძირის) ყველა ნაწარმოები სიტყვა (მაგალითად: **ძმა** სიტყვის ბუდეში იქნება: ძმური, მოძმე, საძმო, ძმობა, ძმობილი... თუ ანბანთრიგზე დავალაგებდით, ძმა, ძმობა, ძმობილი, ძმური — მოჰყვებოდა **ძ** ასოზე, მოძმე — **მ** ასოზე, საძმო — **ს**-ზე...).

ფართო მოხმარების ლეაქსიკონებში ჩვეულებრივ ანბანთრიგზე აწყობენ სიტყვებს (საენათმეცნიერო სპეციალური ლექსიკონები უპირატესად ფუძე-ძირებზე ეწყობა).

ლექსიკონში არა მხოლოდ აღრიცხავენ სიტყვებს, არამედ უჩვენებენ მათ მნიშვნელობასაც. მნიშვნელობა შეიძლება იმავე ენაზე გადმოიცეს, რა ენისაცაა ლექსიკონი. ეს იქნება განმარტებითი ლექსიკონი (ასეთია, მაგალითად, „რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ ოთხტომეული, დ. ნ. უშაკოვის რედაქციით, 1928-1940 წწ.; „სომხური ენის ლექსიკონი“ მალხასიანის მიერ შედგენილი 4 ტომად, 1943 წ.; „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ 8 ტომად, 1950-1964 წწ.).

სიტყვის მნიშვნელობას განმარტებით ლექსიკონში ასე

უჩვენებენ: **ბელტი** 1. მიწის მონაკვეთი, ჩვეულებრივ ბარით ან სახნისით მოჭრილი. ბელტი ბელტზედ გადმოვაწყვინოთ და შრომის ოფლი მიწას ვაწუმოთ (**ილია**). 2. ქვანახშირის ან შავი ქვის ჩამონაკვეთი (ან ნატეხი). ქვანახშირის ბელტი. 3. გ ე ო ლ. გეოლოგიურად ერთიანი მასივი. საქართველოს ბელტი.

სიტყვის მნიშვნელობა ლექსიკონში შეიძლება უჩვენონ სხვა ენიდან სათანადო სიტყვის შერჩევით; ეს იქნება **თარგმნითი** ანუ პ ა რ ა ლ ე ლ უ რ ი ლექსიკონი (**бельтი – глыба... თავი – голова... სახლი – дом...**).

თარგმნითი ლექსიკონი ჩვეულებრივად ო რ ე ნ ო ვ ა ნ ი ა (ქართულ-რუსული, რუსულ-ქართული, ქართულ-სომხური, სომხურ-ქართული, ლათინურ-რუსული, გერმანულ-რუსული, ფრანგულ-ინგლისური...). თარგმნითი ლექსიკონი შეიძლება იყოს სამ და ოთხენოვანი, ვთქვათ, ლათინურ-რუსულ-ქართული ბოტანიკური ან სამედიცინო ლექსიკონი... გერმანულ-ფრანგულ-ინგლისურ-რუსული პარალელური ლექსიკონი (მაგალითად, რეიფისა)...

ცალკე უნდა გამოიყოს **სპეციალური** ლექსიკონები: **სოფლის მეურნეობის ლექსიკონი** (სადაც სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის ცნებებია განმარტებული), **ტექნიკური ლექსიკონი** (ტექნიკის ცნებათა განმარტებით), **სამედიცინო ლექსიკონი** და სხვ.; **ტერმინოლოგიური** ლექსიკონები (მაგალითად: ტექნიკური — რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული — ტერმინოლოგიის ლექსიკონი, მარტივად: ტექნიკური ტერმინოლოგია... გეოლოგიური ტერმინოლოგია... მათემატიკის ტერმინოლოგია... ამგვარ ლექსიკონებში მხოლოდ სპეციალური ტერმინები და ამ ტერმინებისაგან შემდგარი გამოთქმები შედის), **ორთოგრაფიული** ლექსიკონი (იმ სიტყვათა შეტანით, რომელთა მართლწერა სადავოა), **ხანონიმების ლექსიკონი, იდიომატურ თქმათა ლექსიკონი** და სხვ.

სპეციალურ ლექსიკონებში შედის **საენათმეცნიერო** ლექსიკონებიც: დ ი ა ლ ე ქ ტ ო ლ ო გ ი უ რ ი (ამა თუ იმ დიალექტის ლექსიკურ თავისებურებათა აღნუსხვით), ი ს ტ ო რ ი უ ლ ი (სადაც ლექსიკის შემადგენლობისა და სიტყვათა მნიშვნელობის ცვლაა აღნუსხული), შ ე დ ა რ ე ბ ი თ ი, რომელშიაც ორი ან მეტი მონათესავე ენის სიტყვებია შედარებული.

შედარებითი ლექსიკონი ა რ ს ე ბ ი თ ა დ განსხვავდება პარალელური ლექსიკონისაგან: პარალელური ლექსიკონი შეიძლება ყოველი ორი ენისთვის შევადგინოთ, იქნება ეს ენები მონათესავე თუ არა (მაგ., არაბულ-ქართული, თურქულ-რუსული, ჩინურ-ფრანგული), შ ე დ ა -

რებითი ლექსიკონი კი მხოლოდ მონათესავე ენებისა იქნება, ე. ი. ისეთი ენებისა, რომელთაც საერთო წარმოშობა აქვთ. ამისდაკვალად პარალელური ლექსიკონი **ერთი მნიშვნელობის** სიტყვებს იძლევა, შედარებითი — **ერთი წარმოშობის** ფუძეებს გამოყოფს, თუნდაც რომ მათი მნიშვნელობა სხვა იყოს. ასე, მაგალითად, **პარალელურ** ქართულ-მეგრულ ლექსიკონში გვექნება: კაცი—კოჩი, ძმა—ჯიმა, ხე—ჯა, ღამე—სერი... **შედარებით** ქართულ-მეგრულ ლექსიკონში კი გვექნებოდა: კაცი—კოჩი, ძმა—ჯიმა, **ძელი**—ჯა, ღამე—**ღუმა** „წუხელ". ქართ. **ძელ**-ი და მეგრ. **ჯა** „ხე" წარმოშობით ერთი და იგივე ფუძეა. ასევე: ქართ. **ღამე**-ს წარმოშობით უკავშირდება მეგრ. **ღუმა**, რომელსაც ამჟამად სხვა მნიშვნელობა აქვს (და არა **სერ**-ი, რომელიც ამჟამად „ღამეს" აღნიშნავს).

§ 60. სიტყვის მნიშვნელობა და სიტყვის შემადგენლობა. სიტყვა, როგორც ლექსიკის ფაქტი, მნიშვნელობის მატარებელი უმარტივესი ერთეულია.

სიტყვის რა ნაწილთან არის დაკავშირებული მნიშვნელობა? რა ნაწილები გამოიყოფა სიტყვაში მნიშვნელობის მიხედვით? ამის გასარკვევად საჭიროა გავაანალიზოთ რამდენიმე სიტყვა.

ავიღოთ სრულმნიშვნელოვანი სიტყვა „კაცი". ის შედგება ოთხი ბგერისაგან.

მოვაცილოთ მას თავკიდური ბგერა კ; დაგვრჩება „აცი"; „აცი" სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რასაც „კაცი" გულისხმობდა.

აღნიშნავს თუ არა ეს „აცი" რასმე? საგანს — არავითარს (ვგულისხმობთ ქართულ მეტყველებას). ერთადერთი, რაც შეიძლება აქ მოგვაგონდეს, ესაა მიმართვა ცნობილი შინაური ოთხფეხისადმი.

დასკვნა: თუ სიტყვას „კაცი" მოვაცილებთ კ ბგერას, მას ეკარგება ის მნიშვნელობა, რომელიც მანამდე ჰქონდა, ის აღარ აღნიშნავს იმას, რასაც მანამდე აღნიშნავდა.

გამოვაკლოთ იმავე სიტყვას „კაცი" ა: მივიღეთ „კცი". აქვს თუ არა ამ უკანასკნელს ის მნიშვნელობა, რაც „კაცი"-ს ჰქონდა? პასუხი უარყოფითი იქნება. ქარაგმებით ნაწერის კითხვას მიჩვეული ქართველი, ალბათ, მიხვდება, თუ დაწერილი „კცი" ნახა, მაგრამ „კცი"-ს გაგონებაზე ვერავინ იტყვის, აქ ა გვაკლია, თორემ „კაცი" სიტყვასთანა გვაქვს საქმეო; ვერ იტყვის იმიტომ, რომ კ-სა და ც-ს შორის შეიძლებოდა ყოფილიყო ე (კეცი), ანდა ჲი (კვიცი) და ამრიგად

სულ სხვა სიტყვებს მივიღებდით.

მაშასადამე: ა-ს გამოკლების შემდეგაც „კ ა ც ი“ სიტყვა ვერ ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას.

ასეთსავე შედეგს მივიღებთ, თუ იმავე სიტყვას ც-ს გამოვაკლებთ; კ ა ც ი — კ ა ი; „კ აი“ სულ სხვა სიტყვაა, ესაა არალიტერატურული, მაგრამ ცოცხალ მეტყველებაში ხშირად ხმარებული სიტყვა: „კაი“ = კარგი: ც-ს გამოკლებამ სულ სხვა მნიშვნელობა მოგვცა; კ ა ც ი-ს მნიშვნელობა დაირღვა...

გავაკეთოთ ასეთივე ცდა ი-ზე; მოვაცილოთ ი, დავგრჩება კაც: კაცი — კაც-. აქ არსებითად სხვა მდგომარეობაა; ამ სამ ბგერას შერჩა უნარი მ ი უ თ ი თ ო ს ი მ ა ვ ე ო ბ ი ე ქ ტ ურ მ ო ნ ა ც ე მ ზ ე, რასაც „კ ა ც ი“ აღნიშნავდა. მართალია, ჩვენ ვგრძნობთ, რომ რაღაცა გვაკლია, რომ სიტყვა ს რ უ ლ ი არ ა რ ი ს, მაგრამ ამისდა მიუხედავად „კაც“ მაინც მიუთითებს იმავე საგანზე, რაზედაც „კ ა ც ი“ მიუთითებდა: არავის აერევა ერთმანეთში „კაც-“ — „კეც-“ — „კვიც-“ — „მხეც-“... ყველა მიხვდება, რაზედაც მიუთითებს, რასაც გულისხმობს თითოეული მათგანი.

ამრიგად: სიტყვა „კაცი“ შედგება ოთხი ბგერისაგან, აქვს გარკვეული მნიშვნელობა. საკმარისია პირველი სამი ბგერიდან ერთ-ერთი — სულერთია, რომელი (ან კ ან ა ანდა ც) — გამოვაკლოთ, და დაიკარგება ის მნიშვნელობა, რომელიც სიტყვას ჰქონდა (შეიძლება სულ უაზრო ბგერითი კომპლექსიც მივიღოთ). მაგრამ თუ ი-ს გამოვაკლებთ, ეს არ მოშლის სიტყვის წინანდელ მნიშვნელობას; უ-ი-ნოდაც შეუძლია დარჩენილ ბგერათა კომპლექსს — (კ ა ც-) — მ ი უ თ ი თ ო ს ი მ ა ვ ე ო ბ ი ე ქ ტ ურ მ ო ნ ა ც ე მ ზ ე.

ეგევე ითქმის: -ხ (კაც-ხ), -მა (კაც-მა), -ის (კაც-ის), -ით (კაც-ით), -ად (კაც-ად)... ბგერების შესახებ: ამ სიტყვაში მათი გამოკლების შემდეგაც დარჩენილი ნაწილი მაინც ატარებს წინანდელ მნიშვნელობას.

შეიძლება ეს შემთხვევითი მოვლენა არის და მხოლოდ „კ ა ც“ სიტყვას ახასიათებს. მივმართოთ სხვა სიტყვებს. ავიღოთ სიტყვა „კვალი“, — ფეხის დანადგამი ანდა სახნისის მიერ გაღარული ადგილი (ორნატი)...

„ვ ა ლ ი“ — (უ-კ-ანოდ) — ქართული სიტყვაა, ოღონდ სულ სხვა მნიშვნელობის მქონე.

„კ ვ ლ ი“ — (უ-ა-ნოდ) — გაუგებარი ბგერათა კომპლექსია: მნიშვნელობა მოიშალა.

„კ ვ ა ი“ — (უ-ლ-ასოდ) — აგრეთვე გაუგებარია: მნიშვნელობა მოიშალა.

„კვალ" — (უ-ø-ნოდ) — იმასვე აღნიშნავს, რასაც „კვალი" აღნიშნავდა: სიტყვის მნიშვნელობა არ მოიშალა, დარჩა; სხვა ყოველი ბგერის მოკლებისას ან სულ სხვა მნიშვნელობას ვიღებდით, ანდა სიტყვას სრულებით ეკარგებოდა მნიშვნელობა.

მსგავს შედეგებს მივიღებთ, თუ ასეთ ექსპერიმენტებს მოვახდენთ სხვა სიტყვებზედაც.

ზოგადი დასკვნა, რომელიც აქედან გამომდინარეობს, შემდეგი სახისაა: სიტყვა მიუთითებს რაღაცაზე, — სიტყვას აქვს მნიშვნელობა; სიტყვა ბგერებისაგან შედგება, მაგრამ სიტყვის ყველა ბგერა თანაბრად საჭირო არ არის იმისათვის, რომ სიტყვამ მიუთითოს განსაზღვრულ ობიექტურ მონაცემზე, რომ მან შეინარჩუნოს თავისი მნიშვნელობა: მოაკლებთ ზოგიერთ ბგერას და სიტყვას ეცვლება მნიშვნელობა ანდა სულ დაეკარგება მნიშვნელობა; მოაკლებთ ზოგ ბგერას, და სიტყვა მნიშვნელობას ინარჩუნებს, იგი ისევ იმავე ობიექტურ მონაცემზე მიუთითებს.

§ 61. დამოკიდებულების აღმნიშვნელი ნაწილი სიტყვაში. რა დანიშნულება აქვს ზემოხსენებულ ბგერებს (-ø, -ხ, -მა, -ის...)? რა საჭიროა სიტყვაში ასეთი ბგერები, თუკი სიტყვას უმათოდაც შეუძლია აღნიშნოს გარკვეული საგანი?

ავიღოთ სიტყვები: **კაცი, ცხენი.** მოვაცილოთ ის ნაწილი **(-ø),** ურომლისოდაც მათ შეუძლიათ იმავე საგნების აღნიშვნა: კაც-, ცხენ-... მივუმატოთ სრული სიტყვა „მოკლა": კაც ცხენ მოკლა. ჩვენ წინ სამი ერთეულია; ორი საგნებს აღნიშნავს, მესამე — მოქმედებას. რაღას ნიშნავს სამივე ერთად? შეიძლება იმას, რომ „კაცმა ცხენი მოკლა", შეიძლება იმასაც, რომ „კაცი ცხენმა მოკლა". ორივე გაგება თანაბრად შესაძლებელია. ეს სულ ერთი რომია: „კაცმა ცხენი მოკლა". აქ კაცი ცოცხალია, ცხენი — მკვდარი. მეორე შემთხვევაში, „კაცი ცხენმა მოკლა" პირიქით, კაცი მკვდარია, ცხენი — მიზეზია მისი სიკვდილისა...

სიტყვები ერთი და იგივეა. მათგან შემდგარი წინადადების შინაარსი სრულიად განსხვავებულია.

რა ქმნის ამ განსხვავებას? ბგერები **-მა** და **-ø,** რომელთაც ვუმატებთ ამა თუ იმ შემთხვევაში (ცხენ**მა,** კაც**ø,** ცხენ**ø,** კაც**მა**). ცალკე

აღებული სიტყვები ამ ბგერების გარეშეც ახერხებენ საგნის აღნიშვნას, მაგრამ, როცა სიტყვები კავშირდება, როცა წინადადება უნდა შედგეს, უმათოდ სიტყვები აღარ სიტყვობენ: ვიცით, სიტყვები რა საგნებზე მიუთითებენ, მაგრამ აღარ ვიცით, რა ურთიერთობაში იმყოფება ერთმანეთთან ამ სიტყვებით აღნიშნული საგნები... ერთი შეხედვით, ის, რაც უადგილოა, ზედმეტია **სიტყვის მნიშვნელობის** თვალსაზრისით, უაღრესად საჭირო, **მიუცილებელი ხდება წინადადების მნიშვნელობის თვალსაზრისით,** წინადადებაში სიტყვების დასაკავშირებლად...

აი კიდევ ნიმუშები: ანდრო ვასო სცემა. — ნიშნავს ან: ანდრომ ვასოს სცემა ანდა: ანდროს ვასომ სცემა...

ქეთო თინა არ უყვარს, ნიშნავს ან: ქეთოს თინა არ უყვარს, ანდა: ქეთო თინას არ უყვარს...

„ავტორ ლოგიკა ჩვენთვის ცნობილია“: ნიშნავს ან იმას, რომ „ავტორის ლოგიკა ჩვენთვის ცნობილია“ ანდა იმას, რომ „ავტორი «ლოგიკისა» ჩვენთვის ცნობილია“...

დაბოლოებათა ცვლის წყალობით ვიღებთ ისეთ შესიტყვებებს, როგორიცაა: **„ფილოსოფიის ისტორია“** და **„ისტორიის ფილოსოფია“, „დიალექტიკის ბუნება“** და **„ბუნების დიალექტიკა“**... შესიტყვებათა ეს წყვილეულები, სრულიად სხვადასხვა მნიშვნელობისაა, თუმცა ისინი ერთი და იმავე სიტყვებისაგან შედგება: საკითხს წყვეტს დამოკიდებულება, რომელსაც სათანადო ცნებებს შორის **-ის** დაბოლოების მიმატება ამყარებს.

-ი, -ის, -მა, -ს და სიტყვის ამგვარ ნაწილებს ენაში გარკვეული დანიშნულება აქვს: უმათოდ სიტყვები ვერ დაკავშირდება, წინადადება (და, საერთოდ, შესიტყვება) არ აიგება, აზრი გარკვეულად არ გამოითქმის, საგანთა ურთიერთობა ნათელი ვერ იქნება[3].

სიტყვის ამ ნაწილებს თავისთავად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ცალკე სიტყვის მნიშვნელობის გადმოსაცემად ისინი საჭირო არ არის, წინადადების (ანდა შესიტყვების) შესადგენად კი სიტყვაში აუცილებელია.

ამრიგად: სიტყვის მნიშვნელობა დაკავშირებულია სიტყვის ერთ ნაწილთან. ესაა სიტყვის **ძირითადი** ნაწილი. მას **ფუძე**

[3] მხედველობაში გვაქვს ქართული, სომხური, რუსული და მათგვარი ტიპის ენები. არის ისეთი ენები, რომლებშიც სიტყვას ამგვარი ნაწილი არ გააჩნია; იქ სხვა საშუალებაა გამოყენებული დამოკიდებულების აღსანიშნავად. დაწვრილებით ამის შესახებ იხ. § 88.

ეწოდება.

ამ უკანასკნელის გარდა სიტყვაში მოიპოვება ისეთი ნაწილიც, რომელიც გვირკვევს, რა მიმართებაშიცაა სიტყვით აღნიშნული საგანი სხვა საგნებთან; სიტყვის ასეთ ნაწილს **ურთიერთობის ანუ დამოკიდებულების აღმნიშვნელი ნაწილი** ეწოდება.

§ 62. მნიშვნელობის მცველი ნაწილი სიტყვაში. სრულმნიშვნელოვან სიტყვას მეორე ასეთივე სიტყვა რომ მივუმატოთ, მივიღებთ ახალ სიტყვას: და+ძმა=და-ძმა; სახლი+კარი=სახლ-კარი; ცოლი+შვილი=ცოლ-შვილი; ქართლი+კახეთი=ქართლ-კახეთი. ამგვარ სიტყვებში ახალი სიტყვების მნიშვნელობა უდრის შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამს.

სხვაგვარი ვითარებაა ისეთ შემთხვევაში, როგორიცაა: ქუდმოგლეჯილი, ხმალამოწვდილი, აღვირახსნილი, ენაგრძელი... „ენა“ გარკვეულ საგანზე მიუთითებს: „გრძელი“ თვისებას გამოხატავს, ორივე სიტყვა ერთად კი ამ ორი სიტყვის მნიშვნელობის ჯამს როდი წარმოადგენს: „ენაგრძელი“ სულ სხვაა და „გრძელი ენა“ — სულ სხვა. „ენაგრძელი“ საგანს კი არ აღნიშნავს, არამედ თვისებას (ენაგრძელი მოსაუბრე, სტუმარი..). ამგვარად, საგნის აღმნიშვნელ სიტყვას (ენა) თვისების აღმნიშვნელი (გრძელი) რომ მივუმატეთ, გარკვეული თავისთავადი მნიშვნელობის მქონე სიტყვა მივიღეთ. ამრიგად, სიტყვათა შეერთება ყოველთვის მნიშვნელობათა ჯამს კი არ იძლევა, არამედ ზოგჯერ იძლევა ახალ მნიშვნელობას იმ სიტყვათა მნიშვნელობებთან შედარებით, რომელნიც შევაერთეთ.

სიტყვის მნიშვნელობა შეიძლება შეიცვალოს სხვაგვარადაც: ავიღოთ სიტყვა: **ცხენი.** „ცხენ“ მიუთითებს გარკვეულ ოთხფეხა შინაურ ცხოველზე. მივუმატოთ მას **-ოსან:** ცხენ+ოსან=„ცხენოსან“. მიუთითებს სულ სხვა საგანზე: „ცხენოსანი“ ცხენიანი კაცია, მაშასადამე, ოთხფეხა ცხოველი კი არა, არამედ ადამიანი, რომელიც ოთხფეხა ცხოველზე ამხედრებულა. ცხენ სიტყვის მნიშვნელობა საესებით შეიცვალა: სად ცხენი და სად ცხენზე მჯდომი?

რამ გამოიწვია ეს ცვლილება? **-ოსან**-ის მიმატებამ. რას ნიშნავს თვითონ ეს **-ოსან? თავისთავად არაფერს**[4], მაგრამ საკმარისია ის მი-

[4] ამბობენ „ოსანა“ ზოგ კუთხეში ადამიანის სახელიაო. ჩვენი მაგალითის -ოსან-ს ამასთან საერთო არაფერი აქვს.

ვუმატოთ სხვა სიტყვას, რომ უკანასკნელს მნიშვნელობა შეეცვლება.

ენაგრძელ-ში, აღვირახსნილ-ში და მაგგვარებში სიტყვის მნიშვნელობა იცვლება იმის გამო, რომ სრული მნიშვნელობის მქონე სიტყვას (**ენა, აღვირ-**) ემატებოდა — გარკვეული თანამიმდევრობით — ისევ სრული მნიშვნელობის მქონე სიტყვა (გრძელი, ახსნილი...). აქ კი სიტყვის მნიშვნელობა იცვლება იმის გამო, რომ სრული მნიშვნელობის მქონე სიტყვას ემატება ისეთი რამ, რასაც, ცალკე თუ ავიღებთ, მნიშვნელობა არა აქვს.

ამის სხვა მაგალითები იქნებოდა:

მანდილ- აღნიშნავს გარკვეულ თავსახურავს;

მანდილ+ოსან="მანდილოსან" აღნიშნავს ქალს („ვისაც მანდილი ახურავს", „ვინც მანდილის მატარებელია"). შდრ.: ხევსურული და თუშური — **ქუდოსანი:** გაუმარჯოთ... სტუმრებს, მასპინძელს, ქუდოსან-მანდილოსანს ..." („მასალ. საქართვ. ეთნოგრ." ნაკვ. I, თბ., 1938, გვ. 23).

ყვავილ- აღნიშნავს გარკვეულ საგანს...

ყვავილ+**ოვან-** უკვე თვისების აღმნიშვნელია (ყვავილოვანი).

სვან- აღნიშნავს საქართველოს ერთ-ერთი კუთხის მცხოვრებს.

სვან+**ეთ-** აღნიშნავს იმ კუთხეს (ადგილს), სადაც სვანები ცხოვრობენ.

ქართველ- — გარკვეული ეროვნების ადამიანი.

ხა-ქართველ-**ო** — ადგილი, სადაც ქართველები ცხოვრობენ, ქართველებით დასახლებული ქვეყანა.

სტუდენტ- — უმაღლესი სასწავლებლის მოსწავლე.

სტუდენტ-**ობ-ა** — 1. სტუდენტთა მასები („უნივერსიტეტის სტუდენტობამ სწავლაში თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია") და

2. სტუდენტად ყოფნა, სტუდენტის მდგომარეობა („სტუდენტობა წინათ სანატრელი იყო"...).

ყველა ამ შემთხვევაში ერთი მნიშვნელობა შეიცვალა მეორით იმის გამო, რომ სიტყვას დაემატა **-ოსან, -ოვან, -ეთ, ხა- — -ო, -ობ-ა** ნაწილაკები, რომლებიც თავისთავად არაფერს აღნიშნავენ, მაგრამ სიტყვას რომ დაემატებიან, ძირითადად ცვლიან მის მნიშ-

---

შდრ. ბერძ. **hōsanna** < ძვ. ებრ. — სახოტბო შეძახილი იუდეურსა და ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში (რედ.).

ვნელობას.

ისეთ სიტყვებს, როგორიცაა: ცხენოსანი, ყვავილოვანი, სვანეთი... დამოკიდებულების აღმნიშვნელი ნაწილებიც აქვთ[5]...

§ 83. ფუძე და აფიქსები. აფიქსთა და ფუძეთა სახეობანი. სიტყვა მნიშვნელობის მატარებელი უმარტივესი ერთეულია. მნიშვნელობის თვალსაზრისით სიტყვა რომ გავაანალიზეთ, მასში გამოიყო ერთი ნაწილი, ძირითადი ნაწილი, რომელიც საგნობრივი მნიშვნელობის მატარებელია (კაც-, ცხენ-, ყვავილ-, სტუდენტ-, სვან-... ცხენოსან-, მანდილოსან-, ყვავილოვან-, სვანეთ-...). სიტყვის ამ ნაწილს, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ეწოდება **ფუძე**.

ფუძეს უპირისპირდება სიტყვის ისეთი ნაწილები, რომლებიც საგნობრივ მნიშვნელობას მოკლებულია (**-ი, -მა, -ს, -ის, -ით... -ოსან, -ოვან, -ეთ, სა- — -ო...**); სიტყვის ასეთ ნაწილებს ეწოდება **აფიქსები** (ლათინურად affixum „მიმაგრებულს", „დამატებულს" ნიშნავს; ქართული შესატყვისი ტერმინი იქნებოდა „დანართი", „სართი").

თვით აფიქსები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმ დანიშნულების მიხედვით, რომელიც მათ აქვთ.

ერთნი აღნიშნავენ დამოკიდებულებას (**-ი, -მა, -ს, -ის, -ით...**): ესაა **დამოკიდებულების აღმნიშვნელი** აფიქსები. რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში მას **ფლექსიას** ეტყვიან ხოლმე (ლათინ. სიტყვიდან flexio „გაღუნვა", „ცვლა სიტყვებისა").

მეორენი მნიშვნელობის ცვლას იწვევენ, **მნიშვნელობის ცვლელ აფიქსებს** წარმოადგენენ (მათ აგრეთვე ფუძის **ხაწარმოებელ** ანდა წარმოსაქმნელ აფიქსებს უწოდებენ: მათი მეოხებით ერთი სიტყვიდან მეორე სიტყვა იწარმოება); ასეთებია, მაგალითად: **-ოსან, -ოვან, -ეთ, სა- — -ო** და მრავალი სხვა.

დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსი **სიტყვის ფორმას** წარმოადგენს: სიტყვის შინაარსი ფუძეშია მოცემული, ფორმა — დამოკიდებულების აღმნიშვნელ აფიქსში. ამგვარი აფიქსის მქონე სიტყვა იქნება **ფორმაცვალებადი** სიტყვა ანუ, მოკლედ — **ფორმიანი** სიტყვა (შდრ. უფორმო სიტყვები § 86).

---

[5] სახელობით ბრუნვაში ფუძის ბოლოკიდურ ა, ე, ო, უ-ს შემდეგ ი თანამედროვე სალიტერატურო ქართულში სიტყვას არა აქვს („სტუდენტობა" და არა: „სტუდენტობაი"); ძველად სალიტერატურო ენაში ი ამგვარ სახელებსაც ერთვოდა. ზოგ კილოში ეს -ი ახლაც შენახულია.

აფიქსის ნაცვლად საერთოდ ხშირად ხმარობენ ტერმინს **ფორმანტი** (ლათინ. formans „გამაფორმებელი").

დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები (ფლექსია) ყოველთვის ფუძის გარეთაა (კაც-**ი**, ცხენ-**ი**, ყვავილ-**ი**... ცხენოსან-**ი**, ყვავილოვან-**ი**, სვანეთ-**ი**...), მნიშვნელობის მცველი აფიქსები ყოველთვის ფუძეში შედიან, ფუძის ნაწილს შეადგენენ[6].

ამისდა მიხედვით ფუძე ორგვარია: **მარტივი ფუძე ანუ ძირი (კაც-, ცხენ-, სვან...)** — მისი დაშლა არ შეიძლება[7] — და **ნაწარმოები ფუძე**, რომელიც შედგება მარტივი ფუძისა (ძირისა) და მნიშვნელობის მცველი აფიქსებისაგან **(ცხენ-ოსან-, ყვავილ-ოვან-, სვანეთ-...)**.

ამას უნდა დავუმატოთ მესამე ტიპიც: ესაა **რთული ფუძე**: მასში ერთზე მეტი (ორი, სამი...) ფუძე შედის: **სახლ-კარ-ი, ცოლ-შვილ-ი, და-ძმა, ქართლ-კახეთ-ი, თავ-ქუდ-მოგლეჯილ-ი**... რთულ ფუძეში შემავალი ფუძეები შეიძლება მარტივი იყოს **(და-ძმა)**, ანდა — ნაწარმოები (**დედულ-მამულ-ი**) ანდა ზოგი — ნაწარმოები და ზოგიც — მარტივი **(ფშავ-ხევსურეთ-ი, თავ-ქუდ-მოგლეჯილი)**.

სქემა:

ცხენს
- 1. **ცხენ-** — საგნობრივი (ანუ ნივთიერი) მნიშვნელობის მატარებელი ნაწილი ანუ ფუძე. ეს ფუძე მარტივია — მისი დაშლა არ შეიძლება; ფუძე უდრის ძირს.
- 2. **— -ს** დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსი (ფლექსია—ბრუნვის ნიშანი); იგი ფუძის გარეშეა, ფუძეს დაერთვის.

[6] ფუძეში შედის ის, რაც თავისი ბუნებით ფუძეს უპირისპირდება: ეს საგულისხმო ფაქტია სიტყვის აგებულების თვალსაზრისით.

[7] ის, რაც ამჟამად ფუძედ გვევლინება, ისტორიულად შეიძლება ნაწარმოები ყოფილიყო (იხ. ქვემოთ).

ცხენოსანს

1. **ცხენოსან-** — საგნობრივი მნიშვნელობის მატარებელი ნაწილი ანუ ფუძე; ეს ფუძე ნაწარმოებია: მარტივი ფუძისაგან (ც ხ ე ნ-) მნიშვნელობის მცველი (-ო ს ა ნ-) აფიქსის დართვით; აქ სიტყვის ფ უ ძ ე და სიტყვის ძ ი რ ი ერთმანეთს არ ფარავს; ფუძე = ძირს + მნიშვნელობის მცველი აფიქსი.

2. — **-ს** დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსი (ფლექსია—ბრუნვის ნიშანი); იგი ფუძეს დაერთვის.

მარტივი ფუძე (ძირი) და დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსი გამოიყოფა ზემოხსენებულ მაგალითებშიც: კაც-**ი**, სვან-**ი**, მანდილ-**ო**..., ხოლო სიტყვებში: სვანეთ-**ი**, მანდილოსან-**ო**... ფუძე ნაწარმოებია, დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსი ამ — ნაწარმოებ— ფუძეს დაერთვის.

ეგეთე ითქმის ისეთი სიტყვების შესახებ, როგორიცაა: „სტუდენტობა", „საქართველო", ოღონდ აქ დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები არა გვაქვს (არა გვაქვს, როცა ეს სიტყვები სახელობით ბრუნვაშია, სხვა ბრუნვებში ამ მხრივ განსხვავება უკვე აღარ იქნება ამ სიტყვებსა და სხვა ზემოთ მოყვანილ სიტყვებს შორის: სვანეთ-ს, მანდილოსან-ს... სტუდენტობა-ს, საქართველო-ს...).

ზემოთქმულს ორი რამ უნდა დავუმატოთ:

1. ფუძე ჩვენ განვსაზღვრეთ როგორც სიტყვის ისეთი ნაწილი, რომელიც საგნობრივი მნიშვნელობის მატარებელია, როგორც ისეთი ნაწილი, რომელიც მიუთითებს გარკვეულ ობიექტურ მონაცემზე.

სიტყვაში ც ხ ე ნ ო ს ა ნ ი ფუძედ შეიძლება ც ხ ე ნ ი ც გამოყონ: ესეც ხომ მიუთითებს გარკვეულ ობიექტურ მონაცემზე, მაშასადამე, „ც ხ ე ნ-" არის ფუძეო. ც ხ ე ნ-, რა თქმა უნდა, ფუძეა, მაგრამ ეს არის ფუძე არა სიტყვისა „ც ხ ე ნ ო ს ა ნ ი", არამედ სიტყვისა — „ც ხ ე ნ ი".

ამიტომ, როცა ფუძეს გამოვყოფთ, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, **რა სიტყვის** ფუძე გვაქვს გამოსაყოფი: **„ცხენოსანი"**-ს ფუძე იქ-

ნება ის ნაწილი, რომელიც „ცხენიან კაცზე" მიუთითებს (და არა ყოველი ნაწილი, რომელიც რაიმე ობიექტურ მონაცემზე მიუთითებს).

2. ფუძისეული და არაფუძისეული ნაწილი ჩვენ გამოვყავით სიტყვის მნიშვნელობის ანალიზზე დაყრდნობით; აფიქსების დახასიათება-კვალიფიკაციაც მოვახდინეთ იმ **დანიშნულების** მიხედვით, რომელიც მათ აქვთ, იმ როლის მიხედვით, რომელსაც ისინი ასრულებენ. ამგვარად, ყველგან ამოსავალი იყო **ფუნქცია** იმ ენობრივი მონაცემისა, რომელსაც ჩვენ ვაანალიზებთ; ეს სრულიად ბუნებრივია და შინაგანად აუცილებელი: ენა პირობითი ნიშნებისაგან შედგება. ნიშნის შესწავლა კი გულისხმობს იმის გათვალისწინებას, რის ნიშანიცაა ესა თუ ის ენობრივი მონაცემი, სხვანაირად რომ ვთქვათ, რა ფუნქციაც აქვს ამ მონაცემს, როგორც ნიშანს.

§ 84. საგნის დახასიათება სიტყვის შუაგეშ. სიტყვაში ფუძეა საგნობრივი მნიშვნელობის მატარებელი. ამასთან ერთი ახალი მომენტიცაა დაკავშირებული.

ავიღოთ სიტყვა **„თორმეტი"**. ამ სიტყვის რეალური, რიცხვითი, მნიშვნელობა დავას არ გამოიწვევს მათ შორის, ვისაც ქართული გაგეგება: ვიტყვით ამ ბგერებს და ყველამ ვიცით, რა რიცხვსაც, რა ოდენობასაც ეხება საქმე.

მაგრამ რა არის „თორმეტი"? რატომ ეწოდება ქართულად ამ რიცხვს სწორედ ეს სახელი? ამჟამად ამის თქმა არცთუ ადვილია, მაგრამ საკმარისია მოვიგონოთ, რომ ძვ. ქართულში „თორმეტი" კი არა გვაქვს, არამედ „ათორმეტი", რომ ნათელი გახდება, რის თქმაც უნდოდათ, როდესაც ამ რიცხვს (12-ს) „ათორმეტს" უწოდებდნენ:

„ათორმეტი"=ათ-ორ-მეტ, ე. ი. ათზე ორით მეტი: 12 არის რიცხვი, რომელიც უდრის 10+2... ამ რიცხვის სახელი განმარტოებით როდი დგას. მსგავსადვეა აგებული: თერთმეტი (ძვ. ქართ.: ათ-ერთ-მეტი), ცამეტი (ძვ. ქართ.: ათ-სამ-მეტი), თოთხმეტი (ძვ. ქართ.: ათ-ოთხ-მეტი), თხუთმეტი (ძვ. ქართ.: ათ-ხუთ-მეტი), თექვსმეტი (ძვ. ქართ.: ათ-ექვს-მეტი), ჩვიდმეტი (ძვ. ქართ.: ათ-შვიდ-მეტი), თვრამეტი (ძვ. ქართ.: ათ-რვა-მეტი), ცხრამეტი (ძვ. ქართ.: ათ-ცხრა-მეტი).

ყველგან ახალი რიცხვი შედარებულია ათს, და სახელწოდება მიუთითებს, რამდენითაა ის მეტი ათზე. რიცხვის სახელწოდება „უბრალო" სახელი კი არ არის, არამედ აღწერა-დახასიათება ახალი ოდენობისა: ათთან შედარება საშუალებაა ახალი რიცხვის დასახასიათებლად.

თავდაპირველად, ცხადია, „ათორმეტ"-ში ნათლად იგრძნობოდა სამი ფუძე (**ათ-, ორ-, მეტ-**), რომელთაგანაც ახალი რიცხვის (12) სახელი შედგა.

დროთა ვითარებაში ეს სამი ფუძე გაერთმთლიანდა. მასში შემავალი ფუძეები (ათი, ორი, მეტი) ცალკეულ შემადგენელ ერთეულებად უკვე აღარ იგრძნობა, „ათორმეტი" უ შ უ ა ლ ო დ, მ ა რ ტ ი ვ ა დ მიუთითებს სათანადო რიცხვზე ისევე, როგორც ამჟამად სიტყვები „ქაცი", „ქვა", „წყალი", „ორი", „სამი", „ათი"... მიუთითებენ სათანადო საგნებზე.

ცოცხალი ხატოვანი გამოთქმა — „ათზე ორით მეტი" — უ ტ ყ ვ ე რ თ ი ა ნ სიტყვად იქცა. სანამ მასში „ათი" იგრძნობოდა, თავკიდური „ა" (სიტყვაში „ათი") ვერ დაიკარგებოდა. „ათი" უ-ა-ნოდ ათი აღარ არის! მას შემდეგ კი, რაც „ათი", „ორი", „მეტი" სიტყვების არსებობა „ათორმეტ"-ში აღარ იგრძნობოდა, თავკიდურ „ა"-ს მოვარდნაც შესაძლებელი აღმოჩნდა. ამის შემდეგ ზოგან (ათსამმეტი, ათხუთმეტი, ათშვიდმეტი, ათცხრამეტი) სხვა ცვლილებებსაც გზა გაეხსნა (ამის შესახებ იხ. აქვე ქვემოთ).

აუცილებელი იყო თუ არა 12 წარმოედგინათ როგორც 10+2? რა თქმა უნდა, არა (12=10+2 ანდა 6x2 ანდა: 20—8 ანდა: 24:2 და მრავალი სხვ.): **ერთსა და იმავე შედეგს სხვადასხვაგვარად მივიღებთ.** შესაძლებლობა მრავალგვარია; მათგან ქართულმა (და არა მხოლოდ ქართულმა, არამედ მრავალმა სხვა ენამაც), პირველი გზა აირჩია; ეს სრულიად ბუნებრივია, თუ მოვიგონებთ, რომ ადამიანის ახლად ფეხადგმული აზროვნება ტაატით მიდიოდა წინ და რჩეობდა უმარტივეს გზას, გზას მ ი მ ა ტ ე ბ ი ს ა (და არა გამოკლებისა ან გამრავლებისა და მით უფრო გაყოფისა)...[8]

რუსული „დვენადცატ" იმავე საფუძველზეა აგებული, როგორც ქართული „თორმეტი" (არას ვამბობთ მეგრ. ვითოჟირ-ის შესახებ: ვითოჟირი=„ვით-დო-ჟირ"=ათი და ორი, სვან. დეშდღორი=ათ-ორი...), მაგრამ სხვაგვარ მდგომარეობას წავაწყდებით 60-ის რუსული და ქართული სახელწოდება რომ შევადაროთ ერთმანეთს: „შესტდესიატ" ნიშნავს: 6x10, „სამოცი": 3x20; **შედეგი ერთი და იგივეა, პროცესი — სხვადასხვა.** შდრ. აგრეთვე: პ ჯატდესჯატ (5x10) და ორმოცდაათი (2x20+10), „ტრიდცატ" (3x10 „ტრიდესჯატ") და „ოცდაათი" (20+10):

[8] რიცხვთა სახელწოდება სხვადასხვა ენაში გვიჩვენებს, რომ 20-ის ფარგლებში წინსვლა თვლაში ყველგან ამ გზით არ მიიმართებოდა.

რუსულში თვლა ათობითია; ქართულში — ოცობითი.

ის, რაც რიცხვის შესახებ ვთქვით, შეიძლება განვაზოგადოთ. ერთი და იგივე ობიექტური მონაცემი შეიძლება სხვადასხვაგვარად იქნეს დახასიათებული: საგნის, მოვლენის სხვადასხვა მხარე, სხვადასხვა მომენტი, სხვადასხვა ცოცხალი სახე შეიძლება დაედოს საფუძვლად ახალი სიტყვის წარმოქმნას, საგნის სახელდებას. ეს ქმნის სახელდების საფუძველს. ეს **საფუძველი** ცხადყოფს, **რა ჰქონდათ მხედველობაში, როცა ამა თუ იმ ობიექტურ მონაცემს ამა თუ იმ სახელს არქმევდნენ. სახელდების მომენტში ეს საფუძველი აუცილებელია, შემდეგ კი იგი უკვე აღარ არის საჭირო:** დამხმარე საშუალება, სახელდების საფუძველი, დროთა ვითარებაში იკარგება, **ცოცხალი სიტყვა უტყვ პირობით ნიშნად იქცევა.**

ორიოდე მაგალითი ამის საილუსტრაციოდ.

ყველამ ვიცით, რასაც ნიშნავს „რვეული", მაგრამ ყველამ არ იცის ალბათ, რომ ეს სიტყვა ნაწარმოებია ისევე, როგორც „ათეული" („ათეული კვერცხი")... „სამეული" („წყალდიდობასთან საბრძოლველად აირჩიეს სამეული"): „ათეული" ათი ერთეულისაგანაა შემდგარი, „სამეული" სამი პირისაგან შემდგარ კომისიას გულისხმობს... „რვეული" რვა ფურცლისაგან შემდგარ კონას ნიშნავდა თავის დროზე. ამჟამად რვეული თორმეტფურცლიანია ჩვეულებრივად. საერთო რვეულში ორმოცდაათი და მეტი ფურცელიც გვაქვს. ამისდა მიუხედავად, მათ „რვეულს" (ე. ი. რვა ფურცლის შემცველს) ვეძახით, და ეს არავის გვეჩოთირება.

რატომ? იმიტომ, რომ „რვეული" ამჟამად უტყვი სახელია, „რვას" ის არ უკავშირდება ჩვენს სამეტყველო აზროვნებაში. თავის დროზე კი სათანადო სახელს „რვეული" რომ დაერქვა, სიტყვაში მოცემული იყო საგნის რიცხვითი დახასიათება, სიტყვაში ცოცხლობდა „რვა"- რიცხვის სახე...[9] ეს სახე გაქრა; რვეული „რვიანს" უკვე აღარ ნიშნავს, ის პირობითი ნიშანია საწერი ქაღალდის გარკვეული კონისა, რომელიც შეიძლება შეიცავდეს რვა ფურცელსაც და გაცილებით მეტსაც (შეიძლება — ნაკლებსაც).

[9] ძვ. ქართულში „რვეული" მართლაც რვაფურცლიან კონას ნიშნავდა. ხელნაწერების გვერდებზე აღნიშნავდნენ რვეულთა რიცხვს, ე. ი. სათვალავი ჰქონდა ყოველ მერვე ფურცელს.

ასევე: „სნეული" მიღებულია „სენ-ეულ"-ისაგან და ნიშნავს „სენიანს", სენით შეპყრობილს.

„ზურგიელი" გარკვეული თევზის ზ უ რ გ ი ს ანაჭერია, „ხრამუ-ლა" — მდინარე ხ რ ა მ შ ი (ქციაში) გავრცელებული თევზია. თევზის სახელი ერთ შემთხვევაში მიგვითითებს, რა ნაჭერიცაა ის, მეორე შემთხვევაში, რა მდინარის თევზია. უბრალო დაკვირვებაა საჭირო, რომ ეს გასაგები გახდეს.

არცთუ ისეთი სიტყვის „გაცოცხლებაა" ძნელი, როგორიც არის „გააფთრებული", „გაფითრებული", „გაჭიანურებული"... „გააფთრებული" — აფთრად ქცეულს ნიშნავს (შეადარე: „გამხეცებული", „გამგელებული"). ამჟამად აფთრის წარმოდგენა აქ დაჩრდილული ჩანს (თუ მთლად არ არის დაკარგული). შეცდომით ხშირად წერენ „გააფრთებულიო"; ეს არ მოხდებოდა, რომ „აფთარი" აგონდებოდეს ამ სიტყვის მთქმელსა და დამწერს.

„გაფითრებული" — ფითრის ფერისად ქცეულს ნიშნავს, ამჟამად, საერთოდ, ფერდაკარგულზე ითქმის... „გაჭიანურება" ხომ ჭიანურის ხმასავით გრძლად, გაბმულად, გაუთავებლად რისამე კეთებას ნიშნავს. მაგრამ ვინ ფიქრობს ახლა „ჭიანურზე", როცა „საქმის გაჭიანურებაზე" ჩივის?! ბგერათა კომპლექსი უ შ უ ა ლ ო დ აღნიშნავს სათანადო მოვლენას, და ჭიანურის ც ო ც ხ ა ლ ი ს ა ხ ე შუამავლად საჭირო აღარ არის.

ყველა ამ შემთხვევაში დაჩრდილული ც ო ც ხ ა ლ ი ს ა ხ ი ს აღდგენა ადვილი საქმეა. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით თუნდაც ისეთი სიტყვის შესახებ, როგორიცაა „მხცოვანი" („მხცოვანი მოღვაწე"...). ამჟამად ამ სიტყვით პატივისცემის გ რ ძ ნ ო ბ ა ს უფრო გამოხატავენ, ვიდრე გარკვეულ შ ი ნ ა ა რ ს ს. მხცოვანი უდრის ახლა „ღვაწლმოსილს", „დამსახურებულს". არავითარი ცოცხალი სახე აქ არა ჩანს. იყო კი ასეთი რამ აქაც: მხცე[10] (მჯცე) ძვ. ქართულში „ჭაღარა"-ს ნიშნავდა, „მხცოვანი" (მჯცოვანი) ისევე იყო ნაწარმოები, როგორც „ყვავილოვანი" და ნიშნავდა „ჭაღაროვანს" (თუ შეიძლება ასე ითქვას).

„მხცოვანი"-ს ვითარება ქართული ენის ისტორიის მოშველიებით ირკვევა. მრავალ შემთხვევაში ეს არ კმარა. სიტყვაში ჩამარხული ც ო ც ხ ა ლ ი ს ა ხ ი ს ძ ი ე ბ ა მოითხოვს შედარებას მონათესავე

[10] აქედან ჩანს, რომ „მცხოვანი" კი არ უნდა იყოს, როგორც ხშირად წერენ, არამედ „მხცოვანი". გარდა ამისა, „მხცოვანი" ხანში შესულის ეპითეტად თუ გამოდგება, თორემ ახალგაზრდისათვის — არა, რაგინდ დამსახურებულიც იყოს იგი.

ენის (თუ ენების) მასალასთან სპეციალური საენათმეცნიერო მეთოდიკის შესაბამისად.

ცოცხალი სახე, რომელიც ფუძეში იყო ჩაქსოვილი, საგნის დახასიათებას წარმოგვიდგენს — სახელდების მომენტში — და სახელდების საფუძველს ქმნის. სახელდების ეს საფუძველი **ეტიმოლოგიის** შესწავლის საგანია (ბერძ. etymon „ჭეშმარიტი“, „ნამდვილი“ და ბერძ. logos „სიტყვა“, „მოძღვრება“. „ეტიმოლოგია“ — მოძღვრება ჭეშმარიტი, თავდაპირველი, მნიშვნელობის შესახებ. შდრ. ეტიმოლოგია, როგორც ფილოლოგიური გრამატიკის დარგი § 27).

მნიშვნელობის რაობასა და მნიშვნელობის ცვლას შეისწავლის **სემანტიკა** ანუ **სემასიოლოგია** (ბერძ. sēma „ნიშანი“, ბერძ. sēmasia „აღნიშვნა“ და logos „სიტყვა“, „მოძღვრება“, ბერძ. sēmantikos „აღმნიშვნელი“).

ამრიგად, სიტყვის მნიშვნელობისა და შემადგენლობის შესახებ თქმულს რომ თავი მოვუყაროთ, მივიღებთ შემდეგს: სიტყვა **მნიშვნელობის** მატარებელი უმცირესი ერთეულია ენაში. სიტყვის მნიშვნელობა სიტყვის ძირითად ნაწილთან, **ფუძესთან,** არის დაკავშირებული.

ფუძე შეიძლება იყოს **მარტივი, ნაწარმოები** და **რთული.** ფუძეს — დანიშნულების მიხედვით — უპირისპირდება **აფიქსი** (ანუ **ხართი**). ფუძის გარეთ რჩება, **ფუძეში არ შედის,** დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსი (ფლექსია). **ფუძეში შედის** მნიშვნელობის მცველი (ანუ ფუძის წარმოსაქმნელი) აფიქსი.

სიტყვის მნიშვნელობის რაობასა და ცვლას **სემანტიკა** (ანუ სემასიოლოგია) სწავლობს. სიტყვის მნიშვნელობას გარკვეული თვალსაზრისით შეისწავლის **ეტიმოლოგიაც, სტილისტიკაც. სემანტიკა, სტილისტიკა, ეტიმოლოგია** ერთმანეთს მჭიდროდ **უკავშირდება** (სემანტიკისა და ეტიმოლოგიის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. ქვემოთ §§ 65—70, 74, 75. სტილისტიკის შესახებ იხ. §§ 112—114).

§ 65. სიტყვის მნიშვნელობა და ცნება. მნიშვნელობა მდგომარეობს მითითებაში (სათანადო საგანზე, მოვლენაზე...). სიტყვის მნიშვნელობა ვიცით, თუ ვიცით, რაზედაც მიუთითებს სიტყვა, რასაც გულისხმობს იგი. სიტყვის მნიშვნელობა არ ვიცით, თუ არ ვიცით, რაზე მიუთითებს იგი, რა იგულისხმება მასში.

„მცენარე“, „ხე“, „ცაცხვი“, „მუხა“ — ყოველი ამ სიტყვათაგანი ობიექტურ სინამდვილეში გარკვეულ საგნებზე მიუთითებს: „მუხა“ სხვა

ხეს გვანიშნებს და „ცაცხვი“ სხვას. ეს ცხადია ყველასათვის, ვინც კი ამ ხეებს იცნობს და განასხვავებს.

რა „მუხა“ იგულისხმება ამ სიტყვაში: ბებერი თუ ახალნერგი, ტოტებგაშლილი თუ ტოტებგაცვენილი, უსწორმასწორო ღეროს პატრონი თუ ტანაყრილი, „ქართული მუხა“ (Quercus iberica) თუ სხვა რომელიმე სახეობა მუხისა?

ყველა და თან — არც ერთი. **ყველა** — რადგანაც გარკვეული ბოტანიკური ნიშან-თვისების მქონე მცენარე (რკოს რომ ისხამს, ასეთი და ასეთი ფოთოლი, მერქანი რომ აქვს...) მუხად ითქმის. **არც ერთი** — იმიტომ, რომ „მუხა“ სახელი არ განეკუთვნება ერთ რომელიმე ერთეულს: არც იმ კონკრეტულ მუხას, რომელიც სკოლის ეზოში დგას, და არც იმ მუხას, ბაჩანამ რომ ლექსი უძღვნა.

სიტყვის შემეცნებითი ძალა ისაა, რომ მასში განზოგადებულია სხვადასხვა ინდივიდუალური ერთეულის თვისებები.

ამიტომაც ხდება, რომ თვით ისეთი საგნის სახელი, რომელიც ერთადერთია („მზე“, „მთვარე“...) შეიძლება მრავლობითში იხმარონ, როცა „მზისა“ თუ „მთვარის“ თვისებათა მატარებელ საგნებზე მოუწევს ლაპარაკი ასტრონომს („მზეები სამყაროს უსაზღვრო სივრცეებში მიმოიქცევიან“).

ამავე საფუძველზე შეიძლება ადამიანის საკუთარი სახელი (ანდა გვარი) მრავლობითში ვიხმაროთ: „არსენა ჯორჯიაშვილები ქართველ ხალხს მრავალი გაუზრდია“... „არსენა ჯორჯიაშვილი“ ერთი იყო; „არსენა ჯორჯიაშვილები“ კი აქ მრავლობითშია: იგულისხმება არსენა ჯორჯიაშვილის თვისებათა მქონე ყველა ქართველი“. ამ თვისებათა განზოგადებას სიტყვა შეგვაძლებინებს.

საგნის არსებით ნიშან-თვისებას **ცნება** წარმოგვიდგენს. ცნებაში ეს ნიშან-თვისებები განზოგადების შედეგადაა მიღებული. ბუნებრივია, თუ სიტყვას ცნების სახელად გამოიყენებენ. ცნების სახელს **ტერმინი** ეწოდება. „სამკუთხედი“ გეომეტრიის ცნებაა: ესაა ფიგურა, რომელსაც სამი კუთხე აქვს. სიტყვა „სამკუთხედი“ ქართული ტერმინია, ამ ცნების აღსანიშნავად გამოყენებული. „სამკუთხედი“ "треугольник", "Dreieck" სამი განსხვავებული ტერმინია, სამ სხვადასხვა ენაზე (ქართულზე, რუსულზე, გერმანულზე), ცნება კი — სამსავე შემთხვევაში ერთია.

ასევე: „მცენარე“, „ხე“, „მუხა“, „ცაცხვი“, ქართული ტერმინებია ბოტანიკის ცნებებისათვის ისევე, როგორც "растение", "дерево", "дуб", "липа" იმავე ცნებათა აღმნიშვნელი რუსული ტერმინებია, planta, arbor,

Quercus, Tilia — ლათინური და ა. შ.

რაკი სიტყვა განაზოგადებს, ზოგადი არსებითი ნიშან-თვისებები კი ცნებას ქმნიან, შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, თითქოს ჩვენი სიტყვები მეცნიერულად ზუსტ ცნებებს აღნიშნავენ ყოველთვის. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის.

სიტყვა ყოველთვის განაზოგადებს, მაგრამ ერთია მეცნიერული განზოგადება, ე. ი. მეცნიერული ანალიზის შედეგად გამოყოფილ ნიშან-თვისებათა განზოგადება, და მეორე, ყოველდღიური დაკვირვების შედეგად მოპოვებული ცოდნა საგნის ბუნება-თვისების შესახებ. სიტყვა, პირველ ყოვლისა, ყოველდღიურ გაგებას ასახავს. ამიტომ მასში ისეთი გაგებაც აღმოჩნდება, რასაც მეცნიერულ გაგებასთან საერთო არაფერი აქვს. „ვარსკვლავი" ჰქვია იმასაც, რაც ასტრონომიის გაგებით „ვარსკვლავია" და „ცთომილსაც" (მარსი, ვენერა, იუპიტერი, სატურნი, ნეპტუნი), რაც არსებითად განსხვავდება ვარსკვლავისაგან. ვარსკვლავს ეტყვიან მეტეორსაც („ვარსკვლავი მოსწყდა ცასაო!"), კომეტაც „კუდიანი ვარსკვლავია" და ა. შ.

შეიძლება არც იყოს ასეთი დიდი განსხვავება მეცნიერულ ცნებასა და სიტყვის მნიშვნელობას შორის, მაგრამ ეს განსხვავება ხშირად ისეთია, რომ სიტყვა ტერმინად შეუძლებელია მივიჩნიოთ, ვერ ვიტყვით ცნების აღმნიშვნელიაო. „მთა" გეოგრაფიაში ამაღლებული ადგილის შესახებ ითქმის, თუ გარკვეულ სიმაღლეს აღწევს; ამაზე დაბალი „გორაკი" იქნება. ყოველდღიურ სიტყვახმარებაში „მთა" და „გორაკი" ასე ზუსტად როდია გარჩეული. „გორაკის" გარდა გვაქვს „ბორცვი", „სერი", და არც ერთ მნიშვნელობას მეცნიერული ცნების სიზუსტე არ გააჩნია.

„ცარცი" სასაუბრო ენაში თეთრი ნივთიერებაა, რომელსაც დაფაზე საწერად (ან კედლის შესათეთრებლად) იყენებენ. ბუნებისმეტყველისათვის „ცარცი" მინერალია; მის არსებით ნიშან-თვისებას ის კი არა ქმნის, რომ „ცარცი" თეთრია და შავ დაფაზე დასაწერად გამოსადეგია, არამედ ის, რომ მიკროსკოპული ნიჟარებისაგან არის შემდგარი.

ამრიგად, სიტყვის მნიშვნელობა — ყოველდღიურ სიტყვახმარებაში — მეცნიერული ცნების შინაარსს იშვიათად უდრის. სიტყვა — ყოველდღიურ ხმარებაში — განაზოგადებს; ცნებაც — მეცნიერების ამა თუ იმ დარგში — განზოგადებას იძლევა, ოღონდ ამას მეცნიერული ანალიზი უდევს საფუძვლად, ყოველდღიური სიტყვახმარება

კი მას მოკლებულია. სიტყვა რომ ყოველთვის ცნებებს გადმოგვცემდეს, ადამიანთა ყოველდღიური საუბარი მეცნიერული ცნებებისაგან შემდგარი მსჯელობა იქნებოდა.

§ 66. სიტყვის მნიშვნელობა არც წარმოდგენა არის და არც ცნება. სემანტიკის ძირითადი ცნება არის ცნება მნიშვნელობისა. **რა არის მნიშვნელობა?** ეს საკითხი გარკვეულ პასუხს მოითხოვს. ზევით (§§ 64, 65) ნაჩვენები გვაქვს, თუ რა შინაარსი აქვს ამ ცნებას, როცა ენობრივი ფაქტის — სიტყვის — მნიშვნელობაზეა ლაპარაკი. რაც სიტყვის მნიშვნელობის შესახებ ითქვა, სავსებით ვრცელდება წინადადების მნიშვნელობაზე („ენათმეცნიერება ენას შეისწავლის"), შესიტყვების მნიშვნელობაზე („ენათმეცნიერების შესავალი", „ენის არსი", „ენის განვითარება"...).

სიტყვის, შესიტყვების, წინადადების მნიშვნელობა ვიცით, თუ ვიცით, რაზედაც მიუთითებს სათანადო სიტყვა, შესიტყვება, წინადადება, თუ ვიცით, რასაც გულისხმობს ის.

არსებობს მნიშვნელობის სხვაგვარი გაგება, მასთან ფართოდ გავრცელებული. ამ გაგების თანახმად მნიშვნელობა ის წარმოდგენაა ანდა ცნებაა, რომელსაც სიტყვა უკავშირდება.

ამგვარად, ერთი მხრივ გვაქვს სიტყვა (მაგალითად, „ცხენი"), როგორც გარკვეულ ბგერათა კომპლექსი და მეორე მხრივ — შესაბამისი წარმოდგენა ან ცნება (ცხენისა). ეს უკანასკნელი — ე. ი. წარმოდგენა თუ ცნება — იქნება „ცხენ" სიტყვის მნიშვნელობა. მნიშვნელობა შინაგანი მხარეა, სიტყვა — გარეგანიო.

სიტყვის მნიშვნელობას რომ ცნება არ წარმოადგენს, სიტყვა რომ ცნებას არ აღნიშნავს, ეს უკვე ვნახეთ (§ 65). სიტყვის მნიშვნელობად ვერც წარმოდგენას მივიჩნევთ.

სიტყვის მნიშვნელობა რომ წარმოდგენა იყოს:

1. ყველა პირს ერთი და იმავე სიტყვის ხმარებისას ერთი და იგივე „წარმოდგენა" უნდა უჩნდებოდეს;

2. სიტყვის მნიშვნელობის ცვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ ეს წარმოდგენა (ცნება) შეიცვლებოდა მეორე წარმოდგენად (ცნებად).

3. გამონათქვამის (შესიტყვების, წინადადების) მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამი.

4. თუ მნიშვნელობად მივიჩნევდით წარმოდგენებს (საგნობრივ წარმოდგენებსა და ცნებებს), სემანტიკა გამოვიდოდა მოძღვრება წარ-

მოდგენათა (თუ ცნებათა) შესახებ. მაშასადამე, ასეთ შემთხვევაში სემანტიკა იქნებოდა ფსიქოლოგიის (თუ ლოგიკის) ნაწილი და არა ენათმეცნიერების დარგი (წარმოდგენები, ცნებები ფსიქოლოგიისა და ლოგიკის შესწავლის საგანია).

აზროვნების ფსიქოლოგიიდან ცნობილია, რომ სიტყვის გაგებისას სრულებით არ არის აუცილებელი სხვადასხვა პირს ერთი და იგივე წარმოდგენა (თუ სხვა სახის რამ განცდა) ჰქონდეს; ექსპერიმენტულად დადასტურებულია, რომ ზოგჯერ სიტყვის მოსმენისას საერთოდ არავითარი საგნობრივი წარმოდგენა არ მოიპოვება, და სიტყვა მაინც გასაგებია.

ვთქვათ, ქართულის მცოდნე პირებს გავაგონეთ სიტყვა „ცაცხვი"; სიტყვა მათთვის გასაგებია. ვეკითხებით: რა წარმოუდგა მათ, როცა ეს სიტყვა გაიგონეს და გაიგეს, რასაც ის აღნიშნავს.შეიძლება, ერთს თვალწინ დაუდგეს ის ცაცხვი, რომელიც მის სახლთან დგას, მეორეს — მცენარის მხოლოდ კონტურებმა გაუელვოს; მესამეს შეიძლება არავითარი საგნობრივი წარმოდგენა არ აღმოაჩნდეს: სიტყვა „ცაცხვი"-და წარმოუდგეს დაბეჭდილი ან დაწერილი...

სავსებით ერთი და იგივე წარმოდგენები ამგვარ შემთხვევაში იშვიათი გამონაკლისის სახით თუ შეგვხვდება; ჩვეულებრივად კი სიტყვასთან დაკავშირებული წარმოდგენები თუ სხვა სახეები ნაირ-ნაირია სხვადასხვა პირთან; აქ მნიშვნელობა აქვს იმას, თუ მეხსიერების რა ტიპს ეკუთვნის ესა თუ ის პირი (რეპრეზენტაციის თვალსაზრისით), როგორია მისი ინდივიდუალური გამოცდილება და სხვ.; ერთი და იმავე სიტყვის შესაბამისად ერთსა და იმავე პირს სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარი წარმოდგენები შეიძლება აღმოაჩნდეს.

სიტყვის მნიშვნელობას რომ ეს წარმოდგენები ქმნიდეს, სიტყვის მნიშვნელობა უაღრესად დაუდეგარი მოვლენა იქნებოდა, და რაც მთავარია, ერთმანეთის გაგება სრულიად შეუძლებელი გახდებოდა. ენა გაუგებარობის წყარო იქნებოდა და არა ურთიერთობისა და გაგებინების საშუალება[11].

ცნობილია, რომ სიტყვის მნიშვნელობა იცვლება: „მეცნიერი" აღნიშნავდა „ნაცნობს", ახლა აღნიშნავს „სწავლულს", „მკვლევარს"; „საყდარი" აღნიშნავდა „ტახტს" (შეფეთა და მღვდელმთავართა), ახლა აღნიშნავს „სამღვდელმსახურო შენობას" (ქრისტიანთა); „ცხედარი აღნიშ-

[11] ერთმანეთის გაგება ზოგჯერ ბრკოლდება, მაგრამ ამას სხვა მიზეზი აქვს.

ნავდა „საწოლს (ტახტს)", ახლა „მიცვალებულის გვამს" ნიშნავს...

თუ სიტყვის მნიშვნელობა სიტყვასთან დაკავშირებული წარმოდგენაა, სიტყვის მნიშვნელობის ცვლა ამ წარმოდგენის შეცვლას უნდა მოასწავებდეს; გამოვა, რომ სიტყვის მნიშვნელობა რაკი შეიცვალა, „ნაცნობის" წარმოდგენა შეცვლილა „სწავლულის" წარმოდგენად, „ტახტის" წარმოდგენა „შენობის" წარმოდგენად გარდაქმნილა, „საწოლის წარმოდგენა" — „მიცვალებულის" წარმოდგენად და ა. შ.

ცხადია, რომ ეს ასე არ არის. მნიშვნელობის ცვლისას ერთი წარმოდგენა მეორე წარმოდგენად არ გადაქცეულა: ტახტის წარმოდგენაც გვქონდა და შენობისაც, საწოლისაც და მიცვალებულისაც. ეს წარმოდგენები გვქონდა და დაგვრჩა; ამ მხრივ ცვლილებას ადგილი არა ჰქონია. იცვალა სხვა რამ, სახელდობრ, **მიმართება,** რომელიც სიტყვასა და ამ წარმოდგენებს (ზუსტად რომ ვთქვათ, ამ წარმოდგენებთან დაკავშირებულ ობიექტურ მონაცემებს) შორის არსებობდა: **თუ წინათ „ცხედარი" მიუთითებდა საწოლზე, ახლა მიუთითებს — მიცვალებულზე. შეიცვალა აი ეს მითითება** (და **არა წარმოდგენები**). **მნიშვნელობა — აი ეს მითითებაა... ცვლა მას შეეხება.** გრაფიკულად რომ გამოვხატოთ, ასეთ სქემას მივიღებთ:

ცხედარი
↓ ↓
საწოლი მიცვალებული (გვამი).

ძველ ქართულში ეს სიტყვა ერთ ობიექტურ მონაცემზე მიუთითებდა, ახალში — სხვაზე მიუთითებს: სიტყვამ იცვალა მნიშვნელობა, ერთის ნიშანი იყო, სხვა მონაცემის ნიშნად იქცა.

ავიღოთ ორი გამოთქმა: „მთა იალბუზი", „კავკასიონის უმაღლესი მწვერვალი"... მეორეში არც ერთი სიტყვა არ მოიპოვება, რომელთაგანაც პირველი გამოთქმა შედგება. ამ გამოთქმებში შემავალი სიტყვები ცალკე სულ სხვადასხვა მნიშვნელობისანი არიან, სულ სხვადასხვა წარმოდგენებს იწვევენ (თუკი გამოიწვევენ); ორივე გამოთქმა კი ერთი და იმავე მნიშვნელობისაა: კავკასიონის უმაღლესი მწვერვალი იალბუზია.

მაშასადამე: **მნიშვნელობისათვის საყრდენია ობიექტური გითარება. რეალური სინამდვილის ფაქტი** და **არა წარმოდგენები,** რომლებიც შეიძლება გვქონდეს და შეიძლება არც გვქონდეს ანდა სხვადასხვა სახისა ჰქონდეს სხვადასხვა პირს ერთი და იმავე სიტყვის შესა-

ბამისად (ანდა ერთსა და იმავე პირს — სხვადასხვა დროს).

სიტყვის მნიშვნელობა რომ წარმოდგენაში მდგომარეობდეს, გაუგებარი იქნებოდა, როგორ შეიძლება ერთი და იგივე მნიშვნელობა ჰქონდეს ორ გამოთქმას, რომლის შემადგენელი სიტყვები სულ სხვადასხვა წარმოდგენას იწვევს (თუკი წარმოდგენებს გამოიწვევს).

წარმოდგენათა შესწავლა ენათმეცნიერების საგანი რომ ვერ იქნება, ეს თავისთავად ცხადია: წარმოდგენათა შესწავლა ფსიქოლოგიის საქმეა; თუ წარმოდგენათა ნაცვლად ცნებებს ვივარაუდებთ, მათი შესწავლა, პირველ ყოვლისა, ლოგიკის საგანი იქნებოდა (და არა — ენათმეცნიერებისა).

ამგვარად: არაა სწორი გავრცელებული შეხედულება, თითქოს მნიშვნელობა მდგომარეობდეს წარმოდგენაში (ანდა ცნებაში).

გავრცელებული შეხედულების კრიტიკული განხილვა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ:

1. **სიტყვის მნიშვნელობა** მდგომარეობს **მითითებაში** ობიექტური სინამდვილის გარკვეულ **მონაცემზე.**

2. ეს **მონაცემი** (საგანი, თვისება, მოქმედება თუ სხვა რამ მოვლენა ობიექტური სინამდვილისა)[12] არის სიტყვისათვის **საორიენტაციო, სიტყვის მნიშვნელობა მას ეშუარება, მის მიხედვით ეზოშება და განისაზღვრება.**

3. ეს **ობიექტური მონაცემი სხვადასხვაგვარად შეიძლება იყოს განცდილი:** აკუსტიკური თუ ოპტიკური საგნობრივი წარმოდგენის სახით ანდა სათანადო სიტყვის აკუსტიკური, ოპტიკური თუ მოტორული წარმოდგენის სახით... შესაძლოა ამათი კომბინაციაც გვქონდეს: **სიტყვის თანმხლები წარმოდგენები სათანადო ობიექტური მონაცემების განცდის (რეპროდუქციის) საშუალებაა;** მნიშვნელობას ეს წარმოდგენები კი არ გამოხატავენ, არამედ **მითითება ობიექტურ მონაცემზე,** მიმართება ამ ობიექტურ მონაცემთან[13].

---

[12] გრძნობებიც ასეთ ობიექტურ სინამდვილეს განეკუთვნება, რადგანაც ისინი ფსიქიკური რეალობის ფაქტებს წარმოადგენენ.

[13] მიმართების ცნების კიდევ უფრო დაზუსტებისათვის იხ. არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება. II, ძირითადი პრობლემები, მეორე გამოცემა, თბ., 1983: „რა არის მიმართება? ეჭვი არაა, ის ინდივიდშია მოცემული. ეს რომ ასე არ იყოს, აღმნიშვნელისა და აღსანიშნის დაკავშირება ადამიანის გარეშე იწარმოებდა, ე. ი. მატერიალური სინამ-

მხოლოდ ამის საფუძველზეა შესაძლებელი ერთმანეთის გაგება; **სწორად გვესმის** სხვისი ნათქვამი, რამდენადაც **ჩვენც ვგულისხმობთ ობიექტური მონაცემი გვაქვს მხედველობაში,** რაზედაც **მთქმელს მიერ ხმარებული სიტყვები მიუთითებდა** (და სრულებითაც არ არის საჭირო, მთქმელსა და მსმენელს ერთი და იგივე წარმოდგენები აღეძრას თქმულთან დაკავშირებით).

გაგებინება სრული არ არის, მეტ-ნაკლებ გაუგებრობას აქვს ადგილი იმდენად, რამდენადაც ერთმანეთს არ ხვდება ის, რაზედაც მთქმელის სიტყვები მიუთითებენ, და ის, რაც მსმენელის მიერ იქნა ნავარაუდევი.

როცა ნათქვამი კონკრეტულ სინამდვილეს ეხება, გაგებინება უფრო ადვილიცაა და სრულიც: მთქმელიცა და მსმენელიც ერთსა და იმავე ობიექტურ მონაცემს გულვობს. როცა საუბრის საგანი განყენებული კატეგორიაა, შესაბამისი ობიექტური ვითარების ზუსტად ერთგვარი გათვალისწინება გაცილებით უ ფ რ ო ძ ნ ე ლ ი ა, გაუგებრობაც უ ფ რ ო ა დ ვ ი ლ ა დ და ხ შ ი რ ა დ წ ა რ მ ო ი შ ო ბ ა ხოლმე.

§ 67. რეალური კონტექსტი და სიტყვის მნიშვნელობა. მნიშვნელობისათვის რომ ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ი ს მ ო ნ ა ც ე მ ი ა საყრდენი, ამას დემონსტრაციულად ცხადყოფს ისეთი შემთხვევები, სადაც რეალური კონტექსტი და სათანადო სიტყვიერი გამოთქმა ერთმანეთს არ შეეფერება. ასე, მაგალითად, ყველასათვის ცნობილია, რომ ქართული სიტყვა „მობრძანდით!“, „დაბრძანდით!“ ამქამად პატივისცემას გულისხმობს, მაგრამ, წინადადებაში: „აქ მობრძანდი და სეირს გიჩვენებო!“ ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ ეს თავაზიანი სიტყვა („მობრძანდი“) პატივისცემას არ გამოხატავს... აგრეთვე ყველას მოხსენდება, რომ თვით საალერსო სიტყვებიც კი („გეთაყვა!“, „გენაცვალე!“) ყოველთვის არ გამოხატავს სათუთ გრძნობებს (შდრ. „რამოდენა გაზრდილხარ, გენაცვალე!“ — დიდედა მიმართავს შვილიშვილს... და — არაფრის მთქმელი: „გამარჯობა, გენაცვალე!“). რეალური ვითარება, ამ

დვილის, გარესამყაროს ფაქტი აღმოჩნდებოდა... მიმართება აქტია და, როგორც აქტი, პროცესობრივ ერთგვაროვნებას არ გულისხმობს და ამდენად არ შეიძლება იყოს ფსიქოლოგიის ცნება... ენათმეცნიერისათვის სრულებით საკმარისია, თუ მან იცის ნიშნის ფუნქცია — ე. ი. რისი ნიშანია ესა თუ ის ნიშანი, რასთანაა ის, როგორც ნიშანი, მიმართებაში“ (გვ. 193, 195, 197); აგრეთვე, **მახეიდე** „მნიშვნელობა როგორც ინტენსია აღსანიშნისადმი“. — საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XLIII სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1985 (რედ).

შემთხვევაში დამოკიდებულება იმისა, ვინც ამას ამბობს, იმ პირისადმი, ვისაც ამ სიტყვებით მიმართავენ, — არის ერთადერთი მიზეზი განსხვავებისა ამ საალერსო სიტყვის მნიშვნელობაში.

ამავე მოვლენას ააშკარავებს ანდაზური თქმა: „მე ქორწილში წავჩანჩალდები, შენ წისქვილში წაბრძანდიო!". ამის მთქმელის თვალსაზრისით წისქვილში მიმავალია, რომ მიჩანჩალებს, „წაბრძანდება" კი ქორწილში მიმავალს შეეფერება; შეუფერებელი სიტყვების ხმარება საქმის ვითარებას სრულებით არ ცვლის, პირიქით, დემონსტრაციულად გახაზავს იმას, რაც სინამდვილეში ხდება. „ჩანჩალის" წარმოდგენამ ვერ აქცია ქორწილში წასვლა სამძიმო საქმედ, ვერც „წაბრძანების" წარმოდგენამ გახადა წისქვილში წასვლა სასიამოვნოდ ან საპატიოდ იმ პირისათვის, ვისაც ამას სთავაზობდნენ: წარმოდგენა ვერ ქმნის სიტყვის მნიშვნელობას.

ისეთი სიტყვების ხმარება, რომლებიც საგნისათვის შეუფერებელია, სრულიად საწინააღმდეგო შედეგს იძლევა, და ამიტომაც ამ საშუალებას მიმართავენ ხოლმე გარკვეული ეფექტის მისაღებად, რომელიც ირონიისა და სარკაზმისათვის არის დამახასიათებელი.

„**კარგი** რამ იყო თავად თათქარიძის სახლ-კარი!..." ამ წინადადებაზე თუ შევჩერდებით, გვეგონება, რომ ლუარსაბ თათქარიძის სახლ-კარი მართლაც მოსაწონი რამ ყოფილა; მაგრამ როცა ავტორი ამ სახლ-კარს აგვიწერს, ნათელი ხდება, რასაც ნიშნავდა ეს „კარგი"; ამ სიტყვის ხმარებას მიზნად აქვს უფრო მკვეთრად გვაგრძნობინოს კონტრასტი, რომელიც ხმარებული სიტყვით გამოწვეულ წარმოდგენასა და იმ სურათს შორის არსებობს, რომელსაც ლუარსაბის „ციხე-დარბაზი" წარმოადგენდა...

„ჩვენისთანა **ბედნიერი** განა არის სადმე ერი?!" — კითხულობს ი. ჭავჭავაძე ლექსში „ბედნიერი ერი". იმის ეპიკური ჩამოთვლა, რა თვისებებიც მამა-პაპებს მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე გამოუჩენიათ, გვაჩვენებს, რომ „ბედნიერი" აქ „უბედურს" ნიშნავს: სიტყვის მნიშვნელობა ობიექტური ვითარებით იზომება და არა წარმოდგენით, რომელსაც სიტყვა იწვევს.

„**შოკვდე** ამდენი სიარულით!" ლაპარაკობს დაქანცული ადამიანი. რომ მომკვდარიყო, ცხადია, ამას ვეღარ იტყოდა.

„ეს უმაგალითოა!" „საშინელებაა!" „წარმოუდგენელია!" — ხშირად იტყვიან ხოლმე ძალიან ჩვეულებრივის, ადვილად წარმოსადგენისა და ყოველდღიური მოვლენის შესახებ (მეტადრე ქალები). მიზანი მარ-

ტივია: მეტი ეფექტის მოხდენა. შედეგი — საწინააღმდეგო: ობიექტური ვითარება არ ამართლებს მოლოდინს: სათანადო მოვლენა ტოვებს მით უფრო ნაკლებ შთაბეჭდილებას, რაც უფრო მეტი იყო მოლოდინი. **თუ სიტყვებს ასე შეუფერებლად, უადგილოდ, ხშირად ხმარობენ, სიტყვა ხუნდება:** „საშინელი" უკვე აღარ არის „საშინელი" და „წარმოუდგენელი" ძალიან ჩვეულებრივის აღმნიშვნელი ხდება.

რეალური კონტექსტი, ობიექტური ვითარება წყვეტს ყოველთვის სიტყვის მნიშვნელობის საკითხს. ეს დებულება ძლევა გასაღებს ისეთი მოვლენებისა, როგორიცაა ირონია, სარკაზმი, ელიფსი, სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება თუ დავიწროება და სხვ. დაწვრილებით ამაზე აქ ვერ შევჩერდებით; აღვნიშნავთ მხოლოდ ორიოდე ფაქტს.

„უნივერსიტეტში მივდივარ!" — ვუპასუხებთ კითხვაზე: „სად მიდიხარ?"

რომელ უნივერსიტეტში, — რეალური კონტექსტიდანაა ცხადი. აზრად არავის მოუვა თბილისში ამხანაგის შეკითხვაზე უპასუხოს: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მივდივარო!" ასევე, როცა თბილისელი მასწავლებელი კოლეგას ეუბნება „სამინისტროში ვიყავიო", აქ განათლების სამინისტროა, პირველ ყოვლისა, რეალური კონტექსტით ნავარაუდევი.

რეალური კონტექსტის შესაბამისად ერთსა და იმავე სიტყვას სხვადასხვა გამოთქმაში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს: 1. „ზაფხული ბორჯომში გავატარე": „ბორჯომი" აქ კურორტის სახელწოდებაა. 2. „დამალევინე ბორჯომი!" — „ბორჯომი" აქ ბორჯომის სამკურნალო წყალს აღნიშნავს; იშვიათად თუ ვინმე იტყვის „დამალევინე ბორჯომის წყალიო!" — „წყალი" ზედმეტია, რაკი ბორჯომისა მხოლოდ წყალსა სმენ; სრულიად არავინ იტყვის „დამალევინე ბორჯომის სამკურნალო წყალიო!". ეს სიზუსტე ზედმეტია და სტილისტიკურად გაუმართლებელი ყოველდღიურ სიტყვახმარებაში. 3. „ბორჯომმა დაიგვიანა!" — აქ „ბორჯომი" ბორჯომის მატარებელს ნიშნავს. „ხაშურის მატარებელი გადის ბორჯომის ჩიხიდან" — აქაც „ბორჯომის ჩიხი" ბორჯომის მატარებლის დასაყენებელ ჩიხს ნიშნავს თბილისის სადგურზე (და არა ბორჯომში).

სიტყვის მნიშვნელობა შეიძლება იყოს განსხვავებული სხვადასხვა გამოთქმაში, სხვადასხვა სიტყვიერ კონტექსტშიც.

სადგური: ელექტროსადგური... რკინიგზის სადგური...

ოპერაცია: სამხედრო ოპერაცია (=საომარი მოქმედება)... ავადმყოფს გაუკეთეს ოპერაცია (=ქირურგიული მკურნალობა).

კაბინეტი: ფიზიკის კაბინეტი... ბილის ექიმის კაბინეტი...

თვალი: ადამიანი თვალით ხედავს... ურმის თვალი... პატიოსანი თვალი (=ძვირფასი ქვა)... ქვეყნის თვალი...

ხელი: ადამიანს ორი ხელი აქვს... ამ ბავშვს კარგი ხელი აქვს (ე. ი. ლამაზად წერს)... ღვინოს ხელი აქვს (ე. ი. სუნი დაჰკრავს)... დავითი სიმონის მარჯვენა ხელია...

კითხულობს: დავითი წიგნს კითხულობს... დავითი ლექციას კითხულობს... დავითი ექიმის მისამართს კითხულობს...

§ 68. სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა. სიტყვა შეიძლება იქნეს ნახმარი **პირდაპირი** და არაპირდაპირი, **გადატანითი,** მნიშვნელობით. პირდაპირი მნიშვნელობა სიტყვის ჩვეულებრივი, ძირითადი მნიშვნელობაა; არაპირდაპირი, გადატანითი მნიშვნელობა ამა თუ იმ კონტექსტთან არის დაკავშირებული. ჩვენს ზემოხსენებულ მაგალითებში „თვალ“ სიტყვის ჩვეულებრივი, ძირითადი მნიშვნელობა გვაქვს პირველ გამოთქმაში მოცემული („ადამიანი თვალით ხედავს“); სხვა გამოთქმებში (ურმის თვალი, პატიოსანი თვალი, ქვეყნის თვალი) არაპირდაპირ, გადატანით მნიშვნელობასთან გვაქვს საქმე. ეგევე ითქმის „ხელის“ შესახებაც... სიტყვა ბორჯომი ძირითადი, ჩვეულებრივი მნიშვნელობით არის ნახმარი, როცა კურორტს აღნიშნავს („ზაფხული გავატარე ბორჯომში“), გადატანით მნიშვნელობას იძლევიან ის გამოთქმები, სადაც ეს სიტყვა წყალს აღნიშნავს („დამალევინე ბორჯომი!“) ანდა მატარებელს გულისხმობს („ბორჯომმა დაიგვიანა“, „ბორჯომის ჩიხი“).

§ 69. სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება და დავიწროება. სახელის გადატანა ფუნქციის მიხედვით. სიტყვის მნიშვნელობა დროთა ვითარებაში შეიძლება გაფართოვდეს ანდა დავიწროვდეს.

სიტყვა „ლიმონათი“ თავდაპირველად აღნიშნავდა ლიმონის წყლით შეზავებულ შუშხუნა სასმელს; ამჟამად ლიმონათის მომხმარებელი, პირველ ყოვლისა, იმას კითხულობს, თუ „რისაა ლიმონათი?“ ლიმონათი შეიძლება მანდარინისაც იყოს, მსხლისაც, ანდა სხვა ხილისა. „ლიმონათი“ ნიშნავდა ლ ი მ ო ნ ი ს წვნით შეზავებულ შუშხუნა ტკბილ წყალს, ახლა ნიშნავს საერთოდ ხ ი ლ ი ს წვნით შეზავებულ შუშხუნა წყალს: სიტყვის მნიშვნელობა გ ა ფ ა რ თ ო ვ დ ა.

„მელანი" ბერძნული სიტყვაა („მელანოს") და შავს ნიშნავს[14]. ცხადია, თავდაპირველად ეს სიტყვა მხოლოდ „შავ მელანს" აღნიშნავდა; ამჟამად მელანი ეწოდება კალმით წერისას გამოყენებულ სითხეს, რომელიც შეიძლება იყოს შავიც, წითელიც, ლურჯიცა და სხვა ფერი. აქაც სიტყვის მნიშვნელობა გაფართოვდა.

ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა ადამიანის საკუთარი სახელი ზოგად სახელად იქცევა ხოლმე სათანადო სიტყვის მნიშვნელობის გაფართოების შედეგად.

ამის საყოველთაოდ ცნობილი მაგალითებია: ბოიკოტი, ჰულიგანი. ორივე სიტყვა ინგლისელთა გვარებიდან წარმოდგა: ბოიკოტი (Boy Cott) კაპიტანი იყო, რომელსაც პირველად „ბოიკოტი გამოუცხადეს" (ე. ი. მოექცნენ ისე, როგორც ეს ამ სიტყვის მნიშვნელობითაა ნავარაუდევი). ჰულიგანი (Holligan) მეთვრამეტე საუკუნეში ბოროტმოქმედებათა ჩადენით ცნობილი ოჯახის გვარია ინგლისში... ამჟამად ბოიკოტი ადამიანს არ აღნიშნავს, საზოგადოებრივი ზემოქმედების გარკვეული საშუალებაა. ჰულიგანს კიდევ საზოგადოებრივი წესრიგის უხეშად დამრღვევ, თავზე ხელაღებულ მოქალაქეს უწოდებენ.

მნიშვნელობის დავიწროების ნიმუშად შეიძლება გამოვიყენოთ სიტყვები: „სტუდენტი", „დოცენტი".

სიტყვა „სტუდენტი" ლათინურია წარმოშობით და ნიშნავს „მოსწავლეს" (სიტყვასიტყვით: იმას, ვინც „მეცადინეობს"). ამჟამად სტუდენტი არ ნიშნავს საერთოდ მოსწავლეს, არამედ მხოლოდ უ მ ა ღ ლ ე ს ი ს ა ს წ ა ვ ლ ე ბ ლ ი ს ა და ტექნიკუმების მოსწავლეს (არ ითქმის: „დაწყებითი სკოლის სტუდენტები").

„დოცენტი" ახლა უმაღლესი სასწავლებლის ლექტორის სამეცნიერო წოდებაა. სიტყვა კი წარმოშობით ლათინურია და ნიშნავს „მასწავლებელს" (docens „ვინც ასწავლის"). „მასწავლებელი" ბევრია, „დოცენტი" — შედარებით ცოტა. თავდაპირველი მნიშვნელობა დავიწროებულია.

დავიწროებული მნიშვნელობა უფრო კერძოა, ფართო მნიშვნელობა, პირიქით, უფრო ზოგადია.

ცალკე უნდა აღინიშნოს მნიშვნელობის ცვლის ერთი სახე, ს ა ხ ე ლ ი ს გ ა დ ა ტ ა ნ ა ფ უ ნ ქ ც ი ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ. „ისვრის" ნიშნავდა „ისარს ტყორცნის". ახლა ზარბაზანიც, თოფიც, ნაღმსატყორცნიც „ისვრის". რუს. საწერი перо ბატის ფრთისა იყო. ახლა კალამი

[14] რუსული чернила იმავე ბერძნული სიტყვის თარგმანს წარმოადგენს.

ფოლადისაა და перо კი გადმოჰყვა სახელად: საგანს იმის სახელი დაერქვა, რის მაგივრობასაც (ფუნქციასაც) იგი ეწევა.

„ფუნქციური სემანტიკის“ ეს წესი მნიშვნელობის ცვლის ერთ-ერთი სახეა.

§ 70. სემანტიკა და სტილისტიკა. სიტყვა რაღაცის ნიშანია; ესაა მნიშვნელობის ობიექტური მხარე. მნიშვნელობას სუბიექტური მომენტიც შეიძლება აღმოაჩნდეს ემოციური იერის სახით. სიტყვა „გამოცდა“ სკოლის სინამდვილეში და სიტყვა „ექსკურსია“ განსხვავებულია არა მხოლოდ ობიექტური მომენტის მიხედვით, მათ განსხვავებული ემოციური იერიც ახლავს. „გამოცდა“ უსიამოვნების გრძნობებს იწვევს მაშინაც კი, როცა გამოსაცდელი მას მომზადებული ხვდება. სიტყვა „ექსკურსია“, პირიქით, სასიამოვნო განცდებს იწვევს: მინდორ-ველების სილამაზე და მზიურობა მოსავს თითქოს ამ სიტყვას... სათუთ გრძნობებს იწვევენ სიტყვები: „ბავშვი“, „ჩიტი“, „ყვავილი“... მძიმე განცდა ახლავს სიტყვებს: „ცუბო“, „სასაფლაო“, „სახრჩობელა“...

ამგვარი განცდები ამ სიტყვებით აღნიშნული ობიექტური ვითარების გამოძახილია. აქ ობიექტური ვითარებაა განსხვავებული.

ავიღოთ ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონე სიტყვები: „გარდაიცვალა“, „მოკვდა“, „თქვენი ჭირი წაიღო!“, „ჩაძაღლდა“... ობიექტური მომენტის მიხედვით მათ შორის სხვაობას ვერ ვიპოვით: ოთხსავე შემთხვევაში მიცვალებულზეა ლაპარაკი, განსხვავებულია დამოკიდებულება მოლაპარაკისა ამ მიცვალებულისადმი. პირველ შემთხვევაში ეს დამოკიდებულება პატივისცემას გამოხატავს: მოღვაწეებზე თუ სხვა პატივსაცემ პირთა შესახებ იტყვიან ხოლმე „გარდაიცვალაო“. მეორე შემთხვევაში ასეთი დამოკიდებულება არა ჩანს, თუმცა ვერც უპატივცემულობას დავწამებთ იმას, ვინც გულგრილად აღნიშნავს „მოკვდაო“. მესამე შემთხვევაში გამოთქმა — „თქვენი ჭირი წაიღო!“ — ცხადად გვაჩვენებს, რომ მთქმელს სრულებითაც არ აწუხებს მომხდარი ამბავი, შეიძლება არაფერი ჰქონდეს მომხდარის საწინააღმდეგო. უკანასკნელ შემთხვევაში („ჩაძაღლდა“) მთქმელი გვეუბნება, რომ ის, ვინც მოკვდა, მისი აზრით, „ძაღლი“ იყო: ასეთია მისი დამოკიდებულება გარდაცვლილისადმი.

სავსებით ასეთივე ემოციური ვარიაციები გვექნება გამოთქმებში „დავითი მობრძანდა, — მოვიდა, — მოჩანჩალდა, — მოეთრა“...

ყველა ამ შემთხვევაში მთქმელის განცდები, მისი დამოკიდებულება სიტყვით აღნიშნული ობიექტისადმი სიტყვის მნიშვნელობის შემადგე-

ნელი ნაწილია; ეს გრძნობითი იერი წინა შემთხვევებშიაც („გამოცდა", „ექსკურსია") გვქონდა. როგორც აქ, ისე იქაც ეს გრძნობითი იერი მთქმელის განცდებიდან, ობიექტისადმი მისი დამოკიდებულებიდან მომდინარეობს.

ეს დამოკიდებულება უკანასკნელ მაგალითებში („გარდაიცვალა", „მოკვდა", „თქვენი ჰირი წაიღო", „ჩაძაღლდა") ინდივიდუალური, პიროვნული ხასიათისაა: ერთი და იმავე პირის შესახებ ლაპარაკისას ერთმა შეიძლება თქვას „გარდაიცვალაო", მეორემ — „მოკვდაო", მესამემ — „თქვენი ჰირი წაიღოო", მეოთხემ — „ჩაძაღლდაო" — იმისდა მიხედვით, თუ ვინ როგორ უყურებდა მიცვალებულს. მაგრამ ეს დამოკიდებულება კლასობრივი თვალსაზრისის გამოვლენას შეიძლება წარმოადგენდეს. „თათარი", „ყირგიზი", „ყაზახი", „ბაშკირი", „იაკუტი" დიდმპყრობელური რუსეთისათვის „ინოროდეცი" იყო; ამ სიტყვაში ეროვნული უთანასწორობის მთელი პროგრამა ჩანს: მეფის რუსეთში ველიკოროსი გაბატონებულ ერს წარმოადგენდა, „ბაშკირი", „იაკუტი", „ყირგიზი" იყო „ინოროდეცი", ე. ი. არაველიკოროსი და, მაშასადამე, იმ უფლებებს მოკლებული, რომლებიც ველიკოროსს მოეპოვებოდა.

ასეთივე სხვაობაა სიტყვებში: „მალოროსი" და „უკრაინელი", „მალოროსია" და „უკრაინა"... „მალოროსია" და „მალოროსი" დიდმპყრობელური რუსეთის მჩაგვრელი ეროვნული პოლიტიკის უკუფენაა: „ველიკოროსია"-ს („დიდ რუსეთს") მეფის რუსეთში უპირისპირებდნენ „მალოროსია"-ს („მცირე რუსეთს")...

აღსანიშნავი ობიექტისადმი მთქმელის (სუბიექტის) დამოკიდებულება და აქედან გამომდინარე გრძნობითი იერი, რომელიც სიტყვას თან ახლავს, სტილისთვისაა დამახასიათებელი: სტილს სტილისტიკა შეისწავლის. მაგრამ გრძნობითი იერი სიტყვის მნიშვნელობის შემადგენელი ნაწილია. ამრიგად სემანტიკა და სტილისტიკა ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება.

§ 71. ნაწარმოები ფუძე. სემანტიკა ფუძის მნიშვნელობას შეისწავლის; ფუძე შეიძლება იყოს მარტივი, შედგენილი და რთული (§ 60). მარტივ ფუძეს, როგორც ვიცით, სხვანაირად ძირი ეწოდება (კარ-, ხე-, რკო-); მასში აფიქსის გამოყოფა არ შეიძლება, ე. ი. მარტივი ფუძე არ დაიშლება. შედგენილ ფუძეში, — როგორც აგრეთვე აღნიშნული გვაქვს, — შედის მარტივი ფუძე და ფუძის საწარმოებელი აფიქსი (ცხენ-ოსან-, მე-ბაღ-ე, სა-სადილ-ო...). ფუძის საწარმოებელი აფიქსი მნიშვნელობის მცველია. **ნაწარმოები ფუძის მნიშვნე-**

ლობა დამოკიდებლია როგორც ამ ფუძეზე, რომელსაც საწარმოებელი აფიქსი დაერთვის, ისე იმ აფიქსზედაც, რომელიც ფუძეს დაერთვის. ამ ძირითადი ფაქტიდან კი გამომდინარეობს, რომ:

1. **ერთნაირი საწარმოებელი აფიქსის** გამოყენებამ სხვადასხვა ფუძესთან შეიძლება **მნიშვნელობის ერთნაირი ცვლა არ მოგვცეს:** ვაჟკაც- — ვაჟკაცობა, დღე- — დღეობა, სახლ- — სახლობა, ოდენ- — ოდენობა, — მოსალოდნელი განყენებული თვისება აქ მხოლოდ პირველ მაგალითში გვაქვს, სხვა შემთხვევაში განყენებული თვისება არა გვაქვს... მხოლოდ გრამატიკულ კატეგორიათა წარმოებისას გვაძლევს ერთი და იმავე საწარმოებელი აფიქსის ხმარება ერთსა და იმავე შედეგს: სახლ-ებ-, ბაღ-ებ-, ქალაქ-ებ-. **-ებ** მხოლოობითის ფუძეს ყველგან მრავლობითად აქცევს; ვაკეთებ-დ-, ვაშენებ-დ-, ვამთავრებ-დ-, ვამშვენებ-დ-: **-დ-** ყველგან ნამყო უსრულს აწარმოებს აწმყოს ფუძისაგან...

2. **ერთნაირი მნიშვნელობითი ცვლილებას** გამოსაწვევად სხვადასხვაგვარ ფუძესთან **სხვადასხვაგვარი საწარმოებელი აფიქსები** იხმარება: ასე, მაგალითად, ქართულში უარყოფითი მნიშვნელობის მისაღებად გვაქვს **-უ** და **არა:** ქუდიანი — უქუდო, ფულიანი — უფულო, ნაყოფიერი — უნაყოფო, თავიანი — უთავო, გზიანი — უგზო... აშენებული — აუშენებელი, გაკეთებული — გაუკეთებელი, დაწერილი — დაუწერელი... მაგრამ: მაღალი — არამაღალი, დაბალი — არადაბალი, გრძელი — არაგრძელი... **უ**-ს თავისი ადგილი აქვს და **არა**-ს — თავისი. განყენებითი თვისების საწარმოებლად ქართული ხმარობს **ხი- — -ე (სი- — -ო)** და **-ება (-ობა)** აფიქსებს იმისდა მიხედვით, რანაირი ფუძეა საწარმოებლად აღებული: ლამაზი — სილამაზე. მახინჯი — სიმახინჯე, წითელი — სიწითლე, მაგარი — სიმაგრე, რბილი — სილბო, თბილი — სითბო..., მაგრამ: ნაყოფიერი — ნაყოფიერება, წესიერი — წესიერება, ბედნიერი — ბედნიერება, დაუდევარი — დაუდევრობა, უყურადღებო — უყურადღებობა, უთავო — უთავობა და სხვ.

§ 72. რთული ფუძე (კომპოზიტი) და მისი სახეობანი. რთული ფუძე ანუ კომპოზიტი შედგება ერთზე მეტი ფუძისაგან, ჩვეულებრივ ორისა, იშვიათად — სამი ფუძისაგან; შესაძლებელია კომპოზიტი ორი სიტყვისაგან (და არა ფუძისაგან!) წარმომდგარიც აღმოჩნდეს.

როგორც ვიცით, კომპოზიტში შემავალი ფუძეებიდან შეიძლება ყველა მარტივი იყოს: და-ძმა, სახლ-კარ-ი, ცოლ-შვილ-ი, გზა-კვალ-ი. შეიძლება ზოგი მარტივი იყოს, ზოგიც — ნაწარმოები: თავაშვებულ-ი, გულმოსულ-ი, ფშავ-ხევსურეთი, საწერ-კალამი... შესაძლოა ყველა ნა-

წარმოები იყოს: დედულ-მამულ-ი, საჭმელ-სასმელ-ი, ყოფა-ცხოვრება, სარჩო-საბადებელი...

ძველი ინდოელი გრამატიკოსები განასხვავებდნენ კომპოზიტების რამდენიმე ტიპს; ეს ტიპებია:

1. ე. წ. **დვანდვა** (composita copulativa) ანუ **შეერთებითი კომპოზიტები.** ამის ნიმუში იქნებოდა: სახლ-კარი, დედ-მამა, ცოლ-შვილი, ქართლ-კახეთი, გზა-კვალი, დღე-ღამე, საჭმელ-სასმელი... კომპოზიტის მნიშვნელობა შემადგენელ ფუძეთა მნიშვნელობის ჯამს წარმოადგენს: ცოლ-შვილი: ცოლი და შვილი; ქართლ-კახეთი: ქართლი და კახეთი; საჭმელ-სასმელი: საჭმელი და სასმელი...

2. **ტატპურუშა** (composita determinativa) ანუ **განსაზღვრებითი კომპოზიტები.** აქ ან პირველი წევრი უდრის რომელსამე ბრუნვას (ციხისძირი, ჯარისკაცი, რკინი'ს'გზა, ერისთავი, ქინძისთავი) — ესაა საკუთრივ ტატპურუშა, ანდა წინა წევრი ზედსართავია და განსაზღვრავს ბოლო წევრს (მარტოხელი, წვრილ'შვილი) — ესაა **კარმადჰარაია;** ანდა წინა წევრი რიცხვითი სახელია (სამყურა, ასფურცელა) — ესაა **დვიგუ.**

3. **ბაჰუვრიჰი** (composita possessiva) ანუ **კუთვნილებითი კომპოზიტები** მჭონეს აღნიშნავენ და ზედსართაული მნიშვნელობით იხმარებიან (ლურჯთვალება).

4. **ავიაიბჰავა** (compostiva adverbialia) ანუ **ზმნისართოვანი კომპოზიტები;** მათი პირველი წევრი უცვლელი სიტყვაა, უკანასკნელი — არსებითი სახელი (მარადჟამს, მუდამდღე...).

ქართული კომპოზიტების დიდი უმეტესობა ან **შეერთებითია** (ცოლ-შვილი, სახლ-კარი...), ანდა **განსაზღვრებითი.** ამ უკანასკნელში ჩვეულებრივ მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს: წყალწითელა, გულკეთილი, სულგრძელი, თავაშვებული, გზააბნეული, ფერწასული, ზნედაცემული, ყურებაცქვეტილი, ხმალამოწვდილი და სხვ.

ხშირია ნათესაობითი ბრუნვის შემცველი კომპოზიტებიც.

ნაწარმოებ ფუძეებთან და **კომპოზიტებთან** დაკავშირებით განხილვას მოითხოვს პრინციპული ხასიათის ორი საკითხი:

1. ნაწარმოები ფუძის ძირითადი საკითხია თვით ამგვარი **ფუძის რაობა.** ნაწარმოებ ფუძეში შედის მარტივი ფუძე და ერთი ან რამდენიმე საწარმოებელი სუფიქსი (ცხენ-ოსან-... კაც-ობ-რი-'ვ'ობ-ა...). ამგვარად, ფუძის შიგნით არის მოქცეული ისეთი მასალაც (საწარმოებელი აფიქსი), რომელიც ფუძისაგან განსხვავდება თავისი ბუნებით. საწარმო-

ებელი აფიქსი, ისევე როგორც ყოველი სხვა აფიქსი, მოკლებულია შესაძლებლობას ცალკე, ფუძესთან კავშირის გარეშე, რამე აღნიშნოს: ამიტომაა ის აფიქსი და არა ფუძე. ფუძის ფარგლებში მოქცევა აფიქსისა ცვლის საწარმოებელი ფუძის მნიშვნელობას და ქმნის ახალ მნიშვნელობას. აქ განსაკუთრებით საინტერესო ისაა, რომ ნაწარმოებ ფუძეში წარმოდგენილია წ ი ნ ა ნ დ ე ლ ი ფ უ ძ ე, მაგრამ წ ი ნ ა ნ დ ე ლ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა კი არა აქვს, არამედ საწარმოებელ სუფიქსთან ერთად ახალ მნიშვნელობას იძლევა: „ქუდ-იან“ აღარაა „ქუდი“, — თუმცა „ქუდ“ ამ ფუძეშიც არის, — არამედ ვიღაც, რომელსაც ქუდი აქვს (ხურავს). „ცხენ-ოსან“ ადამიანია და არა ცხენი, თუმცა „ცხენ“ ფუძე აქაც დაცული გვაქვს. **ფუძეთა წარმოება სიტყვის მნიშვნელობის ერთბაშად (სიმულტანური) ცვლის მაგალითებს იძლევა.** თუნდაც ამიტომ არის კანონიერი ფუძეთა წარმოება (წარმოქმნა) ს ე მ ა ნ ტ ი კ ი ს ა და ლ ე ქ ს ი კ ო ლ ო გ ი ი ს საგნად იყოს მიჩნეული.

2. კომპოზიტების ხაზით პრინციპული ხასიათი ეძლევა საკითხს კომპოზიტის დამოკიდებულებისა, ერთი მხრივ, ერთფუძიან სიტყვასთან, მეორე მხრივ, შესიტყვებასთან. პირველი — ერთობ მარტივია: კომპოზიტიც ერთი სიტყვაა იმისდა მიუხედავად, ერთი თუ მეტი ფუძეა მასში წარმოდგენილი; ორი თუ სამი ფუძე ერთ სიტყვადაა გაფორმებული, მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი და ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ ი თვალსაზრისით ერთ ოდენობას წარმოადგენს. ამას ეჰვმიუტანელს ხდის მისი როლი შესიტყვებაში: ქართლ-კახეთი, ქართლ-კახეთმა, ქართლ-კახეთს... იბრუნვის, როგორც ერთი სიტყვა; „სპარსეთმა ქართლ-კახეთი აიკლო“ — ამ გამოთქმაში ერთ ობიექტად არის წარმოდგენილი ეს კომპოზიტი. „შეშინებული გარბის“ და „თავქუდმოგლეჯილი გარბის“ — ორივე წინადადება ორწევრიანია, ორი სიტყვისაგან შედგება.

უფრო რთულია კომპოზიტის დამოკიდებულების გარკვევა შესიტყვებასთან, სახელდობრ, იმ შემთხვევებში, როცა კომპოზიტი ორი ფუძისაგან კი არა, ორი სიტყვისაგან არის შემდგარი: ციხისთავი... ქინძისთავი... თავისუფლება... ციხისძირი... ჯარისკაცი... ცოლისძმა... აქ მონაწილეობს ორი სრული, გაფორმებული სიტყვა, — ერთი ნათესაობითსა და მეორე — სახელობით ბრუნვაში. მაგრამ ეს ორი სიტყვა ერთ რთულ სიტყვად შედუღებულა; ზოგან ეს პროცესი დამთავრებულია და ამჟამად გვეჩოთირება კიდეც შემადგენელ ნაწილთა მნიშვნელობის გამოცოცხლება; ასე მაგ., „თავისუფლებაში“: „თავსა“ და „უფლებაზე“ არავინ ფიქრობს, როცა ამჟამად ამ სიტყვას ხმარობს, მაგრამ „ჯარისკაც“-ში, „ცოლისძმა“-ში ორი ერთეულის არსებობა ახლაც ნათლად იგ-

რძნობა, და რაკი პირველი ნაწილი გაფორმებული სიტყვაა, კომპოზიტობის საკითხი აქ რთულდება. ამას მართლწერაც გვაგრძნობინებს: „ცოლისძმა“ შეიძლება ერთად დაწერილიც შეგვხვდეს და ცალ-ცალკე, ორ სიტყვად დაწერილიც.

იმის გასარკვევად, კომპოზიტი გვაქვს თუ შესიტყვება, შეიძლებოდა ერთი საზომი გამოგვეყენებინა. სახელდობრ: შემადგენელ ნაწილთა გათიშვა (გადასმის ან შიგ სხვა სიტყვის ჩართვით). სადაც შესიტყვება კომპოზიტად არის უკვე ქცეული, გათიშვა შეუძლებელი ხდება (კომპოზიტის მნიშვნელობა იშლება). სადაც გათიშვა დაუბრკოლებლივ მიმდინარეობს, **შესიტყვება** გვაქვს და არა ერთი რთული სიტყვა, **კომპოზიტი.** სადაც გადასმა შესაძლებელია, მაგრამ საჩოთიროა, იქ კომპოზიტად ქცევის პროცესი დამთავრებული არაა: გარდამავალ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. შდრ. „მეზობლის სახლი“ და „სახლი მეზობლისა“: ორივე თანაბრად შეიძლება; ასევე შეიძლება: „მეზობლის ახალი სახლი“... „ცოლისძმა“ — „ძმა ცოლისა“ საჩოთიროა, თუმც შეუძლებელი არაა; გვაქვს „ჯარისკაცი“, „მამაცი ჯარისკაცი“, მაგრამ შეუძლებელია: „ჯარის მამაცი კაცი“ ანდა „კაცი ჯარისა“... შდრ. აგრეთვე: „თავისუფლება“ — „უფლება თავისა“, „ძმისწული“ — „წული ძმისა“, „ციხისძირი“ — „ძირი ციხისა“[15].

§ 73. კვეცილფუძეებიანი კომპოზიტები. რთულ მრავალსიტყვიან სახელწოდებათა გამარტივების მიზნით საბჭოთა წლებიდან მოკიდებული ფართო გასაქანი მიეცა გამოთქმათა შემოკლებას: აღმასკომი, ცეკა, სახელგამი, სამტრესტი, ზაჰესი, რიონჰესი, ფერომშენი და სხვ. და სხვ. ზოგ-ზოგი ამათგანი ლამის არის, „საკუთარ სახელებად“ იქცეს; სახელგამი, ზაჰესი, სამტრესტი — ყველას არც შეუძლია ამოშიფროს, როგორც „სახელმწიფო გამომცემლობა“, „ზემოავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგური“, „საბჭოთა მეურნეობების ტრესტი“[16] და სხვ.; ამგვარი

---

[15] ამიტომ შეცდომაა, როცა კომპოზიტად მიაჩნიათ (გ. როზენი) ქართველური ენების მსაზღვრელ-საზღვრული, რომელთაგანაც მსაზღვრელი წინ უსწრებს საზღვრულს და ბრუნების დროს არ იცვლება (ღრმა მდინარე, სასიამოვნო ამბავი...). მეგრულსა და ჭანურში წინდასმული მსაზღვრელი არასოდეს არ იცვლება, მაგრამ საკმარისია რიგი შეცვალოთ, რომ მსაზღვრელი დაირთავს ბრუნვის ნიშნებს. არსებითად ეგევე ხდება ქართულშიც.

[16] უფრო ადრე — 1924 წლიდან — იშიფრებოდა როგორც „სახალხო მამულების ტრესტი“, შემდგომში ნიშნავდა საქართველოს ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტს (რედ.).

სრული გამოთქმები ჩვეულებრივ მარტივ სახელებადაა ქცეული, ისევ შეჩვეული კაცი ამ შემოკლებულ გამოთქმებს.

ეს შემოკლებები თავისი ბუნებით კომპოზიტებია, ოღონდ — თავისებური. კომპოზიტი ორ- და მეტ-ფუძიანი სიტყვაა. აქაც ორი და ჩვეულებრივად გაცილებით მეტი ერთეული მონაწილეობს, მაგრამ ეს ერთეულები ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს ფ უ ძ ეს რ ო დ ი წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ე ნ: ფუძე ან ფუძეები შეიძლება გვქონდეს, მაგრამ ჩვეულებრივად მხოლოდ ფუძის ნაწილი გვაქვს ანდა აფიქსი ან კიდევ მხოლოდ ერთი ბგერა; ისიც ხდება, რომ გამოთქმის მონაწილე ყველა სიტყვა არც ჩანს კომპოზიტში, მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი წევრებია წარმოდგენილი, მეტადრე მრავალსიტყვიან გამოთქმებში (მაგ., კავშირტრანსი=სრულიად საკავშირო სატრანსპორტო გაერთიანება; პროფსაბჭო=პროფესიულ კავშირთა საბჭო, რაისაბჭო=რაიონის საბჭო მშრომელთა დეპუტატებისა).

შემოკლებულ კომპოზიტთა მთავარი ტიპებია:

1. კომპოზიტი, რომელშიც ყველა შემადგენელი ნაწილი შემოკლებულია და მხოლოდ უკანასკნელი წევრია სრული სიტყვა: პროფკავშირი (=პროფესიული კავშირი), სამტრესტი (=საბჭოთა მეურნეობების ტრესტი).

2. კომპოზიტი, რომელშიც პირველი წევრი ფუძეა, სხვა კი — ფუძის ნაწილი: გლეხკორი (=გლეხ-კორესპონდენტი), მუშკორი (=მუშა-კორესპონდენტი), რიონჰესი (=რიონის ჰიდროელექტროსადგური).

3. კომპოზიტი, რომელშიაც ყველა შემადგენელი ნაწილი შემოკლებულია: ადგილკომი (=ადგილობრივი კომიტეტი), რაიკომი (=რაიონული კომიტეტი), აღმასკომი (=აღმასრულებელი კომიტეტი), თბილმშენი (=თბილისის მშენებლობის ტრესტი), საქდესი (=საქართველოს დეპეშათა სააგენტო)...

4. კომპოზიტი, რომელშიაც შემადგენელ ნაწილთა თავკიდური ბგერებია წარმოდგენილი: ზაჰესი (=ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური), აწჰესი (=აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგური), მმაჩი (=მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერა).

5. კომპოზიტი, რომელშიაც ფუძის ნაწილი და თავკიდური ბგერებია შეერთებული: თბილსრესი (=თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური), აბჰესი (=აბაშის ჰიდროელექტროსადგური)...

§ 74. ეტიმოლოგია და სიტყვის ისტორია. ეტიმოლოგია სასკოლო გრამატიკებში ნიშნავდა მოძღვრებას ცალკე სიტყვების შესახებ.

ეტიმოლოგიის საგანს შეადგენდა: მეტყველების ნაწილები, სახელთა ბრუნება, ზმნათა უღვლილება, სიტყვაწარმოება.

ენათმეცნიერებაში კი ეტიმოლოგია ნიშნავს სიტყვის ფუძეში ჩაკსოვილი წარმოდგენის ამოშიფვრას ანდა, სხვანაირად რომ ვთქვათ, იმ დახასიათების მიგნებას, რომლის საფუძველზეც საგანს (თუ სხვა ობიექტურ მონაცემს) სახელი დაერქვა: (ა)თორმეტი=10+2; რეული=რვიანი; გაფითრდა=ფითრის ფერი დაედო...

გავრცელებული შეხედულების თანახმად, სიტყვის ეტიმოლოგიის დაძებნა მის ისტორიულ შესწავლას ნიშნავს: სადაურია სიტყვა, საკუთარი თუ ნასესხები, რას აღნიშნავდა იგი განვითარების სხვადასხვა პერიოდში და როგორ იცვალა მისი ბგერითი მხარე დროთა ვითარებაში.

უდავოა, რომ სიტყვის წარმომავლობის გარკვევა, ბგერათა შედგენილობისა და მნიშვნელობის ცვლის გათვალისწინება მრავალ შემთხვევაში სიტყვის ეტიმოლოგიის გასაღებს იძლევა. და მაინც სავსებით შესაძლებელია ვიცოდეთ სიტყვის ისტორია, მაგრამ არ ვიცოდეთ მისი ეტიმოლოგია; ქართ. „ძმა“ საუკუნეთა განმავლობაში იმასვე აღნიშნავდა, რასაც ახლა აღნიშნავს; არც მისი გარეგნობა ცვლილა; მეგრულთან და ჰანურთან შედარება საშუალებას გვაძლევს ამ სიტყვის ისტორიის წინა საფეხურებიც გავარკვიოთ: ცხადი ხდება, რომ ეს სიტყვა **„ძამან“**-ის სახეს ატარებდა. მაგრამ გაირკვა თუ არა ამით სიტყვის ეტიმოლოგია? არა, არ გარკვეულა: არა ჩანს, რად ეწოდა ძმას „ძამან“! **სიტყვის ისტორიის დადგენა კიდევ არ ნიშნავს სიტყვის ეტიმოლოგიის გარკვევას.**

მეორე მხრივ, შესაძლებელია ისტორიის გარეშეც დავადგინოთ სიტყვის ეტიმოლოგია; მხედველობაში არა გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა სხვადასხვა ენის მასალის შედარებას მივყავართ სიტყვის ეტიმოლოგიასთან: ამის ცნობილი მაგალითია „ნახშირ“-ის ეტიმოლოგია. სვანურ **შიხ-ე**-სთან ამ სიტყვის შედარებამ ცხადყო, რომ „წვის“ წარმოდგენაა ამ სიტყვაში ჩამარხული: ნახშირი (← ნაშხირი)=ნაწვი[17].

ამგვარ შემთხვევებში მაინცა გვაქვს ისტორია სიტყვისა: ოღონდ აქ სიტყვის ისტორიას შედარება არკვევს, ე. ი. შედარება ისტორიის საქმეს აკეთებს.

---

[17] ეს გარკვეული აქვს ვ. თოფურიას.

ზოგჯერ ისტორიის გარეშეც შეიძლება ვსწვდეთ სიტყვის ეტიმოლოგიას მარტივი ანალიზის საშუალებით: თავისუფლება=უფლება თავისა; ერთმანეთი=ერთმან ერთი; რვეული=რვა+ეული, სამეული, ოთხეული, ათეულის მიმსგავსებით.

ამგვარად: **სიტყვის ისტორია ყოველთვის არ ეძლევა სიტყვის ეტიმოლოგიას; მეორე მხრივ, ისტორიის დაუხმარებლადაც შეიძლება გაირკვეს სიტყვის ეტიმოლოგია.** ამიტომ არ იქნებოდა მართებული თანასწორობის ნიშანი დაგვესვა სიტყვის ისტორიასა და ეტიმოლოგიას შორის.

ეტიმოლოგიური ანალიზის ძირითადი წესი მოითხოვს: სიტყვა **სწორად დაგშალოთ** და დაშლისას გამოყოფილი **ყველა ნაწილი** ავხსნათ, გავაანალიზოთ.

შეუძლებელია მოცემულ ენაში სიტყვის სწორი ეტიმოლოგია სიტყვის სწორი ანალიზის გარეშე: უნდა ვიცოდეთ, რა არის სიტყვის მარტივი ფუძე და რა წარმოადგენს აფიქსებს. აფიქსები შეიძლება შეეზარდოს ფუძეს, შესაძლოა, აფიქსისა თუ მარტივი ფუძის შემადგენლობამ ფონეტიკური პროცესების წყალობით განიცადოს ცვლილება — ან დაეკარგოს ბგერა, ანდა ჩაერთოს ახალი: განსაკუთრებით ადვილდება ეს მას შემდეგ, რაც „ჩაქრება" ფუძეში ჩაქსოვილი წარმოდგენა და მანამდე ცოცხალი სახის შემცველი ფუძე უტყვ პირობით ნიშნად იქცევა (§ 61). სიტყვის სწორი ანალიზის გარეშე ეტიმოლოგიის საკითხის სწორად გადაჭრა შეუძლებელია; ეს თავისთავად ცხადი გახდება, თუ მოვიგონებთ, რომ ეტიმოლოგია **სიტყვის მარტივ ფუძეში მოცემულ დახასიათებას ეძიებს, ფუძის გამოყოფა კი სიტყვის სწორ ანალიზზეა დამოკიდებული. ჩვეულებრივად სიტყვის ბგერით შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებათა ზუსტი აღრიცხვა სიტყვის სწორი ანალიზის წინაპირობაა.** ეს დიდად უწყობს ხელს „უტყვი" ფუძის „ამეტყველებას". აი, ორიოდე მაგალითი: „რბილი" მიღებულია „ლბილი"-საგან და, მაშასადამე, ლბობის წარმოდგენა უდევს მას საფუძვლად: რბილი=დალბობილი...

„თაყვანისცემა" მიღებულია „თავ-ყანის-ცემა"-საგან და ნიშნავს: „მიწაზე თავის ცემას"... ძვ. ქართულში ყანა „მიწას" ნიშნავდა („ქუე-ყანა").

„წარღვნა" მიღებულია „წყალ-რღვნა"-საგან და „წყლით რღვევას, განადგურებას" მოასწავებს...

„ცხინვალი" მიღებულია „ქრცხილვანი"-საგან და „ქრცხილნარს" ნიშნავს. „მუხრანი" წარმოდგება „მუხნარი"-საგან.

გვარი „მეუნარგია“ მიღებულია „მეუნაგრია“-საგან[18] და ხელობის აღმნიშვნელ „მეუნაგრე“-ზე მიუთითებს. ასევე: „ყვიცარიძე“ მომდინარეობს „ყვიცარიძისაგან“ და „ყვიციანიძეს“ უდრის: ყვიციანი=ყვიცით დაავადებული, ყვითელფერიანი.

მაგრამ თუ სიტყვის ბგერით შემადგენლობაში მომხდარი ცვლილება გათვალისწინებული არ არის, სიტყვის სწორი ანალიზი მხოლოდ შემთხვევით შეიძლება იყოს სწორი. რაგვარ ხიფათს უქმნის ბგერათა ცვლილება ეტიმოლოგიურ ძიებას, ეს შეიძლება გავითვალისწინოთ შემდეგი მაგალითიდან. თბილისში ვარაზის ხევისა და ვერეს შესართავთან არის „ფიქრის გორა“. თითქოს ნათელია ამ სახელწოდების ეტიმოლოგია, და მაინც... ეს იყო „ფეიქრის გორა“; პირველ სიტყვას გამოაკლდა „ე“ და „ფეიქარი“ წარმოგვიდგა „ფიქრის“ სახით...

§ 75. ე. წ. „ხალხური ეტიმოლოგია“. ხიტყვის მეცნიერული ანალიზის გარეშე სიტყვის უშუალო გააზრება იწოდება **ხალხურ ეტიმოლოგიად.** ამის ნიმუში მრავლად გვხვდება ყველგან: თითქმის ყოველი გეოგრაფიული სახელწოდების გააზრებას ცდილობს მოხალისე ეტიმოლოგი. ასე, მაგ., ხალხური ეტიმოლოგიით: სამტრედია=სამი მტრედი ა(რის)... თელავი=სომხ. თე ლავ(ე) „თუ კარგია“!... რაჭა=რა ჭა?! (ნაქერალის ქედიდან გადაიხედა ვიღაცამ და რაჭას რომ დახედა, წამოიძახა: „ეს რა ჭა ყოფილაო“!)... იორი=იორა, ერთი იყო და ორად იქცაო (ვახუშტი), ე. ი. იორი ალაზანს შეერთოო... და სხვ. და სხვ.

რა შუაში იყო სამი მტრედი, ან რატომ უნდა ეთქვათ სომხურად თელავზე „თუ კარგიაო“, ან როგორ იქცა კითხვითი წინადადება რაჭის სახელად, ან რატომ უნდა ეფიქრათ იორზე, „ორად“ იქცაო იმის მიხედვით, რომ ის შემდეგ ალაზანს ერთვის?! ეს ხალხურ ეტიმოლოგიას არ აწუხებს, ის თავისუფლად ააზრიანებს სიტყვას, მას არ აფიქრებს არც ის, რომ სახელში ზმნა იპოვა (იორი, იორა=ორად იქცა) და არც ის, რომ სახელში მთელი წინადადება ამოიკითხა (თელავი=„თუ კარგია!“). როგორ იშლება სიტყვა, რა ნაწილებისაგან არის აგებული ის, რა არის მისი ფუძე და რას აღნიშნავდა ის, რა არის აფიქსი, ამას ის არ კითხულობს.

ხალხური ეტიმოლოგიისაგან არაფრით განსხვავდებოდა წინარემეცნიერული ეტიმოლოგიური ვარჯიში ძველი დროისა თუ შუა საუკუ-

[18] გვხვდება საბუთებში.

ნეებისა (ვიდრე მეცხრამეტე საუკუნის მეორმოცე წლებამდე). ეს თავისუფალი ვარჯიში, რა თქმა უნდა, **სიტყვის ანალიზის გარეშე ცდილობდა** სიტყვის გააზრებას. თუ სიტყვის გააზრებისას რაიმე ბგერა ვარაუდს ხელს უშლიდა, ეტიმოლოგისტი უყოყმანოდ აცხადებდა: ეს ბგერა მერეა გაჩენილი ანდა ამა და ამ ბგერისაგან არის მიღებულიო. ამგვარი თავისუფალი ვარჯიშობის შესახებ გესლიანად შენიშნა ვოლტერმა: „ეტიმოლოგისტებისათვის სიტყვის ხმოვნები სრულიად არაფერს ნიშნავენ, თანხმოვნები კი — ძალიან ცოტა რასმეო"...

სიტყვის **ნებისმიერი დაშლა** და მიღებული ნაწილების ნებისმიერი გააზრება, — უკეთ რომ ვთქვათ, ნებისმიერი გააზრება და ამის მიხედვით სიტყვის ნებისმიერი დაშლა — ესაა ე. წ. ხალხური ეტიმოლოგიის დამახასიათებელი. მეცნიერული ეტიმოლოგიის მიზანია აღკვეთოს ნებისმიერება, როგორც სიტყვის ანალიზში, ისე შემადგენელ ნაწილთა გააზრებაში.

სიტყვის ეტიმოლოგიური გააზრებისას აუცილებელია კულტურულ-ისტორიული რეალიების გათვალისწინება.

თავი V

მორფოლოგიისა და სინტაქსის ზოგადი საკითხები

§ 76. მორფოლოგიის საგანი (დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები და სათანადო გრამატიკული კატეგორიები). ლექსიკოლოგია (და სემანტიკა) სწავლობს სიტყვებს, როგორც მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი ს მ ა ტ ა რ ე ბ ე ლ ერთეულებს. სრულმნიშვნელოვანი სიტყვები რომ ზედიზედ ჩამოვთვალოთ, ურთიერთობისა და გაგებინების საშუალება არ გამოგვივა. სიტყვები რომ ურთიერთობის საშუალებად გამოდგეს, საჭიროა ისინი ერთმანეთს დაუკავშირდნენ იმგვარად, რომ გამოხატონ იმ ს ა გ ა ნ თ ა და მ ო ვ ლ ე ნ ა თ ა ურ თ ი ე რ თ ო ბ ა, რომლებსაც ეს ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ა ღ ნ ი შ ნ ა ვ ე ნ.

ამხანაგი: ძმა: ნახ: 1. ამხანაგის ძმა ნახა; 2. ამხანაგი ძმისა ნახა; 3. ამხანაგმა ძმა ნახა; 4. ამხანაგი ძმამ ნახა; 5. ამხანაგის ძმა ენახე; 6. ამხანაგი ძმისა ენახე; 7. ამხანაგის ძმა ნახე! 8. ამხანაგი ძმისა ნახე! და ა. შ.

თუ გვინდა, რომ ენა ურთიერთობის საშუალებად გამოგვადგეს, საჭიროა ვიცოდეთ არა მხოლოდ სიტყვები, არამედ **სიტყვათა ცვლა** და **წინადადებაში სიტყვათა შეკავშირების** წესები.

ცხადია, აქ იგულისხმება სიტყვათა ის ცვლა, რაც წინადადებაში სიტყვათა შეკავშირებას შეგვაძლებინებს. ასეთი ცვლა, როგორც ვნახეთ (§ 61), დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი ს აღმნიშვნელი აფიქსების საშუალებით ხორციელდება. დამოკიდებულების აღმნიშვნელ საშუალებებს — ანუ წინადადებაში სიტყვათა შეკავშირების საშუალებებს — მორფოლოგია შეისწავლის (ბერძ. morphē „ფორმა“, logos „სიტყვა“, „მოძღვრება“; მორფოლოგია=მოძღვრება ‘სიტყვის’ ფორმის შესახებ).

თვით დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა სიტყვებისა წინადადებაში — ანუ წინადადებაში სიტყვათა შეკავშირება (სიტყვათა შეხამება) — სინტაქსის საქმეა (იხ. § 101).

სიტყვის შემადგენელ ნაწილებს — ფუძეს, საწარმოებელსა და

დამოკიდებულების აღმნიშვნელ აფიქსებს — ხშირად **მორფემას** უწოდებენ.

მორფოლოგია და სინტაქსი ერთად სწავლობენ ენის გრამატიკულ წყობას, რომელიც — ძირითადად ლექსიკურ ფონდთან ერთად — ენის საფუძველს შეადგენს.

ჩვეულებრივად მორფოლოგიაში განიხილავენ არა მხოლოდ სიტყვათა შეკავშირების საშუალებებს ანუ დამოკიდებულების აღმნიშვნელ აფიქსებს, არამედ — მნიშვნელობის მცვლელ (ე. ი. ფუძის საწარმოებელ) აფიქსებსაც.

ეს გამართლებულია იმდენად, რამდენადაც ორივე სახის აფიქსი, როგორც აფიქსი, ნივთიერ მნიშვნელობას მოკლებულია, ცალკე არაფრის აღნიშვნა არ შეუძლია და ამდენად ფუძეს უპირისპირდება (§ 63).

გარდა ამისა, გამიჯვნა დამოკიდებულების აღმნიშვნელი და ფუძის საწარმოებელი აფიქსებისა ყოველთვის არ ხერხდება (იხ. ქვ. § 77).

ამიტომ საერთოდ აფიქსებს მორფოლოგიაში განიხილავენ. ასეთია, ყოველ შემთხვევაში, ტრადიცია.

რა თქმა უნდა, მნიშვნელობის მცვლელ აფიქსთა ფუნქცია ლექსიკის სამყაროს განეკუთვნება: **ახალი ფუძის წარმოქმნა ახალი ლექსიკური ერთეულის წარმოქმნას ნიშნავს. საამისო საშუალებაც აქ უნდა განვიხილოთ,** სადაც **სიტყვაწარმოება** — ე. ი. ახალი **ლექსიკური ერთეულების წარმოქმნის სხვა საშუალებები** (ფუძეთა შეერთება, ფუძეთა გამეორება...) **აქნება განხილული.**

მორფოლოგიის ამოცანას შეადგენს გაითვალისწინოს აფიქსთა სახესხვაობანი, აფიქსთა წარმოშობა, აფიქსებით გადმოცემული გრამატიკული კატეგორიები და მეტყველების ნაწილები.

§ 77. აფიქსთა კლასიფიკაციის საკითხი. აფიქსი შეიძლება იყოს ორგვარი: **დამოკიდებულების აღმნიშვნელი** ანუ **სიტყვათა დამაკავშირებელი** (ცხენ-**ს,** ცხენ-**ის...**) და მნიშვნელობის მცვლელი ანუ **ფუძის ხაწარმოებელი** (ცხენ-**ოსან**-ს, ყვავილ-**ოვან**-ი...). დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსი მნიშვნელობას არ იცვლის, ფუძეს არ აწარმოებს (ფუძის გარეშე რჩება); მნიშვნელობის მცვლელი აფიქსი დამოკიდებულებას არ აღნიშნავს; დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსი სიტყვას ცალკე დაერთვის (§§ 62-63).

ეს ორი ტიპი ერთმანეთს უპირისპირდება როგორც დადებითი ნიშნების მიხედვით, ისე უარყოფითად დახასიათებისას.

ამათ გვერდით უნდა გავითვალისწინოთ გარდამავალი ტიპიც. ავიღოთ „წიგნ-ი“ სიტყვა მრავლობითში: „წიგნ-ებ-ი“. -ი აქ დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსია, ფლექსიაა (სახელობითი ბრუნვის ნიშანია), **-ებ-** აფიქსი ფუძის საწარმოებელია: ამგვარი მრავლობითი ქართულში, როგორც ცნობილია, განსხვავდება მხოლობითისაგან ფუძით; ბრუნვის ნიშნები მრავლობითშიც იგივეა, რაც მხოლობითში: მხოლ.: წიგნ-ი, ამხანაგ-ი... წიგნ-მა, ამხანაგ-მა... წიგნ-ს, ამხანაგ-ს... მრავლ.: წიგნ-ებ-ი, ამხანაგ-ებ-ი... წიგნ-ებ-მა, ამხანაგ-ებ-მა... წიგნ-ებ-ს, ამხანაგ-ებ-ს...

-ებ- მრავლობითი რიცხვის ფუძეს აწარმოებს. ცვლის თუ არა იგი ფუძის მნიშვნელობას? **კიდეც ცვლის და კიდეც — არა!** ცვლის იმიტომ, რომ „წიგნ-“, „ამხანაგ-“ — ცალკეულ ერთეულზე მიუთითებს[1], „წიგნ-ებ-“, „ამხანაგ-ებ-“ — ერთზე მეტ „წიგნს“, „ამხანაგს“ გულისხმობს... არა ცვლის ფუძის მნიშვნელობას, თუ მხედველობაში ვიქონიებთ, რომ ახალი ფუძე (მრავლობითისა) იმავე საგანზე მიუთითებს, რაზედაც — მხოლობითის ფუძე. საკმარისია შევადაროთ **-ებ-** სუფიქსის როლი **-ოსან-** სუფიქსისას, რომ განსხვავება ნათელი იყოს:

ცხენ-ი:

ცხენ-**ოსან**-ი: ახალი ფუძე (ცხენოსან-) **სულ სხვა** საგანზე მიუთითებს.

ცხენ-**ებ**-ი: ახალი ფუძე (ცხენებ-) ისევ იმ საგანზე მიუთითებს: საგანი არ შეცვლილა, მისი **რიცხვი** (რაოდენობა) შეიცვალა.

მაშასადამე, **-ებ-** სუფიქსი ცვლის მნიშვნელობას არა მთლიანად, არამედ მხოლოდ ნაწილობრივ, — ცვლის რიცხობრივ მომენტს.

სხვა მხრივაც განსხვავდება **-ებ-** და **-ოსან-**: **-ოსან-** გავლენას არ ახდენს სიტყვათა დამოკიდებულებაზე (ცხენი დგას — ცხენოსანი დგას); ამასვე ვერ ვიტყვით **-ებ-** აფიქსის შესახებ: მას შეუძლია სიტყვათა დამოკიდებულებაში ცვლილება შეიტანოს (ცხენი ჭიხვინებს — ცხენები ჭიხვინებენ)...

ამრიგად, **-ებ-** სუფიქსი ფუძის საწარმოებელი აფიქსია, მაგრამ იგი მხოლოდ ნაწილობრივ ცვლის ფუძის მნიშვნელობას და ამ მხრივ „ჩამორჩება“ **-ოსან**-სუფიქსს; მეორე მხრივ, მას შეუძლია სიტყვათა შეკავშირებისას ცვლილებები გამოიწვიოს, და ამ მხრივ ის მოგვაგონებს

[1] მხოლობითის ფუძე შეიძლება აგრეთვე ზოგადად „წიგნს“, „ამხანაგს“ აღნიშნავდეს.

დამოკიდებულების აღმნიშვნელ აფიქსებს (აქ მას მეტი ძალა აქვს, ვიდრე **-ოხან**-ს). ორივე ეს გარემოება **-ებ-** სუფიქსს აშორებს მნიშვნელობის მცვლელ აფიქსებს და აახლოებს დამოკიდებულების აღმნიშვნელ აფიქსებთან.

მსგავსი თვისება შეიძლება აღმოაჩნდეს დამოკიდებულების აღმნიშვნელ ზოგ აფიქსსაც.

მე ვმუშაობ — ჩვენ ვმუშაობთ: **-თ-** სუფიქსი დამოკიდებულებას აღნიშნავს — ზმნაში ის არის „ჩვენ" სიტყვის ერთ-ერთი წარმომადგენელი; ამით ის წააგავს **გ**-ს (**გ**-მუშაობ). ის არ არის ფუძის საწარმოებელი; ის ფუძეში არ შედის, ფლექსიაა ისევე, როგორც **გ-**; მაგრამ მას ფუძის მნიშვნელობაშიც შეაქვს ცვლილება: ვმუშაობ-**თ** სიმრავლეს აღნიშნავს, ე. ი. **-თ-** ისეთსავე ცვლილებას იწვევს ზმნის ფუძის მნიშვნელობაში, როგორსაც **-ებ-** იწვევდა ზემოთ აღნიშნულ მაგალითებში; იგი რიცხობრივ მომენტს ცვლის ფუძის მნიშვნელობაში. ამგვარ თვისებას დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები მოკლებულია (დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები ფუძის მნიშვნელობას არ ცვლიან).

-ებ- სუფიქსი ფუძის საწარმოებელი ისეთი აფიქსია, რომელსაც არა აქვს მნიშვნელობის მცვლელი აფიქსის ყველა თვისება, მაგრამ მოეპოვება ზოგი რამ, რაც დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსის დამახასიათებელია.

-თ- სუფიქსი დამოკიდებულების აღმნიშვნელი ისეთი აფიქსია, რომელიც ზოგ რამეში ფუძის საწარმოებელ აფიქსს მოგვაგონებს, თუმცა ფუძეში არ შედის.

-ებ- სუფიქსი სახელთა მრავლობითობას აღნიშნავს, **-თ** — ზმნისას (გარკვეულ პირობებში), **ორიგე — გარდამავალი ტიპის აფიქსის ნიშუშს წარმოგვიდგენს.** აქვე შეიძლებოდა აგრეთვე დაგვესახელებინა დროთა და კილოთა საწარმოებელი აფიქსებიც, მაგალითად: **დ-** სუფიქსი ნამყო უსრულისა (აკეთებ-**დ-ა**), **-ე** — კავშირებითისა (აკეთებდ-**ე**).

დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსი (ანუ ფლექსია), მნიშვნელობის მცვლელი (ანუ ფუძის საწარმოებელი) აფიქსი — ესაა აფიქსთა ორი ძირითადი ტიპი; მათ ერთვის მესამე, გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი ტ ი პ ი .

ამ უკანასკნელის არსებობას აქვს არა მარტო პრაქტიკული მნიშვნელობა (სიტყვის ანალიზის დროს კვალიფიკაციის თვალსაზრისით); მისი პრინციპული ღირებულებაც თვალსაჩინოა.

დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები მორფოლოგიის საგანს

წარმოადგენს, თვით დამოკიდებულება — სინტაქსის საკვლევი არეა, მნიშვნელობის მცველი აფიქსები ბუნებრივად ლექსიკის სამყაროს განეკუთვნება (იხ. ზემოთ §§ 72, 76). ასეთ პირობებში გარდამავალი ტიპი განსახიერებაა იმ ბუნებრივი გარდასელისა და შინაგანი კავშირისა, რომელიც მორფოლოგიას, სინტაქსსა და ლექსიკოლოგია-სემანტიკას შორის ივარაუდება. ამ დარგთა შინაგან კავშირს განსაზღვრავს შინაგანი კავშირი შესასწავლ ობიექტებს შორის.

რა თქმა უნდა, ბუნებრივი კავშირი სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მორფოლოგია, სინტაქსი და ლექსიკოლოგია-სემანტიკა ერთმანეთში უნდა ავრიოთ, რომ თითქოს საჭირო არ იყოს მათი გამიჯვნა. პირიქით: მათი გამიჯნულობის ფონზეა ფასეული ეს დაკავშირება. და თუ გარკვევით არ არის მოხაზული მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკოლოგია-სემანტიკის არე, თვით დაკავშირების საკითხი უქმი და არას მაქნისია.

§ 78. აფიქსთა კლასიფიკაცია ადგილმდებარეობის მიხედვით. აფიქსთა სამი ტიპი (დამოკიდებულების აღმნიშვნელი, ფუძის საწარმოებელი და გარდამავალი) გამოიყო აფიქსთა დახასიათებისას **ფუნქციის** (როლის) მიხედვით.

აფიქსები შეიძლება დავახასიათოთ **ადგილმდებარეობის** მიხედვითაც. ამ თვალსაზრისით აფიქსებში განასხვავებენ **პრეფიქსს, სუფიქსსა** და **ინფიქსს.**

აფიქსის ადგილმდებარეობის გარკვევისას ამოსავალია მართივი ფუძე (ძირი) და არა ნაწარმოები ფუძე.

პრეფიქსად იწოდება ისეთი აფიქსი, რომელიც **ძირს წინ უძღვის;** პრეფიქსი ლათინური სიტყვაა (praefixum) და ნიშნავს „წინ მიმაგრებულს, წინ დართულს". მისი ქართული შესატყვისია **„წინსართი"**; **გ-შუშაობ... გ-თხოვთ... ხა-ჭელნე — გ-, გ-, ხა- პრეფიქსებია** ანუ **წინსართები.**

სუფიქსი ეწოდება ისეთ აფიქსს, რომელიც **ძირს მოსდევს;** სუფიქსიც ლათინური სიტყვაა (suffixum) და ნიშნავს, „ქვევიდან მიმაგრებულს", „ბოლოს დართულს"; ქართულად მის გადმოსაცემად ხმარობენ **„ბოლოსართს".** ეს ტერმინი არაა მოხერხებული; ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სუფიქსი ყოველთვის ბოლოს დაისმოდეს; ნამდვილად ეს სუფიქსი ძალიან ხშირად ბოლოში არ არის (იხ. ქვემოთ); **ვმუშა-ობ... გთხოვ-ო... სამელნ-ე — -ობ, -ო, -ე** სუფიქსებია ანუ ბო-

ლოსართები.

ინფიქსი შიგ ჩაერთვის **მარტივ ფუძეს** ანუ ძირს. ინფიქსი ლათინურად (infixum) ნიშნავს „შიგ ჩამაგრებულს“, „ჩართულს“. ქართული „ჩასართი“ კარგად გადმოგვცემს ამ ტერმინს. ინფიქსის ნიმუში იქნებოდა **-ვ-** ხვნა, კვლა, დაძვრა, ჩაგვრა, შენიშვნა და მაგგვარებში. ინფიქსი **ვ** ფონეტიკური მიზეზების გამოა (ლ, რ, ნ-სთან **ვ**-ს მეტათეზისის ანუ გადასმის გამო), რომ ძირეულ თანხმოვნებს შორის მოექცა:

ხნ-ავ-ს: ხნ-ავ-ა → ხნ-ვ-ა → ხვნა (**ვ**-ს გადასმით). შდრ. თეს-ავ-ს: თეს-ავ-ა → თეს-ვ-ა.

ჩაგრ-ავ-ს: ჩაგრ-ავ-ა → ჩაგრ-ვ-ა → ჩაგვრ-ა (**ვ**-ს გადასმით). შდრ. ტანჯ-ავ-ს: ტანჯ-ავ-ა → ტანჯ-ვ-ა.

კლ-ავ-ს: კალ-ავ-ა → კლ-ვ-ა → კვლ-ა (**ვ**-ს გადასმით). შდრ. კალ-ავ-ს: კალ-ავ-ა → კალ-ვ-ა (რისამე მოკალვა).

ხნავს, ჩაგრავს, კლავს... სიტყვებში ორ-ორი სუფიქსი გვაქვს: **-ავ-** და **-ს**; ხვნა, ჩაგვრა, კვლა-ში **ხ**-ს ადგილას ახალი **-ა** სუფიქსია, **-ავ** სუფიქსის ნარჩენმა **-ვ**-მ კი ადგილი იცვალა და წინა ორ თანხმოვანს შორის მოექცა. ეს მაშინ ხდება, როგორც ვხედავთ, როდესაც **-ვ**-ს წინ ორი ან მეტი თანხმოვანი იყრის თავს (შდრ. მოკალვა და კვლა) და **ვ**-ს უშუალო მეზობლად ან **ნ** ან **რ** ან **ლ** მოსდევს (შდრ. „ტანჯვა“, სადაც **ვ**-მ ადგილი არ იცვალა, თუმცა წინ ორი თანხმოვანი უძღვის და „ჩაგვრა“, სადაც **ვ**-ს გადასმა **რ**-ს მეზობლობას მიეწერება).

ხვნა, შენიშვნა, კვლა, ძვრა... და მსგავს მაგალითებში **-ვ** ინფიქსი ნასუფიქსარია; დიალექტურ „ნავხე“-ში (ლიტერატურული **ვ**-ნახე-ს ნაცვლად) **ვ** ინფიქსი ნაპრეფიქსალია[2]. ინფიქსებად ეს სუფიქსი და პრეფიქსი ფონეტიკურმა პროცესმა აქცია. მორფოლოგიური ბუნების ინფიქსები — ე. ი. ნამდვილი ინფიქსები — ქართულმა ენამ არ იცის (ასეთი ინფიქსები თითქოს ამერიკის მკვიდრ ინდიელ ტომთა ენებში დასტურდება).

სიტყვაში შეიძლება გვქონდეს: მხოლოდ ერთი პრეფიქსი (ვ-არ, ხ-არ), მხოლოდ ერთი სუფიქსი (ამხანაგ-ს, წიგნ-მა)... ერთი პრეფიქსი და ერთი სუფიქსი (**ვ**-არ-**თ**, **ხ**-არ-**თ**... **ვ**-მუშა-**ობ**... **ხა**-მელნ-**ე**... **ხა**-თავ-**ე**...)... ერთზე მეტი პრეფიქსი და სუფიქსი: ს ა - თა - ურ - ი... დ ა - ს ა - თა - ურ - ე ბ - ა... დ ა - ს ა - თა - ურ - ე ბ - უ ლ - ი... დ ა - ს ა - ს ა - თა - ურ - ე ბ - ე ლ - ი... შ ე - ს ა - მ ო -

[2] ასეთივე ნაპრეფიქსალი **ვ** (ბ) ხშირია მეგრულში (ი-ბ-რდუქ—ვიზრდები) და სვანურში (ტუიხე ← ვ-ტიხე—ვაბრუნებ).

წმ-ე-ბ-ლ-ა-დ... გ-ა-დ-ა-ს-ა-მზად-ე-ბ-ე-ლ-ი...[3]

უკანასკნელ შემთხვევაში ძირად (მარტივ ფუძედ) გამოყენებულია **-მზად-**; „შემოწმება"-ში — ფუძის მარტივი სახე, ძირი არის **-წმ-**; მას დაკარგული აქვს ძირეული **ა**; „სათაურ"-ში ძირია -თავ-; ამ ძირსაც აკლია **-ვ**; მისი დაკარგვა გამოიწვია მომდევნო **უ**-მ (შდრ. სა-თავ-ე, მაგრამ: მე-თა-ურ-ი, სა-თა-ურ-ი, უ-თა-ურ-ი... თა-ობ-ა, სადაც **ვ-** დაიკარგა მომდევნო **ო**-ს ზეგავლენით).

თითოეულ ამ ძირთაგანს ჩვენს მაგალითებში დართული აქვს რამდენიმე პრეფიქსი და სუფიქსი: და-სა-**თა**-ურ-ებ-ულ-ი. აქ, მაგალითად, ორი პრეფიქსია (და-სა-) და ოთხი სუფიქსი (ურ-ებ-ულ-ი).

ხშირად პრეფიქსად თვლიან მხოლოდ პირველ აფიქსს (**და-**), სუფიქსად — უკანასკნელს (-ი), დანარჩენები კი ინფიქსებად მიაჩნიათ **(-სა-... -ურ-, -ებ-, -ულ)**. ეს არაა სწორი; ამიტომ იყო, ზემოთ რომ აღვნიშნეთ: როცა აფიქსებს ვახასიათებთ ადგილმდებარეობის მიხედვით, **ამოსავალი და საორიენტაციო უნდა იყოს მარტივი ფუძე** (ძირი): **ამ უკანასკნელიხ მიმართ უნდა გაიძრკვეს, რა უძღვიხ მას წინ, რა მოხდევს მას, რა არის მის შიგნით მოქცეული.** ინფიქსი მარტივი ფუძის (ძირის) შიგნით უნდა იყოს მოქცეული და არა ნაწარმოები ფუძის ანდა სრული სიტყვის შიგნით. ქართულისა და მისი მსგავსი ენის მაგალითებში ამის გარკვევა ერთობ მარტივია. უფრო რთულია საქმის ვითარება ისეთ ენებში, სადაც სიტყვასა (კერძოდ, ზმნასა) და წინადადებას შორის ზღვარი მოშლილია. ეგულისხმობთ ე. წ. პოლისინთეზურ ენებს (იხ. ქვემოთ ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია § 116).

§ 79. აფიქსის ადგილმდებარეობა და ფუნქცია. რა მიმართებაში იმყოფება აფიქსების ფუნქციური დახასიათება ადგილმდებარეობის მიხედვით დახასიათებასთან? პრეფიქსი შეიძლება იყოს დამოკიდებულების აღმნიშვნელიცა (**გ-არ, ვ-მუშაობ, მ-აქებს**) და მნიშვნელობის მცველიც, ფუძის საწარმოებელიც (**მე-ნავ-ე, ხა-თავ-ე**); იგივე ითქმის სუფიქსისა და ინფიქსის შესახებ: მუშაობ-**ს**, გაგზავნ-**ა**, ამხანაგ-**ებ**: **-ს**,

[3] და- (დასათაურებული), შე- (შესამოწმებლად), გა-და- (გადასამზადებელი) და სხვა ე. წ. პ რ ე ვ ე რ ბ ე ბ ი ჩვეულებრივ პრეფიქსებად არ მიიჩნიათ: ეს ნაწილაკები მზამზარეულ სიტყვას დაერთვის და, მაშასადამე, სიტყვის გარეთ მდებარეობსო. ასეთი დასკვნა მართებული იქნებოდა, რომ ხშირად ეს პრევერბები ფუძის მნიშვნელობას არ ცვლიდნენ, ზოგჯერ არსებითადაც: შდრ. ა-გება, გა-გება, მი-გება, მო-გება, წა-გება, და-გება... ასეთ შემთხვევაში პრევერბი ფუძის საწარმოებელი აფიქსის როლში გამოდის.

-ა, -მა — დამოკიდებულების აღმნიშვნელი სუფიქსებია; სა-თა-**ურ**-ი, და-სა-თა-**ურ-ებ-ულ**-ი, და-სა-თა-**ურ-ებ-ა** — **-ურ, -ებ-, ულ-, -ა** — ფუძის საწარმოებელი სუფიქსებია.

„ხვნა"-ში **ვ** ინფიქსი, როგორც ვიცით, ფუძის საწარმოებელ **-ავ** სუფიქსის ნარჩენია, „ნავხე"-ში კი **ვ-** ინფიქსი დამოკიდებულების აღმნიშვნელი **ვ-** პრეფიქსისაგან მივიღეთ.

§ 80. სიტყვის დაშლა და საამისოდ საჭირო პირობები. აფიქსების გამოყოფა სიტყვაში ნიშნავს სიტყვის დაშლას. დაშლა გრძელდება მანამდე, სანამ აფიქსების თანდათან ჩამოცილებით არ მივიღებთ მარტივ ფუძეს (ძირს). მაგალითად:

1. ამხანაგურად } **-ად** სუფიქსი. } **-ურ** სუფ.
ამხანაგურ- ნაწარმ.ფუძე — **ამხანაგ-** მარტ.ფუძე (ანუ ძირი).

სიტყვა „ამხანაგურად" დაშლისას გვაძლევს **ამხანაგ**-მარტივ ფუძესა და ორ სუფიქსს: **-ურ-, -ად.**

1. მეგობრულად— } **-ად** სუფიქსი. } **-ულ** სუფ.
მეგობრულ- ნაწარმ.ფუძე— **მეგობრ-** მარტ. ფუძე (ძირი).

დაშლის შედეგად მიღებული მარტივი ფუძე (მეგობრ-) და სუფიქსები **(-ულ, -ად)** არ წარმოგვიდგენს იმ მასალას, რომლისაგანაც ეს სიტყვა აიგო: ცვლილებები განიცადა როგორც ფუძემ, ისე სუფიქსმა; სახელდობრ: **ულ-** სუფიქსი ფონეტიკურად სახეცვლილი **-ურ** სუფიქსია; ცვლილების მიზეზია **-რ** ფუძეში (მეგობრ-): ამ **რ**-ს ზეგავლენით სუფიქსისეული **-რ** შეიცვალა **-ლ**-დ. უნდა ყოფილიყო: მეგობრ-**ურ**-ად, მივიღეთ „მეგობრულად" (შდრ.: ამხანაგ-ურ-ად, ძმურ-ად, მეზობლ-ურ-ად...).

ცვლილება განიცადა ფუძემაც სუფიქსის ზეგავლენით: იყო „მეგობარ", მივიღეთ „მეგობრ"; მოხდა ფუძის შეკუმშვა **-ურ-** სუფიქსის ზეგავლენით.

მაშასადამე, ამ ცვლილებათა გათვალისწინებით დაშლისას სიტყვა „მეგობრულად" გვავარაუდებინებს:

მ ე გ ო ბ ა რ (მარტ. ფუძეს) + უ რ + ა დ (სუფიქსები).

როცა დავშალეთ სიტყვა „ამხანაგურად", უცვლელად მივიღეთ ის ელემენტები, რომელთაგანაც სიტყვა აგებულ იქნა. სიტყვაში „მეგობრულად" (ფუძის წარმოებისას) შეინიშნება ცვლილებები როგორც მარტივ

ფუძეში, ისე სუფიქსში; ფუძის ცვლილება სუფიქსითაა გამოწვეული, სუფიქსისა — ფუძით. ეს ცვლილებები ფონეტიკური ხასიათისაა; მათი გათვალისწინების გარეშე სიტყვის ანალიზი პირვანდელ შემადგენელ ნაწილამდე ვერ მიგვიყვანს.

კიდევ მაგალითი:

სამომხმარებლო: { **სა — ო** / **მომხმარებლ —** { **მო- — -(ე)ლ** / **-მხმარებ —** { **მ- — -ებ** / **-ხმარ-** } }

სამომხმარებლო: სა-მო-მ-**ხმარ**-ებ-(ე)ლ-ო; მარტივ ფუძეს **-ხმარ-** დაერთვის **სამომ-** პრეფიქსები და **-ებ-(ე)ლ-ო** სუფიქსები; **-ელ** სუფიქსი **-ო** სუფიქსის დართვისას კარგავს **ე**-ს.

განათლებული — { **-ი** / **განათლებულ-** — { **გა- — -ებ-ულ-** / **-ნათ(ე)ლ-** }

განათლებული ← გა-**ნათ(ე)ლ**-ებ-ულ-ი...

განმარტებითი — { **-ი** / **განმარტებით —** { **-ით** / **განმარტებ —** { **გან- — -ებ-** / **-მარტ-** } }

აქ ორი რამ უნდა შევნიშნოთ:

1. მარტივ ფუძედ (ძირად) მიგვაჩნია ის, რაც არ იშლება ამჟამად; თანამედროვე ქართულის თვალსაზრისით **-მარტ-** (განმარტებით-ში), **-ნათელ-** (განათლებულ-ში), **შეგობარ-, ხმარ-** დაუშლელი მონაცემებია, მარტივი ფუძეა, ძირია; მაგრამ ისტორიული განვითარების წინა საფეხურების გათვალისწინება დაგვანახვებს, რომ შეუძლებელი არაა მათი დაშლა, მათში აფიქსისა თუ აფიქსების გამოყოფა და ახალი ძირეული კომპლექსის დადგენა.

მაშასადამე: სიტყვის დაშლისას ყოველთვის უნდა დავიცვათ ისტორიული პერსპექტივა. სიტყვის ანალიზი შეიძლება აღწევდეს სხვადასხვა სიღრმეს იმისდა მიხედვით, თუ ენის განვითარების რა პერიოდს ვიღებთ. უნდა გავარჩიოთ ანალიზი თანამედროვე ვითარების მიხედვით და ანალიზი ისტორიული თვალსაზრისით.

2. სიტყვის დაშლას რომ ვაწარმოებთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა სიტყვა არ იშლება, ყველა სიტყვაში არ გამოიყოფა ფუძე და აფიქსი; ჩვენი მსჯელობა შეეხება ე. წ.

ფორმაცვალებად (ანუ ფორმიან) სიტყვებს; ფორმაუცვლელ ანუ უფორმო სიტყვებში არც ფუძე გამოიყოფა და არც აფიქსები (იხ. ამის შესახებ ქვემოთ § 86).

არსებობს ტექნიკური ხერხი, უკეთ ვთქვათ, საკონტროლო საშუალება იმის გასარკვევად, დაიშლება თუ არა სიტყვა ფუძედ და აფიქსებად; ეს საშაულება შემდეგში მდგომარეობს: უნდა დავძებნოთ **იგივე სუფიქსი** სხვა ფუძეებთან და **იგივე ფუძე** სხვა აფიქსებთან; პირველი რიგის მაგალითებს ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ ათავსებენ, მეორეს — ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ:

ამხანაგ-ურ-ად, ძმ-**ურ-ად,** მეზობლ-**ურ-ად,** ვაჟკაც-**ურ-ად...**
ამხანაგ-ობა
სა-**ამხანაგ-**ო
დაუ-**ამხანაგ-**და
ამხანაგ-ის
ამხანაგ-მა
ამხანაგ-ები...

„სამომხმარებლო"-ში **სა-** პრეფიქსი აღმოჩნდა; სიტყვაში „სამი" **სა-** არ გამოიყოფა (არც როგორც პრეფიქსი და არც როგორც ძირი: იგი ძირის ნაწილია). შევამოწმოთ ზემოაღნიშნული წესის მიხედვით.

სა-მი, **სა-**ერთო, **სა-**ოცარი, **სა-**ნატრელი, **სა-**ურთიერთო... ჰორიზონტალური წყება მოგვეპოვება: **სა-** თავსართი არსებობს ქართულში; მაგრამ ვერტიკალურ წყებას ვეღარ ვპოულობთ: სა-**მი...** სხვა აფიქსთან ეს **-მი-** აღარ მოიძევება — გასაგები მიზეზების გამო: **„მი"** ფუძე არა გვაქვს...

აგრეთვე შეიძლებოდა ჩამოგვეთვალა გრძელი წყება სიტყვებისა, რომლებშიც მეორდება თავკიდური **კა-: კაცი, კავი, კაჟი, კატა, კარი, კანჭი...,** მაგრამ ამ **კა-**ს ვერ გამოვყოფდით აფიქსად — დარჩენილი ნაწილი ფუძედ არ გამოდგებოდა, ვერტიკალურ წყებას ვერ შექმნიდა. ამ **კა-**ს ფუძედაც ვერ მივიჩნევდით: დარჩენილი ნაწილი არ წარმოადგენს სუფიქსს (ანდა ფუძეს).

§ 81. აფიქსის ბგერითი სახე და ფუნქცია. აფიქსები, როგორც ვიცით, ან დამოკიდებულებას აღნიშნავენ ანდა ფუძეს აწარმოებენ, მნიშვნელობას ცვლიან. დამოკიდებულება სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს; მნიშვნელობის ცვლაც ნაირ-ნაირია.

განსხვავებული ფუნქციის მქონე აფიქსი ჩვეულებრივად ბგერითადაც განსხვავებულია; მაგალითად, ნათესაობითი ბრუნვის

ნიშანია **-ეს(ა)**, მიცემითისა — **-ს(ა)**, მოქმედებითისა — **-ით(ა)**... **გ-** პრეფიქსი ზმნაში აღნიშნავს პირველი პირის სუბიექტს (**გ-აქებ** მე), **შ-** პრეფიქსი — იმავე პირის ობიექტს (**შ-აქებს** მე), **გგ-** პრეფიქსი კი — პირველი პირის ობიექტს მრავლობით რიცხვში (**გგ-აქებს** ჩვენ)... **-ურ** სუფიქსი სადაურობისა და თვისება-რაგვარობის მაჩვენებელია (თუშ-**ურ-**ი, სვან-**ურ-**ი... ამხანაგ-**ურ-**ი, მუხანათ-**ურ-**ი...); **ხი-** — **-ე** პრეფიქს-სუფიქსი თვისების პირველადი სახელისაგან თვისების განყენებულ სახელს აწარმოებენ (ლამაზი — **ხი-**ლამაზ-**ე**, მაღალი — **ხი-**მაღლ-**ე**, მახინჯი — **ხი-**მახინჯ-**ე**...).

ბგერითად განსხვავებული აფიქსი ფუნქციის მიხედვითაც განსხვავებულია; ასეა ჩვეულებრივად, მაგრამ

1. შესაძლებელია ბგერითად განსხვავებული აფიქსები ერთი და იმავე მნიშვნელობისა იყოს. ვგულისხმობთ არა ისეთ შემთხვევებს, სადაც ბგერითი სხვაობა ფონეტიკურმა პროცესებმა გამოიწვია (ძმა-**შ**, მეგობარ-**შა**... ძმ-**ურ-**ი, მეგობრ-**ულ-**ი), არამედ ისეთებს, სადაც ბგერითად სხვადასხვა წარმოშობის აფიქსები გვაქვს: ძმა-**ნ-**ი და ძმ-**ები**... დგა-**ხ** და დგებ-**ა**... მოდი-**ან**... და თამაშობ-**ენ**... **-ნ** და **-ებ**; **-ხ** და **-ა**; **-ან** და **-ენ** — ერთი და იმავე ფუნქციისაა, ბგერითად კი განსხვავებულია (ან სხვადასხვაა).

2. ბგერითად ერთნაირი აფიქსი შეიძლება **სხვადასხვა მნიშვნელობისა იყოს; -ებ** სუფიქსი სახელებში: ამხანაგ-**ებ-**ი, ძმ-**ებ-**ი, მეგობრ-**ებ-**ი — მრავლობითობას აღნიშნავს; **-ებ** სუფიქსი ზმნებში: აშენ-**ებ-**ს, აგ-**ებ-**ს, ამშვიდ-**ებ-**ს, აწითლ-**ებ-**ს, ალამაზ-**ებ-**ს... აწმყოს ფუძის საწარმოებელია...

დავითი არჩილს წერილს უგზავნის; არჩილს წერილს, — ორივე **-ს** მიცემითი ბრუნვის ნიშანია; უგზავნის: აქ **-ს** სუბიექტის მესამე პირის სუფიქსია და ეს სულ სხვაა, ვიდრე მიცემითის ნიშანი **-ს**. „დავითი არჩილს დახმარებასა **სთხოვს**“: უკანასკნელ სიტყვაში **ს** პრეფიქსადაც გვაქვს და სუფიქსადაც; ორსავე შემთხვევაში ეს **-ს** პირს აღნიშნავს, მაგრამ განსხვავებულს: **-ს-** სუფიქსი მიუთითებს მესამე პირის სუბიექტზე, **ს-** პრეფიქსი — მესამე პირის ობიექტზე (მიცემითში); ასე რომ, ეს ორი **-ს** სხვადასხვა მორფოლოგიური ოდენობაა ბგერითი ერთგვაროვნების მიუხედავად.

ერთი სიტყვით, აფიქსებშიაც შეიძლება გვქონდეს **სინონიმები** და **ომონიმები**: სინონიმურია **-ან** და **-ენ; -ხ** და **-ა**... ომონიმური აფიქსების ნიმუშია **-ებ** (ძმ-**ებ-**ს, აშენ-**ებ-**ს), **-ხ** (არჩილ-**ხ**, სწერ-**ხ**).

3. ერთსა და იმავე აფიქსს შეიძლება ერთზე მეტი მნიშ-

ვნელობა ჰქონდეს; ვ-აქებ-თ; **ვ-** აღნიშნავს პირს, პირველს; **თ** — რიცხვს, მრავლობითს; აქებ-**ენ**: **-ენ** აღნიშნავს როგორც პირს, მესამეს, ისე რიცხვს, მრავლობითს; შდრ. აგრეთვე: ძმ-ებ-ისა და ძმა-თა. უკანასკნელში **-თა** სუფიქსი აღნიშნავს მრავლობით რიცხვსაც, ბრუნვასაც.

ქართულსა და სხვა ქართველურ ენებში ამის მაგალითები მცირეა; ამგვარ მაგალითებში ი ს ტ ო რ ი უ ლ ა დ ერთი ფუნქცია უნდა ვივარაუდოთ; მეორე ფუნქცია მერე განვითარებული ჩანს. ისტორიულად **-ენ** (აქებ-**ენ**) მხოლოდ მრავლობითობას აღნიშნავდა ისევე, როგორც **-თა** — სახელებში (ძმა-**თა**).

რუსულში ერთზე მეტი ფუნქციის მქონე აფიქსები ჩვეულებრივი მოვლენაა: товарищ-ам: -ам მიცემითსაც აღნიშნავს და მრავლობითობასაც; мы читаем-ში -ем პირველი პირის მაჩვენებელიცაა და მრავლობითობისაც. ასევეა გერმანულში, ფრანგულში, ძველ ბერძნულში, ლათინურში...

თქმულის მიხედვით უნდა დავასკვნათ: ერთი და იგივე აფიქსია თუ სხვადასხვა, ამას წყვეტს არა ბგერითი ერთგვაროვნება თუ სხვაობა, არამედ ფუნქცია, დანიშნულება (იხ. პირველი სამი შესაძლებლობა).

აქედან არ გამომდინარეობს, რომ ერთზე მეტი ფუნქციის მქონე აფიქსი „სხვადასხვა აფიქსად" უნდა მივიჩნიოთ: **ერთ** აფიქსს რამდენიმე მნიშვნელობა ისევე შეიძლება ჰქონდეს, როგორც — სრულმნიშვნელოვან სიტყვას.

§ 82. მოქმედი და უქმი აფიქსები. მოქმედი ეწოდება ისეთ აფიქსს, რომელიც **ხმარებაშია** (იხმარება დამოკიდებულების აღსანიშნავად, ფუძის საწარმოებლად...); **უქმია** ისეთი აფიქსი, რომელიც იხმარებოდა გარკვეული დანიშნულებისათვის, მაგრამ აღარ იხმარება. სხვანაირად რომ ვთქვათ, **მოქმედი** აფიქსი **ცოცხალი** აფიქსია, **უქმი** აფიქსი — **მკვდარი.** მოქმედ აფიქსს აგრეთვე **პროდუქტიულს** უწოდებენ, უქმს — **არაპროდუქტიულს.**

თანამედროვე სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით ცოცხალია, მაგალითად, ბრუნვის ნიშნები: **-ი** (ამხანაგ-ი), **-მა** (ამხანაგ-მა), **-ხა** (ამხანაგ-სა...) და სხვ. როცა ქართული სესხულობს თანხმოვანზე დაბოლოებულ სახელს უცხო ენიდან, სახელობითში მას უთუოდ დაურთავს **-ი**-ს: კომბაინ-**ი**, კოლექტივ-**ი**, ტრაქტორ-**ი**... თანხმოვანზე დაბოლოებულ ქართულ სახელთა ფუძეებში ეს **-ი**- სახელობით ბრუნვაში აუცილებელია; კალამ-**ი**, ფანქარ-**ი**, წიგნ-**ი**, სასწავლებელ-**ი**: **-ი** ც ო ც ხ ა ლ ი, მ ო ქ მ ე დ ი აფიქსია.

ასევე ცოცხალია პროფესიის აღმნიშვნელი ფუძის საწარმოებელი აფიქსები **მე- — -ე: მე-ბაღ-ე, მე-ჩექმ-ე, მე-ხილ-ე, მე-დუქნ-ე, მე-ნავ-ე, მე-ბულდოზერ-ე...** რისამე მქონეობის აღმნიშვნელი **-იან-** სუფიქსი: ქუდ-**იან**-ი, ნამუს-**იან**-ი, ჰკვ-**იან**-ი, ფხ-**იან**-ი, წყლ-**იან**-ი... და სხვა მრავალი აფიქსი, რომელიც ამჟამად იხმარება ქართულში. მათი ძებნა არ გვჭირდება.

ამჟამად უქმი, მკვდარი აფიქსების ნიმუშები იქნებოდა: 1. **-ედ:** ვარსკვლავ-**ედ**-ი, გოდლ-**ედ**-ი, კავო-**ედ**-ი... მისი მნიშვნელობა ახლა ცხადი არაა; და ეს გასაგებია: ეს სუფიქსი მკვდარია (როცა ის ცოცხალი იყო, მისი მნიშვნელობაც ისევე იყო გარკვეული, როგორც ზემოხსენებული ცოცხალი, მოქმედი აფიქსებისა).

-ედ ნიშნავდა იმასვე, რასაც **-იან** აღნიშნავს: ვარსკვლავ-ედ-ი=ვარსკვლავიანი, გოდლ-ედ-ი=გოდლიანი, კავო-ედ-ი=კავიანი...[4] ამისდა კვალად „შარავანდ-**ედ**-ი, ცხადია, შარავანდ-ით"[5] მოსილს უდრის. ახლა ხშირად ხმარობენ: „შარავანდედით მოსილიო": ეს მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ **-ედ** მკვდარია, მისი მნიშვნელობა უჩინარი, **-ედ** ფუძისეულ მასალაშია გადარიცხული, მნიშვნელობის მცველ აფიქსად უკვე აღარ მიიჩნევა.

მკვდარი საწარმოებელი აფიქსი მარტივ ფუძეს შეეზარდა და მხოლოდ ისტორიული ანალიზი გამოყოფს მას ამ ფუძეში. რომელიმე „ყბედ-ი", უნდა ვიფიქროთ, „ყბ-იან-ს" ნიშნავდა, ე. ი. ისეთს, რომელსაც ყბა არ ენანება, ბევრს ლაპარაკობს; ახლა კი ყბედ- ფუძეში „ყბა"- ფუძის არსებობა არ შეიმჩნევა, რადგანაც **-ედ** სუფიქსად აღარ იგრძნობა.

2. ძვ. ქართულში აქა-იქ გვხვდება ადამიანთა სადაურობის აღმნიშვნელი წარმოება: **მ- — -ელ:** ეგვპტე — **მ**-ეგვპტ-**ელ**-ი, ეგვპტის მცხოვრები; აჩაბ-ეთ-ი — **მ**-აჩაბ-**ელ**-ი=აჩაბეთის მცხოვრები; ეგრ-ის-ი — **მ**-ეგრ-**ელ**-ი=ეგრისის მკვიდრი.

ახლა აღარ ვამბობთ: მ-ეგვიპტელი, მ-ესპანელი, მ-იტალიელი... საკმარისია **-ელ** სუფიქსი დავურთოთ: ეგვპიტ-ელ-ი, ესპან-ელ-ი, იტალი-ელ-ი, დიღმ-ელ-ი, წილკნ-ელ-ი და სხვ. ადამიანთა სადაურობის აღსანიშნავად **მ — ელ** წარმოება მკვდარია. მეგრელ-ში, მაჩაბელ-ში **მ** **ამჟამად** ძირის კუთვნილებად მიიჩნევა. მკვდარი აფიქსი ან დაი-

---

[4] საბას ლექსიკონში ბლომად მოიპოვება -ედ-ით ნაწარმოები სახელები.

[5] „შარაბანდ", უფრო ზუსტად „შაჰრაბანდ" სპარსულია და „მეფის თავსაკრავს", „მეფის გვირგვინს" ნიშნავს.

კ ა რ გ ე ბ ა ან ფუძეს შ ე უ ხ ო რ ც დ ე ბ ა.

3. დამოკიდებულების აღმნიშვნელ აფიქსთაგან აქვე შეიძლებოდა მოგვეგონებინა **-ნ** (მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი): მა-ნ, ვი-ნ... ოღონდ ეს კია, რომ აქ **-ნ** ძველ ქართულშიც მხოლოდ ამ ორ სახელში გვხვდება და ამდენად განსაკუთრებულ ვითარებაშია.

§ 83. ფუძის შემადგენლობისა და აფიქსის ფუნქციის რეინტერპრეტაცია. სიტყვებში: **ყბედ-ი, მაჩაბელ-ი, მეგრელ-ი -ედ** სუფიქსი, **მ-** პრეფიქსი ფუძეს შეუხორცდა. ასევე ითქმის **ს-** თავსართის შესახებ ძვ. ქართ. **ს-ძე-**ში (ახლა რომ რ-ძე-დ ითქმის), **სე-** თავსართის შესახებ სიტყვებში შეშა (← სე-შა), ცეცხლი (← სე-ცხლი), **სა-** თავსართის შესახებ სიტყვაში ცაცხვი (← სა-ცხვი)...

ეს თავსართ-ბოლოსართები ფუძეს შეუხორცდა. **ყბედ-, სძე-, მაჩაბელ-, შეშა, ცეცხლ-, ცაცხვ- — ნაწარმოები** ფუძე იყო; ამჟამად **მარტივ ფუძედ** გვესმის. ამგვარად, **ფუძის შემადგენლობის გაგება** შეიცვალა: ფუძის შემადგენლობა **ახლებურად გააზრიანდა.** ახლებურად გააზრების („გადასხვაფერებულად გააზრების") ამ პროცესს **რეინტერპრეტაცია** („ხელახალი ინტერპრეტაცია") ეწოდება.

რეინტერპრეტაცია აქ **ფუძის შემადგენლობას** შეეხებოდა. შეიძლება აფიქსის **ფუნქციის** რეინტერპრეტაციაც მოხდეს; ასე, მაგალითად, ზმნაში ვ-არ, ვ-წერ, ვ-აკეთებ (მე) **ვ- ამჟამად** პირველი პირის სუბიექტის ნიშანია; წარმოშობით კი ეს თავსართი ა დ ა მ ი ა ნ ი ს კატეგორიის მაჩვენებელი იყო (ვ-არ ადამიანზე ითქმოდა მიუხედავად იმისა, რა პირიც იქნებოდა). **-ენ** (წერ-ენ) მხოლოდ რიცხვს აღნიშნავდა, ახლა რიცხვსაც აღნიშნავს და პირსაც.

-თა (ძმათა) მრავლობითობის მაჩვენებელი იყო, ახლა მრავლობითზედაც მიუთითებს და ბრუნვაზედაც.

რეინტერპრეტაციის პროცესები — ფუძის შემადგენლობას ეხება ის, თუ აფიქსების ფუნქციებს — მეტად მნიშვნელოვანია ენის ისტორიის თვალსაზრისით.

§ 84. აფიქსების სესხების საკითხი. ყოველ ენაში ბლომად მოიპოვება სხვა ენებიდან ნასესხები სიტყვები (§ 58). სიტყვის სესხებისას დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები მ ს ე ს ხ ე ბ ე ლ ი ენისაა, მსესხებელი ენა თავის მორფოლოგიური სისტემის შესაბამისად აფორმებს ნასესხებ მასალას, ნასესხები ფუძეღა გამოდის.

თუ ეს ფუძე ნაწარმოებია, საწარმოებელი აფიქსებიც, ცხადია,

აღმოჩნდება ნასესხებ სიტყვებში. მაგრამ ეს არაა აფიქსის სესხება: ანარქ-ისტ-ი, კაპიტალ-ისტ-ი, სოციალ-ისტ-ი, კოლექტივიზ-აცია, მექანიზ-აცია, კვალიფიკა-ცია, რაციონალიზ-აცია, უნიფიკ-აცია და მაგგვარ მაგალითებში **(-ისტ-, -აცია)** სუფიქსების სესხებაზე ლაპარაკი არ შეიძლება; აქ სუფიქსები კი არაა ნასესხები, არამედ **სუფიქსების შემცველი სიტყვები.**

აფიქსის სესხებაზე ლაპარაკი მაშინ შეიძლება, თუ **ერთი ენის აფიქსი მეორე ენის სიტყვებში ფუძის საწარმოებლად** (ანდა ფლექსიად) არის გამოყენებული. ამის მაგალითი იქნებოდა ქართულ სასაუბრო ენაში ხმარებული სიტყვა „კუკ-ისტ-ი", „კუკ-იზმ-ი", სადაც **-ისტ-, -იზმ-** სუფიქსები ქართულ ფუძეს დაერთვის.

ქართულში აუარებელი ნასესხები სიტყვა გვაქვს, ნასესხები აფიქსები კი სანთლით საძებარია. ეს მხოლოდ ქართულის თავისებურებას არ წარმოადგენს. ეს საერთო მოვლენაა. **აფიქსებიხ სესხება ხდება, მაგრამ იშვიათად.** ერთი ენა მეორისაგან **მახალას** სესხულობს, **ფორმა, ყალიბი** მისია, მსესხებლისა. ასეა ჩვეულებრივად. იშვიათ შემთხვევაში აფიქსის სესხებაც ხდება, უფრო ადვილად ფუძის საწარმოებელი აფიქსებისა, უფრო ძნელად — დამოკიდებულების აღმნიშვნელთა.

თუ ენაში ნასესხები აფიქსები მომრავლდა, ეს იმას ნიშნავს, რომ სათანადო ენის გრამატიკული წყობა შეირყა, ეს კი ენის არსებობას საფრთხეს უქმნის.

§ 85. აფიქსების წარმოშობის საკითხი. აფიქსთა უმეტესობა ისეთ დროს არის წარმოქმნილი, რომ ისტორიული, დოკუმენტური ძიება მათ ვერ სწვდება. ამისდა მიუხედავად გაბატონებული ის აზრია, რომ აფიქსები დამოკიდებული „სიტყვებისაგან" (ფუძეებისაგან) მომდინარეობენ: თუ ამჟამად აფიქსი ეწოდება სიტყვის ისეთ ნაწილს, რომელიც თავისთავად არაფერს ნიშნავს და მხოლოდ ფუძეს დართვისას გარკვეულ როლს ასრულებს, წინათ იგიც მნიშვნელობის მქონე იყო. სხვანაირად რომ ვთქვათ, ის დაპირისპირება, რომელიც ამჟამად არსებობს ფუძესა და აფიქსს შორის, წინათ არ არსებობდა, მაშინ, თუ შეიძლება ასე ითქვას, **ყველა ერთეული ლექსიკური იყო, ენაში მხოლოდ ფუძეები გვქონდა.**

იმ აფიქსთა წარმომავლობა, რომელთა ისტორიაც დოკუმენტურად ცნობილია, სავსებით ადასტურებს ზემოხსენებულ გაგებას. სხვადასხვა ენის ისტორია მოწმობს, რომ სრულმნიშვნელოვანი სიტყვა, ზოგჯერ გამოთქმაც კი დამხმარე სიტყვად ქცეულა, ზოგჯერ აფიქსის

სახეც მიუღია.

აი — ორიოდე ნიმუში. მოთხრობითი ბრუნვის დაბოლოებას ამჟამად წარმოადგენს **-მ||-მა** (ძმა-მ, მეგობარ-მა); ძვ. ქართულში გვქონდა **-მან** (ძმა-მან, კაც-მან); ბრუნვის ეს დაბოლოება იგივე ნაცვალსახელია მესამე პირისა მოთხრობით ბრუნვაში, რომელსაც ჩვენ ამჟამადაც ვხმარობთ (**მან** დაწერა, მითხრა...). როგორც ნაცვალსახელი, ის უცვლელად შეგვრჩა („მან" შედის ბრუნვათა სისტემაში: მან, მას, მის, მათ...). როგორც დაბოლოება მოთხრობითისა, ის კარგავს **-ნ**-ს (თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან: კაც-**მა**) და **-ა**-საც (ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან: ძმა-**მ**). ძველ ქართულში კი მოთხრობითის დაბოლოება უცვლელად იმეორებდა მესამე პირის ნაცვალსახელს (ძმა-მან, კაც-მან...).

სრულმნიშვნელოვანი სიტყვა „მან" იქცა დაბოლოებად და წარმოგვიდგა **-მა||-მ**-ს სახით; ეს დაბოლოება ამჟამად არაფრით გამოირჩევა სხვა ბრუნვათა ჩვეულებრივი დაბოლოებისაგან (-ისა, -სა, -ითა...).

ერთპირიან ზმნათა (იზრდება, დგება, წვება...) თურმეობითი პირველი აღწერითად იწარმოება; ნამყო დროის მიმღეობას ემატება მეშველი ზმნა აწმყო დროში. პირველსა და მეორე პირში ეს ამჟამადაც ცხადია: გავზრდილვარ, გაზრდილხარ... ავმდგარვარ, ამდგარხარ; მესამე პირი — გაზრდილა, ამდგარა — **-ა** სუფიქსს დაირთავს. ძველ ქართულში აქაც მეშველი ზმნის სრული ფორმა იყო: გაზრდილ **არს. არს** (=არის) სრული სიტყვა იყო. „არს" სიტყვისაგან დარჩა **-ა**: **ს რ უ ლ ი ს ი ტ ყ ვ ი ს ა გ ა ნ მ ი ვ ი ღ ე თ ს უ ფ ი ქ ს ი.**

სხვათა სიტყვის გადმოსაცემად, როცა იგი პირველ პირს ეკუთვნის, იხმარება „მეთქი" („გააკეთე-მეთქი", ვუთხარი... „წავიდა-მეთქი", ვეუბნები...). ეს „მეთქი" იმგვარივე ღირებულებისაა, როგორც **-ო** ნაწილაკი, მესამე პირის ნათქვამის გადმოსაცემად რომ იხმარება („გააკეთა-ო", მითხრა). წარმოშობით კი ეს „მეთქი" მთელი გამოთქმაა: „მე ვთქვი".

„მეთქი" უფრო ნაწილაკია, ვიდრე აფიქსი; მაგრამ ნაწილაკიც პრინციპში იმავე ბუნებისაა, როგორისაც აფიქსი: იგიც ისევე, როგორც აფიქსი, მოკლებულია უნარს თავისთავად აღნიშნოს რამე, ამდენადვე ორივე უპირისპირდება ფუძეს.

„მეთქი" ნაწილაკი მიღებულია **ს რ უ ლ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი** გამონათქვამისაგან.

მეგრულში პირობითი კილოს საწარმოებლად პირველსა და მეო-

რე პირში ზმნას დაერთვის -ეე[6] (ბჰარუნდეე, ჰარუნდეე — ვწერდე, წერდე — ზუსტად რომ ვთქვათ, აქ ბოლოში გრძელი ე გვაქვს).

ეს **ეე** არის ფონეტიკურად გამარტივებული **ერე**, რომელიც დღესაც იხმარება სვანურში და ნიშნავს „რომ“-ს („ბჰარუნდეე ← ბჰარუნდერე=რომ ვწერდე). ჰანურში ეგევე **ერე** აწარმოებს მყოფადს კავშირებითი მეორისაგან; როცა მას წინ ხმოვანი უძღვის, მისგან რჩება **რე**, ხოლო როცა თანხმოვანი უძღვის — მხოლოდ თავკიდური **ე** (ბჰარა-რე, ჰარა-რე, ჰარას-ე...); მაგრამ არის ისეთი ზმნები, რომელთაც შემოუნახავს **ერე** მთლიანად (ჰარას-**ერე**).

ამ შემთხვევაში აფიქსად იქცა დამხმარე სიტყვა, კავშირი **ერე** („რომ“).

ფრანგულში მარტივი მყოფადის საწარმოებელი სუფიქსები (-ai, -as, -a), როგორც ცნობილია, იგივე მეშველი ზმნაა აწმყო დროისა (j'ai, tu as, il a... — მე მაქვს, შენ გაქვს, მას აქვს); მხოლოობითში ეს მეშველი ზმნა მთლიანად მეორდება, მრავლობითის I და II პირში მისი დაბოლოებაა აღებული: je chanter-ai „მე ვიმღერებ“, tu chanter-as „შენ იმღერებ“, il chanter-a „ის იმღერებს“, მაგრამ: nous chanter-ons „ჩვენ ვიმღერებთ“ (შდრ. nous av-ons „ჩვენ გვაქვს“), vous chanter-ez „თქვენ იმღერებთ“ (შდრ. vous av-ez „თქვენ გაქვთ“). მესამე პირში კი ils chanter-ont „ისინი იმღერებენ“ (შდრ. ils ont „მათ აქვთ“).

გერმანულში ფუძის საწარმოებელი სუფიქსი -lich (wirk-lich „ნამდვილ“) მომდინარეობს სიტყვისაგან lik, რაც აღნიშნავდა „მსგავსს“.

მთელი გამოთქმის, **სრულმნიშვნელოვანი ხიტყვის,** ანდა დამხმარე სიტვის **გადაქცევა აფიქსად მიმდინარეობს იმგვარადვე,** როგორც **სრულმნიშვნელოვანი ხიტყვის დამხმარე ხიტყვად გადაქცევა.**

დამხმარე სიტყვაა ამჟამად **„ეგებ“** („ეგებ ცოტა მოვმჯობინდე“!...); წარმოშობით კი ის არის სრულმნიშვნელოვანი სიტყვა, ზმნა („ეგების“, შეეფერება, ხამს, საჭიროა... „არ ეგების“) ვნებითი გვარისა, აწმყო დროისა, მესამე პირი S და O მხოლ. რიცხ.

დამხმარე სიტყვა **„თუნდაც“** საკმაოდ გამჭვირვალე აგებულებისაა: თუ+უნდა+ც (**ც** ნაწილაკი ძველ ქართულში ზმნასაც დაერთვოდა: მოვიდაცა, მოცავიდა)...

დამხმარე სიტყვა **„თითქოს“,** საფიქრებელია, რომ „თუ“ და

[6] მეგრულში არის აგრეთვე პირობითი, რომელიც ნაწარმოებია -ა სუფიქსით: ბჰარუნდ-ა; ეს წარმოება ქართული კავშირებითი პირველის ე-იანი წარმოების ეკვივალენტია.

„თქვას“ (ან ითქვას)-ისაგან არის შემდგარი.

რუსული будто=будь то; если=есть ли...

სიტყვა **„უნდა“** ქართულში სრულმნიშვნელოვანიც არის („დავითს არჩილის ნახვა **უნდა**“: მე მინდა, შენ გინდა, მას უნდა), დამხმარე სიტყვის როლსაც ასრულებს („ეს წიგნი დავითს უნდა ჰქონდეს“...).

ასევე სიტყვა **„ჩანს“** („წყარო არსად ჩანს“; შდრ. „ჩანს, დავითი გვიან მოვა“), **„ეტყობა“** („დავითს დაღლილობა ეტყობა“; შდრ. „ეტყობა, დავითი წასულა“...) და მთელი რიგი სიტყვები ამჟამად სრულმნიშვნელოვანიც არის და დამხმარე სიტყვებადაც იხმარება.

მაშინ, როდესაც აფიქსები ჯერ კიდევ არ არსებობდა, ენაში მხოლოდ „ფუძეები“, ზუსტად რომ ვთქვათ, ახლანდელი ფუძის მსგავსი ერთეულებიღა უნდა გვქონოდა; მათგან ზოგმა დაკარგა თავისთავადი მნიშვნელობა და თანდათანობით იქცა დამხმარე მნიშვნელობის ფუძედ, ნაწილაკად და, ბოლოს, აფიქსად.

აფიქსები რომ ასეთი წარმომავლობისაა, პირველად ჰორნ **ტუკმა** (Horne Tooke) აღნიშნა 1786 წელს: „ყველა ის დაბოლოება, რომელთაც ჩვენ ამა თუ იმ ენაში ვხვდებით, [წარმოშობით]... გარკვეული მნიშვნელობის მქონე დამოუკიდებელი სიტყვებია...“[7]

ანალოგიურ დასკვნამდე მივიდა შედარებითი გრამატიკის ერთერთი ფუძემდებელი ფრანც **ბოპი,** რომელსაც თავისი ცნობილი გამოკვლევის („უღვლილების სისტემისათვის სანსკრიტისა შედარებით ბერძნულის, ლათინურის, სპარსულისა და გერმანული ენების უღვლილების სისტემასთან“, 1816 წ.) მიზნად დასახული ჰქონდა გრამატიკული ფორმების წარმოშობა გამოერკვია, ე. ი. გაერკვია აფიქსთა წარმოშობა.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, აფიქსთა წარმოშობის ასეთი გაგება დღესაც მიღებულია.

§ 86. დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსების არმქონე ანუ ფორმაუცვლელი სიტყვები. სიტყვის ანალიზის დროს აქამდე ჩვენ ვიხილავდით ისეთ სიტყვებს, რომელთაც აფიქსი (თუ აფიქსები) მოეპოვებოდათ. აფიქსის ქონა ნიშნავს ფუძის ქონასაც: აფიქსი ხომ სიტყვის ისეთი ნაწილია, რომელიც (მარტივ) ფუძეს დაერთვის და მასთან ერთად ახალს, ნაწარმოებ ფუძეს ანდა დამთავრებულ სიტყვას წარმო-

[7] ჰ. ტუკის: "Epea pterocnta", II, 429 (1786); მოგვყავს ო. იესპერსენის მიხედვით.

ქმნის. **აფიქსი და ფუძე შეფარდებითი ცნებებია: ერთის არსებობა მეორის არსებობას გულისხმობს.** ამიტომაა, რომ სიტყვის დაშლისას აფიქსების გამოყოფით ფუძეს ვპოულობთ; **ფუძის დაშლა კიდევ იქ თავდება, სადაც მასში ახალი აფიქსისა და ფუძის გამოყოფა შეუძლებელი ხდება.**

აფიქსი ყოველ სიტყვაში არ გამოიყოფა. მხედველობაში გვაქვს არა ისეთი შემთხვევები, როგორიცაა „ქვა, ხე, სოკო, რუ", სადაც აფიქსები არ მოგვეპოვება, და ფუძე და სიტყვა ერთმანეთს უდრის. ჯერ ერთი, აქ აფიქსი ფონეტიკური მიზეზით არის დაკარგული. აქ ყველგან იყო **ი(→ჲ)**, სახელობითის დაბოლოება (ქვაჲ, ხეჲ, სოკოჲ, რუჲ...), ასე რომ, აფიქსის უქონლობა სიტყვის აგებულებას არ ახასიათებს; იმავე რიგის სიტყვები, როცა მათი ფუძე თანხმოვანზე ბოლოვდება, **-ი** სუფიქსს დაირთავენ: სახლ-ი, კედელ-ი, მინდორ-ი, ყვავილ-ი; მეორეცაადა, თვით ამ „უაფიქსო" სიტყვებს სხვა შემთხვევაში კანონზომიერად ერთვის აფიქსები: ქვას, ქვამ, ქვის(ა), ქვით(ა)... ხეს, ხემ, ხის(ა), ხით(ა)... სოკოს, სოკომ, სოკოს(ი), სოკოთ(ი)... რუს, რუმ, რუს(ი), რუთ(ი)...

ამგვარად: უაფიქსო არ ეწოდება ისეთ სიტყვებს, რომელთაც ამა თუ იმ შემთხვევაში ფონეტიკური მიზეზის გამო აფიქსი არ გააჩნიათ და ფუძე და სიტყვა ერთმანეთს უდრის. **უაფიქსო ეწოდება ისეთ სიტყვას, რომელსაც არ შეიძლება დაერთოს აფიქსები მნიშვნელობის შეუცვლელად** ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, **არ შეიძლება დაერთოს დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები.**

ასეთია სიტყვები: ახლა, გუშინ, ადრე, გვიან, მაშინ, აქ, იქ, წაღმა, უკუღმა, გარეთ, შიგნით, ზევით, ქვევით, მერმე და სხვ. ამგვარი სიტყვები დამოკიდებულების აღმნიშვნელ აფიქსებს არ დაირთავენ.

მაგრამ ხომ იხმარება: ახლანდელი, გუშინდელი, ადრინდელი, მაშინდელი, აქაური, იქაური და სხვა? რა თქმა უნდა, იხმარება, მაგრამ „ახლა" სხვაა და „ახლანდელი" სხვა, „გუშინ" აღნიშნავს დროს (როდის?) და „გუშინდელი" თვისებას (როდინდელი? გუშინდელი)... „აქ" მიუთითებს ადგილზე (სად? აქ), „აქაური" კი სადაურობის მაჩვენებელია (სადაური? — აქაური)... აფიქსის დართვის შემდეგ სულ **სხვა ხიტყვებს ვიღებთ,** სიტყვის ახალი ფუძე იწარმოება, ახალი მნიშვნელობის მქონე. სიტყვები: გუშინ, ახლა, აქ, იქ, წაღმა, უკუღმა და მისთ. დაირთავენ მნიშვნელობის შემცვლელ აფიქსებს, მაგრამ ვერ დაირთავენ დამოკიდებულების

აღმნიშვნელ აფიქსებს[8]: გუშინმა, ახლას, აქეთ... შეუძლებელია.

მაშასადამე, **ამგვარი სიტყვა ან მნიშვნელობას შეინარჩუნებს, და მაშინ აფიქსს ვერ დაიერთავს და, თუ აფიქსი დაიერთო, მნიშვნელობას ვერ შეინარჩუნებს, სხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვად იქცევა.** საკუთარი მნიშვნელობის დაცვა და აფიქსის დართვა მათ არ შეუძლიათ.

როგორია უაფიქსო სიტყვების შემადგენლობა? აფიქსები მათ არა აქვთ; მაშასადამე, მთელი სიტყვა **უდრის** აფიქსიანი სიტყვის ფუძეს: **გუშინ — კაც...** უდრის ფუძეს, მაგრამ, რასაკვირველია, არ არის ფუძე. არ არის იმიტომ, რომ ფუძე (კაც-) სიტყვის ნაწილია, მთავარი ნაწილი, მაგრამ მაინც ნაწილი, უაფიქსო სიტყვა (გუშინ) სრული სიტყვაა (და არა — სიტყვის ნაწილი). „კაც" დაუმთავრებელი ნაწყვეტია, „გუშინ" — დამთავრებული სიტყვაა.

„გუშინ" უდრის აფიქსიანი სიტყვის ფუძეს, მაგრამ ფუძედ ვერ მიიჩნევა შემდეგი მოსაზრების გამოც: „ფუძე" გულისხმობს „აფიქსს", „ფუძე" ცნება შეფარდებულია „აფიქს" ცნებასთან. იქ, სადაც „აფიქსი" არ შეიძლება გვქონდეს, უადგილო იქნება ტერმინ „ფუძის" გამოყენება.

აფიქსების შემწეობით იცვლის სიტყვა სახეს; უაფიქსო სიტყვა სახეს ვერ იცვლის. ერთი და იმავე სახით გვხვდება: **გუშინ** ერთი **კაცი** მოვიდა... **გუშინ** ერთმა **კაცმა** თქვა... **გუშინ** ერთ **კაცს** უთქვამს... **გუშინ** ერთი **კაცის** შესახებ მითხრეს... „კაცი, კაცმა, კაცს, კაცის"... ფორმაცვალებადი ანუ ფორმიანი სიტყვაა, „გუშინ", — ფორმაუცვლელი ანუ უფორმო სიტყვაა. **უაფიქსო სიტყვები ფორმაუცვლელ ანუ უფორმო სიტყვებს წარმოადგენენ.**

„უცვლელი" არ ნიშნავს, რომ ასეთი სიტყვა დასაბამიდან უკუნისამდე ერთი და იმავე სახით იარსებებს; ამგვარი სიტყვა (და არც სხვა რამ) არ არსებობს; უცვლელი სიტყვის ბგერითმა სახემ შეიძლება განიცადოს ცვლილებები: გამოაკლდეს ბგერა, ან ჩაერთოს, ანდა ერთი ბგერა შეიცვალოს მეორით: შდრ. ახლა — ეხლა; ზეით, ქვეით — ზევით, ქვევით... და სხვ. უცვლელი ანუ უფორმო სიტყვა არ იცვლება კონტექსტის მიხედვით, ერთი და იმავე სახით იხმარება (განვითარების გარკვეულ ეტაპზე) ყოველგვარ კონტექსტში, — ე. ი.

---

[8] ზევ-ით, ქვევ-ით, აქ-ით, იქ-ით მოქმედებითი ბრუნვის გაფორმებით გვევლინება. მაგრამ ეს იმდენად იმას არ მოასწავებს, რომ უაფიქსო სიტყვებს შეუძლიათ დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსების დართვა, არამედ უფრო იმას მოწმობს, რომ **-ით** აფიქსი წარმოშობით უფრო სიტყვაწარმოებითი აფიქსია, ვიდრე დამოკიდებულების აღმნიშვნელი.

ფორმაუცვლელია.

აფიქსებიანი სიტყვები ფორმაცვალებადი ანუ ფორმიანი სიტყვებია. სხვადასხვა კონტექსტში, სხვადასხვაგვარი დამოკიდებულების გამოსახატავად ისინი იცვლიან აფიქსებს, იღებენ სხვადასხვა ფორმას.

§ 87. აფიქსები და ნაწილაკები. ენაში სიტყვების გარდა ნაწილაკებიც მოიპოვება: „დავითი ერთს ამბობს, სიმონი **კი** — სხვა რაღაცას"... „დავითი**ც** იმას ამბობს, რასა**ც** სიმონი"... „დავითი**ც** ამბობს ამას"... „დავითმა წაიღო, დავითი**ვე** მოიტანა"... „დავითმა რამდენი**მე** საკითხი დასვა"... „აგ**რე** სწრაფად წაიკითხე წიგნი?".

-კი, -ც(ა), -ღა, -მე, -რე... ნაწილაკებია. ნაწილაკები აფიქსებს უფრო ემსავსებიან, ვიდრე — სიტყვებს. საჭიროა მათი ურთიერთობის გარკვევა.

ნაწილაკები ისევე, როგორც აფიქსები, დამოუკიდებლივ, თავისთავად არაფერს აღნიშნავენ. ნაწილაკებიც ისევე, როგორც აფიქსები, **სიტყვასთან** და **სიტყვაში** ასრულებენ გარკვეულ დანიშნულებას. ეს ორი რამ **საერთო აქვს** ა ფ ი ქ ს ე ბ ს ა და ნ ა წ ი ლ ა კ ე ბ ს. განსხვავდებიან კი ისინი შემდეგი ნიშნების მიხედვით:

1. აფიქსები სიტყვის ნაწილს წარმოადგენენ, აფიქსები **სიტყვაში შედიან,** ნაწილაკები დამთავრებულ **სიტყვას დაერთვიან,** სიტყვის **გარეთ** მდებარეობენ.

2. **აფიქსები** მხოლოდ **ცვალებად სიტყვებში გვაქვს. ნაწილაკები** შეიძლება **დაერთოს ცვალებად სიტყვებსაც და უცვლელთა-ც:** მოვიდა დავითიც... დავითიღა... დავითივე... მოვიდა გუშინაც... გუშინღამ... გუშინვე...

ნაწილაკთაგან უნდა განვასხვავოთ **თანდებულები.** ნაწილაკთაგან განსხვავებით **თანდებულები** დაერთვის **გარკვეულ ბრუნვას,** ჩვეულებრივად — ერთს, ზოგჯერ — ორს; **ნაწილაკები** კი განურჩევლად შეიძლება დაერთოს **ყოველ ბრუნვას:** ამხანაგის**გან** წერილი მივიღე... ეს ამხანაგ**ზე** არის დამოკიდებული... ამხანაგ**ში** არ მოვტყუებულვარ... ამხანაგ**თან** დიდი ხანია არ ვყოფილვარ... **-ზე, -ში, -თან** თანდებულები ყოველთვის მიცემით ბრუნვას დაერთვიან. **-გან** თანდებული ნათესაობით ანდა მოქმედებით ბრუნვას მოითხოვს (სოფლიდან წერილი მომივიდა ძმისაგან... სოფლიდან ← სოფლითგან)... სხვა ბრუნვებთან ამ თანდებულებს ვერ ვიხმართ. ნაწილაკებისთვის ბრუნვას მნიშვნელობა არა აქვს: ამხანაგსაც, ამხანაგითაც, ამხანაგისაც, ამხანაგადაც...

თანდებულს ვერ იგუებს მოთხრობითი (და სახელობითი),[9] ბრუნვა, ნაწილაკები კი მათაც დაერთვის: ამხანაგმაც თქვა... ამხანაგიც ამბობს... ამხანაგივე წაიღებს... ამხანაგმავე მოიტანა...

ნაწილაკი შეიძლება დაერთოს როგორც უთანდებულო, ისე თანდებულიან ბრუნვას: ამხანაგისა-ც მოვიტანე — ამხანაგის-თვისაც მოვიტანე... ეს ამხანაგზე არის დამოკიდებული — ეს ამხანაგზედაც არის დამოკიდებული...

§ 88. რას შეუძლია გასწიოს დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსის მაგივრობა? აფიქსის მაგივრობას ეწევა: **ფუძის ფლექსია, განშეორება, ადგილმდებარეობა სიტყვისა, მახვილისა და ინტონაციის ცვლა.**

1. **ფუძის ფლექსია** ეწოდება ფუძისეული ხმოვნის ცვლას, რაც გარკვეული აფიქსის როლს ასრულებს; მაგ., გერმ. der Bruder „ძმა" — მრავლ. die Brüder „ძმები"; მხოლოობითში იყო ბრუდერ, მრავლობითშია — ბრჳდერ; **ჳ**-ს ადგილი დაიჭირა ჲუ-მ, დარბილებულმა **ჳ**-მ; **ჳ**-ს ამგვარი ცვლილება იმას იძლევა, რასაც ქართულში **-ებ-** სუფიქსის დართვით ვღებულობთ: ძმა — ძმ-**ებ**-ი: იგი მხოლოობითს აქცევს მრავლობითად.

ასევეა: der Garten „ბაღი" — die Gärten „ბაღები"; გარტენ — გ̈ართენ: განსხვავება მხოლოდ ერთ ფუძისეულ ხმოვანშია; პირველ შემთხვევაში არის **a**, მეორეში — **ä** (დარბილებული) და ამ ერთი ხმოვნის ცვლა, ისიც ნაწილობრივი, აღნიშნავს მრავლობითობას. მსგავსი მაგალითები შეიძლება სხვა ენებშიც ვიპოვოთ; შდრ. მაგალითად, ინგლის. goose გუზ „ბატი" — geese გ̈ის „ბატები"; tooth თუზ „კბილი" — teeth თ̈ის „კბილები"; foot ფუთ „ფეხი" — feet ფ̈ით „ფეხები"...

დაწერილში განსხვავება მეტი ჩანს, მაგრამ გამოთქმაში სხვაობა მხოლოდ ერთ ბგერას ეხება, ფუძისეულს.

ფლექსია ლათინური სიტყვაა (flexio) და „გაღუნვას" ნიშნავს; ფლექსია ჩვეულებრივ ეწოდება დამოკიდებულების აღმნიშვნელ აფიქსებს (ბრუნვისა და პირის ნიშნებს — იხ. § 63). ამისაგან განსხვავებით აქ ლაპარაკია **„ფუძის ფლექსიაზე"**, „ფუძის გაღუნვაზე", ფუძეში ხმოვნის ცვლაზე.

---

[9] ევროპულ ენებში სახელობითი ბრუნვაა შეუვალი თანდებულებისათვის. არას ვამბობ წოდებითის შესახებ: მას არც ნაწილაკები დაერთვის, არც თანდებული, — არც ქართულში, არც სხვა ენაში. ზუსტად რომ ვთქვათ, წოდებითი არც არის ბრუნვა.

ფუძის ფლექსია განსაკუთრებით ფართოდაა გამოყენებული არაბულსა და მის მონათესავე ენებში; არაბულში სუფიქსებიც მოიპოვება და პრეფიქსებიც, მაგრამ სიტყვის ცვლის მეტად მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს ფუძის ფლექსია. **ქათაბა** — დაწერა; **ქუთიბა** დაიწერა (ენებ.); **იაქთუბუ** — წერს; **იუქთაბუ** იწერება (ენებ.); **ქათიბუ(ნ)** — მწერალი.

ამასთან დაკავშირებით ერთი გარემოებაც უნდა აღინიშნოს: ფუძის ფლექსია ფუძისეული ხმოვნის ცვლას მოასწავებს; სხვადასხვა გრამატიკული ფორმის წარმოებისას ფუძისეული ხმოვანი შეუძლებელია ფუძეს შერჩეს უცვლელად, როგორღა უნდა დაიშალოს არაბული სიტყვა? როგორ უნდა გამოიყოს ფუძე? ცხადია, ხმოვანი ფუძის კუთვნილებად ვერ მიიჩნევა. **არაბული მარტივი ფუძე** (ძირი) **მხოლოდ თანხმოვნებისაგან შემდგარად წარმოიდგინება** (ქთბ... კთლ...); **ხმოვნები აფიქსების როლში გამოდიან.**

2. **განმეორება** ძალიან ხშირად გამოყენებულია მნიშვნელობის გასაძლიერებლად; თვისების აღმნიშვნელ სიტყვათა განმეორება აღმატებითი ხარისხის მაგივრობას ეწევა: სომხ. ჩარ „ბოროტი“: ჩარიჩარ „ბოროტ-ბოროტი“ ე. ი. უბოროტესი; „მეწ“ დიდი, — მეწამეწ „დიდ-დიდი“, ე. ი. ძალიან დიდი, უდიდესი; შდრ. ქართ. ლამაზ-ლამაზი, მაღალ-მაღალი, მსუქან-მსუქანი...

3. **ადგილმდებარეობას** განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იქ, სადაც სიტყვათა ურთიერთობის გამოსახატავად ენას აფიქსები არ გააჩნია. Paul aime Jean ფრანგულად ნიშნავს: „პავლეს უყვარს ივანე“; Jean aime Paul კი იქნებოდა „ივანეს უყვარს პავლე“ (ასევეა გერმანულში: Paul liebt Peter „პავლეს უყვარს პეტრე“, Peter liebt Paul „პეტრეს უყვარს პავლე“); ორივე სახელი უცვლელად რჩება; მხოლოდ ადგილმდებარეობა განსაზღვრავს, ვის უყვარს ვინ, პავლეს — ივანე თუ, პირიქით, ივანეს — პავლე. მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ის, ვისაც უყვარს (საერთოდ, მოქმედი, სუბიექტი) წინ დაისმის, ვინც უყვართ (მოქმედების საგანი, ობიექტი) შემდგომ ადგილასაა.

ქართულში შეგვიძლია ადგილი ვუცვალოთ სუბიექტსაც, ობიექტსაც: „პავლეს უყვარს პეტრე“ და „პეტრე უყვარს პავლეს“ ერთი და იმავე მნიშვნელობისა იქნება, სახელთა დაბოლოება გვაჩვენებს, რომელია სუბიექტი და რომელი — ობიექტი. ამ დაბოლოებათა მაგივრობას ფრანგულსა და გერმანულ ზემოხსენებულ გამოთქმებში სახელთა ადგილმდებარეობა ასრულებს.

4. **მახვილიც** როლის საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიგონოთ

ისეთი მაგალითები, როგორიცაა, რუს. бéрега („ნაპირისა" — ნათესაობ. ბრ. მხოლ. რიცხ.) და берегá („ნაპირები" — სახელობითი და ბრალდებითი ბრუნვა მრავლობითისა); აგრეთვე: стены — „კედლისა", стéны — „კედლები": განსხვავებას ქმნის მახვილი; პირველ შემთხვევაში ის მესამე მარცვალზეა ბოლოდან, მეორე შემთხვევაში — პირველ მარცვალზე ბოლოდან (იხ. § 39).

5. **ინტონაციის** ანუ ხმის აწევის მნიშვნელობას შემდეგი ქართული მაგალითი გაგვათვალისწინებინებს. თუ წინადადებაში კითხვითი სიტყვა არ მოიპოვება (სად, როგორ? როდის? რომელი?...), თხრობითსა და კითხვით წინადადებას მხოლოდ ინტონაცია განასხვავებს: შარშან დაამთავრა. — შარშან დაამთავრა? პირველი ფაქტს აღნიშნავს, მეორე — კითხვას. უკანასკნელს წერის დროს კითხვით ნიშანს ვუსვამთ, გამოთქმაში კი კითხვითი ნიშნის მაგივრობას ასრულებს ხმის აწევა ბოლო მარცვალზე[10]: შარშან დაამთავრა?

ძველ ქართულში კითხვის გამოსახატავად საგანგებო სუფიქსი ა მოიპოვებოდა: კაცი ხარა? ჩვენი მაგალითი ძველ ქართულში ასეთ სახეს მიიღებდა: შარშან დაამთავრაა?

მეგრულში ეს კითხვითი სუფიქსი ო-ს სახით ახლაც ხმარებაშია: გოწოს გაათუო? „შარშან დაამთავრა?" კოჩი რექო? „კაცი ხარ?"

ჰანურში იმავე დანიშნულებას -ი სუფიქსი ასრულებს: ჰან.: კოჩი რეი? სვანურში კიდევ — -ა: სვან.: მარე ხია? „კაცი ხარ?"

ამგვარად, ახლანდელი კითხვითი ინტონაცია იმავე მიზანს ემსახურება, რისთვისაც წინათ -ა სუფიქსი იხმარებოდა: **ინტონაცია ეწევა აფიქსის მაგივრობას.**

ინტონაცია აქ პირობით შეგვაქვს: ინტონაცია დამოკიდებულების აღმნიშვნელი სუფიქსის მაგივრობას არ ეწევა; მისი როლი აქ სპეციფიკურია: უფრო მნიშვნელობის მცველ აფიქსისას წააგავს, ოღონდ აქ სიტყვის მნიშვნელობა კი არ იცვლება, არამედ წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი ს გ ვ ა რ ე ო ბ ა. ეს ფუნქცია სტილისტიკის საგანია (§ 39). სხვაგან ინტონაციამ შეიძლება სიტყვის მნიშვნელობა ცვალოს (მაგ., ჩინურში). ინტონაციის ეს ფუნქცია სემანტიკის შესწავლის საგანი იქნება. შდრ. რუს. замóк და зáмок (§ 39).

ინტონაცია, მახვილი, ადგილმდებარეობა, განმეორება და ფუძის ფლექსია იმ ენებში, საიდანაც ჩვენ მაგალითები მოგვყავდა (ქართული,

[10] მთიულეთში, რაჭაში და ალაგ-ალაგ აღმოსავლეთ საქართველოს ბარის კილოებშიც ხმის აწევა კითხვით წინადადებაში მოდის ბოლოდან მეორე მარცვალზე: შარშან დაამთავრა?

რუსული, სომხური, ფრანგული, ინგლისური, გერმანული) დამხმარე საშუალებას წარმოადგენს. ძირითადად ამ ენათა უმეტესობაში აფიქსებია გამოყენებული. აფიქსის სანაცვლო საშუალებებს ფართოდ იყენებს ჩინური (იხ. § 116).

§ 89. მეტყველების ნაწილები. მეტყველების ნაწილთა ტრადიციული კლასიფიკაცია. აფიქსების ვითარებასთან დაკავშირებულია მეტყველების ნაწილთა საკითხი. ტრადიციული გაგებით მეტყველების ნაწილი არის ცხრა:

1. **არსებითი სახელი** (კითხვებზე: ვინ? რა? — მასწავლებელი, მგზავრი, მეზობელი... წიგნი, ფანქარი, ხე, ქვა, ჰაერი, გონება, გრძნობა, აზრი, მოვალეობა, სისასტიკე, სილამაზე...).

2. **ზედსართავი სახელი** (კითხვებზე: როგორი? რანაირი? სადაური? როდინდელი? — სასტიკი, ლამაზი, წითელი, ლურჯი, თბელი, წყლიანი, გონიერი, რუსული, ლეკური, გუშინდელი, ახლანდელი...).

3. **რიცხვითი სახელი** (კითხვებზე: რამდენი? მერამდენე? — ცხრა, ორმოცდაშვიდი, ათასი, მეოთხედი, მესამედი... მეორე, მესამე, მერვე...).

4. **ნაცვალსახელი** (პიროვნებითი: მე, შენ, მან, ჩვენ, თქვენ, მათ... ჩვენებითი: ეს, ეგ, ის, იგი, ესენი, ეგენი, ისინი, იგინი... კითხვითი: ვინ? რა? რომელი?.. განსაზღვრებითი: ვინც, რაც, რომელიც... განუსაზღვრელობითი: რომელიმე, რამდენიმე, ვიღაცა, რაღაცა...).

5. **ზმნა** (კითხვებზე: რას შევრება? რა ემართება? — წერს, მუშაობს, თამაშობს... კვდება, ცივდება, ლურჯდება, იკარგება...).

6. **ზმნისართი** (აქ, მანდ, წინ, უკან, გარეთ, შიგნით, ახლოს, შორს..., ახლა, გუშინ, შარშან, ადრე, გვიან...).

7. **თანდებული** (-კენ, -თვის, -გან: ძმისა**კენ, ძმისათვის**; -ზე, -ში, -თან: ძმა**ზე, ძმაში, ძმასთან**...).

8. **კავშირი** (**და**: ძმა **და** მეგობარი; **თუ, რომ, როცა**...).

9. **შორისდებული** (ვაშა! ვიშ! იფ! ვაი!...).

როგორც სათანადო კითხვებიდან ჩანს, მეტყველების ნაწილთა უმეტესობა (ცხრიდან — ხუთი) გამოყოფილია იმის მიხედვით, **რას აღნიშნავს სიტყვა** — „საგანს“ (არსებითი სახელი), თვისება-რაგვარობას (ზედსართავი სახელი), რიცხვს (რიცხვითი სახელი), მოქმედება-ვითარებას (ზმნა), გრძნობებს (შორისდებული); დანარჩენი ოთხი დახასიათებულია იმის მიხედვით, თუ რა როლს ასრულებს ესა თუ ის სიტყვა სხვა სიტყვებთან (კავშირი „აკავშირებს“, თანდებული „თან დაჰყვება“ სახელს, ზმნისართი „ზმნას ერთვის“ მნიშვნელობის მიხედვით, ნაცვალსა-

ხელი „სხვა სახელთა ნაცვლად იხმარება").

მაშასადამე, ყველგან კრიტერიუმია — რას აღნიშნავს სიტყვა, რა როლს ასრულებს იგი.

მეტყველების ნაწილთა შესახებ მოძღვრება ყოველთვის არ ყოფილა ასეთი სახისა: არც მეტყველების ნაწილთა რაოდენობა, არც მეტყველების ნაწილთა დახასიათება იმთავითვე არ იყო ასეთი. ორიოდე ცნობა ისტორიული ხასიათისა ამის გასარკვევად. პირველი დამთავრებული სქემა მეტყველების ნაწილებისა მოცემული აქვს დიონისე თრაკიელს „ტექნე გრამატიკე"-ში („გრამატიკულ ხელოვნებაში", — მეორე და პირველ საუკუნეთა მიჯნაზე ჩვენს წელთაღრიცხვამდე). ეს გრამატიკა ბერძნული ენის გრამატიკაა. მასში რვა მეტყველების ნაწილია; სახელდობრ: 1. **სახელი,** 2. **ნაცვალსახელი,** 3. **ნაწევარი ანუ ართრონი,** 4. **ზმნა,** 5. **მიმღეობა,** 6. **ზმნისართი,** 7. **კავშირი** და 8. **წინდებული.**

ამ კლასიფიკაციაში მეტყველების ნაწილის დახასიათებისას მხედველობაში იყო მიღებული როგორც სიტყვის მნიშვნელობა, ისე სიტყვის ფორმა; ასე, მაგალითად, სახელის შესახებ ნათქვამია: „სახელი არის სიტყვა, რომელიც იცვლება ბრუნვათა მიხედვით და აღნიშნავს საგანს ან მოქმედებასაო"... რა თქმა უნდა, აქაც საკლასიფიკაციო ნიშანი ბოლომდე არ არის დაცული; ზოგი სიტყვა დახასიათებულია იმის მიხედვით, თუ რა თვისებები მოეპოვება მას თვითონ, როგორც დამოუკიდებელ ერთეულს, ზოგიც — იმის მიხედვით, თუ რა როლს ასრულებს იგი სხვა სიტყვის მიმართ (ამაზე ქვემოთ).

რა მეტყველების ნაწილებია აქ **მეტი** ახლანდელ ტრადიციულ კლასიფიკაციასთან შედარებით? **რა** მეტყველების ნაწილი **გვაკლია?** შევადაროთ დიონისე თრაკიელის სქემა და ტრადიციული სქემა.

დიონისეს სქემა:	ტრადიციული სქემა:
1. სახელი	1. არსებითი სახელი
2. ნაცვალსახელი	2. ზედსართავი სახელი
3. ნაწევარი ანუ ართრონი	3. რიცხვითი სახელი
4. ზმნა	4. ნაცვალსახელი
5. მიმღეობა	5. ზმნა
6. ზმნისართი	6. ზმნისართი
7. კავშირი	7. კავშირი
და 8. წინდებული.	8. თანდებული (ევროპ.ენებში: წინდებული)
	და 9. შორისდებული.

დიონისე თრაკიელის სქემაში **მეტია:**

1. მიმღეობა (მკეთებელი, გაკეთებული, გასაკეთებელი); იგი ახლა ზმნისაგან ნაწარმოებ სახელებში შედის და ცალკე მეტყველების ნაწილად ისევე არ გამოიყოფა, როგორც მოქმედება-მდგომარეობის აღმნიშვნელი ნაზმნარი სახელი, მასდარი (კეთება);

2. ნაწევარი ანუ ართრონი ბერძნულ სახელებს დაერთოდა სქესის აღსანიშნავად ისევე, როგორც ამჟამად არსებით სახელს დაჰყვება გერმანულში der, die, das ანდა ფრანგულში le, la.

დანარჩენი ექვსი მეტყველების ნაწილი ტრადიციულ კლასიფიკაციაშიც არის დაცული.

დიონისე თრაკიელის სქემაში გვაკლია: 1. ზედსართავი სახელი, 2. რიცხვითი სახელი და 3. შორისდებული.

ამათგან **შორისდებული რომაელმა გრამატიკოსებმა დაუმატეს:** ლათინურში სახელს ნაწევარი არ დაერთვის; ამიტომ ნაწევარი კლასიფიკაციიდან ამოიღეს და მერვე წევრად შემოიტანეს შორისდებული.

ზედსართავი და რიცხვითი სახელები დიონისეს სქემაში შედიოდა სახელებში, როგორც სახელთა გარკვეული სახე. ცალკე მეტყველების ნაწილად ზედსართავი სახელები გამოყვეს შუა საუკუნეებში სუბსტანციისა და ატრიბუტის შესახებ ფილოსოფიურ მოძღვრებასთან დაკავშირებით: სუბსტანციის აღმნიშვნელი სახელი იწოდა სუბსტანტივად ანუ არსებით სახელად, ატრიბუტის აღმნიშვნელი სახელი — ატრიბუტივად ანუ ზედსართავ სახელად. რიცხვითი სახელი ცალკე მეტყველების ნაწილად სახელებს გამოეყო მეჩვიდმეტე საუკუნეში.

ამგვარად, ძირითადი ცვლილება დიონისეს სქემაში არ შეუტანიათ, ოღონდ საკლასიფიკაციო ნიშნის შერჩევისას სიტყვის ფორმა სრულიად უყურადღებოდ იქნა დატოვებული და მხოლოდ მნიშვნელობა სიტყვისა გახდა ამოსავალი; წინათ, კლასიფიკაციის სქემა ფორმასაც უწევდა ანგარიშს, საჭიროების დროს კლასიფიკაციაში ცვლილებაც შეჰქონდათ: რომაელებს თავის ენაში **არ გააჩნდათ ნაწევარი** და საკლასიფიკაციო სქემიდანაც **ნაწევარი ამოიღეს.**

ტრადიციული სქემა კი, რომელიც XIX საუკუნეში დამკვიდრდა, მხოლოდ მნიშვნელობას უწევს ანგარიშს, კლასიფიკაციის დროს სიტყვის ფორმა მხედველობაში არ მიიღება; ამიტომ კლასიფიკაცია უნივერსალური ხდება: **ის „გამოხადება" უფრო ენისათვის იმიტომ, რომ არც ერთი ენის სიტყვათა აგებულებას არ უწევს ანგარიშს.** ასე და ამრიგად: **ბერძნული ენის სიტყვათა კლასიფიკაცია**

ოქცა საერთო მოძღვრებად „მეტყველების ნაწილების“ შესახებ. გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც: წინათ იყო ტერმინი „სიტყვის ნაწილი“. ახლა გვაქვს „მეტყველების ნაწილი“. „სიტყვის ნაწილი“ ზედმიწევნითი თარგმანია ბერძნული „მერე ტუ ლოგუ“-სი და ნიშნავს „წინადადების ნაწილს“[11]. „სიტყვის ნაწილი არის ცხრა“ ნიშნავს: „წინადადებაში შემავალი სიტყვები ცხრანაირი შეიძლება იყოს“.

§ 90. ტრადიციული კლასიფიკაციის ნაკლოვანებანი. ორი ძირითადი ნაკლი ახასიათებს მეტყველების ნაწილთა ტრადიციულ კლასიფიკაციას: 1. ის უვარგისია, როგორც კლასიფიკაცია და 2. ის უნდა იყოს მორფოლოგიური კლასიფიკაცია, არის კი უპირატესად სემანტიკური.

1. კლასიფიკაციის მიზანია მრავალი მსგავსი მონაცემი ცალკე ჯგუფებად დაყოს და ამით სიმრავლეში გარკვევა გააადვილოს (ერთეული ფაქტის კლასიფიკაცია არ შეიძლება და არც არის საჭირო). მრავალი ფაქტის ჯგუფებად დაყოფა გარკვეული ნიშნის მიხედვით ხდება. არ შეიძლება ერთი ჯგუფი ერთი ნიშნის მიხედვით გამოვყოთ, მეორე — მეორისა, მესამე — მესამისა და სხვ.: ჯგუფებად დაყოფის პროცესში სახელმძღვანელო **ნიშანი (კლასიფიკაციის საფუძველი)** არ უნდა შეიცვალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთი და იგივე მონაცემი რამდენიმე ჯგუფში შეიძლება აღმოჩნდეს.

მაგალითად, სრულიად შეუძლებელია ვთქვათ: ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტები იყოფიან კახელებად, ვაჟებად და სწავლაში წარჩინებულებად. ისტორიკოსი შეიძლება იყოს ერთდროულად კახელიც, ვაჟიც და იმავე დროს წარჩინებულიც... ერთი მეორეს არ გამორიცხავს.

კლასიფიკაციის პროცესში საკლასიფიკაციო ნიშნის ცვლა, ერთდროულად სხვადასხვა ნიშნის გამოყენება დაუშვებელ ლოგიკურ შეცდომად ითვლება. და სწორედ ეს შეცდომა აქვს დაშვებული მეტყველების ნაწილთა ტრადიციულ კლასიფიკაციას (აგრეთვე დიონისე თრაკიელის სქემას), როცა ხუთი წევრი გამოყოფილია იმის მიხედვით, თუ **რას აღნიშნავს** სიტყვა, ოთხი კი — იმის მიხედვით, თუ **რა როლს**

[11] მეთვრამეტე საუკუნის ჩვენი გრამატიკოსები (ანტონი და მისი სკოლა) „წინადადებისათვის“ ხმარობდნენ „სიტყვას“, სიტყვისათვის — „ლექს“ ტერმინს; ჩვენ ვამბობთ: „წინადადება შედგება სიტყვებისაგანო“; ისინი იტყოდნენ: „სიტყვა შედგება ლექსებისაგანო“.

ასრულებს იგი სხვა სიტყვებთან ურთიერთობაში.

აი ორიოდე ნიმუში. „სტუდენტებმა უკვე შეიძინეს ის წიგნი, **რომელიც** მათ პროფესორმა ურჩია"... სიტყვა **„რომელიც"** ნაცვალსახელია (იხ. ზემოთ); მაგრამ სრული უფლება გვაქვს იგი „კავშირად" გამოვაცხადოთ: ეს სიტყვა აკავშირებს ორ წინადადებას (სტუდენტებმა უკვე შეიძინეს წიგნი. „რომელი?" — „რომელიც მათ პროფესორმა ურჩია").

ანდა ავიღოთ ზედსართავი სახელის მაგალითი. თუ ვიტყვით: „ზედსართავი თვისებას აღნიშნავსო", „სიმაღლე, სილამაზე, სიწითლე" — ყველა თვისებას აღნიშნავს; თუ ვიტყვით „ზედსართავი სხვა სახელს განმარტავსო", ზედსართავებში გადაირიცხება მრავალი არსებითი სახელი (**ექიმი** ქავთარაძე, **მასწავლებელი** პეტრე, **ამხანაგი** დავითი), რიცხვითი სახელიც (**ხუთი** წიგნი, **ცხრა** ძმა...)... თუ ორივე ნიშანს ერთად ავიღებთ და ვიტყვით: ზედსართავი სახელი თვისებას აღნიშნავს და სხვა სახელს განმარტავსო, ეს იქნება ახალი რთული ნიშნის მიხედვით მეტყველების ნაწილის გამოყოფა, ე. ი. ისევ კლასიფიკაციის ელემენტარული წესების დარღვევა.

დასკვნა: **მეტყველების ნაწილთა ტრადიციული კლასიფიკაცია უვარგისია, როგორც კლასიფიკაცია.**

2. დიონისე თრაკიელი წინადადებაში შემავალ სიტყვებს აჯგუფებდა სიტყვის, ე. ი. წინადადების, ნაწილებად. დიონისეს გრამატიკაში მოცემული იყო ცალკე სიტყვის ყოველმხრივი გარჩევა (ბრუნება, უღვლილება, სიტყვაწარმოება...). გარეშე ამისა გრამატიკა მხოლოდ ფონეტიკის ელემენტებს იძლეოდა, ისიც პრიმიტიული სახით.

მეორე საუკუნეში ჩვენი წელთაღრიცხვისა ამას სინტაქსი დაემატა: შუა საუკუნეებში სასკოლო ტექნიკური გრამატიკა შედგებოდა ძირითადად სამი ნაწილისაგან: ეტიმოლოგიისა, სინტაქსისა და ორთოგრაფიისაგან. ეტიმოლოგია განიხილავდა ცალკე სიტყვებს, სინტაქსი სწავლობდა სიტყვათა შეკავშირების წესებს, ორთოგრაფია მართლწერის ნორმებს იძლეოდა. **ცალკე სიტყვის ყოველგვარი შესწავლა მეტყველების ნაწილებთან დაკავშირებით იყო მოცემული ეტიმოლოგიაში.** ცალკე სიტყვას გრამატიკის არც ერთი სხვა დარგი არ განიხილავდა.

ამჟამად ენათმეცნიერებაში სიტყვას შეისწავლის: **ლექსიკოლოგია, სემანტიკა, მორფოლოგია, ეტიმოლოგია** (და **სტილისტიკა**). წინანდელი ეტიმოლოგიის მაგივრობას ოთხი დარგი ასრულებს და „ყოველი მათგანი შეისწავლის სიტყვას გარკვეული თვალსაზრისით: ლექსი-

კოლოგია, როგორც ლექსიკური შემადგენლობის წევრს, მორფოლოგია — ფორმის თვალსაზრისით, სემანტიკა — მნიშვნელობის თვალსაზრისით, ეტიმოლოგია — ფუძეში მოცემული დახასიათების დადგენის მიზნით.

რა დარგში დარჩა მეტყველების ნაწილთა შესახებ მოძღვრება? მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ა შ ი. მაშასადამე, ცნება „მეტყველების ნაწილი" **მორფოლოგიის ცნებაა და ამ ცნების დადგენისას საფუძველი მორფოლოგიური ნიშანი უნდა იყოს.**

როცა მეტყველების ნაწილებს გამოყოფენ იმის მიხედვით, თუ რა მნიშვნელობისაა სიტყვა ანდა რა მიმართებაშია ეს სიტყვა სხვა სიტყვასთან, ესაა ლექსიკურ-სემანტიკური და სინტაქსური კვალიფიკაცია: **მორფოლოგიური ცნება სემანტიკური და სინტაქსური ნიშნის მიხედვით ყალიბდება.**

სანამ სემანტიკა ცალკე დარგად არ იყო ჩამოყალიბებული, სიტყვის მორფოლოგიური და სემანტიკური დახასიათება ძალაუნებურად ერთად წარმოებდა, მაგრამ **მორფოლოგიური და სემანტიკური თვალსაზრისის არევა გერ გამართლდება მას შემდეგ, რაც სემანტიკა და მორფოლოგია ცალკე დარგებად გამოიყო.** წარსულის ინერციის გაგრძელებას აქ არავითარი გასამართლებელი საბუთი არ გააჩნია, თვით ამ ინერციას თუ არ მივიჩნევთ საბუთად.

§ 91. მორფოლოგიური და სემანტიკური მომენტების შერთიერთობა სიტყვაში. ხომ არ შეიძლებოდა **ერთსა და იმავე დროს სემანტიკურიცა და მორფოლოგიური დახასიათებაც** მოგვეცა მეტყველების ნაწილებისათვის, მორფოლოგიური პრინციპიც დაგვეკმაყოფილებინა და ტრადიციული ხაზიც შეგვენარჩუნებინა? მართლაც და, რა დაგვიშლიდა, სახელი. განგვესაზღვრა, როგორც სიტყვა, რომელიც **საგანს აღნიშნავს** და **ობრუნვის;** ზმნა, როგორც სიტყვა, რომელიც **მოქმედება-გითარებას აღნიშნავს** და **იუღვლება;** ზედსართავი სახელი, როგორც **თვისების აღმნიშვნელი** სიტყვა, რომელიც **სქესების მიხედვით იცვლება** და სხვ.

რა თქმა უნდა, ეს მოსახერხებელი აღმოჩნდებოდა ისეთ ენებში, როგორიც არის რუსული, სადაც საგნის აღმნიშვნელი სიტყვა ბრუნებადიც არის, პირის მოქმედება-ვითარების აღმნიშვნელი სიტყვა უღვლილებადიც არის, საგნის თვისების აღმნიშვნელი სიტყვა სქესის მიხედვითაც იცვლება... მართალია, აქაც დაბრკოლებებს წავაწყდებოდით, მაგრამ მაინც ეს დაბრკოლებები დასაძლევი იქნებოდა.

მაგრამ ეს არ იქნებოდა საკითხის პრინციპული გადაწყვეტა;

ვთქვათ, არის ისეთი ენა, სადაც საგნის აღმნიშვნელი სიტყვები მოგვეპოვება, მაგრამ ეს სიტყვები არ იბრუნვის (ასეთია, მაგალითად, აფხაზური), ანდა თვისების აღმნიშვნელი სიტყვები აქვს ენას, მაგრამ ეს სიტყვები სქესების მიხედვით არ იცვლება (ასეთია ქართული ენა: შდრ. მაღალი და **высокий, высокая, высокое**). გვექნება თუ არა აფხაზურში არსებითი სახელი, ქართულში — ზედსართავი სახელი, როგორც მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი კ ლ ა ს ი ფ ი კ ა ც ი ი ს ერთეული?

ორმხრივი დახასიათების მომხრე ან „კი"-ს იტყვის ან „არა"-ს. თუ „არა" თქვა, ის მორფოლოგიურ დახასიათებას აძლევს უპირატესობას, ორმხრივ დახასიათებაში მისთვის გ ა დ ა მ წ ყ ვ ე ტ ი ყ ო ფ ი ლ ა მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი და არა სემანტიკური მხარე; როცა ის გვეუბნებოდა: „არსებითი სახელი ისეთი სიტყვაა, რომელიც საგანს აღნიშნავს და ბრუნვათა მიხედვით იცვლებაო", მას თურმე უკანასკნელი მომენტი მიაჩნდა გადამწყვეტად, ე. ი. მისი თვალსაზრისი არაფრით გაირჩეოდა იმის თვალსაზრისისაგან, ვინც სახელს ბრუნებად სიტყვად თვლის; სხვანაირად რომ ვთქვათ, ის არსებითად მხოლოდ მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი თვალსაზრისით ახასიათებდა თავის განსაზღვრებაში სახელს.

დავუშვათ, რომ ორმხრივი დახასიათების მომხრემ განაცხადა: „რასაკვირველია, აფხაზურს არსებითი სახელი მოეპოვება და ქართულშიც ზედსართავი სახელები გვაქვსო"... მაშასადამე, მისთვის საკითხს ს ე მ ა ნ ტ ი კ უ რ ი მხარე წყვეტს, და ორმხრივ დახასიათებაში ეს მხარე ყოფილა მისთვის არსებითი, მორფოლოგიური მომენტი კი არაფრის მაქნისი, ზედმეტი ბარგი გამოდის: ორმხრივი დახასიათების ასეთი მომხრე აფხაზურში გამოყოფს არსებით სახელს, ქართულში — ზედსართავ სახელს, ჩინურშიც — ყ ვ ე ლ ა ც ხ რ ა მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ი ს ნ ა წ ი ლ ს. ზოგადად რომ ვთქვათ, **ყოველ ენაში აღმოაჩენს ყველა მეტყველების ნაწილს,** მაგრამ ამ მეტყველების ნაწილს არავითარი მნიშვნელობა არ ექნება სათანადო ენათა **მორფოლოგიური აგებულების** გათვალისწინების თვალსაზრისით: სემანტიკურია[12] კლასიფიკაცია და იმიტომ. **ვინც ამგვარ მეტყველების ნაწილებს იცავს, ის ზოგადი რაციონალური გრამატიკის ნიადაგზე დგას,** ზ ო გ ა დ ი გ რ ა მ ა ტ ი კ ი ს თვალსაზრისით კი ც ა ლ კ ე უ ლ ე ნ ა თ ა შ ე ს წ ა ვ ლ ა არ წ ა რ მ ო ე ბ ს და ა რ ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა წ ა რ მ ო ე ბ დ ე ს.

---

12 სიმარტივისთვის ვუწოდებთ ასე; უნდა გვეთქვა: „ლექსიკურ-სემანტიკურიო".

როდის იქნებოდა შესაძლებელი სემანტიკური დახასიათების მიხედვით მორფოლოგიური თვისება გაგვერკვია, კერძოდ, სემანტიკური კლასიფიკაციის საფუძველზე მეტყველების ნაწილთა ისეთი კლასიფიკაცია მიგვეღო, რომელიც ამა თუ იმ ენის აგებულებას შეეფერება? მხოლოდ **იმ შემთხვევაში, თუ სიტყვის მნიშვნელობა სიტყვის ფორმას** განსაზღვრავდა ანუ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, **სიტყვის ფუძის მნიშვნელობა სიტყვის აფიქსის ბუნებას გაარკვევდა;** ერთი სიტყვით, თუ მათ შორის სრული პარალელიზმი აღმოჩნდებოდა. მაშინ მივიღებდით ასეთ სურათს: საგნის აღმნიშვნელი სიტყვა იბრუნვის, თვისების აღმნიშვნელი — იცვლება სქესის მიხედვით, პირის მოქმედება-ვითარების აღმნიშვნელი სიტყვა იუღლება...: რადგანაც საგნის, თვისებისა და მოქმედება-ვითარების აღმნიშვნელი სიტყვები ყველა ენაში არის, ყველა ენაში გვექნებოდა არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ზმნა...

ცნობილია, რომ ასეთი **პარალელიზმი არ არსებობს;** ცნობილია, რომ არსებობს ენები, სადაც საგნის აღმნიშვნელი სიტყვა არ იბრუნვის, თვისების აღმნიშვნელი სიტყვა არ იცვლება სქესების მიხედვით, პირის მოქმედება-ვითარების აღმნიშვნელი სიტყვა არ იუღლება და, საერთოდ, სიტყვებს დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები არ გააჩნიათ, სხვადასხვა კონტექსტში სიტყვის ბგერითი შემადგენლობა არ იცვლება (ჩინური და სხვა ენები, რომელთაც დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები არ გააჩნიათ).

ასეთ ენებში შინაარსსა და ფორმას შორის არავითარი პარალელიზმი არ არსებობს. მაგრამ იმ ენებშიც, სადაც ფორმა საერთოდ მიჰყვება შინაარსს, ხშირად სიტყვის **მნიშვნელობა** და სიტყვის **ფორმა ერთმანეთის საწინააღმდეგოდაა მიმართული,** შინაარსისა და ფორმის „ანტაგონიზმი" იჩენს თავს. აი ორიოდე მაგალითი ჩვენი ენიდან.

1. სიტყვა „ერთი" **-ებ-** სუფიქსით მრავლობითს არ აწარმოებს (მოწაფეს „ერთები აქვსო" როცა ამბობენ, აქ „ერთს" თავისებური მნიშვნელობა აქვს: ნიშანი იგულისხმება და არა რიცხვი). ძველებური მრავლობითის **-ნ-** სუფიქსის დართვით „ერთი" ჩვეულებრივად იხმარება: „ერთნი ამბობენ, ასე ჯობსო, სხვები კი წინააღმდეგს ამტკიცებენ".

„ერთნი" მრავლობითი რიცხვია. ამას მოწმობს სუფიქსი **-ნ-.** მაგრამ როგორ შეიძლება „ერთი" იყოს მრავლობით რიცხვში? „ერთი" მხოლოობითია, მრავლობითში „ერთი" აღარ არის „ერთი", არამედ მეტი რაღაც. სიტყვაში „ერთნი" **ფუძის მნიშვნელობა მხოლოობითს გულისხმობს, წინააღმდეგ ამისა სუფიქსი გვეუბნება — „ერთ-**

ნი" მრავლობითია. და ყოველგვარი გრამატიკა უყოყმანოდ ადასტურებს: „ერთნი" მრავლობითია. **საკითხს წყვეტს აფიქსი და არა ფუძე** — იმიტომ, რომ **საკითხი მორფოლოგიურ ფაქტს შეეხება.**

2. „დავითმა სახლი აიშენა": აიშენა სათავისო ქცევაა; აპრეფიქსი მიუთითებს იმაზე, რომ ობიექტი „სახლი" სუბიექტისთვისაა განკუთვნილი. „დავითმა ერთი ხელადა ღვინო **დალია**"; „დალია" სათავისო ქცევა აღარ არის, საარვისოა. განა ცხადი არ არის, რომ, თუ „დავითმა დალია", დალეული ღვინო „სუბიექტისთვის განკუთვნილი" აღმოჩნდება. რასაკვირველია, ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია, მაგრამ ამაზე **ფუძე** მიუთითებს და არა ზმნის **პრეფიქსი (-ი-)**; სხვანაირად რომ ვთქვათ, სათავისოობა აქ მორფოლოგიური საშუალებებით კი არ არის აღნიშნული, არამედ ლექსიკური საშუალებით; ეს რომ ქცევას აჩენდეს, ზმნა **выпил** (Давид выпил вина) რუსულში სათავისო ქცევა იქნებოდა, რუსულ ზმნას კი ქცევა არა აქვს. რატომ? იმიტომ, რომ ქცევა **მორფოლოგიური კატეგორიაა** და **სათანადო აფიქსით უნდა იქნეს წარმოდგენილი** და არა ფუძის მნიშვნელობით.

აქაც ფუძისა და აფიქსის კონფლიქტი უყოყმანოდ წყდება აფიქსის სასარგებლოდ: საქმე ეხება მორფოლოგიურ კატეგორიას და იმიტომ.

3. „ერთი შაური მაჩუქეთ!" იხვეწება მათხოვარი. რა კილოა „მაჩუქეთ"? ირკვევა, რომ ბრძანებითი კილო ყოფილა. გამოდის, რომ მათხოვარი კი არ იხვეწება, არამედ ბრძანებს... შინაარსი თხოვნას გამოხატავს, ფორმა კი ბრძანებითი კილოსია და გრამატიკული კვალიფიკაციაც ამას აღნიშნავს (განმარტებით: „ბრძანებითი ამ შემთხვევაში თხოვნას გამოხატავსო!") და ეს ხდება იმიტომ, რომ საკითხი მორფოლოგიურია.

4. ყველაზე მარტივი მაგალითი: ხარი — მამალია, ფური — დედალი; ვაჟი მამრობითი სქესის არსებაა, ქალი — მდედრობითისაა: ამ სიტყვების შინაარსი ამას ეჭვს გარეშე ხდის. მაგრამ ამჟამად არავინ ამბობს: ქართულში ვაჟი მამრობითი სქესის არსებითი სახელია, ქალი — მდედრობითისაო. პირიქით ვამბობთ: **სქესი ქართულ სახელს არა აქვსო.** ეს იმიტომ, რომ სქესის აღმნიშვნელი მორფოლოგიური ნიშანი ქართულში სახელებს არ მოეპოვება. **რეალური სქესის არსებობა გრამატიკული სქესის არსებობას არ განსაზღვრავს.** მორფოლოგიური დახასიათება სემანტიკურს არ მიჰყვება. **საკითხს აქაც მორფოლოგიური ნიშნის უქონლობა წყვეტს.**

ასევე უდავოა, რომ მეტყველების ნაწილი მორფოლოგიუ-

რი ცნებაა, და ამ ცნების შინაარსს მორფოლოგიური ნიშნები უნდა შეადგენდეს. **ყოველ ენაში ცალკე გაიარკვევა, რამდენი და რა მეტყველების ნაწილი მოეპოვება მას.**

„რამდენია, საერთოდ მეტყველების ნაწილი?" ეს ისევე არ შეიძლება ვიკითხოთ, როგორც არ შეიძლება ვარკვიოთ: **რამდენია საერთოდ ბგერა.** ერთ ენაში შეიძლება 33 ბგერა იყოს, მეორეში — 47 და მესამეში — 55. ბგერათა რაოდენობა კონკრეტულ ენაში უნდა ვარკვიოთ, ასევეა — მეტყველების ნაწილთა რაოდენობა.

მორფოლოგიური თვალსაზრისით ქართულში, მაგალითად, ყველა სიტყვა სამ ძირითად ჯგუფს მოგვცემს: I. ნაწილაკები, II. უცვლელი ანუ უაფიქსო სიტყვები და III. ცვალებადი ანუ აფიქსებიანი სიტყვები ორი ქვეჯგუფით: სახელითა და ზმნით. სახელისათვის ბრუნვის აფიქსებია ნიშანდობლივი, ზმნისათვის — პირის აფიქსები.

იქ, სადაც სემანტიკა ცალკე არ შეისწავლება (საშუალო სკოლაში, მაგალითად) შესაძლებელია და მიზანშეწონილიც — პრაქტიკული მოსაზრებით — მორფოლოგიურ კლასიფიკაციას დაუკავშირდეს სემანტიკური კლასიფიკაცია ამგვარად:

I. ცვალებადი ანუ **აფიქსებიანი სრულმნიშვნელოვანი სიტყვები:** 1. სახელი და 2. ზმნა. სახელი იყოფა: ა. არსებით სახელად (კითხვები: ვინ? რა?); ბ. ზედსართავ სახელად (კითხვები: როგორი? რანაირი? როდინდელი? სადაური?...); გ. რიცხვით სახელად (კითხვები: რამდენი? მერამდენე?) და დ. ნაცვალსახელად. სახელის ოთხივე ქვეჯგუფი **სემანტიკური** ოდენობაა და არა მორფოლოგიური.

II. უცვლელი სრულმნიშვნელოვანი და დამხმარე სიტყვები: ა) ზმნისართი, ბ) კავშირი და გ) შორისდებული[13].

III. ნაწილაკები: თანდებული და სხვა ნაწილაკები.

ზმნისართი, კავშირი, თანდებული — მორფოლოგიური ცნებები არ არის: სინტაქსური და სტილისტიკური ცნებებია. შორისდებული — სემანტიკური ოდენობაა.

დასასრულ ერთი შენიშვნა: ყველაფერი, რაც მეტყველების ნაწილთა შესახებ ითქვა, ემყარება იმ ძირითად დებულებას, რომ მეტყველების ნაწილები სიტყვათა **კლასიფიკაციის შედეგად** მიღებულ ოდენობას წარმოადგენენ.

[13] თუ შორისდებული, საერთოდ, მეტყველების ნაწილად იქნებოდა მიჩნეული.

მეტყველების ნაწილების ჩამოყალიბებას ზოგიერთი ავტორი ცდილობს სხვა გზითაც; მაგრამ ეს ახალი გზა (მაგალითად, ა. პეშკოვსკისა)[14] არ არის იმდენად გარკვეული სახით მოცემული, რომ სპეციალური განხილვის საგანი გახდეს.

§ 92. ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები. სახელისა და ზმნის კატეგორიები. სახელი და ზმნა ფორმაცვალებადი მეტყველების ნაწილებია; მათი ცვლა გარკვეულ **მორფოლოგიურ კატეგორიებს** იძლევა. მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ურ კ ა ტ ე გ ო რ ი ას ქ მ ნ ი ს **ა ფ ი ქ ს ი თ** გ ა დ მ ო ც ე მ უ ლ ი **მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა.**

მორფოლოგიური კატეგორიებია: **ბრუნვა** და **რიცხვი** — სახელისათვის; **პირი, რიცხვი, დრო, კილო, გვარი...** — ზმნისათვის; სქესი — როგორც სახელისა, ისე ზმნისათვის. ზმნას შეიძლება სხვა კატეგორიებიც მოეპოვებოდეს, მაგალითად, ქცევა ქართველურ ენებში.

ესა თუ ის კატეგორია ხშირად თავისებურ სახეს იღებს ამა თუ იმ ენაში. ჩვენ აქ მხოლოდ ძირითადი კატეგორიების ტ ი პ ო ბ რ ი ვ ი შემთხვევების ანალიზით დავკმაყოფილდებით, რამდენადაც ეს სათანადო ცნების ანალიზისათვის არის საჭირო.

§ 93. ბ რ უ ნ ვ ა. ბრუნვა აღნიშნავს **დამოკიდებულებას** ან **სახელიხა სახელთან** (ზუსტად რომ ვთქვათ, ერთი სახელით აღნიშნული საგნის დამოკიდებულებას მეორე სახელით აღნიშნულ საგანთან) ანდა **სახელიხას ზმნასთან:** ამხანაგის წიგნი; მეზობლის სახლი; მზის სხივები... ქარი ქრის... მზე ანათებს... ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის... ყაყაჩოსა სიწითლითა ყანა დაუმშვენებია... ყმაწვილსა კარგი სწავლითა სახლი გაუხარებია[15].

ქართულში სახელს ექვსი ბრუნვა აქვს: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, მიმართულებითი, ანუ გარდაქცევითი (ვითარებითი), ნათესაობითი და მოქმედებითი.

თუ წოდებითსაც ბრუნვად მივიჩნევთ, შვიდი ბრუნვა გვექნება; მაგრამ წოდებითი **არასოდეს არ აღნიშნავს დამოკიდებულებას ზმნასთან;** სახელთანაც მას მხოლოდ შეთანხმება აკავშირებს (და არა მართვა): „მეგობრებო, წინ, წინ გასწით!" ზმნა ამგვარ გამოთქმებში მე-

[14] იხ. მისი წიგნი "Русский синтаксис в научном освещении", III გამოცემა, 1928 წ., წინასიტყვაობა.

[15] ამ დამოკიდებულების ანალიზი იხ. § 101 და შემდ.

ორე პირის სახელს უკავშირდება („თქვენ გასწით!"), „მეგობრებო" სიტყვა კი მიმართვას გამოხატავს და წინადადებაში განმხოლოებული დგას; ნაწერში ის ყოველთვის გამოყოფილია სასვენი ნიშნებით („მეგობრებო, წინ გასწით! წინ, მეგობრებო, გასწით! წინ გასწით, მეგობრებო!"). ამგვარ სიტყვას შეიძლება დაერთოს მსაზღვრელი („ძვირფასო მეგობრებო, წინ გასწით!"), მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც ეს სიტყვა ვერ უკავშირდება ზმნას, თავის მსაზღვრელებთან ერთად იგი განმხოლოებული რჩება. ამიტომ ამგვარი სიტყვები (მეგობრებო, კოლეგებო!) ბრუნვას არ წარმოადგენს: ეს **მიმართვის** სიტყვებია; მათი ფორმა **მიმართვის** ფორმაა.

რუსულშიაც ექვსი ბრუნვაა: სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, ბრალდებითი, მოქმედებითი და ადგილობითი (წინდებულიანი) ბრუნვა. ქართულთან საერთოა: სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, მოქმედებითი; გვაკლია ქართული მიმართულებითი (ანუ ვითარებითი) და მოთხრობითი; ქართულთან შედარებით მეტია ბრალდებითი და წინდებულიანი ბრუნვა. შ დ რ.:

სახელობითი	ამხანაგ-ი	Именительный	товарищ
მოთხრობითი	ამხანაგ-მა	[Повествовательный	არ არის]
მიცემითი	ამხანაგ-ს(ა)	Дательный	товарищ-у
მიმართულებითი	ამხანაგ-ად(ა)	[Направительный	არ არის]
ნათესაობითი	ამხანაგ-ის(ა)	Родительный	товарищ-а
მოქმედებითი	ამხანაგ-ით(ა)	Творительный	товарищ-ем
[ბრალდებითი	არ არის]	Винительный	товарищ-а
[ადგილობითი	არ არის]	Предложный	о товарищ-е

ბრალდებითი ბრუნვა უდურის გარდა არც ერთ იბერიულ-კავკასიურ ენაში არა გვაქვს. მოთხრობითი ბრუნვა (თუ მისი შესაბამისი ბრუნვები) მოიპოვება ყველა იბერიულ-კავკასიურ ენაში, სადაც კი ბრუნება გვაქვს, მაგრამ ეს ბრუნვა არ გააჩნია არც ერთ ევროპულ ენას, არც ძველს, არც ახალს. არა აქვთ ეს ბრუნვა არც სემიტურ ენებს, არც უგრულ-ფინურ ენებს, არც თურქულ ენებს (მოთხრობითის ადგილი ამ ენებში ყველგან სახელობითს უჭირავს). ბრალდებითი ბრუნვის უქონლობა იბერიულ-კავკასიური ენებისათვის ისევე დამახასიათებელია, როგორც მოთხრობითი ბრუნვის მქონეობა.

ისეთი ბრუნვები, როგორიცაა ქართული მიმართულებითი ანდა რუსული ადგილობითი ბრუნვა, არ არის ძირითადი ბრუნვა, რომელსაც

უნდა მოველოდეთ ენაში, თუ მას ბრუნება აქვს.

სამაგიეროდ, **სახელობითი, ნათესაობითი და მიცემითი ძირითად ბრუნვებია:** ყველაზე უფრო ხშირად ეს ბრუნვები მეორდება სხვადასხვა ენის ბრუნებაში.

ტერმინები: სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, ბრალდებითი, მოქმედებითი, მოთხრობითი და სხვ. პირობითი ხასიათისაა; ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი ჩვეულებრივად არავითარ ნათესაობას არ გამოხატავს (ხის სახლი, ვერცხლის საათი, უნივერსიტეტის შენობა...). მიცემითში დასმული სახელი იმასაც აღნიშნავს, ვისაც მისცეს რაღაც (დავითს მისცეს წიგნი...) და იმასაც, ვისაც რაღაც წაართვეს (დავითს წაართვეს წიგნი...)...

ბრუნვათა ეს პირობითი სახელები თამამად შეიძლებოდა მარტივი სახელებით შეგვეცვალა და გვეხმარა: პირველი ბრუნვა, მეორე ბრუნვა, მესამე ბრუნვა და სხვ. ისევე, როგორც ხმარობენ: პირველი ბრუნება, პირველი უღვლილება და სხვ. ამგვარი. ძველ ინდურ გრამატიკაში, რომელიც ჩვენ წელთაღრიცხვამდე ხუთი საუკუნით ადრე დამთავრებულ სისტემას წარმოადგენდა და ერთი უძველესი გრამატიკათაგანია კაცობრიობის ისტორიაში, ბრუნვებს სახელები არ ერქვა, მათ რიცხვითი სახელებით აღნიშნავდნენ, — ასეთი თანამიმდევრობით: 1 — სახელობითი; 2 — ბრალდებითი; 3 — მოქმედებითი; 4 — მიცემითი; 5 — დაშორებითი (აბლატივი); 6 — ნათესაობითი; 7 — ადგილობითი (ლოკატივი).

ტერმინები: **ნათესაობითი, მიცემითი** და **ბრალდებითი** ბერძნული ენის შესწავლისას გამომუშავდა; სტოელთა ფილოსოფიურმა სკოლამ დაამკვიდრა როგორც ეს ტერმინები, ისე ტერმინი ბრუნების აღსანიშნავად, რომელიც ყველა ევროპულ ენაში იხმარება.

პირველი ბრუნვის სახელი „სახელობითი" (именительный, nominativus) რომაელი გრამატიკოსებიდან მომდინარეობს. ბერძნულ გრამატიკაში მის ნაცვლად იხმარებოდა „ორთე" — „წრფელობითი"[16]. ე. ი. პირდაპირი.

ნათესაობითი (родительный, genitivus) ბერძნული „გენიკე"-ს არასწორ თარგმანს წარმოადგენს ჯერ ლათინურში და ამ უკანასკნელიდან მერე სხვა ენებშიც; „გენიკე" ნიშნავს „გვარეობითს" და არა ნათე-

[16] ანტონ კათალიკოსი თავის ქართულ გრამატიკაში სახელობითის ნაცვლად ხმარობს „წრფელობითს". სახელობითი ქართულ გრამატიკებში პლ. იოსელიანის გრამატიკიდან (1840 წ.) შემოდის.

საობითს; სათანადო ბრუნვის მნიშვნელობას ზოგან ეს ბერძნული ტერმინი უფრო უდგება (ხის სახლი, ვერცხლის საათი...).

მიცემითი (дательный, dativus) ბერძნული „დოტიკე"-ს სწორი თარგმანია.

ბრალდებითი (винительный, accusativus) ბერძნულ „აჲტიატიკე"-ს უმართლებულო თარგმანს წარმოადგენს: „აჲტიატიკე" ნიშნავს „მიზეზობითს", რითიმე „შეპირობებულს"; ბრალდება აქ არაფერ შუაშია[17].

ასეა თუ ისე, ძირითად ბრუნვათა სახელები ბერძნული ტერმინების სწორ თუ შემცდარ თარგმანს იძლევა. ეს ტერმინები ჯერ ლათინურად თარგმნეს, ლათინურიდან ყველა ევროპულ ენაში გადავიდა ან უცვლელად ანდა თარგმნის გზით.

ბერძნული ტერმინების შინაარსი ცხადყოფს, როგორადაც წარმოედგინათ სახელის ბრუნება: პირველი ბრუნვა არის „პირდაპირი", „სწორი" (წრფელობითი, „ორთე"); აქ სახელი „ჩვენ წინ დგას პირდაპირ". სხვა ბრუნვები არის „არაპირდაპირი" (ბერძ. plagiai, ლათ. obliqui, რუს. косвенные). თვით ბრუნება არის პირდაპირი მდგომარეობიდან გადახრა: склонение, declinatio — „დახრა"[18]. ამის შესაბამისად ბრუნვას ეწოდება „ვარდნა": падеж, ბერძ. ptosis, ლათ. casus.

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში „ბრუნება"-ტერმინის პარალელურად „ქანცლედობაც" იხმარებოდა. ამით ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ „ბრუნვისა" და „ბრუნების" აღრევა. „ქანცლედობა" იმავე ძირისა ჩანს, რომელიც ახლა „ცლაკნა" სიტყვაში გვაქვს.

ყველა ბრუნვა ერთი და იმავე ხნოვანებისა არ არის; ქართულში, მაგალითად, ყველაზე ძველი ფორმაციისაა მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვა; შემდეგ მოდის მოქმედებითი და მიმართულებითი; მათზე ახალია მოთხრობითი და ყველაზე ახალი — სახელობითი; სახელობითისა და მოთხრობითის ჩამოყალიბებამდე მათ როლს სახელის ფუძე ასრულებდა.

§ 94. რიცხვი. რიცხვი სახელსაც აქვს და ზმნასაც. ამჟამად განასხვავებენ **მხოლობითსა** და **მრავლობით** რიცხვს: მხოლობითი — ერთზე მიუთითებს, მრავლობითი — ბევრზე, ყოველ შემთხვევაში აქ

[17] ფიქრობენ, რომ სტოელები წოდებითსაც ბრუნვად თვლიდნენ: „კლეტიკე" იხმარებოდა ამისათვის.

[18] ქართული „ბრუნება", „ბრუნვა" სომხური გზითაა შემოსული: „ჰოლოვუმნ"-ის თარგმანს წარმოადგენს.

ერთზე მეტი იგულისხმება. სადაც „მრავალზე" მითითება გვაქვს, ყველგან მრავლობითი რიცხვი არ არის. „ბევრი საქმე მაქვსო", რომ ვამბობთ, ერთზე მეტი საქმე იგულისხმება, მაგრამ „საქმე" აქ მხოლობითია, „ბევრიც" მხოლობითშია (შდრ. მრავლ. „ბევრნი არიან"), სიმრავლეს ორივე სიტყვა ერთად აღნიშნავს; ასევე გამოთქმაში „ათი წიგნი ვიყიდე" — „წიგნი" მხოლობითშია, სიმრავლეს ორი სიტყვა გამოხატავს; მაგრამ როცა ვამბობთ, — „საქმეები მაქვს" — აქ სიმრავლე ერთ სიტყვაშია **-ებ-** სუფიქსის საშუალებით გადმოცემული. ამგვარად, მრავლობითი რიცხვია არა ყოველი შემთხვევა, სადაც მრავალ საგანზე მითითება გვაქვს, არამედ მხოლოდ ისეთი შემთხვევა, როდესაც **სიმრავლე ამოქსით არის გადმოცემული,** — სხვაგვარად რომ ვთქვათ, როდესაც **სიმრავლე მორფოლოგიური საშუალებით** არის გამოხატული (და არა ლექსიკურად — შესიტყვების გამოყენებით).

ქართულსა, სომხურსა, რუსულსა და სხვ. ამგვარ ენებში მხოლობით რიცხვს მრავლობითი უპირისპირდება.

ძველად ზოგ ენაში **ორობითი** რიცხვიც (dualis) მოიპოვებოდა:

ძვ. ბერძ.: ჰო ანთრპოს — „ადამიანი" — მხოლობითია
ჰოი ანთრპოი — „ადამიანები" — მრავლობითია
ტო ანთრპო — „ორი ადამიანი" — ორობით რიცხვს წარმოადგენს.

ძვ. ინდური: ნადი — „მდინარე" — მხოლობითია, ნადჱ — „მდინარეები" — მრავლობითი, ნადჱუ — „ორი მდინარე" — ორობითი რიცხვის სახელობითია.

ვარაუდობენ, რომ ეს ორობითი რიცხვი წყვილად არსებული საგნების აღნიშვნამ წარმოშვაო: ორი თვალი, ორი ყური, ორი ხელი, ორი ფეხი... ამისათვის თითქოს საკმაო მასალას იძლევა; მაგრამ იქ, სადაც ორობითი რიცხვი იხმარება, ის იხმარება ყოველი ორი საგნის აღსანიშნავად და არა მხოლოდ წყვილ-წყვილად არსებული საგნებისათვის.

გარდა ამისა, ზოგ ენას შერჩენილი აქვს „სამობითი რიცხვიც" (trialis); ბუნებრივი სამეულები ამგვარი რიცხვის გაჩენის დასასაბუთებლად ძნელი საპოვნელია. ამიტომ საფუძვლიანად უნდა მივიჩნიოთ იმ მკვლევართა აზრი, რომელნიც ფიქრობენ, რომ „ორობითი" და „სამობითი" რიცხვი გარდამავალი საფეხურია ერთიდან მრავლისაკენ; ერთიდან სიმრავლეზე ერთბაშად გადასვლა განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ადამიანის აზროვნებისათვის ძნელზე ძნელი საქმე იყო; ამ გადა-

სვლას აადვილებდნენ ეს შუა საფეხურის რიცხვები.

რიცხვის განყენებული შინაარსი რომ კონკრეტული შინაარსის საფუძველზეა წარმოშობილი, ამას რიცხვით სახელთა ანალიზიც მოწმობს. ქართულშიც, რუსულშიც, გერმანულშიც... ათიდან მოყოლებული ოცამდე ყოველი რიცხვი გამოიყვანება ათისთვის ერთის, ორის, სამის, ოთხის, ხუთის... და სხვ. მიმატებით. ამ ენებში რიცხვებს ათამდე დამოუკიდებელი სახელები აქვს: სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი... მაგრამ ზოგ ენაში (მაგ., ტასმანიურში, — ავსტრალიაში) ასეთი სახელი მხოლოდ ერთისა, ორისა და სამისათვის არსებობს: ოთხი წარმოდგენილია, როგორც სამი პლუს ერთი; ხუთი, როგორც სამი პლუს ერთი და კიდევ ერთი...

აქ აღძრული საკითხის თვალსაზრისით საგულისხმოა პირველი პირის სახელის მრავლობითი: მე—ჩვენ; „ჩვენ“ მოლაპარაკის გარდა შეიძლება შეიცავდეს იმას ან იმათ, ვისაც ელაპარაკებიან: ჩვენ ვმუშაობთ, ისინი არაფერს აკეთებენ: ჩვენ=მე და შენ (|| თქვენ); მაგრამ „ჩვენ“ შეიძლება ნიშნავდეს: „მე და ის (|| ისინი)“: „ჩვენ ვმუშაობთ, თქვენ არაფერს აკეთებთ“. ასე რომ, „ჩვენ“ სახელში ერთ შემთხვევაში შედის მეორე პირი, რომელსაც მიმართავენ, მეორე შემთხვევაში მეორე პირი გამორიცხულია, „ჩვენ“-ში პირველის გარდა მესამე პირი იგულისხმება. ქართული „ჩვენ“, რუსული **мы**, გერმ. **wir**, ფრანგ. **nous** — ამჟამად არ ასხვავებს პირველი პირის ამ ორნაირ მრავლობითს.

მაგრამ ზოგ ენაში „ჩვენ“ ორნაირი სახითა გვაქვს; ასე, მაგალითად, ხუნძურში გვაქვს: **ნიჟ**—ჩვენ (მე და ის ანდა ისინი) და **ნითლ**—ჩვენ (მე და შენ ანდა თქვენ).

თუ „ჩვენ“ შეიცავს მეორე პირს, მას ეწოდება **ინკლუზივი** (ლათინ. „ჩარიცხვითი“); თუ მეორე პირს გამორიცხავს, **ექსკლუზივს** ეტყვიან („ექსკლუზივი“ — „გამორიცხვითი“).

ხუნძური „ნიჟ“ — ექსკლუზიურია, „ნითლ“ — ინკლუზიური.

სვანური განასხვავებს ზმნის მრავლობითის პირველ პირში ინკლუზიურ და ექსკლუზიურ ფორმებს. ნაჲ ლარიდ — ჩვენ (მე და შენ) ვართ — ინკლუზიური ფორმაა. ნაჲ ხუარიდ — ჩვენ (მე და ის) ვართ — ექსკლუზიური ფორმაა.

ინკლუზიური და ექსკლუზიური მრავლობითის არსებობა კვლავ იმ დებულებას ასაბუთებს, რომ მხოლობითიდან მრავლობითზე გადასვლა გაშუამავლებული იყო კონკრეტული სახის მრავლობითებით; ამ კონ-

კრეტიზაციისაგან თავისუფალი მრავლობითი განვითარების შემდგომი საფეხურია[19].

§ 95. პირი. პირი ზმნას აქვს. პირი სამია: ის პირი, რომელიც ლაპარაკობს — **პირველი** პირია (**ვ**ცხოვრობ, **ვ**შრომობ — მე); ის პირი, რომელსაც ელაპარაკებიან — **მეორე** პირია (ცხოვრობ, შრომობ — შენ); ის პირი, რომლის შესახებაც ლაპარაკობენ — **მესამე** პირია (ცხოვრობ**ს**, ლაპარაკობს — ის). სამივე პირი მრავლობითშიც გვექნება (ვცხოვრობთ ჩვენ, ცხოვრობთ თქვენ, ცხოვრობენ ისინი), გვექნება ორობით რიცხვშიც, თუკი ასეთი რიცხვი ენაში არსებობს (ორობით რიცხვს ორი ფორმა აქვს სამივე პირისათვის).

ჩვეულებრივად ზმნაში აღინიშნება იმ სახელის პირი, რომელიც ზმნით გადმოცემული მოქმედების წყაროდ არის მიჩნეული; ესაა მოქმედი სახელი ანუ **სუბიექტი**; ზმნაში ჩვეულებრივად მხოლოდ სუბიექტის პირი აღინიშნება, მაგრამ ზოგ ენაში (მაგ., ქართულში, სვანურში...) ზმნაში შეიძლება იყოს აღნიშნული ის პირიც, რომელსაც სუბიექტის მოქმედება ეხება, ე. ი. შეიძლება იყოს აღნიშნული **ობიექტის** პირიც. ასეთი ზმნის ყოველ ფორმაში ორი პირი იქნება წარმოდგენილი, სუბიექტის პირი და ობიექტის პირი.

მხოლოდ სუბიექტის პირია წარმოდგენილი ქართულ ზმნებში: ვცხოვრობ, ვშრომობ, ვიზრდები... ამგვარი ზმნები **ერთობრიანი** ზმნებია. სუბიექტისა და ობიექტის პირია მოცემული ქართულ ზმნებში: ვაქებ (მე მას), მაქებს (ის მე), გახსენებს (ის შენ), მგზავნის (ის მე)... ასეთი ზმნები **ორობრიანებია**. რუსულში, გერმანულში, ლათინურში, ბერძნულში, სომხურში, თურქულში, — **ყველა ზმნა ერთპირიანია**. აფხაზურში ზმნა შეიძლება იყოს ერთპირიანიც, ორპირიანიც და სამპირიანიც.

სამპირიან ზმნაში აღნიშნულია სუბიექტის პირი და ორი ობიექტის პირი: ობიექტის პირი შეიძლება იყოს ერთი ან ორი, სუბიექტისა კი — მხოლოდ ერთი იქნება.

ზმნაში შეიძლება იქნეს ნაჩვენები არა პირი, რომელსაც განეკუთვნება მოქმედება, არამედ **კლას-კატეგორია** („სქესი“, — იხ. ქვემოთ), რომელსაც ესა თუ ის სახელი ეკუთვნის; ასე, მაგალითად, ხუნ-

---

[19] ეს არ ნიშნავს, რომ ყველგან ინკლუზივ-ექსკლუზივის გარჩევა ძველ, თავდაპირველ, მოვლენად შეიძლება დავსახოთ (სვანურში ზმნის ფორმა რომ განასხვავებს ინკლუზივ-ექსკლუზივს, ეს მეორეული ჩანს).

ძურ ენაში პირის მიხედვით ზმნა არ იცვლება: ყველა პირში ზმნა ერთნაირია, თუკი სახელის კლასი უცვლელია; პირიქით, ერთი და იმავე პირისათვის სხვადასხვა ფორმა აქვს ზმნას, თუ სახელის კლასი სხვადასხვაა:

დუნ ბაჭუნა — მოვდივარ მე, მამაკაცი (I კლასი)
დუნ დაჭუნა — მოვდივარ მე, ქალი (II კლასი)
დუნ ბაჭუნა — მოვდივარ მე, ბავშვი (III კლასი)

პირველი პირი დუნ („მე") რომ შევცვალოთ „მუნ"-ით („შენ"), ზმნა არ შეიცვლება, იგივე „ბაჭუნა, დაჭუნა, ბაჭუნა მუნ" გვექნება: „მოდიხარ შენ — მამაკაცი, ქალი, ბავშვი"... აგეთივე ვითარება გვაქვს დაღესტნის რიგ ენაში.

ერთპირიანი ზმნა ქართულში ყოველთვის სუბიექტურია: ერთი პირი ზმნისა სუბიექტის პირია, უღვლილება სუბიექტურია.

ხუნძურ გარდამავალ ზმნაში ყოველთვის ერთი სახელი ჩანს, ე. ი. ყველა ზმნა „ერთპირიანია", უკეთ რომ ვთქვათ, „ერთკლასოვანი".

ეს ერთი კლასი **გარდაუვალ ზმნაში სუბიექტისაა, გარდამავალში** — ობიექტისა. უღვლილება მხოლოდ სუბიექტურია (ვუგო „არის", ვაჭუნა „მოდის" ადამიანი, მამაკაცი) ანდა მხოლოდ ობიექტურია (ვეცულა ვაც დოს „აქებს ძმას ის"). სუბიექტის კლასი გარდამავალ ზმნაში აქ არა ჩანს.

§ 96. დრო. განყენებულად თუ ავიღებთ, დრო სამია: აწმყო, ნამყო, მყოფადი. დროსათვის ნიშანდობლივია შეფარდება მოქმედებასა და მოქმედების აღნიშვნას შორის: თუ მოქმედება და მის შესახებ ლაპარაკი **ერთსა და იმავე დროს** ხდება, **აწმყო** გვექნება: აკეთებს, აშენებს, შრომობს... „ვხნავ, ვთესავ, ვებრძვი მიწასა"... თუ **მოქმედება წინ უსწრებს** მის შესახებ ლაპარაკს, **ნამყოს** მივიღებთ: აკეთებდა, აშენებდა, შრომობდა... აკეთა, აშენა, იშრომა... თუ მოქმედებას **წინ უსწრებს** მის შესახებ **ლაპარაკი,** მყოფადს მივიღებთ: გააკეთებს, ააშენებს, იშრომებს...

ეს სამი დრო განყენებულადაა აღებული მოქმედებისა და მისი აღმნიშვნელი სიტყვის შეფარდების ნიადაგზე. ამა თუ იმ ენაში ამ სამი დროის კონკრეტიზაციამ შეიძლება მოგვცეს უღვლილების გაცილებით მეტი ნაკვთი; მაგალითად, ახალ ქართულში გვაქვს ერთი აწმყო, ერთი მყოფადი და ოთხი ნამყო: ნამყო უსრული ანუ უწყვეტი: აკეთებდა, აშენებდა, შრომობდა...; ნამყო ძირითადი ანუ ნამყო წყვეტილი (აორის-

ტი): აკეთა, აშენა, იშრომა...; თურმეობითი პირველი: უკეთებია, უშენებია, უშრომია...; თურმეობითი მეორე: ეკეთებინა, ეშენებინა, ეშრომა...

გერმანულში სამი ნამყო დროა, ფრანგულში — ოთხი ნამყო, ლათინურშიცა და ძველ ბერძნულშიც — ოთხი ნამყო იყო... იმავე გერმანულსა და ფრანგულში ორი მყოფადია, ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში ათიოდე აღწერითი ფორმა აქვს ნამყო დროს. აწმყოც კი შეიძლება იყოს ერთზე მეტი; ასეა, მაგალითად, ევროპის ენათაგან ინგლისურში, იბერიულ-კავკასიურ ენათაგან, მაგალითად, ხუნძურში; აქ გარჩეულია უბრალო აწმყოსაგან აწმყო ჩვეულებრივი: დუნ როყოუ **გუგო** — მე შინ **გარ**... დუნ როყოუ **გუკუნა** — მე შინ **გარ ხოლმე**...

დრო აქვს ზმნას, აგრეთვე **ნაზმნარ სახელს, მიმღეობას:** მკეთებელი (=ვინც აკეთებს), გაკეთებული (=რაც გაკეთდა, გააკეთეს), გასაკეთებელი (=რაც უნდა გაკეთდეს, გააკეთონ...).

როგორც ზმნაში, ისე ნაზმნარ სახელებში (მიმღეობებში) დრო აფიქსებითაა გამოხატული (აკეთებ-**დ**-ა... აკეთ-**ა** ← აკეთ-**ე**-ა... **უ**-კეთებ-**ი**-ა... **ე**-კეთებ-**ინ**-ა...).

შეიძლება დრო აღნიშნოს ცალკე სიტყვამ: გუშინ... შარშან... ძველად... წარსულში... წინათ — ნამყო დროზე მიუთითებს. მაგრამ ეს არ არის დრო გრამატიკული გაგებით, დროს აქ გადმოგვცემს **მთელი სიტყვა** და არა მორფოლოგიური საშუალება. ეგევე ითქმის ისეთი სიტყვების შესახებ, როგორიცაა: ახლა... ამჟამად... დღეს... ხვალ... ზეგ... გაისად... მომავალში — დროის მიხედვით ეს სიტყვები არ იცვლება: **დრო მორფოლოგიური** (აფიქსით გამოხატული) და **„დრო არამორფოლოგიური"** (ლექსიკური საშუალებით გადმოცემული) ისევე უნდა განვასხვავოთ, როგორც მრავლობითი რიცხვი, რიცხვითი სახელით აღნიშნული („ასი კაცი"), და მრავლობითი რიცხვი, მორფოლოგიური ნიშნით წარმოდგენილი („კაცები") (იხ. ზემოთ § 93).

დროის კატეგორია ზმნას იმთავითვე არ მოეპოვებოდა: ზმნის უღვლილება მიუთითებდა არა იმაზე, თუ **როდის** მიმდინარეობს მოქმედება, არამედ იმაზე, თუ რა **სახისა** იყო ეს მოქმედება, როგორ წარმოებდა იგი: ერთბაშად თუ განგრძობით, ერთხელ ჰქონდა ადგილი მას თუ მრავალგზის განმეორდა...

სახეობა მოქმედებისა ანუ **ასპექტი** წინ უსწრებდა დროის კატეგორიის ჩამოყალიბებას ზმნის უღვლილებაში. ამას მოწმობს რუსული ენის ისტორია, ეგევე დასტურდება იბერიულ-კავკასიური ენების ისტორიით.

ახლაც ზმნის უღვლილებაში წმინდა კატეგორია დრო-

ისა შედარებით იშვიათია: ასპექტის ელემენტებიც ერთვის დროის აღნიშვნას, „იცის", „უწყის" თითქოს აწმყოა; ნამდვილად კი აქ არაა გამჭრალი განგრძობითი ასპექტი: „იცის" = „მცოდნეა". აწმყოს, საერთოდ, არ ეუცხოება იმის აღნიშვნა, რაც **ჩვეულებრივ ხდება.** შდრ. „აგერ წყალში ბატი ცურავს" და „ბატი წყალში კარგად ცურავს" (ცურავს საერთოდ).

§ 97. კილო. კილოს კატეგორიას საფუძვლად უდევს დამოკიდებულება მოლაპარაკისა ზმნის მნიშვნელობისადმი. შესაძლებელია მოლაპარაკეს ზმნით აღნიშნული პროცესი **ფაქტად** მიაჩნდეს; მაშინ საქმე გვექნება თხრობით კილოსთან: აკეთებს, აკეთებდა; გააკეთა, გაუკეთებია...

შესაძლებელია, პროცესი ფაქტს არ წარმოადგენდეს, მაგრამ **სავალდებულო** იყოს შესასრულებლად; ეს იქნება დამახასიათებელი ბრძანებითი კილოსათვის: გააკეთე! გააკეთეთ!

ბრძანებითი კილო შეიძლება იყოს უარყოფითი ანუ დაშლითი ხასიათისა: ნუ აკეთებ! არ აკეთო!

ბრძანებითი კილოს ფორმით შეიძლება გადმოიცეს მოწოდება: წავიდეთ! გავაკეთოთ!.. თხოვნა-მუდარა: გაიკითხეთ! ერთი შაური მაჩუქეთ! „დამითმე შვილი! არ დამაღონო, არ დამიღუპო ოჯახი ძველი!.. ოღონდ ზაქარა შინ დაითხოვე... და მერე თუნდა ჩიტის რძე მთხოვე!" (ილია. „კაკო ყაჩაღი").

ბრძანებით კილოში სუბიექტს **მოქმედების შესრულება ევალება, ნატვრით** კილოში ეს მოქმედება სასურველად არის ცნობილი (ნეტავ კი გააკეთოს... ოღონდ კი გააკეთებდეს...), პირობითში — რაღაც პირობაზე დამოკიდებული ჩანს (რომ გვეთქვა, გააკეთებდა... დახატავდა, მოიტანდა...).

ქართულში მხოლოდ თხრობითი კილოა ფორმებით მდიდარი:. აწმყო, მყოფადი, ნამყოსრული, ნამყო ძირითადი (აორისტი), თურმეობითი პირველი და მეორე — თხრობითი კილოს დროებია.

პირობითისა და ნატვრითი კილოსათვის გვაქვს კავშირებითი პირველი, მეორე და მესამე, აგრეთვე ნამყოფადარი ნამყო[20] (დაწერდა, გააკეთებდა, მოიტანდა, ნახავდა...).

ძველ ქართულში კავშირებითიც არსებითად თხრობითი კილოს დროს წარმოადგენდა (მყოფადის შინაარსს გადმოგვცემდა), ასე რომ,

[20] ხოლმეობითი.

კავშირებითის ქცევა კილოდ მეორეული მოვლენაა.

ბრძანებით კილოს საკუთარი ფორმები ქართულში სულ არ გააჩნია: **უველა** მისი **სახეობა ნასესხებია** ნამყო ძირითადისა, აწმყო-მყოფადისა და კავშირებითი მეორისაგან. სხვა ენებში თხრობითის გარდა სხვა კილოებიც (მაგალითად, ნატვრითი, პირობითი)... კარგად არის განვითარებული, მდიდარი არის ფორმებით; ასეა, მაგალითად, ფრანგულში, ძვ. ბერძნულში, იბერიულ-კავკასიური ენებიდან — ხუნძურში... ეს კია, რომ ამ ენებშიც თხრობითი კილო მაინც უფრო მდიდარია ნაკვთებით.

§ 98. **გვარი.** ჩვეულებრივად განასხვავებენ **სამ გვარს;** ეს გვარებია: **მოქმედებითი, ვნებითი** და **საშუალო.** მოქმედებითი გვარიცა და ვნებითიც გულისხმობს მოქმედის, სუბიექტის გარდა ობიექტსაც: плотник строит дом — дом строится плотником; строит მოქმედებითი გვარისაა; строится — ვნებითი გვარისა. პირველ შემთხვევაში **ზმნისეული პროცესის განხილვისას** ამოსავალია **სუბიექტი,** მეორე შემთხვევაში — **ობიექტი;** იცვლება განხილვის თვალსაზრისი, პროცესის რეალური შინაარსი კი ერთი და იგივეა; საკანონმდებლო ორგანო **ამუშავებს** კანონს — კანონი **მუშავდება** საკანონმდებლო ორგანოს მიერ — ერთმანეთს უპირდაპირდება მოქმედებითი (ამუშავებს) და ვნებითი (მუშავდება)[21]; მოქმედებითისაგან შეიძლება ვაწარმოოთ ვნებითი და — პირიქით... ამისათვის საჭიროა ზმნას სუბიექტის გარდა ობიექტიც ჰქონდეს. საშუალო **ერთპირიან** ზმნას (ზის, დგას, წევს... ცხოვრობს, არსებობს...) ობიექტი არ მოეპოვება; ამიტომ მისგან ვნებითი არ იწარმოება.

ქართულში **გარდამავალი ზმნა (აწმყოს და ნამყო ძირითადის ნაკვთთა წყებაში) მოქმედებითი გვარისაა; გარდაუვალი** ზმნა ან **ვნებითი** და ან **საშუალო გვარისაა;** ასეთი ზმნა შეიძლება იყოს ერთპირიანიცა და ორპირიანიც. ვნებითი და მოქმედებითი გვარი ქართულ ზმნაში უკვე ჩამოყალიბებულია. მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში გვარების დიფერენციაცია ახლა მიმდინარეობს.

§ 99. **ქცევა.** სუბიექტისა და ობიექტის აღნიშვნის გარდა, ზმნა-

---

[21] ქართულში ვნებითი ჩვეულებრივად ისეთ მოქმედებას აღნიშნავს, რომელიც „თავისთავად მიმდინარეობს", რეალური სუბიექტი (მოქმედი) აქ დაჩრდილულია: კეთდება, შენდება, იწერება, ინახება, ნადგურდება... ამიტომ მოქმედებითისა და ვნებითის დაპირისპირება ქართულში ისე მკვეთრი არ არის, რის გამოც ზევით რუსული მაგალითი მოვიყვანეთ საილუსტრაციოდ.

ში შეიძლება ნაჩვენები იყოს **კუთვნილებითი ურთიერთობა,** რომელიც არსებობს **ობიექტსა და სუბიექტს შორის** ანდა **ობიექტსა და ობიექტს შორის:** დავითმა სახლი ა-ი-შენა... დავითმა პირი და-ი-ბანა: **ი** ან იმის მაჩვენებელია, რომ ობიექტი სუბიექტისთვისაა განკუთვნილი (დავითმა აიშენა სახლი=დავითმა ააშენა სახლი თავისთვის), ან იმისა, რომ ობიექტი სუბიექტისაა (დავითმა პირი დაიბანა — აქ პირი დავითისაა)...

დავითმა სიმონს სახლი აუშენა... დავითმა სიმონს წიგნი დაუკარგა. პირველ შემთხვევაში ობიექტი („სახლი") განკუთვნილია სიმონისთვის: დავითმა სახლი აუშენა სიმონს=დავითმა ააშენა სახლი სიმონისათვის; მეორე შემთხვევაში ობიექტი („წიგნი") სიმონის კუთვნილებას წარმოადგენს (დავითმა სიმონს წიგნი დაუკარგა=დავითმა დაკარგა სიმონის წიგნი)... ორსავე მაგალითში ერთი ობიექტი მეორე ობიექტთან არის გარკვეულ კუთვნილებით ურთიერთობაში.

ეს კუთვნილებითი ურთიერთობა აფიქსით არის გამოხატული (და არა ახალი სიტყვის დართვით, ანდა ზმნის ფუძის მნიშვნელობით).

„ა-ი-შენა — ა-უ-შენა" განსხვავდება „ააშენა"-საგან **ი-** და **უ-** პრეფიქსებით; კუთვნილებას ეს პრეფიქსები გამოხატავენ. **ი-** პრეფიქსი გამოხატავს იმას, რომ ობიექტი სუბიექტისაა ან სასუბიექტოა (ეს არის სასუბიექტო ქცევა). **უ-** პრეფიქსი — იმას, რომ ერთი ობიექტი მეორე ობიექტისაა ან საობიექტოა (ეს საობიექტო ქცევაა).

„დავითმა ააშენა სიმონისთვის სახლი", ოღონდ აქ **-თვის** თანდებულის დართვა აღმოჩნდა საამისოდ საჭირო; ასევეა რუსულსა და სხვა ევროპულ ენებში: Давид построил дом для Симона... ასეთ შემთხვევაში კუთვნილება მორფოლოგიურად, ზმნაში აფიქსის ცვლით, კი არაა გამოხატული, არამედ ახალი, დამხმარე სიტყვის დართვით, ე. ი. **ლექსიკური** საშუალებით.

წინადადებაში: დავითმა დალია ერთი ბოთლი ღვინო", ობიექტი რომ სუბიექტისთვისაა განკუთვნილი, ამას „დალია" ზმნის **ფუძის მნიშვნელობა** გამოხატავს და არა აფიქსი. ღვინო რომ სასუბიექტოდაა განკუთვნილი, ამას **ლექსიკური ხაშუალება** გადმოგვცემს (ამის შესახებ იხ. ზემოთაც § 91).

ლექსიკური ანდა სემასიოლოგიური საშუალებით გამოხატული კუთვნილება ქცევას არა ქმნის: ქცევა მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი კატეგორიაა.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ქცევის კატეგორიისათვის აუცილებელი წინაპირობაა ზმნაში სუბიექტის გარდა ობიექტიც იყოს წარმოდგე-

ნილი, სხვანაირად რომ ვთქვათ, ქცევისათვის ორპირიანობა აუცილებელი პირობაა: ერთპირიან ზმნებში ქცევის საკითხი არ დაისმის.

§ 100. გრამატიკული სქესი და გრამატიკული კლასი. სქესის საკითხი მრავალმხრივ არის საინტერესო. არის ენები, რომელთათვის სქესის კატეგორია უცხოა; ასეთია, მაგალითად, ქართული, სომხური...

მრავალ ენაში არის სქესი: რუსულში, გერმანულში სამი სქესია: მამრობითი, მდედრობითი, საშუალო... человек, стол, камень, воздух... მამრობითი სქესისაა; река, книга, доска, стена... მდედრობით სქესს განეკუთვნება; перо, весло, озеро, дерево, пламя, знамя — საშუალო სქესისად ითვლება. ეს სახელები სათანადო სქესის მსაზღვრელებს დაირთავენ: высокий стол, высокая стена, высокое дерево... ქართულში სამსავე გამოთქმაში „მაღალი" გვექნებოდა: მაღალი მაგიდა, მაღალი კედელი, მაღალი ხე...

დასახელებული რუსული მაგალითები ცხადად გვიჩვენებს, რომ **გრამატიკული** სქესი **არ ასახავს რეალურ** სქესს. მართლაცდა:

1. რეალურად არსებობს მამრობითი და მდედრობითი სქესის საგნები; მაგრამ „საშუალო სქესი" ბუნებამ არ იცის.

2. ამიტომ შეიძლებოდა მამრობითისა და მდედრობითი სქესის გვერდით „უსქესოთა" ჯგუფი გამოგვეყო, მაგრამ საქმეც ისაა, რომ ამ უსქესო საგნებიდან ზოგი მამრობითი სქესისად ითვლება (стол, камень, воздух...), ზოგი — მდედრობითისად (река, книга, доска, стена)...

3. ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სქესს ეკუთვნის: რუს. книга მდედრობითი სქესისაა, გერმ. das Buch —საშუალოსია, ფრანგ. le livre — მამრობითისად მიაჩნიათ. ისიც ხდება ხოლმე, რომ რეალურად სქესიანი საგანი სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სქესს განეკუთვნება: რუს. девочка „გოგონა" მდედრობითი სქესისაა, გერმ. das Mädchen — საშუალო სქესისაა.

ამისდა კვალობაზე „სქესი" ტერმინი მხოლოდ იქ იქნებოდა მართებული, სადაც ენა მარტოოდენ მამრობითსა და მდედრობითს განასხვავებს რეალური სქესის მატარებლებთან შეფარდებით, ხოლო ყველა უსქესო საგნებს ცალკე ჯგუფად გამოყოფს... ასეთი რამ იმ ენებშიაც კი არ გვაქვს, სადაც ორი სქესიღა გამოიყოფა; მაგალითად, ფრანგულმა და არაბულმა მხოლოდ მამრობითი და მდედრობითი სქესი იცის, მაგრამ უსქესო საგნებიც ამ ორ სქესს შორის ნაწილდება, ასე რომ, აქაც რეალური სქესის ენობრივ გამოხატულებაზე ლაპარაკი უსაბუთო იქნებოდა.

ამგვარად, ზემოთქმულის მიხედვით ის დასკვნა უნდა გაკეთდეს, რომ ე.წ. **სქესი** არის **საგანთა ერთგვარი კლასიფიკაციის** გამოძღავნება. საგნების კლასიფიკაცია შეიძლება **სხვადასხვა ენაში სხვადასხვა თვალსაზრისით** მოხდეს; მამრობითი და მდედრობითი სქესის გამოყოფა ერთ-ერთი სახის კლასიფიკაციაა, მაგრამ არაა ერთადერთი! აფხაზურში გამოიყოფა ორი ძირითადი კლასი: ადამიანთა კლასი (კაცი, ქალი, მამა, დედა, მეზობელი...) და ნივთის კლასი; პირველი იყოფა მამრობით და მდედრობით სქესად... ლაკურ ენაში გარჩეულია ოთხი კლასი: 1. ადამიანი — მამრობითი სქესისა (მამა, ძმა, ამხანაგი...); 2. ადამიანი მდედრობითი სქესისა (დედა, ქალი, ცოლი...); 3. ცოცხალი, მაგრამ არაგონიერი არსებები, მაგალითად, ცხოველები (მგელი, ლომი, ცხვარი, ქათამი...); 4. ნივთიერებათა სახელები; ესენი მეტწილად მეოთხე კლასს განეკუთვნებიან (ტალახი, მატყლი, ხორცი, მიწა, ვერცხლი, თითბერი, ტყვია...).

აღსანიშნავია, რომ ზოგი მცენარე მესამე კლასს განეკუთვნება (ასეთია, მაგალითად, ვაშლი, ქერი, ჭერამი...), ზოგიც — მეოთხეს (ოსპი, ყვავილი...). ეგეთე ითქმის ადამიანის შრომით შექმნილი საგნების შესახებ; მესამე კლასს ეკუთვნის, მაგალითად: დოქი, ლანგარი, ქვაბი, ტომარა, ხიდი... მეოთხე კლასისად ითვლება: წისქვილი, თოკი, ნოხი, ნაჯახი, სადგისი, დანა, მახვილი...

საგულისხმოა, რომ „ქალი“ გათხოვებამდე მესამე კლასისად მიიჩნევა, გათხოვების შემდეგ — მეორე კლასს განეკუთვნება. ქალიშვილი ამბობს თავის თავზე: ნა **ბ**-ურა („მე ვარ“: **ბ**- მესამე კლასის ნიშანია); გათხოვების შემდეგ: ნა **დ**-ურა („მე ვარ“: **დ**- მეორე კლასის ნიშანია)[22].

ამ უკანასკნელ შემთხვევაში ნათლად გამოსჭვივის ის დაფასება, რომელიც საგანს ეძლეოდა სათანადო ენობრივი კოლექტივის თვალსაზრისით.

ზოგიერთ ენაში ეს **დაფასება** დემონსტრაციულადაა გახაზული სახელის ამა თუ იმ კატეგორიისადმი მიკუთვნებაში; ასე, მაგ., ჰოტენტოტების ენაში ერთი და იგივე საგანი, ვთქვათ, წყალი, შეიძლება განეკუთვნოს სამ განსხვავებულ კლას-კატეგორიას იმისდა მიხედვით, **რანაირ** წყალთან გვაქვს საქმე: დიდი წყალი (მდინარე) — პირველი კლასისაა, სასმელად ანდა სარეცხისათვის ხმარებული წყალი — მეორე კლასისაა, საერთოდ წყალი — მესამე კლასისა.

ინდოევროპული ენებისა და სემიტური ენების სქესები ისტორიუ-

[22] П. Услар. Лакский яз., თბ., 1890, გვ. 10.

ლად მიღებულია **ცოცხალსახა** და **არაცოცხალსახ** კატეგორიათაგან (ცოცხალი=მამრობითსა და მდედრობითს, არაცოცხალი=საშუალოს).

იბერიულ-კავკასიურ ენებში ძირითადია **ადამიანისა** და **ნივთის** კატეგორიათა გარჩევა. ეს კატეგორიები ძველად გაირჩეოდა ქართველურ ენებშიც.

§ 101. დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები და დამოკიდებულება. შეკავშირების საკითხი რომ დადგეს, სულ მცირე ო რ ი ს ი ტ ყ ვ ა მაინც უნდა გვქონდეს და ამ სიტყვებს დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ა ღ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ი ა ფ ი ქ ს ე ბ ი უნდა მოეპოვებოდეს.

ეს აუცილებელია, მაგრამ არ არის საკმარისი. შევადაროთ ერთმანეთს „ძმის ამხანაგი“ და „ძმას ამხანაგი“. ორსავე შემთხვევაში ერთი და იგივე სიტყვები („ძმა“, „ამხანაგი“) გვაქვს; ორსავე შემთხვევაში ამ სიტყვებს დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები მოეპოვება.

განსხვავება მათ შორის მაინც თვალში გვეცემა: პირველ შემთხვევაში („ძმის ამხანაგი“) აფიქსი სწორედ ამ ორი სიტყვის შინაარსს აკავშირებს: ვისი ამხანაგი? „ძმის ამხანაგი“. მეორე შემთხვევაში („ძმას ამხანაგი“) აფიქსი ამ სიტყვათა შინაარსს არ აკავშირებს; პირიქით, ის მიგვითითებს, რომ აქ გვაქვია ის სიტყვა, რომელთანაც ორივე სიტყვა შინაარსობრივ, აზრის მიხედვით, არის დაკავშირებული; ვთქვათ, ასე: „ძმას მოუვიდა ამხანაგი“; მოუვიდა ვის? „ძმას“; მოუვიდა ვინ? „ამხანაგი“. სქემატურად ეს ორი შემთხვევა ასე შეიძლება გამოვსახოთ:

ძმის ← ამხანაგი...

მ ო უ ვ ი დ ა
↓ ↓
ძმას ამხანაგი.

პირველ შემთხვევაში („ძმის ამხანაგი“) დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსებიც გვაქვს (ძმ-ის) და დამოკიდებულებაც ერთი სიტყვისა მეორეზე: დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსი (**-ის**: „ძმ-**ის**“) აკავშირებს „ამხანაგს“ „ძმა“-სთან: ამხანაგი ძმისაა.

მეორე შემთხვევაში („ძმას ამხანაგი“) დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსი გვაქვს („ძმა-ს“), მაგრამ დამოკიდებულება კი ამ სიტყვებს შორის არ გადმოიცემა, დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსი (-ს: „ძმა-ს“) **არ აკავშირებს** „ამხანაგ“ სიტყვას „ძმა“ სიტყვასთან.

გაშ, რის მაქნისია ეს დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსი,

თუ ის ვერ დააკავშირებს სიტყვებს? კავშირს ეს აფიქსი აქაც გამოხატავს, ოღონდ სხვა სიტყვასთან: „მოუვიდა ძმას", „მოუვიდა ამხანაგი".

შეიძლებოდა ჩამოგვეთვალა მთელი რიგი აფიქსებიანი სახელები: „ამხანაგი", „ამხანაგმა", „ამხანაგს", „ამხანაგის", „ამხანაგით", „ამხანაგად", ვთქვათ, იმგვარად, როგორც ეს ბრუნების პარადიგმებშია მოცემული, — არავითარი კავშირი ამ სიტყვებს შორის არ აღმოჩნდება: დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები ამ სიტყვებს აქვს, დამოკიდებულება არა ჩანს[23]. ერთმანეთთან ეს სიტყვები დაკავშირებული არ არის არც შინაარსით, არც ფორმით.

შეიძლება შინაარსით დაკავშირებული სიტყვები გვქონდეს, ამ სიტყვებს დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები მოეპოვებოდეს და მაინც ქართულისთვის ბუნებრივი დაკავშირება სიტყვათა ვერ მივიღოთ: „ხალხმა რას იტყვის?" „ამხანაგმა წერს"... „ამხანაგი დაწერა წერილი".

აქედან დასკვნა: არ კმარა სიტყვას ჰქონდეს დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები, საჭიროა ისეთი აფიქსები ჰქონდეს, რომლებიც სათანადო სიტყვებს შინაარსობრივ აკავშირებენ, — სათანადო ენის ნორმათა შესაბამისად — მოცემული სიტყვებისაგან ორგანიზებულ მთლიანობას ქმნიან.

სიტყვათა ასეთი ორგანიზებული შენაერთი მოცემულია ჩვეულებრივ წინადადებაში („ამხანაგი მოვიდა", „ძმას მოუვიდა ამხანაგი"), მაგრამ სიტყვათა შეერთება შეიძლება წინადადების ნაწილს გადმოგვცემდეს („ძმის ამხანაგი")[24].

სიტყვათა დამოკიდებულებას ანუ სიტყვათა შეკავშირებას სწავლობს **სინტაქსი** (ბერძ. syntaxis „შედგენა"). სინტაქსი ახასიათებს ყოველ სიტყვას იმ როლის მიხედვით, რომელიც მას ეკუთვნის, როცა სიტყვები კავშირდებიან აზრის (ანდა აზრის ნაწილის) გამოსათქმელად, გარკვეული შინაარსის გადმოსაცემად.

§ 102. სიტყვათა სინტაქსური დამოკიდებულების ძირითადი სახეები. სიტყვათა დაკავშირებისას ერთი სიტყვა, როგორც წესი, იკავშირებს, მეორე — უკავშირდება, ე. ი. ერთი სიტყვა აქტიური, წამყვანი, გაბატონებული სიტყვაა, მეორე კი —

---

[23] „ამხანაგი დაწერა (წერილი)"... ასეთი შეცდომა ჩვეულებრივ მოსდით ინდოევროპულ, სემიტურ და სხვ. ენათა კონსტრუქციებს მიჩვეულთ, როცა ქართული ცუდად იცით.

[24] სიტყვათა ასეთი სინტაქსურად ორგანიზებული შენაერთი იწოდება შესიტყვებად; იგი შეიძლება შედგებოდეს ორი და მეტი სიტყვისაგან.

პასიური, დამოკიდებული.

სიტყვათა ეს დამოკიდებულება ჩვეულებრივ შეთანხმების მართვისა და მირთვის სახეს იღებს. **შეთანხმება, მართვა** და **მირთვა** ყველაზე გავრცელებული სინტაქსური პროცესებია.

სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობა ამით არ ამოიწურება[25] მაგრამ ეს პროცესებია ყველაზე ცნობილი: არ დაიძებნება ისეთი ენა რომ დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები მოეპოვებოდეს და სიტყვათა დაკავშირებისას შეთანხმებასა და მართვას არ იძლეოდეს.

რა არის ნიშანდობლივი შეთანხმებისა, მართვისა და მირთვისათვის? **შეთანხმება** ეწოდება ისეთ **დამოკიდებულებას,** როცა **დამოკიდებული სიტყვა** სწორედ იმ **ფორმას** იღებს, რაც **წამყვან სიტყვას აქვს.** რა ბრუნვაშიც, რა რიცხვშიც არის წარმოდგენილი წამყვანი სიტყვა, იმ ბრუნვასა და რიცხვში დაისმის დამოკიდებული სიტყვა.

„ამხანაგი დგება" — „ამხანაგები დგებიან". პირველ წინადადებაში („ამხანაგი დგება") ზმნა („დგება") მხოლობითშია იმიტომ, რომ მხოლობითშია სახელი („ამხანაგი"); ზმნა („დგება") ეთანხმება სახელს („ამხანაგი") რიცხვში. არ შეიძლება ვთქვათ: „ამხანაგი დგებიან". მეორე წინადადებაში „ამხანაგები დგებიან" სახელიც მრავლობითშია და ზმნაც: ზმნა მრავლობითშია სწორედ იმიტომ, რომ სახელი („ამხანაგები") მრავლობითშია დასმული: ზმნა აქაც ეთანხმება რიცხვში სახელს; „ამხანაგები დგება" შესაძლო სინტაქსური შეკავშირებაა იმერული კილოსათვის, მაგრამ უმართებულოა თანამედროვე სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით[26]. წინადადებაში „ბაღში ხეები აყვავდა": „ხეები" მრავლობითშია, „აყვავდა" მხოლობითში: ზმნა არ ეთანხმება სახელს რიცხვში.

შესიტყვებაში „აყვავებული ხეები" — „აყვავებული" მხოლობითშია, „ხეები" — მრავლობითში: „აყვავებული" არ ეთანხმება რიცხვში „ხეებს" (შდრ. რუს. **цветущие деревья**; რუსულში **"цветущее деревья"** ისევე შეუწყნარებელია, როგორც ქართულში „აყვავებულება ხეები").

შეთანხმებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს სახელსა და სახელს შორის: „ბეჯითი სტუდენტი", „ბეჯითმა სტუდენტმა"... პირველ შემთხვევა-

---

25 კერძოდ, ეს ეხება ქართულს; ქართულში ხსენებული პროცესების გარდა თავისებური რთული პროცესებიც შეინიშნება (იხ. ქვემოთ § 105).

26 „თანამედროვე სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისითო" იმიტომ ვამბობთ, რომ ძველ ქართულში „ამხანაგები დგება" კანონიერი შესიტყვება იქნებოდა: სინტაქსის ნორმები ისევე ცვალებადია, როგორც ყოველი სხვა ენობრივი ნორმა.

ში სახელი „სტუდენტი“ სახელობითშია, ის სახელიც, რომელიც მას განმარტავს („ბეჯითი“), სახელობითშია: სახელი („ბეჯითი“) ეთანხმება სახელს („სტუდენტი“) ბრუნვაში. ასევე შესიტყვებაში „ბეჯითმა სტუდენტმა“ შესიტყვების პირველი წევრი („ბეჯითმა“) მოთხრობით ბრუნვაშია და ეთანხმება შესიტყვების მეორე წევრს („სტუდენტმა“) ბრუნვაში. დამოკიდებულ სიტყვას, რომელიც ეთანხმება, ეწოდება **შეთანხმებული;** წამყვანი სიტყვა, რომელიც ითანხმებს, იქნება **მათანხმებელი.**

მართვა ეწოდება ისეთ **დამოკიდებულებას,** როდესაც **დამოკიდებული სიტყვა ისეთ ფორმაშია,** რომელიც **წამყვან სიტყვას ან საერთოდ არ შეიძლება ჰქონდეს** ანდა, საერთოდ, შეიძლება ჰქონდეს, **მაგრამ მოცემულ შემთხვევაში არ გააჩნია.**

სიტყვა, რომელიც მართავს, **მმართავი** იქნება; სიტყვა, რომელიც იმართვის, **მართული.**

„უნივერსიტეტის წინ ვარაზის ხევია“; ამ შესიტყვების პირველი ორი წევრი ერთმანეთთან გარკვეულ დამოკიდებულებაშია: ვერ ვიტყვით: „უნივერსიტეტს წინ ვარაზის ხევია“ ანდა „უნივერსიტეტმა წინ ვარაზის ხევია“, არც „უნივერსიტეტთ წინ ვარაზის ხევია“, არამედ მხოლოდ ასე: „უნივერსიტეტის წინ ვარაზის ხევია“.

ამ ორი წევრიდან პირველი („უნივერსიტეტის“) — სახელია, ცვალებადი სიტყვა, მეორე („წინ“) უცვლელი სიტყვაა; ეს უკანასკნელი ყოველგვარ კონტექსტში ამ სახით წარმოგვიდგება; ცხადია, მას ბრუნვა (არც სხვა რაიმე მორფოლოგიური კატეგორია) არა აქვს; და მაინც ის მოითხოვს, რომ მასზე დამოკიდებული სახელი იყოს ნათესაობით ბრუნვაში: უნივერსიტეტის წინ, სახლის წინ, ჩემ წინ... უფორმო სიტყვა („წინ“) მართავს სახელს („უნივერსიტეტი“) ბრუნვაში.

სახელი შეიძლება მართოს თანდებულმაც; ვცხოვრობ **ძმას-თან;** არ შეიძლება: ვცხოვრობ ძმისთან[27] ანდა ძმად-თან ან ძმათთან: **-თან** თანდებული მოითხოვს მიცემით ბრუნვას, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, მართავს სახელს მიცემით ბრუნვაში. სხვა თანდებულები სხვა ბრუნვებს მართავენ: **-მდის** (=მდე) მართავს ვითარებით ბრუნვას (ქალაქამდის ← ქალაქადმდის), **-კენ, -თვის** — ნათესაობით ბრუნვას (სკოლისაკენ, სკოლისათვის...) და სხვ.

---

[27] „ძმისა თანა“ შესაძლებელი იყო ძველ ქართულში; ამის ნაშთს წარმოადგენს ახლანდელი მასდარიანი გამოთქმები („ამის მიღებისთანავე“), სადაც გვაქვს „თანა“ და „ვე“ ნაწილაკი.

უფორმო სიტყვაც, თანდებულიც ჩვენს მაგალითებში სახელისაგან მოითხოვენ ბრუნვას, ე. ი. ისეთ ფორმას, რაც მათ არც ამ შემთხვევაში აქვთ, და არც საერთოდ შეიძლება ჰქონდეთ.

ამგვარადვე შესიტყვებაში „ამხანაგი მუშაობს“, „მუშაობს“ მესამე პირის ფორმითაა წარმოდგენილი, თუმცა „ამხანაგი“ სახელია და პირის მიხედვით ცვლის უნარს მოკლებულია, მას პირები არა აქვს: სახელი („ამხანაგი“) მოითხოვს ზმნისაგან გარკვეულ პირს ანუ მართავს ზმნის პირს.

და, პირიქით, წინადადებაში: „დავითმა ფანქრით დახატა სიმონის სურათი“ ზმნა „დახატა“ მოითხოვს სახელს („ფანქრით“) მოქმედებით ბრუნვაში („დახატა“ რით? — ფანქრით!), თუმცა ზმნა („დახატა“) ბრუნვის მიხედვით არ იცვლება, ბრუნვის ფორმა ზმნისთვის უცხოა. წინა მაგალითში სახელი მართავდა **ზმნის პირს**, აქ ზმნა მართავს **სახელის ბრუნვას**.

„პროფესორი სტუდენტის წარმატებით კმაყოფილია“ — ამ წინადადებაში ორი სახელი („სტუდენტის წარმატებით“) ერთმანეთთან გარკვეულ შინაარსობრივ კავშირშია: „სტუდენტის“ ამხსნელი სიტყვაა მომდევნო სიტყვისა: კმაყოფილია ვისი წარმატებით? „სტუდენტის წარმატებით“. პირველი („სტუდენტის“) დამოკიდებულია მეორეზე („წარმატებით“): მეორემ შეიძლება იცვალოს ბრუნვა, პირველი ისევ ნათესაობითში დარჩება: „სტუდენტის წარმატება“, „სტუდენტის წარმატებამ“, „სტუდენტის წარმატებას“, „სტუდენტის წარმატებად“. რა ბრუნვაშიც უნდა იყოს „წარმატება“, წინა ამხსნელი სიტყვა („სტუდენტის“) ნათესაობით ბრუნვაში გვექნება: სახელი „წარმატებით“ მოითხოვს სახელისაგან „სტუდენტი“ ნათესაობით ბრუნვას.

„წარმატება“ სახელს შეიძლება ჰქონდეს ნათესაობითი ბრუნვა, „სტუდენტის წარმატების აღრიცხვას პროფესორი აწარმოებს“ — ამ შესიტყვებაში ორივე სახელი ნათესაობით ბრუნვაში აღმოჩნდა (სტუდენტის წარმატების), მაგრამ არა იმიტომ, რომ მათ შორის შეთანხმებას აქვს ადგილი, არამედ იმიტომ, რომ „წარმატება“ ნათესაობით ბრუნვაში მოითხოვა „აღრიცხვა“ სიტყვამ: აღრიცხვა — რისა? წარმატებისა... ვისი წარმატებისა? სტუდენტის წარმატებისა: „აღრიცხვა“ მოითხოვს ნათესაობით ბრუნვას „წარმატება“ სიტყვისაგან, ეს უკანასკნელიც მოითხოვს ნათესაობითს „სტუდენტ“ სიტყვისაგან.

შეიძლება „აღრიცხვა“ სიტყვაც ნათესაობით ბრუნვაში მოჰყვეს, თუ ამას ახალი მმართავი სახელი ან სხვა სიტყვა მოითხოვს: „სტუდენტის წარმატების აღრიცხვის შედეგები უკვე ვიცით“... აქ „შედეგები“

მართავს სიტყვას „აღრიცხვის“, ეს უკანასკნელი — სიტყვას „წარმატების“, ეს კიდევ თავის მხრივ — სიტყვას „სტუდენტის“: მივიღეთ მმართავ და მართულ სიტყვათა ჯაჭვი.

მიმართვა არც შეთანხმებაა და არც მართვა; ესაა, თუ შეიძლება ასე ითქვას, **დამოკიდებულების ნოლ-ფორმა;** აქ ერთი სიტყვა უცვლელად „მიერთვის“ მეორეს; მაგალითად: „დავითმა უნივერსიტეტი **შარშან** დაამთავრა...“ „სიმონი **ადრე** იწყებს მუშაობას...“ „შარშან“, „ადრე“ მირთული სიტყვებია; შესიტყვების შინაარსის მიხედვით ისინი უკავშირდებიან ზმნას (დაამთავრა როდის? — შარშან... მუშაობას იწყებს როდის? — ადრე), მაგრამ არავითარი გარეგნული გამოხატულება ამ დამოკიდებულებას არ ახასიათებს. ეს გასაგებიც არის: ეს დამოკიდებული სიტყვები უცვლელი (უფორმო) სიტყვებია: მათ არავითარ კონტექსტში არ შეუძლიათ სახე იცვალონ; ამიტომ დამოკიდებულებაში ყოფნა მათ ვერ დაეტყობათ. შესიტყვებაში ყველგან რომ ასეთი „დამოკიდებულება“ გვქონდეს, სინტაქსურ დამოკიდებულებაზე ლაპარაკი უადგილო იქნებოდა; სიტყვათა შეკავშირება იქცეოდა სიტყვათა დასმად ერთიმეორის გვერდით: მაგრამ როცა მართვა და შეთანხმება გვაქვს, ამგვარი „დამოკიდებულების“ აღნიშვნაც საჭიროა: როგორც ნოლ-ფორმა რეალურ ფორმებთან შეპირისპირებისას გამოიყოფა, ისე აქაც ეს ნოლ-დამოკიდებულება მართვა-შეთანხმებასთან შეპირისპირებით აღინიშნება. **დამოკიდებულების ეს ნოლ-ფორმა არის მიმართვა.**

მიერთვის უცვლელი (უფორმო) სიტყვა (ზმნისართი), თანდებული, თანდებული ცალკე ვერ მიიღებს მონაწილეობას შესიტყვებაში, ის მის მიერ მართულ სახელს ახლავს: დავითი ცხოვრობს ძმას**თან**... სტუდენტი ზის სკამ**ზე** მაგიდას**თან** აუდიტორია**ში**... **-თან, -ზე, -ში** თანდებულები და მათ მიერ მართული სახელები მიერთვიან ზმნას.

რაც უფრო მდიდარია ენა აფიქსებიანი სიტყვებით, მით უფრო დიდია შეთანხმებისა და მართვის ხვედრითი წონა შესიტყვებაში. რაც უფრო ღარიბია ენა აფიქსებიანი სიტყვებით, მით უფრო დიდია **მიმართვის** ხვედრითი წონა შესიტყვებაში. უაფიქსო ენების შესიტყვებაში კი სიტყვათა დამოკიდებულება სხვა საშუალებებით გადმოიცემა (იხ. § 88).

§ 103. რას გამოხატავს შესიტყვება? სიტყვებს ერთმანეთთან აკავშირებენ იმისათვის, რომ აზრი ჩამოაყალიბონ, რომ ნათქვამი ურთიერთობის საშუალებად გამოდგეს. ამისდა კვალად შესიტყვების შინა-

არსი შეიძლება გადმოგვცემდეს სრულ მსჯელობას (ანუ, როგორც იტყვიან ხოლმე, აზრს) და წარმოადგენდეს წინადადებას ანდა გადმოგვცემდეს აზრის ნაწილს და, ზოგჯერ — უაზრობასაც.

სრულ აზრს გადმოგვცემენ ისეთი შესიტყვებები, როგორიცაა: ეზოში ბავშვები თამაშობენ... სტუდენტმა გამოცდა ჩააბარა... ორჯერ ორი არის ოთხი... დედამიწა ტრიალებს მზის გარშემო... და სხვ.

აზრის ნაწილია გადმოცემული ასეთ შესიტყვებებში: ძმის ამხანაგი... დიალექტიკის ბუნება... „მგზავრის წერილები“... „პალიასტომის ტბა“... სწავლის დაწყების წინ... და სხვ. პირველი შესიტყვება აზრის საგანს აღნიშნავს, ლოგიკურ სუბიექტზე მიუთითებს, პრედიკატი კი გვაკლია: შდრ. „ძმის ამხანაგი“ და: „ძმის ამხანაგი მოვიდა“... „დიალექტიკის ბუნება“ და: „დიალექტიკის ბუნება გარკვეულია“... „მგზავრის წერილები“ და: „მგზავრის წერილები“ მშვენიერი ენითაა დაწერილი“... „პალიასტომის ტბა“ და: „პალიასტომის ტბა“ ე.ნინოშვილის მოთხრობაა“... შესიტყვებაში — „სწავლის დაწყების წინ“ პრედიკატის ნაწილი შეიძლება ვივარაუდოთ: „სწავლის დაწყების წინ განათლების სამინისტრომ დიდი მუშაობა ჩაატარა“...[28]

წინადადება შეიცავს უაზრობას, ან, გარკვეული მნიშვნელობით, არასწორ აზრს: „სამკუთხედში ოთხი კუთხეა“... „ორჯერ ორი არის შვიდი“... „დამხრჩვალი კატა მიათრევს ტრამვაის ვაგონს“... „მთვარეს ჰამბურგში აკეთებენ“... Шел высокйи человек низенького роста... Рано утром вечерком, поздно на рассвете, баба ехала пешком в раскидной карете; а за нею во всю прыть тихими шагами рак старался перешлыть миску с пирогами"... „დედამიწა ხარის რქაზეა მოთავსებული“... „ჰომეროსი მეთვრამეტე საუკუნის გერმანელი მოღვაწე იყო“...

ფსიქიატრები აღნიშნავენ, რომ ფსიქიკური აშლილობის დროს ავადმყოფები „თითქმის ყოველთვის გრამატიკულად სწორად გაფორმებულ წინადადებაში გამოხატავენ შიზოფრენიულ ასოციაციათა ნაფლეთების უაზრო გროვას“; მაგალითად, ერთი შეშლილი ამბობდა: „მე დიოგენის ჩამომავლობისა ვარ იმიტომ, რომ დიოგენი ფარნით ეძებდა ადამიანებს. მე კი ეს მიმაჩნია სისულელედ“ (იხ. მ. ო. გურევიჩი და მ. ი. სერეისკი: „ფსიქიატრიის სახელმძღვანელო“ რუს., მოსკ.-ლენინგრ., 1928 წ., გვ. 289).

შეიძლება უბოლოვადად განვაგრძოთ მაგალითების მოყვანა —

[28] შესიტყვებები: მგზავრის წერილები... პალიასტომის ტბა... შეიძლება პრედიკატის ნაწილადაც ვიგულვოთ, თუ ვინიცობაა მათ ნაწარმოებთა სახელწოდებად არ დავსახავთ.

მხატვრულ ნაწარმოებთაგან, ფოლკლორიდან, სარწმუნოებათა ისტორიდან და სხვ. ეს სრული შესიტყვებებია, ჩამოყალიბებული წინადადებები; იმათი თვალსაზრისით, ვისგანაც ეს წინადადებები მომდინარეობს, ისინი გარკვეულ აზრებს შეიცავენ. უაზრო როდი არიან, მაგრამ მთქმელის თვალსაზრისით აზრიანი ობიექტურად უაზრობას წარმოადგენს. ვინც იმ დებულებიდან გამოვა, რომ წინადადება ს წ ო რ ი აზრის შემცველ შესიტყვებას უნდა წარმოადგენდესო, უნდა გაითვალისწინოს, რომ ურევს გრამატიკას ფორმალურ ლოგიკასთან კი არა, არამედ — მეტი კიდევ — გნოსეოლოგიასთან და **წარმოუდგენელ მოთხოვნილებას** აყენებს: **შეხიტყვების სინტაქსურ გარჩევას წინ უძღოდეს გნოსეოლოგიური ანალიზი და უკანასკნელის საფუძველზე წუდებოდეს საკითხი — წარმოადგენს თუ არა წინადადებას ესა თუ ის შესიტყვება...**

თავისთავად ცხადია, ასეთი ახირებული მოთხოვნილების თვალსაზრისით ზღაპრების ტექსტები[29] სინტაქსური ანალიზისათვის გამოუსადეგარი იქნება: იქ წინადადებას ვეღარ ვიპოვით... ეს ცოტაა: იმ პრიმიტიულ ხალხთა მეტყველებაში, რომელთა საზოგადოებრივი წარმოებაცა და აზროვნებაც განუვითარებელია, წინადადებები ასში ერთი თუ აღმოჩნდებოდა...

§ 104. სინტაქსი და სტილისტიკა. ყოველგვარი ნორმალური შესიტყვება სათანადო ენის სინტაქსის კანონიერ საგანს წარმოადგენს: მათემატიკურად ზუსტ დებულებას შეიცავს იგი, მეცნიერულად საეჭვო აზრს, საყოველთაოდ ცნობილ შემცდარ დებულებას თუ წარმოუდგენელ უაზრობას — სიტყვათა ორგანიზაციის წესები მათემატიკურ ფორმულაშიც („სამკუთხედის კუთხეთა ჯამი ორ სწორს უდრის") და საყოველთაოდ ცნობილ უაზრობაშიც („დედამიწა ხარის რქაზეა მოთავსებული") ერთნაირია, ამ წესების გასათვალისწინებლად ორივე თანაბრად გამოდგება.

რაც შეეხება შესიტყვების შინაარსს, შესიტყვების შინაარსი იმ სამეცნიერო დისციპლინის საგანს წარმოადგენს, რომლიდანაც არის აღებული შესიტყვება: „სამკუთხედის კუთხეთა ჯამი ორ სწორს უდრის" — ამ შესიტყვების შინაარსი გ ე ო მ ე ტ რ ი ი ს საქმეა და არა ენათმეცნიერებისა... ასევე: „ნაცარქექიამ ცხრათავიანი დევი გააქცია"... „ცხენს მოახტა, ცხენის მარჯვენა ყურიდან უნაგირი გამოიღო, მარცხენიდან

[29] მაგალითისათვის იხ. §12, სოფ. მარიამჯვარში ჩაწერილი კახური კოლოს ნიმუში (რედ.).

მათრახი"... — ამგვარ შესიტყვებათა შინაარსს ფ ო ლ კ ლ ო რ ი სწავლობს და სხვ.

ცალკე უნდა გამოიყოს ლოგიკური აგებულება შესიტყვების შინაარსისა (სუბიექტისა და პრედიკატის გამოყოფა); ამის გარკვევა, როგორც თვით სახელწოდებიდან („ლოგიკური აგებულება") ჩანს, ლოგიკის საქმეა[30] და არა ენათმეცნიერებისა.

ზემოხსენებულის გარდა რჩება ერთი რამ, რაც ენათმეცნიერებას ეხება და რასაც ვერც ერთი სხვა სამეცნიერო დისციპლინა ვერ იკისრებს: მიმართება, რომელიც არსებობს სათქმელ შინაარსსა და იმ სიტყვებს შორის, რომლებიც ამ მიზნით არის ნახმარი: **რამდენად შეეფერება გადმოსაცემ შინაარსს სათანადო სიტყვები? გადმოსაცემი შინაარსის თვალსაზრისით რა მიმართებაშია ერთმანეთთან სიტყვები?** სხვანაირად რომ თქვათ, **სიტყვების ურთიერთობა მნიშვნელობის თვალსაზრისით** — აი საკითხი, რომელსაც ენათმეცნიერება გვერდს ვერ აუხვევს, თუ უნდა თავისი ობიექტი ყოველმხრივ გააშუქოს.

სიტყვების ურთიერთობა შესიტყვების აგებულების თვალსაზრისით — სინტაქსის საქმეა; სიტყვების ურთიერთობა მნიშვნელობის თვალსაზრისით, გადმოსაცემი შინაარსის თვალსაზრისით — სტილისტიკის საქმეა. შესაძლებელია შესიტყვება სინტაქსურად სწორად იყოს აგებული, მაგრამ სტილისტიკურად გაუმართავი გამოდგეს; და პირიქით: შეიძლება სტილისტიკურად გამართული იყოს შესიტყვება, მაგრამ სინტაქსურ შეცდომებს შეიცავდეს; დასასრულ: შეიძლება სტილისტიკურადაც სწორი იყოს და სინტაქსურადაც ანდა კიდევ: სტილისტიკურადაც უმართებულო იყოს და სინტაქსურადაც.

„დავითმა შეურაცხყოფა გ ა უ კ ე თ ა სიმონს": სიტყვათა დაკავშირების წესები დაცულია, სინტაქსური მხარე უნაკლოა, **სტილის თვალსაზრისით — აუტანელია:** „შეურაცხყოფა" და „გაუკეთა" მნიშვნელობის მიხედვით ქართულში ერთმანეთს სრულებით არ შეეფერება; შესიტყვებაში „შეურაცხყოფა გაუკეთა" სიტყვები ფორმით ერთმანეთს შეეფერება, მნიშვნელობით — არა! ქართულია: „შეურაცხყოფა მიაყენა"...

„მატარებელი გაჩერდა სემაფორზე": სინტაქსური მხარე წესიე-

---

[30] ეს საქმე ძალიან საჭირო საქმეა, განსაკუთრებით სკოლის სინამდვილისათვის. და თუ გას ენის მასწავლებელი ჰკიდებს ხელს, ეს იმიტომ, რომ სკოლაში არც ერთი სხვა საგანი არ მოიპოვება, რომლის მასწავლებელიც ამ საქმეს თავის საქმედ თვლიდეს.

რია, **სტილი უგარგისია: -ზე** თანდებული გამოუსადეგარია იმ შინაარსის გადმოსაცემად, რომელიც შესიტყვებას აქვს, უნდა იყოს: „მატარებელი გაჩერდა სემაფორ**თან**".

„დავითმა დაჰპირდა სიმონს დახმარება", „დავითმა მოუყვა სიმონს ამბავი" სტილისტიკურად გამართული შესიტყვებებია, მაგრამ **სინტაქსურად** ორივე **უმართებულოა,** — „დაჰპირდა", „მოუყვა" გარდაუვალი ზმნებია და ამიტომ სუბიექტი სახელობით**ში** უნდა დაისვას (და არა მოთხრობით**ში**): „დავითი დაჰპირდა სიმონს დახმარებას", „დავითი მოუყვა სიმონს ამბავს".

სტილისტიკურ შეცდომას სინტაქსურიც ერთვის ასეთ შესიტყვებაში: „ვარსქენი, გამხეცებული ცოლის ასეთ მოქცევაზე, უხეშად სცემს შუშანიკს..." „გამხეცებული" რით? „მოქცევით" (და არა „მოქცევაზე"); „სცემს დაუზოგავად" (და არა „უხეშად": ცემა არ შეიძლება არ იყოს უხეში; „უხეშად" აქ უადგილოა). პირველი შეცდომა სინტაქსურია, მეორე — სტილისტიკური.

§ 105. შესიტყვების აგებულება და შესიტყვების მნიშვნელობა. სინტაქსს თავისი საგანი აქვს, სტილისტიკას — თავისი; სინტაქსური ანალიზი — ერთია, სტილისტიკური — მეორე; მჭიდრო კავშირშია ერთიმეორესთან, მაგრამ მათი აღრევა დაუშვებელია: სწორედ იმიტომაა საჭირო სრული გარკვეულობით დავიცვათ საზღვრები მათ შორის, რომ მეტად მჭიდროა კავშირი. საზღვრის დაცვა, რა თქმა უნდა, კავშირის გაწყვეტას არ მოასწავებს, არამედ ამ კავშირის ჯეროვნად დაფასებასა და გამოყენებას. რჩება ერთი პრინციპული საკითხი: უდავოა, რომ არსებობს მჭიდრო კავშირი **აგებულების მიხედვით** სიტყვათა ურთიერთობასა და **მნიშვნელობის მიხედვით** სიტყვათა ურთიერთობას შორის. განა მიზანშეწონილი არ იქნებოდა, ჯერ შეგვესწავლა სიტყვათა ურთიერთობა მათი მნიშვნელობის მიხედვით (რამდენად შეეფერება ერთი სიტყვა მეორეს **მნიშვნელობის მიხედვით**) და შემდეგ **ამაზე დაგვეფუძნებინა** სიტყვათა ურთიერთობა აგებულების მიხედვით (რამდენად შეეფერება ერთი სიტყვა მეორეს აგებულების მიხედვით, შეთანხმება-მართვის თვალსაზრისით)? ერთი სიტყვით, ჯერ სტილისტიკის საკითხები მოგვეგვარებინა, შემდეგ გადავსულიყავით სინტაქსურ საკითხებზე.

სტილისტიკით დაწყება, რა თქმა უნდა, პრინციპული თვალსაზრისით დავას არ იწვევს, თუ პრაქტიკულად ადვილი დასაძლევი აღმოჩნდა. ერთია მხო-

ლოდ: მწვავდება თანამიმდევრობის საკითხი მასალის დალაგებაში მარტივიდან რთულისაკენ გადასვლის თვალსაზრისით; თან ისიც არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ სტილისტიკა ფსიქოლოგიისა და ლოგიკის მიჯნაზე მდებარე დისციპლინაა, სინტაქსი კი ცენტრალური მნიშვნელობის საენათმეცნიერო დარგია. მაინც ვიმეორებთ: სტილისტიკიდან დაწყება პრინციპის საკითხი კი არ არის, არამედ — პრაქტიკული შესაძლებლობისა.

ამას ვერ ვიტყვით მეორე საკითხის შესახებ: შეიძლება თუ არა **მნიშვნელობის მიხედვით სიტყვათა ურთიერთობა** საფუძვლად დაეუდოთ **აგებულების მიხედვით სიტყვათა ურთიერთობას?** ეს შესაძლებელი იქნება, თუ პირველი განსაზღვრავს მეორეს, თუ **მნიშვნელობის მიხედვით** ერთნაირი ურთიერთობა ყოველთვის და ყველგან **აგებულების მიხედვით** სიტყვათა ერთნაირ ურთიერთობას მოგვცემს. ეს აუცილებელი პირობაა, რომ პირველზე დავამყაროთ მეორე; **ეს აუცილებელი პირობა კი არ მოგვებოვება.**

1. სხვადასხვა ენაში **ერთნაირი მნიშვნელობის** შესიტყვება **სხვადასხვანაირი აგებულებისაა** და 2. ერთსა და იმავე ენაში **ერთნაირი მნიშვნელობის** შესიტყვება **სხვადასხვაგვარი აგებულებისა** გამოდის განვითარების **სხვადასხვა პერიოდში.**

უაფიქსო ენებში, როგორც ვიცით, წინადადებაში არც მართვას აქვს ადგილი და არც შეთანხმებას, მაგრამ თვით აფიქსიან ენებშიც ერთი და იმავე მნიშვნელობის წინადადება ერთი და იმავე აგებულებისა ჩვეულებრივ არ არის: „დავითი სთხოვს სიმონს“ და "Давид просит Симона" ერთი და იმავე მნიშვნელობისაა, მაგრამ სხვადასხვანაირი აგებულებისა; სინტაქსური ურთიერთობა ქვემოთ იქნება განხილული, აქ მხოლოდ ის აღვნიშნოთ, რომ „სიმონს“ მიცემითია, "Симона" — ბრალდებითი... ასევე: დავითი ხშირად ხვდება სიმონს და **Давид часто встречается с Симоном** განსხვავებულია აგებულების მიხედვით: „სიმონს“ მიცემითია; მისი რუსული შესატყვისი "Симону" კი არ არის, არამედ "с Симоном", მოქმედებითი ბრუნვა, ისიც თანდებულიანი.

შევადაროთ ქართული: „დავითი აქებს სიმონს“, „დავითმა აქო სიმონი“, „დავითს უქია სიმონი“ და სათანადო რუსული შესიტყვებები: **Давид хвалит Симона, Давид похвалил Симона, Давид, оказывается, похвалил Симона.** ბრუნვათა სხვაობა ამთავითვე შესამჩნევია ისევე, როგორც ზევით; ამაზე არ შევჩერდებით; მესამე რუსულ შესიტყვებას ჩართული სიტყვა (**оказывается**) დასჭირდა, რომ ქართული გამოთქმა გადმოეცა; ამ მხრივაც მხოლოდ ამის აღნიშვნით დავკმაყოფილდეთ და

გავაანალიზოთ შესიტყვებათა აგებულება რუსულსა და ქართულში.

Давид хвалит Симона: Давид სახელი მართავს ზმნის (хвалит) პირსა და ითანხმებს რიცხვს; хвалит თავის მხრივ მართავს მეორე სახელს (Симона) ბრუნვას. პირველი სახელი, ზმნის მმართავი სახელი, ესაა **ქვემდებარე;** ზმნა, რომელსაც მართავს და ითანხმებს ქვემდებარე, არის **შემასმენელი;** ზმნის მიერ მართული სახელი (Симона) არის **დამატება.** სქემატურად ეს ასე შეიძლება გამოვსახოთ:

Давид
↓
хвалит
↓
Симона

რა ვითარება გვაქვს ქართულ წინადადებაში? პირველი, რაც ყურადღებას იქცევს, ესაა სახელთა **ბრუნვის ცვლა:** დავითი აქებს — დავითმა აქო — დავითს უქია... აქებს სიმონს — აქო სიმონი... სახელთა ბრუნვის ცვლა გამოიწვია ზმნამ: აქებს — აქო — უქია... სხვაგვარი ზმნა რომ აგვეღო, ამ ცვლილებას ადგილი არ ექნებოდა: დავითი იზრდება, დავითი გაიზარდა, დავითი გაზრდილა, ანდა: დავითი ეხმარება სიმონს, დავითი დაეხმარა სიმონს, დავითი დახმარებია სიმონს...

სახელთა ბრუნვის ცვლა დამოკიდებულია ზმნაზე; სხვანაირად რომ ვთქვათ, გარდამავალი ზმნა (აქებს) მართავს **ორივე სახელის** — სუბიექტისა და ობიექტის — **ბრუნვებს.**

თავის მხრივ ეს სახელები **მართავენ** ზმნის **ბირს:** დავითი აქებს, შენ აქებ, მე ვაქებ... აქებს სიმონს, გაქებს შენ, მაქებს მე. ზმნა ორპირიანია და ორივე სახელის პირი ზმნაში წარმოდგენილია ან რეალურად (სახელი „დავითი" — -ს სუფიქსით: აქებ-ს) ან პოტენციურად (სახელი „სიმონს").

რიცხვის აღნიშვნის მხრივ კი ამ სახელების სინტაქსური ძალა განსხვავებულია: „ისინი აქებენ მას": „ისინი" ითანხმებს ზმნას მრავლობითში; დავითი (ის) აქებს მათ: „მათ" არ ითანხმებს ზმნას მრავლობით რიცხვში: სუბიექტის ხვედრითი წონა აქ მეტია ობიექტისაზე.

ამგვარად: წინადადებაში „დავითი აქებს სიმონს" **ორივე სახელის ბრუნვას მართავს ზმნა; ორივე სახელი მართავს ზმნის ბირს;** ერთი სახელი (სუბიექტი — სახელობითში) ითანხმებს ზმნას

მრავლობითში, მეორე (ობიექტი — მიცემითში) — არა.

რუსულთან შედარებით სიტყვათა დამოკიდებულება აქ შეუდარებლად უფრო რთულია; ქართული ზმნა წინადადების დედაბოძია; მასში იყრის თავს სინტაქსური დამოკიდებულების ძაფები. ზმნასთან შედარებით სახელთა როლი მეორეხარისხოვანია; ორი სახელიდან პირველის (სუბიექტისა — სახელობითში „დავითი") სინტაქსური როლი უფრო დიდია, ვიდრე მეორისა (ობიექტისა — მიცემითში).

საგულისხმო ისაა, რომ მხოლოდ მმართავი ან მხოლოდ მართული წევრი ამგვარ ქართულ წინადადებაში არ მოიპოვება: მმართავი ერთი ნიშნის მიხედვით მეორე ნიშნის მიხედვით მართულია **იმავე ხატყვის მიმართ:** ზმნა მართავს სახელის ბრუნვას, მაგრამ მისი პირი და რიცხვი დამოკიდებულია სახელზე.

აქედან დასკვნა: ამგვარ ქართულ წინადადებაში არსებულ სინტაქსურ დამოკიდებულებას მართვა-ცნება ვერ გამოხატავს; აქ საქმე გვაქვს **ურთიერთ მართვა-შეთანხმებასთან, კოორდინაციასთან**[31]. ზმნა — ძირითადი კოორდინატია, როგორც კოორდინაციის ცენტრი; სახელებიც კოორდინატებს წარმოადგენენ: ერთი მათგანი (დავითი) — დიდი კოორდინატია (მას ქვემდებარის ადგილი უჭირავს); იგი მართავს ზმნის პირს და ითანხმებს მას მრავლობითში; მეორე სახელი (სიმონს) — მცირე კოორდინატია (იგი დამატების ადგილას გვევლინება): იგი მართავს ზმნის პირს, მაგრამ ითანხმებს ზმნას მრავლობითში.

კოორდინაცია და კოორდინატები: ძირითადი, დიდი, მცირე — აი რას იძლევა ამგვარი ქართული წინადადების აგებულების ანალიზი[32].

სქემატურად კოორდინაციის პროცესი ასე შეიძლება გამოვსახოთ:

ა ჭ ე ბ ს
↓ ↑ ↑ ↓
დავითი სიმონს

---

[31] კოორდინაცია ლათინური სიტყვაა; ნიშნავს „თანწყობას", „თანალაგებას", ერთმანეთთან „შეწყობას".

[32] დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ავტორისავე: „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში", I, 1928, გვ. 261 (და შემდგ.); მეორე გამოცემა, 1968, გვ. 215 და შემდგ. და „რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას?" „ენეტურ. აღმშენებლ.". 1930, №7, გვ. 705-741, ახალი გამოცემა წიგნად, 1998.

შეიძლება ტერმინი კოორდინაცია („შეწყობა ერთმანეთთან", „თანალაგება"...) და კოორდინატები ჯეროვნად ვერ გამოხატავდეს ქართული შესიტყვების სინტაქსურ მექანიზმს; ამ ტერმინოლოგიურ მხარეს აქ ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს: თავი და თავია ამ ტერმინით აღნიშნული ცნების შინაარსი, მისი თავისებურება — **რთული სინტაქსური ურთიერთობა საურთიერთო მართვისა** (და შეთანხმებისა) — სახელებისა ზმნის მიერ და ზმნისა იმავე სახელების მიერ.

სინტაქსური მექანიზმის ეს სირთულე ქართულ წინადადებაში შემთხვევითი არ არის. იგი შინაგანი აუცილებლობით გამომდინარეობს იმ დიდმნიშვნელოვანი მორფოლოგიური ფაქტიდან, რომ ქართულში მოიპოვება **ორპირიანი ზმნა,** კერძოდ, ორპირიანი **გარდამავალი** ზმნა: **ზმნის ორპირიანობა მორფოლოგიაში იძლევა კოორდინაციას სინტაქსში.**

რუსულ და ქართულ სიტყვათა შეკავშირების (შეხამების) სინტაქსური მექანიზმის სხვაობის თვალსაჩინო სურათს იძლევა სათანადო სქემათა შედარება:

Давид	ა ქ ე ბ ს
↓	↓ ↑ ↓ ↑
хвалит	დავითი სიმონს
↓	
Симона	

მნიშვნელობის მხრივ სიტყვათა ურთიერთობა ქართულსა და რუსულ შესიტყვებაში ერთნაირია: მაქებარია დავითი, ქების საგანია — სიმონი...

აგებულების მხრივ სიტყვათა ურთიერთობა ქართულ შესიტყვებაში არსებითად სხვაგვარია, ვიდრე რუსულში: გარეგნულადაც ეს თვალში გვეცემა: სახელთა ბრუნვა რუსულ შესიტყვებაში ყველა დროში იგივეა, რაც აწმყოში (Давид хвалит, похвалил, похвалит), ქართულში კი სახელების ბრუნვა ცვალებადია აწმყოსთან შედარებით ნამყო ძირითადში („აქო დავითმა სიმონი") და თურმეობით პირველში („უქია დავითს სიმონი")[33].

[33] ნამყო ძირითადის კონსტრუქცია დროთა მთელ მეორე ჯგუფზე ვრცელდება, თურმეობითი პირველისა — დროთა მთელ მესამე ჯგუფზე.

საერთოდ, **მართვის მხრივ** სხვადასხვა ენის შესიტყვებებს შორის დიდი სხვაობა შეიმჩნევა. შეთანხმების მხრივ სხვაობა მინიმალურია; ასე მაგალითად, „ახალი წიგნი" და "новая книга" — ორივეში წინა წევრი ეთანხმება მომდევნოს; მიზეზი ის ურთიერთობაა, რომელიც ამ ორი სიტყვის მნიშვნელობას შორის არსებობს: „ახალი" განმარტავს სიტყვას „წიგნი", აღნიშნავს რა მის ერთერთ თვისებას; თვისების აღმნიშვნელი სიტყვა ეთანხმება საგნის აღმნიშვნელ სიტყვას, — ასეა ქართულში, ასევეა — რუსულში.

მაგრამ საკმარისია ავიღოთ შესიტყვება „ღრმა მდინარე" "глубокая река", რომ სხვაობამ იჩინოს თავი: ღრმა მდინარეს, ღრმა მდინარის, ღრმა მდინარით... глубокой реке, глубокой реки, глубокой рекой; რუსული глубокая ყველა ბრუნვაში ეთანხმება река-ს, ქართულში სახელობითის გარდა შეთანხმება არსად ჩანს, მსაზღვრელი ცვლილებებს არ განიცდის; მართალია, თუ რიგს შევუცვლით მსაზღვრელსა და საზღვრულს, ქართული და რუსული შესიტყვება თითქმის ერთნაირი აგებულებისა აღმოჩნდება (მდინარესა ღრმას, მდინარისა ღრმის...), მაგრამ ახალი ქართულისათვის ასეთი წყობა არ არის ჩვეულებრივი და მისი გამოყენების არე შეზღუდულია. **ძალაში რჩება დებულება, რომ ამ შემთხვევაში მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის არ არის ისეთი სინტაქსური ურთიერთობა, როგორიცაა რუსულ მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის: მნიშვნელობის მხრივ ერთნაირმა ურთიერთობამ ვერც აქ უზრუნველყო აგებულების მხრივ ერთნაირობა სხვადასხვა ენაში.**

აქ სხვა გარემოებაც უნდა აღინიშნოს. თვით ქართულში მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის სინტაქსური ურთიერთობა ყოველთვის ერთნაირი არ იყო. ძველ ქართულში მსაზღვრელი ყოველთვის ეთანხმებოდა საზღვრულს; „ღრმა მდინარე" რომ ძველებურად დავაბრუნოთ, გვექნება: მდინარემან ღრმამან, მდინარესა ღრმასა, მდინარისა ღრმისა, მდინარითა ღრმითა...

დასკვნა: **მნიშვნელობის მხრივ ერთნაირმა ურთიერთობამ ერთი ენის განვითარების პროცესშიც ვერ უზრუნველყო შესიტყვებათა ერთნაირი აგებულება.**

მნიშვნელობის მხრივ ერთნაირი ურთიერთობა **სხვადასხვა ენაში** რომ ვერ უზრუნველყოფდა სიტყვათა ერთნაირ ურთიერთობას, ეს იმთავითვეც შეგვეძლო დაგვესკვნა იმ **მარტივი, მაგრამ ძირითადი მნიშვნელობის ფაქტიდან, რომ ურთიერთობის აღნიშვნის საშუ-**

ალებები სხვადასხვა ენაში განსხვავებულია, თუმცა სიტყვით გადმოსაცემი ობიექტური გითარება ერთნაირია.

მნიშვნელობის მხრივ ერთნაირი ურთიერთობა **ერთსა და იმავე** ენაში რომ ვერ უზრუნველყოფდა სიტყვათა ერთნაირ ურთიერთობას, ესეც იმთავითვე შეგვეძლო გამოგვეყვანა იმ დებულებიდან, რომ ენობრივი სისტემის ყოველი მხარე, — და, მაშასადამე, სინტაქსიც, — ცვალებადია. **მნიშვნელობის მხრივ არსებული ურთიერთობა ვერ წყვეტს შესიტყვების აგებულების საკითხს, ე. ი. ლექსიკურ-სემანტიკური და სტილისტიკური კატეგორიები ვერ დაედება საფუძვლად სინტაქსურ კატეგორიებს, — უკანასკნელთა ანალიზი საკუთარ საზომს საჭიროებს.**

მნიშვნელობის კატეგორიებზე დაყრდნობა აქ **იმავე შედეგებს მოგვცემდა, რასაც იძლევა სემანტიკური პრინციპი მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციაში.**

§ 106. სინტაქსი ფ. მიკლოშიჩის მიხედვით. სინტაქსი სწავლობს **სიტყვათა შეკავშირებას** აზრის გამოსახატავად **და არა აზრსა და აზრის კატეგორიებს.** ასე გაგებული სინტაქსი მჭიდრო შინაგან კავშირში იმყოფება მორფოლოგიასთან. მორფოლოგია და სინტაქსი ქმნის ენის გრამატიკულ წყობას.

მოიპოვება სინტაქსის საგნისა და თვალსაზრისის სხვაგვარი გაგებაც. აქ მოკლედ შევეხებით ორ შეხედულებას.

ერთი მათგანის მიხედვით **სინტაქსი არის მოძღვრება სიტყვის კლასებისა და სიტყვის ფორმების** მნიშვნელობის შესახებ, მეორის თანახმად — **სინტაქსი არის მოძღვრება წინადადების** შესახებ[34].

შეხედულება, რომ სინტაქსი შეისწავლის სიტყვათა კლასებისა და სიტყვათა ფორმების მნიშვნელობას, წამოაყენა სლავური ენების მკვლევარმა მიკლოშიჩმა; მისი „სლავური ენების შედარებითი გრამატიკის" მეოთხე ტომის — „სინტაქსის" — (1872 წ.) პირველსავე თავში ნა-

[34] საკმაოდ ხშირად სინტაქსში განიხილავენ ფორმათა (მაგ., ბრუნვათა) მნიშვნელობასაც და წინადადებასაც; ასეთი სინტაქსი სრულებითაც არ ასაბუთებს, რატომ სწავლობს ის სწორედ ამ საგნებს და ამ თვალსაზრისით. რამდენადაც ასეთ შემთხვევაში დასაბუთებულ შეხედულებასთან არა გვაქვს საქმე, ცალკე მიმდინარეობად მისი გამოყოფა არ იქნებოდა გამართლებული; არას ვამბობთ აგრეთვე ედმ. ჰუსერლის ზეგავლენით წამოწყებულ თავისებურ ცდაზე, რომელიც ვ. პორციგს (1925) ეკუთვნის. პორციგს სინტაქსი მიაჩნია მოძღვრებად მნიშვნელობათა შესახებ — „მნიშვნელობის" სრულიად თავისებური გაგებით.

თქვამია: „გრამატიკის" ის ნაწილი, რომელმაც უნდა განიხილოს სიტყვათა კლასებისა და სიტყვათა ფორმების მნიშვნელობა, არის სინტაქსი. სინტაქსი ამისდა მიხედვით განიყოფება ორ ნაწილად, რომელთაგანაც პირველის საგანია სიტყვათა კლასების, მეორისა კი — სიტყვათა ფორმების მნიშვნელობა".

სიტყვათა კლასებში მიკლოშიჩი გულისხმობს მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ი ს ნ ა წ ი ლ ე ბ ს, და სინტაქსის პირველ ნაწილში იხილავს: 1. არსებით სახელს; 2. ზედსართავ სახელს — მის სქესსა და რიცხვს; 3. რიცხვით სახელს; 4. ნაცვალსახელს; 5. ზმნისართს; 6. კავშირსა და 7. ზმნას — მნიშვნელობის მიხედვით, რა თქმა უნდა.

სინტაქსის მეორე ნაწილი მოგვითხრობს ს ი ტ ყ ვ ა თ ა ფ ო რ მ ე ბ ი ს მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა თ ა შესახებ; ეს ფორმებია: სახელთა ბრუნვები; პირი, რიცხვი, დრო და კილო ზმნათა; ამათ მნიშვნელობათა ანალიზს უნდება მეორე ნაწილი. გაკვრით, ამა თუ იმ მნიშვნელობასთან დაკავშირებით, მიკლოშიჩი შენიშნავს, მაგ.: „ეს არის სუბიექტი, რომელსაც ლოგიკის [სათანადო] ცნებისაგან განსხვავებით, გრამატიკული შეიძლება ვუწოდოთ"; ასევე: „პრედიკატს, რამდენადაც ზმნა პრედიკატს გამოხატავს, ეწოდება გრამატიკული პრედიკატიო". მაგრამ ეს ცნებები, ისევე, როგორც წინადადება-ცნება (მაგალითად, უსუბიექტო წინადადებათა შესახებ მსჯელობისას) ამოტივტივდება ხოლმე აქა-იქ იმდენად, რამდენადაც მნიშვნელობათა ანალიზის პროცესში მკვლევარი გვერდს ვერ უხვევს ამ ტერმინებს — და მხოლოდ.

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ მიკლოშიჩის შეხედულებას ე რ თ გ ვ ა რ ი თანამიმდევრობა და შინაგანი მთლიანობა ახასიათებს: ფონეტიკა ბგერებს შეისწავლის; ცალკე სიტყვათა შემადგენლობასა და ფორმას მორფოლოგია არკვევს, ამავე ცალკე სიტყვათა მნიშვნელობებს სინტაქსი იძიებს. **სინტაქსი მორფოლოგიისაგან საგნის მიხედვით კი არ განირჩევა,** არამედ **მხოლოდ თვალსაზრისით;** საგანი ორივესათვის ერთია — ცალკე სიტყვა: მის **ფორმას მორფოლოგია** სწავლობს, **მნიშვნელობას — სინტაქსი.**

კითხვა იბადება: რაღა უნდა აკეთოს სემანტიკამ, რომელიც გასული საუკუნის მეორმოცე წლებიდან (1839 წ. რაიზიგის მიერ) ცალკე საენათმეცნიერო დისციპლინად იქნა გამოყოფილი და რომელსაც მნიშვნელობათა კვლევა დაესახა მიზნად? რა მიმართებაში იმყოფება ეს სემანტიკა (სემასიოლოგია) სინტაქსთან, რომელიც აგრეთვე სიტყვის მნიშვნელობას სწავლობს? ამ კითხვაზე პასუხი არა ჩანს.

გარკვეული პასუხი კი აუცილებელია, თუ გვინდა ნათელი იყოს

ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგებს შორის არსებული ურთიერთობა. გარდა ამისა: მიკლოშიჩს განუხილველი რჩება ის კავშირი, რომელიც სიტყვებს შორის არსებობს და რომელიც ცალკე სიტყვათაგან ქმნის მწყობრ ერთეულს, წინადადებას და, საერთოდ, შესიტყვებას, და რომელიც სინტაქსის საგნად იყო მიჩნეული სრულიად საფუძვლიანად ჯერ კიდევ აპოლონიოს დისკოლოს მიერ (მეორე საუკუნეში ჩვენი წელთაღრიცხვისა).

ეს სპეციფიკური სინტაქსური სამყარო ყურადღების გარეშე რჩება მიკლოშიჩის სისტემაში.

§ 107. სინტაქსის ცნებათა ლოგიცისტური გაგება. მიკლოშიჩის გაგება ყველაზე ნაკლებად არის გავრცელებული. ეს არ ითქმის მეორე შეხედულების შესახებ, რომელიც **სინტაქსს** თვლის **მოძღვრებად წინადადების** შესახებ.

კითხვა ისმის: **რა არის წინადადება და რა თვალსაზრისით შეისწავლება ის სინტაქსში?**

პასუხი არაა ერთნაირი. ერთი პასუხი ასეთია: „წინადადება არის აზრი, გამოთქმული ზეპირად ან წერით". და შემდეგ: „საგანი, რომლის შესახებაც ლაპარაკია წინადადებაში, არის ქვემდებარე". „ის, რაც ქვემდებარის შესახებ არის ნათქვამი, შემასმენელია".

ეს გაგება პრიმიტიულია; ის არც კი ამჩნევს, რომ „აზრი", „საგანი" გრამატიკის შესწავლის ობიექტი ვერ იქნება, არ ამჩნევს, რომ წარმოდგენილი განსაზღვრება ქვემდებარისა სიტყვასიტყვით იმეორებს სუბიექტის განსაზღვრებას ტრადიციული ფორმალური ლოგიკის მიხედვით, ხოლო შემასმენლის განსაზღვრება იმავე ფორმალური ლოგიკის პრედიკატის განსაზღვრებაა. ამგვარად, ზემოხსენებული ქვემდებარე და შემასმენელი სინტაქსურ და, საერთოდ, გრამატიკულ ცნებას არ წარმოადგენს: უნდა მოეცათ სინტაქსური ცნებები. მათ ნაცვლად მოცემულია ფორმალური ლოგიკის ცნებები. **სინტაქსური ცნებებისა** და ფორმალური **ლოგიკის ცნებების ერთმანეთში აღრევა მივიღეთ ქვემდებარისა და შემასმენლის განსაზღვრისას.**

ეს სრული არევ-დარევაა. ეს არევ-დარევა მწვერვალს აღწევს წინადადების განსაზღვრებაში: „წინადადება არის აზრი"... ე. ი. წინადადება გამოცხადებულია აზრის ერთ-ერთ სახეობად (და არა აზრის გამოხატულებად).

ასეთია პრიმიტიული გაგება წინადადებისა, ქვემდებარისა და შემასმენლისა. მოიპოვება ამავე ცნებათა განსაზღვრება, რომელიც თავს

აღწევს პრიმიტიული გაგების უხეშ შეცდომებს. ის არ ამბობს „წინადადება არის აზრიო“, არამედ: „წინადადება არის სიტყვა ან სიტყვათა შეერთება, რომელიც აზრს გამოხატავსო“. ასევე: „ქვემდებარე არის სიტყვა, რომელიც აღნიშნავს იმ საგანს, რომლის შესახებაცაა ლაპარაკი“. „შემასმენელი არის სიტყვა, რომელიც აღნიშნავს, თუ რა არის ნათქვამი ქვემდებარის შესახებ“.

ერთი სიტყვით, ამ თვალსაზრისის წარმომადგენელმა იცის, რომ აზრისა და მისი ნაწილების შესწავლა ლოგიკისა და ფსიქოლოგიის საქმეა და არა სინტაქსისა, რომ წინადადება სიტყვაა ან სიტყვათა შეერთება, ქვემდებარეცა და შემასმენელიც აგრეთვე სიტყვებია. რანაირი სიტყვა (თუ სიტყვათა შეერთება) არის წინადადება, ეს ირკვევა ლოგიკის ცნებათა საშუალებით: თუ აზრს გამოხატავს, არის წინადადება, თუ არადა — არა. „აზრი“ ასეთ შემთხვევაში ლოგიკის ცნების, მსჯელობის, მაგივრობას ეწევა.

თუ წინადადება აზრის გამომხატველი სიტყვა (თუ სიტყვათა შეერთება) არის, წინადადების ნაწილებიც — ქვემდებარე, შემასმენელი, — აზრის (მსჯელობის) ნაწილების, — სუბიექტის, პრედიკატის, — გამოხატულება უნდა იყოს. ესე იგი: მსჯელობა (ფორმალური ლოგიკის ცნება) და მისი ნაწილები არის დასაყრდენი წინადადებისა და მისი ნაწილების განსაზღვრისას. ორიენტაცია ლოგიკის ცნებაზე დამახასიათებელია ასეთი შეხედულებისათვის. მარტივია მეთოდიც: გამოიხატება თუ არა ამა თუ იმ სიტყვაში (თუ სიტყვათა შეერთებაში) „აზრი“? ამით ირკვევა, გვაქვს თუ არა წინადადება. რომელი სიტყვა გამოხატავს მსჯელობის საგანს? ამით არკვევენ ქვემდებარეს. რომელი სიტყვა გვაჩვენებს, რა არის ნათქვამი ქვემდებარის შესახებ? ამით წყდება შემასმენლის საკითხი.

ზოგიერთი გარემოების გათვალისწინება დაგვანახვებს, რამდენად გამოსადეგია ეს გზა წინადადებისა და მისი ნაწილების დასადგენად, რამდენად მოსახერხებელია ლოგიკის ცნებაზე დაყრდნობით ხსენებული გრამატიკული ცნებების განსაზღვრა.

1. არის წინადადებათა რიგი (ე. წ. კითხვითი, ბრძანებითი, ნატვრითი წინადადებები), რომელნიც მსჯელობას არ გამოხატავენ და, მაშასადამე, ზემოხსენებული შეხედულების თანახმად, თუ თანამიმდევრობას დავიცავთ, წინადადებებად არ შეიძლება მივიჩნიოთ, თუმცა მათ ყველა თვლის წინადადებად.

2. ჩვეულებრივია ისეთი წინადადებები, რომლებშიც ქვემდებარი-

სა და შემასმენლის გარდა, სხვა ნაწილებიც მოიპოვება; ესენია: ქვემდებარისა და შემასმენლის ა მ ხ ს ნ ე ლ ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი, აგრეთვე ამხსნელი სიტყვების ამხსნელი სიტყვები (დამატება, განსაზღვრება, გარემოების სიტყვები). ქვემდებარე, ვთქვათ, მსჯელობის სუბიექტს აღნიშნავს, შემასმენელი — პრედიკატს. რაღა შეესაბამება მსჯელობაში ამხსნელ სიტყვებს (დამატებას, განსაზღვრებას, გარემოებას)? რას გამოხატავენ წინადადების ეს ნაწილები? რაზე დაყრდნობით უნდა განვსაზღვროთ ისინი?

მსჯელობა, რამდენი სიტყვითაც უნდა იყოს იგი გადმოცემული, ყოველთვის ორ ნაწილად იშლება: სუბიექტად და პრედიკატად; თითოეული ამათგანი შეიძლება შეიცავდეს ორსა და მეტ სიტყვას; დამატებისა, განსაზღვრებისა და გარემოებისათვის მსჯელობაში აღარაფერი მოგვეპოვება. მაშასადამე, მსჯელობის ნაწილებზე დაყრდნობით წინადადების ეს ნაწილები (გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა, დ ა მ ა ტ ე ბ ა, გ ა რ ე მ ო ე ბ ა ნ ი) არ შეიძლება იქნეს განსაზღვრული.

3. ზემოხსენებული წესით თვით ქვემდებარის ძიებაც ხშირად გასაჭირში ჩაგვაგდებს; ავიღოთ, მაგალითად, მარტივი წინადადება: „ქეთო მოსწრონს ანდროს“.

რა სიტყვაა აქ ქვემდებარე? გვეტყვიან: „ის, რომელიც აღნიშნავს მსჯელობის საგანს“, „ის, რომლის შესახებაც არის ლაპარაკი“-ო. რომლის შესახებაა ლაპარაკი? — ქეთოს შესახებ, რომ იგი მოსწრონს ანდროს თუ — ანდროს შესახებ, რომ მას მოსწრონს ქეთო? ორივე ვარაუდი თანაბრად საფუძვლიანი იქნება, თუ ინტონაციასა და სახელთა ბრუნვას არ მივმართავთ (მათ კი ვერ მივმართავთ: ეს პრინციპის შეცვლა იქნებოდა). ამ ორი სახელიდან ვერც ერთს ვერ მივანიჭებთ უპირატესობას. ორივეს გამოცხადება ქვემდებარედ კი არ შეიძლება: ორი ქვემდებარე მხოლოდ შერთულ წინადადებაში შეიძლება გვქონდეს, აქ კი მარტივი გავრცობილი წინადადებაა.

ვთქვათ, ინტონაცია მოვიშველიეთ; მდგომარეობა ამით უფრო გათრულდება: **ა.** ვივარაუდოთ, რომ „**ქეთო** მოსწრონს ანდროს“ (ქეთო და არა მარო!); ლაპარაკი ყოფილა ქეთოს შესახებ, ქეთოა, მაშ, ქვემდებარე. **ბ.** „ქეთო მოსწრონს **ანდროს**“ (ანდროს და არა სიკოს!): უდავოა, რომ აქ **ანდროს** შესახებ ლაპარაკობენ — **ქეთო** მოსწრონსო: **ანდრო** იქნება ქვემდებარე.

შეიძლება ძლიერი ინტონაცია მოხვდეს ზმნას „მოსწრონს“: „ქეთო **მოსწრონს** ანდროს“ (მოსწრონს და არა სძულს!): აქ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ „მოსწრონს“. რა საბუთითაც ქვემდებარედ მივიჩნიეთ „ქეთო“

და „ანდროს“, იმავე საბუთით ეს სიტყვა („მოსწონს“) უნდა გამოვაცხა დოთ ქვემდებარედ: ამ შემთხვევაში ზმნა გამოგვივა ქვემდებარე, რაც მიუღებელია ყოველგვარი გრამატიკის თვალსაზრისით...

რას მოწმობს ყოველივე ეს? მხოლოდ იმას, რომ, როცა წინადადებას სწავლობენ ზემოხსენებული თვალსაზრისით (რის შესახებ არის ლაპარაკი? რა არის ნათქვამი?), წინადადების სინტაქსური აგებულება, სიტყვათა შეკავშირების ხასიათი კი არ ირკვევა, არამედ სხვა რაღაც, რაც სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობის გასათვალისწინებლად არ გამოდგება: სიტყვათა შეკავშირება, წინადადების აგებულება ზემოხსენებულ მაგალითში არ შეცვლილა, სიტყვათა დაფასება კი სამჯერვე შეიცვალა.

§ 108. სინტაქსის ცნებათა ფსიქოლოგისტური გაგება. ლოგიკაზე ორიენტაციით სინტაქსის საკითხი ვერ გვარდება. ეს ადრევე შენიშნეს: ჰ. შტაინთალმა ცნობილ ნაშრომში („გრამატიკა, ლოგიკა, ფსიქოლოგია“, 1855 წ.) საბოლოოდ დაამარცხა წინადადების ის ლოგიცისტური თეორია, რომელიც ოცდაათიოდე წლის წინათ კ. ბეკერმა წამოაყენა; ამ დროიდან იწყება ახალი გზის ძიება; **ორიენტაცია ლოგიკაზე** შეცვალა **ორიენტაციამ ფსიქოლოგიაზე:** ლოგიკის ცნებათა ადგილი დაიჭირა ფსიქოლოგიის ცნებებმა. **წინადადება** გამოცხადებულ იქნა **ფსიქოლოგიური მსჯელობის გამოხატულებად;** შესაბამისად ქვემდებარე და შემასმენელი ე. წ. ფსიქოლოგიური სუბიექტისა და ფსიქოლოგიური პრედიკატის ნიადაგზე უნდა განესაზღვრათ. მაგრამ ეს უფრო ძნელი და უიმედო საქმე აღმოჩნდა.

ყველა ლოგიკოსს მსჯელობა ერთგვარად არ ესმის; მიმდინარეობათა შორის არსებითი განსხვავებაა; ლოგიკის მოიმედე სინტაქსი ლოგიკოსთა შინაურ უთანხმოებას ყურადღებას არ აქცევდა და მხოლოდ ერთ გაგებას მიმართავდა, სახელდობრ, ფორმალურ ლოგიკაში წარმოდგენილ გაგებას, თუმცა ეს უკანასკნელი ყველაზე ნაკლებად გამოდგებოდა საყრდენად: იგი თვითონ საჭიროებდა გრამატიკის დახმარებას მსჯელობისა და მისი წევრების განსაზღვრისას.

მსჯელობა-ცნების საკითხში ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულებას შორის გაცილებით მეტი განსხვავება მეღავნდება, ვიდრე ამას ლოგიკაში აქვს ადგილი ამავე ცნების განსაზღვრისას. ამასთან დაკავშირებით საკითხი განსაკუთრებით გართულდა სწორედ იმიტომ, რომ თითქმის ყველა ძირითადი მიმართულება აისახა წინადადების განსაზღ-

ვრებაში.

შედეგი ნათელია: არის (და შეიძლება იყოს) იმდენნაირი განსაზღვრება წინადადებისა, რამდენნაირი გაგებაც მსჯელობისა მოიპოვება ფსიქოლოგიაში. საილუსტრაციოდ ორ მაგალითს დავასახელებთ. ჰ. პაული ამბობს: „წინადადება ისეთი ენობრივი გამოხატულებაა, რომელიც მიგვითითებს, რომ (მეტყველისა და მსმენელის ცნობიერებაში) ადგილი ჰქონდა **წარმოდგენათა შეკავშირებასაო**". ვ. ვუნდტი კი გვეუბნება: „წინადადება არის ისეთი ენობრივი გამოხატულება, რომელიც გადმოგვცემს, რომ (მეტყველის ცნობიერებაში) ადგილი ჰქონდა მთლიანი წარმოდგენის **დაშლას** მის შემადგენელ ნაწილებადაო". წინადადების საზომად ერთ შემთხვევაში წარმოდგენათა **შეკავშირებაა** მიჩნეული, მეორეში, პირიქით, — მთლიანი წარმოდგენის **დაშლა**. ასეთ პირობებში წინადადების პრობლემა, რა თქმა უნდა, დადებითად ვერ გადაწყდება.

რაც შეეხება წინადადების ნაწილებს, ამხსნელი სიტყვები (დამატება, განსაზღვრება, გარემოება) ამ ნიადაგზე არც შეიძლება იქნეს განსაზღვრული. ქვემდებარისა და შემასმენლის განსაზღვრა ფსიქოლოგიურ სუბიექტსა და პრედიკატზე დაყრდნობით უცილობლად იძლევა ისეთ შედეგებს, როგორიც ზემოთ მივიღეთ წინადადების („ქეთო მოსწონს ანდროს") გაანალიზებისას ინტონაციის ცვლის გამოყენებით.

ლოგიკაზე ორიენტაცია (სინტაქსში და, საერთოდ, გრამატიკაში) **ლოგიციზმად** იწოდება, **ფსიქოლოგიაზე ორიენტაცია — ფსიქოლოგიზმად.** ლოგიციზმიც და ფსიქოლოგიზმიც წინადადების შინაარსობრივ ანალიზს იძლევა, საკუთრივ სინტაქსური მხარე — სიტყვათა შეკავშირების წესები — ყურადღების გარეშე რჩება.

§ 109. სინტაქსის ცნებათა ფონეტისტური და მორფოლოგისტური განსაზღვრება. აქვე უნდა განვიხილოთ ერთი შეხედულება, რომელიც სინტაქსის საგნად აგრეთვე წინადადებას თვლის, მაგრამ ცდილობს წინადადება დაახასიათოს **საკუთრივ ენობრივი ნიშნებით.**

მხედველობაში გვაქვს ინდოევროპულ ენათა შედარებითი სინტაქსის მკვლევრის ბერტ. დელბრიუკის შეხედულება. იგი წინადადების ასეთ განსაზღვრებას იძლევა: „წინადადება ფორმის თვალსაზრისით არის ის, რაც ორ პაუზას შორის არის მოქცეული ანუ... დანაწევრებულ მეტყველებაში წარმოდგენილი ექსპირაციული ერთიანობა, რომ-

ღის ფარგლებშიც ადგილი აქვს უფრო ძლიერისა და უფრო სუსტი ხმის აწევის ცვლას“ („ინდოევრ.ენათა შედარებითი სინტაქსი“, III). როგორც აქედან ჩანს, დელბრიუკი იმას კი არ აქცევს ყურადღებას, **რა** გადმოიცემა (მსჯელობა, აზრი...), არამედ იმას, თუ როგორ და რით დახასიათდება გადმომცემი ენობრივი საშუალება. უეჭველია, ეს განსაზღვრება ენობრივ ნიშნებზე მიუთითებს, მაგრამ **სინტაქსური განსაზღვრება არ არის:** ცნებები — პაუზა, ექსპირაცია (ე. ი. ამოსუნთქვა), ხმის აწევა, რომელთა საშუალებითაც დაახასიათა დელბრიუკმა წინადადება, **ფონეტიკური ცნებებია.** სიტყვათა შეკავშირების, წინადადების აგებულების დასახასიათებლად ფონეტიკური ნიშნები არ გამოდგება.

მეტი კიდევ: ამგვარ გაგებას რომ გავყვეთ, წინადადებაში ცალკე სიტყვებსაც ვერ გამოვყოფთ: მათ ნაცვლად ტაქტები გვექნება; ტაქტებისა და სიტყვათა ფარგლები ურთიერთს მხოლოდ შემთხვევით თუ შეხვდება.

ამიტომაც ბუნებრივია, თუ დელბრიუკმა ვერ მოგვცა **ამავე პრინციპზე** აგებული განსაზღვრება წინადადების ნაწილთა; მათი განსაზღვრისას დელბრიუკი სხვადასხვა პრინციპს ემყარება: შემასმენელი მას განსაზღვრული აქვს, როგორც პრედიკატი ლოგიკაში („პრედიკატი არის ის, რაც ქვემდებარის შესახებ არის ნათქვამი“). ქვემდებარე კი დახასიათებულია ნაწილობრივ მორფოლოგიურად, ნაწილობრივ — წინადადების შინაარსის მიხედვით („ქვემდებარე არის არსებითი სახელი, რომელიც დასმულია სახელობით ბრუნვაში და წარმოადგენს თქმის ცენტრალურ პუნქტს“); დამატების განსაზღვრება კი „ყოველდღიური ლოგიკის“ ცნებებშია მოცემული („დამატება ის საგანია, რომელსაც უშუალოდ ეხება მოქმედება ზმნისა“). ამგვარად, დელბრიუკის განსაზღვრებებს თანამიმდევრობა და შინაგანი მთლიანობა არ ახასიათებს: ფონეტიკის ცნებებზე დაყრდნობით სინტაქსურ ცნებათა ჩამოყალიბების ცდა მარცხით დამთავრდა.

ცდილან სინტაქსის ცნებები **მორფოლოგიური ნიშნის** მიხედვით დაეხასიათებინათ. ამგვარი გაგების საილუსტრაციოდ გამოდგებოდა **ქვემდებარის** განსაზღვრება: „ქვემდებარე არის დამოუკიდებელი **სახელობითი** ბრუნვა“ (ნ. ს. დერჟავინი).

მართლაც, რუსულში ქვემდებარე ყოველთვის სახელობითში დაისმის (თუმცა სახელობითი ყოველთვის არ არის ქვემდებარე; ამიტომაც ითქვა: „დამოუკიდებელი სახელობითიო“). რატომ არ შეიძლება ქვემდებარე განისაზღვროს ამგვარად? იმიტომ, რომ სახელობითი ბრუნვით

ქვემდებარის განმარტება სრულებითაც არ ახასიათებს ქვემდებარის სინტაქსურ თვისებებს, მის როლს წინადადების სხვა სიტყვებთან ურთიერთობაში. სახელობითი ბრუნვა ქართულში გარდამავალ ზმნებთან ობიექტს აღნიშნავს, — ე. ი. სულ სხვა როლში გვევლინება, ვიდრე რუსულში.

მორფოლოგიური ნიშნის მიხედვით სინტაქსურ ცნებათა ჩამოყალიბება, მოკლედ, „მორფოლოგისტური სინტაქსი“ პრინციპში ისევე გაუმართლებელია, როგორც ფონეტისტური სინტაქსი.

ამ მიმდინარეობისათვის, რომელიც სინტაქსის საგნად წინადადებას თვლის, დამახასიათებელია არა დელბრიუკის გაგება, არამედ ლოგიცისტებისა და ფსიქოლოგისტებისა. ამ უკანასკნელთათვის მეორეხარისხოვანია — **რისგან შედგება წინადადება, ერთი სიტყვისა თუ შესიტყვებისაგან, როგორია სიტყვათა დაკავშირება, ორგანიზაცია შესიტყვებისა,** — მათთვის გადამწყვეტია, **რა აღნიშნება,** რა ფსიქოლოგიური და ლოგიკური ღირებულება აქვს ენობრივ ფაქტს, წინადადებად წოდებულს.

რა თქმა უნდა, შესიტყვების დასახასიათებლად, მისი ბუნების გამოსარკვევად ეს ისევე მართებულია, როგორც მართებული იქნებოდა მეტრის დახასიათება, როგორც სიგრძის საზომისა, იმის მიხედვით, თუ რას იწონის ის მასალა, რომლისაგანაც მეტრი არის გაკეთებული. მართლაცდა **ერთი და იგივე აზრი** (მსჯელობა) ჩვენ შეგვიძლია გამოვთქვათ სხვადასხვა ენაზე, მაგრამ ეს **სრულებითაც არ ნიშნავს,** რომ **ერთნაირი თვისებისა იქნება** ამ **ენებში ნახმარი სიტყვები, ერთნაირი იქნება ის კავშირი, რომელიც** ამ **სიტყვებს შორის არსებობს.**

სინტაქსი, რომელიც ამ თვალსაზრისით შეისწავლის წინადადებას, ვერც კი შენიშნავს იმ თავისებურებებს, რომლებიც სხვადასხვა ენის წინადადებას ახასიათებს. ეს — ერთი. მეორეადა, წინადადება შეიძლება წარმოადგენდეს შესიტყვებასაც (სიტყვათა შენაერთს) და ცალკე სიტყვასაც. მაშასადამე, სინტაქსის საგანი შეიძლება აღმოჩნდეს როგორც სიტყვათა შენაერთი, ისე ცალკე სიტყვაც. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სინტაქსის საგანი და მორფოლოგიის საგანი ერთი და იგივე აღმოჩნდება; სხვანაირად რომ ვთქვათ, თუ სინტაქსის საგნად წინადადება იქნება გამოცხადებული, შეუძლებ-

ლი აღმოჩნდება გავმიჯნოთ **შესწავლილი ენის მხრივ მორფოლოგია და სინტაქსი**[35].

§ 110. უნივერსალური სინტაქსი შეუძლებელია. სინტაქსის ცნებათა ლოგიცისტური, ფსიქოლოგისტური, აგრეთვე ფონეტისტური და მორფოლოგისტური განსაზღვრების ანალიზი გვავალებს ორ დასკვნას: 1. სინტაქსური ცნებები უნდა ჩამოყალიბდეს სინტაქსური ნიშნების მიხედვით, 2. სხვადასხვა ენის სინტაქსში ერთგვარი შინაარსის ცნებებს (თუ, საერთოდ, ერთგვარ ცნებებს) ვერ მივიღებთ. **უნივერსალური სინტაქსი შეუძლებელია.**

სინტაქსური ცნებები ვერ იქნება სინტაქსური ცნებები, თუ გვერდს უვლის იმ **როლის** დახასიათებას, რაც სიტყვას ეკუთვნის წინადადებაში (შესიტყვებაში) სხვა სიტყვებთან **ურთიერთობის,** სხვა **სიტყვებთან შეკავშირების** თვალსაზრისით.

ეს **სინტაქსური როლი** არ შეიძლება იყოს ერთნაირი ყველა ენისათვის: ის დამოკიდებულია სიტყვის მორფოლოგიურ თვისებაზე. სხვადასხვაგვარია მორფოლოგია, სხვადასხვაგვარი უნდა იყოს სინტაქსიც. სხვადასხვაგვარი მორფოლოგია ერთგვარ სინტაქსს ვერ მოგვცემს. ორპირიანი ქართული გარდამავალი ზმნა, სამპირიანი ადიღეური ზმნა არსებითად სხვაგვარად კავშირდება სახელებთან (სუბიექტთან, ობიექტთან თუ ობიექტებთან), ვიდრე ერთპირიანი ზმნა ლათინური, გერმანული, რუსული ენისა (იხ. § 105). ჩინურ ენაში, სადაც სიტყვა არაა ცვალებადი, სადაც არც ბრუნება გვაქვს, არც უღლილება, სადაც სიტყვა წინადადებაში ადგილს იცვლის, მაგრამ ფორმას — არა, სინტაქსური ცნებები სხვა ნიშნებით უნდა დავახასიათოთ, ვიდრე ქართულში ან რუსულსა თუ ლათინურში (აქ სიტყვის როლს ადგილმდებარეობა, ინტონაცია არკვევს). არათუ სიტყვათა შეკავშირება წინადადებაში, თვით **წინადადებისა** და **სიტყვათა** ურთიერთობა თავისებურ სახეს იღებს იმ ენებში, სადაც ცალკე სიტყვა წინადადების გარეშე მოკლებულია იმ სახის რეალურობას, რაც ქართულ, რუსულ, ჩინურ სიტყვას ახასიათებს. ვგულისხმობთ პოლისინთეზურ ენებს (იხ. § 116).

რუსულში ან ქართულში გინდა ჩინურში დადგენილი სინტაქსუ-

---

[35] სინტაქსისა და, კერძოდ, „წინადადების საკითხში არსებულ მიმდინარეობათა ანალიზი იხ. ზემოხსენებულ ნარკვევში: „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში: I ქვემდებარე-დამატების საკითხი ძველს ქართულში", თბილისი, 1928 წ., გვ. 1-133; მეორე გამოცემა, 1968, გვ. 1-127.

რი ცნებები არ გამოადგება ამერიკის ინდიელ ტომთა ენების (ვთქვათ, დაკოტა ენის) სინტაქსს.

უნივერსალური სინტაქსი ისევე შეუძლებელია, როგორც უნივერსალური მორფოლოგია; საყოველთაო სინტაქსი შეუძლებელია იმიტომ, რომ შეუძლებელია საყოველთაო მორფოლოგია. შესაბამისად: უნივერსალური გრამატიკა ფიქციას წარმოადგენს ისევე, როგორც ფიქციაა უნივერსალური, საყოველთაო, გრამატიკული წყობა. საერთო მოვლენები სხვადასხვა ენის გრამატიკულ წყობაში დაიძებნება (ზოგან — მეტი, ზოგან — ნაკლები), მაგრამ საერთო, საყოველთაო, უნივერსალურ გრამატიკას ეს ვერ შექმნის.

უნივერსალური გრამატიკა, უნივერსალური სინტაქსი, უნივერსალური მორფოლოგია სათანადო უნივერსალური ცნებებით იმ თვალსაზრისის გამოვლენას წარმოადგენს, რომლის თანახმადაც **სინტაქსი** უნდა იძლეოდეს **წინადადების სემანტიკურ** (თუ სტილისტიკურ) **ანალიზს, მორფოლოგია — ხატყვის ლექსიკურ-სემანტიკურ** დახასიათებას, საერთოდ, გრამატიკული ცნებები — სემანტიკური ნიშნის მიხედვით უნდა ყალიბდებოდეს.

ამ თვალსაზრისის თანამიმდევრულად გამოყენება არც ერთი ენის შესწავლისას არ აღმოჩნდა შესაძლებელი: ცოცხალი ენის გრამატიკული წყობის თავისებურება ძალაუნებურად იქცევდა ყურადღებას, მკვდარ ზოგად სქემებში არ თავსდებოდა და ზოგად (უნივერსალურ) გრამატიკებში აქა-იქ მაინც გამოკრთებოდა.

ისტორიულ-შედარებითმა ენათმეცნიერებამ უარყო უნივერსალური, საყოველთაო, გრამატიკის პრინციპული საფუძველი: ენა ცვალებადია; არათუ სხვადასხვა ენები ვერ იქნება ერთგვარი წყობისა, არამედ ერთი და იგივე ენაც განვითარების სხვადასხვა საფეხურზე შეიძლება იცვლიდეს მორფოლოგიურ ტიპსაც კი.

ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება უარყოფს უნივერსალიზმს, თეორიულად ასაბუთებს იმ პრინციპს, რომლის თანახმადაც **გრამატიკული წყობა** ენების მიხედვით **განსხვავებულია.**

გრამატიკული წყობა არა თუ **განსხვავებულია** სხვადასხვა ენებში, არამედ იგი — ძირითად ლექსიკურ ფონდთან ერთად — **ენის ხატფუძველია:** თავისებური ძირითადი ლექსიკური ფონდი და თავისებური გრამატიკული წყობა ენის ინდივიდუალურობას განსაზღვრავს. ეს დებულება გარკვეულ დასკვნებს გვავალებს: ერთი ენის გრამატიკა არ შეიძ-

ლება იმეორებდეს მეორე ენის გრამატიკას. განსხვავებული გრამატიკული წყობა გულისხმობს განსხვავებულ გრამატიკას, ე. ი. განსხვავებულ მორფოლოგიასა და შესაბამისად განსხვავებულ სინტაქსს, განსხვავებული მორფოლოგიური და განსხვავებული სინტაქსური ცნებებით.

§ 111. გრამატიკული წყობის შესწავლა მორფოლოგია-სინტაქსში (გრამატიკაში) და გრამატიკის სპეციფიკა. მორფოლოგია და სინტაქსი გრამატიკულ წყობას შეისწავლიან: მორფოლოგია სწავლობს სიტყვათა ცვალებადობას ანუ სიტყვის აგებულებას, სინტაქსი — სიტყვათა შეკავშირებას წინადადებაში, ე. ი. სიტყვათა შენაერთის (წინადადების) აგებულებას.

სიტყვათა ცვალებადობა აფიქსებით გადმოიცემა, სიტყვათა შეკავშირებაც კვლავ აფიქსების მეშვეობით ხორციელდება. ამრიგად, სიტყვის ფუძე, როგორც კონკრეტული ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელი, მორფოლოგიის ყურადღების გარეშე რჩება; შესაბამისად არც წინადადების კონკრეტული შინაარსი წარმოადგენს სინტაქსის შესწავლის საგანს.

რამდენად არის გამართლებული ყურადღების ცენტრში სიტყვის ცვალებადობისა და სიტყვათა შეკავშირების დაყენება, როცა ენის მორფოლოგიასა და სინტაქსს ვსწავლობთ?

როგორღა არის შესაძლებელი შევისწავლოთ სიტყვის ცვლა ფუძის მნიშვნელობისაგან მოწყვეტით ანდა წინადადებაში სიტყვათა შეკავშირება წინადადების კონკრეტული შინაარსის გაუთვალისწინებლად?

ამაზე პასუხს იძლევა ყოველი ენის მორფოლოგია და სინტაქსი. ავიღოთ ქართული ენის მორფოლოგიიდან ბრუნების ესა თუ ის ფორმულა. მაგალითად: „ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია **-ის**, მიცემითისა — **-ს**, მოთხრობითისა **-მა** ან **-მ**"... რა საგნის სახელია, სახელდობრ, ამ დაბოლოებას რომ დაირთავს: განყენებულისა (ფიქრი, აზრი, გონება, სივრცე) თუ კონკრეტულის (სახლი, კარი, ქვა, ხე, წყალი...), ცხოველები (ხარი, ძროხა, ირემი, აქლემი...) იგულისხმებიან თუ მცენარეები (შუხა, ცაცხვი, ფიჩვი, ნაძვი...), თუ სხვა რაიმე კატეგორიის სახელი? კონკრეტულად არც ერთი ამათგანი და იმავე დროს ყველა: ფიქრს, აზრს, გონებას, სივრცეს, სახლს, კარს, ქვას, ხეს, წყალს, ხარს, ძროხას, ირემს, აქლემს, შუხას, ცაცხვს, ფიჩვს, ნაძვს... — ყველა თანაბრად მიცემითია, მიცემითი ბრუნვის ფორმანტი (სუფიქსი **-ს**) ყველას თანაბრად მოერგება. მიცემითი ბრუნვა, როგორც სახელის ცვალების ერთი სახე, ალგებრის ფორმულაა, რომლის არითმეტიკულ შინაარსსაც

წარმოადგენს ამა თუ იმ სახელის ფუძე თავისი კერძო, კონკრეტული, შინაარსით. ამ ფორმულისათვის სულერთია, რა კონკრეტული შინაარსიც აქვს საბრუნებელი სახელის ფუძეს.

ეგევე ითქმის ნათესაობითისა, მოქმედებითისა და სხვა ბრუნვათა შესახებ. მართალია, ჩვენ ვამბობთ: მოთხრობითის ნიშანი ხან **-მა** იქნება, ხან — **-მ**, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, თითქოს ამით საბრუნებელი სახელის კონკრეტულ მნიშვნელობას გაეწია ანგარიში: ორი ვარიანტი (**-მა** და **-მ**) იმან გამოიწვია, თუ რა ბგერით თავდება ფუძე — თანხმოვნით თუ ხმოვნით (თანხმოვნით გათავებულს **-მა** მოუდის, ხმოვნით გათავებულს — **-მ**: ფიქრმა, ხარმა, სახლმა, კაცმა..., მაგრამ: მუხამ, ძროხამ, კატამ, კლდემ...)... ამრიგად, ფუძის მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა აქ არაფერ შუაშია.

ხომ განასხვავებს რუსული ენა სახელთა ჯგუფებს? ხომ არა აქვს ერთი და იგივე ნიშანი მიცემით ბრუნვაში ყველა სახელს? карандашу, перу, столу, მაგრამ: двери, пыли, лошади... семье, деревне, форме... знамени, пламени...

ერთი დაბოლოება აქ ყველა სახელს არ მოერგება, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ დაბოლოებათა შერჩევისას სახელის ფუძის **კონკრეტულ** მნიშვნელობა რაიმე როლს თამაშობდეს (дом-у, куск-у, весл-у, пер-у... საერთო ნიშანი აქვს, თუმცა ამ სიტყვათა მნიშვნელობას არაფერი აერთიანებს).

ბრუნების შესახებ თქმული სავსებით ვრცელდება უღვლილებაზედაც. პირველი პირის სუბიექტის ნიშნად **ვ-** პრეფიქსი აქვს ყველა ქართულ ზმნას, რა შინაარსისაც უნდა იყოს ზმნის ფუძე: **ვ-**არ, **ვ-**დგები, **ვ-**ჯდები, **ვ-**აშენებ, **ვ-**ანგრევ, **ვ-**აქებ, **ვ-**აძაგებ... აქაც ფუძის კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა არავითარ გავლენას არ ახდენს, მორფოლოგიის ფაქტზე არ მოქმედებს.

მსგავსივე მდგომარეობა დასტურდება სინტაქსში: „დავითს უყვარს სიმონი" და „დავითს სძულს სიმონი" კონკრეტული შინაარსით ერთმანეთს უპირისპირდება. მაგრამ სინტაქსურად ეს ორი წინადადება სავსებით ერთნაირი აგებულებისაა; მისი შემადგენლობა განისაზღვრება ფორმულით: რეალური სუბიექტი მიცემითში + გარდაუვალი ორპირიანი ინვერსიული ზმნა + რეალური ობიექტი სახელობითში (და საამისო შეთანხმება-მართვა). ასევე: „დავითმა ააშენა სახლი" და „დავითმა დაანგრია სახლი", „ყინვამ დააზიანა ხეხილი", „მზემ ააყვავა მთა-ბარი" — ერთ სინტაქსურ მოდელს იძლევა: რეალური სუბიექტი მოთხრობითში + გარდამავალი ზმნა ნამყო ძირითადში + რეალური ობიექტი სახელო-

ბით'ში (სათანადო საურთიერთო მართვა-შეთანხმებით). წინადადების კონკრეტული შინაარსი სრულიად სხვადასხვაა, ზოგჯერ დაპირისპირებულიც კია, სინტაქსური ფორმულა ერთნაირია.

კერძო და კონკრეტული შინაარსი ცალკეული სიტყვისა (თუ წინადადებისა) მორფოლოგია-სინტაქსის საგანი ისევე არ არის, როგორც გეომეტრიისათვის არ დგას საკითხი: რა მასალისა არის ის „სამკუთხედი", რომელსაც გეომეტრია სწავლობს: ფოლადისა, ხისა თუ ქვისა ან ქაღალდისა. სინამდვილეში არსებული ყოველი სამკუთხედი რაღაც მასალისა იქნება, სამკუთხედს, როგორც ფორმას, რაღაც შინაარსი ექნება. მაგრამ გეომეტრია სწავლობს სამკუთხედს, როგორც ფიგურას (ე. ი. როგორც ფორმას) და სრულიადაც არ ფიქრობს იმ მასალაზე, რომლის ფორმასაც, ფიგურასაც სამკუთხედი წარმოადგენს.

გრამატიკა, რომელიც გეომეტრიის მსგავსად ეპყრობა შესასწავლ ენობრივ ფაქტებს, გამოყოფს ამ ფაქტებში იმას, რასაც ენისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს: გრამატიკულ წყობას. ეს შესაძლებელი გახადა ადამიანის აზროვნების წინსვლა-განვითარებამ.

თავი VI

სტილისტიკა. როგორც ენათმეცნიერების დარგი

§ 112. **სტილის რაობისათვის.** სტილის საკითხი აქტუალური საკითხია ხელოვნების ყველა დარგისათვის (მხატვრობისა, ხუროთმოძღვრებისა, ქანდაკებისათვის...). პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მას ენისთვისაც. სტილისტიკა აქ ჩამოყალიბდა პირველად რიტორიკის სახით. **ამჟამად სტილისტიკა პოეტიკის ერთ-ერთი დარგია: ენათმეცნიერებაში კი მხოლოდ ბოლო ხანებში** (მეცხრამეტე საუკუნის დამლევიდან მოკიდებული) **მახვილდება ყურადღება სტილისტიკაზე,** როგორც ენათმეცნიერული ცოდნის დარგზე; მისი ადგილი ენათმეცნიერების სხვა დარგებს შორის გარკვეული **ჯერ კიდევ არ არის.**

ამიტომ **აქ** მხოლოდ **ზოგადად შეიძლება მოვხაზოთ** ის არე, რომელიც **სტილისტიკის საკითხებს შეეფერება ენათმეცნიერულ ნააზრევში** და დავსვათ **ძირითადი საკითხები.** ყოველი ენობრივი ფაქტი, იქნება ეს წინადადება თუ სიტყვა, რაღაცაზე მიუთითებს, რაღაცას ნიშნავს. ამისდა მიხედვით ყოველი ენობრივი ფაქტი გულისხმობს **გადმოსაცემ შინაარსსა** და სათანადო **გადმომცემ საშუალებას.** გადმოსაცემი შინაარსი ეს არის მეტყველის ცნობიერებაში გადამტყდარი ფაქტი სინამდვილისა: მოვლენა, რომელსაც ადგილი აქვს ბუნებაში, ადამიანთა საზოგადოებაში, ადამიანის ცხოვრებაში; გადმომცემი საშუალება ესაა **ენობრივი ფაქტი,** ამ სინამდვილის ფაქტის აღსანიშნავად გამოყენებული. **გადმოსაცემი შინაარსის (სათქმელისა) და გადმომცემი ენობრივი საშუალების (თქმულის) ურთიერთობა** — ესაა სტილისტიკის ძირითადი პრობლემა. სხვანაირად რომ ვთქვათ, **სტილისტიკა შეისწავლის ენობრივ საშუალებებს მათ მიმართებაში გადმოსაცემ შინაარსთან** (ბერძნ. stylos „წვეტიანი ჩხირი“, რომლითაც წერდნენ გასანთლულ ფიცარზე ძველ საბერძნეთსა და რომში; ლათ. stilum vertere „საწერი ჩხირის ტრიალი“, ე. ი. გასწორება, დაზუსტება ნაწერისა: ჩხირის წვე-

ტიანი წვერით წერდნენ, მეორე ბლაგვი ბოლოთი გასასწორებელს შლიდნენ, ე. ი. „სტილზე მუშაობდნენ").

„კარგი რამ იყო თავად თათქარიძის სახლ-კარი!" ამ სახლ-კარის აღწერა გვაჩვენებს, თუ რას ნიშნავს აქ „კარგი". იგივე შინაარსი შეიძლებოდა გადმოგვეცა სხვაგვარად: „ვერაფერი სანახაობა იყო თავად თათქარიძის სახლ-კარი!" ანდა: „უხუგეშო სურათს წარმოადგენდა თავად თათქარიძის სახლ-კარი!" ანდა: „დაქვეითებისა და დაცემის განსახიერება იყო თავად თათქარიძის სახლ-კარი!" ავტორმა ყველაზე მიზანშეწონილად ცნო მარტივად ეთქვა: „კარგი რამ იყო"-ო და ამით გამოეხატა თავისი დამოკიდებულება ამ სახლ-კარისა და მისი პატრონისადმი... ამ შინაარსის გადმოსაცემად ეს გზა ერთადერთი არ იყო.

ობიექტური ვითარება ერთი და იგივეა: მისი ენობრივი გამოხატულება — სხვადასხვაგვარია. სხვადასხვაგვარი გადმოცემა ან იქიდან წარმოდგება, რომ ობიექტური მონაცემის სხვადასხვა მომენტია ამოსავალი, ანდა იქიდან, რომ ობიექტური მონაცემისადმი მთქმელის სხვადასხვაგვარი დამოკიდებულებაა უკუფენილი ენობრივ გამოხატულებაში. ასე იქნება თუ ისე, ეს სხვადასხვაგვარობა ქმნის სტილს, მას შეისწავლის სტილისტიკა...

ამის მიხედვით შეიძლება გაირკვეს, რით განსხვავდება ერთმანეთისაგან **სტილისტიკა პოეტიკისა** და ენათმეცნიერების გაგებით.

პოეტიკური სტილისტიკა შეისწავლის **მხატვრული ნაწარმოების ენას, როგორც მხატვრული შინაარსის გამოვლინების საშუალებას;** მისი საგანია **პოეტური ენის ექსპრესიული ფუნქცია.**

სტილისტიკა ენათმეცნიერული გაგებით განიხილავს **არაპოეტურ მეტყველებას, ყოველდღიურ სახაუბრო თუ მეცნიერულ ნაწარმოებთა ენას,** რამდენადაც **ეს ენა სათანადო შინაარსის გამოხატულების საშუალებაა.** პოეტური ენა მას აინტერესებს იმდენად, რამდენადაც პოეტიკური სემანტიკისა (სემასიოლოგიისა) და სინტაქსის პროცესები საერთოდ **სემანტიკისა და სინტაქსის კანონზომიერებათა თავისებურ გამოვლენას წარმოადგენენ** (იხ. §§ 66, 67, 68, 69, 70).

გარდა ამისა, ენათმეცნიერულმა სტილისტიკამ უნდა მოგვცეს ამა თუ იმ **ენის დახასიათება იმ შესაძლებლობათა მიხედვით, რომლებიც მას აქვს, როგორც გამომხატველობით საშუალებას. მოკლედ, ამა თუ იმ ენის ექსპრესიული შესაძლებლობა საგანია სტილისტიკისა, როგორც ენათმეცნიერული დარგისა.**

ეს გულისხმობს, სახელდობრ, იმის გარკვევას, თუ რამდე-

ნად მარჯვეა ესა თუ ის ენა კონკრეტული და განყენებული აზროვნებისათვის; რა ახასიათებს მას — თავისუფალი თუ სავალდებულო სიტყვათა რიგი; პასიური კონსტრუქციები ემარჯვება მას თუ აქტიური, პარატაქსი (წინადადებათა შეწყობა) თუ ჰიპოტაქსი (მთავარისა და დამოკიდებული წინადადების გამოყენება), მარტივი წინადადება თუ რთული პერიოდები და სხვ. მორფოლოგია და სინტაქსი სათანადო ენაში არსებულ მოვლენებს აანალიზებენ, სტილისტიკა ამ მოვლენათა ექსპრესიულ (გამომხატველობით) შესაძლებლობას არკვევს.

იდეალური სტილი საუკეთესო შეფარდებაა სათქმელსა (გადმოსაცემ შინაარსსა) და თქმულს (გადმომცემ ენობრივ საშუალებას) შორის. ეს „საუკეთესო“ მეცნიერული ნაწარმოების ენაში მეტყველების კლასიკურ **ხიმარტივესა** და **აზრის ხიცხადეს** ნიშნავს. მხატვრულ შემოქმედებაში კი ეს „საუკეთესო“ თავისებურად ესმის თითქმის ყოველ ლიტერატურულ სკოლას, მაგრამ ყველასათვის საერთოა ძირითადი მიზანი: სიტყვის ექსპრესიული მაქსიმუმის მიღება. ამის შესაბამისად, პოეტიკური სტილისტიკის შინაარსს ქმნის პოეტიკური ლექსიკის (არქაიზმები, ნეოლოგიზმები, პროზაიზმები...), პოეტიკური სინტაქსის (სიტყვათა წყობა, მარტივი წინადადებები თუ რთული პერიოდები...) საკითხები; მნიშვნელობა ეძლევა იმასაც, თუ როგორ ბგერს სიტყვა, ნახმარი მხატვრულ პროზაში თუ ლექსში.

§ 113. ობიექტური მომენტი სტილში და ენათმეცნიერული სტილისტიკის საკითხები. არამხატვრული მეტყველების სტილისათვის ძირითადია ნათქვამის სიზუსტე[1]. ამ მხრივ პირველ რიგში დგას პრაქტიკული საკითხი **სტილისტიკური მინიმუმისა.** ეს ეხება როგორც მარტივ, ისე რთულ წინადადებას, როგორც ერთში, ისე მეორეში **სტილისტიკური მინიმუმის დარღვევა** იმაში მდგომარეობს, რომ **გადმოსაცემი შინაარსის თვალსაზრისით, მნიშვნელობის მიხედვით, გამოთქმაში ნახმარი სიტყვები ერთმანეთს არ შეეფერება.**

[1] ძველი საბერძნეთის რიტორიკის ერთი მიმდინარეობა (ე. წ. ატიკური) გამოთქმის სიმარტივესა და თქმულის სიზუსტეს მოითხოვდა, მეორე კი (ე. წ. აზიური) მაღალფარდოვან უხვსიტყვაობას იცავდა.

ორიოდე მაგალითი. „პალიასტომის ტბის“ მთავარი **აქტიორია ივანე.** „აქტიორი“ სიტყვა აქ უადგილოა: იგი არ შეეფერება თავისი მნიშვნელობით „ივანეს“; ივანე მოთხრობის მოქმედი პირია, აქტიორი კი „სცენაზე მოქმედ პირს“ ნიშნავს... „მამა და შვილი შთანთქა **აღელვებულმა ტალღებმა**“; „აღელვებული“ შეიძლება იყოს ზღვა, ტბა..., და არა ტალღა; ტალღა ღელვის შედეგია; ამიტომ ვერ ვიტყვით, „აღელვებულიო“. აქაც მსაზღვრელი და საზღვრული ერთმანეთს არ შეეფერება მნიშვნელობის მიხედვით... „გამგეობამ **განახორციელა** მთელი რიგი **ნაბიჯები**“; განხორციელება შეიძლება მიზნისა, „ნაბიჯებზე“ ითქმის „გადადგაო“. აქაც ორი სიტყვა მნიშვნელობის მიხედვით ერთმანეთს არ ეგუება.

„ასეთ პირობებში წარმოება **თავს გაართმევს ჩამორჩენილობას**“; „თავს გაართმევს“ წესიერი ქართული გამოთქმაა, მაგრამ აქ არ ვარგა: „ჩამორჩენილობას“ არ ეგუება. უნდა ყოფილიყო: „ჩამორჩენილობას თავს დააღწევს“.

სტილისტიკური მინიმუმის დარღვევას იწვევს პლეონაზმის მოვლენებიც: „**გახარებული და აღტაცებული** დავბრუნდი შინ“... „უნდა დაიძებნოს ამ მოვლენის **სათანადო და შესაფერი** ფორმები“... „და“-თი შეერთებული სიტყვები აქ შინაარსობრივად გამიჯნული არ არის: „აღტაცებული“ შეუძლებელია ყოფილიყო მოწყენილი. „სათანადო“ თუა, „შესაფერისიც“ იქნება. გადმოსაცემი აზრის თვალსაზრისით ერთ-ერთი ამ სიტყვათაგანი ამ გამოთქმებში ზედმეტია; ორივესთვის ადგილი არ რჩება, თუ მათ მნიშვნელობას გაეწევა ანგარიში.

დამხმარე სიტყვათა მნიშვნელობა მხოლოდ შესიტყვებაშია ცხადი. „ერთად იკრიბება შვიდი **ანუ** ათი თემი“... „მეც ამ მშვენიერი ბუნებისავის თვალი ვერ მომეშორებინა **და** თანდათან შეუმჩნეველად გადიოდა დრო“... „სიმონა არის პატიოსანი მშრომელი გლეხი და **აგრეთვე** მას ახასიათებს თავმოყვარეობა“... **ანუ, და, აგრეთვე** აქ უადგილოდ არის ნახმარი. „შვიდი“ და „ათი“ ერთმანეთს არ უდრის, უნდა იყოს: „შვიდი ან ათი... შეუძლებელია შევაერთოთ **და**-კავშირით ისეთი შინაარსის შესიტყვებები, რომელთა აზრი ერთმანეთთან არავითარ კავშირში არ იმყოფება[2].

---

[2] ამიტომ მხატვრულ ნაწარმოებში **და** კავშირის ასეთი უადგილო ხმარება საგანგებო სტილისტიკურ ეფექტს იძლევა: „ხვალ პირველი მაისია **და** მე ამაღამ არ მეძინება“ (ჭოლა ლომთათიძე). **და**-თი შეერთება ამ ორი გამოთქმისა გვაგრძნობინებს, რომ რაღაც კავშირი აქვს იმ ფაქტს, რომ „ხვალ პირველი მაისია“ იმ ფაქტთან, რომ „მე ამაღამ არ

რთული წინადადების აგებისას სტილისტიკის მინიმუმი არ არის უზრუნველყოფილი ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა: „და ამ სიტყვასთან მიჰყო ხელი პირის ბანას **ფაცაფუცით, რომელმაც** მაშინვე ჩაიცო ტანთ და გამოქანდა კარებისაკენ“ („საქ. მოამბე“, 1863 წ. ტ. III, გვ. 22)... „წაიღლო სიკაპასით თმებში ხელი ბაგაბუგით და გამოვარდა თავშიშველა გარეთ, **რომელიც** დეეშვა სირბილით მუხრანიანთ ხიდისაკენ“ (იქვე, გვ. 24)... „ოთხმა სალდათმა დიდის გაჭირვებით ძლივს გამოასვენეს გოშპიტლიდამ ერთი მიცვალებული უბრალო კუბოთი და წაიღეს **სასაფლაოსკენ, რომელსაც** მიუძღოდა მხოლოდ ერთი ღვდელი, შემოსილი შავი ოლრითა და ფილონით“ (იქვე, გვ. 24). ანდა კიდევ: „ფშავი ცნობილია ჩვენში ვაჟა-ფშაველას სახელით, რომელიც ამ კუთხეში დაიბადა“... ყველასათვის ცხადია, რომ „ფაცაფუცი ტანთ ვერ ჩაიცვამდა და კარებისაკენ ვერ გამოქანდებოდა“. ისიც ცხადია, რომ მღვდელი „სასაფლაოს ვერ წაუძღვებოდა“ ანდა „სახელი კუთხეში არ დაიბადებოდა“...

ამგვარი გამოთქმები გაგებინების საშუალებად კიდევ გამოდგება, მკითხველი თუ მსმენელი მიხვდება, რასაც ეხება საქმე, მაგრამ პირველ მომენტში, როცა ამგვარი გამოთქმები გვესმის, ჩნდება ისეთი სიტყვების კავშირი, რომლებიც მნიშვნელობით ერთმანეთს არ შეეფერებიან. ამასთან არის დაკავშირებული ის უხერხულობის გრძნობა, ამგვარი სტილის ნიმუშების მოსმენას რომ ახლავს.

შესაძლოა შესიტყვება აზრს ზუსტად გადმოგვცემდეს, მაგრამ სტილი მაინც საჩოთირო იყოს: „ნინოშვილი **ბორგელი** პროლეტარული მწერალია. იგი **ბორგელად** შეეხო გლეხთა მდგომარეობას“... „პირველი“-ს განმეორება სტილისტიკურად უხეიროა. ყურადღებას აქ ის იქცევს, რომ ერთ წინადადებაში ხმარებული სიტყვა გვზღუდავს მეორე წინადადების აგებისას: **მთელი ნაწყვეტი, მთელი თავი და მთელი ნაწარმოებიც კი სტილისტიკურად ერთ მთლიან ერთეულად შეიძლება მოგვეჩვენოს,** რამდენადაც ერთი მთლიანი შინაარსის, — ობიექტური მონაცემის, — გადმომცემ საშუალებას წარმოადგენს.

ზემოთქმულის მიხედვით ამა თუ იმ კონკრეტული ენის მასალის სტილისტიკური შესწავლა გულისხმობს:

1. **შესიტყვების** (კერძოდ, მარტივი თუ რთული წინადადების) **მონაწილე სიტყვათა ურთიერთობის გარკვევას მნიშვნელობის**

მეძინება“. ამით ავტორმა მკითხველს გარკვეული განწყობა შეუქმნა შემდგომი ამბების ასათვისებლად.

თვალსაზრისით.

თუ სინტაქსი წინადადების (და, საერთოდ, შესიტყვების) **აგებულებას,** ე. ი. **სიტყვათა შეკავშირებას,** სწავლობს, სტილისტიკა შესიტყვების **ფუნქციებს** არკვევს. საორიენტაციოა გადმოსაცემი შინაარსი; იგი განსაზღვრავს იმ მიზანს, რომელიც შესიტყვებას, როგორც გადმომცემ საშუალებას, უნდა ჰქონდეს.

მჭიდრო კავშირი არსებობს ამ მხრივ სტილისტიკასა და ლექსიკოლოგია-სემანტიკას შორის; ენის ლექსიკური შემადგენლობა აისახება ლექსიკონში. ამა თუ იმ ენის სტილისტიკურმა შესწავლამ, პირველ ყოვლისა, უნდა მოგვცეს ამ ენის **ბუნებრივი გამოთქმების** ინდექსი.

2. დამხმარე სიტყვათა (**ანუ, და, აგრეთვე, მაგრამ**...) მნიშვნელობის გათვალისწინებაც სტილისტიკის საგანია: ამ სიტყვათა მნიშვნელობა მხოლოდ წინადადებაში, შესიტყვებაშია ხელშესახები.

3. სათანადო ენის ექსპრესიული შესაძლებლობის შესწავლაც (მაგ., მორფოლოგიის ხაზით) სტილისტიკის ამოცანას შეადგენს:

სახელის **ბრუნვათა ფუნქცია** (შდრ.ნათეს.ბრ.მნიშვნელობა შესიტყვებებში: ძმის წიგნი, ვერცხლის საათი, გზის ოსტატი, აგურის ქარხანა, შაქრის ლერწამი..), **დრო-კილოთა ფუნქცია**...

4. პარატაქსი თუ ჰიპოტაქსი, აქტიური თუ პასიური კონსტრუქცია, სიტყვათა თავისუფალი თუ სავალდებულო წყობა და სხვა აგრეთვე სტილისტიკის საგანია (იხ. ზემოთ, § 112).

5. ლოგიკური მახვილის (და ინტონაციის) ფუნქციები სტილისტიკის სამყაროს განეკუთვნება.

აქედან ჩანს, რომ სტილი დაკავშირებულია ენათმეცნიერების ყველა დარგთან: ფონეტიკასთან, მორფოლოგიასთან, სინტაქსთან, ლექსიკოლოგია-სემანტიკასთან. ამ დარგების ობიექტებს სტილისტიკა შეისწავლის ახალი თვალსაზრისით (მაშასადამე, აქ განსხვავებულია არა საგანი, არამედ თვალსაზრისი).

§ 114. სუბიექტურ-ინდივიდუალური სტილში. ყოველივე ეს ობიექტური სტილის შინაარსს ქმნის; ობიექტური სტილი სტილისტიკური მინიმუმის ფარგლებს არ სცილდება; სუბიექტური სტილი, პირველ ყოვლისა, სიტყვის ემოციურ იერს შეისწავლის (ამ მხრივ სტილისტიკასა და სემანტიკას შორის არსებული ურთიერთობის შესახებ იხ. § 70). ობიექტური სტილის ნორმათა ფარგლებში სუბიექტური სტილი ააშკარავებს იმ ამოუწყავ შესაძლებლობებს, რომლის საფუძველიცაა გადმოსაცემი შინაარსისადმი მეტყველის დამოკიდებულება, გადმოსაცემი შინა-

არსის სხვადასხვა თვალსაზრისით დახასიათება... არა თუ ორი მწერლის სტილი არ არის ერთი და იგივე, ორი მათემატიკოსის „ენაც“ განსხვავებულია ხოლმე; ყოველდღიურ მეტყველებაშიც ცალკე პირთა სტილი ისევე განირჩევა ერთმანეთისაგან, როგორც სიარული, ხმის ტემბრი და ნაწერის ხელი.

ფრანგ ბუნებისმეტყველსა და მწერალს, ჟ. ლ. ბიუფონს მიეწერება სიტყვები: „სტილი ეს თვით ადამიანიაო“. ბიუფონის ნამდვილი სიტყვები: „სტილი თვით ადამიანისაგან მოდისო“, გაცილებით უფრო ზუსტად აღნიშნავს იმ ძირითად აზრს, რომ სტილი ადამიანის აზროვნებას ახასიათებს. კერძოდ, სტილში გარკვეულ გამოვლენას პოულობს მეტყველის მსოფლმხედველობრივი დამოკიდებულება გადმოსაცემი შინაარსისადმი; მოვლენის აღსანიშნავად ამ თვალსაზრისის შესაფერი სიტყვების შერჩევა, სიტყვათა მნიშვნელობის შემოსვა გარკვეული ემოციური იერით — აი ორი საშუალება მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისის სტილში აღბეჭდვისათვის. ყოველი ემოციური იერი, რა თქმა უნდა, ამგვარი თვალსაზრისის უკუფენა არ არის; ყოველი სტილური ვარიაცია მსოფლმხედველობითს არ წარმოადგენს, მაგრამ ყოველთვის ახასიათებს მოლაპარაკის ცნობიერებას, რომელშიც გადამტყდარი ობიექტური ვითარება თავისებურად წარმოგვიდგება საამისოდ გამოყენებულ სიტყვიერ სამოსში (§ 70).

აღსანიშნავია ისიც, რომ სუბიექტურ სტილს ადამიანი ისევე ძნელად გამოიცვლის, როგორც აზროვნების ტიპს. არც სწავლა-განათლებაზეა სტილი დამოკიდებული. ამის კლასიკური მაგალითია ილია ჭავჭავაძის მოხევისა („მგზავრის წერილები“) და გლახა ჭრიაშვილის („სცენები გლეხთა განთავისუფლების დროიდან“) სტილი. მოხევის ნათელი აზრი მკვეთრ გამოთქმებშია ჩამოსხმული. არც ერთი ზედმეტი სიტყვა: მოხევე ფორმულებით ლაპარაკობს. აი თუნდაც ქირაზე სიარულის შესახებ მისი სიტყვები: „ვშაულობთ, ჯიბეჩი არ რჩების... ჰამადი-სმადი არაა სახლჩი, ნაშოვერ დუქანჩი მიდის“... ანდა მისი რეპლიკა ბარის უპირატესობათა შესახებ: „ვინ უწყის, იქაითაც საჭირბოროტოია დარჩენა; ადგილი ხაშმობს. იქაველ კაცს ფერი არა აქვნ. აქაველ ჯანმრთელნი არიან. ცარგვლის გამჩენმა განაგო: იქაით — მაძღრობა, აქაით — სიმრთელე!“.

მოხევის ლაპიდარულ სტილს უპირისპირდება გლახა ჭრიაშვილის უგზო-უკვლო მრავალმეტყველება. მოვიგონოთ საჩივრის „წინასიტყვაობა“: „ისე დალაგებით მოგახსენებ, შენი ჭირიმე! სიჩქარით, შენი ჭირიმე, თქვენ კარგად მოგეხსენება, სოფელი არავის მოუჭა-

მია. მოსამართლე ხელმწიფის ყურია, უნდა ყველაფერი თავიდამ ბოლომდინ გაგაგებინო. თუ წყალი სათავეშივე აიმღვრა, ბოლომდინ მღვრიედ ივლის; ამიტომაც მინდა ისევ თავიდამ დალაგებით მოგახსენო იმიტომ, რომ კარგად დალაგებით დაწყობილი თავიდამვე საქმე ბოლომდინ ანკარა წყაროსავით გავა. ეს თქვენ უფრო კარგად მოგეხსენებათ, თორემ მენა ამაებისა რა მეცოდინება? ერთი რეგვენი გლეხკაცი ვარ, ჩემს დღეში სამართლის კარი არც კი დამინახავს, რა ფერია: წითელი თუ შავი? იქნება თეთრიც იყოს! ვინ იცის? მენა ის თვალითაც არ მინახავს. მაღალი ღმთის რისხვა და თქვენი ღმთის რისხვა არა მაქვს. მართალს მოგახსენებ კი. ამიტომაც მინდა თავიდამ დავიწყო. ისე სჯობია, თავიდამვე დალაგებით მოგახსენო. **ბაბაჩემი აზნაური გხლებიათ** — ეს დიდი ხნის ამბავი გახლავს — **ნუგზარ ერისთავის დროსაო**, თუ გაგიგონიათ, სისხლის წვიმების დროსაო. ასე ამბობენ, თქვენი ღმთის რისხვა არა მაქვს, თორემ მენა იმ დროებისა რა მეცოდინება. დიდი ხნის კაცი როდი ვარ! მართალია, წვერ-ულვაშში ჭაღარა გამომრევია, მაგრამ მაგარი ესაა, რომ დიდი ხნისა არა ვარ. ასე კი ნუ მხედამთ, რომ გავთეთრებულვარ. ჯაფამ გამტეხა, შენი ჭირიმე, ჯაფამ! რაც მენა ბატონის ბეგარაში ოფლი მიღვრია, სულ რომ ერთად მოვკრიბო, ზღვა იქმნება, თქვენი ღმთის რისხვა არა მაქვს, თორემ რა გამტეხდა აგრე მალე. მენა ბევრი ვიყო, ბევრი ვიყო, სულ ბევრი ვიყო... რაღა სიტყვა გაგიგრძელო, გაგიგრძელდეს სიცოცხლე, იმ დღეს ჩვენ სოფელში რომ ბრძანდებოდი, აი, პატარა საყდარი არ გახლავთ, აი ხალხი რომ მოაგროვე და ხელმწიფის სიტყვა რომ გამოგვიცხადე, აი იქავ, ჩვენებიანთ წინა — ის საყდარი სულ არ იქნება ხუთი წლით ჩემზე წინ აშენებული; მას აქეთ რა ხანი უნდა იყოს გასული? ჩოტკის კაცი, მალე მტერი მოგიკვდეს, მალე მაგას გამოიცნობდა და იტყოდა: მაგდონი არაფერი ხანიაო გასული, მაგრამ მაგარი ესაა, რომ კაცმა შემომხედოს, ასის წლისა ვეგონები. ჯაფამ და ბატონის სამსახურმა აგრე იცის, თორემ არც ისე ხნიერი ვარ. სულ აკი მოგახსენე, ის საყდარი ხუთი წლის ჩემზე წინ არის აშენებული მეთქი. მენა ეხლა ასე რომ მოგახსენებთ, საყდარი მეთქი, საყდარი ხომ საყდარია, თქვენ ეს უფრო კარგად მოგეხსენებათ, მაგრამ მაგარი ესაა, რომ ხორციელი ადამიანი სულ სხვა არის, ასე რომ... ეჰ, რაღა სიტყვა გაგიგრძელო, გაგიგრძელდეს სიცოცხლე, მაინცდამაინც ადამიანი სულ სხვა არის. თუნდ ეგეც არ იყოს, მაინც ხომ საყდარი ქვა და კირია, ადამიანი სულ სხვა არის, ასე რომ...“

ამდენი ილაპარაკა გლახა ჭრიაშვილმა და საჩივარი მაინც **ვერ დაიწყო,** მიახლოებითაც ვერ მიუახლოვდა საკითხს: ისღა მოასწრო ეთ-

ქვა, რომ მამამისი, აზნაური იყო ნუგზარ ერისთავის დროს, მაგრამ ეს დრო მას არ ახსოვს, რადგანაც... არც ისე დიდი ხნისა არის... რამდენი ხნისაა თვითონ, ესეც ვერ გაარკვია და ბოლოს იმ დებულებით გაათავა, რომ „საყდარი ქვა და კირია, ადამიანი კი სულ სხვა არის“... საჩივრის „წინასიტყვაობიდან“ მთელი დანარჩენი ნაწილი საჩივრის მოთხრობის „მეთოდოლოგიამ“ და სხვა, სრულიად უცხო საკითხების „ანალიზმა“ წაიღო (რა ფერია სამართლის კარი; როგორ აბერებს ჯაფა და ბატონის სამსახური კაცს; შეიძლება თუ არა მას ნუგზარ ერისთავის დროის ამბები ხსომებოდა, რა განსხვავებაა ხორციელ ადამიანსა და საყდარს შორის...).

ბუნდოვანია გლახა ჯრიაშვილის **აზრი** და **უთავბოლო** მისი სიტყვა...

საზოგადოდ, „მეტყველების კულტურა“ სუსტობს იქ, სადაც „აზროვნების კულტურა“ მოიკოჭლებს და, მაშასადამე, „მეტყველების კულტურისათვის“ ბრძოლა „აზროვნების კულტურისათვის“ ბრძოლის გარეშე წარმოუდგენელია. ენა აზრის ხორცშესხმაა.

თავი VII

ენათა კლასიფიკაცია

§ 115. ენათა კლასიფიკაცია. საკითხის დასმის შესახებ. ენათა რაოდენობა რამდენიმე ასეულს მაინც აღწევს (§ 23). ენათა კლასიფიკაცია მიზნად ისახავს დააჯგუფოს ენები და გააადვილოს მათი მიმოხილვა.

ყოველგვარი კლასიფიკაცია საჭიროებს გარკვეულ ნიშანს, რომლის მიხედვითაც საკლასიფიკაციო საგნები ერთიანდება ჯგუფებში. კლასიფიკაციის შედეგად მიღებული დაჯგუფებები შესაძლებელია არსებითად განსხვავდებოდნენ იმის კვალობაზე, თუ რა ნიშნის მიხედვით ჯგუფდება საგნები (ანუ, როგორც ამბობენ, იმის მიხედვით, თუ რა გვეკლინება დაყოფის საფუძვლად, principium divisionis). სწორედ ეს ნიშანია, რომ ქმნის კლასიფიკაციის საფუძველს.

ენათა კლასიფიკაციებიდან ყველაზე ცნობილია: **მორფოლოგიური** და **გენეალოგიური.** მათი საკლასიფიკაციო საფუძვლები არსებითად სხვადასხვაგვარია.

მორფოლოგიური კლასიფიკაციისათვის ამოსავალია ის, თუ როგორია **სიტყვის აგებულება** მოცემულ ენაში. **გენეალოგიური** კლასიფიკაცია აჯგუფებს ენებს იმის მიხედვით, თუ რა **წარმოშობისაა** ენა, რა ენებს ენათესავება ენა წარმოშობის მიხედვით.

§ 116. ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია. მორფოლოგიურ კლასიფიკაციას საფუძვლად ედება, როგორც აღნიშნული იყო (§ 115), სიტყვის აგებულება, — გამოიყოფა **სიტყვის შემადგენლობაში** ფორმაცვალების აფიქსები (ფორმანტები), — ე. ი. სიტყვათა დამოკიდებულების გამომხატველი აფიქსები, ანდა ასეთი აფიქსები (ფორმანტები) სიტყვის შემადგენლობაში არ მოგვეპოვება. რამდენადაც სიტყვის აგებულება, დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები მორფოლოგიაში შეისწავლება, ენათა კლასიფიკაციაც სიტყვის აგებულების მიხედვით მორფოლოგიური კლასიფიკაცია იქნება.

მორფოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით **ენები ორ ძირითად ჯგუფს** ქმნიან: 1. **უაფიქსო ენები,** ე. ი. დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსების არმქონე ენები, და 2. **აფიქსებიანი** ენები, ე. ი. დამოკიდებულების აღმნიშვნელ აფიქსთა მქონე ენები.

როდესაც სიტყვაში დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსი არ გამოიყოფა, ე. ი. ფორმაცვალებადი სიტყვები არა გვაქვს, გვექნება ისეთი უცვლელი სიტყვები, როგორიცაა, ქართული: „სად", „როდის", „წინ", „უკან"...

ასეთ შემთხვევაში სიტყვათა ურთიერთობას განსაზღვრავს **სიტყვათა ადგილმდებარეობა.** ამგვარად, სიტყვები მორფოლოგიურად უცვლელი არის, მაგრამ წინადადება არ არის მოკლებული გრამატიკულ აგებულებას: არა გვაქვს მორფოლოგია, მაგრამ გვაქვს სინტაქსი.

ფორმაუცვლელი სიტყვები ძირებს მოგვაგონებს. მაგრამ ასეთ ენას მხოლოდ **პირობით** შეიძლება ეწოდოს ძირეული: ძირი და აფიქსი შეფარდებითი ცნებებია, — სადაც აფიქსები საერთოდ არ არსებობს, იქ ძირიც არ გვექნება (საყოველთაოდ მიღებული გაგებით).

„ძირეული" ენის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ **ჩინური.** მასში ფორმაცვალებადი სიტყვები არ მოიპოვება: არც ბრუნება გვაქვს და არც უღვლილება. გადამწყვეტ როლს წინადადების აგებაში თამაშობს **სიტყვათა ადგილმდებარეობა.**

როგორ ესმით ერთი და იგივე ბგერითი კომპლექსი სხვადასხვა კონტექსტში, ამის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ ჩინური სიტყვის **ჰაო**-ს მიხედვით: **ჰაო** ენ „**კარგი** კაცი", სიდუ **ჰაო** „ქმნა კარგისა", „მოწყალების გაღება", ცზიო **ჰაო** „ძველი მეგობრობა", **ჰაო** დაგუიჰ „ძალიან ძვირი", ენ **ჰაო** „კაცს ვუყვარვარ მე".

ამგვარად, **ჰაო** სხვადასხვა მდგომარეობაში და სხვადასხვაგვარი ინტონაციით შეიძლება ნიშნავდეს: „კარგი", „ძალიან", „მოწყალება", „მეგობრობა", „უყვარს", ე. ი. შეიძლება მოგვევლინოს ხან ზედსართავი სახელის, ხან ზმნისართის, ხან არსებითი სახელის, ხან ზმნის ფუნქციით, თუმცა იგი არც ერთ ამ მეტყველების ნაწილს არ წარმოადგენს (ჩვეულებრივი გაგებით).

აფიქსებიანი ენები იყოფა **აგლუტინაციურ** ენებად (ლათინ agglutinare „შეწებება") და **ფლექსიურ** ენებად (ლათინ. flexio „გაღუნვა"). აფიქსები ორივესა აქვს, მაგრამ **კავშირი** აფიქსსა და სიტყვის მატერიალურ, ლექსიკურ ნაწილს (ძირს, ფუძეს) შორის ერთნაირი ხასიათისა არ არის: აგლუტინაციურ ენებში, როგორც წესი, თითოეული მორფოლოგიური მნიშვნელობა გამოხატულია ცალკეული აფიქსით (და

ყოველ აფიქსს აქვს **ერთი** დანიშნულება); ამის შედეგად სიტყვა **ადვილად ეშლება შემადგენელ ნაწილებად,** კავშირი ძირეულ ნაწილსა და აფიქსებს (ფორმანტებს) შორის სუსტია. მაგალითად, ქართული „სახლებს“ და რუსული "домам" თანაბრად წარმოადგენს მრავლობითი რიცხვის მიცემით ბრუნვას. მაგრამ ქართულ სიტყვაში „სახლ-ებ-ს“ ორი სუფიქსი გვაქვს: სახელთა მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი სუფიქსი **-ებ** და მიცემითი ბრუნვის სუფიქსი (ფლექსია) **-ს** (შდრ.: სახლ-**ს** — სახლებ-**ს**). რუსულ სიტყვაში "домам" გამოიყოფა ერთი სუფიქსი (ერთი ფლექსია) **-ам**, რომელიც ერთდროულად აღნიშნავს მრავლობით რიცხვსაც და მიცემით ბრუნვასაც. არ შეიძლება ვამტკიცოთ, თითქოს სუფიქს **-ам**-ში **а** აღნიშნავდეს მრავლობით რიცხვს, **-м** კი — მიცემით ბრუნვას: მხოლოობით რიცხვში მიცემითი ბრუნვა ბოლოვდება **-у** ხმოვნით: **дом-ам**, მაგრამ **дом-у**: ბრუნვის ნიშანი მხოლოობითსა და მრავლობითში განსხვავებულია.

ქ ა რ თ უ ლ ი ენის მაგალითი ა გ ლ უ ტ ი ნ ა ც ი უ რ ი ენების თავისებურების ილუსტრაციას წარმოადგენს, **რუსული** ენის მაგალითი კი — **ფ ლ ე ქ ს ი უ რ ი** ენისას.

უფრო მჭიდრო კავშირი ფუძესა და აფიქსებს შორის ვლინდება ფლექსიურ ენებში ეგრეთწოდებული **ფუზიის,** აფიქსისა და ფუძის **შერწყმის** დროს: მაგალითად: **друг, друг-а, друг-у, друг-ом**... მხოლოობით რიცხვში ადვილად გამოიყოფა ფუძე **друг** და აფიქსები (ბრუნვათა ფლექსიები): **-а, -у, -ом**... მაგრამ მრავლობით რიცხვში — **друзья** — უფრო ძნელია გამოვყოთ ფუძე "друг" და აფიქსი: ფუძის ბოლო თანხმოვანი **г** ფონეტიკურად იცვალა, ფუძის ბგერითი შემადგენლობა იგივე აღარ არის, რაც მხოლოობით რიცხვში გექონდა. ეგევე შეიძლება ითქვას შემდეგი სიტყვების ფუძეთა შესახებ: **побережье** (წოსალოდნელი იყო: **побережье** — შდრ. **берег**), **человеческий** (წოსალოდნელი იყო: **человек-еский**), **вражеский** (წოსალოდნელი იყო: **враг-еский**), **должный** (შდრ. **долг**), **вижу** და **вид-ишь, пеку** — **печешь, трач-у** და **трат-ишь** და ა. შ.

ფონეტიკურად სახეცვლილი ფუძეები და აფიქსები **უფრო მეიდროდ** შეერწყმიან ერთმანეთს, **უფრო ძნელად ეშლებიან** შემადგენელ ნაწილებად. ფუზია (შერწყმა) მეტად ახასიათებს ფლექსიურ ენებს. ანალოგიური პროცესები უფრო სუსტად არის წარმოდგენილი აგლუტინაციურ ენებშიც[1].

---

[1] შდრ. რუს. **друг — друзья** და ქართ. მეგობარი — მეგობრ-ებ-ი. თუ ჩამოვაცილებთ აფიქსებს (-ებ-ი), რჩება მეგობრ- (და არა მეგობარ-). ფუძე დაბოლოების გავლენით

ფლექსიური ენებისათვის დამახასიათებელია არა მხოლოდ **აფიქსის მჭიდრო კავშირი ფუძესთან**, არამედ აგრეთვე ეგრეთწოდებული შინაგანი ფლექსია ანუ **ფუძის ფლექსია**, რომლის დროსაც ფუძისეული ხმოვნის ცვალებადობით გადმოიცემა სიტყვის გრამატიკული ფორმა. ამის მაგალითებია: გერმ. ბრუდერ (Bruder) „ძმა" — მრავლ. რიცხვ ბრიუდერ (brüder) „ძმები".... ინგ. გუზ (goos) „ბატი" — მრავლ. რიცხ. გიზ (geese) „ბატები"... ფუტ (foot) „ფეხი" (შდრ. футбол) — მრავლ. რიცხ. ფიტ (feet) „ფეხები".

ფუძის ფლექსია გერმანულ, ინგლისურ ენებში ისე ხშირად არ გვხვდება, როგორც არაბულ ენაში: აქ ფუძის ფლექსია წარმოადგენს მორფოლოგიის ძირითად საშუალებას (თუმცა არაბულში აფიქსებიც იხმარება).

მაგალითად: კათალა „მან მოკლა" — კუთილა „იგი მოკლულ იქნა"; დარაბა „მან სცემა" — დურიბა „იგი იცემა"... მოქმედებითი გვარი (კათალა, დარაბა) და ვნებითი (კუთილა, დურიბა) განსხვავდება ერთმანეთისაგან მხოლოდ ფუძის ხმოვნებით (ა — ა, უ — ი); თანხმოვნები იგივე რჩება (კთლ, დრბ). ფუძისეულ ხმოვანთა ცვალებადობა გრამატიკულ (მორფოლოგიურ) მნიშვნელობათა გამოსახატავად ისე შორს მიდის, რომ არაბულ გრამატიკაში წამოყენებულია დებულება: ლექსიკური (მატერიალური) მნიშვნელობა არაბულ ენაში უკავშირდება სიტყვის თანხმოვან ბგერებს, გრამატიკული (მორფოლოგიური) მნიშვნელობა კი გამოიხატება სიტყვის ხმოვანი ბგერებით, ე. ი. ხმოვნები არ შედის ძირის შემადგენლობაში, ძირები მხოლოდ თანხმოვნებისაგან არის შემდგარი.

ზემოთ განხილული მაგალითებიდან ჩანს, რატომ ეწოდება ფუძისა და აფიქსების სუსტ კავშირს **აგლუტინაცია** („შეწებება"), ხოლო შესაბამის ენებს — **აგლუტინაციური**; მეორე მხრივ, ტერმინი **„ფლექსიური** ენები" ითვალისწინებს **ფუძის ფლექსიას**[2].

აგლუტინაციური ენებია: ალათაური (თურანულ-მონღოლური ანუ თურქულ-თათრული), უნგრულ-ფინური, იბერიულ-კავკასიური

შეიცვალა, მან დაკარგა ხმოვანი -ა („ფუძის შეკუმშვა"), მაგრამ ქართ. **მეგობრ–ებ–ი** მაინც უფრო ადვილად იშლება ფუძედ და აფიქსებად, ვიდრე რუს. **друзья**.

[2] ფუძის ფლექსია (ბრუდენ — ბრიუდერ) უნდა განვასხვავოთ სიტყვის ფლექსიისაგან, — ბრუნვის, პირების მიხედვით ცვლისაგან აფიქსების (სუფიქების, პრეფიქსების) საშუალებით.

აღსანიშნავია, რომ ბრიუდერ-ის ტიპის წარმოებაში ფუძის ფლექსია თავდაპირველად არ წარმოადგენდა მრავლობითი რიცხვის გამოხატვის საშუალებას: მრავლობითი რიცხვი სუფიქსით აღინიშნებოდა; ფუძის ფლექსია კი ფონეტიკურ ცვლილებათა შედეგად გაჩნდა. ხოლო როდესაც სუფიქსი მოკვეცა სიტყვას, მრავლობითი რიცხვის გამოხატვა იკისრა ფუძის ფლექსიამ: აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ფუძის ფლექსიით განსხვავდებოდა მრავლობითი რიცხვი მხოლობითისაგან

(ქართული...) და ბევრი სხვა.

ფლექსიურ ენებად ითვლება: ინდოევროპული (რუსული, გერმანული, ინგლისური, ლათინური, ინდური და სხვ.) და სემიტური (არაბული, ებრაული) ნები, თუმცა ფუძის ფლექსია წამყვან როლს მხოლოდ სემიტურ ენებში ასრულებს.

გარდა ძირეული, აგლუტინაციური და ფლექსიური ენებისა, მორფოლოგიურ კლასიფიკაციაში ჩვეულებრივ შეაქვთ **პოლისინთეზური** ენები.

ასე უწოდებენ ენებს, რომლებშიც **ერთ რთულ ოდენობად გაერთიანებულია მთელი წინადადება**: ზმნა თავისი სუბიექტით, ობიექტით, განსაზღვრებებითა და საგარემოებო სიტყვებით.

ასეთია, მაგალითად, „სიტყვა" ინდიელების **მაიუტ** ენაზე (ფუტას შტატში — აშშ). ვიი-ტო-კუხუმ-პუნკე-რეუგანი-ეუგვი-ვა-ნტეუმ(ეუ), რაც ნიშნავს „რომლებიც მჯდომარენი დაჭრიან დანით შავ ბიზონს". სიტყვასიტყვით კი: დანა—შავი—ბიზონი—ხელის—დაჭრა—ჯდომა (მრავლ. რ.)— მყოფ. დრო მიმღ.— სულიერი მრავლ. რ. ამ ენას აფიქსებიც მოეპოვება (განხილულ მაგალითში გვაქვს მორფოლოგიური ელემენტები, რომლებიც აღნიშნავენ: მყოფად დროს, მიმღეობას, მრავლობით რიცხვს ცოცხალი საგნებისა)[3].

ამგვარად, ასეთ ენებს სიტყვათა უცვლელობა კი არ ახასიათებს, არამედ **სიტყვისა და წინადადების** თავისებური **ურთიერთობა**: წინადადების გარეშე სიტყვები (ჩვენი გაგებით) აქ არ არსებობს; მეტყველების ძირითად ერთეულს წინადადება ქმნის. ეს ერთეული „მრავალშენაზავია", იგი სიტყვებს „მოიცავს". შესაბამისად, ამ ტიპის ენებს ეწოდება **პოლისინთეზური**[4] (რამდენადაც მხედველობაშია **შედეგი**, — „წინადადების" რთული შემადგენლობა) ანუ **ინკორპორაციული** (რამდენადაც ითვალისწინებენ **პროცესს** — „წინადადებაში" სიტყვათა ჩართვას).

ენის პოლისინთეზური ტიპი მხოლოდ პირობით შეიძლება იქნეს შეტანილი მორფოლოგიურ კლასიფიკაციაში, რამდენადაც სიტყვისა და წინადადების ურთიერთობის სპეციფიკური ხასიათი გვაძლევს სიტყვის (და არა მხოლოდ მისი აგებულების) პრობლემის თავისებურ გადაწყვეტას.

ფლექსიური ენების ცნებასთან დაკავშირებით უნდა მოვიხსენი-

---

[3] მოგვყავს ე. სეპირის მიხედვით. „ენა" (რუს. თარგმ.), 1934, გვ. 25.

[4] ბერძ. poly „მრავალი", synthesis „შერწყმა".

ოთ ცნებები „სინთეზური ენები“, „ანალიზური ენები“. ისინი გამოყო ავგუსტ **შლეგელმა** (1818 წ.) ფლექსიურ ენებში.

ანალიზურ ენებს ახასიათებს: პირის აფიქსების ნაცვლად ნაცვალსახელთა ხმარება (ზმნის პირების აღსანიშნავად), აგრეთვე ზმნის ფორმების აღწერითი წარმოება მეშველი ზმნის გამოყენებით; პირის დაბოლოებათა მაგივრად წინდებულების ხმარება; ზმნისართების გამოყენება ხარისხების გადმოსაცემად. ერთი სიტყვით, ანალიზური ენა ცალკეულ სიყტვებს მიმართავს იქ, სადაც სინთეზური ენა **აფიქსებს** იყენებს.

შდრ. **რუსულისა** და **ლათინურის სინთეზური** წყობა **ფრანგულის ანალიზურ** წყობას:

	რუსული:		**ლათინური:**	**ფრანგული:**
ნათ.	Книги	:	libri	du livre „დუ ლივრ“
მიც.	Книге	:	libro	au livre „ო ლივრ“
	Теряю	:	perdo	je perds (სამივე პირში გამოითქმის „პერ“)
	Теряешь	:	perdis	tu perds
	Теряет	:	perdit	il perd

Длинный, -ая, -ое	: long-us,-a,-um	long (მდედრ. longue) „ლონ (ლონგ)“
Длиннее	: longior (შამრ. და მდედრ. სქ.) longius (საშ. სქ.)	plus long (longue) „პლუ ლონ (ლონგ)“
Длиннейший,-ая,-ое	: longissim-us, -a, -um	le (la) plus long (longue) „ლ- პლუ ლონ (ლონგ)“

ანალიზური წყობა ევროპის ენებიდან ფრანგულის გარდა ინგლისურსაც ახასიათებს.

ანალიზური წყობა ფლექსიურ ენებს არ შეიძლება ჰქონდეს: ამაში ცდებოდა ავგ. შლეგელი, რომელიც ფლექსიურ ენებში განასხვავებდა სინთეზური და ანალიზური წყობის ენებს.

ამჟამად არსებობს შეხედულება, რომლის მიხედვითაც ენის ანალიზური წყობა თითქოს წარმოადგენდეს მეტყველების ყველაზე ფასეულ, ყველაზე პროგრესულ წყობას. მეტწილად ასეთ შეხედულებას იცავდნენ თითქმის მხოლოდ ამ ენაზე მოლაპარაკენი, — ინგლისელები და ამერიკელები.

ასეთი შეხედულება ყოველგვარ **საფუძველს** მოკლებულია: შეხედულება ანალიზური ენების უპირატესობის შესახებ მეცნიერულად ისე-

ვე უსაფუძვლოა, როგორც უსაფუძვლო არის ფრიდრიხ შლეგელის შეხედულება, თითქოს ფლექსიური ენები საერთოდ თავიანთი აგებულებით ბევრად უფრო ფასეული იყვნენ, ვიდრე აგლუტინაციური ენები.

§ 117. ენათა მორფოლოგიური ტიპების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. მორფოლოგიურ კლასიფიკაციას საფუძველი ჩაუყარა ფრიდრიხ შლეგელმა ნაშრომში „ინდიელთა ენისა და სიბრძნის შესახებ", 1808 წ., ე. ი. ჯერ კიდევ ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ჩამოყალიბებამდე. შემდეგ მორფოლოგიური კლასიფიკაციის დამუშავებაში მონაწილეობას იღებდნენ ავგუსტ შლეგელი (1818 წ.) და ვილჰელმ ჰუმბოლდტი (1822 წ.); მაგრამ არც ერთი მათგანი არ იდგა ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების თვალსაზრისზე.

ამიტომ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების წარმომადგენლის ავგუსტ შლაიხერის (1850 წ.) ცდა მოეცა ენათა **მორფოლოგიური კლასიფიკაციის ინტერპრეტაცია ისტორიული თვალსაზრისით.**

შლაიხერისათვის ამოსავალია სამწევროვანი კლასიფიკაცია: იგი განასხვავებს **ძირეულ, აგლუტინაციურ** და **ფლექსიურ** ენებს. ამ სამ მორფოლოგიურ ტიპს შლაიხერი მიიჩნევს განვითარების სამი საფეხურის განხორციელებად: ძირეულ ენებში წარმოდგენილია უძველესი საფეხური, აგლუტინაციურში — მომდევნო, ხოლო ფლექსიურში — უახლესი. სამივე ტიპი შლაიხერის მიხედვით წინაისტორიულ ხანაში წარმოიშვა. შემდეგ იწყება ენათა დაშლა.

შლაიხერის ასეთ გაგებას საფუძვლად უდევს შემდეგი ლოგიკური სქემა: ენა აზრს გამოხატავს, აზროვნებაში კი მოცემულია ცნებები — წარმოდგენები და მათ შორის **მიმართებები:** ცნებას გამოხატავს სიტყვის **მნიშვნელობა,** რომელიც სიტყვის ფუძეშია წარმოდგენილი. **მიმართება** გადმოიცემა აფიქსებით. მნიშვნელობები ცალკე შესაძლებელია გვქონდეს, მაგრამ მხოლოდ აფიქსებისაგან შემდგარი ენა შეუძლებელია არსებობდეს. მაშასადამე, განვითარება იწყება ძირეული ენებით, თავდება ფლექსიური ენებით.

აფიქსები, როგორც ენათა ისტორიიდანაა ცნობილი, დამოუკიდებელი სიტყვებისაგან (ფუძეებისაგან) წარმოიშვა. მაშასადამე, აფიქსების წარმოშობამდე ენას ჰქონდა მხოლოდ სიტყვები — ფუძეები. ამდენად სადავო არ არის შლაიხერის დებულება ძირეული ტიპის სიძველის შესახებ. მაგრამ სწორი არ არის, როდესაც ამ ძველ ტიპს ხედავენ ჩინურ

ენაში: ძველი ჩინური ენა არ იყო მოკლებული აფიქსებს; თუ თანამედროვე ჩინურ ენაში დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები არა გვაქვს, ეს ხანგრძლივი განვითარების შედეგია და არა განვითარების დასაწყისი.

შემდეგ: არ შეიძლება განვითარების უკანასკნელ და, მაშასადამე, უმაღლეს საფეხურად მივიჩნიოთ ფლექსიური ენები (აგლუტინაციური ენებისაგან განსხვავებით); არ შეიძლება ფლექსიური ენები ტიპოლოგიურად დავუპირისპიროთ აგლუტინაციურ ენებს: მათ შორის პრინციპული სხვაობა არ არსებობს, მათი გამიჯვნაც კი ძნელია (იხ. § 77).

გასული საუკუნის მესამოცე წლებში ინგლისელი ფილოლოგი მაქს მიულერი შეეცადა მოეცა მორფოლოგიური ტიპების **სოციოლოგიური ინტერპრეტაცია.** მაქს მიულერის შეხედულების თანახმად სხვადასხვაგვარი მორფოლოგიური ტიპები ახასიათებს სხვადასხვაგვარ საზოგადოებრივ წყობილებას: ძირეული ტიპი შეესაბამება განვითარების „ოჯახურ“ საფეხურს, აგლუტინაციური ტიპი — მომთაბარეობას, ფლექსიური კი ასახავს „პოლიტიკურ“ საფეხურს, ე. ი. იმ საფეხურს, როდესაც სახელმწიფო ჩნდება.

მაქს მიულერის სოციოლოგიზმი პრიმიტიულია: იგი არსებითად ვულგარული სოციოლოგიზმია. ამასთან ის მკვეთრად უპირისპირდება საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს: აგლუტინაციურ ენებზე დღემდე ლაპარაკობენ მრავალი ხალხები, რომლებიც ისტორიულ ხანაში მ ო ბ ი ნ ა დ რ ე ც ხ ო ვ რ ე ბ ა ს ე წ ე ო დ ნ ე ნ და რომლებსაც ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ე ბ რ ი ვ ი წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ა ჰ ქ ო ნ დ ა თ ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინათ. განიხილავს რა ფლექსიურ ტიპს, როგორც უმაღლეს საფეხურს, მაქს მიულერი იმავე შეცდომას უშვებს, როგორსაც ავგ. შლაიხერი.

§ 118. ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციის მნიშვნელობის შეფასება. ენათა მორფოლოგიურ კლასიფიკაციას ორი არსებითი ნაკლი აქვს. ჯერ ერთი, იგი არ მოიცავს ენათა წყობის მთელ მრავალფეროვნებას, შემოფარგლულია მხოლოდ უკვე ცნობილი და ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული სტრუქტურული ტიპებით. მაშასადამე, როგორც კლასიფიკაცია, იგი არ არის სრული. მეორეცაადა, გამოყოფილი მორფოლოგიური ტიპების გამიჯვნა ძნელია: აგლუტინაციურ ენებში გვხვდება ფლექსიურობის ელემენტები და, პირუკუ, ფლექსიურ ენებში არ არის გამორიცხული აგლუტინაციის მოვლენათა არსებობა. ამასთან, ძირეულ ენებში იხმარება ნაწილაკები, ხოლო ნაწილაკები, არ-

ცთუ ძლიერ არის დაშორებული აფიქსებს.

ზემოთ აღნიშნული იყო, თუ როგორი მეცნიერულად უსაფუძველო და საზოგადოებრივად მიუღებელი შეხედულებებისათვის იძლევა საფუძველს აგლუტინაციური და ფლექსიური, სინთეზური და ანალიზური მორფოლოგიური ტიპების გარჩევა.

ამასთანავე, მორფოლოგიური კლასიფიკაცია იმ დროიდან მომდინარეობს, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება: იგი ორგანულად არ არის დაკავშირებული ენათმეცნიერებასთან, როგორც ისტორიულ მეცნიერებასთან.

ყველაფერი ეს ლაპარაკობს მორფოლოგიური კლასიფიკაციის წინააღმდეგ, იმის წინააღმდეგ, რომ მორფოლოგიური კლასიფიკაცია ითვლებოდეს მეცნიერულ კლასიფიკაციად.

მაგრამ მორფოლოგიური კლასიფიკაცია მაინც არ არის მოკლებული გარკვეულ შემეცნებით ღირებულებას. ამ მხრივ ორი გარემოება უნდა აღინიშნოს. თუ ჩვენ ვიცნობთ ენის მორფოლოგიურ ტიპს, ჩვენ შეგვიძლია წინასწარვე გავითვალისწინოთ, როგორი იქნება ამ ენის **გრამატიკის აგებულება** და **დარგების შემადგენლობა.** აგლუტინაციური და ფლექსიური ენების გრამატიკული წყობის შესწავლისას, ჩვენ, ბუნებრივია, დიდ ყურადღებას ვაქცევთ მორფოლოგიას, მაგრამ ძირეული ენის (მაგ., ჩინურის) გრამატიკა არ საჭიროებს მორფოლოგიას: ყურადღების ცენტრში აქ სინტაქსი ექცევა. ამგვარად, იმის გარკვევას, თუ რა მორფოლოგიურ ტიპს ეკუთვნის მოცემული ენა, მნიშვნელობა აქვს ამ ენის **აღწერითი მეცნიერული** გრამატიკის შედგენისათვის. ეს — ერთი.

დავუშვათ, რომ ჩვენ ვსწავლობთ აგლუტინაციური ტიპის ენას და მასში გვხვდება მოვლენები, რომლებიც არ არის დამახასიათებელი ამ ტიპისათვის. აგლუტინაციურ ტიპში ცალკეული გრამატიკული მნიშვნელობა გადმოიცემა ცალკე აფიქსით, და თითოეულ აფიქსს აქვს გარკვეული ფუნქცია. მაგრამ გვხვდება ამ პრინციპის დარღვევის შემთხვევები: ცალკეულ აფიქსს **ორი** ფუნქცია აქვს, და მეორე მხრივ, ორ აფიქსს ერთი გრამატიკული დანიშნულება აქვს (და არა — ორი, როგორც მოსალოდნელი იყო).

მაგალითად: აგლუტინაციურ ქართულ ენაში სუფიქსი **-ენ** (აშენებ-**ენ**) მესამე პირსაც აღნიშნავს და მრავლობით რიცხვსაც (ერთი სუფიქსი — ორი ფუნქცია). ამის საპირისპიროდ ორი სუფიქსი ერთ ფუნქციას ასრულებს: **მო**-ნადირ-**ე**, **ხა**-ბურე-**ელ**- (ვნებ. გვარის მყოფ. დრ.

მიმღეობა)... მო- — -ე-, სა- — -ელ- — ორი სუფიქსი ერთი ფუნქციის მქონეა.

აგლუტინაციური ტიპის ენაში ასეთი მოვლენები არ უნდა გვქონდეს: აგლუტინაციის პრინციპი გვაფიქრებინებს, რომ აქ **შეორეულ** მოვლენასთან გვაქვს საქმე, და, მართლაც, ისტორია ადასტურებს დედუქციური გზით მიღებულ ამ დასკვნას. **-ენ** სუფიქსი პირველად მხოლოდ მრავლობით რიცხვს აღნიშნავდა, პირის მაჩვენებლად იგი იქცა იმდენად, რამდენადაც სხვა მაჩვენებელი მესამე პირში არ არსებობდა, მეორე და პირველ პირებს კი ჰქონდათ პირის მაჩვენებლები (ფლექსიები).

ამგვარადვე: **მო-** — **-ე**, **სა-** — **-ელ** პრეფიქს-სუფიქსებს თავდაპირველად დამოუკიდებელი ფუნქციები ჰქონდათ: **-ელ** სუფიქსი ფუძის დეტერმინანტის როლში გვევლინებოდა, **მო-**, **სა-** პრეფიქსები კი გრამატიკული კლასების კატეგორიას გამოხატავდნენ (**მო-** — ადამიანის კატეგორიას, **სა-** — ნივთის კატეგორიას). შემდეგში გრამატიკული კლასების კატეგორიები მოიშალა, აფიქსები კი შემოგვრჩა, ოღონდ ერთგვარად იცვალა ფუნქცია, რომელსაც ისინი სხვა აფიქსებთან ერთად ასრულებენ (შეტწილად კი ანალოგიური აფიქსები ან მოიშალა, ანდა ფუძეებს შეერწყა).

ამგვარად, იმის გარკვევას, თუ რა მორფოლოგიურ ტიპს განეკუთვნება შესასწავლი ენა, შეუძლია მნიშვნელოვანი მითითებები მოგვცეს ამ ენის **ისტორიის საკითხების** სწორად დასმისათვის, მნიშვნელობა აქვს ენის ისტორიისათვის.

მაშასადამე, მორფოლოგიური კლასიფიკაცია, მიუხედავად მის ნაკლოვანებათა, არ არის მოკლებული გარკვეულ მნიშვნელობას, როგორც **აღწერითი გრამატიკის** დამუშავებისათვის, ისე სათანადო ენის **ისტორიული გრამატიკის** შესწავლის თვალსაზრისით.

§ 119. ენის მორფოლოგიური ტიპის ცვალებადობის საკითხის შესახებ. ცვალებადია თუ არა ენის მორფოლოგიური ტიპი? პასუხი დადებითი უნდა იყოს. მორფოლოგიური ტიპის ცვალებადობა გამომდინარეობს იმ ზოგადი დებულებიდან, რომ ენა ისტორიული კატეგორიაა, რომ ენობრივი სისტემის ყველა რგოლი განიცდის ცვალებადობას, რომ იცვლება, კერძოდ, გრამატიკული წყობა, იცვლება ძალიან ნელა, მაგრამ მაინც იცვლება. მორფოლოგიური ტიპის ცვალებადობა შინაგანი აუცილებლობით გამომდინარეობს იმ დებულებიდან, რომ აფიქსები (ფორმანტები) თავდაპირველად არ არსებობდა, ისინი წარმოიშვნენ სიტყვებისაგან, დამოუკიდებელი ფუძეებისაგან.

მორფოლოგიური ტიპების ცვალებადობა ფაქტობრივ დასტურდება ცალკეულ ენათა ისტორიითაც. ასე, მაგალითად, დოკუმენტობრივ დადგენილია, რომ ჩინური სიტყვები ძველად იყო ფორმაცვალებადი, ჩინურ სიტყვებს დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები ჰქონდა. ასეთი აფიქსები ჩინურს დაეკარგა განვითარების შედეგად. ინგლისური ენა ჯერ კიდევ არ ქცეულა ძირეულ ენად, მაგრამ ძლიერ დაუახლოვდა ამ ტიპს უკანასკნელი ათი საუკუნის განმავლობაში.

მეორე მხრივ, იულიუს კეისრის დროინდელ იტალიაში ორი ათასი წლის წინათ **ფლექსიურ ლათინურ** ენაზე ლაპარაკობდნენ და ამჟამადაც **ფლექსიური იტალიური** ენა იხმარება. ლათინური ენის საფუძველზე შეიქმნა ახალი, იტალიური, ენა, მაგრამ მორფოლოგიური ტიპი იგივე დარჩა.

მორფოლოგიური ტიპი იცვლება, მაგრამ იცვლება განსაკუთრებით ნელა, თვით გრამატიკულ წყობაზე უფრო ნელაც კი.

§ 120. ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია. გენეალოგიურ კლასიფიკაციაში ენები ჯგუფდება ს ა ე რ თ ო წ ა რ მ ო შ ო ბ ი ს მიხედვით, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **მატერიალური ნათესაობის** მიხედვით.

საერთო წარმოშობის მქონე ენები **მონათესავე ენათა ოჯახს** ქმნიან: გენეალოგიური კლასიფიკაცია წარმოადგენს მონათესავე ენათა დაჯგუფებას ოჯახების მიხედვით. ასეთი **ენათა ოჯახებია,** მაგალითად: ინდოევროპული, სემიტური, იბერიულ-კავკასიური, უნგრულ-ფინური, თურქული... (დაწვრილებით მათ შესახებ იხ. ქვემოთ).

ენათა ოჯახი წარმოადგენს მონათესავე ენათა **ყველაზე მსხვილ** დაჯგუფებას. მაგრამ ერთი ოჯახის ფარგლებში, თუ იგი მრავალრიცხოვანია, შესაძლებელია გამოიყოს **შედარებით მცირე ჯგუფები,** რომლებიც ერთმანეთს უფრო მჭიდროდ უკავშირდებიან, ვიდრე იმავე ოჯახის სხვა ენებს. ერთმანეთთან უფრო ახლოს მყოფი ენების ასეთ ჯგუფებს — ერთი და იმავე ოჯახის შიგნით — ჩვეულებრივ აღნიშნავენ ტერმინით: „ენათა შტო“ (ამა თუ იმ ოჯახისა). ასე, მაგალითად: ინდოევროპული ენების შიგნით გამოიყოფა **შტოები:** ინდური, ირანული, სლავური, გერმანული, რომანული, კელტური ენებისა...

თავის მხრივ შტოც შეიძლება იყოფოდეს უფრო მცირე ჯგუფებად; მაგალითად, ინდოევროპული ენების სლავურ შტოში გამოიყოფა: აღმოსავლურ სლავური, დასავლურ სლავური, სამხრულ სლავური ენები, მაგრამ ასეთი ერთეულებისათვის გენეალოგიურ კლასიფიკაციას სპე-

ციალური ტერმინი არა აქვს: „ე ნ ა თ ა ო ჯ ა ხ ი“, ოჯახის შიგნით „ე ნ ა თ ა შ ტ ო“ — ასეთია ძირითადი ტერმინები, რომლებიც იხმარება გენეალოგიურ კლასიფიკაციაში მონათესავე ენათა დასახასიათებლად.

ტერმინი „ენათა ოჯახი“ (ისევე, როგორც ენათა „შეჯვარედინება“) ენათმეცნიერებაში შემოტანილია ბიოლოგიიდან. მის ხმარებას გარკვეული უხერხულობა ახლავს: ენათა ურთიერთობა ი ს ტ ო რ ი უ ლ ი ხასიათისაა და ა რ ა ბ ი ო ლ ო გ ი უ რ ი ხასიათისა. ტერმინი „ენათა ოჯახი“ ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია საბაბი გახდეს ფიგურალური გამოთქმებისათვის: „ძმურად მონათესავე ენები“, „ბიძაშვილი ენები“[5], რაც, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. ბიოლოგიური ურთიერთობის ანალოგიით ზოგჯერ ისიც კი მიაჩნიათ შესაძლებლად, რომ დაუშვან მონათესავე ენათა არსებობა მათი წარმომშობი ენების გვერდით; ასეთი ერთდროული არსებობა სავსებით ბუნებრივია ბიოლოგიურ სამყაროში, ცოცხალ ორგანიზმთა (მშობლების და შვილების) ურთიერთობაში, მაგრამ ეს სრულიად შეუძლებელია ენათა შორის ურთიერთობაში (ამის შესახებ იხ. § 16).

უფრო ზუსტი იქნებოდა გველაპარაკა **ერთი ძირის** ენების შესახებ („ინდოევროპული ძირის ენები“, „სემიტური ძირის ენები“ და ა.შ.), რამდენადაც მონათესავე ენები გაერთიანებულია საერთო ამოსავალი მასალით, ხოლო ამ მასალას წარმოადგენს **ძირები** და **აფიქსები,** რომლებიც თავის მხრივ ძირებიდან მომდინარეობენ. მაგრამ ამ ტერმინთან („ერთი ძ ი რ ი ს ენები“) დაკავშირებულია სტილისტური სიძნელენი (ტერმინისაგან „ერთი ძირის ენები“ ვერ იწარმოება ყველა საჭირო გამოთქმა).

ტერმინის „ენათა ოჯახი“ სასარგებლოდ ლაპარაკობს ხანგრძლივი ტრადიცია. ამდენად ტერმინი „ენათა ოჯახი“ ხმარებაში რჩება, ხოლო „ენათა შეჯვარედინება“, რომლის ბიოლოგიური წარმოშობა, რატომღაც არ იქცევდა იმ სპეციალისტთა ყურადღებას, რომლებიც ილაშქრებდნენ ტერმინ „ენათა ოჯახის“, როგორც ბიოლოგიურის, წინააღმდეგ, ამჟამად

---

[5] შდრ. მაგ., ნ. მართან: „...მაშინ როდესაც სემიტური ენები ძმებივით ენათესავება ერთმანეთს, იაფეტური შტოს არსებული წარმომადგენლები, მათ შორის ქართული, სემიტურ ენებთან ბიძაშვილების, ორი მკვიდრი ძმის, ე. ი. პრასემიტურის და პრაიაფეტურის, შვილების დამოკიდებულებაში იმყოფებიან“ (Н. Марр — Основные таблицы к Грамматике древнегрузинского языка с предварительным сообщением о родстве грузинского языка с семитическими, — წინასიტყვაობა, — რჩ. შრ., ტ. I, გვ. 26).

მოძველებულია[6].

ენათა ნათესაობა ახასიათებს **ენებიხ** და, როგორც წესი, ამ ენებზე მოლაპარაკე **ხალხებიხ,** როგორც ეთნიკური ერთეულების, ისტორიულ ურთიერთობას. მაგრამ ენათა ნათესაობას არაფერი საერთო არა აქვს ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხების **ანთროპოლოგიურ** დახასიათებასთან: რასა, როგორც ანთროპოლოგიის ცნება, და ენა ერთმანეთს არ უკავშირდებიან. კავკასიური რასის[7] ხალხები ლაპარაკობენ წარმოშობის მიხედვით სრულიად სხვადასხვაგვარ ენებზე: ინდოევროპულზე, სემიტურზე, იბერიულ-კავკასიურზე...

როგორ წარმოიშობა მონათესავე ენები? მონათესავე ენები მომდინარეობენ ერთი და იმავე ენის დიალექტებისაგან: მონათესავე ენები — ესაა დიალექტები, რომლებიც დამოუკიდებელ ენებად იქცა. სწორედ **ერთი ენის დიალექტების დამოუკიდებელ მონათესავე ენებად ქცევის პროცესი წარმოადგენს ენათა ოჯახის წარმოქმნის პროცესს.**

ენას, რომელიც ქმნის მონათესავე ენათა ისტორიული ერთიანობის მატერიალურ საფუძველს, — ენას, რომლის დიალექტებისაგანაც წარმოიშვა მონათესავე ენები, ეწოდება ფუძეენა. ასე, მაგალითად, საერთო ქართველური ენა წარმოადგენდა ფუძეენას ქართული, ზანური (მეგრულ-ჭანური), აგრეთვე სვანური ენისათვის. საერთო რუსული ენა ფუძეენა იყო რუსულისა, უკრაინულისა და ბელორუსულისათვის. ხალხური ლათინური გვევლინება ე. წ. რომანული ენების (იტალიურის, ფრანგულის, ესპანურის, რუმინულის...) ფუძეენად.

როგორც ცნობილია (§§ 10, 13), ადგილობრივ (ტერიტორიულ) დიალექტებს აქვთ თავიანთი ძირითადი ლექსიკური ფონდი და გრამატიკული წყობა: დიალექტები ერთიანდება ამ მომენტების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ მათ მთელი რიგი თავისებურებები ახასიათებს.

საერთო ძირითადი ლექსიკური ფონდი და საერთო გრამატიკული წყობა იცვლებიან თანდათანობით და გადაიქცევიან ახალი, დამოუკიდე-

---

[6] ტერმინოლოგიური შესიტყვება „ენათა შეჯვარედინება" (იტალიური ნეოლინგვისტიკა, ჰ. შუხარდტის თეორია, ნ. მარის „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება") ვარაუდობდა ენობრივ პროცესებს, როცა არამონათესავე ორი ან მეტი ენის ურთიერთქმედებით უნდა წარმოქმნილიყო ახალი, გენეტიკურად დამოუკიდებელი, ერთეულები. შემდგომში დადგინდა, რომ ამგვარი შემთხვევები რეალურად არ დასტურდება (რედ.).

[7] თუ ავიღებთ რასას, როგორც უფრო მცირე ანთროპოლოგიურ ერთეულს (ჩრდილოევროპული, სამხრეთევროპული რასა), აღმოჩნდება, რომ სხვადასხვა რასები ლაპარაკობენ ერთი, ინდოევროპული, ოჯახის ენებზე. ერთი სიტყვით, რასა და ენა არც აქ ემთხვევა ერთმანეთს.

ბელი, ენების საფუძვლად. ასე წარმოგვიდგება სქემატურად დიალექტებისაგან მონათესავე ენების წარმოშობის პროცესი და ამ პროცესის საბოლოო შედეგი. **მონათესავე დიალექტებიხ მონათესავე ენებად განვითარებიხ პროცესიხ გარკვევა ნიშნავს იმას, რომ გამოვავლინოთ მონათესავე ენათა ოჯახიხ წარმოქმნიხ ისტორია.**

რაში ვლინდება ენათა ნათესაობა? მონათესავე ენები მეტნაკლებად **ინარჩუნებენ მსგავსებას,** როგორც **ძირითად ლექსიკურ ფონდში,** ისე **გრამატიკულ ინვენტარში** (პრეფიქსები, სუფიქსები), აგრეთვე, როგორც წესი, ბგერით შემადგენლობაშიც. ეს მსგავსება რომ არ გვქონდეს, მონათესავე ენებს ვერ განვასხვავებდით არამონათესავე ენებისაგან, იმ ენებისაგან, რომლებსაც არა აქვთ საერთო წარმოშობა.

როდესაც მსგავსების შესახებ ვლაპარაკობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ენებს შორის მსგავსება შეიძლება იყოს **მატერიალური,** მაგრამ შემთხვევითი (ნასესხები სიტყვები!), ანდა შეიძლება **შემთხვევითი არ იყოს,** მაგრამ იყოს **ტიპოლოგიური,** და არა მატერიალური (პრინციპულად ერთგვარი აგებულება სიტყვისა: მაგ., პრეფიქსაცია იქ, სადაც სხვა ენებში სუფიქსაცია გვაქვს). მონათესავე ენების მსგავსება კი, რაიც ძირითად ლექსიკურ ფონდსა და გრამატიკულ ინვენტარში ვლინდება, წარმოადგენს კანონზომიერ მსგავსებას: **ერთი და იგივე ენობრივი ფაქტები** (ფუძეები, აფიქსები) **წარმოდგენილია დიფერენცირებული სახით.**

როგორ ადგენენ ენათა ნათესაობას? შ ე დ ა რ ე ბ ი ს გზით. მონათესავე ენათა **შედარება** წარმოადგენს **დამხმარე საშუალებას ისტორიისა,** რომელმაც უნდა აღადგინოს **განვითარების გზები,** რომლებიც გავლილი აქვთ მონათესავე ენებს, ვიდრე ისინი დიალექტებიდან მონათესავე დამოუკიდებელ ენებად იქცეოდნენ.

შედარება უნდა წარმოებდეს შესადარებელი ფაქტების ისტორიის გათვალისწინებით (ე. ი. უნდა მოვახდინოთ „ისტორიული გაერთმნიშვნელოვნება“ შესადარებელი მასალისა).

აქ ვერ შევეხებით დაწვრილებით ისტორიულ-შედარებითი ანალიზის ტექნიკას. ელემენტარულ მაგალითებზე გავარკვიოთ ზოგი პირობა, რომელთა დაცვა აუცილებელია შედარების დროს.

1. შედარებისათვის არ გამოდგება მასალობრივად **სრულიად განსხვავებული** ფაქტები მონათესავე ენებისა.

მაგალითად: ქართული „თეთრი“ არ შეიძლება შევადაროთ იმავე მნიშვნელობის მეგრულ-ჭანურ სიტყვას „ჩე“||„ქჩე“: ეს სხვადასხვა ფუძეებია. ასევე, არ შეიძლება შევადაროთ ქართ. „ფეხი“ და მეგრ.

„კუჩხი“||ჭან. „კუჩხე“, ქართ. „მიწა“ და მეგრ. „დიხა“, ქართ. „ხე“ და მეგრ.-ჭან. „ჯა“... ქართ. ქათამ-**მა** და მეგრ.-ჭან. ქოთომ-**ჭ**, ქართ. ზი-**ხ** და მეგრ.-ჭან. ხე-**ნ**.

მოთხრობითის სუფიქსები **-მა** და **-ჭ** სხვადასხვაგვარი წარმოშობისაა, ასევე — მე-3 სუბიექტის ნიშანი **-ხ** და **-ნ**: ისინი მორფოლოგიურად შეესატყვისებიან ერთმანეთს, ფონეტიკურად კი — არა.

ქართულსა და მეგრულ-ჭანურში ყველა სიტყვა (ფუძე) და აფიქსი ამდენადვე განსხვავებული რომ იყოს ერთმანეთისაგან, მაშინ შესადარებელი აღარაფერი გვექნებოდა, — ეს ენები იქნებოდა არა მონათესავე, არამდე სრულიად უცხო ერთმანეთისათვის.

2. შედარებისათვის არ გამოდგება **ხავსებით ერთნაირი** მასალა მონათესავე ენებში.

მაგალითად: ისეთი სიტყვები, როგორიცაა „კისერი“, „ჯარი“, „ცხენი“, „ბერი“[8], „ბატი“... „ტრაქტორი“, „კონსერვი“ და ბევრი სხვა, რომლებიც ერთგვარად წარმოითქმიან ქართულში და მეგრულში და რომლებსაც მნიშვნელობაც ერთნაირი აქვთ, არაფერს მოგვცემს შედარებისათვის.

ესაა ან თავიდანვე საერთო სიტყვები ქართულისა და მეგრულისათვის („კისერი“, „ჯარი“, „ცხენი“), ანდა შეთვისებულია სხვა ენებიდან („ბარი“, „ბატი“, „ტრაქტორი“)...

ყველა სიტყვა (ფუძე) და ყველა აფიქსი ისე ერთნაირი რომ იყოს ქართულსა და მეგრულ-ჭანურში, როგორც ეს ზემომოყვანილ მაგალითებში შეინიშნება, მაშინ შესადარებელი აღარაფერი გვექნებოდა, — ე რ თ ი ე ნ ა გვექნებოდა და არა ორი მონათესავე ენა (ქართული და მეგრულ-ჭანური).

3. შედარებისათვის გამოყენებული უნდა იყოს შესადარებელი ენებისათვის **საერთო** მასალა, რომელმაც **დიფერენციაცია** განიცადა. ასეთია, მაგალითად:

ქართ.	მე	ზანური (შეგრ.-ჭან.)	მა
	ძმა	ჯუმა || ჯიმა	
	კაცი	კოჩი	
	ასი	ოში	
	ხარი	ხოჯი	
	ცერი	ჩანჯი	

[8] ბერი ქართულში სპარსულიდან მომდინარეობს; სპ. „ფირ“ — მოხუცი.

თაფლი	თოფური
ძელი	ჯა „ხე“
ღამე	ჰან. ღომან „საღამოს“, მეგრ. ღუმა „წუხელ“

რა მიზანი აქვს შედარებას? ზემოთ აღნიშნული იყო, რომ შედარება უნდა დაეხმაროს ისტორიას მონათესავე ენათა განვითარების გზების დადგენაში, — სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მან უნდა გაარკვიოს, რა ადგილი უჭირავს მონათესავე ენების ლექსიკურ და გრამატიკულ ფაქტებს ამ ენათა განვითარების ისტორიაში და ამით გასაგები გახადოს ისინი. **რაც უფრო ღრმად გიჭრებით ენათა განვითარების ისტორიაში, მით უფრო მეტი ხიახლოგე აღმოჩნდება შესადარებელ ენებს შორის, თუ ეს ენები მონათესავეა;** და პირიქით: განსხვავება მით უფრო გაიზრდება, რაც უფრო ღრმად გამოვავლენთ ისტორიას, **როდესაც ენები არ არიან მონათესავე,** და მათ შორის არსებული მსგავსება გამოწვეულია ამ ენათა დაახლოებით, — და, მაშასადამე, მსგავსება უნდა იქნეს განხილული როგორც მეორეული მოვლენა.

მეცხრამეტე საუკუნეში იყო ცდები შედარების გზით აღედგინათ ფუძეენის ფაქტები მთელი კონკრეტულობით.

დამახასიათებელია ცდა ავგ. შლაიხერისა, რომელმაც 1868 წ. გამოაქვეყნა რვასტრიქონიანი მოთხრობა სათაურით „ცხვარი და ცხენები“[9]. მოთხრობა შედგენილია ინდოევროპულ ფუძეენაზე ისეთი სიტყვებისაგან, რომლებიც აღდგენილია ინდოევროპული ენების შედარებითი გრამატიკის ნორმების მიხედვით.

პრინციპში ასეთი ცდა კანონზომიერია. ცნობილია შემთხვევა, როდესაც რომანული ენების შედარების გზით აღდგენილ იქნა სიტყვა pira „მსხალი“ და იგი შემდეგ ფაქტობრივ დადასტურდა ხალხურ ლათინურ ენაზე[10] შესრულებულ წარწერაში. ხოლო ხალხური ლათინური

---

[9] შლაიხერის მიერ შეთხზული ამ მარტივი მოთხრობის შინაარსი ასეთია: «გაკრეჭილმა ცხვარმა დაინახა ცხენები, რომლებსაც მძიმედ დატვირთული ურემი მიჰქონდათ, და უთხრა: „გული მეკუმშება, როდესაც ვხედავ ადამიანებს, რომლებიც ცხენებს ერეკებიანო“. ცხენებმა უპასუხეს: „გული გვეკუმშება, როდესაც ვხედავთ, რომ ადამიანებმა თბილი ტანისამოსი გაიკეთეს ცხვრების მატყლისაგან, ცხვრები კი გაკრეჭილი დადიან. ცხვრები უფრო ცუდ დღეში არიან, ვიდრე — ცხენები“. ეს რომ გაიგონა, ცხვარი მინდორში წავიდა».

[10] სამწერლო ლათინურ ენაში „მსხალი“ იქნება pirum, და არა — pira.

წარმოადგენს ფუძეენას რომანული (იტალიური, ფრანგული, ესპანური...) ენებისათვის.

ეს შემთხვევა სანიმუშოა იმ შედეგების სიზუსტის საჩვენებლად, რომლებსაც შეიძლება მივაღწიოთ ისტორიულ-შედარებითი მეთოდის საშუალებით. მაგრამ ხალხური ლათინური არსებობდა ისტორიულ ეპოქაში, 1500-2000 წლის წინ, ის ფუძეენა კი, რომლისგანაც მომდინარეობენ, მაგალითად, ინდოევროპული ენები, უკვე აღარ არსებობდა ხუთი ათასი წლის წინ მაინც. არ არის ცნობილი, რამდენი ინდოევროპული ენა იყო თავდაპირველად; საფიქრებელია, რომ არაერთი ინდოევროპული ენა გამქრალია; მაშასადამე, ინდოევროპული ენების შედარების დროს ჩვენ გვაკლია მრავალი ენის ჩვენება; ამიტომ დასკვნები, რომლებიც კეთდება ფუძეენის ფაქტების აღდგენისას, არ შეიძლება პირობითი არ იყოს. აღდგენილ ფაქტებს რეალურ არსებობას ვერ მივაწერთ, აღნიშნული გარემოების გამო, ყოველ შემთხვევაში მაშინ, როდესაც ეს ფაქტები წინაისტორიას განეკუთვნება[11].

შედარების საშუალებით აღდგენილ ენობრივ ფაქტებს ვარსკვლავით* აღნიშნავენ. უნდა ითქვას, რომ ისტორიულ-შედარებითი მეთოდით სარგებლობისას მკვლევრები ხშირად ბოროტად იყენებენ ვარსკვლავს, **რეალურ ამოსავალ** ფაქტად მიიჩნევენ ბგერას ან სიტყვას, რომლებიც სინამდვილეში წარმოადგენენ მხოლოდ თეორიულ **დანასკვს,** რომლის შემეცნებითი ღირებულებაც განისაზღვრება შესადარებლად გამოყენებული მასალის **რაოდენობითა** (სისრულით) და ანალიზის **ხარისხით,** ე. ი. იმით, თუ რამდენად მკაცრად არის გამოყენებული შედარების წესები.

შედარების მიზანს არ წარმოადგენს ფუძეენისა და მისი ფაქტების აღდგენა. ფუძეენის ცნებას რეგულაციური პრინციპის მნიშვნელობა აქვს. იგი აგვიხსნის, როგორ ვლინდება საერთო მოვლენები ძირითად

---

[11] ჯერ კიდევ ორმოცდაათი წლის წინათ ინდოევროპულ ენებს ყოფდნენ ორ ჯგუფად: „ცენტუმ" ჯგუფად და „სატემ" ჯგუფად იმისდა მიხედვით, თუ როგორ აღნიშნებოდა ენაში „ასი": ლათინ. centum „ასი" (შდრ. პრო-ცენტ-ი) იწყებოდა კ ბგერით: centum ძველად წარმოითქმოდა, როგორც „კენტუმ". ძველი ინდური satam „ასი" იწყებოდა ს ბგერით. ლათინური, ბერძნული — kentum ჯგუფში შედიან, ინდური, ირანული — satam ჯგუფში. ამავე ჯგუფს განეკუთვნება სლავური ენაც („сто").

კენტუმ ენები დასავლურ ჯგუფს ქმნიდნენ, **სატემ** ენები — აღმოსავლურს. მაგრამ აი XX ს. დასაწყისში ჩინეთის თურქესტანში აღმოჩენილ იქნა ტოქარული ენის ტექსტები. ტოქარული ენა აღმოჩნდა კენტუმ ჯგუფის ენა, თუმცა ტერიტორიულად იგი აღმოსავლურ ჯგუფს განეკუთვნება. ტოქარული ენის აღმოჩენით დაირღვა დაყოფა **აღმოსავლურ,** — სატემ-ჯგუფად — და **დასავლურ,** — კენტუმ-ჯგუფად. მანამდე კი ეს დაყოფა სავსებით შეესაბამებოდა იმ დროის ცნობილ ფაქტებს.

ლექსიკურ ფონდსა და გრამატიკულ წყობაში (ისეთ დაშორებულ ენებში, როგორიცაა, ვთქვათ, ლათინური, რუსული და ინდური). **შედარების მიზანია დაადგინოს მონათესავე ენათა განვითარების შესწავლილი ისტორია ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხების ისტორიასთან დაკავშირებით.**

ისტორიულ-შედარებით მეთოდზე უფრო საიმედო მეთოდი ჯერჯერობით ენათმეცნიერებას არ მოეპოვება. ყველა სხვა საშუალებას, რომლებსაც გვთავაზობენ ენათა ისტორიის შესასწავლად, მეტი ნაკლოვანებანი მოეპოვება, ვიდრე ისტორიულ-შედარებით მეთოდს (იხ. ქვემოთ ელემენტოვანი ანალიზის მეთოდის შესახებ).

ისტორიულ-შედარებითი მეთოდი წარმოადგენს ენათა ნათესაობის დადგენის საშუალებას, წარმოშობის მიხედვით მონათესავე ენების შესწავლის მეთოდს. მისი ძირითადი ნაკლი ის არის, რომ **იგი ყოველთვის საჭირო სიზუსტით ვერ გვიჩვენებს ისტორიას.** ისტორიულ-შედარებითი მეთოდი საჭიროებს დაზუსტებას, გაუმჯობესებას იმ მხრივ, რომ იგი იქცეს ენათა განვითარების ისტორიის შემსწავლელ საიმედო, მძლავრ, საშუალებად.

§ 121. ენათა ოჯახები. იმისათვის, რომ დავადგინოთ **მორფოლოგიური** ტიპი, რომელსაც ესა თუ ის ენა ეკუთვნის, საკმარისია გავაანალიზოთ ამ ენის **სიტყვათა აგებულება** იმ სახით, რაც მათ ამჟამად აქვთ. ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია არ საჭიროებს ისტორიას. ხოლო იმისათვის, რომ დავადგინოთ, რა ენებს ენათესავება ესა თუ ის ენა, სრულიადაც არ არის საკმარისი ვიცნობდეთ მის თანამედროვე მდგომარეობას, აუცილებელია ვიცოდეთ მისი **ისტორია,** მისი **წარმოშობა.** გენეალოგიური კლასიფიკაცია შეუძლებელია მივიღოთ, თუ ენების ისტორიული ურთიერთობა არა გვაქვს გარკვეული.

მაშასადამე, შეუძლებელია ყველა ენის გენეალოგიური კლასიფიკაცია წარმოვადგინოთ მანამ, სანამ გარკვეული არ არის მათი ისტორია. მრავალი ენის წარმოშობითი მიმართება სხვა ენებთან ჯერ კიდევ შეუსწავლელია (ანდა არასაკმაოდ არის შესწავლილი). ამიტომ ამჟამად შეუძლებელია გაკეთდეს ისეთი გენეალოგიური კლასიფიკაცია, რომელიც მსოფლიოს ყველა ენას მიუჩენდა გარკვეულ ადგილს სათანადო ენობრივ ოჯახში.

აქ ჩვენ განვიხილავთ იმ ენათა ოჯახებს, რომელთა ისტორიაც უკეთ არის შესწავლილი (აგრეთვე იმ ოჯახებსაც, რომელთა შემადგენლობის საკითხიც მათი შესწავლის თანამედროვე ვითარებაშიც ნაკლებ

საკამათოა).

ასეთებია:

1. **ინდოევროპულ** ენათა ოჯახი (ანუ: ინდოევროპული ძირის ენები),
2. **სემიტურ** და **ჰამიტურ** ენათა ოჯახი (ანუ: სემიტური და ჰამიტური ძირის ენები),
3. **უნგრულ-ფინურ** ენათა ოჯახი (ანუ უნგრულ-ფინური ძირის ენები),
4. **თურქულ-მონღოლურ** ენათა ოჯახი (ანუ ალათაური ძირის ენები),
5. **იბერიულ-კავკასიურ** ენათა ოჯახი (ანუ იბერიულ-კავკასიური ძირის ენები),
6. **ჩინურ-ტიბეტურ** ენათა ოჯახი (ანუ ჩინურ-ტიბეტური ძირის ენები),
7. **დრავიდულ** ენათა ოჯახი (ანუ დრავიდული ძირის ენები),
8. **ინდონეზიურ** ენათა ოჯახი (ანუ ინდონეზიური ძირის ენები).

ქვემოთ მოცემულია მოკლე ცნობები ზემოთ ჩამოთვლილი ენების შესახებ: რა ჯგუფებისა და ენებისაგან შედგება ეს ოჯახები, რომელი მათგანია წერილობითი და რა დროიდან, როგორია ამა თუ იმ ოჯახის დამახასიათებელი ყველაზე ზოგადი თავისებურებანი და ა. შ.

§ 122. **ინდოევროპულ ენათა ოჯახი.** ინდოევროპულ ენათა ოჯახის შემადგენლობაში შედის:

1. ინდური ენები (ანუ ინდოევროპულ ენათა ოჯახის ინდური შტო),
2. ირანული ენები (ანუ „ „ „ „ ირანული შტო),
3. სლავური ენები (ანუ „ „ „ „ სლავური შტო),
4. ბალტიური ენები (ანუ „ „ „ „ ბალტიური შტო),
5. გერმანული ენები (ანუ „ „ „ „ გერმანული შტო),
6. იტალიური ენები (ანუ „ „ „ „ იტალიური შტო),
7. კელტური ენები (ანუ „ „ „ „ კელტური შტო),

8. ბერძნული ენა,
9. ალბანური ენა,
10. სომხური ენა,
11. ნესიტური (ანუ კანესური) და ლუვიური (მკვდარი ენები),
12. ტოქარული ენა.

I. ინდური ენები

ინდურ ენებად იწოდება ინდოეთის ინდოევროპული ენები (ინდოეთში არაინდოევროპული ენებიც გვაქვს; მათ შესახებ იხ. დრავიდული ენები).

ინდური ენებია 1. ძველი ინდური — **ვედების** ენა და **სანსკრიტი;**
2. საშუალო ინდური: **პრაკრიტი, პალი;**
3. ახალი ინდური ენები, როგორიცაა, სალიტერატურო ენები: **ჰინდი, ურდუ, ბენგალიური...**

ინდური მეტყველების უძველეს ძეგლს **ვედები** წარმოადგენს. ვედები ეწოდება სასულიერო შინაარსის საგალობლებს („ვედა" ძველი ინდური სიტყვაა და „ცოდნას" ნიშნავს. შდრ. რუს. **ведать**, ძვ. ბერძ. ϝοῖδα „ვიცი").

ვედებში განასხვავებენ: **რიგ-ვედა-ს** (ანუ ჰიმნების ვედას), **ათარვა-ვედა-ს** (ანუ მოგვთა ვედას), **სამა-ვედა-ს, იაჯურ-ვედა-ს** (ეს არის მსხვერპლის შეწირვასთან დაკავშირებული ვედა).

ვედებს მოსდევს **ბრაჰმანები** (ე. ი. ვედების კომენტარები) და **სუტრა.** ზუსტად დადგენილი არ არის, თუ რა სიძველისა არის ვედები[12].

ყველაზე ძველია რიგვედა; იგი როგორც ვარაუდობენ, ჩაწერილია თხუთმეტი საუკუნის წინ ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

სანსკრიტიც ძველი ინდური ენაა, კლასიკური სალიტერატურო ინდური ენა: samskṛta ნიშნავს „ხელოვნურს", „დამუშავებულს", „სრულყოფილს".

სანსკრიტზე დაწერილია ეპიკური ნაწარმოებები: „მაჰაბჰარატა" („დიდი ბჰარატა"), „რამაიანა", „პანჩატანტრა" („ხუთწიგნეული" — იგავ-არაკთა კრებული), „ჰიტოპადეშა" („კეთილი დარიგება"), მანუს კანონთა კრებული.

[12] ინდოეთის ისტორიის უძველესი პერიოდის ქრონოლოგია მოისუსტებს. თარიღი აქ ჩვეულებრივად მერყეობს ორი-სამი საუკუნის ფარგლებში.

სანსკრიტი სამწერლო ენად იხმარებოდა მეექვსე საუკუნიდან ჩვენ წელთაღრიცხვამდე. მიუხედავად იმისა, რომ სანსკრიტი დიდი ხანია, რაც მკვდარი ენაა, მას დღემდე ხმარობენ სწავლულები (ისევე, როგორც ლათინურს ხმარობდნენ სამწერლო ენად შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპის ქვეყნები).

ტერმინი „სანსკრიტი“ შეიძლება იხმარონ საერთოდ ძველი ინდურის მნიშვნელობით. ასეთ შემთხვევაში განასხვავებენ „ვ ე დ ე ბ ი ს ს ა ნ ს კ რ ი ტ ს ა“ და „კ ლ ა ს ი კ უ რ ს ა ნ ს კ რ ი ტ ს“ (ე. ი. საკუთრივ სანსკრიტს).

სანსკრიტს უპირისპირდება **პრაკრიტი** („ბუნებრივი), ე. ი. **ხალხური მეტყველება, ცოცხალი დიალექტები.** სადაურობის მიხედვით პრაკრიტში განასხვავებენ სხვადასხვა სახეობას, როგორიც არის: შ ა უ რ ა ს ე ნ ი, მ ა გ ა დ ჰ ი, მ ა ჰ ა რ შ ტ რ ი.

პრაკრიტზე შესრულებული უძველესი წარწერები ეკუთვნის მეფე აშოკას და თარიღდება **ჩვ.** საუკუნით ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

პრაკრიტი — საშუალო ინდურია. საშუალო ინდურს მიეკუთვნება აგრეთვე **პალი,** რომელზედაც მოცემულია **ბუდიზმის** საღვთისმეტყველო ლიტერატურა (ბრამანიზმის ენას კი ვედა-სანსკრიტი წარმოადგენს).

საშუალო ინდური დიალექტებიდან მომდინარეობენ **თანამედროვე ინდური** ენები. ისინი სამ ჯგუფს შეადგენენ: **დასავლურს, ცენტრალურსა** და **აღმოსავლურს** (ინდურ ენებზე ამჟამად ლაპარაკობს დაახლოებით 770 მილიონი ადამიანი)[13].

დასავლურ ჯგუფში შედის ენები: **ლაჰნდა** ანუ დასავლურ პენჯაბური (მოლაპარაკეთა რიცხვი 10 მლნ. ადამ.), **სინდჰი** (დაახლოებით 12 მლნ.), **გუჯარათი** (40 მლნ.), **მარატჰი** (58 მლნ.). მარატჰი ენაზე წარწერები მოიპოვება ჩვენი წელთაღრიცხვის XII საუკუნიდან; გუჯარათ ენაზე მწერლობა არსებობს XV საუკუნიდან.

ცენტრალური ჯგუფის ენებია: ს ა კ უ თ რ ი ვ **პენჯაბური** (70 მლნ.), **ფახარული,** დ ა ს ა ვ ლ უ რ **ჰინდური,** ა ღ მ ო ს ა ვ ლ უ რ **ჰინდური** (სულ 200 მლნ.) და **ბიჰარი**-ენა (51 მლნ.).

დასავლურ ჰინდურის მთავარი დიალექტია **ჰინდუსტანური.** მის საფუძველზე შექმნილია ორი ლიტერატურო ენა: **ურდუ** — არაბული ანბანით (პაკისტანის მუსულმან ინდოელთათვის) და **ჰინდი** (ერთგვა-

[13] აქ და ყველგან სტატისტიკური მაჩვენებლები ემყარება „ლინგვისტიკური ენციკლოპედიური ლექსიკონის“ (მოსკოვი, 1990) მონაცემებს (რედ.).

რად დაპირისპირებული ურდუ ენას).

აღმოსავლურ ჯგუფს შეადგენენ ენები: **ბენგალიური** (170 მლნ.), **ორდია** (120 მლნ.) და **ასამური** (12,7 მლნ.). ეს ენები მეტად ახლოს არიან ერთმანეთთან. სამივე ენა სალიტერატუროა; მათ შორის ბენგალიური ყველაზე მდიდარი და განვითარებულია. ბენგალიურ ენაზე წერდა სახელგანთქმული ინდოელი მწერალი რაბინდრანათ **თაგორი.**

ძველი ინდური ენის დამწერლობა — დევანაგარი — სილაბური პრინციპისაა. ფიქრობენ, რომ ეს დამწერლობა არამეულიდან მომდინარეობს.

ახალ ინდურ ენათა წრეს განეკუთვნება **ბოშების** ანუ **აწინგანთა** ენა, რომელსაც დიდი ცვლილება განუცდია ბოშათა მომთაბარეობისა და სხვადასხვა ენებთან კონტაქტის გამო[14].

II. **ირანული** ენებია:

1. **ძველი სპარსული** ენა,
2. **ავესტის** ენა,
3. **საშუალო სპარსული (ფალაური)** ენა,
4. **ახალი სპარსული** ენა,
5. **ტაჯიკური** ენა,
6. **ავღანური (პაშტუ)** ენა,
7. **ბელუჯური** ენა,
8. **ქურთული** ენა,
9. **ოსური** ენა,
10. **სოღდური** ენა.

ძველი სპარსული ენა ცნობილია ლურსმული წარწერებიდან, რომლებიც ეკუთვნის აქემენიდთა დინასტიის მეფეებს — დ ა რ ი ო ს ი ა (522-486 წწ.) და ქ ს ე რ ქ ს ს (486—466 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე). წარწერების ენა იმ დიალექტის ნიმუშია, რომელზედაც ხსენებული მეფეები და სამეფო კარი ლაპარაკობდა, — ესაა ფარსის დიალექტი.

ყველაზე ვრცელი წარწერა ამოჭრილია ბეჰისტუნის კლდეზე ქერმანშაჰის მახლობლად („ბეჰისტუნის წარწერა"); მასში მოთხრობილია მეფე დარიოსის გამარჯვებათა შესახებ.

აქამენიდური წარწერები ორ- და სამენოვანია: მაგალითად, ბეჰისტუნის წარწერა ამოჭრილია პარალელურად სამ ენაზე: ძ ვ ე ლ

[14] განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს შუა აზიაში (ტაჯიკეთის ჰისარის ხეობაში) არცთუ დიდი ხნის წინ აღმოჩენილი პარია (რედ.).

სპარსულზე (ესაა დამპყრობელთა ენა), ელამურსა და ბაბილონურზე.

ავესტის ენა რელიგიური ტექსტების ენაა, სახელდობრ, მაზდეანობის ტექსტებისა (მაზდეანობის შემქმნელად ზოროასტრი ითვლება).

ავესტაში განასხვავებენ ორგვარ ტექსტებს; ერთია — გათას („საგალობელნი"), თითქმის ისევე ძველი, როგორც რიგ-ვედა, მეორე — საკუთრივ ავესტა.

ავესტას ჩვენამდე მოუღწევია გვიანდელი რედაქციით, რომელიც სასანიდთა დინასტიის ეპოქას ეკუთვნის.

ავესტის ენა ახლოს დგას ძველ სპარსულთან.

საშუალო სპარსული იწოდება აგრეთვე **ფალაურად.** უძველესი ფალაური წარწერა სასანიდთა დინასტიის დამაარსებლის არდაშირის მეფობაშია ამოკვრილი (226—241 წწ.). ფალაური ითვლებოდა ეკლესიისა და სახელმწიფოს ენად სასანიდთა დინასტიის დროს (226—652 წწ.). ფალაურის დამწერლობა სემიტური წარმოშობისაა, — არამეულია.

ახალი სპარსულის დასაბამს IX საუკუნეში დებენ. **ცოცხალ ირანულ ენათა შორის ახალი სპარსული ყველაზე მნიშვნელოვანი სალიტერატურო ენაა.**

სპარსულად ლაპარაკობს დაახლოებით 23 მლნ. ადამიანი.

დამწერლობა სპარსულისა არაბულია. არაბული ლექსიკა უხვად აქვს შეთვისებული სპარსულს (ფირდოუსის დროს ლექსიკა ირანული იყო).

ახალ სპარსულს რიგი დიალექტი მოეპოვება (ქაშანისა, შირაზისა, სივენდისა, მაზანდერანისა...). აზერბაიჯანში წარმოდგენილი **თათური** (ბაქოსთან, აფშერონის ნახევარკუნძულზე, აგრეთვე დაღესტანში, ყაბარდო-ბალყარეთში, ჩაჩნეთში, ინგუშეთში... თათურზე ლაპარაკობს 15 ათასი კაცი, მათ შორის სემიტური წარმოშობის მთიელი ებრაელებიც, რომლებიც თათების მეზობლად ცხოვრობენ დაღესტნის სამხრეთ ნაწილში) და **თალიშური** ენები (სალიანის რაიონში, 200 ათ. კ.) არსებითად ახალი სპარსული ენის დიალექტებია.

ავღანური (ანუ პაშტუ) ენა ავღანისტანის ძირითადი მოსახლეობის ენაა — 9, 5 მლნ. და პაკისტანში — 15 მლნ. კაცი ლაპარაკობს ამ ენაზე); მწერლობა აქვს XVI საუკუნიდან.

ბელუჯური ენა იხმარება ბელუჯისტანში, ინდოეთში, ირანში, ავღანეთში — დაახლ. 4, 3 მლნ. კ.

ქურთული ენა ქურთისტანის მკვიდრთა მეტყველებაა. ქურთისტანის ნაწილი თურქეთშია, ნაწილი ირანში, სირიასა და ერაყში. ქურ-

თები ცხოვრობენ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზეც. ქურთული, არაბულთან ერთად, ერაყის რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა. მასზე ლაპარაკობს 20 მილიონი კაცი.

ოსური ენა კავკასიონის ჩრდილოეთითაც გვხვდება (ჩრდილო ოსეთში, ცენტრი — ვლადიკავკაზი (ძაუჯიყაუ[15] ერქვა 1944-დან 1954 წლამდე) და სამხრეთითაც (საქართველოში, ცენტრი — ცხინვალი). სულ ამ ენაზე ლაპარაკობს 480 000 ადამიანი.

ოსური ენის ყველაზე ძველი ძეგლია იალღუზიძის თარგმანი საეკლესიო წიგნთა (XIX ს. დასაწყისი). იალღუზიძეს ოსურისათვის ქართული ანბანი აქვს გამოყენებული.

სოღდური ენის ნიმუშები შუა აზიაში (ჩინეთის თურქესტანში) აღმოჩნდა XX საუკუნის დასაწყისში. ტექსტების მეტი წილი VIII-IX საუკუნეებით თარიღდება. ზოგიც ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებისაც უნდა იყოს.

სოღდური და ოსური ახლო მონათესავე ენებად მიაჩნიათ (ა. მეიე).

შუა აზიაში, პამირის მთებში, არაერთი ირანული დიალექტია წარმოდგენილი.

ავესტის ენასთან ახლოს იყო პართული დიალექტები.

ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვანი ცოცხალი ირანული ენაა სპარსული.

ირანული და ინდური ენები ერთმანეთთან ახლოსაა. მათ აერთიანებენ ინდოევროპულ ენათა ერთ შტოში; ამ შტოს **არიულს** უწოდებენ: „არიული“ და „ირანი“ (ქართ. ერანი) ერთი და იმავე ძირის სიტყვებად ითვლება.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში ტერმინი „არიული“ იხმარებოდა „ინდოევროპულის“ მნიშვნელობით. ამჟამად „არიულს“ აღარ ხმარობენ „ინდოევროპულის“ მნიშვნელობით.

III. **სლავური ენები** სამ ჯგუფს ქმნიან: აღმოსავლურს, დასავლურსა და სამხრულს.

აღმოსავლურ ჯგუფში შედის:

რუსული,

[15] ყაუ ოსურად „დაბა“; ძაუჯი-ყაუ „ძაუჯი-დაბა“; ძაუჯი არის იგივე ძაუგი, ალ. ყაზბეგის მოთხრობებში რომ იხსენიება.

უკრაინული და ბელორუსული.

რუსული ენა ყველაზე დიდი ენაა სლავურ ენათა შორის. რუსულ ენაზე ლაპარაკობს დაახლოებით 250 მილიონი კაცი, მათ შორის„ როგორც დედაენაზე — 140 მილიონი.

რუსულ ენაში განასხვავებენ ჩრდილოურ კილოს (**ოკურ** კილოს: „**ვოდა**"), სამხრულ კილოს (**აკურ** კილოს: „**ვადა**") და გარდამავალ შუარუსულ კილოს, რომელსაც მოსკოვის კილოკავიც ეკუთვნის (შუარუსული **აკურობას** მისდევს, ე. ი. ამ ძირითადი ნიშნის მიხედვით სამხრულ კილოს ემხრობა).

დამწერლობა რუსულ ენაზე არსებობს X საუკუნის დასაწყისიდან (გნეზდოვოში ნაპოვნი წარწერა თიხის დიდ **ჭურჭელზე**).

უძველეს დათარიღებულ ძეგლს წარმოადგენს ე. წ. ოსტრომირის სახარება, გადაწერილია 1056—1057 წ. ძველი რუსული ენის შესანიშნავი ძეგლია „სიტყვა იგორის ლაშქრობაზე" (XII ს.). ახალ რუსულ ენაზე უკანასკნელი საუკუნე-ნახევრის განმავლობაში შეიქმნა უმდიდრესი მხატვრული ლიტერატურა.

უკრაინულ ენაზე ლაპარაკობს დაახლოებით 37 მილიონი; სალიტერატურო ენად უკრაინული ჩამოყალიბდა XVII საუკუნეში. XIX ს. პირველ ნახევარში უკრაინულ ენაზე წერდა სახელგანთქმული პოეტი დემოკრატი ტარას შევჩენკო (გარდაიცვალა 1861 წ.).

ბელორუსულ ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვი 8 მილიონს აღემატება. ბელორუსული სალიტერატურო ენის დასაბამი XIX ს. დასაწყისზე მოდის. ცნობილი ბელორუსი მწერალი იყო იანკა კუპალა (გარდაიცვალა 1939 წ.).

სლავურ ენათა **დასავლურ** ჯგუფს შეადგენენ:
პოლონური, და მასთან ახლოს მდგომი **კაშუბური,**
ჩეხური და მასთან ახლოს მდგომი **სლოვაკური,**
ლუჟიცური (ანუ სორბული ანუ ვენდური),
პოლაბური.

პოლონური — სახელმწიფო ენაა პოლონეთისა (დედაქალაქი — ვარშავა).

პოლონურ ენაზე ლაპარაკობს 36,6 მილიონი კაცი პოლონეთში (გარდა ამისა, ამერიკის შეერთებულ შტატებში — 3,8 მლნ., ბრაზილიასა, საფრანგეთსა, კანადასა და სხვ. ქვეყნებშიც) — სულ 42,7 მლნ. ადამიანი. პოლონურ ენაზე ძეგლები გვაქვს XIII საუკუნიდან.

ჩეხური ენა — სახელმწიფო ენაა ჩეხეთისა (დედაქალაქი —

პ რ ა ღ ა), სლოვაკური — სლოვაკეთისა (დედაქალაქი — ბ რ ა ტ ი ს ლ ა ვ ა).

ჩეხურ ენაზე ლაპარაკობს დაახლოებით 10 მილიონზე მეტი კაცი, **სლოვაკურზე** — 5 მლნ.-ზე მეტი. ჩეხური ენის უძველესი სამწერლო ძეგლები XIII საუკუნისაა.

ლუჟიცური საქსონიასა და პრუსიაში გვაქვს მდ. შპრეეს ზემო წელზე. ამ ენაზე 100 000-მდე კაცი ლაპარაკობს.

პოლაბური მდ. ელბის შუა წელზე გვხვდებოდა. ახლოს იყო ლუჟიცურთან. გამქრალია XVIII საუკუნიდან.

კაშუბური გდანსკის დასავლეთითაა შემორჩენილი; ახლოსაა პოლონურთან.

სლოვინცური — პომერანიაში — გაქრობის გზაზეა დამდგარი.

ლუჟიცური, კაშუბური, სლოვინცური სლავური მეტყველების კუნძულებია და წარმოადგენს ნარჩენს ძველად აქ უფრო ფართოდ გავრცელებული დასავლურ სლავური მეტყველებისა.

სლავურ ენათა **სამხრულ** ჯგუფს შეადგენენ:

ბულგარული — 9 მლნ. კ.,

სერბულ-ხორვატული — 16, 5 მლნ. კ. და **სლოვენური** — 2, 1 მლნ. კ.

ბულგარული — სახელმწიფო ენა ბულგარეთისა (დედაქალაქი — ს ო ფ ი ა).

ბულგარული ენის ერთ-ერთ დიალექტზე კირილე და მეთოდემ თარგმნეს საღმრთო წერილი და სამღვდელმსახურო წიგნები IX საუკუნეში. ამ თარგმანთა ენას ეწოდება **ძველი სლავური** ენა.

სერბულ-ხორვატული გავრცელებულია ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე. სლოვენური — კრაინაში, რომლის ერთი ნაწილიც ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზეა, მეორე — იტალიაში.

IV. **ბალტიურ** ენებს მიეკუთვნება:

ლიტვური,

ლატვიური და

ძველი პრუსიული.

ლიტვური — სახელმწიფო ენაა ლიტვის (ამჟამად დედაქალაქი — **ვილნიუსი**; 1939 წლამდე იყო **კაუნასი**); ლიტვურის უძველესი სამწერლო ძეგლი XVI საუკუნისაა (1547 წ.).

ლიტვურმა შემოინახა ა რ ქ ა უ ლ ი თ ვ ი ს ე ბ ე ბ ი (მაგ.., თავისებური მახვილი). მოლაპარაკეთა რიცხვი 3 მილიონს აღწევს.

ლატვიური — სახელმწიფო ენაა ლატვიისა (დედაქალაქი — **რი-**

გა). უძველესი ტექსტი თარიღდება XVI საუკუნით (1586 წ.). ლატვიურზე ლაპარაკობს დაახლოებით მილიონ-ნახევარი კაცი.

ძველი პრუსიული ხმარებიდან გამოსული (შკვდარი) იყო ჯერ კიდევ XVII საუკუნეში. მისგან დარჩა ლექსიკური მასალა (ე. წ. „ელბინგის ლექსიკონი" — 800 სიტყვამდე), XV საუკუნისა და XVI საუკუნეში შესრულებული მცირეოდენი ნათარგმნი სასულიერო ტექსტი (კატექიზმო... თარგმანი შესრულებულია 1561 წელს).

პოლაბურის (იხ. ზემოთ) მსგავსად ძველი პრუსიული გერმანული ენების მოძალებამ გააქრო.

V. გერმანული ენები იყოფა **სამ ჯგუფად. აღმოსავლური** ჯგუფისაა **გუთური;** ამ ენაზე თარგმნა გუთების ეპისკოპოსმა ვულფილამ[16] ოთხთავი (სახარება) **მეოთხე** საუკუნეში. ამ თარგმანშია მოცემული გერმანულ ენათა ყველაზე ძველი წერილობითი ძეგლი.

გუთურის გარდა აღმოსავლური ჯგუფისა უნდა ყოფილიყო **ვანდალური** და **ბურგუნდიული** (ძეგლები არ შემონახულა).

გერმანულ ენათა ჩრდილო გერმანულ ანუ სკანდინავიურ ჯგუფს შეადგენენ:

ისლანდიური (242 ათასი კაცი) და **ნორვეგიული** (5 მლნ. კაცი), ერთი მხრივ, და **შვედური** (10 მლნ. კაცი) და **დანიური** (5, 6 მლნ. კაცი), მეორე მხრივ.

ძველი სკანდინავიური მეტყველების ნიმუში დაცულია მოკლე წარწერებში, რომლებიც შესრულებულია **რუნული** დამწერლობით.

ისლანდიური ძეგლები (ედას სიმღერები) ცნობილია XII საუკუნიდან. ნორვეგიულიც დაახლოებით იმავე დროიდანაა ცნობილი. ნორვეგიული ახლოსაა ისლანდიურთან. ნორვეგიული, როგორც სამწერლო ენა, XV საუკუნიდან გამოდევნა დანიურმა (მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრიდან დაიწყო მოძრაობა სალიტერატურო ენის „ნორვეგიზაციისათვის". ამჟამად სალიტერატურო ენის ორი ფორმა არსებობს — ოსლოს მეტყველებაზე დამყარებული რიკსმოლი, რომელზეც წერდა სახელგანთქმული დრამატურგი ჰენრიკ იბსენი და ადგილობრივ დიალექტთა საფუძველზე შექმნილი ლანსმოლი — რედ.).

შვედურისა და დანიურის უძველესი ძეგლები XIII საუკუნით თარიღდება.

დასავლურ გერმანულ ჯგუფში გაირჩევა:

---

[16] ვულფილას წინაპრები კაპადოკიიდან (შცირე აზია) ტყვედ წამოყვანილი ქრისტიანები იყვნენ.

1. **ზემოგერმანული** (დიალექტებით: ბავარიული, ალემანური, ფრანკული). ტექსტები ცნობილია IX საუკუნიდან.

თანამედროვე სალიტერატურო გერმანული ენისათვის ამოსავალია ფრანკული (მარტინ ლუთერის მიერ XVI ს. შესრულებული თარგმანი დაბადებისა ამ სალიტერატურო ენის საფუძვლად იქცა).

2. **ქვემოგერმანული,** რომლის უძველესი ძეგლიცაა პოემა „ჰელიანდი" IX საუკუნისა, და რომლის მთავარი წარმომადგენელიცაა **ჰოლანდიური** და — მისგან უმთავრესად ლექსიკით განსხვავებული — **ფლამანდიური** (განსხვავებას აძლიერებდა უპირატესად პოლიტიკური და რელიგიური გარემოებანი).

3. **ფრიზული** და 4. **ძველი ინგლისური** ანუ **ანგლოსაქსური,** რომლის ნიმუშებიც VIII საუკუნიდან არის ცნობილი. ჯერ დანიურის, მერე ფრანგულის ძლიერი და ხანგრძლივი გავლენით ანგლოსაქსურიდან XIV საუკუნეში იქმნება **ინგლისური** ენა.

გერმანულ ენათაგან სამწერლოა: **გუთური** (შკვდარია), **დანიური, შვედური, ნორვეგიული, ისლანდიური, გერმანული, ჰოლანდიური** და **ინგლისური.**

გერმანული და ინგლისური ენების გავრცელებულობის შესახებ იხ. § 23.

VI. ინდოევროპული ენების **იტალიური** შტო ამჟამად წარმოდგენილია **რომანული** ენებით; რომანული ენებია:

1. **იტალიური,**

2. **ფრანგული,**

3. **პროვანსული** ანუ **ოქსიტანური** (სამხრეთ საფრანგეთში), 10 მლნ. კ.,

4. **პორტუგალიური,**

5. **ესპანური,**

6. **კატალონიური** (ესპანეთში; კატალონიის დედაქალაქია ბ ა რ ს ე ლ ო ნ ა), 7,8 მლნ. კ.,

7. **რეტორომანული** (ტიროლში — ავსტრიის ალპებსა და შვეიცარიაში), დაახლ. 750 000 კ.,

8. **რუმინული** — რუმინეთში (დედაქალაქი — ბ უ კ ა რ ე ს ტ ი), 22 მლნ. კ.,

და 9. **მოლდავური** (მოლდავეთში, დედაქალაქი — კ ი შ ი ნ ი ო ვ ი), 2,5 მლნ. კ.

რომანული ენებისათვის ამოსავალი იყო ამჟამად მკვდარი ლათინური ენა, სახელდობრ, **ხალხური ლათინური ენა** (და არა სამწერ-

ლო ლათინური).

ლათინური თავდაპირველად ქალაქ რომში (და მის მიდამოებში) იხმარებოდა (იტალიის ამ ოლქს ძველად ერქვა ლაციუმ, ძველი გამოთქმით — ლატიუმ Latium, აქედან — ტერმინი ლათინური). რომის ძლიერების ზრდას მოჰყვა ლათინური ენის თანდათან გავრცელება ლაციუმის ოლქიდან მთელ აპენინის ნახევარკუნძულზე. აქ ლათინურმა სიცოცხლე მოუსწრაფა ინდოევროპულ დიალექტებს **ოსკურსა** და **უმბრულს** (ოსკური ენისა წარწერებია დარჩენილი, უმბრულისა — ე. წ. ევგუბინის ტაბულები, სამსხვერპლო რიტუალის ტექსტით), აგრეთვე — **ეტრუსკულს** (არაინდოევროპულ ენას, რომლის მატარებლებმაც რომაელებზე ადრე იტალიაში მაღალი **კულტურა** შექმნეს; ეტრუსკების ძირითადი ოლქი **ტოსკანა** იყო).

როცა რომის იმპერიის ფარგლებში მოექცა პირენეის ნახევარკუნძული და ახლანდელი საფრანგეთი, აქაც გავრცელდა ლათინური ენა — კელტური ენებისა (იხ. ქვემოთ) და არაინდოევროპული იბერიული ენების ხარჯზე.

მთელი შუა საუკუნეების მანძილზე დასავლეთ ევროპის ხალხებს (ფრანგებს, გერმანელებს, ინგლისელებს, ესპანელებს, იტალიელებს) მწიგნობრობის ენად ლათინური ჰქონდათ. ღვთისმეტყველებასა და ზოგ სამეცნიერო დისციპლინაში (მაგალითად, ბოტანიკაში, მედიცინაში, ასტრონომიაში) ლათინურ ენაზე იწერებოდა შრომები მეცხრამეტე საუკუნეშიც კი.

ლათინურ ენაზე შესრულებული წარწერები ბლომად მოიპოვება III საუკ. ძვ. წელთაღრიცხვამდე (უძველეს ძეგლად ითვლება წარწერა ოქროს ქინძისთავზე — VI საუკ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე).

ამჟამად ცოცხალ რომანულ ენათაგან:

იტალიურის უძველესი ძეგლი თარიღდება 960 წლით; იტალიურს საფუძვლად დაედო ქალაქ ფლორენციის განათლებული წრეების მეტყველება (lingua toscana).

ფრანგული ენის ყველაზე ძველი ძეგლი 842 წელს ეკუთვნის. ახალი ფრანგული ენა XVI საუკუნეში ჩამოყალიბდა.

პროვანსულ ენაზე მწერლობა იქმნება XI საუკუნეში.

პორტუგალიურის ენის უძველეს დოკუმენტს 1192 წლით ათარიღებენ, **კატალონიურისას** — 1171 წლით, **ესპანურისას** — 1145 წლით.

რუმინულ ენაზე მწერლობა არსებობს XVI საუკუნიდან.

ფრანგული ენა საფრანგეთის გარდა გავრცელებულია კანადაში, ალჟირში, დასავლ. აფრიკის ზოგ ადგილებში; ფრანგულ ენაზე მოლაპა-

რაკეთა რიცხვი 100 მილიონს აღწევს.

ესპანური ენის გავრცელების შესახებ იხ. § 23.

პორტუგალიური ენა პორტუგალიის გარდა ბრაზილიასა და აფრიკის ზოგ ქვეყანაში იხმარება (ამ ენაზე სულ 150 მლნ. კაცი ლაპარაკობს).

იტალიურ ენაზე იტალიასა და მის გარეთ ლაპარაკობს 65 მილიონი კაცი.

VII. კელტური ენებიდან ამჟამად **ცოცხალია:**

1. **ირლანდიური** (ანუ ი რ უ ლ ი). უძველესი გლოსები ცნობილია VII საუკუნიდან,[17] მდიდარი ლიტერატურა აქვს XI საუკუნიდან. ირლანდიურ ენაზე ლაპარაკობს 600 ათასი კაცი.

2. **შოტლანდიური** (ანუ ე რ უ ლ ი) წარმოშობით ახლოს დგას ირლანდიურთან, XVI საუკუნიდან გაიჩინა საკუთარი სალიტერატურო ენა; შოტლანდიურზე მოლაპარაკეთა რიცხვი 100 ათასს უდრის.

3. **უელსური** ანუ **ვალისური** — ინგლისის დასავლეთ სანაპიროზე; გლოსები ამ ენაზე ცნობილია VIII საუკუნიდან; შუა საუკუნეებიდან მოეპოვება მდიდარი ლიტერატურა, კერძოდ, ორიგინალური პოეზია. ამჟამად ამ ენაზე დაახლოებით ნახევარი მილიონი ადამიანი ლაპარაკობს. ჩრდ. ამერ. შეერთებულ შტატებსა და სამხრეთ ამერიკაში — პატაგონიაში — გადასახლებულ უელსელებს დედაენა შერჩენილი აქვთ.

4. **ბრეტონული** ენა — საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთ კიდეზე, ბრეტანის ნახევარკუნძულზე. უძველესი გლოსები VIII საუკუნისაა; ლიტერატურა აქვს XIV საუკუნიდან; ბრეტონული დედაენაა დაახლოებით 1 მილიონამდე კაცისათვის. მაგრამ ფრანგულის ძლიერი გავლენა ბრეტონულის არსებობას საფრთხეს უქმნის (ბრეტონულს უპირატესად სოფლის მოსახლეობა ლაპარაკობს).

ბრეტონული ენა ინგლისიდან გადმოსული კელტების მეტყველებაა (და არა იმ კელტებისა, რომელთაც თავის დროზე საფრანგეთის მთელი მიწა-წყალი ეკავათ და გ ა ლ ე ბ ი ს სახელწოდებით არიან ისტორიაში ცნობილი).

ზემოხსენებული ცოცხალი კელტური ენები მცირეოდენი ნაშთია ოდესღაც ფართოდ გავრცელებული კელტური მეტყველებისა: ჩვენს წელთაღრიცხვაზე რამდენიმე საუკუნით ადრე კელტურ ტომებს ეჭირათ ახლანდელი ი ნ გ ლ ი ს ი, ი რ ლ ა ნ დ ი ა, ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი,

[17] ე. წ. ოგამური წარწერები მეოთხე საუკუნით თარიღდება.

ჩრდილო იტალია, ნაწილობრივ — ესპანეთი; მათმა ერთმა ტალღამ ბალკანეთიდან მცირე აზიამდისაც მოატანა (აქ მათ დააარსეს გალატიის სამეფო). კელტური ენები იტალიასა და საფრანგეთში ხმარებიდან გამოდევნა ლათინურმა, ინგლისსა და ირლანდიაში გაქრობის საფრთხე შეუქმნა ინგლისურმა.

ამჟამად ოთხი კელტური ენა შემოგვრჩა; ძველად კელტურ ენათა რიცხვი გაცილებით მეტი იყო.

ისტორიული კლასიფიკაცია კელტურ ენებში სამ ჯგუფს გამოყოფს:

1. **გაელური** ჯგუფი: ირლანდიური, შოტლანდიური (იხ. ზემოთ).

2. **ბრიტული** ჯგუფი: უელსური ანუ ვალისური (იხ. ზემოთ), კორნუელი — კორნუელსში (ინგლისში; გაქრა XVIII საუკუნეში) და ბრეტონული (იხ. ზემოთ).

3. **გალიური;** გავრცელებული იყო საფრანგეთსა და ჩრდილო იტალიაში, ესპანეთში (აქ გალიურის გარდა ადგილობრივი იბერიული ენებიც იხმარებოდა). გალიური ენისა მეტწილად საკუთარი სახელებია დარჩენილი ბერძნულსა და რომაულ წყაროებში (და ზოგი წარწერა). გაბმული ტექსტი არა გვაქვს. გალიური სიტყვების შესახებ ფრანგულში იხ. § 21.

რომანულ (იტალიურ) ენებსა და კელტურ ენებს ხშირად ერთმანეთთან ახლოს მდგომად თვლიან: მათ რიგი საერთო თავისებურება ახასიათებს.

VIII. ბერძნული შტო წარმოდგენილია მხოლოდ ბერძნული ენით. განასხვავებენ: **ძველ ბერძნულს, ბიზანტიურს** (VII — XVI სს.) და **ახალბერძნულს** (XVI საუკუნიდან).

უძველესი ბერძნული წარწერები თარიღდება VI ს. ჩვ. წელთაღრიცხვამდე. უძველესი ხანების ბერძნული მწერლობა დიალექტურ მეტყველებას ასახავს.

ძველ ბერძნულში გამოყოფენ დიალექტთა ოთხ ჯგუფს; ეს ჯგუფებია:

1. **იონიურ–ატიკური** ჯგუფი: იონიური — მცირე აზიის ბერძენთა კოლონიებში (12 ქალაქში); ატიკური — ქალაქ ათენის დიალექტი. იონიურ დიალექტზე წერდა, კერძოდ, ისტორიკოსი ჰეროდოტე, ატიკურზე — ფილოსოფოსი პლატონი.

2. **აქეური** ჯგუფი: არკადიული, კიპრული, პამფილიური დია-

ლექტები. ამ დიალექტებზე წარწერებია შემონახული.

3. **ეოლიური** ანუ ჩრდილოაღმოსავლური ჯგუფი: თესალიური, ბეოტიური და ლესბური (კუნძულ ლესბოსზე); VII-VI სს. ლესბური, როგორც სალიტერატურო ენა, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. ამ დიალექტზე წერდნენ პოეტები ალკეოსი და საფო.

4. **დორიული** ანუ დასავლური ჯგუფი; ამ ჯგუფის დიალექტებს ვხვდებით ეპირში, ლოკრიდაში; ლაკონიაში, კორინთში, კრეტის კუნძულზე; კუნძულ სიცილიაზე, იტალიაში.

დორიულია არქიმედეს პროზის მეტყველება („საერთო დორიული" სალიტერატურო ენაა — იტალიისა და სიცილიის ბერძნულ კოლონიებში).

ჰომეროსის „ილიადისა" და „ოდისეას" ენა ახლოს არის იონიურ დიალექტთან, მაგრამ მასში ძველი ეოლიური ელემენტიც იგრძნობა (თუმცა ამა თუ იმ დიალექტამდე ჰომეროსის ენა არ დაიყვანება: ბევრი რამ საერთოა, მასთან — ძველი).

IV—III საუკუნიდან ჩვენ წელთაღრიცხვამდე მუშავდება ბერძნული **საერთო-სალიტერატურო ენა** (ე. წ. koinē კოინე „საერთო", რომელსაც საფუძვლად უდევს **ატიკური** (ლექსიკაში ეტყობა **იონიურის** გავლენა).

ამ საერთო ენამ მოშალა ბერძნულ დიალექტთა თავისებურებანი. ახალი ბერძნული ენის დიალექტები როდი წარმოადგენენ ძველი ბერძნული დიალექტების გაგრძელებას. ამ დიალექტებისათვის ამოსავალია ხსენებული საერთო ენა (კოინე)[18].

IX. **ალბანური** (შკაპიტარული ანუ არნაუტული ენა — ბალკანეთის ნახევარკუნძულზე — ალბანეთის სახელწიფო ენა; დედაქალაქი — ტირანა). ამ ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვი დაახლოებით 3 მილიონია. გაირჩევა ორი დიალექტი: გეგური და ტოსკური. ალბანური ენის ლექსიკაში ბევრია ბერძნული, თურქული, სლავური და რომანული სიტყვა.

ალბანური ენის უძველესი ძეგლები (ცალკეული სიტყვები) XV საუკუნიდანღაა ცნობილი; ტექსტები XVII საუკუნისაა.

X. **კანესური** ანუ **ნესიტური** ენა (ისევე, როგოც ლუვიური) მკვდარი ენაა. ერთ-ერთი ენა იყო ხეთების სახელმწიფოში (1900—1200 წ. ჩვ. წელთაღრიცხვამდე). ტექსტები (მეტწილად XIV ს.) აღმოჩენილია მცირე აზიაში, ბოღაზქოის არქივში.

---

[18] ახალი ბერძნული ენის პონტოურ დიალექტზე ლაპარაკობენ უკრაინასა და კავკასიაში მოსახლე ბერძნები (რედ.).

ბოღაზქოიში ჰ. ვინკლერმა და მაკრიდი-ბეიმ 1906-12 წწ. აღმოაჩინეს წარწერებიან თიხის ფირფიტათა ბიბლიოთეკა (ათი ათასამდე ფირფიტა იყო; დღეისთვის — ოცი ათასს აღწევს). ეს ბიბლიოთეკა სამეფო არქივს წარმოადგენდა. ხეთური ლიტერატურის უძველეს ძეგლად ითვლება მეფე ანითას წარწერა (ძვ. წ. XVIII ს.).

წარწერათა გარჩევისას რამდენიმე ენა დადასტურდა. მათში სახელმწიფო ენა უნდა ყოფილიყო **კანესური** ანუ **ნესიტური.** იგი ინდოევროპულ ენად მიიჩნია ჩეხმა ასირიოლოგმა ფრიდ. ჰ რ ო ზ ნ ი მ.

ამ მკვლევრის აზრით, კანესურის ბრუნება და უღვლილება ინდოევროპულია, ლექსიკა კი არსებითად არაინდოევროპული, ადგილობრივ მკვიდრთა ენებისაო.

ნესიტურის „ბევრი არსებითი სახელი და ნასახელარი ზმნა — წერს ა. მეიე — არ შეიძლება მივიჩნიოთ ინდოევროპული წარმოშობისად"[19]. ინდოევროპული ჩანს (ტიპოლოგიურადაც და მასალობრივაც) ნესიტური ენის მორფოლოგია: ბრუნება, უღვლილება, თუმცა აქაც ყველაფერი არ იხსნება ინდოევროპულიდან (მაგ., დაშორებითი ბრუნვის ნიშანი -აზ).

ყურადღებას იქცევს გრამატიკული სქესების უქონლობა; გრამატიკული სქესები ძვ. ინდურში, ბერძნულში, ლათინურში კარგად არის განვითარებული; ნესიტურში კი — არა გვაქვს (ისევე, როგორც იბერიულ-კავკასიურ ენებში, რომელთაც ადამიანისა და ნივთის კატეგორიათა გარჩევა ახასიათებს). ბგერით სისტემაში ნესიტურს აკლია სონორები. „ეს მოვლენა, შენიშნული შუმერულში, მიტანიურსა (ჰურიტულსა) და ელამურში, მეორდება კავკასიურ ენებში. გვხვდება ეტრუსკულშიც"[20].

რაკი ხეთის სახელმწიფოს ერთი ენა — ნესიტური — ინდოევროპულს ეკედლება, ხეთური ენები, საერთოდ, ინდოევროპულად გამოაცხადეს.

ხეთური ეწოდება ადგილობრივ მკვიდრთა ენას (თუ ენებს): „ძველი ეგვიპტური სახელწოდება ხეთებისა — ხათთუ — ეკუთვნის არა იმ ხალხს, რომელსაც ჩვენ ხეთებს ვუწოდებთ (იგულისხმებიან — ნესიტები — ა. ჩ.), არამედ — სხვას, სულ სხვა ენის პატრონს. ხათთუ ლაპარაკობდა ადილობრივ მკვიდრთა ენაზე, ალბათ, კავკასიური წარმოშობი-

[19] ა. მეიე. ინდოევროპული ენების შედარებითი შესწავლის შესავალი (რუს. თარგმ., 1938 წ.), გვ. 86-87.

[20] კ. ოტრანი. ძველი წინა აზიის თვითმყოფი ენები — კრებულში „დედამიწის ენები", 1924 წ., გვ. 294 (ფრანგ. ენაზე).

სა[21].

XI. ტოქარული ენა; მკვდარი ენაა. აღმოაჩინეს საექიმო და რელიგიური შინაარსის ტექსტებში მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩინეთის თურქესტანში.

ტოქარული სალაპარაკო ენა უნდა ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი წელთაღრიცხვის VII საუკუნეში.

დამწერლობა ინდური წარმოშობისაა. ტოქარულში განასხვავებენ ორ დიალექტს[22]: ტურფანისა და კუჩიას იმ ადგილთა სახელწოდების მიხედვით, სადაც ტოქარული ტექსტები იპოვეს.

XII. სომხური ენა — სახელმწიფო ენა სომხეთში (დედაქალაქი — ერევანი).

სომხურ ენას დიდი ხნოვანების მწერლობა მოეპოვება. უძველესი თარიღიანი ხელნაწერი — სახარება — მეცხრე საუკუნისაა (887 წ.), მაგრამ დამწერლობა ივარაუდება **მეხუთე** საუკუნიდან არსებულად.

ძველი სომხური იწოდება „გრაბარ"-ად („სამწერლო ენა"); მას უპირისპირდება ახალი სომხური, „აშხარაბარ" („ხალხური ენა"). განსხვავება მათ შორის დიდია, მეტი, მაგალითად, ვიდრე ძველ ქართულსა და ახალ ქართულ სალიტერატურო ენას შორის.

სომხური ენა მდიდარია დიალექტებით. გამოყოფენ დიალექტთა ორ ჯგუფს: **აღმოსავლურსა** და **დასავლურს.** აღმოსავლურ ჯგუფს ქმნის სომხეთის მიწა-წყალზე (თუ სხვაგან) ხმარებული სომხური. დასავლურ ჯგუფს თურქეთში მცხოვრებ სომეხთა მეტყველება განეკუთვნება.

სომხური დაუცავთ სომეხთა ახალშენებს სპარსეთში, ინდოეთში, ეგვიპტეში, რუმინეთში, ბულგარეთში, ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში... სომხურად მეტყველთა საერთო რაოდენობა 6 მლნ.-ია, მათ შორის ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე — 3,7 მილიონი.

სომხურში დალექილია იბერიულ-კავკასიური ენების მასალა; მაგალითად, მკვეთრი აფრიკატები **წ, ჭ** არც ერთმა ინდოევროპულმა ენამ არ იცის (გარდა ოსურისა, სადაც **წ, ჭ** ისევ იბერიულ-კავკასიური ენებიდან არის შეთვისებული).

ბრალდებით ბრუნვას, აკუზატივს, ძვ. სომხური პრეფიქსით აღნიშნავდა (ინდოევროპულ ენებში სუფიქსი იხმარება): ჩანს, აკუზატივი

---

[21] ჩ. ლოუკოტკა. დამწერლობის განვითარება (რუს. თარგმ. ჩეხურიდან, 1950, გვ. 63).

[22] ამ დიალექტებს ზოგი ცალკე ენებად თვლის და ტოქარული ენების შესახებ ლაპარაკობს.

სომხურისათვის უცხო უნდა ყოფილიყო თავდაპირველად.

§ 123. ტერმინის შესახებ „ინდოევროპული". ეს ტერმინი მიუთითებს, სადაა გავრცელებული სათანადო ენები.

ინდოევროპულ ენებს ხშირად უწოდებენ **ინდოგერმანულ** ენებს (მეტადრე გერმანელი ენათმეცნიერები); ამ ტერმინის სასარგებლოდ მეცნიერულ მოსაზრებათა მოყვანა შეუძლებელია.

ზოგი რუსი ენათმეცნიერი (ი. ა. ბოდუენ დე კურტენე, ვ. ა. ბოგოროდიცკი) „ინდოევროპულის" ნაცვლად **„არიოევროპულს"** ხმარობდა მეტი სიზუსტის დაცვის მიზნით: არიული ენები ეწოდება ინდურსა და ირანულ ენებს (ერთად); ტერმინი „არიულევროპული" **ირანულ** ენებსაც დაიტევს, „ინდოევროპულ"-ში კი ირანული ენები არა ჩანსო.

ინდოევროპული ენების აღსანიშნავად ძველად „იაფეტურ"-იც იყო ნახმარი, მაგრამ ამას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა.

ნ. მარი უკანასკნელი წლების თავის ნაშრომებში ინდოევროპულ ენათა აღსანიშნავად ხმარობდა ტერმინს **„ბრომეთეიდულს"**.

ინდოევროპულ ენათა ნათესაობის ფაქტი ცნობილია მეთვრამეტე საუკუნის დამლევიდან; ინგლისელმა უილიამ ჯონსმა აღნიშნა ინდურის ნათესაობა ბერძნულთან და ლათინურთან (1786 წ.); უფრო ადრე (1767 წ.) ამავე გარემოებას ყურადღება მიაქცია მისიონერმა პ. კერდუმ (P. Coeurdoux) საფრანგეთის აკადემიისათვის წარდგენილ მემორანდუმში (შემორანდუმი უყურადღებოდ იქნა დატოვებული).

§ 124. ინდოევროპულ ენათა დამახასიათებელი ზოგი თავისებურება. მხედველობაში გვაქვს ისტორიული ვითარება (ამჟამად ინგლისური და პოლონური, გინდ რუსული, დიდად განსხვავდება აგებულების მიხედვით. ბრუნება ინგლისურში თითქმის არა გვაქვს, რუსული ენა კი ბრუნვის ფორმებით მდიდარია, რუსულში სამი სქესი გაირჩევა, ინგლისურს სქესები არ შერჩენია).

ისტორიულად — თუ მხედველობაში გვექნება ძვ. ინდური, ძვ. სპარსული, ბერძნული, ლათინური — ინდოევროპულ ენათა დამახასიათებლად მიიჩნევა:

ფონეტიკაში: ხმოვანთა შემადგენლობის სიმარტივე; წინაენისმიერ სპირანტთაგან მხოლოდ ს-ს მქონეობა; მოიპოვებოდა სონორები (რ, ლ, ნ), რომელნიც სხვადასხვა ვითარებაში თანხმოვნებიც იყვნენ და ხმოვნების როლშიც გამოდიოდნენ. მახვილი მუსიკალური იყო და

ავლენას არ ახდენდა ხმოვნებზე.

წინადადება იშლებოდა სიტყვებად; სიტყვის შემადგენლობაში გამოიყოფოდა: ძირი, საწარმოებელი სუფიქსი, დაბოლოება.

ზმნა და სახელი გარჩეული იყო. როგორც ბრუნება, ისე უღლილება **სუფიქსაციას** იყენებს (შემდეგში სიტყვას სუფიქსები თანდათანობით ეკვეცება ფონეტიკური თუ სხვა მიზეზის გამო).

გრამატიკული სქესები განსხვავებულია სამი: მამრობითი, მდედრობითი, საშუალო. ამოსავალია ორწევროვანი კლასიფიკაცია; ცოცხალ და არაცოცხალ არსებათა ჯგუფები (კლასები). ცოცხალის ჯგუფში გამოიყო მამრობითი და მდედრობითი სქესები, საშუალო — არაცოცხალის რეინტერპრეტაციის შედეგია.

§ 125. სემიტურ ენათა ოჯახი. ქამიტურ ენათა ოჯახი. სემიტური ენები სამ ჯგუფად იყოფა: **აღმოსავლურ, ჩრდილოურ** და **სამხრულად.** ამ ორ უკანასკნელს ჩვეულებრივ აერთიანებენ **დასავლურ სემიტურ** ენათა ჯგუფში (და, ამრიგად, სულ ორი ჯგუფი გამოდის: **აღმოსავლური** და **დასავლური**).

I. **აღმოსავლურ სემიტური ენებია:** ძველი მკვდარი ენები — **ასურული** და **ბაბილონური;** ასურულსა და ბაბილონურს ერთად **აქადურს** უწოდებენ.

უძველესი ძეგლები სემიტური ენებისა წარმოდგენილია **ლურსმული** დამწერლობის **ასურულ** ტექსტებში, რომელთა ამოშიფვრა იწყება მეცხრამეტე საუკუნეში (ჰ.კ. როულინსონი, ე.ჰინქსი, ჟ. ოპერტი, უ.ფ. ტოლბოტი).

ყველაზე ძველი ასურული ძეგლი თარიღდება 1400 წლით ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

II. **ჩრდილოსემიტური ენები** ორ ჯგუფს ქმნის: **ქაანურსა** და **არამეულს.**

ქაანური ჯგუფისაა: **ფინიკიური,** ძველი **ებრაული, მოაბიტური.**

არამეული ჯგუფისაა: **ბიბლიის არამეული,** თანამედროვე **სირიული,** რომელზედაც აისორები ლაპარაკობენ, **მანდეური...**

III. **სამხრულსემიტური ენები: ჩრდილოარაბული** და **სამხრულარაბული** (თავისი კილოებით); **აბაშური** (ანუ ეთიოპიური).

სემიტურ ენათაგან ევროპაში ყველაზე ადრე დაიწყეს **ებრაულის,** როგორც დაბადების (ბიბლიის) ენის, შესწავლა (ი.როიხლინი, XV—XVI სს.).

ებრაულის უძველეს ძეგლად მიჩნეულია **დებორას** საგალობელი მსაჯულთა წიგნიდან (მიახლოებით X ს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე).

სემიტურ ენათაგან ამჟამად **ყველაზე მნიშვნელოვანია არაბული** ენა, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი სამწერლო ენა აქვს. უძველესი დოკუმენტი — წარწერა საფლავის ქვაზე -- თარიღდება 328 წლით ჩვენი წელთაღრიცხვისა.

ძველ არაბულ ენაზე შეიქმნა მდიდარი ფილოსოფიური, მათემატიკური და ფილოლოგიური ლიტერატურა.

ისლამის გავრცელებასთან დაკავშირებით არაბული ენის როლი აღმოსავლეთში დიდად გაიზარდა: **ახლო აღმოსავლეთში არაბულს ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორიც — ლათინურ ენას დასავლეთ ევროპის ხალხებისათვის.**

ამჟამად არაბული ენის ქვეყნებია: **ეგვიპტე** (დედაქალაქი **კაირო**), **ერაყი** (დედაქალაქი — **ბაღდადი**), **სირია** (დედაქალაქი — **დამასკო**), **ლიბანი** (დედაქალაქი — **ბეირუთი**), საკუთრივ არაბეთი (ე.წ. საუდის არაბეთი და იემენი) და ნაწილობრივ **პალესტინა** (ცენტრი — **იერუსალიმი**).

ძველად პალესტინა ებრაელთა სამშობლო იყო. შემდგომ აქ არაბობა სჭარბობდა. ებრაელთა იმიგრაციას პალესტინაში არაბები ენერგიულ წინააღმდეგობას უწევდნენ. მიუხედავად ამისა, 1919 წლიდან 1948 წლამდე პალესტინაში 452 ათასი ებრაელი ჩავიდა. 1948 წელს პალესტინაში შეიქმნა ებრაელთა სახელმწიფო — **ისრაელი** (დედაქალაქი — **თელ-ავივი**).

სემიტურ ენათა (არაბულის, სირიულისა და ეთიოპიურის) ნათესაური ურთიერთობა ორიენტალისტებმა (ბ უ ქ ს ტ ო რ ფ მ ა, ლ უ დ ო ლ ფ მ ა, კ ა ს ტ ე ლ მ ა, ჰ ო ტ ი ნ გ ე რ მ ა) შენიშნეს ჯერ კიდევ XVII საუკუნეში; ეს ურთიერთობა ხელშესახებად დადასტურებულ იქნა XVIII საუკუნის პირველ ნახევარში (შ უ ლ ტ ე ნ ს ი, შ რ ე დ ე რ ი). ასე რომ, სემიტურ ენათა ნათესაობის აღიარება მოხდა უფრო ადრე, ვიდრე ინდოევროპულ ენათა ოჯახისა.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ნათესაობის დადასტურება აქ მოხდა **ისტორიულ-შედარებითი მეთოდის** შემოღებამდე, **მარტივი შედარების გზით.** ასეთი შედარება მეცნიერული არ არის, ჩვეულებრივ ის **მცდარ შედეგებს** იძლევა. მაგრამ ზოგ შემთხვევაში ნათესაური ურთიერთობა **ამ მარტივი შებრისხბირების მეთხებითაც შეიძლებოდა შემჩნეული ყოფილიყო,** მეტადრე თუ მონათესავე ენები დიდად არ იყვნენ ერთმანეთს დაშორებული, — თუ სიახლო-

ვე თვალში საცემი იყო. სწორედ ასეთი ვითარება გვქონდა სემიტურ ენათა შემთხვევაში.

სემიტურ ენებთან აახლოებენ **ქამიტურ** ენებს (ე. წ. ქამიტურ ენათა ოჯახს). ქამიტური ენებია: **ძველი ეგვიპტური** და მისგან მომდინარე **კოპტური,** შემდეგ — **ლიბიური, ბერბერული** (ყველანი — ჩრდილო აფრიკაში) და **კუშიტური** ენები.

ქამიტური ენებიდან ყველაზე დიდი ხნოვანებისაა ძველი ეგვიპტურის ძეგლები, იეროგლიფებით ნაწერი (მიახლოებით 4000 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე). იეროგლიფური დამწერლობის ეგვიპტური ძეგლები ამოშიფრა ფრანგმა მეცნიერმა **ჟ. ფ. შამპოლიონმა** (1822 წ.).

სემიტურსა და ქამიტურ ენებს ხშირად ერთ **სემიტურ-ქამიტურ** ოჯახადაც სახავენ (ეს, რასაკვირველია, იმის მაუწყებელია, რომ ქამიტურ და სემიტურ ენათა ისტორიული ურთიერთობა გარკვეული არაა).

ტერმინები „სემიტური“, „ქამიტური“ (ისევე, როგორც „იაფეტური“) ბიბლიური ნოეს შვილთა სახელებიდანაა ნაწარმოები (ბიბლიური გადმოცემის თანახმად, იმ ნოეს, რომელიც მსოფლიო წარღვნას გადაურჩა, სამი შვილი ჰყავდა: **სემი, ქამი** და **იაფეტი,** მათგან მოშენდა წარღვნის შემდეგ კაცობრიობა).

სემიტურ ენებს რიგი ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური **თავისებურება** ახასიათებს. ფონეტიკაში აღსანიშნავია: ხმოვანთა სიმცირე, უკანაენისმიერთა სიუხვე, თავისებურ წინაენისმიერთა (სპირანტთა) მქონეობა.

წინადადება სიტყვებად იშლება; სიტყვის ჩონჩხია ძირი; იგი შედგება თანხმოვნებისაგან; ჩვეულებრივ ასეთი თანხმოვანი სამია („ძირთა სამთანხმოვნობის პრინციპი“; ამჟამად ფიქრობენ, რომ მესამე თანხმოვანი ძირეული არ უნდა ყოფილიყო, ფუძის საწარმოებელი, დეტერმინატივი, უნდა ყოფილიყო). ხმოვნები ფორმანტების (აფიქსების) როლში გვევლინება (თუმცა აფიქსი ყოველთვის უთანხმოვნო არაა).

ბრუნება მარტივია, უღვლილება — რთული. ბრუნება სუფიქსურია, უღვლილება — სუფიქსურ-პრეფიქსული.

ზმნაში პ ო ლ ი პ ე რ ს ო ნ ა ლ ი ზ მ ი (ორპირიანობა) შეიმჩნევა: ზმნის ფორმაში სუბიექტის გარდა ობიექტის პირებიც აისახება, უღვლილება სუბიექტურ-ობიექტურია. შესაბამისად რთულდება ქვემდებარე-დამატების სინტაქსური გამიჯვნა: ინდოევროპული ენებიდან ცნობილი სინტაქსური დაპირისპირება ქვემდებარისა და დამატებისა აქ შეუძლებელია გვქონდეს.

აღსანიშნავია სახელებისაგან შემდგარ წინადადებათა ხვედრითი

წონის სიდიდე (უზმნო პრედიკაცია). სემიტურ ენებში ორი სქესი გაირჩევა: მამრობითი და მდედრობითი (ისტორიულად ამოსავალია **ცოცხალისა** და **არაცოცხალის** კატეგორიათა გარჩევა).

§ 126. უგრულ-ფინურ ენათა ოჯახი. უგრულ-ფინურ ენებს, ალათაურ (თურქულ-მონღოლურ) და მანჯურიულ-ტუნგუზურ ენებთან ერთად **ურალურ-ალათაურ**[23] ენათა ოჯახში აქცევდნენ.

ამჟამად გავრცელებული შეხედულების თანახმად, ყველა ეს ენა **ერთი წარმოშობისად გერ მიიჩნევა;** არათუ მანჯურიულისა და ფინურის გენეზისური ერთიანობა არაა დამტკიცებული, არამედ თურქულისა და ფინურის ერთიანი წარმომავლობაც არა ჩანს სარწმუნო. ამრიგად, ტრადიციული ტერმინი — ურალურ-ალათაური ენები - აერთიანებს ენათა **სამ ოჯახს.** ეს ოჯახები ცალკე უნდა იქნეს გამოყოფილი.

უგრულ-ფინური ოჯახის შემადგენლობაში შედის:

1. **ფინური** ენა ანუ სუომი ენა (5,3 მლნ.); მწერლობა აქვს XV საუკუნიდან ფინეთის სახელმწიფო ენას შვედურთან ერთად ფინური წარმოადგენს. ფინურთან ყველაზე ახლოს დგას **კარელიური** (77 ათასი კ., ცენტრი **პეტროზავოდსი**).

2. **ესტონური** ენა (მწერლობა აქვს XVII საუკუნიდან) ესტონეთის სახელმწიფო ენაა; ამ ენაზე ლაპარაკობს დაახლოებით 1,1 მილიონი კაცი (ესტონეთის დედაქალაქი — **ტალინი,** ყოფ. რეველი); გაირჩევა ორი დიალექტი: ტალინისა და ტარტუსი.

3. **ლაპლანდიური** ანუ **საამური** — ფინეთისა და შვედეთის ჩრდილო მხარეებში (სულ 50 ათასი კაცი ლაპარაკობს).

4. **მორდოვული** (მორდოვეთი, ცენტრი — **ქ. სარანსკი**); მორდოვულს ლაპარაკობს დაახლოებით 1 მლნ. კაცი.

5. **ჩერემისული** ანუ **მარიული** (მარეთი, ცენტრი — **ქ. იოშკარ-ოლა;** სულ 539 ათასამდე კაცი).

6. **ვოტიაკური** ანუ **უდმურტული** (უდმურტეთი, ცენტრი — **ქ. იჟევსკი;** დაახლოებით 546,6 ათასი კაცი).

7. **ზირიანული** ანუ **კომი** (კომი, ცენტრი — **ქ. სიქტივკარი;** დაახლოებით 327 ათასი კაცი).

ამ ენებმა (მორდოვულმა, მარიულმა, უდმურტულმა და კომიმ) მწერლობა გაიჩინეს საბჭოთა ხელისუფლების დროს.

---

[23] ტერმინისათვის ამოსავალია გეოგრაფიული სახელები: ურალი (ქედი) და ალათაუ-ს მთები.

8. **უნგრული** — უნგრეთის სახელმწიფო ენა (დედაქალაქი — **ბუდაპეშტი**); უნგრულს მწერლობა აქვს XIII საუკუნიდან. უნგრულზე ლაპარაკობს დაახლოებით 14,4 მლნ. კაცი.

9. უნგრულთან ახლოს მდგომი **მანსი** ანუ **ვოგულური** (3,7 ათასი კ.) და **ხანტი** ანუ **ოსტიაკური** (14 ათასი კ.) დასავლეთ ციმბირში, მდინარე ობის აუზში.

10. ე.წ. **სამოედური (სამოდიური)** ტომების ენა-კილოები, მათ შორის **ნენური, ტავგიური, სელკუპური;** გავრცელების არე — ტუნდრები კანინის ნახევარკუნძულიდან (თეთრ ზღვაზე) ტაიმირის ნახევარკუნძულამდე (ციმბირში). სულ ამ ენებზე მოლაპარაკეთა რიცხვია 26,8 ათასი.

ამ ენათაგან **არქაული** მოვლენები ყველაზე მეტად დაუცავს **სამოედურს** (ნენურს); ამ უმწერლო ენას ფინურ-უნგრულ ენათა ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ფინურ-უნგრულ ენათა წრეში ყველაზე მნიშვნელოვანია **უნგრული, ფინური** და ამ უკანასკნელთან ახლომდგომი **ესტონური.**

ფინურ-უნგრული ენების **თავისებურებათაგან აღსანიშნავია:** სახელისა და ზმნის სიახლოვე (დიფერენციაციის სისუსტე), თანდებულები ბრუნებაში (ინდოევროპულ ენათა წინდებულების ნაცვლად); სუბიექტური უღვლილების გარდა ობიექტური უღვლილების მქონეობა (გარდამავალ ზმნებში).

§ 127. ალთაურ (თურქულ-მონღოლურ) ენათა ოჯახში შედის:

1. **აზერბაიჯანული** — აზერბაიჯანის სახელმწიფო ენა (დედაქალაქი — **ბაქო**). აზერბაიჯანული ნაწილობრივ გავრცელებულია საქართველოსა და სომხეთში, აგრეთვე თურქეთში, ერაყსა და ირანის ჩრდილოეთ პროვინციებში. ამ ენაზე მოლაპარაკეთა საერთო რაოდენობაა 14 მლნ., აქედან 5 მლნ. ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოდის.

2. **თურქმენული** — თურქმენეთის სახელმწიფო ენა (დედაქალაქი — **აშხაბადი**). გავრცელებულია აგრეთვე, ნაწილობრივ, უზბეკეთში, ტაჯიკეთში, ყაზახეთსა და სტავროპოლის მხარეში, ასევე, ირანში (დაახლ. 700 ათასი კ.), ავღანეთში (დაახლ. 350 ათასი კ.), თურქეთში (დაახლ. 120 ათასი კ.), ერაყში (დაახლ. 200 ათასი კ.). თურქმენულზე ლაპარაკობს მთლიანობაში 4 მლნ-მდე ადამიანი.

3. **უზბეკური** — უზბეკეთის სახელმწიფო ენა; (დედაქალაქი —

ტაშკენტი), უზბეკეთის გარდა, გავრცელებულია ყაზახეთში, ყირგიზეთში, ტაჯიკეთში, ავღანეთსა და ჩინეთში; სულ მოლაპარაკეთა რიცხვია 13,9 მლნ. მეთხუთმეტე საუკუნის დიდი უზბეკი მწერალია **ალიშერ ნავოი**.

4. **ყაზახური** (ძველად: ყაზახ-ყირგიზული) — ყაზახეთის სახელმწიფო ენა (დედაქალაქი — **ახტანა**); გავრცელებულია აგრეთვე უზბეკეთში, თურქმენეთში, ყირგიზეთში, ჩინეთში, მონღოლეთში, ირანში, ავღანეთში, პაკისტანსა და თურქეთში — სულ 8 მლნ.-მდე კაცი.

5. **ყირგიზული** (ძველად: ყარა-ყირგიზული) — სახელმწიფო ენა ყირგიზეთისა (დედაქალაქი — **ბიშკეკი**); ახლოსაა დგას ყაზახურ ენასთან. გავრცელებულია ძირითადად ყირგიზეთში, აგრეთვე — უბზეკეთში, ყაზახეთში, ჩინეთში, ავღანეთსა და პაკისტანში. სულ 2,4 მლნ. კ.

6. **ბაშკირული** — ბაშკირეთის (ცენტრი — ქ. **უფა**) მკვიდრი მოსახლეობის ენა. მასზე ლაპარაკობს 920 ათასი ადამიანი.

7. **ჩუვაშური** — (ჩუვაშეთი, ცენტრი — ქ. **ჩებოქსარი**, 1,43 მლ. კ.).

8. **თათრული** — გავრცელებულია თათარისტანში (დედაქალაქი — **ყაზანი**), აგრეთვე, ბაშკირეთში, ჩუვაშეთსა და რუსეთის ზოგიერთ სხვა ოლქში. თათრულ ენაზე ლაპარაკობს 5,4 მლნ. კ.

9. **იაკუტური** — აღმოსავლეთ ციმბირში, იაკუტიაში, ცენტრი — **იაკუტსკი**, დაახლ. 300 ათასი კ.

10. **თურქული** (1923 წლამდე — თურქეთის რესპუბლიკად გამოცხადებამდე, **ოსმალურიც** ერქვა) — თურქეთის სახელმწიფო ენა (დედაქალაქი — **ანკარა**); გავრცელებულია თურქეთის რესპუბლიკაში, აგრეთვე, რუმინეთში, ირანში, ერაყში, სირიაში, ყოფილი საბჭოთა კავშირის მიწა-წყალზე, საბერძნეთში, კვიპროსზე, ბულგარეთში... სულ თურქულად ლაპარაკობს 45 მლნ. კ.

იმავე წრეს ეკუთვნის **უმიკური** ენა (ძირითადად დაღესტანში, აგრეთვე, ჩეჩნეთში, ინგუშეთსა და ჩრდ. ოსეთში; 224 ათასი კ.), **ნოღაური**, გავრცელებული სტავროპოლის მხარეში, დაღესტანში, ჩეჩნეთში, ყარაჩაი-ჩერქეზეთში; 54 ათასი კ.; **გაგაუზური** ენა — უმთავრესად მოლდოველთში, ნაწილობრივ უკრაინაში, ყაზახეთისა და უზბეკეთის რამდენიმე სოფელში. სულ ამ ენაზე ლაპარაკობს 173 ათასი კ.; **ყარაჩაულ-ბალყარული**, გავრცელებული ყაბარდო-ბალყარეთსა და ყარაჩაი-ჩერქეზეთში, აგრეთვე, ნაწილობრივ, ყირგიზეთში, ყაზახეთსა და უზბეკეთში, სულ — 190 ათასი კ. და ალათაუს თურქ ტომთა ენა-კილოებში:

ალთაური ენა (1948 წლამდე ოიროტული ერქვა), მთის ალთაის, ყოფ. ოიროტთა ოლქში; ცენტრი: **გორნო-ალტაისკი** (ყოფილი ოიროტ-ტურა), მოლაპარაკეთა რაოდენობა 52 ათასი;

ყარაყალპაკური ენა (უზბეკეთში, ყარაყალპაკეთის ცენტრი — ქ. **ნუკუსი**; 290 ათასი კ.);

ხაკასური (ხაკასთა ავტონომიურ ოლქში, ცენტრი ქ. **აბაკანი**; 573 ათასი კ.);

ტუვიური ენა (ტუვა ენა) — ტუვის ავტონომიური რესპუბლიკის ენა (შდ. ენისეის სათავესთან, დედაქალაქი **კიზილი**), ნაწილობრივ გავრცელებულია, აგრეთვე, მონღოლეთსა და ჩინეთში, მოლაპარაკეთა რიცხვია 185 ათასი.

შორული ენა (კრასნოიარსკის მხარეში), — 9,8 ათასი კ.

ალთაურ ენათა უძველესი დოკუმენტაცია მოცემულია ორხონის წარწერებში (VII-VIII სს. ჩვენი წელთაღრიცხვისა).

11. **მონღოლური** ენა: ხალხა-მონღოლური ენა, მონღოლეთის სახელმწიფო ენა (დედაქალაქი — **ულან-ბატორი**), ნაწილობრივ გავრცელებულია ჩინეშთიც, სულ — 5 მლნ-მდე კ.

ბურიატულ-მონღოლური (ბურიატული) ენა — ბურიატ-მონღოლთა და შიდა მონღოლეთის მკვიდრთა ენა (ჩინეთში) — 353 ათასი კ.

მონღოლურ ენათა ჯგუფს განეკუთვნება **ყალმუხური** — ყალმუხთა (**ოირათთა**) ენა, გავრცელებულია ძირითადად ყალმუხეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ასტრახანის, ვოლგოგრადის, როსტოვის ოლქებსა და სტავროპოლის მხარეში, აგრეთვე — ყირგიზეთში, ისიქ-ქოლის ტბის მიდამოებში. ამ ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობა 134 ათას კაცს აღემატება.

თურქულ ენათა ჯგუფისაა აწ მკვდარი ენებიც: **უიგჩაყური** (მსგავსებას ავლენს ყარაიმულსა და ყუმიკურთან), **ხაზარული** (კავშირი ჩანს ჩუვაშურთან, ყარაიმულთან, ყუმიკურთან და აზერბაიჯანული ენის ჩრდილოურ დიალექტებთან), **ბაჭანიკური**...

§ 128. მანჯურიულ-ტუნგუსური ენათა ოჯახი. კორეული. იაპონური. ბალეოაზიური ენები. მანჯურიულ-ტუნგუსურ ენათა ოჯახში ორი ჯგუფი გაირჩევა: მანჯურიული და ტუნგუსური.

მანჯურიულის ჯგუფში შედის: საკუთრივ **მანჯურიული, გოლდური** ანუ **ნანაიური** (5,9 ათასი კ.), **უდეური** (480 კ.)...

ტუნგუსურ ჯგუფს შეადგენენ ენები: **ევენკური, ლამუტური** ანუ **ევენური** (7 ათასი კ.), **ნეგიდალური** (224 კ.).

ცალკე უნდა გამოიყოს შორეული აღმოსავლეთის ორი ენა: **კორეული და იაპონური.**

კორეული ენა — სახელმწიფო ენაა კორეის სახალხო დემოკრა-

ტიულ რესპუბლიკასა და სამხრეთ კორეაში. იგი გავრცელებულია აგრეთვე ჩინეთში, იაპონიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. კორეული ენა მანჯურიულ-ტუნგუსურ ენებთან ახლოს მდგომად ითვლება. მორფოლოგიური ტიპის მიხედვით კორეული ენა აგლუტინაციური ტიპისაა.

კორეულ ენაზე ლაპარაკობს 60 მილიონზე მეტი კაცი (ჩრდილო კორეაში — 18,8 მლნ., სამხრეთ კორეაში — 40, 47 მლნ. კაცი); ჩრდილო კორეის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქია **ფხენიანი;** სამხრეთ კორეის დედაქალაქი — **სეული**).

კორეულ ენაზე დამწერლობა არსებობს მეოთხე საუკუნიდან; თავდაპირველად ჩინური ნიშნები იხმარებოდა, XV საუკუნიდან კორეელებმა გამოიმუშავეს საკუთარი ანბანი.

იაპონური ენა — მორფოლოგიური ტიპის მიხედვით აგლუტინაციურია. დამწერლობა აქვს VIII საუკუნიდან. წარმოშობით რა ენებს უკავშირდება, ბოლომდე გარკვეული არ არის. იაპონურ ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვი იაპონიაში 121,5 მლნ-ია.

აღმოსავლეთ ციმბირში, ნახევარკუნძულ კამჩატკაზე, კუნძულ სახალინსა და კურილის კუნძულებზე ეხვდებით პატარა ხალხებს, რომელთა ენებიც არქაულ წყობას ამჟღავნებს. ამ ენებს უწოდებენ **პალეოაზიურ** (ე. ი. ძველისძველ აზიურ) ენებს.

პალეოაზიურ ენებს ეკუთვნის: ლ უ ო რ ა ვ ე ტ ლ ა ნ უ რ ი (ანუ ჩუკჩური— დაახლ. 11 ათასი კ.), ნ ი ვ ი ლ ა ნ უ რ ი (ანუ კორიაკული— 5,4 ათასი კ.), ე ტ ე ლ მ ე ნ უ რ ი (ანუ კამჩადალური — 200 კ.); შემდეგ: ო დ უ ლ უ რ ი (ანუ იუკაგირული — დაახლ. 250 ათასი კ.), ნ ი ვ ხ უ რ ი (ანუ გილიაკური — დაახლ. 1,3 ათასი კ.), კ ე ტ უ რ ი (700-მდე კ.), უ ნ ა ნ გ ა ნ უ რ ი (ანუ ალეუტური — 700-მდე კ.) და ე ს კ ი მ ო ს უ რ ი (ნაწილობრივ — ამერიკაშიც, სულ — 105 ათასი კ.).

გრამატიკული წყობის მხრივ პალეოაზიური ენები დიდ ინტერესს იწვევენ. წარმოშობითი ურთიერთობა გარკვეული არ არის. ამ მხრივ ახლოს დგას ერთმანეთთან: ლუორავეტლანური, ნივილანური და იტელმენური.

§ 129. იბერიულ-კავკასიური ენათა ოჯახი. იბერიულ-კავკასიური ენები — მონათესავე ენების წყებაა კავკასიაში; **ამჟამად** ყველა ეს ენა — ბასკურისა და უბიხური ენის გარდა, რომელიც 1864 წლიდან თურქეთში მთლიანად გადასახლებულ უბიხთა ენაა — გვხვდება კავკა-

სიაში, ისტორიულად კი ისინი ხეთურ-იბერიულ ენათა ოჯახის (იხ. ქვემოთ § 130) გადმონაშთს წარმოადგენენ.

ამ ენებს ჩვეულებრივად კავკასიურს უწოდებენ. „კავკასიური ენები" ირევა „კავკასიის ენებში". კავკასიის ყველა ენა როდია „კავკასიური" (ე. ი. იბერიულ-კავკასიური): კავკასიაში წარმოდგენილია ინდოევროპული ენები (რუსული, უკრაინული, სომხური, ოსური, თალიშური, თათური, ქურთული, ბერძნული...), ალთაური ენები (აზერბაიჯანული, ყუმიკური, ყარაჩაულ-ბალყარული, ნოღაური, თათრული, თურქმენული), სემიტური (სირიული, იგივე ასირიული ანუ აისორული)... ინდოევროპულ, ალთაურ, სემიტურ ენათა დიდი წილი კავკასიის გარეთ მოიპოვება, იბერიულ-კავკასიური ენები კი **ამჟამად** კავკასიის მიწა-წყალზე გვაქვს[24].

იბერიულ-კავკასიურ ენებს ნ.მარი უწოდებდა **იაფეტურს** (თუმცა ტერმინი „იაფეტური" ყოველთვის ამ გაგებით არ იხმარებოდა), ივ. ჯავახიშვილი ამ ენებს უწოდებდა — **ქართულ-შარომატულს,** ფრ. ჰომელი — **ალაროდიულს...**

ტერმინი „იბერიულ-კავკასიური" გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ მ ო მ ე ნ ტ ს ა ც აღნიშნავს და ი ს ტ ო რ ი უ ლ ვ ი თ ა რ ე ბ ა ს ა ც სათანადოდ გახაზავს: ეს არის კავკასიის ის ენები, რომლებიც იბერიულ ანუ ქართველურ ენებს ენათესავება; ქართველურ ენებზე ლაპარაკობს იბერიულ-კავკასიურ ენებზე მოლაპარაკეთა საერთო რაოდენობის თითქმის ორი მესამედი; ქართველური ენაა ქართული, ერთადერთი ძველი სამწერლო ენა იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის. „იბერიული" აკავშირებს ხეთურსა და კავკასიურს, ძ ვ ე ლ ი ს ტ ო რ ი ა ს ა და თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე ვ ი თ ა რ ე ბ ა ს (ძველად იბერები პირენეის ნახევარკუნძულზედაც იყვნენ ცნობილი).

---

[24] რუსეთის ჯერ ცარისტული და შემდგომ კომუნისტური რეჟიმის დროს, XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან მოყოლებული, კავკასიელი ხალხები რამდენჯერმე აყარეს თავიანთი მიწა-წყლიდან და უცხო ქვეყნებსა თუ მხარეებში გადაასახლეს სხვადასხვა დროს: **თურქეთსა და მის ოკუპირებულ შემადგენ ქვეყნებში** — უბიხები (მთლიანად), მაჰმადიანი ქართველები (შესხები, ჯავახები, აჭარლები), აფხაზები, აბაზები, ჩერქეზები (ადიღეელები), ყაბარდოელები, ინგუშები, ჩეჩნები და დაღესტნის ზოგი ხალხის ნაწილი; **შუა აზიაში:** მაჰმადიანი ქართველები (შესხები), ჩეჩნები და ინგუშები, რომელთა ნაწილი ახლაც სახლობს ყაზახეთში, უზბეკეთსა და ყირგიზეთში. დღეს კავკასიელ ხალხთა არცთუ უმნიშვნელო ჯგუფები ცხოვრობენ თურქეთში, სირიაში, ლიბანში, ისრაელში, იორდანიასა და საუდის არაბეთში... უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში აღნიშნულ ქვეყნებში მოსახლე კავკასიელთა ნაწილი გადასახლდა დასავლეთ ევროპის ზოგ ქვეყანაში. ამიტომ იბერიულ-კავკასიურ ენათა გავრცელების არეალი დღეს უკვე აღარ შემოიფარგლება მხოლოდ კავკასიით, როგორც ეს XIX საუკუნის დასაწყისში იყო (რედ.).

იბერიულ-კავკასიური ენები შედგება ოთხი ჯგუფისაგან; ეს ჯგუფებია:

1. **ქართველური** ანუ **იბერიული**
2. **აფხაზურ-ადიღური**
3. **ნახური**
4. **დაღესტნური.**

ქართველური ენებია: ქართული, ზანური და სვანური. ამათგან ქართული ენა სალიტერატუროც არის და დიალექტების სახითაც არის წარმოდგენილი. ზანური და სვანური უმწერლო ენებია.

ქართული სალიტერატურო ენა ყველა ქართველი ტომის მწიგნობრობის ენა იყო ისტორიულად და არის ამჟამადაც. ქართელი და აჭარელი, კახელი და იმერელი, თუში და მეგრელი, ხევსური და რაჭველი, ფშაველი და სვანი, ინგილო და ლაზი... ამ ენაზე სწავლობს სკოლაში, ამ ენას იყენებს კულტურული წინსვლის იარაღად. ასე იყო ეს მრავალი საუკუნის მანძილზე: არც სვანებს, არც მეგრელებსა და არც ჭანებს (ლაზებს) სხვა სამწერლო ენა არა ჰქონიათ. მეფის მთავრობის ცდა (მეცხრამეტე საუკუნის მეოთხმოცე წლებში) მეგრულად შემოეღო სწავლა სამეგრელოს სკოლებში და მით ქართული ენა სამეგრელოს სკოლიდან განედევნა, მარცხით დამთავრდა: თუ დედაენას ასწავლიდნენ ქართველ ბავშვს სკოლაში, ეს ენა ქართული იყო ყველა ქართველი ტომისათვის.

ქართულ **სამწერლო** ენას ძეგლებში დადასტურებული თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორია მოეპოვება; ქართული დამწერლობის ყველაზე ძველი ძეგლია **წარწერა ბოლნისის ხაონზე;** იგი თარიღდება მეხუთე საუკუნის დასასრულით (შიახლოებით 493/4 წ.). თარიღიანი უძველესი ხელნაწერი 864 წელს არის შესრულებული („სინური მრავალთავი") და დაცულია სინას მთაზე (არაბეთის ნახევარკუნძულზე) ქართველთა მონასტერში[25].

ქართული სამწერლო ენის განვითარებაში გაირჩევა ორი პერიოდი: ძველი ქართულისა (V—XI სს.) და ახალი ქართულისა (XII საუკუნიდან დღემდე). ახალი ქართულის ჩამოყალიბე-

[25] ბევრად ადრინდელია ხელნაწერთა ჩვენამდე მოღწეული ნაწყვეტები — პალიმფსესტები (ბერძ. palimpsēston < palin „ისევე, ხელახლა" და psaō „ვფხეკ; ვშლი") — ეტრატი, რომელზეც ძველი ტექსტი გადაფხიკეს და ახალი დაწერეს. ერთი მათგანია, მაგალითად, ქართულ-ებრაული პალიმფსესტის ფურცლები (დაცულია ოქსფორდსა და კემბრიჯში), რომლებიც VI-VII საუკუნეების მიჯნაზე იერუსალიმში შექმნილი ქართული ხელნაწერის ფრაგმენტებია. XI ს-ში ხელნაწერი გამოუყენებიათ ებრაული თალმუდისათვის (რედ.).

ბა მეთორმეტე საუკუნიდან იწყება საერო მწერლობის ძეგლებში; მეთვრამეტე საუკუნისათვის ეს პროცესი დამთავრებულია: დავით გურამიშვილის „დავითიანი“ და სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“ უდავოდ ახალი სალიტერატურო ქართულის ნიმუშს წარმოადგენს.

მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში და მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის მანძილზე — მთელი საუკუნის განმავლობაში — ანტონ პირველის სკოლის ხელოვნური ნორმები ზღუდავდა ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებას. ანტონის სკოლის გავლენა აღიკვეთა მეცხრამეტე საუკუნის მესამოცე წლებიდან მწვავე ბრძოლის შედეგად, რომელიც გაიმართა ილია ჭავჭავაძესა და ანტონ პირველის მიმდევართა შორის. ილია ჭავჭავაძის გამარჯვება ახალი სალიტერატურო ქართული ენის გამარჯვება იყო, ამ ენის კანონიერ უფლებათა აღდგენას მოასწავებდა. ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარების გაწყვეტილი ხაზი ამ დროიდან გამრთელდა.

ახალი სალიტერატურო ენის ისტორიას ხშირად მეცხრამეტე საუკუნის მესამოცე წლებიდან ანგარიშობენ; წინა საუკუნეებს (XII—XIX სს.) **„ხაშუალო ქართულის“** სახით გამოყოფენ. საქმის ვითარებას ასეთი გაგება არ შეეფერება. ახალი ქართულისა და ძველი ქართულის გვერდით ვერ დავაყენებთ XII—XVI საუკუნეთა ქართულს; მას **დამოუკიდებელი** სახე არა აქვს არც გრამატიკული წყობისა და არც ძირითადი ლექსიკური ფონდის მხრივ, ე. ი. არც ერთი იმ მომენტის მიხედვით, რაც ენის საფუძველს ქმნის. XII—XVI სს. ქართული შემზადებაა ახალი ქართულისა. ამ შემზადების პერიოდს მეჩვიდმეტე საუკუნეს აქეთ ვერ გადმოვწევთ. მას, როგორც **გარდამავალ** საფეხურს, ცალკე პერიოდად — ძველი და ახალი ქართულის გვერდით — ვერ გამოვყოფთ.

ქართული სამწერლო ენა ერათდერთი იბერიულ-კავკასიური ენაა, რომელსაც **დიდი ხნოვანების ძეგლებში დამოწმებული ისტორია მოეპოვება.** სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა დოკუმენტაცია მე-18 საუკუნეს იქით არ მიდის (ბასკურ ენას მწერლობა მეთექვსმეტე საუკუნიდან აქვს). ამ მხრივ **ქართული ენის მონაცემებს ძვირფასი საკონტროლო ხაშუალების როლი ენიჭება იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლის პროცესში.**

ქართული სამწერლო ენის, კერძოდ, ძველი ქართულის, ფასდაუდებელი ჩვენება, სამწუხაროდ, ჯერჯერობით მეტად სუსტადაა გამოყენე-

ბული იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიისათვის.

ქართული ენა მდიდარია **კილოებით.** ქართული ენის კილოებია: ქართლური მესხურ-ჯავახურითურთ, კახური, მთიულური, მოხეური, თუშური, ფშაური, ხევსურული, — აღმოსავლეთ საქართველოში; გურული, აჭარული, იმერული, რაჭული და ლეჩხუმური — დასავლეთ საქართველოში; საქართველოს ფარგლებს იქით: **ონგოლოური** (აზერბაიჯანში, კახის რაიონის ზაქათალის აღმოსავლეთით); **ემერხეული** — შავშეთში (თურქეთის მიერ მიტაცებულ მიწა-წყალზე); **ფერეიდნული** — ირანში (ისფაჰანის მხარეში, თეირანის სამხრეთით 150-ოდე კილომეტრის დაშორებით); აქ 14 ქართული სოფელია; საქართველოდან შაჰაბაზის მიერ XVII საუკუნის დასაწყისში აყრილი კახური მოსახლეობის შთამომავალთ ქართული მეტყველებაღა დარჩათ ძველი სამშობლო მხარის მოსაგონრად.

ქართული სოფლები **მოზდოკის** რაიონშიც (ჩრდილო კავკასიაში) მოიპოვებოდა: ეს სოფლები ქართველი მთიელებისა იყო; უმიწობის გამო გადასახლებულან. ქართული აქ დავიწყებას ეძლევა (ამჟამად კარაჩაევსკის, ყოფილი ქლუხორის, რაიონში არიან გადმოსული).

ზანური პირობითი სახელია იმ ენისა, რომლის კილოებსაც **ჭანურიცა** და **მეგრულის** სახელწოდებით ვიცნობთ. ეს პირობითი სახელი ნებისმიერი არაა: სვანები (აგრეთვე ყაბარდოელები) მეგრელებს ახლაც **ზანებს** უწოდებენ. **ხაზანო, ზანა, ზანათი** იმერეთსა და სამეგრელოში სოფლების სახელებია დღემდე. ზანი-ტომის არსებობა ამრიგად ფაქტია. ეს ტომი ერთ-ერთი იმ ტომთაგანი უნდა ყოფილიყო, რომლის მემკვიდრეებსაც ახლანდელი ლაზები და მეგრელები უნდა წარმოადგენდნენ.

მეგრული მეტყველება ამჟამად ცხენისწყლის დასავლეთით იწყება და მდ. ღალიძგამდისაა (სამურზაყანოში) გავრცელებული.

მეგრულის კილოკავებია: **ხენაკური** და **ზუგდიდურ-სამურზაყანული.** თხუთმეტიოდე საუკუნის წინ მეგრული მეტყველება აღმოსავლეთით აღწევდა შორაპან-ჩხარის ხაზამდე. **ოკრიბა, წყალტუბო** (=წყალ-თბილი) და არაერთი სხვა გეოგრაფიული სახელწოდება მოწმობს, რომ ზანური მეტყველება ძველად აქ გავრცელებული ყოფილა.

ჭანური (ანუ ლაზური) შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ ჭანთა (**ლაზთა**) მეტყველებაა. პირველი ჭანური სოფელია **ხარფი,** ბათუმიდან 18-ოდე კილომეტრის დაშორებით (თურქეთის საზღვარზე), სამხრეთ-დასავლეთით ჭანური მეტყველება ს. ქემერამდე აღწევს. მეჩვიდმეტე საუკუნეში, როგორც ამას მისიონერი ლუი გრანჟიეს წერილი გვა-

უწყებს, **რიზეშიც** კი ჭანური მეტყველება ისმოდა. ძველად ჭანეთი ტრაპიზონს სცილდებოდა (დასავლეთით).

ბევრი ჭანი გაბერძნდა, ბევრი გაათურქეს (XVI საუკუნიდან). ულმობელი თურქიზაციის პირობებში ჭანებმა შეინარჩუნეს თავიანთი ეთნიკური ვინაობის შეგნება, ენა, ჩაცმულობა, ბევრი ადათ-წესი.

ჭანური კილოკავებია: **ხოფური, ვიწურ-არქაბული** და **ათინური.**

ჭანური მეტყველება ყველაზე უკეთ დაცულია არქაბეში; ყველაზე მეტად შერყეულია **ათინაში** (სამხრეთ-დასავლეთის კიდეზე).

ხოფელი და ათინელი ყოველთვის ვერ გაუგებენ ერთმანეთს დაუბრკოლებლად.

ჭანური და მეგრული ერთი ენის ორი კილოა; ამას ცხადყოფს: ფონეტიკური სისტემა, მორფოლოგიური წყობა, ლექსიკის ძირითადი მარაგი[26].

ნ. მარი ჭანურს ცალკე ენად თვლიდა, ცალკე ენად თვლიდა მეგრულსაც. საამისო დებულება მან წამოაყენა 1910 წ. „ჭანური ენის გრამატიკაში"[27].

1914 წელს გამოვიდა იოსებ ყიფშიძის „მეგრული ენის გრამატიკა". ამ წიგნის რეცენზიაში ნ.მარი ამბობს: მკაცრი ენათმეცნიერული თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, ჭანური და მეგრული **ერთი ენის ორი კილოა,** რომელიც ერთმანეთს დაშორდა ცალკე ენის მდგომარეობამდეო.

შემდეგში კი ნ. მარი მაინც ისევ ორ ენად მიიჩნევდა მეგრულსა და ჭანურს, თუმცა საამისო საბუთები არ მოუყვანია.

ჭანური და მეგრული ისე ახლოს დგას ერთმანეთთან, როგორც, მაგალითად, ხევსურული და გურული; როგორც ეს ორი უკანასკნელი ვერ ჩაითვლება ცალკე ენებად, ისე — ჭანური და მეგრული. ჭანური და მეგრული ისეთივე ორი კილოა ერთი ენისა, როგორც ხევსურული და გურულია ქართული ენის კილო.

შესაბამისად, ქართველურ ენათა ჯგუფში სამი წევრი გამოიყოფა: **ქართული, ზანური** და **სვანური** (და არა ოთხი: ქართული, მეგრული, ჭანური, სვანური).

სვანური ენა ოთხი კილოსაგან შედგება; ეს კილოებია: ბ ა ლ -

---

[26] დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ავტორის — „ჭანურის გრამატიკული ანალიზი" (1936), გვ. 190-206.

[27] Н. Марр. Грамматика чанского (лазского) языка, 1910, გვ. XII.

სზემოური[28], ბალსქვემოური, ლაშხური და ლენტეხური (ა. შანიძე). პირველი ორი ენგურის ხეობაშია, ორი დანარჩენი — ცხენისწყლისაში.

სვანური ენის დიალექტები ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდება. განსხვავება, პირველ ყოვლისა, ფონეტიკაში იგრძნობა („გრძელი ხმოვნები", უმლაუტი, ხმოვანთა ამოღება, ე. ი. ფუძეთა შეკვეცა თუ შეუკვეცაობა); შემდეგ მოდის სხვაობა ბრუნება-უღლილებასა და ლექსიკაში.

სვანურის შემადგენლობაში გამოირჩევა: ზანური ფენა, ადიღეური (ჩერქეზული) ფენა, ძველი ქართულის დამახასიათებელი ერთი ფენა. ქართველურმა საწყისმა გაიმარჯვა ადიღეურზე.

სვანურ ენას ქართველურ ენათა **ისტორიის თვალსაზრისით** განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ მას ძველი ქართული თუ შეედრება.

ტერმინი **ქართველური ენები** იხმარება უკვე ალ. ცაგარელის შრომებში; საენათმეცნიერო ლიტერატურაში ის დამკვიდრდა ჰუგო შუხარდტის შრომათა მეოხებით. ალ. ცაგარელი ამ ენებს უპირატესად **იბერიულს** უწოდებდა (X/X საუკუნის სამოცდამეათე წლებში). აკ. შანიძემ ერთ წერილში[29] სცადა ეხმარა ახალი ტერმინი „**ქამესური** ენები" (=ქართულ-მეგრულ-სვანური). შემდეგში ამ ტერმინს არა ვხვდებით.

აფხაზურ-ადიღური ჯგუფი შედგება ხუთი ენისაგან: **აფხაზურის, აბაზურის, ადიღეურის** (ანუ **ჩერქეზულის**), **უაბარდოულისა** და **უბიხურისაგან.**

აფხაზთა ძირითადი მასა (დაახლოებით 86 ათასი კაცი) ცხოვრობს აფხაზეთში (ცენტრი — ქ. სოხუმი).

ამჟამად აფხაზური ენის კილოებია: 1. **ბზიფური** (სოხუმის ჩრდილო-დასავლეთით), 2. **ახეუური** (შდ. კოდორზე). წინათ აფხაზური ენის დიალექტები გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო.

აფხაზური დამწერლობა მეცხრამეტე საუკუნეში შეიქმნა. იგი პირველად რუსული გრაფიკის საფუძველზე შემუშავდა, შემდეგ, 1926-1928 წლებში, იყენებდნენ ნ. მარის ანალიზურ, ხოლო 1928-1938 წლებში — ლათინიზებულ ანბანს; 1938-1954 წწ. მოქმედებდა ქართული ანბანის ნიადაგზე ჩამოყალიბებული ანბანი, 1954 წლიდან ძირითადად

[28] ბალ — მთის სახელია ზემოსვანეთში, ენგურის ხეობაში.
[29] „წელიწადის ეტიმოლოგიისათვის". — „წელიწდეული" I-II (1925 წ.).

რუსული გრაფიკის საფუძველზე შემუშავებული ანბანი იხმარება.

აფხაზურს ბრუნება არა აქვს, უღვლილება კი მეტად რთულია; ზმნაში აღინიშნება სუბიექტი, ობიექტი (ერთი ან ორი), დრო, კილო, ადგილი (მოქმედებისა)... ზმნა თავს უყრის მთელ წინადადებას ელემენტების (ფორმანტების) სახით. თუმცა აფხაზური აგლუტინაციური წყობისაა, მასში პოლისინთეზურობის გარკვეული ელემენტებიცაა წარმოდგენილი. აფხაზურ სიტყვებს — უპირატესად სახელებს — თვალსაჩინო ფონეტიკური ცვლილება აქვთ გამოვლილი (უმთავრესად ბოლოკიდური ბგერების მოკვეცისა და სიტყვის შიგნით ხმოვნების ამოვარდნის სახით). მორფოლოგიური სტრუქტურა კი აფხაზურს ძველი დაუცავს.

აბაზური იმდენად ახლოს დგას აფხაზურთან, რომ ერთ დროს მის დიალექტადაც ითვლებოდა. აბაზები ცხოვრობენ ჩრდილო კავკასიაში, ყარაჩაეთ-ჩერქეზეთში. ამ ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვი 27 ათასს აღემატება. აქვს ორი დიალექტი: ტაპანთური და აშხარული. პირველი სალიტერატურო ენას უდევს საფუძვლად, მეორე ფონეტიკური სისტემითა და გრამატიკული წყობით ძალიან უახლოვდება აფხაზურს.

ადიღეურში (ანუ **ჩერქეზულში**) განასხვავებენ **ქვემო ადიღეურს** (ანუ კაბახურს) და **ზემო ადიღეურს** (ანუ **ყაბარდოულს**). სპეციალურ ლიტერატურაში ხშირად „ადიღეურს" ხმარობენ ქვემო ადიღეურის აღსანიშნავად, ზემო ადიღეურს მარტივად „ყაბარდოულს" უწოდებენ. ასეთ შემთხვევაში „ადიღეური" და „ყაბარდოული" უპირისპირდება ერთმანეთს.[30] ნამდვილად კი **ადიღეური** გვაროვნული ცნებაა და **მოიცავს როგორც ზემო, ისე ქვემო ადიღეურს.** თუ შეპირისპირებაზე მიდგება საქმე, **ყაბარდოული** და **კაბახური** (ე.ი. ზემო და ქვემო ადიღეური) უნდა შევუპირისპიროთ ერთმანეთს.

ამჟამად ადიღეური და ყაბარდოული ორ ენად განიხილება, რომელთაც თავ-თავისი სალიტერატურო ენები აქვთ. ადიღეური ძირითადად გავრცელებულია ადიღეში (ცენტრი — ქ. მაიკოპი), მასზე ლაპარაკობს 104 ათასი კაცი; ყაბარდოული — ყაბარდო-ბალყარეთში (ცენტრი — ქ. ნალჩიკი) და ჩერქეზეთში (ცენტრი — ქ. ჩერკესკი). ყაბარდოულად ლაპარაკობს 370 ათასი ადამიანი.

ქვემო ადიღეური რიგ დიალექტს განასხვავებს; მთავარი დიალექტებია: ა ბ ძ ა ხ უ რ ი, შ ა ფ ს უ ღ უ რ ი, ჰ ე მ გ უ უ რ ი, ბ ჟ ე დ უ ღ უ რ ი... ყაბარდოულში დიალექტთა სხვაობა ისე ხელშესახები

[30] გვაროვნულ ცნებად ასეთ შემთხვევაში გამოყენებულია „ადიღური", განსხვავებით ადიღეურისაგან, რაც ხელოვნურია.

არაა. ყაბარდოულთან ახლოს დგას **ბახლენურია.**

ისტორიულად ადიღე ძლიერი ხალხი იყო. ჯერ კიდევ მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისში მას ეკავა აზოვის ზღვის მთელი აღმოსავლეთი სანაპირო. მეცხრამეტე საუკუნის ოცდამეათე წლებში მარტოოდენ შაფსუღთა რიცხვი 200 ათასს აღწევდა.

1864 წ. დიდძალი ადიღე (ჩერქეზი) გადასახლდა თურქეთში (ამ სამოცდაათიოდე წლის წინათ, თვით თურქული სტატისტიკის თანახმად, მხოლოდ თურქეთის ქალაქებში 130 ათასი ჩერქეზი ცხოვრობდა).

ადიღეური არსებითად იმავე სტრუქტურის ენაა, როგორიც აფხაზური; სიახლოვე თვალსაჩინოა ზმნაში. სახელს ადიღეურში ბრუნება გასჩენია. გრამატიკული კლასები მოშლილია.

უბიხური ენა — აფხაზურ-ადიღეური ჯგუფის მეხუთე წევრი — ამჟამად კავკასიაში აღარ მოიპოვება. 1864 წელს უბიხთა ტომი მთლიანად გადასახლდა თურქეთში. იქ უბიხთა მოსახლეობა შერჩენილია ქ. იზმირის მიდამოებში.

ნახურ ენათა ჯგუფი მოიცავს **ჩეჩნურს, ინგუშურსა და ბაცბურს.**

ჩეჩნური ენა გავრცელებულია ჩეჩნეთში (ცენტრი — ქ. გროზნო), ინგუშეთში, დაღესტანსა და შუა აზიაში. ამ ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვი 760 ათასია.

ინგუშები ჩეჩნების მოძმე ხალხია. ისინი საბჭოთა კავშირში რუსეთის ფედერაციის ერთ ადმინისტრაციულ ერთეულს ქმნიდნენ (ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონ. ოლქს — 1934 წლიდან, ავტონ. რესპუბლიკას — 1936 წლიდან). 1943-44 წლებში ინგუშები გადაასახლეს შუა აზიასა და ყაზახეთში. მშობლიურ ადგილებში დააბრუნეს 1957 წელს.

ნახური ჯგუფის ენები საქართველოში წარმოდგენილია **ბაცბურის** ანუ **წოვათუშურისა** და **ქისტურის** სახით.

წოვათუშური უმწერლობო ენაა, რომელიც გავრცელებულია ახმეტის რაიონის სოფ. **ზემო ალვანში.** მასზე ლაპარაკობს 3 ათასი კაცი.

ქისტების გადმოსახლება საქართველოში XVII საუკუნიდან დაიწყო და XIX საუკუნის 60-იან წლებამდე გაგრძელდა. ისინი კომპაქტურად არიან დასახლებული პანკისის ხეობის 3 სოფელში. ეს სოფლებია: **ომალო, დუისი, ჯოყოლო** (ახმეტის რ., კახეთი).

ბაცბურში შემორჩენილია ნახური ჯგუფის ენათა არაერთი დამახასიათებელი ძველი მოვლენა. წოვათუშები და პანკისის ქისტები ქართულ ენას ფლობენ ისე, როგორც დედაენას. სკოლებში ქართულად

სწავლობენ. გვარებიც ქართული აქვთ.

დაღესტნის იბერიულ-კავკასიური ენების ჯგუფი სამ ქვეჯგუფად იყოფა; ეს ჯგუფებია:

1. **ხუნძურ-ანდიურ-დიდოური** ქვეჯგუფი,
2. **დარგუული და ლაკური** ქვეჯგუფი,
3. **ლეზგიური** ქვეჯგუფი.

ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ქვეჯგუფებში შედის:

ხუნძური (ანუ ავარიული) ენა და ანდიური ხეობის ენა-კილოთა წყება: ანდიური, ბოთლიხური (ღოდობერიული კილოთი), კარატაული, ტინდიური, ჰამალური, ახვახური, ხვარშიული, ბაგვალური (ანუ კვანადური), დიდოური და კაპუჭური.

ხუნძური ყველაზე გავრცელებული ენაა დაღესტნის იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის. მთელ დასავლეთ დაღესტანში ესაა ურთიერთობის საშუალება ანდიური ხეობის ენა-კილოებზე მოლაპარაკე ტომთათვის. ხუნძურად მოლაპარაკეთა საერთო რაოდენობა 472 ათასს აღწევს.

ხუნძების სარაიონო ცენტრებიდან შეიძლება დავასახელოთ **ხუნძახი** და **ღუნიბი**[31].

ხუნძური ენა გადაჭრის მთელ დაღესტანს ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ, და ბარში აზერბაიჯანის მიწა-წყალზე რიგი სოფლებითაა წარმოდგენილი (ჭარ-ბელაქნის ლეკობა ხუნძებია).

ხუნძურის დიალექტებია: **ხუნძახური** (ჩრდილოური), **ჰიდურ-ანდალალურ-ყარახული, ანწუხური** და **ჭარული** (აზერბაიჯანში).

ხუნძური სამწერლო ენა ჩრდილოურ დიალექტზეა (ჭირკეულ კილოკავზე) აღმოცენებული. ამჟამად მასში გზა გაუხსნეს ანდალალის მეტყველების თავისებურებებსაც, ე. ი. სამხრული წრის დიალექტებსაც.

დაღესტანში გამოვლენილია XIV-XV საუკუნეებში შესრულებული ხუნძური წარწერები, რომლებიც ემყარება ქართულ ანბანს.

დარგუული ენა (ერთ-ერთი რაიონული ცენტრი — ლევაში) სამი დიალექტითაა წარმოდგენილი; ეს დიალექტებია: ჰურახული, ახუშური და წუდახარული, აგრეთვე კუბაჩური და ხაიდაკური ანუ კაიტაღური (ამ ორ უკანასკნელს ჩვეულებრივ

[31] ძველად მოთარეშე ლეკთა ჯარში ხუნძური საერთო ენად ითვლებოდა. ამის მიხედვით ეწოდება ხუნძურს ბოლ მაწწ — „ჯარის ენა".

ცალკე ენად თვლიან).

თანამედროვე სამწერლო დარგუულ ენას საფუძვლად უდევს **ახუშური** დიალექტი. დარგუულ ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვი 32(ათასს აღწევს.

ლაკური ენა ხუნძურს, დარგუულსა და ლეზგიურ ენებს შორისაა მოქცეული შუაგულ დაღესტანში. ლაკურში დიალექტური სხვაობა სუსტადაა წარმოდგენილი. სხვაობა კილოკავის ფარგლებს არ სცილდება. ეს კილოკავებია: ვიცხიური, ღუმუხური, ვიხლიური და სხვ. ლაკების რიცხვი 100 ათასამდე ადის (ადმინისტრაციული ცენტრი — ყუმუხი).

დაღესტნურ ენათა შორის ლაკური მეტისმეტად საინტერესოა (განსაკუთრებით — ზმნა) და მისი ჩვენება იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიისათვის მნიშვნელოვანია.

დარგუული და ლაკური გრამატიკული წყობის მიხედვით ერთგვარად გარდამავალი საფეხურია ხუნძურსა და ლეზგიურს შორის.

ლეზგიურ ენაზე (უსლარის ტერმინით **„კიურული“** ენა) 347,6 ათასამდე კაცი ლაპარაკობს. ლეზგიური გავრცელებულია სამურის ხეობაში.

ლეზგიურთან ახლოს დგას: **წახურული, რუტულური** და **აღულური.**

ცალკე უნდა აღინიშნოს: **თაბასარანული** ენა (დაღესტანში), ხინალუღური, ბუდუხური და კრიწული (აზერბაიჯანში — შაჰდაღის მთებში).

ლაკურისა და ხუნძურის გარემოცვაშია **არჩი** ენა (ერთ აულში — არჩიბში).

აზერბაიჯანში ნუხის მახლობლად ორ სოფელში — **ნიჯხა** და **გართაშენში** — დაცულია **უდური** ენა. ვართაშენელთა ნაწილი კახეთში გადმოსახლდა ამ ოთხმოცი წლის წინათ და ყვარლის რაიონში სოფ. ოქტომბერი დაიარსა.

უდურის სახით ძველი ალბანეთის ერთ-ერთი გადმონაშთი ენა უნდა გვქონდეს.

დაღესტნის ყველა ენაში ბრუნება კარგადაა განვითარებული. კერძოდ, აღსანიშნავია თანდებულიან ბრუნვათა სიმრავლე. ზმნა ფორმებით ღარიბია, მეტადრე აფხაზურთან შედარებით. გრამატიკული კლასები კარგად დაუცავს ხუნძურს, დარგუულს, ლაკურს, წახურულს, რუტულურს, არჩიბულს, თაბასარანულსაც... ლეზგიურსა, უდურსა და აღულურში ეს კატეგორია მ ო შ ლ ი ლ ი ა.

ფონეტიკურ სისტემაში აღსანიშნავია ლატერალები (გვერდითი წარმოების თანხმოვნები) ხუნძურში, არჩიბულში...

ხუნძური, დარგუული, ლაკური, ლეზგიური და თაბასარანული სამწერლო ენებია[32].

დაღესტნის ადმინისტრაციული ცენტრი მეფის მთავრობის დროს იყო **თემირ-ხან-შურა** (ახლანდელი **ბუინაქსკი**), ახლა — ქ. **მახაჩყალა**[33] (ყოფ. პეტროვსკი, კასპიის ზღვის სანაპიროზე).

იბერიულ-კავკასიური ენები დიდად **განსხვავდებიან ერთმანეთისაგან;** ზოგჯერ ეს სხვაობა მორფოლოგიური ტიპის სხვაობამდე მიდის; ვთქვათ, აფხაზური და ლეზგიური; აფხაზურს ბრუნება არა აქვს, ზმნაში იყრის მთელი წინადადება თავს, ლეზგიურის ბრუნება საკმაოდ მდიდარია ფორმებით, ზმნა კი ღარიბია; არც პირი, არც კლასი, არც რიცხვი ზმნის ფორმებში არ აისახება. უღვლილება დრო-კილოთა ცვლაშიღა მდგომარეობს. ქართულს საშუალო ადგილი უჭირავს ამ ორ უკიდურეს სახეობას შორის: აქ ბრუნებაც განვითარებულია და უღვლილებაც; უკანასკნელის როლი სჭარბობს პირველისას.

ამ სხვაობისდა მიუხედავად, რაც უფრო ღრმად ჩავწვდებით იბერიულ-კავკასიურ ენათა განვითარების ისტორიას, მით უფრო ახლოს აღმოჩნდებიან ეს ენები ერთმანეთთან, მით უფრო მეტი **საერთო მოშენტი** აღმოაჩნდება ისტორიულ-შედარებითი შესწავლის შედეგად ამ ენების გრამატიკულ წყობასა და ძირითად ლექსიკურ ფონდს. ეს **საერთო მოვლენებია ბირველადი, სხვაობა — მეორეულ მოვლენას წარმოადგენს,** სხვაობა გაჩნდა იმ რთული ისტორიული განვითარების შედეგად, რაც ამ ენებმა განიცადეს.

იბერიულ-კავკასიური ენების შესწავლის თანამედროვე საფეხურზე შეიძლება მივუთითოთ რიგ ნიშან-თვისებაზე, რაც ისტორიულად საერთო უნდა ყოფილიყო ყველა იბერიულ-კავკასიური ენისათვის.

ასეთია, სახელდობრ:

თანმხოვანთა სიმდიდრე[34] და ხმოვანთა სიმცირე; იგი ყველა იბერიულ-კავკასიურ ენაში დემონსტრაციულად ჩანს. თანხმოვნებში აღსანიშნავია **მკვეთრთა წყება** (ყველა იბერიულ-კავკასიურ ენაში): **პ, ტ,**

---

[32] რამდენიმე წლის წინ კიდევ სამი დაღესტნური ენა (აღულური, წახური, რუთულური) გახდა სამწერლო (რედ.).

[33] სიტყვასიტყვით „მახაჩის ქალაქი" — ეს სახელი დაერქვა რევოლუციონერის, დარგუელი ინჟინრის მახაჩ დახადაევის პატივსაცემად (დახვრიტეს თერთგვარდიელებმა).

[34] ხუნძურში 47 ფონემა გვაქვს (ამათში მხოლოდ ექვსია ხმოვანი); აფხაზურის ტაპანთურ დიალექტში მარტოოდენ თანხმოვანთა რიცხვი აღწევს 80-ს.

ძ, წ, ჭ, ჳ.

მორფოლოგიაში ხაზგასასმელია: **სახელისა და ზმნის ხუსტი დიფერენციაცია;** ამის გამოხატულებაა ერთი და იმავე აფიქსების გამოყენება სახელებსა და ზმნაში (მაგ., რიცხვის აღსანიშნავად).

2. **ბრალდებითი ბრუნვის** (აკუზატივის) **უქონლობა** (მხოლოდ უდურში გვაქვს, ისიც მიცემითის დერივატია) და **სპეციფიკური ბრუნვის** მქონეობა **მოქმედის** აღსანიშნავად **გარდამავალ** ზმნებთან; ესაა **მოთხრობითი** ქართული ენისა, ერგატივი („მოქმედი") მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა.

3. გარდამავალი ზმნა **ერგატიულ კონსტრუქციას** იძლევა (მოქმედი სახელი მოთხრობითში დაისმის)[35]. აფხაზურს ბრუნვები არა აქვს, მაგრამ ზმნის უღვლილება განასხვავებს ერგატიულ კონსტრუქციას ნომინატიურისაგან.

4. მოქმედებითი და ვნებითი გვარი მხოლოდ ქართველურ ენებშია სისტემატურად ჩამოყალიბებული (და აქაც ეს მეორეული, შედარებით ახალი მოვლენაა). მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში ზმნის **გვართა კატეგორია** ახლა ისახება.

5. გარჩეულია გრამატიკული კლასები **ადამიანისა** და **ნივთისა** (პირველში გამოიყოფა კაცი და ქალი). რიგ ენას მოშლია ეს კატეგორია; ასეთია, მაგ., ქართველური ენები, ადიღეური, ლეზგიური, უდური, მაგრამ ამ კლასების არსებობა ჩვენს ენებში ძველად ეჭვმიუტანლად დასტურდება.

6. სიტყვის ძირი შედგება ერთი თანხმოვნისაგან, რომელსაც დეტერმინატიული სუფიქსი დაერთვის.

რა ენებს უკავშირდება წარმოშობით იბერიულ-კავკასიური ენები? ამის თაობაზე სხვადასხვა დროს სხვადასხვა აზრი გამოთქმულა.

ჯერ კიდევ მარი **ბროსემ** წამოაყენა დებულება (1834 წ.) — **ქართული ენა ინდოევროპულ ენებთანაა ნათესაური კავშირშია.**

ათიოდე წლის შემდეგ ფრ. **ბოპმა** („ინდოევროპულ ენათა ოჯახის წევრები კავკასიაში", 1847 წ.)[36] სცადა დ ა ე მ ტ კ ი ც ე ბ ი ნ ა — **ქართველური ენები ინდოევროპულ ენათა** ოჯახს ეკუთვნიანო.

ფრ. ბოპის ეს შრომა მოხსენებად იყო წაკითხული ბერლინის მე-

---

35 ასეთი კონსტრუქცია არ იცის არც ევროპის ენებმა, არც სემიტურმა და არც თურქულ-მონღოლურმა.

36 Fr. Bopp. "Die kaukasischen Glieder des indoeuropeischen Sprachstammes", Berlin, 1847. სათანადო მოხსენებები წაკითხული იყო 1842 და 1845 წწ.

ცნიერებათა აკადემიაში. მაგრამ ვერც ამ მაღალმა ტრიბუნამ, ვერც ფრ. ბოპის დიდმა ავტორიტეტმა ვერ გაუკაფეს გზა წამოყენებულ დებულებას. ერთადერთი **შედეგი,** რაც ფრ.ბოპის ცდას მოჰყვა, იყო **უარყოფითი:** ამის შემდეგ არავის უცდია ემტკიცებინა ჩვენი ენების ნათესაობა ინდოევროპულ ენებთან. ფრ. ბოპის მტკიცება დამაჯერებელი არ იყო; ბუნებრივი იყო ეფიქრათ: რაკი ფრ.ბოპმაც კი ვერ დაამტკიცა ქართველური ენების ნათესაობა ინდოევროპულ ენებთან, ჩანს, ეს დებულება უსაფუძვლო ყოფილაო...

კიდევ ერთი ათეული წლის შემდეგ (1855 წ.) ინგლისელმა მეცნიერმა მაქს მიულერმა გაკვრით აღნიშნა — **კავკასიური ენები** (და მათ შორის ქართველურიც) თურანულ (ე. ი. ალათაურ) ენათა ოჯახის შორეულად მონათესავე წევრებიაო.

ავსტრიელმა ენათმეცნიერმა ფრიდრიხ მიულერმა 1864 წელს წამოაყენა დებულება, **კავკასიური ენები ამჟამად განმარტოებით მდგომი ჯგუფია**[37] (ისევე, როგორც ბასკური ენაო). სხვა ამჟამად ცნობილ ენათა ოჯახებთან ნათესაურ კავშირში ენათა ეს ჯგუფი არ იმყოფება, **კავკასიური ენები ნაშთია** ენათა ოჯახისა, რომელიც კავკასიაში და კავკასიის სამხრეთით იყო **ფართოდ გავრცელებული** ჯერ კიდევ მანამ, სანამ აქ ინდოევროპული და სემიტური ენები გაჩნდებოდაო.

ფრ. მიულერის ამ აზრის მხურვალე დამცველი იყო ჩვენში პროფ. ალ. ცაგარელი, რომელიც **მოუცილებლად თვლიდა ქართულის, ჰანურ-მეგრულისა და სვანურის ისტორიული გრამატიკისა და შედარებითი ლექსიკონის დამუშავებას:** ამის გარეშე შეუძლებელია ჩვენი ენების სხვა ენებთან ნათესაური ურთიერთობა ვეძიოთო.

1888 წელს გაზ. „ივერიაში" გამოქვეყნდა წერილი: „ბუნება და თვისება ქართული ენისა"; მისი ავტორი, პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სტუდენტი ნიკო მარი გადაჭრით ამბობდა: „ქართული სემიტურ ენებს ენათესავებაო".

ოცი წლის შემდეგ, 1908 წელს გამოვიდა იმავე ავტორის, უკვე პროფესორის, გამოკვლევა: „ძველი ქართულის ძირითადი ტაბულები წინასწარი ცნობებით ქართული ენის სემიტურ ენებთან ნათესაური ურთიერთობის შესახებ". აქ ქართული, ჰანურ-მეგრული და სვანური წო-

[37] ამავე აზრისა იყვნენ: ავგ.შლაიხერი, ა. ფ. პოტი, კ. რ. ლეფსიუსი, ფ. შპიგელი.

დებულია **„იაფეტურ შტოდ“** ნოეტურ ენათა ოჯახისა; იმავე ოჯახის მეორე **შტოდ** აღიარებულია სემიტური ენები.

ტერმინი „იაფეტური“ ავტორმა აირჩია იმ მიზნით, რომ იმთავითვე ხაზი გაესვა — სემიტური ენების მონათესავე ენებთან გვაქვს საქმე: რაკი სემისა და ჰამის სახელები უკვე იხმარებოდა ენათა ოჯახების აღსანიშნავად, მესამე შვილის, იაფეტის, სახელი ქართველური ენების აღსანიშნავად იქნა გამოყენებული.

შემდეგში აკად. ნ.მარისათვის ცხადი გახდა, რომ შედარებისას არ შეიძლება ქართველური ენების გამოყოფა, რადგანაც ქართველური ენები ნათესაურ კავშირშია მთის იბერიულ-კავკასიურ ენებთან. ქართველური სხვა კავკასიურ ენებთან ერთად გამოცხადებულ იქნა **იაფეტურ ენათა ოჯახად,** სემიტურ ენებთან ნათესაობის საკითხი უკანა რიგში მოექცა, და თვით **იაფეტურ ენათა ოჯახის მრავალრიცხოვანი წევრების ბუნება-თვისებების გარკვევა დადგა უურადღების ცენტრში.**

ნ. მარმა კავკასიური ენები ფონეტიკური პრინციპის მიხედვით სამ ძირითად ჯგუფად დაყო; ესაა: სიბილანტური, სპირანტული[38] და სონანტური ჯგუფი; როცა სიბილანტურ ჯგუფში, ვთქვათ, სისინა **ხ** გვაქვს, სპირანტულში მას **ჭ** შეესატყვისება (სონანტურში — ნ||რ?); შდრ. მაგ., ქართული „სული“ და სვანური „ჭუინ“... სიბილანტურ ჯგუფში შედის ქართული (სისინა: „სვამს“) და ჰანურ-მეგრული (შიშინა: „შუმს||შუნს“).

ნ.მარის ზემოხსენებული კლასიფიკაციის მიხედვით სპირანტული ჯგუფის წარმომადგენლებია კავკასიის მთიანეთის ენები (ადიღეური, ყაბარდოული, ქისტური და დაღესტნური ენები მთლიანად).

შემდგომში იაფეტურ ენებს აკად. ნ. მარმა დაუკავშირა **ბახკური** (პირენეის მთებში) და **ეტრუსკული** — პამირში — (სისინა-სიბილანტური და სპირანტული ჯგუფის ნარევიაო), ძველი იტალიის აწ მკვდარი ენა — **ეტრუსკული** (შიშინა-სიბილანტური და სპირანტულის ნარევიო), ძველი წინა აზიისა და მცირე აზიის აწ მკვდარი ენები: **ელამური, სუმერული, ურარტული** (სამივე სპირანტული და სონან-

[38] არაერთხელ ყოფილა აღნიშნული, რომ ტერმინი „სპირანტი“ არ გამოდგება იმის აღსანიშნავად, რასაც აკად. ნ. მარი გულისხმობს: „სპირანტებში“ აკად. ნ. მარი გულისხმობს ჭ-საც.

ტური ჯგუფის[39] ნარევია); **ხეთური.**

1920 წელს ნ. მარმა წამოაყენა დებულება: იაფეტურ ენებზე მოლაპარაკე ხალხები წარმოადგენენ **მესამე ეთნიკურ ელემენტს** ხმელთაშუა ზღვის კულტურის შექმნაში, — მესამე ეთნიკურ ელემენტს, რამდენადაც მეცნიერებაში ჯერ ინდოევროპელები და სემიტები ითვლებოდნენ ამ კულტურის შემქმნელ ეთნიკურ ელემენტებად, იაფეტიდების საკითხი ამის შემდეგ გაირკვა. რაც შეეხება **ისტორიულ** ვითარებას, იაფეტიდები პირველი ეთნიკური ერთეულია ხმელთაშუა ზღვის კულტურის შექმნაში, იაფეტიდები უსწრებენ ინდოევროპელებსაც და სემიტებსაცაო.

ნ. მარის ეს აზრი არსებითად სწორი იყო. სამწუხაროდ, მას აკლდა დასაბუთება, რომ სარწმუნო გამხდარიყო სპეციალისტებისთვის. შემდეგი წლების შრომებში ნ. მარს ეს დასაბუთება არ მოუცია. მეტი კიდევ: თვით ენათა წარმოშობითი ნათესაობა ნ. მარმა უარყო (1923 წლიდან). ე. წ. „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებაში“ „იაფეტური ენები“ უკვე არ ნიშნავს ერთი წარმოშობის ენებს, „იაფეტური ენები“ განვითარების საფეხურზე მიუთითებს, სტადიური კლასიფიკაციის ცნებად არის ქცეული (ამის შესახებ დავწრილებით — იხ. § 136).

§ 130. წინა აზიისა და შუამდინარის ძველი ენები. იბერიულ-კავკასიურ ენათა წარმოშობასთან დაკავშირებით ბუნებრივად დგება წინა აზიისა და შუამდინარის ძველი, აწ მკვდარი ენების საკითხი[40]. ეს ენებია: **შუმერული ენა, ხეთური ენები, ჰურიტული ენა, ურარტული, ელამური** (ანუ სუზური).

შუმერულ ენაზე შუამდინარეთში დამწერლობა შეიქმნა მეოთხე ათასეულში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ეს არის **ყველაზე ძველი დამწერლობა,** რაც კი არის ისტორიულად ცნობილი. დაიწყო ის პიქტოგრაფიით და შემდეგ ლურსმული წარწერის სახე მიიღო. შუამდინარეში შუმერები შეცვალეს სემიტებმა — ასურელებმა და ბაბილონელებმა. მაგრამ სემიტების ბატონობის დროსაც „შუმერული ენა მრავალი საუკუნის განმავლობაში რჩებოდა მოგვთა საღმრთო ენად... და

---

[39] სონანტური ჯგუფის წმინდა წარმომადგენლები არაა დასახელებული.

[40] უფრო ვრცლად იბერიულ-კავკასიურ ენათა ურთიერთობის შესახებ ძველი ცივილიზაციის მკვდარ ენებთან იხ. **არნ. ჩიქობავა,** იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ. 1979, გვ. 278-306 (რედ.).

მხოლოდ თანდათანობით... შუმერული გაქრა და ადგილი დაუთმო სემიტურს. შუმერული ენა საბოლოოდ მიეცა დავიწყებას და ფირფიტები შუმერული წარწერებით გაქრა ასურელთა ეპოქაში, დაახლოებით 1000-600 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე"[41].

მცირე აზიაში მეორე ათასეულში ჩვენს წელთაღრიცხვამდე (2000-1200 წ.წ.) არსებობდა ხეთების ძლიერი სახელმწიფო. ანატოლიაში სოფ. ბოღაზქოი-ში (150კმ. ანკარის აღმოსავლეთით), იქ, სადაც ძველად ხეთების დედაქალაქი ხატუშა უნდა ყოფილიყო, აღმოაჩინეს ხეთების მეფეთა არქივი თიხის ფირფიტებზე; წარწერები ოთხ ადგილობრივ ენაზე იყო შესრულებული. ამ ენებიდან ორი — ნ ე ს ი ტ უ რ ი და ლ უ ვ ი უ რ ი — მორფოლოგიით ეკუთვნება ინდოევროპულს. ორი სხვაც — ხ ე თ უ რ ი (ე. წ. პროტოხეთური ანუ საკუთრივ ხეთური) და ფ ა ლ ა უ რ ი — მკვლევრების აზრით, უახლოვდება იბერიულ-კავკასიურ ენებს.

ხეთური დამწერლობა ორგვარია: იეროგლიფური და ლურსმული. ენა, რომლისთვისაც ხეთური იეროგლიფებია გამოყენებული, არ არის ნესიტური (მას ფალაურად თვლიან). ხეთურ ლურსმულ წარწერაში შემოვიდა პირველად ხმოვნის სიგრძის ნიშანი.

ხეთები აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა დამაკავშირებელ რგოლად გვევლინებიან (ჟ. კონტენო). ხეთური კულტურის დიდ გავლენას მოწმობს ძველი კულტურა, რომელიც აღმოაჩინეს ინდოეთში, მდ. ინდის ველზე მოხენჯო-დაროსა და ხარაპში, ჩანხუ-დაროსა და ჯხუკარუში 1926 წელს ძველი ნაქალაქარების გათხრისას. ეს კულტურა წინარეინდურია; თარიღდება 2400-2100 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე. „ნაპოვნი მხატვრული ნაკეთობანი, ვაზები, ქანდაკებანი, სამუშაო იარაღები, საოჯახო ნივთები, ტუალეტის კუთვნილება და სხვ. ცხადად მოწმობს, რომ ეს კულტურა მომდინარეობს მთლიანად წინა აზიიდან"[42]. ფრ. ჰროზნიმ დაადგინა, რომ „ხეთურ იეროგლიფურსა, კრეტულსა და წინარეინდურ დამწერლობაში" საერთო ნიშნები მოიპოვებაო[43].

ცხადია, რომ ამ შემთხვევაში საქმე შეიძლება ეხებოდეს ხეთურს ან ფალაურს და არა ნესიტურ ენას: ინდოევროპულ ენებზე მოლაპარაკე ტომთა ექსპანსია მცირე აზიაში მეორე ათასეულზე ადრე არ მომხდარა.

---

[41] ჩ. ლოუკოტკა. დამწერლობის ისტორია (რუს. თარგ. ჩეხურიდან), 1950, გვ. 39.
[42] იქვე, გვ. 67.
[43] იქვე, გვ. 71.

ჰურიტული (ანუ ჰარიული) ენა (II ათასეული ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ეკუთვნის იმავე წრეს, რასაც ეკუთვნის ხეთური (ე.ი. საკუთრივ ხეთური).

ელამური ენა (XV-VIII ს.ს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე), აგრეთვე **ურარტული** (ანუ ხალდური) ენა ვანის სამეფოსი, ეკედლება წინა აზიისა და შუამდინარის ზემოხსენებულ ენებს.

ენები: შუმერული, ხეთური, ჰურიტული, ურარტული, ელამური (და მცირე აზიის რიგი ძველი ენა: ლიდიური, ლიკიური, კარიული...) ზოგჯერ იწოდელბა **აზიანურ** ენებად, რაც გამართლებულია იმდენად, რამდენადაც ამ ენათა თავისებური ადგილი სხვა ენათა შორის გაიხაზება.

ეს ენები დიდი ხანია, რაც აღარ იხმარება; მკვდარი ენის შესწავლა მაშინაც კი ძნელია, როცა ამ ენაზე დიდძალი მასალა გვაქვს შემორჩენილი. ამ შემთხვევაში კი მასალა **მცირეა,** თან ეს მასალა ლურსმულად ან იეროგლიფური წესით არის დაწერილი. ეს აძნელებს დაწერილის სწორად წაკითხვასა და ზუსტად გაგებას: როგორც შენიშნავენ სპეციალისტები, იეროგლიფის **იდეოგრამები** გასაგებია, მაგრამ უცნობია, როგორ გამოითქმოდა სათანადო სიტყვა; ლურსმულად ნაწერი შედარებით ადვილად იკითხება, მაგრამ მნიშვნელობის ზუსტად დადგენა ჭირს.

და მაინც, ამ ძველი, მკვდარი ენების შესწავლის თანამედროვე დონეზე სპეციალისტები იმ აზრს ადგანან, რომ ეს **ენები** — შუმერული, ხეთური, ჰურიტული, ურარტული, ელამური — არ არის **არც ინდოევროპული, არც სემიტური და არც თურქულ-მონღოლური.**

როდესაც ფრ. ჰროზნიმ ხეთის სახელმწიფოს ერთ-ერთი ენა — ნესიტური — ინდოევროპულ ენად მიიჩნია, ხეთური ენები საერთოდ ინდოევროპულად გამოაცხადეს, თუმცა ყველა აღიარებს, რომ საკუთრივ ხეთური („პროტოხეთური") ინდოევროპულ ენად არც ფრ. ჰროზნის მიუჩნევია და არც სხვა ვისმეს.

ხეთებს („ხათებს"), როგორც ზევით ითქვა, ეგვიპტელები სწორედ ე. წ. „პროტოხეთებს", ე. ი. მცირე აზიის ძველ მკვიდრ ხალხს, უწოდებდნენ. რაკი საკუთრივ ხეთური („პროტოხეთური") არ არის ინდოევროპული ენა, არ არსებობს არავითარი მეცნიერული საფუძველი იმისათვის, რომ „ხეთური" დავარქვათ ნესიტურს, ხოლო ეს სახელწოდება არ ვუწოდოთ იმ ხალხს, რომელსაც ის ერქვა ძველთაძველი დროიდან. ხეთური ენა (ენები) — არის მცირე აზიის სწორედ **არა** ინდოევროპული, ძველი, ენა (ენები), რომელიც ხეთურ იეროგლიფებსა (და შემდგომ — ლურსმულ

დამწერლობაში) შემოგვენახა.

ნესიტურს რომ ხეთური დავარქვათ და ნამდვილ ხეთურს „პროტოხეთური“, ეს ნიშნავს ტერმინოლოგიური არევ-დარევა შევიტანოთ იქ, სადაც ისტორიული ურთიერთობა ისედაც ძალზე დახლართულია.

ხეთური („საკუთრივ ხეთური“), ფალაური, ჰურიტული, ურარტული, ელამური, შუმერული — ეს არის ენები იმ ხალხებისა, რომლებმაც შექმნეს კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაციის კერა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ისტორიულ ასპარეზზე არ იყვნენ გამოსული არც ინდოევროპულ, არც სემიტურ და არც თურქულ ენებზე მოლაპარაკე ხალხები.

ამ მკვდარ ძველ ენებს, რომლებიც არც ინდოევროპულია, არც სემიტური, არც თურქული, ბუნებრივად უკავშირებენ ცოცხალ იბერიულ-კავკასიურ ენებს[44], რომლებიც ამ ძველი ენების მეზობლად არის გავრცელებული და არც ინდოევროპულია, არც სემიტური და არც თურქული. როგორც მორფოლოგიური წყობა, ისე კულტურულ-ისტორიული კონტექსტი წინა აზიის ძველი ენებისა და იბერიულ-კავკასიური ენების ისტორიული ერთიანობის შესახებ ლაპარაკობს.

ასეთ პირობებში, ბუნებრივია, რომ მთელი რიგი მკვლევრები ცდილობდნენ და ცდილობენ დაუკავშირონ იბერიულ-კავკასიურ ენებს ბასკური, აგრეთვე მცირე აზიის ძველი, ამჟამად მკვდარი, ენები.

ჰუგო შუხარდტი ბასკურს უკავშირებს ქამიტურ ენებს (სახელდობრ, ნუბა ენას); იმავე დროს შუხარდტი ბასკურისა და იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაური ურთიერთობის საკითხს დადებითად ეკიდება; საამისო გამოკვლევათაგან: „იბერიული ბრუნება“ გამოქვეყნებულია 1907 წ., „ენათა ნათესაობის მეთოდური კვლევისათვის“ — 1912 წ., „ბასკურ-ქამიტური სიტყვათტოლობა“ — 1913 წ., ხოლო მრავალმხრივ საყურადღებო გამოკვლევა: „გარდამავალი ზმნის პასიური ხასიათისათვის კავკასიურ ენებში“ ჯერ კიდევ 1895 წ. ეკუთვნის.

ბასკური ქამიტურ-სემიტურ ენებს ენათესავება, მაგრამ უფრო ახლოს კავკასიურ ენებთან დგასო, ამტკიცებს კ. ოშტირი („მასალები ალაროდიული ენათმეცნიერებისათვის“, 1921).

ბასკურისა და მცირე აზიის ძველი ენების კავშირის მომხრეა

---

[44] უნდა ვიფიქროთ, ენათა ხსენებულ წრეს ეკუთვნის აგრეთვე: ძველი იბერიული ენები პირენეის ნახევარკუნძულზე, ეტრუსკული ენა (იტალიაში), ცოცხალ ენათაგან — ბასკური.

ჰ. ვინკლერი.

ელამურსა (და ხალდურს) კავკასიურ ენებს უკავშირებს გ. ჰიუზინგი, აგრეთვე ფ. ბორკი. გ. ჰიუზინგის სათანადო გამოკვლევები ეკუთვნის 1908, 1916 წწ.; კერძოდ, იბერიულ-კავკასიურ ენათაგან გ. ჰიუზინგი წახურულს უკავშირებს ელამურს; იმავე ელამურს იგი მეორე მხრივ აკავშირებს დრავიდულ ენებთან (ცეილონზე).

მიტანი-ენას (ჰურიტულს) იბერიულ-კავკასიურ ენებს აკუთვნებდა ჯერ კიდევ ლ. მესერშმიდტი (1899 წ.), შემდეგ — ფ. ბორკი (1909—1913 წწ.); ამასვე უჭერს მხარს ა. ტრომბეტიც.

შუმერული ენა იბერიულ-კავკასიურ ენად მიაჩნიათ ფ. ბორკსა და ი. ტრომბეტის; ზოგი ავტორი შუმერულს აკავშირებდა ქართულთან.

ადოლფ დირი 1928 წ. გამოსულ საცნობო ხასიათის შრომაში („შესავალი კავკასიურ ენათა შესწავლაში") წერს: „დღესდღეობით კავკასიურ ენებს — ამ სიტყვის ფართო გაგებით — განაკუთვნებენ წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვის ენათა მთელ წყებას, რომელთაგან ერთადერთი ენა ბასკურია, ჯერ კიდევ რომ ცოცხლობს. ალფ. ტრომბეტი თავის შრომაში „ენათმეცნიერების ელემენტები" (I, გვ. 104) — განაგრძობს ა. დირი — საქმის ვითარებას ასე წარმოგვიდგენს: „ჩვენ უნდა დავეთანხმოთ შუხარდტსა და სხვა მკვლევრებს იმაში, რომ **კავკასიის მიწა-წყალზე თავმოყრილი არიან ხალხები,** რომლებიც **წინათ გავრცელებული ყოფილან გაცილებით უფრო დიდ ტერიტორიაზე** და რომ ამ ხალხთა ნაწილი შეისრუტეს სხვა ტომებმა. უახლესი გამოკვლევები, როგორც ჩანს, მართლაცდა იმ დებულებას უჭერენ მხარს, რომ **კავკასიურ ენათა ოდინდელ ჯგუფს მეტ-ნაკლებად უშუალოდ უკავშირდება შემდეგი ენები,** რომელთაც მე სამ ჯგუფად ვყოფ:

I. 1. **ხალდური** ანუ ვანური [ურარტული], წინარესომხური[45], 2. **მიტანი,** 3. **ელამური** და კოსეიური ანუ კასპიური, 4. **ხეთური** და არზავი.

II. 1. **მცირე აზიის აბორიგენთა ენები** (ლიკიური, ლიდიური, კარიული, მიზიური, შემდეგ — პისიდიული, ისავრიული, ლიკაონური და კაპადოკიური), 2. **ეტრუსკული** და ლემნური, 3. **კრეტული.**

[45] იგულისხმება ის იბერიულ-კავკასიური ენა, რომლის დანალექიც ინდოევროპულ სომხურ ენაში შეიმჩნევა.

III. **იბერიული და ბასკური**[46].

საესებით ბუნებრივი და კანონზომიერია, როცა „საქართველოს ისტორიის" ავტორები **ხეთურ-იბერიული** ოჯახის ხალხებისა და ენების შესახებ ლაპარაკობენ[47]. მთელი კულტურულ-ისტორიული კონტექსტი ამას გვიკარნახებს. ამასვე გვაფიქრებინებს ამ ენათა ზოგადი თვისებები.

მაგრამ ერთია დებულების სისწორე იგრძნო და მეორე — დაამტკიცო ეს დებულება მკაცრი მეცნიერული წესით. ამისათვის კი აუცილებელია საფუძვლიანად იქნეს შესწავლილი თვით იბერიულ-კავკასიურ ენათა უაღრესად რთული და მეტისმეტად მდიდარი სამყარო, კერძოდ, გაირკვეს ამ ენათა ისტორიული ურთიერთობა.

ეს არ არის ადვილი საქმე. ხშირად, **როცა ამ ენებში მსგავს მოვლენებს გხვდებით,** ძნელი გადასაწყვეტია, **ხაერთო მემკვიდრეობის დიფერენციაციად** უნდა მივიჩნიოთ იგი, თუ სხვადასხვა ენის დაახლოება-შერევის შედეგად დავსახოთ.

და მაინც: რაც უფრო ახლოს ვეცნობით ამ ენათა ურთიერთობას, მით უფრო ცხადი ხდება, რომ სწორედ ეს **ხაერთო,** მსგავსი, მოვლენებია **ბირველადი მონაცემი, განსხვავებული მოვლენები** კი წარმოშობილია ამ ენათა ხანგრძლივი დამოუკიდებელი **ისტორიული განვითარების პროცესში.**

მეორე მხრივ, რაც უფრო შორს ვიხედებით ქართველური და სხვა იბერიულ-კავკასიური ენების ისტორიულ წარსულში, მით უფრო ხელშესახები ხდება ამ ენათა წარმოშობითი კავშირი წინა აზიისა და შუამდინარის ძველი ცივილიზაციის ენებთან (ურარტულთან, ჰურიტულთან, ხეთურთან, ელამურთან, შუმერულთან).

უნდა აღინიშნოს, რომ ძველ მკვდარ ენებთან იბერიულ-კავკასიური ენების დაკავშირების ცდას (ჰიუზინგი, ბორკი, ტრომბეტი, ვაიდნერი, ფორერი, კონტენო...) ხშირად აკლია დამაჯერებლობა, რადგანაც შედარების აუცილებელი მოთხოვნილება დაცული არ არის: იბერიულ-კავკასიური ენების ფაქტებს იყენებენ შესადარებლად ისე, რომ ანგარიში არ ეწევა ამ **ფაქტების ისტორიას** სათანადო ენაში (ან ენათა ჯგუფში).

---

[46] იხ. ა. დირი: „შესავალი კავკასიურ ენათა შესწავლაში", 1928, გვ. 26-27 (გერმ. ენაზე). ხაზი ჩვენია — ა. ჩ.

[47] ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, „საქართველოს ისტორია", რუს. თარგ. 1946 წ., გვ. 14.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მოთხოვნილება თუ არ დავიცავით, მეცნიერულად მკვიდრ შედეგს ვერ მივიღებთ, სწორი აზრი კვლავ დაუსაბუთებელი დარჩება. მეტი კიდევ: აზრის სისწორეც კი შეიძლება ეჭვის ქვეშ დადგეს.

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება მის წინაშე მდგარი ამოცანის გადაჭრას შეიძლებს მხოლოდ როგორც **ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება.**

§ 131. ჩინურ-ტიბეტური ენათა ოჯახი. ეს ენები იყოფა ორ შტოდ: ჩინურ-სიამურ შტოდ და ტიბეტურ-ბირმულ შტოდ.

ჩინურ-სიამურ შტოში შედის ენები: ჩინური, ტაი (ანუ სიამური), ვიეტნამური (ანამური).

ჩინური ენა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის (დედაქალაქი — პეკინი) სახელმწიფო ენაა. იგი, ჩინეთის გარდა, გავრცელებულია ინდონეზიაში, კამბოჯაში, ლაოსში, ვიეტნამში, მალაიზიაში, სინგაპურში, ტაილანდსა და სხვ. ჩინური ენა მასზე მოლაპარაკე ადამიანთა რიცხვის მიხედვით ყველაზე დიდი ენაა (იხ. § 23).

ჩინურში გაირჩევა რიგი დიალექტები, რომლებიც ქმნიან ორ ჯგუფს: ჩრდილოურსა და სამხრულს. დიალექტებს შორის განსხვავება დიდია იმდენად, რომ ზოგჯერ ერთმანეთის გაგება სხვადასხვა კუთხის ჩინელს (მაგალითად, ტიანცზინელსა და კანტონელს) უჭირს. იდეოგრაფიულ პრინციპზე აგებული დამწერლობა ყველა ჩინელს თანაბრად კარგად გაეგება, თუმცა შეიძლება სხვადასხვაგვარად გამოთქვას სათანადო ცნების სახელი (ასე, მაგალითად, კაცის აღმნიშვნელი იდეოგრამა წარმოითქმის, როგორც: დან, ჟან, ნჟინ, ნოონგ — დიალექტების მიხედვით). ოფიციალურ ენაში იხმარება ოთხი ათასამდე იდეოგრამა და ოთხასამდე დამხმარე ნიშანი („გასაღები“).

ჩინური ენის ისტორიაში განასხვავებენ ოთხ პერიოდს.

1. უძველესი — მეორე ათასწლეულიდან (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) VI საუკუნემდე (ჩვენი წელთაღრიცხვისა),

2. ძველი — VI საუკუნიდან X საუკუნემდე,

3. საშუალო — X საუკუნიდან XIII საუკუნემდე და

4. ახალი — XIII საუკუნიდან.

ჩინური ენა — უაღრესად მდიდარსა და ძველი კულტურის ენას წარმოადგენს. ისტორიული შემდგომადობა ჩინურში დაცულია, სულ მცირე, სამი ათასი წლის მანძილზე. ჩინური ენის ისტორიას ფასდაუდე-

ბელი მნიშვნელობა ექნებოდა, რომ შეიძლებოდეს მისი ზუსტად გათვალისწინება, როგორ წარმოითქმოდა ჩინური იდეოგრამები და რა ცვლილებები მოხდა ჩინური ენის ბგერით შედგენილობასა და გრამატიკულ წყობაში.

2. ენა **ტაი** (ანუ სიამური); მას რიგი დიალექტი აქვს; მოლაპარაკეთა რიცხვი 30 მილიონამდე აღწევს.

3. ენა **კარენი** (ბირმაში); მასზე 3,3 მილიონი კაცი ლაპარაკობს.

4. ენა **ვიეტნამური** (ანუ ანამური), რომელზედაც 55 მილიონზე მეტი კაცი ლაპარაკობს, აგრეთვე ჩინურს ეკედლება (ზოგი ავტორი ვიეტნამურ ენას აახლოებს მონ-ჭმერ ენასთან)[48].

ტიბეტურ-ბირმული შტო შედგება ორი ჯგუფისაგან. ტიბეტურისა და ბირმულისაგან.

ტიბეტურ ჯგუფში შედის:

1. საკუთრივ **ტიბეტური** ენა (მასთან ახლო მდგომი 13 დიალექტითურთ); ტიბეტურზე მოლაპარაკეთა რიცხვი 4 მილიონს აღწევს, ტიბეტის ცენტრი — ლხასა.

2. ტიბეტურ-ჰიმალაიური ენა-კილოები (8 ენა-კილო: გურუნგ, მურლი, ლენჩა...).

3. ჩრდილო ასამის ენები (6 ენა-კილო: აკა, ამბორ-მირი, დაფლა...).

ტიბეტურ ენაზე მოიპოვება მდიდარი ბუდისტური ლიტერატურა, ნათარგმნი ინდურიდან (დაწყებული მეშვიდე საუკუნიდან ჩვ. წელთაღრიცხვისა).

ცნობილი ჩინურ-ტიბეტური ორენოვანი ხელშეკრულება, ამოკვეთილი ქვის სვეტზე ლხასაში, თარიღდება 822 წლით.

ბირმულ შტოს შეადგენს:

1. **ბირმული** ენა (ბირმაში; ცენტრი — ქ. რანგუნი), ათიოდე დიალექტით, რომელთაგან უფრო ცნობილია — ხუთი (ბირმულზე მოლაპარაკეთა რიცხვი 29 მილიონს აღწევს).

2. ენა **კუკი-ჩინ,** ოცდაექვსი დიალექტით.

ბირმულ ენაზე დამწერლობა არსებობს XI საუკუნიდან (უძველესი ოთხენოვანი წარწერა ქვის სვეტზე თარიღდება 1084 წლით). ტიბეტურიცა და ბირმულიც ინდურ ანბანს იყენებს.

ტიბეტურ-ბირმულ ჯგუფს განაკუთვნებენ ზემოხსენებულთა გარდა: ენებს **ბოდო ნაგა-კაჩინის** ჯგუფისა (ოცდათხუთმეტიოდე დიალექტი!), აგრეთვე ენებს: **ლო-ლო, ლუ-სო, სი-ხია** და სხვ.

---

[48] იხ. § 132, სქოლიო (რედ.).

§ 132. დრავიდულ ენათა ოჯახი. დრავიდული ენები ინდოეთშია გავრცელებული; დრავიდულ ენებზე მოლაპარაკე ხალხებს უპირავთ ინდოეთის ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილი (კალკუტის დასავლეთით), კუნძულ ცეილონის ნაწილი (გვხვდებიან პატარა კუნძულებად სხვაგანაც ინდოეთში)[49].

დრავიდულ ენებზე დაახლოებით 192 მილიონი კაცი ლაპარაკობს. გამოდის, რომ ინდოეთისა და პაკისტანის მოსახლეობის საკმაო ნაწილი დრავიდულ ენებზე ლაპარაკობს.

დრავიდული ენები სამი ჯგუფისაგან შედგება:

1. **ტელუგუ** ენა რიგი დიალექტით (63 მლნ.). მწერლობა აქვს XI საუკუნიდან (გრამატიკა, მაჰა-ბჰარატას თარგმანი).

2. **ტამილური** ენა (55 მლნ.); მწერლობა აქვს IV საუკუნიდან (ფიქრობენ, რომ **ტამილა** და **დრავიდა** ერთი და იგივე ფუძეა: ტამილა — დამილა — დავინა — დავიდა — დრამიდა — დრავიდა; პირველი ორი ვარიანტი პალისეულია, მომდევნო ორი — პრაკრიტისეული, უკანასკნელი ორი — სანსკრიტისეული).

ტამილური ენის ჯგუფში შედის აგრეთვე:

მალაიალამ ენა (30,7 მლნ.).

კანარა ენა (30,7 მლნ.); მწერლობა აქვს V საუკუნიდან.

ტულუ ენა; ახლოს დგას კანარა ენასთან.

ტელუგუ და ტამილის ჯგუფის ენები გავრცელების მიხედვით მთლიან მასივს ქმნიან.

3. მესამე ჯგუფს შეადგენენ ის დრავიდული ენები, რომლებიც კუნძულებად არის წარმოდგენილი ინდური და მუნდა ენების გავრცელების არეში. ეს ენებია:

კუი ენა,

კურუხ ენა,

გონდი ენა (3,2 მლნ.),

მალტო ენა („მთიულთა" ენა).

4. შორს დასავლეთით ბელუჯისტანში — ირანულ ენათა გარემოცვაში — მთებში შემორჩენილია დრავიდული ენა **ბრაჰუი** (მასზე 800 ათასზე მეტი კაცი ლაპარაკობს).

---

[49] ინდოეთის, ინდოჩინეთისა და ბირმის მიწა-წყალზე, ჩამოთვლილ ენათა გარდა, წარმოდგენილია ენები: მუნდა, სანტალ, კორკუ, მონ, ჭმერ და სხვ. ამ ენებს მიაკუთვნებენ ავსტროაზიურ — უფრო ზუსტად რომ ითქვას — ავსტრალოაზიურ ჯგუფს. კლასიფიკაცია პირობითია.

ძველი მწერლობის მქონე დრავიდული ენები (ტამილური IV ს., კანარა — V ს.) ხმარობენ ინდურ დამწერლობას და სასაუბრო ენიდან დიდად განსხვავდებიან.

დრავიდულ ენებს ახასიათებს: სუფიქსაცია; აქვს გრამატიკული სქესები; განარჩევს უმაღლესი და უმდაბლესი კატეგორიის სახელებს. სახელის უმარტივესი ფორმა მოცემულია სახელობით ბრუნვაში, ზმნისა — ბრძანებით კილოში. წინადადება — სახელადი ტიპისა არის.

დრავიდული ენები (აგრეთვე მუნდა ენა) უნდა იყოს ინდოეთის უძველესი მოსახლეობის ენა; ინდოეთში შემდეგღა არის გავრცელებული ინდური ენები (ინდოევროპული ენები).

§ 133. ინდონეზიის ენები. ცალკე უნდა გამოიყოს ინდონეზიის ენები (კუნძულებზე: იავა, სუმატრა, ბორნეო, ცელებესი, აგრეთვე ნახევარკუნძულ მალაკაზე); ამ ენებზე ლაპარაკობს დაახლოებით 237 მლნ. ადამიანი.

ინდონეზიის ენათაგან პირველ რიგში აღსანიშნავია: **იავა ენა** (76 მლნ.), **სუნდა** (21 მლნ.), **მადურა** (9,2 მლნ.), **მალაიური** (26 მლნ.) და სხვ.

მალაიური ენა ფართოდ გავრცელებულია მალაკის ნახევარკუნძულზე, კუნძულ ბორნეოზე. ამ ენაზე მწერლობა არსებობს XIV საუკუნიდან[50]. ძველი დამწერლობა აქვს **იავას** ენას ანუ **კავი** ენას[51]. ვარაუდობენ, რომ ამ ენაზე მწერლობა არსებობდა პირველი საუკუნიდან.

ინდონეზიის ენების გვერდით ასახელებენ პოლინეზიის, მიკრონეზიისა და მელანეზიის ენებს; ეს კვალიფიკაცია გეოგრაფიულია და არა გენეალოგიური.

ეგევე ითქმის ავსტრალიის ადგილობრივ მკვიდრთა ტომობრივი ენების შესახებ. ავსტრალიის პრიმიტიულ ტომთა ენებს ყოფენ სამ ჯგუ-

---

[50] მალაიური ენის უძველესი ძეგლები — წარწერები ქვებზე — VII საუკუნით თარიღდება. იგი იყო ისლამისა და ქრისტიანობის გავრცელების ენა, რომელზეც შეიქმნა მდიდარი ლიტერატურა. მალაიური ენის გაგრძელებად და განვითარებად მიაჩნიათ **მალაიზიური** ენა (ოფიციალურად ასე ეწოდა 1969 წ. მალაიზიის ფედერაციის სახელმწიფო ენას). 1945 წლიდან ინდონეზიის რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა და ეწოდება **ინდონეზიური** ენა. იქ იგი სხვადასხვა ხალხთა შორის ურთიერთობის ენაც არის, მასზე ლაპარაკობს 150 მლნ. კაცი (რედ.).

[51] „კავი" სანსკრიტში ნიშნავს „პოეტს", „ბრძენს". კავი ენას მიეძღვნა ვ. ჰუმბოლდტის გამოკვლევა "Ueber die Kavi-Sprache auf der Insel Jawa „კავი ენის შესახებ კუნძულ იავაზე" — სამ ტომად (1836-1840 წ.წ.). ამ შრომას შესავლად აქვს ფილოსოფიური ტრაქტატი: „ადამიანთა ენების წყობის სხვაობისა და ამის გავლენის შესახებ კაცობრიობის გონებრივ განვითარებაზე".

ფად: ჩრდილოურ, ცენტრალურ და სამხრულ ჯგუფად.

§ 134. აფრიკისა და ამერიკის ენები. აფრიკაში ზანგთა 430-მდე ენა-კილოს ითვლიან. მათ შორის გამოიყოფა დიდი ჯგუფები:

1. **სუდანის ზანგთა** ენები; შედგება თექვსმეტი პატარა ჯგუფისაგან.

2. **ბანტუ** ენები (ტომთა შორის ურთიერთობისათვის იხმარება **სუაჰილი** ენა)[52]. ბანტუ ენებზე ლაპარაკობს დაახლოებით 160 მლნ.-ზე მეტი კაცი.

3. **ბუშმენთა** (75 ათასი კ.) და **ჰოტენტოტთა** (130 ათასი კ.) ენები.

ამერიკის ინდიელ ტომთა ენები მრავალ ჯგუფსა ქმნის. ძირითად ჯგუფებს წარმოადგენს.

ჩრდილოეთ ამერიკაში:

1. **ატაბასკთა** ენები (220 ათასი კ.)
2. **ალგონკინთა** „ (160 ათასი კ.)
3. **იროკეზთა** „ (100 ათასი, მათ შორის 60 ათასი ჩეროკი)
4. **სიუ-დაკოტა** „ (70 ათასი კ.)
5. **შუსკოგი** „ (18 ათასი კ.)

და სხვ.

მექსიკასა და ცენტრალურ ამერიკაში:

1. **უტო-აცტეკთა** ენები (1,5 მლნ. კ.)
2. **მაია** „ (1,1 მლნ. კ.)
3. **ოტომი-საპოტეკი** „ (1,2 მლნ. კ.)

სამხრეთ ამერიკაში:

1. **არავაკთა** ენები (400 ათასამდე კ.)
2. **კარაიბთა** „ (170 ათასი კ.)
3. **ტუპი-გუარანი** „ (3,8 მლნ. კ.)
4. **ჩიბჩა** „ (600 ათასი კ.)
5. **კეჩუმარა** „ (16,2 მლნ. კ.: კეჩუა ენები — 12,9 მლნ. კ. და აიმარა ენები — 3,3 მლნ. კ.).

---

[52] სულ ამ ენაზე 40-50 მლნ. კაცი ლაპარაკობს, მაგრამ ამათგან მხოლოდ 2 მილიონისთვისაა იგი მშობლიური (რედ.).

ჩრდილოეთ ამერიკაში ინდიელთა ტომები პატარა-პატარა ეთნიკურ ჯგუფთა სახით შემოგვრჩნენ. მექსიკაში, ცენტრალურ ამერიკასა და სამხრეთ ამერიკაში ინდიელი ტომები უფრო მეტად არის გადარჩენილი.

ა ც ტ ე კ ე ბ ი მექსიკაში და ი ნ კ ე ბ ი პერუში იდგნენ განვითარების საკმაოდ მაღალ დონეზე მაშინ, როდესაც ამერიკას ესპანელი დამპყრობლები მოევლინნენ. აცტეკებს ჰქონდათ პიქტოგრაფიულ-იდეოგრაფიული დამწერლობა.

აცტეკთა ენიდან (სახელდობრ, ნ ა ვ ა ტ ლ ენიდან) შეითვისეს ევროპის ენებმა სიტყვები: თ ა მ ბ ა ქ ო, შ ო კ ო ლ ა დ ი, ტ ო მ ა ტ ი...

§ 135. გენეალოგიური და მორფოლოგიური კლასიფიკაციის შრთიერთობა. გენეალოგიური კლასიფიკაცია ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლის შედეგია: გენეალოგიური კლასიფიკაცია **ენათა ისტორიულ კლასიფიკაციას** იძლევა. ამიტომ გენეალოგიური კლასიფიკაცია ვერ შეიქმნებოდა ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ჩამოყალიბებამდე.

გენეალოგიური კლასიფიკაცია და ისტორიულ-შედარებითი მეთოდი შინაგან კავშირშია ერთმანეთთანაც და ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებასთანაც. ი ს ტ ო რ ი ულ - შ ე დ ა რ ე ბ ი თ ი მ ე თ ო დ ი ა რ ი ს გ ე ნ ე ა ლ ო გ ი უ რ ი კ ლ ა ს ი ფ ი კ ა ც ი ი ს მ ე თ ო დ ი. არ შეიძლება უარვყოთ ისტორიულ-შედარებითი მეთოდი და მისაღებად ვცნოთ გენეალოგიური კლასიფიკაცია (და — პირიქით).

გენეალოგიური კლასიფიკაციისაგან განსხვავებით, მორფოლოგიური კლასიფიკაცია არ არის დამოკიდებული ენათა ისტორიულ-შედარებით შესწავლაზე, არ საჭიროებს ისტორიულ-შედარებით მეთოდს. ამიტომაც მორფოლოგიური კლასიფიკაცია შეიძლებოდა შექმნილიყო ისტორიული ენათმეცნიერების ჩამოყალიბებამდე.

გენეალოგიური კლასიფიკაციის შედეგად **ენათა ოჯახებს** ვიღებთ, მორფოლოგიური კლასიფიკაცია ენათა **მორფოლოგიურ ტიპებს** გვაძლევს.

რა მიმართებაშია ერთმანეთთან **ენათა ოჯახი** და **ენათა მორფოლოგიური ტიპი?** ეს ცნებები სხვადასხვა ნიშან-თვისებათა მიხედვით არის აგებული და ერთმანეთს არ ხვდება, არ ფარავს: **ერთი და იმავე მორფოლოგიური ტიპის ენა შეიძლება სულ სხვადასხვა ოჯახს ეკუთვნოდეს.** ასე, მაგალითად, ქართული ენაც — იბერიულ-კავკასიური ოჯახისა — და ყაზახური ენაც — თურქულ ენათა ოჯახისა — მორფოლო-

გიურად ერთ ტიპს — **აგლუტინაციურს** ეკუთვნის. მეორე მხრივ: **ერთი და იმავე ოჯახის ფარგლებში** შეიძლება აღმოჩნდეს არსებითად **განსხვავებული მორფოლოგიური ტიპის** ენები. ასეთი შემთხვევები, მართალია, უფრო იშვიათია, მაგრამ მაინც გვხვდება. ჩინური და ტიბეტური ერთსა და იმავე ოჯახს ეკუთვნის, მაგრამ ტიბეტურს ფორმაცვალებადი სიტყვები აქვს, ჩინურმა კი არც ბრუნება იცის და არც უღვლილება (სიტყვაწარმოება და სათანადო სუფიქსებიღა აქვს). მორფოლოგიური ტიპის ეს სხვაობა მეორეულია. ძველად, VI საუკუნემდე ჩვენი წელთაღრიცხვისა, ჩინურსაც უნდა ჰქონოდა ფორმაცვალებადი სიტყვები. მაშასადამე, ჩინური და ტიბეტური ერთ მორფოლოგიურ ტიპს ეკუთვნოდა. მორფოლოგიური ტიპის სხვაობა წარმოშობით მონათესავე ენებში ისტორიული განვითარების შედეგად ჩნდება: თავდაპირველად მონათესავე ენები ერთსა და იმავე მორფოლოგიურ ტიპს ეკუთვნიან.

§ 136. ნ. მარის ენათა სტადიური კლასიფიკაციის უსაფუძვლობა და ელემენტოვანი ანალიზის არამეცნიერული ხასიათი. ნ. მარის ე.წ. „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება“ უარყოფდა ენათა გენეალოგიურ კლასიფიკაციასაც და ისტორიულ-შედარებით მეთოდსაც. ენათა **გენეალოგიურ** კლასიფიკაციას ნ. მარმა დაუპირისპირა ენათა **სტადიური** კლასიფიკაცია, **ისტორიულ-შედარებით** მეთოდს — ელემენტოვანი ანალიზის **ბალეონტოლოგიური** „მეთოდი“, ე. წ. „ოთხელემენტოვანი“ ანალიზის მეთოდი.

ე. წ. „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების“ ძირითად სპეციალურ ენათმეცნიერულ დებულებებს განსაზღვრავდა „მოძღვრება“ პირველადი ელემენტების შესახებ. ელემენტების შესახებ მოძღვრება შეადგენდა ნ. მარის თეორიის საფუძველთა საფუძველს.

ნ. მარი აცხადებდა, რომ კაცობრიობის მეტყველება სულ ოთხი ელემენტისაგან წარმოდგაო. ეს ელემენტებიაო: **სალ, ბერ, დონ, როშ**[53] (ტომთა უძველესი სახელწოდებანი, როგორც ერთხანს ნ. მარი ვარაუდობდა).

დედამიწის ყველა ენის ყველა სიტყვა — წერს ნ. მარი — შედგება სულ ოთხი ელემენტისაგან: „არც ერთი ენის ლექსიკურ შემადგენლობაში არ მოიპოვება სიტყვა, რომელიც შეიცავდეს რასმე ამ ოთხი ელემენტის

[53] ნ. მარი. იაფეტური თეორია. საენათმეცნიერო მოძღვრების ზოგადი კურსი (რუს.) — რჩ. შრომ., ტ. II, გვ. 16.

გარდა"[54]. რაგინდარა ენის სიტყვა შედგება ან ერთი ელემენტისაგან ან ორი და უფრო იშვიათად — სამი ელემენტისაგან (ორელემენტოვანი და სამელემენტოვანი სიტყვა — ესაა შეჯვარედინებული სიტყვები — ნ. მარის გაგებით). რაკი ნ. მარის ვარაუდით ყველა ენა **ერთისა და იმავე მასალისაგან** — ოთხი ელემენტისაგან — **შეიქმნა,** — გამოდის, რომ ყველა ენას საერთო ამოსავალი მასალა ჰქონია და, მაშასადამე — ნ. მარის მიხედვით — ენები არ შეიძლება იყვნენ სხვადასხვა წარმოშობისა: წარმოშობის მიხედვით, ამოსავალი მასალის მიხედვით ენებს ვერ განვასხვავებთ. განვითარების პროცესიც ენებს ერთი და იგივე აქვთ („ერთიანი ენათშემოქმედების ანუ გლოტოგონიური პროცესი" — ნ. მარისა).

თუ ენებს ამოსავალი მასალა ერთი და იგივე აქვს, თუ განვითარების პროცესიც ერთია, სხვადასხვა ენები როგორღა გაჩნდა? რამ გამოიწვია ენათა სხვაობა? ნ. მარის აზრით, ენათა სხვაობა გამოწვეულია **განვითარების საფეხურის** ანუ **სტადიის** სხვაობით: სხვადასხვა ენები განვითარების სხვადასხვა საფეხურს ასახავენ. ენათა განმასხვავებელი ნიშანი განვითარების საფეხურში — სტადიაში უნდა ვეძიოთ.

ბუნებრივად ისმის კითხვა: განვითარების რამდენი საფეხური, სტადია, გვაქვს წარმოდგენილი კაცობრიობის მეტყველებაში? რით განსხვავდება განვითარების ერთი სტადია მეორისაგან?

რა ნიშან-თვისების მიხედვით გამოიყოფა სტადია? ამ კითხვებზე პასუხი ნ. მარს არ მოუცია (არც ნ. მარის „მოწაფეებსა" და მიმდევრებს გაურკვევიათ ეს საკითხები). ნ. მარი მხოლოდ სანიმუშო სქემებს იძლევა, რომ დაასურათოს თავისი დებულება სტადიათა შესახებ, მაგრამ სტადიათა თეორიულ საკითხებს განუხილველად ტოვებს (თვით ეს საილუსტრაციო სქემებიც ნ. მარისა ერთმანეთს ყველაფერში არ ეთანხმება).

1928 წელს წამოყენებულ სტადიურ სქემაში ნ. მარი ყველა ენას ყოფს ოთხ ჯგუფად „მათი წარმოქმნის პერიოდის მიხედვით", როგორც ნ. მარი ამბობს.

პირველ ჯგუფს შეადგენენ ძირეული (ერთმარცვლოვანი) და პოლისინთეზური ენები: 1. ჩინური ენა და 2. აფრიკის ენები („შუა და შორეული აფრიკის ენები"); ეს ენებია „პირველადი პერიოდის სისტემის ენები", — ე. ი. განვითარების სტადიის მიხედვით ყველაზე ძველი ენები.

[54] ნ. მარი. იქვე, გვ. 16.

მეორე ჯგუფს შეადგენენ: 1. უნგრულ-ფინური, 2. თურქული და 3. მონღოლური ენები — „ენები მეორეული პერიოდის სისტემისა".

მესამე ჯგუფში შედის: 1. იაფეტური და 2. ქამიტური ენები — „ენები მესამეული პერიოდის სისტემისა".

მეოთხე ჯგუფში მოქცეულია: 1. სემიტური ენები და 2. ინდოევროპული („პრომეთეიდული") ენები: ინდური, ბერძნული და ლათინური — „ენები მეოთხეული პერიოდის სისტემისა"[55].

ამგვარად, ნ. მარის ამ სქემის მიხედვით **განვითარების უძველეს სტადიას** წარმოგვიდგენს ჩინური ენა (და აფრიკის ერთმარცვლიანი ენები); განვითარების უკანასკნელ საფეხურს ვპოულობთ სემიტურსა და ინდოევროპულ ენებში. სხვანაირად რომ ვთქვათ, განვითარება იწყება ძირეული (ერთმარცვლოვანი) ენებით, ფლექსიური ენებით ეს განვითარება მთავრდება.

როგორც აქედან ჩანს, ნ. მარი არ აყალიბებს ახალ, სტადიურ, ცნებებს; ის იშველიებს ძველს, ჩვეულებრივად ხმარებულ ცნებებს — **მორფოლოგიურ ტიპსა** და **ენათა ოჯახს,** — ალაგებს სათანადო ერთეულებს ქრონოლოგიური თანამიმდევრობით და ამრიგად ძველი ცნებებიდან ახალ სტადიურ სქემას ქმნის.

წინათაც, ნ.მარზე ადრე, უცდიათ მორფოლოგიური ტიპები განემარტათ, როგორც სიტყვის აგების განვითარების სხვადასხვა საფეხური, მასთან ფლექსიურ ტიპს (ინდოევროპულ და სემიტურ ენებში მოცემულს) სრულიად უსაფუძვლოდ აცხადებდნენ განვითარების უმაღლეს საფეხურად (იხ. § 117).

რაც შეეხება ენათა ოჯახებს, ისინი არ შეიძლებოდა განეხილათ როგორც ერთიმეორისაგან წარმოქმნილი და მხოლოდ განვითარების საფეხურის მიხედვით განსხვავებული: რაკი ენათა ოჯახებს სხვადასხვა ამოსავალი მასალა აქვს, საკითხიც კი არ დაისმოდა იმის შესახებ, რომ ენათა ერთი ოჯახი გარდაიქმნება მეორე ოჯახად (საკითხი შეიძლებოდა დასმულიყო მხოლოდ იმის შესახებ, ხომ არ არის ენათა ო რ ი ვ ე ოჯახი მ ე ს ა მ ე ოჯახიდან, საერთო წყაროდან, მიღებული).

ნ. მარმა ნებისმიერად ივარაუდა, რომ კაცობრიობის მეტყველებას საფუძვლად უდევს ოთხი ელემენტი, რომ ამოსავალი მასალა ყველა ენას საერთო აქვს, ამით უარყო ერთი ოჯახის ენათა წარმოშობითი ნა-

---

[55] ნ. მარი. „რატომ არის ასე ძნელი გახდე ენათმეცნიერი-თეორეტიკოსი?" (რუს.), რჩ. შრომ., II, გვ. 405.

თესაობა[56] და განმარტა ენათა ოჯახები, როგორც განვითარების სხვადასხვა საფეხური.

ნ. მარის სტადიური სქემა, ზუსტად რომ ვთქვათ, არ არის სტადიური განვითარების სქემა: მასში ენები არ არის დაჯგუფებული სტადიისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა მიხედვით. და ეს შემთხვევითი როდია: არც ნ. მარს, არც მის მიმდევრებს არა აქვთ გარკვეული, **რა თვისებები** უნდა ჰქონდეს ამა თუ იმ **ენის გრამატიკულ წყობასა და ლექსიკას, რომ სათანადო ენა მივაკუთვნოთ ამა თუ იმ სტადიას.** მაგალითისათვის რომ ვთქვათ, ე. წ. „ახალი მოძღვრების" წარმომადგენელი ვერ იტყოდა, რა სტადიისად უნდა მივიჩნიოთ აცტეკების ენები ანდა იროკეზების თუ ალგონკინების ენები და, საერთოდ, ამერიკის ინდიელ ტომთა ენები, რომელთა შესახებ ნ. მარი თავის სტადიურ სქემაში არაფერს ამბობს.

მეტი კიდევ: ნ. მარის სქემა არ ასაბუთებს, თუ რატომ უნდა მოვაქციოთ მონღოლური ენები განვითარების მეოთხე სტადიაში, ხოლო ქამიტური ენები (იაფეტურ ენებთან ერთად) მესამე სტადიაში (იაფეტური ენები ნ. მარს სხვაგან მიჩნეული აქვს სტადიურად ყველაზე ძველ ენად).

ნ. მარის სტადიური კლასიფიკაციის ძირითადი ნაკლი ის კი არ არის, რომ კლასიფიკაცია ყველა ენას არ მოიცავს, რომ მას სისრულე აკლია. სრული არც გენეალოგიური კლასიფიკაცია არის, მაგრამ გ ე ნ ე ა ლ ო გ ი უ რ მ ა კ ლ ა ს ი ფ ი კ ა ც ი ა მ იცის, რა ნ ი შ ნ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ ა ც უ ნ დ ა შ ე ი ს წ ა ვ ლ ო ს შ ე უ ს წ ა ვ ლ ე ლ ი ე ნ ა. სტადიურ კლასიფიკაციას კი სწორედ ეს არა აქვს: სტადიის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები გაურკვეველია. მაშასადამე, სტადიური კლასიფიკაციის შევსებაც შეუძლებელი ხდება.

ნ. მარმა წამოაყენა სტადიური განვითარების **იდეა,** მაგრამ არ გაურკვევია სტადიის **ცნება,** მით უფრო არ მოუცია ენათა გარკვეული კლასიფიკაცია განვითარების სტადიათა მიხედვით.

აკად. ი. მეშჩანინოვი შეეცადა სტადიის ცნებისათვის საფუძვლად დაედო სინტაქსური ნიშანი — წინადადების წყობა (კერძოდ, ქვემდებარის ბრუნვის გამოსახულება). მაგრამ ამის მიხედვით მთელი ენის განვითარების საფეხურის გარკვევა არ მოხერხდა. ამგვარად, მარცხით დამთავრდა „განვითარების სტადიის" გარკვევის ეს ცდაც: არავინ იცოდა, რაში მდგომარეობს ენის განვითარების სტადია. და ასეთ პირობებში

[56] ნ. მარი. რჩეული შრომ., ტ. I, გვ. 191.

„ახალი მოძღვრების“ წარმომადგენლები ნ. მარის „სტადიური განვითარების თეორიას“ წარბშეუხრელად აცხადებდნენ ენათმეცნიერების უდიდეს მიღწევად.

არსებული მორფოლოგიური და გენეალოგიური კლასიფიკაციის სტადიურ კლასიფიკაციად გადასხვაფერებისას ნ. მარი ირწმუნებოდა:

1. რომ სტადიური განვითარება — ერთი სტადიის შეცვლა მეორით — აფეთქებათა გზით ხდებაო;

2. რომ ერთიან ენათშემოქმედებით პროცესში ახალი სტადიის ენები გვაქვს ძველი სტადიის იმ ენათა გვერდით, რომელთა გარდაქმნამაც (ტრანსფორმაციამ) ეს ახალი სტადია წარმოშვა;

3. რომ შეცვლილ სისტემათა ენები ახასიათებს ხალხებს, რომლებიც მოსწყდნენ „მსოფლიო მოძრაობას“. არც ერთი ამ დებულებათაგანი ნ. მარს არ დაუსაბუთებია, თუმცა ყველა ეს დებულება კატეგორიული სახით არის მოცემული.

ეს ცოტაა. ამ დებულებებს ნ. მარი თვლიდა მარქსისტულ დებულებებად, თავს ახვევდა ყველას, როგორც ერთადერთ სწორ მარქსისტულ დებულებებს.

ენის განვითარებაში შეუძლებელია „აფეთქებები“. ამას მოწმობენ ფაქტები (იხ. § 20).

ენათა გარდაქმნის ნიმუშს ნ. მარი ხედავს იაფეტურ და ინდოევროპულ ენათა ურთიერთობაში. „ინდოევროპული ენები, — წერს ნ. მარი — წარმოადგენენ მხოლოდ ახალ ფორმაციას იმავე იაფეტურ ენათაო“[57]. ნ. მარი არ ამბობს, რაში გამოიხატა ეს, — ინდოევროპულ ენათა ლექსიკის, მორფოლოგიური ინვენტარისა და გრამატიკული წყობის რა მოვლენებში გვაქვს იაფეტურ ენათა ფაქტების ტრანსფორმაცია.

ამჟამად არსებობენ როგორც ინდოევროპული ენები («ახალი ფორმაცია»), ისე იაფეტური ენები («ძველი ფორმაცია»). თუ იაფეტური ენები გარდაიქმნენ ინდოევროპულ ენებად, ისინი არ შეიძლება არსებობდნენ ინდოევროპულ ენათა გვერდით (თანაარსებობა წარმოქმნილ და წარმომქმნელ ენათა შეუძლებელია — იხ. § 21). ერთდროულად შეიძლება არსებობდეს უფრო არქაული და ნაკლებ არქაული ენები, როცა ეს ენები სხვადასხვა წარმოშობისაა, მაგრამ ერთიმეორის გვერდით ვერ იარსებებს ენები, თუ მათ ერთი წარმოშობა აქვთ და ერთი ითვლება მეორისაგან წარმოქმნილად.

„მთელი მსოფლიოს ენები“ — წერს ნ. მარი — წარმოადგენენ

[57] ნ. მარი. რჩ. შრომ., ტ. I, გვ. 187.

ერთი გლოტოგონიური პროცესის შედეგს, წარმოშობის დროის მიხედვით ეკუთვნიან რა ამა თუ იმ სისტემას, რომელიც ერთიმეორეს ცვლიდა, მასთან ცვლილ სისტემათა ენები ახასიათებს ხალხებს, რომლებიც მოსწყდნენ საერთო მსოფლიო მოძრაობას იმისდა მიუხედავად, არიან თუ არა კვლავ ჩაბმული მსოფლიო მეურნეობისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის მიერ მსოფლიო ცხოვრების ორომტრიალში"[58]...

ენები ნ.მარმა დაალაგა სტადიური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე: ეს ენები ამ საფეხურებზე გარჩენილია თურმე იმიტომ, რომ ეს ენები ეკუთვნის ხალხებს, რომლებიც — ნ. მარის სიტყვები რომ ვიხმაროთ — „მოსწყდნენ საერთო მსოფლიო მოძრაობას". შემდეგში ეს ხალხები კვლავ რომც ჩაებნენ ამ „მსოფლიო მოძრაობაში", ეს მათ ენებს ვეღარ უშველის: ეს ენები ძვრას ვერ იზამენ, ისინი ერთხელ და სამუდამოდ გარჩენილი არიან სტადიური განვითარების გარკვეულ საფეხურზე.

ასეთი უცნაური დებულების წამოყენება ნ. მარს დასჭირდა იმისათვის, რომ „აეხსნა" როგორღა მოხდა, რომ ჩინური ენა, რომელიც — განვითარების უძველეს საფეხურს წარმოგვიდგენდა, — დღესაც ამ ძველი, პირველი, სტადიის ენად გამოიყურება. და განა მხოლოდ ჩინური ენა? „პ ი რ ვ ე ლ ი, მ ე ო რ ე და მ ე ს ა მ ე სტ ა დ ი ი ს" ენები ადგილიდან არ იძვრიან, **ოდესღაც** იყვნენ განვითარების ამ საფეხურზე და **დღესაც** ამავე საფეხურზე იმყოფებიან.

ენათა განვითარების ასეთი გაგება არც ისტორიის ფაქტებს ეთანხმება. ისტორიამ არ იცის არც ხალხები და არც ენები, რომელთაც განვითარება არ შეეძლოთ. ენათა განვითარების ტემპები შეიძლება განსხვავდებოდეს (ეპოქების მიხედვით, ენათა მიხედვითაც), მაგრამ არასდროს არსებულა და არასდროს იქნება ისეთი ცოცხალი ენა, რომ სრულებით შეწყვიტოს განვითარება, ერთ წერტილზე გაყინულიყოს და აღარ ვითარდებოდეს. განვითარების უნარს მოკლებული ცოცხალი ენა სინამდვილეში არ არსებობს, ის წარმოადგენს არამეცნიერული სტადიური სქემის უსიცოცხლო ნაყოფს.

ნ. მარის სტადიური სქემის მიხედვით მთელი ენათშემოქმედებითი პროცესი შედგება ენებისაგან (ენათა სისტემებისაგან), რომელნიც გაქვავებულან განვითარების გარკვეულ საფეხურზე. ეს ენები (ენათა სისტემები) — ნ. მარის სქემაში — განვითარების პროცესს გვისურათებენ, მაგრამ განვითარების უნარს მოკლებული არიან. განვითარების პროცე-

[58] ნ. მარი. რჩ. შრომ., ტ. II, გვ. 135.

სის ასეთი გაგება თავისი ბუნებით ანტიისტორიულია, მეტაფიზიკურია, არამეცნიერულია.

სტადიური თეორია ნ. მარისა გარკვეულ ენებს აცხადებს განვითარების უნარმოკლებულად. ამასთან, მის სქემაში სემიტური და ინდოევროპული ენებით — ე. ი. ფლექსიური ენებით — **მთავრდება** სტადიური განვითარება. ამგვარად, ნ. მარის სტადიური განვითარების თეორია ეთანხმება შლაიხერის დებულებას, რომლის მიხედვითაც ენათა ფლექსიური ტიპი მიჩნეულია განვითარების უმაღლეს საფეხურად.

ინდოევროპული ენები ნ. მარის სტადიურ სქემაში განვითარების ყველაზე ახალ ფორმაციას წარმოდგვიდგენს. ნ. მართან ეს „ყველაზე ახალი" „ყველაზე სრულყოფილს" შეიძლება უდრიდეს. ერთგან ნ. მარი წერს: „ყველაზე სრულყოფილ ინდოევროპულ ენებშიც მოგვეპოვება ნაკლებ ცვლილი, თითქოსდა რელიქტური ფენები"[59]: აქ ნ. მარი იაფეტურ ენებს უპირისპირებს ინდოევროპულ ენებს, როგორც „ყველაზე სრულყოფილ" ენებს.

გენეალოგიური კლასიფიკაციის სახელის გასატეხად ნ. მარი დაუზარებლად იმეორებდა „გენეალოგიური კლასიფიკაცია არის რასული (და, რასისტული) კლასიფიკაციაო", ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება არის „ბურჟუაზიული ინდოევროპეისტიკა", „ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი მომაკვდავი ბურჟუაზიული საზოგადოებრიობისაო"[60]. **ობიექტურად** კი, სწორედ ნ. მარის სტადიური კლასიფიკაცია უწყობს ხელს რასიზმს.

ასეთია ენის განვითარების სტადიური სქემისა და ენათა განვითარების შესახებ ნ. მარის მტკიცებათა ძირითადი მანკი, რაც ამ სქემას არამეცნიერულად ხდის.

ნ. მარის მოძღვრებაში სტადიურობის იდეა, როგორც ითქვა, ელემენტებს უკავშირდება. ამასთან დაკავშირებით უნდა გავცეთ პასუხი ორ კითხვაზე: 1. როგორ გამოარკვია ნ. მარმა, რომ თავდაპირველად მხოლოდ ოთხი ელემენტი მოიპოვებოდა და რომ ეს ოთხი ელემენტი სწორედ **სალ, ბერ, დონ, როშ** იყო? 2. შეიძლება თუ არა თანამედროვე ენებში ვიპოვოთ დასაბამიერი ელემენტები და, თუ შეიძლება, როგორ?

დავიწყოთ მეორე საკითხით. წარმოვიდგინოთ, რომ თ ა ვ დ ა პ ი რ ვ ე ლ ა დ მხოლოდ ოთხი ელემენტი — სალ, ბერ, დონ, როშ —

---

[59] ნ. მარი, „ხმელთაშუა ზღვის ინდოევროპული ენები" (რუს.), რჩ. შრომ., ტ. I, გვ. 185.
[60] ნ. მარი. იაფეტური თეორიის შესახებ (რუს.), რჩ. შრომ., III, გვ. 1.

მოიპოვებოდა. მას შემდეგ გავიდა — სულ მცირე — რამდენიმე ათეული ათასი წელი (ნ. მარი სულ მცირე 50 ათას წელს ვარაუდობდა). წლების გამოთვლას თავი რომ დავანებოთ, განვლილი დროის დასახასიათებლად ისიც კმარა, რომ მაშინ მხოლოდ ოთხი მარტივი სიტყვა („ელემენტი") არსებულა, ახლა კი რამდენიმე ასეული დამოუკიდებელი ენა მოიპოვება: ამდენი ენა „შეუქმნია" ამ ოთხ ელემენტს, ამდენ ენად ქცეულა ეს ოთხი ელემენტი.

ვინც ვარაუდობს, რომ ოთხი ელემენტი რამდენიმე ასეულ ენად იქცაო და თან ამ ენებში იმ დასაბამიერი ოთხი ელემენტის პოვნას ლამობს, ის ამით უარყოფს განვითარების მთელ პროცესს, რომელსაც თურმე ოთხი ელემენტი რამდენიმე ასეულ ენად უქცევია. ამრიგად, არ შეიძლება კაცობრიობის მეტყველების **დასაბამად ხალ, ბერ, დონ, როშ** დასახო და იმავე დროს ცდილობდე ახლანდელ ენაში იპოვო ეს დასაბამიერი ელემენტები. აქ თვით საკითხის დასმაა პრინციპში მცდარი: კაცობრიობის მეტყველების პირველადი ელემენტების („პირველი სიტყვების") ძიება არამეცნიერულია (იხ. § 24).

ახლა იმ საკითხის შესახებ, თუ რა გზით დაადგინა ნ. მარმა, რომ თავდაპირველად სულ ოთხად ოთხი ელემენტი იყო და ეს იყო **ხალ, ბერ, დონ, როშ.** რომ მეტყველების დასაბამი ოთხი ელემენტია, ნ. მარს არსად დაუსაბუთებია; ეს ცოტაა; ნ. მარს არც უცდია ამის დასაბუთება. ეს ოთხი ელემენტი სრულებით შემთხვევით „აღმოჩნდა" დასაბამთ დასაბამი: სრულიად შემთხვევით, რამდენადაც ობიექტური ვითარება — მეტყველების განვითარება — გვექნება მხედველობაში. ნ. მარის თეორიისათვის კი ეს ელემენტები შემთხვევითი როდი იყო. ელემენტები ტომთა სახელწოდების მიხედვით გამოყო ნ. მარმა (სალ-: ფე-**ხალ**-ები, ბერ-: ი-**ბერ**-ები, **დონ**-: **დოონ**-ელები, **როშ**-: **რას**-ენები; ეტრუსკები თავის თავს რასენებს უწოდებდნენ). ტომთა სახელებში ხედავდა ნ. მარი კაცობრიობის მეტყველების უძველეს მონაცემს. იაფეტურ ენათა შესწავლის პროცესში ტომთა სახელებს ნ. მარი მით უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა, რაც უფრო მცირე იყო საიმედო მასალა შედარებისათვის (ასე მაგ., იბერიულ-კავკასიურისა და ბასკურის შედარებისას).

ამგვარად, ამოუწყველ შესადარებელ მასალაში ნ. მარმა გულისყური მიაპყრო ტომთა სახელებს, ჯერ — თორმეტი ასეთი სახელი აირჩია, შემდეგ — მხოლოდ ოთხი გამოყო. ამგვარად შეიქმნა ნორმა, აუ-

ცილებელი ნ. მარის „ახალი მოძღვრებისათვის" და სრულიად ნებისმიერი ენათა განვითარების მეცნიერული ისტორიის თვალსაზრისით.

რაკი ნ. მარმა ტომთა სახელები დასახა დასაბამთა დასაბამად **ყველა** ენისათვის, ენათა წარმოშობითი სხვაობა უარყოფილ იქნა და ნ. მარმა შეუზღუდავად იწყო შედარება ისეთი ფაქტებისა, რასაც არაფერი აქვს საერთო, რაც ეკუთვნის **სხვადასხვა** წარმოშობის ენებს და ენათა განვითარების სულ **სხვადასხვა** პერიოდებს. ასე, მაგალითად, ნ. მარი ერთმანეთს უდარებდა ქართ. **ღონ**-ე-ს, **გონ**-ება-ს, რუს.**огонь**-ს, **конь**-ს, უნგრელების სახელს **ჰუნ**-გარი, მდინარის სახელს ენ-**გურ,** დაბა **ხონ**-ს და **ხუნ**-ზახ-ს (დაღესტანში) და აკავშირებდა ამ ფუძეებს ერთმანეთთან პალეონტოლოგიური აზროვნების ნორმების მიხედვით.

ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების წესების თანახმად შეუძლებელია ერთმანეთს შევუდაროთ იმ ენების ფაქტები, რომლებიც სხვადასხვა ოჯახს ეკუთვნის, რადგანაც ეს ფაქტები სხვადასხვა წარმოშობისაა· (ერთმანეთს უდარებენ იმ მასალას, რასაც საერთო წარმოშობა აქვს, რაც ისტორიულად საერთო მონაცემის დიფერენციაციას წარმოგვიდგენს).

ნ. მარის ელემენტოვანი ანალიზი „ამარტივებს" შედარების საქმეს, მას არ ზღუდავს ის გარემოება, რომ შესადარებლად აღებული სიტყვები სხვადასხვა ოჯახის ენებს ეკუთვნის: ქართ. **გონ**-ება, რუს. **о-гонь** და **конь**, **ხუნ**-ძახ... ნ. მარისთვის თანაბრად დაიყვანება Sal- ელემენტამდე, ყველა ეს სიტყვა **ხალ**- ელემენტის ნაირსახეობას „წარმოადგენს". ელემენტოვანი ანალიზის გარეშე ნ. მარი შედარებას არ სცნობდა.

ელემენტოვანი ანალიზის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა მარისეული პალეონტოლოგია მეტყველებისა, შეუძლებელი იქნებოდა ე. წ. „ახალი ხაენათმეცნიერო მოძღვრების" წარმოქმნა და არსებობა. ელემენტოვანი ანალიზი აკანონებს შესადარებელი მასალის ნებისმიერად შერჩევას, სიტყვის თვითნებურად დაშლას და დაშლის შედეგად მიღებული ნაწილების თვითნებურად განმარტებას. ელემენტოვანმა ანალიზმა საძირკველი გამოაცალა ენის ფაქტების მეცნიერულ ანალიზს, ენის განვითარების მეცნიერულ შესწავლას.

თავის ოთხელემენტოვანი ანალიზი ნ.მარს გამოცხადებული ჰქონდა „მარქსისტული საენათმეცნიერო თეორიის" მეთოდად და მას ნ. მარი უპირისპირებდა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ისტორიულ-შედა-

რებით მეთოდს.

ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ, რომ ელემენტოვანი ანალიზის პრინციპი ე. წ. „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრებიდან" შეითვისეს ზოგიერთმა თურქმა მიმდევრებმა, ოღონდ უფრო მოხერხებულად მიიჩნიეს დასაბამთა დასაბამად ერთი ელემენტი გამოეცხადებინათ და ამ ელემენტად თურქული სიტყვა **„ად"** («თეთრი») მიეჩნიათ: ამ **ად** ელემენტამდე „დაჰყავდათ" მათ ყველა ენის სიტყვა და ამ მარტივი წესით „ადგენდნენ", რომ ყველა ენა თურქული ენიდან არის წარმოშობილიო.

ეს თურქული ექსპერიმენტიც მოწმობს, რამდენად შეუთავსებელია ერთმანეთთან მეცნიერება ენის შესახებ და მკითხაობა ელემენტების (თუ ელემენტის) მიხედვით.

თავი VIII

ენათმეცნიერების ადგილი მეცნიერებათა სისტემაში

§ 137. ენათმეცნიერება, როგორც საზოგადოებრივი მეცნიერება. მეცნიერებათა კლასიფიკაცია ან იმის მიხედვით ხდება, თუ რა ხასიათისა არის სათანადო დარგის ცოდნა ანდა იმის მიხედვით, თუ რაგვარია შესასწავლი ობიექტი. მეორე თვალსაზრისი ყველაზე საფუძვლიანია.

შესასწავლი საგნის მიხედვით ყველა მეცნიერება ორ ძირითად ჯგუფს ქმნის: მეცნიერებანი, რომელნიც შეისწავლიან **ბუნებას** (ბუნების-ისტორიული ანუ ს ა ბ უ ნ ე ბ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ო მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა ნ ი) და მეცნიერებანი, რომელნიც შეისწავლიან საზოგადოებას (საზოგადოებრივ-ისტორიული ანუ მოკლედ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა ნ ი).

ენა საზოგადოებრივ მოვლენას წარმოადგენს და, მაშასადამე, **ენათმეცნიერებაც საზოგადოებრივ მეცნიერებათა წრეს განეკუთვნება.**

გასული საუკუნის მესამოცე წლებში ზოგი ენათმეცნიერი, რომელიც იმხანად გავლენით სარგებლობდა, ენათმეცნიერებას საბუნებისმეტყველო მეცნიერებად თვლიდა: ენას ზრდა ახასიათებს და არა განვითარებაო (მ.მიულერი, ა.შლაიხერი), ენა ორგანიზმს წარმოადგენსო (ა.შლაიხერი).

ენისათვის დამახასიათებელია განვითარება (და არა — ზრდა). ენა ორგანიზმს არ წარმოადგენს (იხ. § 11). ენათმეცნიერებას ვერ მივიჩნევთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებად. ენათმეცნიერება საზოგადოებრივი მეცნიერებაა.

§ 138. ენათმეცნიერების დამოკიდებულება სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებთან. ენათმეცნიერების ზოგადი საგანმანათლებლო მნიშვნელობა. ენათმეცნიერება მეტად რთულ საზოგადოებრივ-ისტორიულ მეცნიერებას წარმოადგენს. ამას იწვევს რაობა ენისა, როგორც ურთიერთობისა და აზრთა გაცვლის საშუალებისა.

ენა, როგორც **ურთიერთობისა და აზრთა გაცვლის საშუალება**, საზოგადოებას ემსახურება. ენა ემსახურება საზოგადოებას და ასახავს სათანადო საზოგადოების კულტურას, ყოფა-ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებას — განვითარების ყველა საფეხურზე.

ეს გარემოება განსაზღვრავს ენათმეცნიერების კავშირს საზოგადოებრივ მეცნიერებებთან (როგორიცაა: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია...).

ენა, როგორც **აზრის განხორციელება,** აუცილებელს ხდის ენათმეცნიერების კავშირს იმ მეცნიერებებთან, რომელთა შესწავლის საგანსაც წარმოადგენს აზრი, — მისი წარმოქმნა და მიმდინარეობა, მისი შემეცნებითი ფუნქცია, — სახელდობრ, კავშირს ფსიქოლოგიასთან (განსაკუთრებით, აზროვნების ფსიქოლოგიასთან), ლოგიკასთან და, საერთოდ, ფილოსოფიასთან.

ენის მასალას ბგერა წარმოადგენს. სამეტყველო ბგერათა წ ა რ მ ო ე ბ ა ენათმეცნიერებას აკავშირებს ფიზიოლოგიასთან, ბგერათა ა ღ ქ მ ა — აკუსტიკასთან, როგორც ფიზიკის დარგთან.

ენა — ასეულ თაობათა მიერ არის შექმნილი და საერთო-სახალხო კუთვნილებას წარმოადგენს. ენა საზოგადოების არსებობის პირობაა; ენა აზრის რეალიზაციის საშუალებაა. ენა ფასდაუდებელი საგანძურია. ბუნებრივია, რომ მეცნიერებაც ენის შესახებ უაღრესად საინტერესო და მეტად მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-ისტორიული მეცნიერება იყოს. თუ ენის ფაქტები მკაცრი მეცნიერული წესით იქნა გაანალიზებული, ენათმეცნიერება აღმოჩნდება უაღრესად ზუსტი საზოგადოებრივი მეცნიერება.

ყოველივე ეს განსაზღვრავს **ენათმეცნიერების,** როგორც თეორიული მეცნიერების, **ზოგად საგანმანათლებლო მნიშვნელობას.**

§ 139. ენათმეცნიერების გამოყენებითი მნიშვნელობა. ენათმეცნიერებას არამცირედი პრაქტიკული გამოყენებაც აქვს.

პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ის საკითხები, რომელთა მოგვარებაც საჭირო ხდება სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა და განვითარებასთან დაკავშირებით.

დამწერლობის შექმნა ამა თუ იმ ენისათვის შეუძლებელია, თუ არ ვიცით, როგორია ენის ფონემატური შემადგენლობა, რა ბგერები (ფონემები) აქვს ენას. ფონეტიკის დახმარება აქ აუცილებელია.

სალიტერატურო ენა ნორმების გარეშე ვერ იარსებებს. ენათმეცნიერება, როგორც ცნობილია, ნორმებს არ აწესებს: ენათმეცნიერება არ გვეუბნება — ეს უნდა ვთქვათ, ეს უნდა დაამკვიდროთო. მაგრამ **ენათმეცნიერული ანალიზის** გარეშე სალიტერატურო ენის ნორმების საკითხი სათანადოდ ვერ გადაწყდება: ყველგან, სადაც რამდენიმე ვარი-

ანტი ერთმანეთს ეცილება და ერთ-ერთი საჭიროა დავამკვიდროთ (წერდენ—წერდნენ, დაეწერა—დაეწერნა), აუცილებელია გავარკვიოთ, **როგორ გაჩნდა** ეს პარალელური ვარიანტები, რამდენად **გამართლებულია** ყოველი მათგანი სათანადო ენის **გრამატიკული წყობის** (და მთლიანად ენის სისტემის) თვალსაზრისით, რომელი მათგანი უფრო შეეფერება **სალიტერატურო ენის განვითარების ძირითად ტენდენციებს** და სხვ. ეს წინასწარი თეორიულ-ენათმეცნიერული ანალიზი უნდა გაუკეთდეს მოსაწესრიგებელ ფაქტს, და შემდეგღა დაწესდეს ნორმა. წინააღმდეგ შემთხვევაში ნორმების დაწესება იქცევა ტექნიკურ პროცესად ნებისმიერი ხასიათისა.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება ახალ **ტერმინებსა** და სპეციალურ გამოთქმებს მოითხოვს. ტერმინოლოგიის საკითხების დამუშავებისას ენათმეცნიერების დახმარება აუცილებელია: იმის გასარკვევად, თუ ახალი (მარტივი და ნაწარმოები) სიტყვებიდან (ტერმინებიდან) რა **შეეფერება** ენის გრამატიკულ წყობასა და ლექსიკურ შემადგენლობას და რა **ეუცხოება** მას, რა ტერმინები, საერთოდ, არ უნდა ითარგმნოს, არამედ უთარგმნელად უნდა შემოვიტანოთ, როგორც ინტერნაციონალური გავრცელების მქონე და სხვ.

უცხო ენათა შესწავლის საქმე რომ მეცნიერულ ნიადაგზე დავაყენოთ, **დედაენის სასკოლო გრამატიკა** სათანადოდ რომ დავამუშაოთ, ენათმეცნიერების დახმარება დაგვჭირდებოდა.

მიზანშეწონილ **სტენოგრაფიულ სისტემას** ვერ გამოვიმუშავებთ, თუ მხედველობაში არ გვექნება მიღებული იმ ენის გრამატიკული წყობა, რომლისთვისაც ვქმნით სტენოგრაფიულ სისტემას.

ლოგობედიას აუცილებლად **ესაჭიროება ფონეტიკის დახმარება:** მეტყველების დეფექტს რომ უმკურნალოს ექიმმა, ის უნდა ერკვეოდეს, როგორ იწარმოება ესა თუ ის ბგერა, ნათლად ჰქონდეს წარმოდგენილი, რაში მდგომარეობს დეფექტი და რა არის საჭირო, რომ სათანადო ბგერა სწორად იქნეს წარმოთქმული.

ენათმეცნიერების მონაცემთა გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურის ისტორიისათვის, კერძოდ, ისტორიის უძველესი პერიოდის შესწავლისას; მას მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ფსიქოლოგიისათვის, ლოგიკისათვის, ლიტერატურათმცოდნეობისათვის.

ენათმეცნიერება სარგებლობს ხსენებულ მეცნიერებათა დახმარებით, მაგრამ თვითონაც ვალში არა რჩება მათ. ისტორიკოსს, ფსიქოლოგს, ფილოსოფოსს, ლიტერატურათმცოდნეს ესაჭიროება ენათმეცნიერების საფუძვლიანი ცოდნა.

გამომცემლობის რედაქტორი **ცირა ჯიშკარიანი**
ტექნიკური რედაქტორი **ლევან ვაშაკიძე**
გარეკანის დიზაინი **თინათინ ჩირინაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა **რუსუდან რატიანი**

0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
0128, Tbilisi, 14, I. Chavchavadze Av.
www.press.tsu.ge (25-14-32)